

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი

შრომები

III

Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Faculty of Humanities

Institute of Georgian History

Proceedings

III

გამომცემლობა „მერიდიანი“

Meridian Publishers

თბილისი

Tbilisi

2011

უკ(UDC)94(479.22)

ს–323

რედაქტორები:

თედო დუნდუა

მარიამ ჩხარტიშვილი

ალექსანდრე ბოშიშვილი

სარედაქციო კოლეგია:

მარიამ ლორთქიფანიძე

გიული ალასანია

თეიმურაზ პაპასკირი

აპოლონ თაბუაშვილი

ქეთევან გოჩიტაშვილი

ლერი თავაძე

ანდრო გოგოლაძე

გიორგი ჟუჟუნაშვილი

შალვა გლოველი

Editors:

Tedo Dundua

Mariam Chkhartishvili

Alexander Boshishvili

Editorial Board:

Mariam Lordkipanidze

Giuli Alasania

Teimuraz Papaskiri

Apolon Tabuashvili

Ketevan Gochitashvili

Leri Tavadze

Andro Gogoladze

Giorgi Zhuzhunashvili

Shalva Gloveli

© ტექსტი – ავტორები, 2011

© შედგენა – თ. დუნდუა, მ. ჩხარტიშვილი, ა. ბოშიშვილი 2011

ISSN 1987–9970

შინაარსი
CONTENTS

მარიამ ლორთქიფანიძე

ცოტა რამ შოთა მესხიას ცხოვრებისა და აკადემიური მოღვაწეობის შესახებ 9

მაია პატარიძე

სვანეთში აღმოჩენილი ანტიკური ხანის მონეტები 17

Maia Pataridze

Coins of the Classical Period From Svaneti (Summary) 36

ნათია ფიფია

სედოხეზების ტომის ლოკალიზაციის საკითხისათვის 37

Natia Pipia

Focuses on Localizing the Sedokhezi Tribe (Summary) 41

თედო დუნდუა, ლერი თავაძე

Limes Ponticus – რამდენიმე საკითხი პონტოს საზღვრის შესახებ I - III სს. 42

Tedo Dundua, Leri Tavadze

Limes Ponticus – About Pontic Frontier in the 1st - 3rd cc. (Summary) . . . 53

როლანდ თოფჩიშვილი

ონომასტიკური მონაცემები დვალთა ეთნიკური კუთვნილების შესახებ . . . 56

Roland Topchishvili

Onomastic Data on Affiliation of Dvaleti Residents (Summary) 79

ქეთევან ქუთათელაძე

ქვის აღმნიშვნელი ტოპონიმები ქვემო ქართლში (თეთრი წყაროს რაიონის სოფლების მიხედვით) 80

Ketevan Kutateladze

The Toponyms Denoting Stone in Kvemo (Lower) Kartli (According to the Names of the Villages of Tetri Tskaro Region) (Summary) 94

ნინო სილაგაძე

ჯაყისმანის მონასტრის მთავარი ეკლესია და მისი მომიჯნავე ნაგებობათა კომპლექსი 95

Nino Silagadze

The Main Church of Jakismani Monastery and Neighboring Buildings (Summary) 119

გვანცა აბდალაძე

გიორგი IV ლაშა და აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი 120

Gvantsa Abdaladze

Giorgi IV Lasha and Highlanders of Eastern Georgia (Summary) 135

აკაკი ჩიქობავა

ოდიშის სამთავროს საუფლისწულოები 136

Akaki Chikobava

The “Princes’ Domains” in Odishi Principality (Summary) 153

ალექსანდრე ბოშიშვილი

თბილისის მელიქის სახელოს და ქრონოლოგიის შესახებ 154

Alexander Boshishvili

About Chronology and Office of Tbilisi Melik (Summary) 163

თამაზ გოგოლაძე

ავთანდილ ბარათაშვილ-აბაშიშვილის ფეოდალური ოჯახი და 1648-1653 წწ. შეწირულების აქტი აბელ ბარათაშვილის და მისი ძმებისა პირღებულის ღმრთისმშობლისადმი 165

Tamaz Gogoladze

Feudal Family of Avtandil Baratashvili-Abashishvili and Act of Donation (1648-1653) of Abel Baratashvili and His Brothers to Pirghebuli Church of the Virgin (Summary) 208

გიორგი ჟუჟუნაშვილი

„ამანათობის“ ინსტიტუტი საქართველო-რუსეთის ურთიერთობებში (XVI-XVIII სს.) 209

Giorgi Zhuzhunashvili

Institute of “Amanatoba” (Political Hostage) in Georgian-Russian Relationship from the 16th to the 18th cc. (Summary) 233

აპოლონ თაბუაშვილი

ქართლ-კახეთის სამეფოს თავდაცვითი ღონისძიებები ირანის აგრესიის მოსაგერიებლად 1795 წლის ივნის-აგვისტოში 234

Apolon Tabuashvili

Defensive Measures of Kartl-Kakheti Kingdom Against Persian Onslaught in June-August 1795 (Summary) 244

ქეთევან ჰავლიაშვილი

ბოლბეს ეპარქიის უძრავი ქონების ექსპროპრიაცია-სეკულარიზაციის მიზეზები და შედეგები (XIX ს.) 245

Ketevan Pavliashvili

Reasons and Results of Expropriation-Secularization of Bodbe Eparchy’s Real Estate in the 19th c. (Summary) 258

მარიამ ჩხარტიშვილი, ქეთევან მანია, სოფიო კადაგიშვილი

ქართული ნაციონალიზმის წარმოშობა 259

Mariam Chkhartishvili, Ketevan Mania, Sofio Kadagishvili

The Arising of Georgian Nationalism (Summary) 278

დიმიტრი შველიძე

ქართული სახელმწიფოებრიობის პრობლემა არჩილ ჯორჯაძის ნააზრევში 279

Dimitri Shvelidze

Issues on Georgian Statehood in Archil Jorjadze’s Thoughts (Summary) . . . 296

ქეთევან ხითარიშვილი

გრიგორ რასპუტინის ფსიქოლოგიური პორტრეტისათვის (ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული საარქივო მასალის მიხედვით) 297

Ketevan Khitarishvili

On the Psychological portrait of Grigori Rasputin (According to the Archival Materials Kept at the National Centre of Manuscripts) (Summary) 302

მიხეილ ბახტაძე

გენერალ ლუდენდორფის ერთი წერილის შესახებ 303

Mikheil Bakhtadze

About the Letter of General Von Ludendorff (Summary) 310

ოთარ ჯანელიძე

საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის ისტორიიდან (სამუსლიმანო საქართველოს ავტონომია) 311

Otar Janelidze

From the History of Administrative-Territorial Arrangement of Georgia (The Autonomy of “Muslim Georgia”) (Summary) 333

დიმიტრი სილაქაძე

საქართველოს I დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო გვარდიის საორგანიზაციო-სამშტაბო სტრუქტურისა და რიცხვნების საკითხისათვის 334

Dimitri Silakadze

Regarding the Structure and the Quantity of the National Guards' Organizational Staff of the First Democratic Republic of Georgia (Summary) . . . 348

ნინო ვაშაკმაძე

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაპყრობა საბჭოთა რუსეთის მიერ და საერთაშორისო საზოგადოებრიობა 349

Nino Vashakmadze

Occupation of Democratic Republic of Georgia by Soviet Russia and International Community (Summary) 356

ლევან ჯიქია

ანტისაბჭოთა ეროვნული მოძრაობა და აჯანყება აფხაზეთში (1921-1924 წწ.) 357

Levan Jikia

National Movement and the Anti-Soviet Rebellion in Abkhazia (1921-1924) (Summary) 374

პროექტი

ნიკო ჯავახიშვილი

საქართველოს თანამედროვე ფულადი ნიშნების გარეგნული მხარის რეფორმირებისათვის 375

**საერთაშორისო პრეზენტაცია
International Conferences**

Tedo Dundua

Publicius Agrippa, Flavius Dades and a Dual Citizenship – a Pattern for Europe in Future? Georgians and Roman Frontier Policy in the East . . . 385

Bondo Kupatadze

Language Policy of the Russian Empire in Georgia 405

Tengiz Simashvili
Secret Agents and Terror: Origin of Organized Terror in Russian Empire
(from History of Russian Secret Police) 412

Кетеван Надирაძე
Кавказ и кавказцы в грузинских письменных источниках 419

Teimuraz Papaskiri
The Negative Results of the Soviet Occupation of Georgia 423

რეცენზია

თედო ღუნდუა
რეცენზია აზერბაიჯანულ სკოლის სახელმძღვანელოებზე 430

ანგარიში

ბონდო კუპატაძე
ფოცხოვის, კოლას და ტაოს სამეცნიერო ექსპედიციის დღიური 434

იუბილე

ნანა ხაზარაძე
ნოდარ ასათიანი – მეცნიერი, პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე 454

თედო ღუნდუა – 50 465

ქრონიკა

ლერი თავაძე
შოთა მესხია – 95. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სა-
ხელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის კონფერენცია 482

მარიამ ლორთქიფანიძე

ცოტა რამ შოთა მესხიას ცხოვრებისა და აკადემიური მოღვაწეობის შესახებ

**თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მიერ ორგანიზებული, შოთა
მესხიას დაბადებიდან 95-ე წლის იუბილესადმი მიძღვნილი სხდომიდან**

დღეს ჩვენ, როგორც კალბატონმა დარეჯანმა ბრძანა (თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი), ვიხსენებთ შოთა მესხიას, რომელიც დღევანდელ დღეს (27 აპრილს), 1916 წელს დაიბადა; გარდაიცვალა 1972 წლის 15 მაისს. სულ იცხოვრა 56 წელი. შეიძლება იმიტომ, რომ ლამის 100 წლის ვარ, მიმაჩნია, რომ 56 წელი არ არის დიდი ხანი.

მან დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი 1937 წელს და ამის შემდეგ სიცოცხლის ბოლომდე სულ იყო დაკავშირებული საქართველოს მეცნიერების აკადემიასთან და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან. იყო სიმონ ჯანაშიას ასპირანტი, მისი უშუალო მოწაფე. თუმცა იყო გარკვეული პაუზა, როდესაც მეორე მსოფლიო ომი გამოცხადდა, შოთა მესხია გაიწვიეს ფრონტზე. ორი წელი იყო ფრონტზე, სულ მოქმედ ოპერაციებში, სადაც დაიჭრა კიდეც და 1942 წელს დაბრუნდა ფრონტიდან.

ეტყობა, უკვე მას ამ მხრივ გარკვეული მუშაობა ჩატარებული ჰქონდა და 1942 წლის 15 დეკემბერს მან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტში დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია: „ხელოსნობა ძველ საქართველოში (V-XII საუკუნე)“. ეს იყო ძალიან მნიშვნელოვანი გამოკვლევა. მე მხოლოდ ერთ დასკვნას ვიტყვი მისას: რომ ამ დროინდელ საქართველოში არსებობდა ხელოსნობის ყველა ის დარგი, რაც საერთოდ მაშინ ცნობილი იყო.

ამის შემდეგ ის იწყებს მუშაობას უნივერსიტეტში, სადაც მისმა მასწავლებელმა, სიმონ ჯანაშიამ, მიიწვია. 1945 წელს აირჩიეს დოცენტად, შემდეგ, 1956 წელს, ნიკო ბერძენიშვილის წარდგინებით, უნივერსიტეტის სა-

მეცნიერო საბჭომ შოთა მესხია აირჩია საქართველოს ისტორიის კათედრის გამგედ, იმ კათედრის გამგედ, რომელსაც მისი დიდი მასწავლებლები ხელმძღვანელობდნენ – ივანე ჯავახიშვილი, სიმონ ჯანაშია, ნიკო ბერძენიშვილი. მან სრულიად გაამართლა ეს ნდობა. სიცოცხლის ბოლომდე ის იყო ამ კათედრის გამგე, სადაც ძალიან აქტიური სამეცნიერო მუშაობა მიმდინარეობდა. მისი რედაქტორობით გამოიცა ძალიან მნიშვნელოვანი შრომები და, რაც მთავარია, ძალიან მაღალ დონეზე იდგა სასწავლო პროცესი.

1957 წელს მას მიანიჭეს საქართველოს რესპუბლიკის დამსახურებული მეცნიერის წოდება. 1967 წელს შოთა მესხია აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპოდენტად. უნდა ითქვას, რომ აქაც, სამწუხაროდ, დიდხანს არ იყო, მაგრამ სანამ იყო, აქტიურად მონაწილეობდა აკადემიის მუშაობაში.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ის იყო მრავალი შრომის რედაქტორი, აღზარდა ძალიან დიდი რაოდენობა მეცნიერ-კანდიდატებისა, სტუდენტთა სამეცნიერო წრის მუშაობასაც ხელმძღვანელობდა. ძალიან აქტიურად იყო დაკავებული. ასეთ ვითარებაში, როდესაც საზოგადოებრივი დატვირთვაც ჰქონდა, მან იმ მცირე წლების განმავლობაში შექმნა და დაგვიტოვა ძალიან დიდი მეცნიერული მემკვიდრეობა. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი მონაწილეობა „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ მუშაობაში (რვატომეული). ის იყო მისი მთავარი სარედაქციო კოლეგიის წევრი, II ტომის რედაქტორი, უნდა ყოფილიყო III ტომის რედაქტორიც, მაგრამ ვერ მოასწრო. არის II და III ტომების მთელი რიგი თავების ავტორი. 1983 წელს, როდესაც დამთავრდა, „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ გამოცემა, მას მიენიჭა საქართველოს სახელმწიფო პრემია.

მისი მეცნიერული მემკვიდრეობის ძირითადი საგანი გახლდათ შუა საუკუნეების საქართველოს ისტორია. ჩანს, ჯერ კიდევ ჯარში წასვლამდე, ის მუშაობდა თეიმურაზ ბაგრატიონის პიროვნებასა და მის ბიოგრაფიაზე. 1942 წელს გამოსცა თეიმურაზ ბატონიშვილის „ივერიის ისტორია (უძველესი დროიდან IV საუკუნემდე)“. შემდეგ, იმავე წელს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია.

1951 წელს შოთა მესხია მივლინებულ იქნა მოსკოვში, სადაც ის საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტში ორი წელი დოქტორანტი იყო და სადაც მის მუშაობას ხელმძღვანელობდა რუსი ისტორიკოსი ტინოპიროვი. იმავე ინსტიტუტში 1955 წელს მან დაიცვა დისერტაცია

ლოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად, ეს იყო მისი მთავარი, ერთ-ერთი კარდინალური ნაშრომი: «Города и городской строй феодальной Грузии» – (ქალაქები და საქალაქო წყობილება ფეოდალურ საქართველოში). ეს ნაშრომი გამოიცა რუსულადაც და ქართულადაც, როგორც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მონოგრაფია საქართველოს ქალაქების შესახებ. აქ, უნდა მოგახსენოთ, რომ შრომას ჰქონდა მინაწერი ფრჩხილებში, თარიღები: XVII-XVIII საუკუნეები. მაგრამ პირველი ნაწილი იყო, ფაქტობრივად, გამოკვლევა საქალაქო ცხოვრების ჩასახვის, ქალაქების ტიპების, ციხე-ქალაქების, მათი გარეგნული სახის, და საერთოდ, საქართველოში მე-17 საუკუნემდე ქართული ქალაქების შესახებ. მართალია, შედარებით მოკლედ და მჭიდროდ, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, ძირითადი ხაზი ნაჩვენებია იყო. მან გამოთქვა თვალსაზრისი, რომ სწორედ ამ XVII-XVIII საუკუნეებში თბილისში შეიქმნა ქალაქის მცხოვრებთა ზედა ფენა, რომელსაც „მოქალაქე“ ეწოდებოდა.

ამავე დროს, ის ძალიან აქტიურ სამეცნიერო მოღვაწეობას ეწეოდა. პირველ რიგში აღსანიშნავია მის მიერ გამოცემული ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატრიანე – „ძეგლი ერისთავთა“, ამას განსაკუთრებით ვასახელებ იმიტომ, რომ დღევანდელი თვალსაზრისითაც ეს არის სანიმუშო გამოცემა.

როდესაც ვამბობთ ჩვენ, რომ მარმა ასეთ დონეზე გამოსცა „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“, ლევან მუსხელიშვილმა ასეთ დონეზე გამოსცა „ვაჰანის ქვაბთა განგება“ – აი ამ დონეზეა ქსნის ერისთავთა მატრიანე გამოცემული, რომელსაც მან 1949 წელს თვითონ მიაკვლია ლენინგრადის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ხელნაწერთა განყოფილებაში, დაამუშავა. აქ არის ეპოქის მიმოხილვა – შესავალი, თვითონ ძეგლი საკმაოდ დაზიანებული იყო, მაგრამ კარგადაა აღდგენილი, თავისი კომენტარებით. იგი დღესაც, ქართული წყაროს, ერთ-ერთი სანიმუშო გამოცემაა.

შოთა მესხია თავიდანვე გატაცებული იყო და მუშაობდა თბილისის ისტორიაზე. ამ საკითხზე რამდენიმე სტატია აქვს გამოქვეყნებული. შემდეგ, 1952 წელს, მან და დავით გვრიტიშვილმა ერთად გამოსცეს „თბილისის ისტორია უძველესი დროიდან საქართველოს რუსეთთან შეერთებამდე“, ხოლო 1965 წელს გამოიცა მისი მეორე, გაფართოებული გამოცემა. ავტორებიც მიემატნენ – მამია დუშბაძე და აკაკი სურგულაძე. ის იყო თბილისის ისტორია საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე. ამ წიგნში, რომლის რედაქტორი ბრძანდებოდა თვითონ ბატონი შოთა მესხია, თბილისის ისტორიის უძველესი პერიოდი, მისი ციხე-ქალაქობა, გაქალაქება, გადქალაქება, ძირითადი თავე-

ბი დაწერილია შოთა მესხიას მიერ.

ასევე, აღსანიშნავია მისი საგანგებო მუშაობა დავით აღმაშენებლის ეპოქაზე, რომელსაც მან მიუძღვნა თავისი ერთ-ერთი გამოკვლევა, რომელსაც უწოდა „დიდგორის ბრძოლა“. აქ საინტერესოა, რომ ის იძლევა იმ სამხედრო რეფორმის განხილვას, რომელიც დავითმა ჩაატარა, ასევე მთელ მოსამზადებელ სამუშაოს დიდგორის ბრძოლამდე. ხოლო შემდეგ, 1972 წელს, ეს ნაშრომი უკვე გაფართოებული, რედაქტირებული გამოიცა ხელახლა, მაშინ უკვე ეწოდებოდა „ძლევაი საკვირველი“ და 1974 წელს, მისი გარდაცვალების შემდეგ, მას მიენიჭა, მისი სათაყვანებელი მასწავლებლის, სიმონ ჯანაშიას სახელობის პრემია.

აქვე უნდა აღნიშნოს, რომ მას მიღებული ჰქონდა სამამულო ომში მონაწილეობის II ხარისხის ორდენი, ამავე დროს, 1957 წელს მას მიანიჭეს შრომის წითელი დროშის ორდენი. ჰქონდა სხვა მედლებიც. ასე რომ, ყოველ მხრივ დაფასებული იყო მისი მუშაობა.

პარალელურად ის ეწოდება საზოგადოებრივ საქმიანობას. საზოგადოება „ცოდნის“ ხაზით ის ხშირად კითხულობდა ლექციებს თბილისში და სხვადასხვა რაიონში.

ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მუშაობაში ძალიან აქტიურად იყო ჩაბმული, სადაც ის საქართველოს ისტორიის სექციას განაგებდა და სადაც აქტიური მონაწილეობა მიიღო სიტყვანის დადგენაში. მისი ძალიან ბევრი სამეცნიერო ნაშრომია გამოყენებული ამ ენციკლოპედიაში.

ის ბოლომდე ძალიან აქტიურად მუშაობდა, ამის დასტურია ის გარემოება, რომ როდესაც გარდაიცვალა, მაგიდაზე დარჩა ფაქტობრივად დამთავრებული ნაშრომი: „საქართველოს პოლიტიკური ისტორია და სახელმწიფოებრივი წყობა“, რომელიც მან მიუძღვნა XI-XII საუკუნეების საქართველოს და პატარა რედაქცია სჭირდებოდა, რომელიც ნოდარ შოშიაშვილმა გააკეთა და მისი გარდაცვალების შემდეგ ეს ნაშრომი გამოიცა. ის, როგორც ყველა მისი ნაშრომი, სამაგიდო წიგნია ყველასთვის, ვინც ამ ეპოქის, შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიაზე მუშაობს.

აქვე, უნდა მოგახსენოთ, რომ მან მეცნიერების მრავალი კანდიდატი აღზარდა. რაც მთავარია, ყოველთვის, იყო აქტიურად ჩაბმული თავისი ქვეყნის ცხოვრებაში, განსაკუთრებით, როდესაც საქმე საქართველოს ისტორიის სწავლებას, ან მის მიმართ დამოკიდებულებას შეეხებოდა. ამ თვალსაზრისით მინდა გავიხსენო ერთი ფაქტი. იმ წლებში საქართველოში საქართველოს ის-

ტორია სკოლაში ისწავლებოდა ცალკე საგნად, მაგრამ ატესტატში საქართველოს ისტორიის ნიშანი არ იყო და ერთ მშვენიერ დღეს მას ხელში ჩაუარდა ერევნის ერთ-ერთი სკოლის ატესტატი, სადაც სომხეთის ისტორიაში ეწერა ნიშანი. ალბათ, ასე იყო საერთოდ სომხეთში. მან დაწერა გამოკვლევა ძალიან საინტერესო სათაურით: „საცნობელად თავისაო“. ეს გამოკვლევა და ეს ატესტატი (ჰქონდა ფოტო გადაღებული) გაგზავნა „ლიტერატურულ საქართველოში“.

1971 წელთა. „ლიტერატურულმა საქართველომ“, რაც მან გაგზავნა, გამოაქვეყნა. ამას ძალიან დიდი გამოხმაურება მოჰყვა იმდროინდელ ქართულ საზოგადოებაში. გვასხოვს, პირდაპირ ქუჩაში გვაჩერებდნენ და გვეკითხებოდნენ: იქ თუ არის, ჩვენთან რატომ არ არის?! უნდა გითხრათ, რომ შემდეგ მან, მე არ ვიცი როგორ, მაგრამ რაღაცნაირად მოიპოვა იმის უფლება, რომ საქართველოს ისტორიის კათედრის წევრებს საქართველოს მასშტაბით შეგვემოწმებინა საქართველოს ისტორიის სწავლება სკოლებში, არა მარტო ქართულ, არამედ რუსულ სკოლებშიც.

ამის შემდეგ დაწვერეთ ჩვენი ანგარიში, თუ როგორ ისწავლებოდა საქართველოს ისტორია ჩვენ მიერ შემოწმებულ სკოლებში. უმრავლეს შემთხვევებში თუ რაიმე ნაკლი იყო, და ამას განსაკუთრებით ვუსვამდით ხაზს, იმიტომ, რომ ძალიან ცოტა საათი იყო საქართველოს ისტორიაში. შოთამ დაწერა საბოლოო დასკვნა და გაგზავნა სათანადო ორგანოებში.

თქვენ წარმოიდგინეთ, ამან თავისი შედეგი, ასე თუ ისე, გამოიღო. მართალია, შოთას სიცოცხლეში ეს ვერ მოესწრო, მაგრამ უკვე მისი გარდაცვალების შემდეგ საქართველოს ისტორიას გარკვეული საათები მოუმატეს, ცოტა, მაგრამ მაინც მოუმატეს. არა მარტო საათები მოუმატეს, მიიღეს დადგენილება, რომ დაწერილიყო ახალი სახელმძღვანელო. ძველი სახელმძღვანელო, მესხიასი და გუჩუასი, ძალიან მოკლე იყო. რადგან, მეთოდოლოგიურად, მოგეხსენებათ, რამდენი საათიცა, იმის შესაბამისი უნდა იყოს სახელმძღვანელო. აი, ამას მიაღწია მან.

როგორც გითხარით, და ნუ მიწყენთ, კომუნისტების დროს, ასე თუ ისე, ამ საკითხებზე ლაპარაკი შეიძლებოდა. მთავრობის მიმართ რაღაცის დაწერა შეიძლებოდა. წაიკითხავდნენ და რაღაცა ანგარიშს მაინც უწევდნენ, რასაც, სამწუხაროდ, მე დღეს ვერ ვხედავ საქართველოს ისტორიის მიმართ ჩვენს საშუალო სკოლაში. ეს სხვა თემაა და აქ ამაზე საუბარის დრო არ არის.

1971 წელს მოსკოვში გამოქვეყნდა ვერმიშევის წიგნი „ამირსპასალარი“. ის ეხება ჩვენი ქვეყნის ამირსპასალარს – ივანე მხარგრძელს. ეს წიგნი დაწერილი იყო ისე, რომ თამარისდროინდელი საქართველო ეს იყო „АРМЯНО-ГРУЗИНСКОЕ ГОСУДАРСТВО“, რომ ივანე მხარგრძელი იყო სომეხი და არა მხოლოდ ივანე მხარგრძელი, არამედ საერთოდ მთელი მმართველი ელიტა იყო სომხებისა.

საინტერესოა, რომ გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორის მოადგილემ მაშინ გვთხოვა მე და შოთას, რომ ამ წიგნზე დაგვეწერა რეცენზია. ოღონდ თქვა, საჩქაროდ...საჩქაროდ...საჩქაროდ, ათ დღეში, გაათენეთ, დააღამეთ, ისიც გვითხრა, რომ აი, შოთა ქვედა სარდაფში, რომ მოთავსდეს, იმ ზომის იყოსო.

დავწერეთ რეცენზია, რომელსაც ეწოდა „მრუდე სარკეში“. იანვარია, თბილისში თოვლია. ღამე დაგვიძახეს კორექტურის გასაკეთებლად. გავაკეთეთ კორექტურა. მოვდივართ და შოთა მეუბნება: მარიკა, ტყუილია ყველაფერი... ეს ხვალ გაზეთში არ გამოვა. ვუუბნები: შოთა, როგორ არ გამოვა, კორექტურა გავაკეთეთ, გაზეთი ხელში გვეკავა, აწყობილია.

– არა, ვინ გამოუშვებს ამას?!

მეორე დღით გამოვიდა გაზეთი და ჩვენი რეცენზია დაიბეჭდა იქ. მე ვერ გავაგრძელებ სიტყვას იმაზე, რამდენი უსიამოვნება შეგვხვდა ამის გამო და, საერთოდ, პრინციპში, რა იყო, იცით, რომ ჩვენ, მესხია და ლორთქიფანიძე, ვამწვავებდით ურთიერთიერთობას ჩვენს, უახლოეს მეზობლებთან. როდესაც ჩვენ სათანადო ორგანოებში გვეძახდნენ და ძალიან დიდი საყვედურებს გვეუბნებოდნენ, ვპასუხობდით: თუ იმას შეუძლია, ეს ჩემი საქართველოს ისტორია ამ პერიოდის ასე დამახინჯებულად წარმოადგინოს, მე რატომ არ მაქვს უფლება, რომ ამას პასუხი გავცე?

– არა, არ შეიძლება.

– რაში იყო საქმე, მოგახსენებთ, ბატონი დევი სტურუა, რომელიც მაშინ ცეკას მდივანი იყო იდეოლოგიის დარგში, იმ დროს, თურმე, თბილისში არ იყო, იყო მოსკოვში. ამით ისარგებლა გურამ გოგიაშვილმა და რომ სტურუას ყურამდე ეს ამბავი არ მისულიყო მოსკოვში, საჩქაროდ გამოგვაქვეყნებინა ეს სტატია.

ჩამობრძანდა ბატონი დევი სტურუა. დაგვიბარა, ძალიან დიდი საყვედურები მივიღეთ და რამდენიმე დღის შემდეგ ისევ გვიბარებს და გვაძღვეს რაღაცა ლოკუმენტს, მანქანაზე აწყობილს და გვეუბნება, დაბრძანდით და თქვენი პასუხი...ჩვენ ვუთხარით, რომ მოგვეცით წავიღებთ, ამას წავიკითხავთ.

არაო, ბატონო, ამ დოკუმენტის აქედან გატანა, არ შეიძლებაო! რატომ არ შეიძლებოდა ცეკას შენობიდან ამ წერილის გატანა, არ ვიცი, მაგრამ დავსხედით იქ. ეს იყო საკავშირო მწერალთა კავშირის სომხური განყოფილების თავმჯდომარის (ხელს აწერდა ვინმე არმენი), მიერ დაწერილი სამინელი წერილი ჩვენზე. ერთი სიტყვით, ჩვენ ლამის რევოლუციის მოწყობა გვინდა. როდესაც დავამთავრეთ და ვუთხარით, რომ წავიკითხეთ, ბატონი დევი გვეკითხება: რას გვეტყვით?!

მე ვუთხარი, ამ წერილის მიხედვით უნდა მიგაკყენოთ კედელთან, სხვა ახსნა-განმარტება ამას არა აქვს.

ახლა კედელთან არ მიგაკყენებო, მაგრამ დიდი დანაშაული ჩაიდინეთ და იცოდეთ, რომ ასეთ შემთხვევაში უშუალოდ ჩემთან უნდა შეთანხმდეს ყველაფერი და მერე შეიძლება გამოქვეყნება.

აი, ასეთი მდგომარეობა იყო. შოთა ყოველთვის ძალიან აქტიურად იყო ჩაბმული ყველა იმ საქმეში, ის თვითონაც ეძებდა ყველაფერს და აქვეყნებდა, რაც საქართველოს ისტორიის სწავლებას თუ ჩვენს ეროვნულ ინტერესებს შეეხებოდა.

არ შემიძლია, ბოლოს ორიოდ სიტყვა არ ვთქვა მისი ოჯახის შესახებ, პირველ რიგში, ქალბატონ მაროს შესახებ. შესანიშნავი პიროვნება იყო სანიმუშო ქართველი მეუღლე და დედა. შოთა, რომელმაც, როგორც გითხარით, დიდხანს ვერ მოასწრო მოღვაწეობა, თუ ამოდენა სამეცნიერო მემკვიდრეობა დატოვა, რასაკვირველია, ამაში მაროს წვლილიც არის, იმიტომ რომ ის მას არავითარი საოჯახო საქმეებით არ ტვირთავდა. სამი ქალიშვილის პატრონი, ძალიან „უკმაყოფილო“ იყო, რომ ვაჟიშვილი არ ჰყავდა. ერთხელ ვუთხარი, შენ რა გგონია, მემკვიდრეობა, რა გექნება, რა, უნდა დაუტოვო მეთქი. არაო, მესხია მინდა ბიჭი იყოსო. სამივე ქალიშვილი ჩვენი საზოგადოების ღირსეული წევრები ბრძანდებიან. ღირსეულად იცავდნენ მამის და, საერთოდ, ოჯახის სახეს და საინტერესოა, რომ შოთა მაინც ბოლომდე ამას ძალიან განიცდიდა და ბრაზობდა, რომ მე ორი ბიჭი მყავდა, გიორგი მელიქიშვილს ბიჭი ჰყავდა. თქვენ გყავთ ბიჭები, ვალიკო გაბაშვილსაც და მე არა მყავს მაინც და მაინცო.

კიდევ ერთი ფაქტი უნდა გავიხსენო. განყოფილებაში, ისტორიის ინსტიტუტში, ერთხელ რაღაცა საკითხებზე ვმსჯელობდით, რაღაცა საინტერესო აზრი ვთქვი და მომიბრუნდა და მითხრა: იცი რა გითხრა, ქალის კვალბაზე შენ კარგი ისტორიკოსი ხარო.

ქალის კვლობაზეო... მე გული მომივიდა. მე, უთხარი, შენი დასამად-
ლებელი რა მჭირს. თქვენზე ნაკლები, რა შრომები მაქვს, ვმუშაობ ნაკლე-
ბად, თუ ნაკლებს ვაკეთებმეთქი. მერე აწია ხელები და მითხრა: მაპატიე, შენ
ხარო, აი ასე პირდაპირ მისი სიტყვებია, მსოფლიოში არა, საბჭოთა კავშირში
მეტ-ნაკლებად, საქართველოში საერთოდ პირველი მეცნიერიო.

აი, მაშინ დავმშვიდდი, სწორედ მაშინ დავმშვიდდი.

იყო შესანიშნავი კოლეგა. ჩემი ორივე დისერტაციის ოპონენტი. მისი
შენიშვნების ნაწილი მივიღე, მაგრამ, როგორც წესია, ყველა არ მივიღე.
შემდეგ ყოველთვის ვითვალისწინებდი ამ შენიშვნებს, იმიტომ, რომ ძალიან
მნიშვნელოვანი შენიშვნები იყო და, საერთოდ, კოლეგა იყო ისეთი, რომ
როდესაც მიმართავდი რაიმე საკითხზე, მაქსიმალურად ცდილობდა, თუ რაიმე
შეეძლო, ყოველნაირად აეხსნა, განემარტა, გზაზე დაეყენებინე. საერთოდ, ეს
პრინციპი იმ წლებში ძალიან აქტიურად მოქმედებდა.

ისტორიოგრაფიაში მისი საინტერესო ნაშრომებია: თეიმურაზ ბაგრა-
ტიონი, ნიკო დადიანი, ივანე ჯავახიშვილი, სიმონ ჯანაშია, ნიკო ბერძენიშვი-
ლი, მაგრამ განსაკუთრებით ბოლოსთვის მოვიტოვე და მინდა ვთქვა, რომ მი-
სი ნაშრომი მისი მასწავლებლის, სიმონ ჯანაშიას, შესახებ არის სანიშნო,
არა მარტო იმიტომ, რომ მან განიხილა მისი მეცნიერული მემკვიდრეობა, ის
ხაზი, რაც გასდევს მის ნაშრომს თავიდან ბოლომდე, უდიდესი პატივისცემა
მასწავლებლისადმი, სიყვარული მასწავლებლისადმი. ეს სანიშნოა. და თავის
მოსწავლეებს შოთა ამას ასწავლიდა.

შემდეგ მისმა მოწაფემ, როინ მეტრეველმა, დაწერა ნაშრომი შოთა
მესხიას შესახებ. ეს რაღაცნაირად თაობაშიც გადმოვიდა. საინტერესოა ის
გარემოება, რომ ეს ნაშრომი ასეთი სულისკვეთებით არის დაწერილი, და
ასეთი სულისკვეთებით ზრდიდა ის თავის მოწაფეებს.

95 წელი შეიძლება ყოფილიყო ჩვენთან ერთად, არა?! ხომ შეიძლება
ყოფილიყო. შეიძლება მისი სული სადმე აქაც ტრიალებს. ყოველ შემთხვევა-
ში, მე მინდა მის შვილებს, ოჯახის წევრებს მივულოცო დღევანდელი დღე.

ეს მათთვის დიდად სასიხარულო დღეც არის. მართალია, გულისტკენა
მიყვება, მაგრამ სასიამოვნოა ის გარემოება, რომ ფაკულტეტმა მოაწყო ეს
შეხვედრა, რომ დარბაზი გაჭედილია, ხალხი ფეხზეც დგას, რაც ნიშნავს
იმას, რომ მისი ხსოვნა არსებობს და სანამ საქართველო იარსებებს და სა-
ქართველოს ისტორია, როგორც დარგი და საგანი იარსებებს, შოთა მესხიას
სახელი ყოველთვის დიდი პატივით იქნება მოსილი.

მაია პატარიძე

სვანეთში აღმოჩენილი ანტიკური ხანის მონეტები

საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ანტიკური პერიოდის მონეტების შესწავლის ისტორია უკვე თითქმის საუკუნეს ითვლის. ამ საკითხს მრავალი ნაშრომი მიეძღვნა, რომელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ა. ზოგრაფის, დ. კაპანაძის, კ. გოლენკოსა და გ. ღუნდუას გამოკვლევები¹

ანტიკური პერიოდის მონეტების შესწავლის საქმეში სვანეთში აღმოჩენილ ნუმიზმატიკურ ძეგლებს გამორჩეული ადგილი უჭირავს. საკმარისია აღინიშნოს ის ფაქტი, რომ საქართველოში დღემდე არსებული ალექსანდრე მაკედონელის და ლისიმაქეს ოქროს სტატერების, როგორც ორიგინალების, ისე – მინაბადების უმრავლესობა ამ რეგიონშია აღმოჩენილი. ზემოთ ჩამოთვლილ მეცნიერთა კვლევებში ეს მონეტები საფუძვლიანად არის შესწავლილი.

ჩვენი სტატიის მიზანია, სამეცნიერო მიმოქცევაში შემოვიტანოთ რამდენიმე უცნობი მონეტა, რომლებიც ექსპედიციის დროს აღმოვაჩინეთ.² აღნიშნულ რეგიონში გამოვლენილი არქეოლოგიური მასალის დახმარებით, ვაჩვენოთ, ძვ.წ. V საუკუნიდან მოყოლებული ახ. წ. III საუკუნემდე ენგურის ხეობის ზემო წელზე მცხოვრები მოსახლეობის ჩართულობა სავაჭრო-ეკონომიკურ კავშირებში კოლხეთის ბართან და გარე სამყაროსთან. გარდა ამისა, ავხსნათ სვანეთში დაცული ნუმიზმატიკური ძეგლების, როგორც საეკლესიო განძების, ეთნოლოგიური და კონფესიური ხასიათი.

სვანეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი უძველესი ნუმიზმატიკური ძეგლები წარმოადგენს ვერცხლის მონეტებს, რომლებიც სამეცნიერო ლიტერა-

¹ ძირითადი ბიბლიოგრაფია იხ. Г. Ф. Дундуа. Нумизматика античной Грузии. Тб. 1987, გვ. 3-5.

² 2009 წლის აგვისტო-სექტემბერში UNESCO-ს პროექტის, სახელწოდებით „სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმის ექსპონატების ინვენტარიზაციის“ ფარგლებში, სვანეთში (მესტიის და უშგულში) მივლინებული იყო კომპლექსური ჯგუფი საქართველოს ეროვნული მუზეუმიდან.

ტურაში „კოლხური თეთრის“ სახელით არიან ცნობილი.

კოლხური თეთრის ემისიაში რვა სამონეტო ტიპი გამოიყოფა: 1. – ტეტრადრაქმა, **Av.** ლომის თავი, **Rv.** ცხენის პროტომა; 2. – I ტიპის დიდრაქმა, **Av.** მწოლიარე ლომი, **Rv.** დაჩოქილი ფიგურა; 3. – II ტიპის დიდრაქმა, **Av.** ადამიანის პროფილი, **Rv.** კვადრატუმ ინკუზუმში მოთავსებული ადამიანის ორი პროფილი ერთმანეთის საპირისპიროდ; 4. – III ტიპის დიდრაქმა, **Av.** ადამიანის თავი, **Rv.** ორი ხარის გამოსახულება ერთმანეთის საპირისპიროდ; 5. – დრაქმა, **Av.** ლომის სკალპი, **Rv.** ხარის თავი კვადრატუმ ინკუზუმში; 6. – I ტიპის ნახევარდრაქმა, **Av.** დაღრენილი ლომის თავის გამოსახულება პროფილში, **Rv.** ძუ ლომის პროტომა ჩაჭდულ კვადრატში; 7. – II ტიპის ნახევარდრაქმა, ტრიობოლი, **Av.** ადამიანის თავი პროფილში, **Rv.** ხარის თავი; 8. – ჰემიტეტარტემორიონი, **Av.** ადამიანის თავი, **Rv.** ფრინველი.³

მონეტების ამ ჯგუფიდან ტრიობოლი ათასობითაა აღმოჩენილი დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. ტერმინი „კოლხური თეთრი“ თავდაპირველად ამ მონეტებს აღნიშნავდა.⁴ სვანეთში აღნიშნული ტიპის – ექვსი ეგზემპლარი აღმოჩნდა, რომლებიც დაცულია მესტიის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმში.

სიემ - მესტიაში დაცული ეგზემპლარების აღწერილობა:

1. – წ. 2,10. ზ. 11/11 ტაბ. I, №1

Av. მარჯვნივ მიმართული ადამიანის თავი წერტილოვან რკალში.

Rv. ხარის თავი ხაზოვან რკალში.

2. – წ. 1,95. ზ. 11/11 ტაბ. I, № 2

Av. მარჯვნივ მიმართული ადამიანის თავი ხაზოვან რკალში.

Rv. ხარის თავი ხაზოვან რკალში.

3. – წ. 2,19. ზ. 10/10 ტაბ. I, №3

Av. მარჯვნივ მიმართული ადამიანის თავი ხაზოვან რკალში.

Rv. ხარის თავი ხაზოვან რკალში.

4. – წ. 1,65. ზ. 10/10 ტაბ. I, № 4

Av. მარჯვნივ მიმართული ადამიანის თავი ხაზოვან რკალში.

³ გ. დუნდუა, ა. კახიძე. კოლხური თეთრის გენეზისის საკითხები. ჟურნ.: „მაცნე“. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. №4. თბ. 1978, გვ. 70; Г. Ф. Дундуа. Нумизматика античной Грузии, გვ. 28.

⁴ გ. დუნდუა, ა. კახიძე. კოლხური თეთრის გენეზისის საკითხები, გვ. 30.

Rv. ხარის თავი ხაზოვან რკალში.

5. – წ. 2,2 ზ. 11/12 ტაბ. I, №5

Av. ადამიანის თავი, მარჯვნივ მიმართული, წერტილოვან რკალში.

Rv. ხარის თავი ხაზოვან რკალში.⁵

6. – წ. 1,6 ზ. 11/12 ტაბ. I, №6

Av. მარჯვნივ მიმართული ადამიანის თავი, ხაზოვან რკალში.

Rv. ხარის თავი ხაზოვან რკალში.⁶

კოლხური თეთრის ეს ტიპი უამრავი ვარიანტული სახეცვლილებებითაა ცნობილი და „სვანურ“ ეგზემპლარებშიც იგივე სურათი გვხვდება. როგორც აღწერილობიდან ჩანს, თითოეული ეგზემპლარი განსხვავდება სიქით და წონითი რემედიუმიც მერყეობს 1,6გრ - დან 2,19გრ - მდე.

რაც შეეხება II ტიპის ნახევარდრაქმიანების დათარიღების საკითხს, ამ თემასთან დაკავშირებით უამრავი აზრი არსებობს,⁷ თუმცა, მათი კარგად დათარიღებულ უცხოურ მონეტებთან ერთად აღმოჩენის ფაქტები საშუალებას იძლევა, მოჭრის თარიღად V საუკუნის II ნახევარი იქნეს მიღებული.⁸ ემისიის შეწყვეტის პერიოდად და მიზეზად მიჩნეულია ალექსანდრე მაკედონელის (ძვ.წ. 336-323წწ.) სახელით მოჭრილი სტატერების მასობრივი გავრცელება კოლხეთის ფარგლებში.⁹

მიუხედავად იმისა, რომ კოლხური თეთრი არაერთი მეცნიერის კვლევის საგანი იყო წლების განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ბევრი საკითხი ჯერ კიდევ ღიად რჩება. განსაკუთრებით ეს ეხება ემიტენტის საკითხს. მეცნიერთა ერთი ჯგუფი კოლხური თეთრს კოლხეთის ხელისუფლების მიერ მოჭრილად თვლის,¹⁰ ხოლო მეორენი თვლიან, რომ კოლხური

⁵ შ. ჩართოლანი. მასალები სვანეთის არქეოლოგიისათვის. I. (სვანეთის კომპლექსური ექსპედიციის 1972-1974 წლების არქეოლოგიური მუშაობის შედეგები). თბ. 1976, ტაბ. XIV, №2.

⁶ შ. ჩართოლანი. მასალები სვანეთის არქეოლოგიისათვის. I. ტაბ. XIV, №3

⁷ W. Wroth. Catalogue of Greek Coins. Pontus. Paphlagonia, Bithynia and the Kingdom of Bosphorus. London. 1889, გვ. 64; D. M. Lang. Studies in the Numismatic History of Georgia in Transcaucasia. New-York. 1955, გვ. 6-7; D. M. Lang. Notes on Caucasian Numismatics. The Numismatic Chronicle. vol. XVII. 1957, გვ.1957:138-139; თ. დუნდუა ქართული ეთნოკულტურული ევოლუცია და დასავლეთი ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით. თბ. 1997, გვ. 231.

⁸ გ. დუნდუა. კოლხური თეთრი (ზოგადი მიმოხილვა) კრ. „იბერია-კოლხეთი“. №1 თბ. 2003, გვ. 42.

⁹ K. B. Голенко, Д. Г. Капанадзе. Четыре клада колхидок. НЭ (нумизматика и эриграфия). VI. 1966, გვ. 37.

¹⁰ დ. კაპანაძე. ქართული ნუმიზმატიკა. თბ. 1969, გვ. 27; K. B. Голенко, Д. Г. Капана-

თეთრის ემისია შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარე ქალაქების, კერძოდ კი – ფასისის პრეროგატივა იყო.¹¹ ერთ-ერთი არგუმენტი, რომლის მიხედვითაც ეს მონეტები კოლხეთის სამეფო ხელისუფლების მიერ მოჭრილად ითვლება, არის კოლხური თეთრის გავრცელების ფართო არეალი.¹²

ეს სამონეტო ჯგუფი გავრცელებულია კოლხეთის შიდა რეგიონებში – მდინარე რიონის აუზში,¹³ აგრეთვე – სანაპირო ზოლში: ქობულეთ-ფიჭვნართან,¹⁴ და აფხაზეთის ტერიტორიაზე.¹⁵ როგორც ჩანს, „მთავარი სავაჭრო-ეკონომიკური ძარღვი ქვეყნისა რიონის ხეობაზე გადიოდა შესართავიდან ვიდრე სათავეებამდე“.¹⁶ ამდენად, ამბროლაურში¹⁷ და ონში¹⁸ კოლხური თეთრების აღმოჩენა ლოგიკურია. გარდა ზღვისპირეთისა და ფასის-ყვირილის სავაჭრო მაგისტრალისა, ეს მონეტები ქვეყანაში შიდა სახმელეთო გზებითაც ვრცელდება, რასაც სვანეთის ფარგლებში კოლხური თეთრის აღმოჩენა ადასტურებს.¹⁹

გარდა ზემოაღწერილი მონეტებისა, არსებობს ცნობა, რომ 1908 წელს ქვემო სვანეთში, მურის ციხესთან აღმოჩენილა 12 ცალი „კოლხური თეთრი“, რომელიც შეუძენია მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების კავკასი-

дзе. Четыре клада колхидок. НЭ (нумизматика и эпиграфика), VI. 1966, გვ. 35; Д. Г. Капанадзе, К. В. Голенко. К вопросу о происхождении колхидок. ВДИ. 1957. №4, გვ. 88-95; О. Д. Лордкипანიძე. К проблеме греческой колонизации Восточного Причерноморья (Колхиды). Материалы симпозиума в Цхалтубо. 1977, გვ. 250-255.

¹¹ А. И. Болтунова Колхидки. ВДИ. №4. 1973, გვ. 97-103; გ. დუნდუა. კოლხური თეთრი (ზოგადი მიმოხილვა), გვ. 43-44; გ. დუნდუა. ლომის გამოსახულებიანი კოლხური თეთრის გენეზისისათვის. ჟურნ.: „მაცნე“. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. თბილისი. 1972. №1, გვ. 66-70; გ. დუნდუა, ა. კახიძე. კოლხური თეთრის გენეზისის საკითხები. კოლხური თეთრის გენეზისის საკითხები. ჟურნ.: „მაცნე“. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. თბილისი. 1979. №2, გვ. 69-73.

¹² დ. კაპანაძე. ქართული ნუმიზმატიკა. თბ. 1969, გვ. 27

¹³ Д. Г. Капанадзе, К. В. Голенко. К вопросу о происхождении колхидок. ВДИ. 1957. №4, გვ. 89.

¹⁴ ა. კახიძე, მ. ვიკერსი. ფიჭვნარი I, ბათუმი-ოქსფორდი. 2004, გვ. 16.

¹⁵ С. М. Шамба. Монетное обращение на территории Абхазии (V в. до н. э. – XIII в. н. э.). ТБ. 1987, გვ. 17-18.

¹⁶ თ. მიქელაძე. ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან. თბ. 1974, გვ. 174-191.

¹⁷ საქართველოს არქეოლოგია. თბ. 1959, გვ. 199.

¹⁸ А. Н. Зограф. Распространение находок античных монет на Кавказе. Труды нумизматического отдела гос. Эрмитажа I. Ленинград. 1945, გვ. 121.

¹⁹ გ. ლორთქიფანიძე, გ. გერაძე. ნარკვევები ქართული ნუმიზმატიკის ისტორიიდან. თბ. 2007, გვ. 57.

ურ განყოფილებას.²⁰

სვანეთში კოლხური თეთრის პოვნა ზრდის ამ ჯგუფის მონეტების გავრცელების არეალს და კიდევ ერთი არგუმენტია იმისა, რომ ძვ. წ. V–ს–ში ფულად-სასაქონლო ურთიერთობა ბევრად ვრცელ ეკონომიკურ სივრცეს – ერთმანეთისგან დაშორებულ რეგიონებს მოიცავდა. ფაქტია, რომ თითქმის მთელ დასავლეთ საქართველოში, მის ყველა რეგიონში გვხვდება კოლხური თეთრი, განსაკუთრებით კი II ტიპის ნახევარდრაქმიანები, თუმცა მათი გავრცელების არეალმა არ შეიძლება კოლხური თეთრის გენეზისის პრობლემა გადაჭრას.²¹

კოლხური თეთრი ერთდროულად ასრულებდა საქალაქო მონეტის ფუნქციასა და კოლხეთის შიდა რაიონებთან სავაჭრო ექვივალენტის როლსაც.²²

კოლხური თეთრის აღმოჩენის პარალელურად, სვანეთის ტერიტორიაზე მოპოვებულია არქეოლოგიური მასალა, რაც უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ძვ. წ. V - IV სს–ში ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილისა და მცირეაზიის იონიური ქალაქებიდან ჯერ კოლხეთის ბარში და შემდგომ მთის რეგიონში შემოდის იმპორტი, კერძოდ, ბერძნული მხატვრული კერამიკა – შავლაკიანი ჭურჭელი.²³

სვანეთში, ლარილარის სამაროვანზე, ჭუბერის თემში, მდინარე ნენსკრას ანუ ჭუბერის მარცხენა ტერასაზე, ზღვის დონიდან დაახლოებით 900 მეტრის სიმაღლეზე, აღმოჩენილია ბერძნული შავლაკიანი ჭურჭელი, აქვე გვხვდება ხელოვნური მასალისაგან დამზადებული უცხოური სამკაული, მათ შორის – ლურჯი მინის ფერადი ზოლებით შემკული მძივები; ფერადი მინისავე თეთრ-ლურჯი თვლებიანი მძივები; ყვითელი, ლურჯი და ყავისფერი პასტის ფერადი ინკრუსტირებული მძივები. სხვადასხვა ფერის მინისაგან ნამზადი მრავალრიცხოვანი მძივსაკიდი, რომელთა მოყვანილობა ხშირად ზარაკებს, ამფორისკებს, დოქებსა და სხვა ნივთებს მოგვაგონებს.²⁴ ამ ჯგუფის სამკაულის სამშობლოდ ეგვიპტე და სირია ითვლება. ამდენად, როგორც ჩანს, კოლხეთის სავაჭრო ვაჭრობა ამ პერიოდში მხოლოდ ხმელთაშუა ზღვისა და მცირე აზიის ქალაქებთან ურთიერთობით არ ამოიწურებოდა და მოიცავდა ეგვიპტესა და მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებსაც (სირია, ფი-

²⁰ А. Н. Зограф. Распространение находок античных монет на Кавказе, გვ. 56.

²¹ გ. დუნდუა. ღომის გამოსახულებიანი კოლხური თეთრის გენეზისისათვის, გვ. 70.

²² გ. დუნდუა, ა. კახიძე. კოლხური თეთრის გენეზისის საკითხები, გვ. 72.

²³ მ. ინაძე. ძველი კოლხეთის ისტორიის საკითხები. თბ. 2009, გვ. 237.

²⁴ შ. ჩართოლანი. შრომები. თბ. 2010, გვ. 15.

ნიკია, ირანი). ამ სახელმწიფოებთან ურთიერთობა, სავარუდოდ, ხდებოდა საზღვაო და სახმელეთო გზებით, არმენიაზე გავლით ან ჭოროხის ხეობით.²⁵ რაც შეეხება საზღვაო გზას, მილეტი საშუამავლო როლს ასრულებდა შავი ზღვის სანაპიროების და წინა აზიის ქვეყნებს შორის. სავაჭრო ეკონომიკური კავშირი ამ ქვეყნებს შორის მილეტელთა მიერ დაარსებული ახალშენის, ნავკრატისის საშუალებით ხდებოდა, რომელიც ნილოსის დელტაში იყო გაშენებული. მილეტელი ვაჭრები ეგვიპტურ და სირიულ საქონელს ნავკრატისიდან საზღვაო გზით აწვდიდნენ შავი ზღვის სანაპიროებს, მათ შორის კოლხეთის სანაპირო ქალაქებსაც, საიდანაც აღმოსავლური ნაწარმი მდინარე ფაზისის სანაოსნო-სატრანზიტო მაგისტრალით ჯერ კოლხეთის შიდა და შემდგომ მთიან რაიონებამდეც აღწევდა.²⁶ ამ გზით შემოჰქონდათ, მაგალითად, კოლხეთის მთიან რაიონში, რაჭაში, ეგვიპტური ნავკრატისული სკარაბები, ეგვიპტური და სირიული ფერადი მინისა და პასტის მძივები, რომლებიც უხვადაა ბრილის სამაროვანში.²⁷ ბრილის სამაროვანი სამეცნიერო წრეებში რაჭის არქეოლოგიურ ძეგლს მიეკუთვნება, მაგრამ თუ წყაროებს თვალს გადავავლებთ, აშკარაა, რომ ეს რეგიონი XV საუკუნემდე ისტორიული სვანეთია.

ჩვენამდე მოღწეულია 1432 წლის ალექსანდრე მეფის სიგელი,²⁸ სადაც მოთხრობილია სვანების მიერ რაჭის ერთ-ერთი ფეოდალის, ჯაფარიძის მოკვლის შემთხვევა და სვანებსა და ჯაფარიძეებს შორის დაწყებული სისხლისღვრა. იმისათვის, რომ სიტუაცია განემუხტა, ალექსანდრე მეფემ (1412-1443) ბრძანება გასცა, „დაედოთ სიგელი“ ჯაფარიძეების ყველა მოთხოვნის გათვალსწინებით. ქვემო სვანეთიდან ლაშხეთი და მთელი მთის რაჭა, ამ სიგელის მიხედვით, სვანებს სისხლის საფასურში ჯაფარიძეებისათვის დაუთმიათ. ჩამონათვალში მოხვდა სოფლები: ღები, ჭიორა, გლოლა, ბრილი, ჩუეში, ბუბა და სხვა.²⁹ ამდენად, ვფიქრობთ, დროა ბრილის სამაროვანის არქეოლოგიურ მასალა ლარილარის სამაროვანთან ერთად, განხილული იქნეს, სვანეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხის, კულტურის და ყოფა-ცხოვრების ამსახველი არქეოლოგიური კომპლექსი.

ეს ორი არქეოლოგიური ძეგლი სტრუქტურულადაც ახლოსაა ერთმან-

²⁵ მ. ინაძე. ძველი კოლხეთის ისტორიის საკითხები, გვ. 242.

²⁶ მ. ინაძე. ძველი კოლხეთის ისტორიის საკითხები, გვ. 242.

²⁷ საქართველოს არქეოლოგია. თბ. 1959, გვ. 198-200.

²⁸ ს. კაკაბაძე. სვანები XV საუკუნეში. წერილები და მასალები საქართველოს ისტორიისათვის. წ. I ტფ. 1914, გვ. 126-131.

²⁹ ს. მაკალათია. მთის რაჭა. თბ. 1987, გვ. 24.

ნეთთან. გარდა სამარხეული ინვენტარისა, საერთოა მიცვალებულის დამარხვის წესიც – ნაწილობრივი კრემაცია ინჰუმაციასთან ერთად.³⁰ ეს ტრადიცია გავრცელებული იყო შავი ზღვის ჩრდილო და ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე, მაგალითად: ოლბიაში, ქერსონესში, პანტიკაპეიონსა და სხვა ბერძნულ კოლონიებში.³¹ ყოველივე გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ მთიელები კარნაეტილად არ ცხოვრობდნენ და სვანეთის მოსახლეობას სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა აკავშირებდა კოლხეთის ბართან და ბარის საშუალებით – წინა აზიისა და ბერძნული სამყაროს ცივილიზებულ ქვეყნებთან. უკვე ძვ.წ. V საუკუნეში მთაში კოლხური თეთრის გამოჩენა რაჭაში – ბრილში,³² ამბროლაურის რაიონის სოფელ ლიხეთში (V-IV) საუკუნის სამარხში³³ და, რასაკვირველია, სვანეთში, იმის მანიშნებელია, რომ აქ, არა ისეთი ინტენსივობით, როგორც კოლხეთის შიდა რეგიონებში, მაგრამ ფულად-სასაქონლო ურთიერთობა დაწყებულია.

კოლხური თეთრის ემისიის შეწყვეტა ალექსანდრე მაკედონელის და ლისიმაქეს ოქროს სტატერების მასობრივ შემოსვლასთანაა დაკავშირებული.³⁴ „კოლხურმა თეთრმა ვერ გაუძლო სრულფასოვანი ოქროს მონეტების ექსპანსიას ბაზარზე“.³⁵ მსოფლიო პროცესების პარალელურად, კოლხეთში ახალი, ელნიზმის ხანა დაიწყო, რასაც ეკონომიკური ცხოვრების გამოცოცხლება მოყვა.³⁶ საგარეო ვაჭრობამ „მსოფლიო“ ხასიათი მიიღო. კოლხეთი აქტიურად ურთიერთობს ხმელთაშუა ზღვისა და მცირე აზიის ბერძნულ ქალაქებთან.³⁷

სვანეთის ტერიტორიაზეც ძვ. წ. IV საუკუნეში ცხოვრების გააქტიურება შეინიშნება. გარე სამყაროსთან აქტიური ეკონომიკური ურთიერთობის ერთ-ერთი უტყუარი საბუთი კოლხეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი არქეოლოგიური და ნუმიზმატიკური მასალაა.

ცნობილია, რომ სვანეთში 367 ცალი ალექსანდრე მაკედონელის სახე-

³⁰ შ. ჩართოლანი. შრომები, გვ. 18.

³¹ შ. ჩართოლანი. შრომები, გვ. 17.

³² А. Н. Зограф. Античные монеты. МИА. (Материалы и исследования по археологии СССР). М.-Л. 1951, გვ. 58-59.

³³ საქართველოს არქეოლოგია. თბ. 1959, გვ. 199.

³⁴ К. В. Голенко, Д. Г. Капанадзе. Четыре клада колхидок. – НЭ (нумизматика и эпиграфика). VI. 1966, გვ. 37.

³⁵ გ. დუნდუა, თ. დუნდუა. ქართული ნუმიზმატიკა. თბ. 2006, გვ. 61.

³⁶ მ. ინაძე. ძველი კოლხეთის ისტორიის საკითხები. თბ. 2009, გვ. 244.

³⁷ თ. ლორთქიფანიძე. ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი. თბ. 1966, გვ. 118-119.

ლით მოჭრილი სტატერია აღმოჩენილი.³⁸ აქვე აღმოჩნდა ძვ.წ. IV საუკუნის უკანასკნელი მეოთხედის პანტიკაპეიონის ოქროს სტატერი.³⁹

სვანეთში აღმოჩენილი ალექსანდრე მაკედონელის სტატერებიდან საქართველოს ეროვნულ მუზეუმში რეალურად გვაქვს სვანეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ექვსი ეგზემპლარი, აქედან ჯანაშიას სახელობის მუზეუმში, განძების ფონდში დაცულია ოთხი (№2228; №3065; №10210; №10213;) ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში (№48) და მესტიის მუზეუმში თითო ეგზემპლარი.

ის გარემოება, რომ სვანეთის ტერიტორიაზე დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი ალექსანდრე მაკედონელის სტატერი, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს.

სამეცნიერო ლიტერატურაში გაჩნდა აზრი იმის შესახებ, რომ სვანები ჰენიოხებთან გაეიგივებინათ,⁴⁰ რომელთაც რომაელი ისტორიკოსის პლინიუსის ცნობით, მრავალგზის გაძარცვეს პიტიუნტი და დიოსკურიაც. დაისვა კითხვა, ხომ არ გვაქვს საქმე ერთი კამპანიის დროს მოპოვებულ ქონებასთან? ერთადერთი მყარი არგუმენტი, რომელიც ამ მოსაზრებას ეჭვქვეშ აყენებს, სვანეთში გამოვლენილი არქეოლოგიური აღმოჩენებია.⁴¹ ლარილარის და ბრილის (როგორც ისტორიული სვანეთის) სამაროვანზე აღმოჩენილი იმპორტი მიუთითებს იმაზე, რომ ამ რეგიონის მოსახლეობა ჩართულია მსოფლიო სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებში და დაკავშირებულია წინა აზიისა და ბერძნული სამყაროს ცივილიზებულ ქვეყნებთან.⁴²

საყურადღებოა ალექსანდრე მაკედონელის სტატერების აღმოჩენის ტოპოგრაფიაც. საქართველოს ეროვნული მუზეუმის ნუმიზმატიკური საცავის განძების ფონდში №10210 დაცული სტატერი, ლარილარის სამაროვნის ტერიტორიაზეა აღმოჩენილი,⁴³ სამწუხაროდ, მისი ზუსტი მდებარეობა სამარხში

³⁸ გ. დუნდუა. საქართველოში გავრცელებული ალექსანდრე მაკედონელისა და ლისიმაქეს სახელით მოჭრილი მონეტები. ჟურნ.: „მაცნე“, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. თბილისი. 1973. №1, გვ. 61; Г. Ф. Дундуа. Нумизматика античной Грузии. Тб. 1987, გვ. 49.

³⁹ Г. Ф. Дундуа. Нумизматика античной Грузии. Тб. 1987, გვ. 53; შ. ჩართოლანი. მასალები სვანეთის არქეოლოგიისათვის. I, გვ. 28.

⁴⁰ Г. А. Меликишвили. К истории древней Грузии. Тб. 1959, გვ. 309.

⁴¹ გ. დუნდუა. საქართველოში გავრცელებული ალექსანდრე მაკედონელისა და ლისიმაქეს სახელით მოჭრილი მონეტები, გვ. 62; გ. დუნდუა, თ. დუნდუა. ქართული ნუმიზმატიკა, გვ. 67; Г. Ф. Дундуа. Нумизматика античной Грузии. Тб. 1987, გვ. 51.

⁴² შ. ჩართოლანი. შრომები, გვ. 21.

⁴³ Г. Ф. Дундуа. Нумизматика античной Грузии. Тб. 1987, გვ. 44.

ცნობილი არ არის და ვერ ვიტყვით, რომ ე. წ. „ქარონის ობოლი“ იყო, მაგრამ მონეტის არსებობა სამარხის სხვა არქეოლოგიურ არტეფაქტებთან ერთად უკვე მანიშნებელია იმისა, რომ ეს მონეტა მიმოქცევაში იყო. გარდა ამისა, დღევანდლამდე არსებული ცნობები სტატერების დაგროვილ განძად აღმოჩენისა, უკავშირდება სვანეთის საუღელტეხილო გზებს, რომლის საშუალებითაც სვანეთი ჯერ ბარს და ზღვისპირა რეგიონს უკავშირდება, შემდეგ კი – გარე სამყაროს.⁴⁴

ალექსანდრე მაკედონელის სტატერებზე მოთავსებულია წარწერა „ΒΑΣΙΛΕΩΣ ΑΛΕΞΑΝΔΡΟΥ“ (ალექსანდრე მეფე), ან მხოლოდ – „ΑΛΕΞΑΝΔΡΟΥ“ (ალექსანდრე). სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით, ალექსანდრე მაკედონელის ოქროს მონეტები, რომლებზედაც მონარქი მეფის ტიტულის გარეშეა მოხსენიებული, ძვ.წ. 329 წელზე უფრო ადრეულია.⁴⁵ ამ ჯგუფს მიეკუთვნება მესტიის ეგზემპლარიც:

ალექსანდრე მაკედონელის სტატერი – წ. 8,46. ზ. 17/17 (სიემ-მესტია) ტაბ. I, №7

Av. გრძელთმიანი ათენა ქალღმერთის თავის გამოსახულება კორინთულ მუზარადში მარჯვნივ, მუზარადზე დაკლანძვილი გველია გამოხატული.

Rv. გრძელ ქიტონში ჩაცმული მარცხნივ მიმავალი ფრთოსან ნიკეს გამოსახულება მთელი ტანით. მარჯვენა ხელში მას გვირგვინი უჭირავს, მარცხენაში – სტილიდა. მარჯვენა ხელს ქვემოთ ამოტვიფრულია მონოგრამა. მარცხენა ფეხთან გამოსახულია ყანწი, ქალღმერთის უკან ბერძნული ზედწერილი: „ΑΛΕΞΑΝΔΡΟΥ“ (ალექსანდრე).⁴⁶

ელინისტურ ხანაში კოლხეთის მთიან რაიონებში ფულის ინტენსიური ბრუნვა აშკარაა. ამის მაგალითია ზემო სვანეთში, სოფ. მულახში, ძვ. წ. IV ს-ის უკანასკნელ მეოთხედის პანტიკაპეიონის ოქროს სტატერები, რომლებიც აქ განძის სახით (30-მდე მონეტა) იქნა აღმოჩენილი.⁴⁷ მათგან ერთი ეგზემპ-

⁴⁴ გ. ლორთქიფანიძე, ზ. კვიციანი, გ. გერაძე. სვანეთი – ანტიკური ხანის საქართველოს ზარაფხანა. თბ. 2008, გვ. 20.

⁴⁵ გ. დუნდუა. საქართველოში გავრცელებული ალექსანდრე მაკედონელისა და ლისიმაქეს სახელით მოჭრილი მონეტები, გვ. 61.

⁴⁶ შ. ჩართოლანი. მასალები სვანეთის არქეოლოგიისათვის. I. ტაბ. III, №1

⁴⁷ А. Н. Зограф. Античные золотые монеты Кавказа. Известия ГАИМК. Вып. № 110. 1935, гв. 187; შ. ჩართოლანი. 1973 წ. სვანეთის სამეცნიერო კომპლექსური ექსპედიციის შედეგები, აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახემწიფო მუზეუმის მოამბე XXXII. თბ. 1976, გვ. 53; Г. Ф. Дундуа. Нумизматика античной Грузии. Тб. 1987, гв. 53.

პლარი მოხვდა მესტიის მუზეუმში.

პანტიკაპეონის სტატერი – წ. 9,07. ზ. 22/21 (სიემ-მესტია) ტაბ. I, №8.

Av. წვერებიანი სატირის გამოსახულება მარცხნივ, თავზე სუროს გვირგვინით.

Rv. მარცხნივ მიმავალი გრიფონის გამოსახულება, პირში შუბით. ფეხქვეშ ჰორიზონტალურად დადებული პურის თავთავი. მონეტის არეზე სამი რელიეფური ბერძნული ასო – ΠΑΝ (პან) - პანტიკაპეონი.⁴⁸

მონეტა თარიღდება ძვ. წ. 315 - 300წ.⁴⁹

საყურადღებოა ცნობა, რომელსაც გვაწვდის ეგნატე გაბლიანი: „1913 წელს ჭვებერში სოფელ მარხიდან სამი ვერსის მანძილზე, სალიში ქალდანმა ნახა ბევრი ნივთი და მათ შორის ვერცხლის ფული, რომელზედაც ეხატა თევზი არწივის ბრჭყალებში“.⁵⁰ მოგვიანებით, ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ნ. კილურაძემ გამოთქვა მოსაზრება, რომ აქ საუბარი უნდა იყოს სინოპურ ვერცხლის მონეტაზე, რომელზედაც ქალაქ სინოპეს ღერბი – დელფინი და არწივი იყო გამოსახული.⁵¹ სამწუხაროდ, ამ ფაქტთან დაკავშირებით მხოლოდ ზეპირი გადმოცემა გვაქვს, რითაც ვერ დავამტკიცებთ სვანეთში სინოპური დრაქმების მიმოქცევაში ყოფნას, მაგრამ, ვინაიდან კოლხეთის ტერიტორიაზე სინოპურ იმპორტთან ერთად⁵² დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი სინოპური ფული, ვარაუდის საფუძველი არსებობს.⁵³

დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე სინოპური დრაქმების განძებად აღმოჩენის არაერთი შემთხვევაა დაფიქსირებული. ფიჭვნარში (ქობულეთის რაიონში) აღმოჩნდა განძი, რომელიც 6-8 კგ-ს იწონიდა. ძირითადი ნაწილი განძისა გაიფანტა. შემორჩა 149 მონეტა, აქედან 102 სინოპური დრაქმა, დანარჩენი კი – კოლხური ტრიობოლები.⁵⁴

⁴⁸ შ. ჩართოლანი. მასალები სვანეთის არქეოლოგიისათვის. I, XIV, №1

⁴⁹ А. Н. Зограф. Античные золотые монеты Кавказа. Известия ГАИМК, Вып. № 110. 1935, გვ. 187.

⁵⁰ ეგ. გაბლიანი. ძველი და ახალი სვანეთი. ტფ. 1925, გვ. 40-41; Г. Ф. Дундуа. Нумизматика античной Грузии, გვ. 34-35.

⁵¹ ნ. კილურაძე. დაფნარის სამაროვანი. ჟურნ.: „ძველის მეგობარი“. თბილისი. 1970. №23, გვ. 19.

⁵² ო. ლორთქიფანიძე. ანტიკური სამეარო და ძველი კოლხეთი. თბ. 1966, გვ. 126-127.

⁵³ გ. დუნდუა. საქართველოში აღმოჩენილი სინოპური მონეტები. ჟურნ.: „მაცნე“. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. თბილისი. 1971. №1, გვ. 144-148.

⁵⁴ К. В. Голенко. Клад синопских и колхидских монет из Кобулету (1948). ВДИ, №1.

სინოპური მონეტები, როგორც აღრეული (ძვ.წ. VI-ის.), ასევე გვიანდელი (ძვ.წ. IIIს.), ცალკეული აღმოჩენების სახით დადასტურებულია ურეკში (ოზურგეთის რაიონი), ბათუმსა და სოხუმის მიდამოებშიც.⁵⁵

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კოლხეთის მთიან რეგიონში არსებული ეგვიპტური და სირიული ნივთები ამ ქვეყნებთან კოლხეთის ვაჭრობით მოხდა, სადაც სინოპე შუამავლის როლს ასრულებდა, გარდა ამისა, ნუმიზმატიკურ მეცნიერებაში გამოითქვა ჰიპოთეზა, რომ ვინაიდან ძვ. წ. IV საუკუნის შუა ხანებიდან კოლხეთის სამონეტო ცირკულაციაში წამყვანი ადგილი სინოპურ დრაქმებს ეკუთვნის, კოლხეთში ალექსანდრე მაკედონელის სტატერების შემოსვლა, ნაწილობრივ მაინც, სინოპეს მეშვეობით ხორციელდებოდა.⁵⁶

აქედან გამომდინარე, სვანეთში, სინოპური მონეტების აღმოჩენა მოულოდნელობას არ წარმოადგენს.

ძვ. წ. III საუკუნის ბოლოდან შავზღვისპირეთში სავაჭრო მონეტის როლს ასრულებდა ლისიმაქეს სახელით მოჭრილი სტატერები. საქართველოს, კერძოდ დასავლეთ საქართველოს, ფარგლებში ლისიმაქეს ოქროს მონეტების აღმოჩენის ექვსი შემთხვევაა აღრიცხული,⁵⁷ აქედან ორი ეგზემპლარი სვანეთის ტერიტორიაზეა აღმოჩენილი.

ერთი ს. ჯანაშიას სახელობის მუზეუმშია დაცული⁵⁸ და მეორე შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში.⁵⁹

ძვ. წ. II საუკუნიდან ძვ. წ. I საუკუნის უკანასკნელ მეოთხედამდე სამონეტო ცირკულაციაში შემოდის ალექსანდრე მაკედონელის და ლისიმაქეს სტატერების მინაბადები. სამეცნიერო ლიტერატურაში ერთხმადაა აღიარებული, რომ როდესაც ამა თუ იმ ქვეყნის ბაზარზე კლებულობს პოპულარული მონეტების შემოსვლა, მოთხოვნის შევსება ხდება მინაბადების საშუალებით.⁶⁰

1961, გვ. 42-52; Г. Ф. Дундуа. Нумизматика античной Грузии, гв. 34-35; გ. დუნდუა. ანტიკური ხანის უცხოური მონეტების განძები კოლხეთიდან (ძვ. წ. IV-ახ. წ. IV სს.). კრებ.: „გურია“ (მხარის კვლევა-ძიების შედეგები). II. თბ. 1997, გვ. 81.

⁵⁵ Г. Ф. Дундуа. Нумизматика античной Грузии. Тб. 1987, გვ. 34-35; გ. დუნდუა. საქართველოში აღმოჩენილი სინოპური მონეტები, გვ. 144-148; გ. დუნდუა. ანტიკური ხანის უცხოური მონეტების განძები კოლხეთიდან (ძვ. წ. IV-ახ. წ. IV სს.), გვ. 81.

⁵⁶ Г. Ф. Дундуа. Нумизматика античной Грузии. Тб.1987, გვ. 52; გ. დუნდუა. ანტიკური ხანის უცხოური მონეტების განძები კოლხეთიდან, გვ. 87.

⁵⁷ გ. დუნდუა. საქართველოში გავრცელებული ალექსანდრე მაკედონელისა და ლისიმაქეს სახელით მოჭრილი მონეტები. გვ. 59.

⁵⁸ Г. Ф. Дундуа. Нумизматика античной Грузии, გვ. 48.

⁵⁹ Г. Ф. Дундуа. Нумизматика античной Грузии, გვ. 49.

⁶⁰ გ. დუნდუა, თ. დუნდუა. ქართული ნუმიზმატიკა, გვ. 72.

მინაბაძებს სრულფასოვანი ფულის ფუნქცია აქვს. ამაზე მიუთითებს, ის გარემოება, რომ სქემატურგამოსახულებიანი ცალების გარდა, გვხვდება შედარებით სრულყოფილი ეგზემპლარებიც, რომელთაც აქვთ საკმაოდ მაღალი წონა, სინჯი და აღმოჩენილია კანონიერ მონეტებთან ერთად.⁶¹

ლისიმაქეს ტაბის სტატერის მინაბაძი. (ნაპოვნია მესტიის რაიონში, ზემო მულახში გ.ფ. 4871).⁶² ტაბ. II, №1.

Av. ალექსანდრე მაკედონელის მარჯვნივ მიმართული, უკიდურესად სქემატური პორტრეტი მკვეთრად გამოხატული კუთხოვანი ცხვირით, რომელზეც ჩიტი ზის.

Rv. ტახტზე მჯდომი ათენა პალადა ნიკეთი. ქვემოთ – სამთითა, რომელიც მარჯვნივაა მიმართული. წარწერის ნაცვლად ჰორიზონტალური ხაზები.⁶³

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს სვანეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ალექსანდრე მაკედონელი სტატერის მინაბაძი. ამჟამად უშგულის ციხესახლში ერთი, დღემდე გამოუქვეყნებელი, ხოლო მესტიის მუზეუმში სამი ეგზემპლარია დაცული.

სვანეთში აღმოჩენილი სხვა მინაბაძეების შესახებ გვაქვს ორი ცნობა. ერთი მათგანის მიხედვით ვიგებთ, რომ კერძო კოლექციებში დაცულია ამ რეგიონში აღმოჩენილი მინაბაძეები.⁶⁴ მეორე ინფორმაცია საქართველოს ეროვნული მუზეუმის ს. ჯანაშიას სახელობის ნუმიზმატიკურ კაბინეტშია დაცული: 1995 წელს, 8 ივნისს მოქალაქე თამაზ ქობალიამ, მოიტანა ალექსანდრე მაკედონელის სტატერის მინაბაძი,⁶⁵ წონა – 6,45 გრ. ხოლო მონეტის იდენტიფიკაციისათვის ქალბატონ თ. ქუთელიას მითითებული აქვს ლიტერატურა.⁶⁶ ეს ცნობა უაღრესად საინტერესოა, ვინაიდან მსგავსი გამოსახულების მონეტა სვანეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი არ არის. განსაკუთრებით ყურადსაღებია წონა, რის მიხედვითაც შეგვიძლია, ვიმსჯელოთ მინაბაძეების ადრეულობაზე.

სვანეთში დაცული ალექსანდრე მაკედონელის მინაბაძეების აღწერილობა:

ალექსანდრე მაკედონელის სტატერის მინაბაძი – ოქრო, წ. 3,4. ზ. 1/1

⁶¹ Г. Ф. Дундуа. Нумизматика античной Грузии, გვ. 55.

⁶² Г. Ф. Дундуа. Нумизматика античной Грузии, გვ. 76.

⁶³ Г. Ф. Дундуа. Нумизматика античной Грузии, ტაბ. XXIII.

⁶⁴ გ. ლორთქიფანიძე, ზ. კვიციანი, გ. გერაძე. სვანეთი – ანტიკური ხანის საქართველოს ზარაფხანა, გვ. 11.

⁶⁵ ცნობა მოგვაწოდა საქართველოს ეროვნული მუზეუმის ნუმიზმატიკური ფონდის კურატორმა თინათინ ქუთელიამ, რისთვისაც მას მადლობას ვუხდით.

⁶⁶ А. Н. Зограф. Античные монеты, ტაბ. XII, №17.

(სიემ-უშგული) ტაბ. II, № 2.

ქვეყნდება პირველად:

Av. მარჯვნივ მიმართული ადამიანის თავის გაუხეშებული, სქემატური გამოსახულება. გამოსახულების წინ ოთხი, ხოლო უკან ერთი რელიეფური წერტილი.

Rv. ფრთოსანი არსება პირდაპირ (გამარჯვების ქალღმერთ ნიკეს გამოსახულების სქემატური ასლი), გამოსახულების ორივე მხარეს თითო წყვილი რელიეფური წერტილი.

მონეტა ორ ადგილზეა გახვრეტილი.

ალექსანდრე მაკედონელის სტატერის მინაბაძი – ოქრო, წ.1,52. ზ. 14/14 (სიემ-მესტია) ტაბ. II, №3.

Av. მარცხნივ მიმართული ადამიანის თავის გაუხეშებული, სქემატური გამოსახულება.

Rv. ფრთოსანი არსება მარჯვნივ (გამარჯვების ქალღმერთ ნიკეს გამოსახულების სქემატური ასლი).⁶⁷

ალექსანდრე მაკედონელის სტატერის მინაბაძი – ოქრო, წ. 4,40. ზ. 15/15 (სიემ-მესტია) ტაბ. II, №4.

Av. მარჯვნივ მიმართული ადამიანის თავის გაუხეშებული, სქემატური გამოსახულება. გამოსახულების წინ ორი, ხოლო უკან სამი რელიეფური წერტილი.

Rv. ფრთოსანი არსება პირდაპირ (გამარჯვების ქალღმერთ ნიკეს გამოსახულების სქემატური ასლი) გამოსახულების ორივე მხარეს რამოდენიმე წყვილი რელიეფური წერტილი.⁶⁸

ალექსანდრე მაკედონელის სტატერის მინაბაძი – ოქრო, წ. 3,42. ზ. 17/17 (სიემ-მესტია) ტაბ. II, №5.

Av. მარჯვნივ მიმართული ადამიანის თავის გაუხეშებული, სქემატური გამოსახულება. გამოსახულების წინ ოთხი, ხოლო უკან ერთი რელიეფური წერტილი.

Rv. ფრთოსანი არსება პირდაპირ (გამარჯვების ქალღმერთ ნიკეს გამოსახულების სქემატური ასლი), გამოსახულების ორივე მხარეს თითო წყვილი რელიეფური წერტილი.⁶⁹

⁶⁷ შ. ჩართოლანი. მასალები სვანეთის არქეოლოგიისათვის. I, ტაბ. XIII, №4.

⁶⁸ შ. ჩართოლანი. მასალები სვანეთის არქეოლოგიისათვის. I, ტაბ. XIII, №2.

⁶⁹ შ. ჩართოლანი. მასალები სვანეთის არქეოლოგიისათვის. I, ტაბ. XIII, №3.

ალექსანდრე მაკედონელის სტატერის მინაბაძები დათარიღებულია ძვ. წ. I – ახ. წ. I საუკუნეებით, ვინაიდან ისინი უმეტეს შემთხვევაში აღმოჩენილნი არიან სამარხებში კარგად დათარიღებულ მონეტებთან ერთად.⁷⁰

ზემოაღწერილ ალექსანდრე მაკედონელის სტატერის მინაბაძებიდან საყურადღებოა უშგულის ციხესახლში დაცული ეგზემპლარი, რომელიც ორადგილზეა გახვრეტილი. უნდა აღინიშნოს, რომ სვანეთში დაცულ ნუმიზმატიკურ მასალას ერთი სპეციფიკა ახასიათებს, მათი უმრავლესობა საეკლესიო განძების სახითაა შემორჩენილი და ზოგჯერ ქმნის სერიოზულ პრობლემას – ამა თუ იმ მონეტის არსებობა ამ რეგიონში სამონეტო მიმოქცევაში ყოფნის მანიშნებელია თუ წარმოადგენს საეკლესიო შეწირულობას, რომელიც მომლოცველებმა შესწირეს სალოცავს, როგორც სამკაული.

ალექსანდრე მაკედონელის მინაბაძის უშგულურ ეგზემპლარზე არსებობს ცნობა, რომ ის 1972 წლის სვანეთის კომპლექსურმა ექსპედიციამ გამოავლინა და სხვა არქეოლოგიურ მასალასთან ერთად ჩაუამის მაცხოვრის ეკლესიიდან იქნა გადატანილი. ვინაიდან სხვა მინაბაძები გახვრეტილი არ გვხვდება, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მონეტა აღმოჩენმა გახვრეტიდა და როგორც სამკაული, ისე შეწირა სალოცავს. სვანეთში ეკლესიებიდან მუზეუმში გადმოტანილი მონეტები ძირითადად გახვრეტილია და თოკზეა ასხმული. ხშირად ის საეკლესიო ხატზე დაკიდებულიც გვხვდება. სვანეთის საეკლესიო განძებში უნდა გამოიყოს მონეტების ის ჯგუფი, რომლებიც მათი მიმოქცევის თანადროულად არიან ეკლესიებში შეწირული, როგორც ფული და, ჯგუფი მონეტებისა, რომლებიც მათი მიმოქცევიდან გაქრობის შემდეგ შესწირეს ეკლესიას, როგორც ძვირფასი ლითონი და სამკაული. ალექსანდრე მაკედონელის მინაბაძის უშგულის ეგზემპლარი სწორედ ამ უკანასკნელ ჯგუფს მიეკუთვნება.

ეკლესიებისადმი სხადასხვა შეწირულ ნივთზე დაკვირვებით ეთნოლოგები მივიდნენ დასკვნამდე, რომ მორწმუნე ეკლესიაში სწირავდა იმ ნივთს, რასაც თავად მოიხმარდა და რისი მოპოვებაც შეეძლო ბუნებაში. მამაკაცები ძირითადად იარაღს წირავდნენ (მშვილდს, ისარს, ისრისპირს, ხანჯალს, თოფის ტყვიებს და ვაზნებს) ქალები – მძივებს, გახვრეტილ ქვებს, ქალის სამკაულს. თითოეულ ნივთს თავისი მნიშვნელობა ჰქონდა, მაგალითად, ისარი და ტყვია შეწირული იყო ბიჭის დაბადების აღსანიშნავად; ქვა – ოჯახის ბე-

⁷⁰ Г. Ф. Дундуа. Нумизматика античной Грузии, გვ. 93; გ. დუნდუა, თ. დუნდუა. ქართული ნუმიზმატიკა, 72.

დი-ბარაქის, და სიუხვისათვის.⁷¹ სიემ-უმგულში მრავლად გვხვდება ქვებთან ერთად ასხმული მონეტები, აგრეთვე იქვე დაცული უნიკალური კომპლექსი – მონეტებით სავსე ქისა (დღემდე შემონახული ერთადერთი მონეტებიანი ქისაა [ტაბ. II, №7], სადაც ფულთან ერთად გახვრეტილი ქვები და მძივებია აღმოჩენილი, ამიტომ, უნდა ვივარაუდოთ, რომ მონეტებსაც ხატებს ოჯახის სიუხვისთვის სწირავდნენ.

ზემოაღწერილი ალექსანდრე მაკედონელის სტატერის მინაბადიც, შესაძლოა, შემწირველმა სალოცავს ამ მოტივით შეწირა.

ეკლესიებში დაცული ნივთები ხელშეუხებელი და წმინდა იყო მოსახლეობისთვის, ამიტომაც, სვანეთში არსებულმა ამ ტრადიციამ არაერთი იშვიათი მონეტა შემოუნახა მეცნიერებას.

ახალი წელთაღრიცხვის I ს-ის II ნახევრიდან ალექსანდრე მაკედონელის და ლისიმაქეს მინაბადები მიმოქცევიდან ქრება და იბერიაში შემოდის ე.წ. გოტარზესის, დღეისათვის მიღებული ატრიბუციით, არტაბან II-ის (ახ. წ. 10-38წწ) დრაქმა და ოქტავიანე ავგუსტუსის (ძვ. წ. 27 ახ. წ. 14) რომაული დენარი.⁷²

დასავლეთ საქართველოს ბარის რეგიონში ეს მონეტები პრაქტიკულად არ გვხვდება, გარდა სოფელ ბორში (ხარაგაულის რაიონი) აღმოჩენის ერთი შემთხვევისა.⁷³ ამიტომ გაჩნდა მოსაზრება, რომ ავგუსტეს დენარები ამიერკავკასიაში შემოდიოდა არა საზღვაო გზით და, შესაბამისად, არა უშუალოდ იმპერიის ფარგლებიდან, არამედ პერიფერიიდან, სამხრეთიდან, ეფვრატის ზემო წელიდან, მესოპოტამიის საზღვრებიდან.⁷⁴ თუმცა, არსებობს საქართველოს ეროვნული მუზეუმის ნუმისმატიკურ კაბინეტში დაცული ინფორმაცია, რომლის მიხედვით 2001 წ. აგვისტოში, საქართველოს ეროვნულ მუზეუმში, მოქალაქე ლიპარტელიანმა წარმოადგინა მესტიის ტერიტორიაზე აღმოჩენილი 18 მონეტა, მათგან ცხრა – ავგუსტუსის დენარი (რომი) და ცხრა – გო-

⁷¹ მ. ჩართოლანი. 1973 წ. სვანეთის სამეცნიერო კომპლექსური ექსპედიციის შედეგები. ჟურნ.: „აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახემწიფო მუზეუმის მოამბე“. XXXII-B. თბ. 1977, გვ. 12.

⁷² მ. შეროზია. ოქტავიანე ავგუსტუსის დენარებისა და მისი ადგილობრივი მინაბადების შესახებ. საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოთარ ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ცენტრის გამოცემის – „ძიებანი საქართველოს არქეოლოგიაში“ დამატება. თბ. 2009. №5, გვ. 61.

⁷³ თ. აბრამიშვილი. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის პართული მონეტების კატალოგი. თბ. 1974, გვ. 60-61.

⁷⁴ К. В. Голенко. Денежное обращение Колхиды в римское время. Ленинград. 1964, გვ. 43.

ტარხეისის დრაქმა. სამწუხაროდ, მონეტები მუზეუმმა ვერ შეიძინა.⁷⁵ ამდენად, ავეუსტუსის დენარის გავრცელების ტოპოგრაფიაში მხოლოდ ამ ცნობით კორექტივს ვერ შევიტანთ, მაგრამ ინფორმაცია, ვფიქრობთ, ანგარიშგასაწევია.

ავეუსტეს დენარები ხანგრძლივად მიმოიქცეოდა იბერიის ტერიტორიაზე, I საუკუნიდან III საუკუნის შუახანებამდე იბერიის ეკონომიკაში ამ სამონეტო ჯგუფის როლი აშკარაა.⁷⁶ შემდგომში აღნიშნული მონეტების რიცხვის შემცირებამ გამოიწვია III საუკუნის შუა ხანებიდან ადგილობრივი იმიტაციების გენეზისი.⁷⁷

საქართველოს ეროვნული მუზეუმის ნუმიზმატიკურ კოლექციებში, განძების ფონდში ავეუსტუსის დენარის მინაბადი 15 ეგზემპლარია დაცული, აქედან ერთი აღმოჩენილია სვანეთში, სოფელ ცხუმურში – გ. ფ. №5103. დასავლეთ საქართველოს მთიან რეგიონში ლენხუმშია (ცაგერში) აღმოჩენილი აგრეთვე ერთი ცალი – გ. ფ. №9446. სიემ-მესტიაში დაცული ავეუსტუსის მინაბადის აღწერილობა:

ოქტავიანე ავეუსტუსის დენარის მინაბადი – ვერცხლი. წ. 2,42. ზ. 18/18 (სიემ - მესტია) ტაბ. II, №6

Av. იმპერატორის უაღრესად დამახინჯებული პროფილი მარცხნივ. მონეტის ირგვლივ წერტილოვანი რკალი.

Rv. გაიუსისა და ლუციუსის ერთმანეთის საპირისპიროდ მდგარი უაღრესად დამახინჯებული გამოსახულება. ისინი ეყრდნობიან მახვილებს, შუაში ფარი. გამოსახულების გარშემო წერტილოვანი რკალი.⁷⁸

სვანური ეგზემპლარები, მესტიური ცალიც და საქართველოს ეროვნული მუზეუმის ნუმიზმატიკის განძების ფონდში დაცული მონეტაც დამზადებულია დაბალი სინჯის ვერცხლისაგან. სავარაუდოდ, ისინი ყველაზე გვიანდელ ნიმუშებს უნდა წარმოადგენდნენ და დათარიღებული არიან III საუკუნიით.⁷⁹

აშკარაა, რომ სვანეთი III საუკუნეშიც მონაწილეობს ქვეყნის საერთო ფულად მიმოქცევაში. რასაკვირველია, ისეთივე ინტენსივობით არა, როგორც

⁷⁵ ცნობა მოგვაწოდა საქართველოს ეროვნული მუზეუმის ფონდის უფროსმა კურატორმა მედეა შეროზიამ, რისთვისაც მას მადლობას ვუხდით.

⁷⁶ გ. დუნდუა, თ. დუნდუა. ქართული ნუმიზმატიკა, გვ. 125.

⁷⁷ დ. კაპანაძე. ქართული ნუმიზმატიკა, გვ. 44; გ. დუნდუა, თ. დუნდუა. ქართული ნუმიზმატიკა, გვ. 125.

⁷⁸ შ. ჩართოლანი. 1973 წ. სვანეთის სამეცნიერო კომპლექსური ექსპედიციის შედეგები, ტაბ. XIV, №4.

⁷⁹ გ. დუნდუა, თ. დუნდუა. ქართული ნუმიზმატიკა, 125; მ. შეროზია. ოქტავიანე ავეუსტუსის დენარებისა და მისი ადგილობრივი მინაბადების შესახებ, გვ. 67.

ეს ბარში ხდება, მაგრამ ამ რეგიონის ჩართულობა საყოველთაო ფულად ცირკულაციაში აშკარაა.

როგორც ვხედავთ, სვანეთში აღმოჩენილ ნუმიზმატიკურ მასალის შესწავლა მნიშვნელოვანია არა მარტო პოლიტიკურ-ეკონომიკური ურთიერთობების გასაშუქებლად. აღნიშნულ მონეტებზე მუშაობამ აშკარად გამოაჩინა მათი ეთნოლოგიურ და კონფესიური დატვირთვა. კონკრეტულ ეტაპზე ჩვენ შემოვიფარგლეთ მხოლოდ ანტიკური პერიოდით, მაგრამ ამ მიმართულებით კვლევა-ძიების გაგრძელებას შემდგომშიც ვგეგმავთ. ვფიქრობთ, საკითხის შესასწავლად მომდევნო პერიოდის სვანეთის ნუმიზმატიკური ძეგლები უფრო მეტი ინფორმაციის მომცემი იქნება.

შენიშვნა:

სიემ - მესტია – სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმი - მესტია

სიემ – უშგული – სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმი - უშგული

გ. ფ. – საქართველოს ეროვნული მუზეუმის ნუმიზმატიკური კოლექცია, განძების ფონდი.

ГАИМК – Государственная академия истории материальной культуры

ВДИ – Вестник древней истории

ტაბულა I

1



2



3



4



5



6



7



8



ტაბულა II

1



2



3



4



5



6



7



Maia Pataridze

COINS OF THE CLASSICAL PERIOD FROM SVANETI

Summary

Numismatic finds in Svaneti contribute greatly to the study of numismatic data of Antiquity in general. It suffices to say that the majority of coins minted in the name of Alexander and Lisymachus - both originals and imitations – are unearthed in this very region. The present paper deals with a few coins, discovered by the expedition* and unknown yet to the scholars. The study of archaeological complexes on the territory of Svaneti, particularly those of Larilari and Brili (the present day Racha) and simultaneous analysis of the numismatic finds give us opportunity to establish extent and continuity of the engagement of local population in trading with the Colchian plain and the outer world throughout the 5th c. B.C. - 3rd c. A.D. Besides, the study of coins preserved in Svaneti, reveals their confessional and ethnological character as temple treasure.

* The mixed group of experts from the Georgian National Museum was commissioned to Svaneti (Mestia and Ushguli) in 2009 (August-September) within the frames of the UNESCO project “Documentation and inventory of cultural objects belonging to Svaneti Museum of History and Ethnography”.

ნათია ფიფია

სელოხეზების ტომის ლოკალიზაციის საკითხისათვის

სელოხეზები იხსენიებიან მხოლოდ ერთადერთ წყაროში, ტაციტუსთან (55/56 - 117 წლის შემდეგ)¹ I საუკუნეში ანიკეტის აჯანყებასთან დაკავშირებული მოვლენების დროს. სხვა წყაროებისთვის ეს ტომი უცნობია:

„ამ საქმემ (ანიკეტის აჯანყებამ – ნ. ფ.) იმდენად მიიქცია ვესპასიანეს ყურადღება, რომ ლეგიონებიდან გამობრძმედილი სათადარიგო ჯარისკაცები და ომში გამოცდილი სარდალი ვირდიუს გემინუსი შეარჩია. იგი თავს დაესხა გაბნეულ და ალაფობის წადილით გაფანტულ მტერს და ხომალდებზე შერეკა. [შემდეგ] მსწრაფლ ააგო ლიბურნული ხომალდები და ანიკეტოსს მდინარე ხობის შესართავში დაეწია, სადაც იგი უშიშრად იყო სელოხეზების მეფის შემწეობით, რომელიც მოკავშირეობაზე ფულითა და საჩუქრებით დაითანხმა.“²

სელოხეზების ტომის ლოკალიზების საკითხი მეტად რთულია, ამ მხრივ, ერთადერთ ხელნასაჭიდ მინიშნებას წარმოადგენს ტაციტუსთან მოხსენიებული მდინარე ხობი. როგორც მოცემული წყაროდან ჩანს, ეს ადგილი არ არის მოხსენიებული არცერთ სხვა ჰიდრონიმთან, ან ტოპონიმთან კავშირში, საქმეს ისიც ართულებს, რომ აქ მოხსენიებულია ისეთი ტომი, რომელიც სხვა წყაროებში არსად არის მოხსენიებული. შესაბამისად, ისტორიოგრაფიაში აზრთა სხვადასხვაობას იწვევს ტაციტუსთან მოხსენიებული მდ. ხობის ლოკალიზაციის საკითხი, და მასზე დამოკიდებული სელოხეზების ტომის ლოკალიზაციის საკითხიც. ერთი შეხედვით, ყველაზე რეალურია და ეს მოსაზრება, რა თქმა უნდა, გამოთქმულია ისტორიოგრაფიაში, მდინარე ხობი დაუუკავშიროთ დღევანდელ მდინარე ხობისწყალს.³ ს. ჯანაშიას აზრითაც,

¹ Tacitus. III. 48; ტაციტუსის ცნობების საქართველოს შესახებ. ლათინური ტექსტი, ქართული თარგმანითურთ შესავალი ნარკვევითა და კომენტარითურთ გამოსცა ალ. გამყრელიძემ. თბ. 1973.

² Tacit. III. 48; ВДИ. 1938. №2, გვ. 315.

³ Г. Меликишвили. К истории древней Грузии. Тб. 1959, გვ. 369.

მდ. ხობოსი დღევ. ხობია, ვახუშტის ხორგის წყალა (ხორგა – სოფელი მდ. ხობთან).⁴

ამ შემთხვევაში გამოდის, რომ სეღოხეზები ერთ-ერთი ლაზური ტომია. მეორე მხრივ, მდინარე ხობი შეიძლება იყოს სამხრეთში, ისტორიული ჭანეთის ტერიტორიაზე ჭოროხის სამხრეთ-დასავლეთით არსებული მდინარე ხოფა, შესაბამისად, ამ თეორიის თანახმად, თუკი ანიკეტი სამხრეთ სანაპიროზე ეძებდა თავშესაფარს და არა ცენტრალურ კოლხეთში, სეღოხეზების ტომი ჭანური ტომია.⁵

აღსანიშნავია, რომ თუკი ძიდრიტები დაახლოებით I-II სს-ის მიჯნაზე და შემდგომ, II ს-ში ცხოვრობდნენ შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე მაკრონ-ჰენიოხებსა და ლაზებს შორის, მაშინ მდ. ხოფა სწორედ მათ ტერიტორიაზე უნდა ყოფილიყო, ანუ ქართლის მეფისადმი დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე. ხოლო თუ ტაციტუსის მდ. ხობის ქვეშ დღევ. მდ. ხობისწყალი იგულისხმება, ნებისმიერი კონიუნქტურით სეღოხეზები ლაზური ტომია, ხოლო თუ ტაციტუსის ცნობაში სამხრეთის ხოფა ნაგულისხმევი, რაც, ს. ჯანაშიას აზრით, ნაკლებადაა დასაჯერებელი, მაინც საქმე მეორე ქართველ ტომთან – ჭანებთან გვექნება.⁶ ამრიგად, სეღოხეზები, ნებისმიერ შემთხვევაში, ქართველურ სამყაროსთან არიან დაკავშირებულნი, თუმცა მათი ლოკალიზება კიდევ უფრო ზუსტად ნამდვილად შესაძლებლად მიგვაჩნია.

ჩვენი აზრით, ყველაზე რეალურია ტაციტუსის მდ. ხობი გავაიგივოთ არიანეს ქობოსთან, ანუ ენგურთან. მიუხედავად იმისა, რომ სახელწოდება „ხობის“ დაკავშირება, ფონეტიკური მსგავსების გამო, თანამედროვე ხოფასა და ხობთან უფრო ადვილია, მიგვაჩნია, რომ უფრო უპრიანი იქნება მხედველობაში მივიღოთ II საუკუნის ავტორისეული მონაცემები I საუკუნის ავტორის მიერ მოხსენიებული პუნქტის ლოკალიზებისას, ვიდრე ჰიდრონიმების თანამედროვე სახელწოდებას ავტომატურად შევეუსაბამოთ ფონეტიკურად მათი მსგავსი სახელწოდებები. ფ. ბრუნს არიანეს ქობოსი ხობად მიაჩნდა, მაგრამ მანძილებში განსხვავება აფიქრებდა⁷. არიანეს მდინარე ქობოსის ლოკალიზების შესახებ ვრცლად მსჯელობდა ელნიცკი თავის ნაშრომში კოლხეთის ისტორიული გეოგრაფიის შესახებ. არიანეს მანძილების გულდასმით გა-

⁴ შავიზღვისპირეთის საისტორიო გეოგრაფია. შრომები. ტ. VI. თბ. 1988, გვ. 274-275.

⁵ Н. Ю. Ломоури. Грузино-римские взаимоотношения. Тб. 1981, გვ. 210.

⁶ ს. ჯანაშია. საქართველო ადრიდელი ფეოდალიზაციის გზაზე. შრომები. ტ. I. თბ. 1949, გვ. 190

⁷ Ф. Брун. Черноморье. Одесса. 1879, გვ. 249

მონაგარიშების შემდეგ, ის მივიდა დასკვნამდე, რომ არიანეს მდინარე ქობოსი დღევანდელი ენგურია. ქობოსი თუ ენგური არ არის, ამ შემთხვევაში არიანეს მთელი სქემა ირღვევა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში სხვადასხვა პუნქტების ლოკალიზების შესახებ.⁸ ელნიცკის ამ მოსაზრებას ეთანხმება ნათელა კეჭალმაძეც, რომელმაც, ასევე, არიანეს გამოცემისას, მისი რუკა შეადგინა და თვითონაც ამ რუკაზე მდინარე ქობოსი თანამედროვე მდინარე ენგურის ადგილას დაიტანა.⁹

მდინარე ქობოსთან მიმდებარე ტერიტორიას არიანე შემდეგნაირად აღწერს:

„ფაზისიდან ჩვენ გავიარეთ სანაოსნო მდინარე ქარიენტი, მათ შორის მანძილი ოთხმოცდაათი სტადიონია. ქარიენტიდან გავიარეთ ოთხმოცდაათი სტადიონი და შევცურეთ მდინარე ქობოსში. აქ ლუზაზე დავდექით. ქობოსის შემდეგ გავიარეთ სანაოსნო მდინარე სინგამე (დღ. ერისწყალი – ნ. ფ.), რომელიც ქობოსს დაშორებულია მხოლოდ ორას ათი სტადიონით“.

რაც შეეხება იმ საკითხს, არიანესთან მოხსენიებული რომელი მდინარე უნდა იყოს თანამედროვე ხობისწყალი? ეს არის მდინარე ქარიენტი. ქარიენტი, ს. ჯანაშიას აზრით, არის მდინარე ცივი.¹⁰ მაგრამ ეს არ არის მდინარე ცივი, რადგან ცივი პატარა მდინარეა, ქარიენტს კი არიანე სანაოსნოს უწოდებს. გარდა ამისა, არიანეს სტადიონები არა ემთხვევა ცივამდე მანძილს. ელნიცკი მანძილების გამოანგარიშების შედეგად ასკვნის, რომ ქარიენტი ხობი უნდა იყოს.¹¹ ამ ჰიდრონიმის დაკავშირება ხობისწყალთან რეალური ჩანს, მით უმეტეს, რომ ხობისწყალთან ახლოს არის სოფელი ქარიატა. ამ ტერიტორიის არიანეს დროინდელი სახელწოდება სწორედაც ჩანს, რომ არის ქარიატა და არა ხობი. რაც შეეხება ტოპონიმს და ჰიდრონიმს – ხობი, ის შეიძლება მოგვიანებითაც გაჩენილიყო, თუნდაც მდინარე ენგურის მიდამოებიდან სხვა კოლხური ტომების მიგრაციის შედეგად.

არიანეს ქობოსის/ხობოსის გაიგივება დღევანდელ ხობთან უმეტესად ფონეტიკური სიახლოვის გამო ხდებოდა, იმის მიუხედავად, რომ ხობის მანძილი რიონიდან 17-18 კმ-ს არ სცილდება. მდინარე ქარიენტი მაშინ სადღაც

⁸ Л. А. Эльницкий. Из исторической географии древней Колхиды. ВДИ. 1938. №2, გვ. 310.

⁹ იხ. ნ. კეჭალმაძე. ფლავიუს არიანე. მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო. თარგმანი, გამოკვლევა, კომენტარები და რუკა ნ. კეჭალმაძისა. თბ. 1961.

¹⁰ ს. ჯანაშია. შავიზღვისპირეთის საისტორიო გეოგრაფია. შრომები. ტ. VI. 1988, გვ. 275

¹¹ Л. А. Эльницкий. Из исторической географии древней Колхиды, გვ. 315.

რიონსა და ხობისწყალს შორის უნდა გვეძიებინა, სადაც თანამედროვე რუკებზე შავ ზღვაში ჩამავალი არავითარი სანაოსნო მდინარე არ არსებობს. ამ ადგილთა ჩრდილოეთით მყოფი მდინარეების მდებარეობის გათვალისწინების შემდეგ ცხადია, რომ ქარიენტი ხობი უნდა იყოს და ქობოსი ენგური.

საინტერესოა, რომ არიანესეული კონიუნქტურა ქობოსი და ქარიენტი, როგორც ენგური და ხობისწყალი, ჩანს, პლინიუსთანაც (I ს.):

„[ფაზისის] შემდეგ არის სხვა მდინარე ქარიენტი, სალტიების ტომი, რომელსაც ძველად ფთერიოფაგები ეწოდებოდა და სხვები სანები. სვანების გავლით კავკასიონიდან მიედინება მდინარე ხობუსი. შემდეგ როანი, კევრიტიკეს მხარე, მდინარეები სიგანია, თერსოსი, ასტელეფოსი, ქრისოროასი.¹²

ამრიგად, ჩვენ გვაქვს ასეთი მონაცემები: პლინიუსი – ქარიენტი (ხობისწყალი) და ქობოსი (ენგური), ტაციტუსი – ხობი (ენგური) და არიანე – ქარიენტი (ხობისწყალი) და ქობოსი (ენგური).

ტაციტუსის მდინარე ხობის ლოკალიზების შესახებ არსებულ მოსაზრებებს თუ გავითვალისწინებთ, გამოდის, რომ სელოხეზების ტომი ან ჭანური ტომია, თუ ტაციტუსის ხობი ხოფაა, ან ლაზური ტომია, თუ ტაციტუსის ხობი დღევანდელი ხობისწყალია, ან ისევ და ისევ კოლხური ტომია, თუ ტაციტუსის ხობი დღევანდელი მდინარე ენგურია. რადგან ჩვენ საკმარისად დასაბუთებულად მიგვაჩნია მოსაზრება, რომ არიანეს ქობოსი დღევანდელი ენგურია, და ამასთან მიგვაჩნია, რომ ტაციტუსის ხობი არიანეს ქობოსია, ჩვენ ამ უკანასკნელ მოსაზრებას გამოვთქვამთ.

ამრიგად, ჩვენი აზრით, ყველაზე რეალურია ტაციტუსის მდ. ხობი გავაიგივოთ არიანეს ქობოსთან, ანუ ენგურთან. სელოხეზები I საუკუნეში ანიკეტის აჯანყების მოვლენების დროს მოსახლეობდნენ მდ. ენგურის შესართავთან, ბარში და ისინი კოლხურ ტომებს წარმოადგენდნენ.

შემოკლებათა განმარტება

ВДИ – Вестник древней истории

¹² Pliny. VI. 14; В. В. Латышев. Известия древних писателей о Скифии и Кавказе. ВДИ. 1949. №2, გვ. 290.

Natia Pipia

FOCUSES ON LOCALIZING THE SEDOKHEZI TRIBE

Summary

The article focuses on localizing the Sedokhezi tribe, which appears just in one source – Tacitus gives us information about them while describing events about Aniketi rebellion. Sedokhezi tribe is mentioned by source as living near river Khob. It is disputed in historiography, river Khob of Tacitus is modern river Khobistskali (Khobi) or river Enguri (both in Western Georgia). Arrian, author of the 2nd c., mentions river Khobos and it seems, it could be just modern river Enguri. Pliny the elder mentions it too and as it seems, it should be river Enguri. So, it seems more likely that Khob of Tacitus is Khobos of Arrian and Pliny i.e. modern river Enguri. Therefore the Sedokhezi are Colchian tribes.

თედო დუნდუა, ლერი თავაძე

Limes Ponticus –
რამდენიმე საკითხი პონტოს საზღვრის შესახებ
I - III სს.

საიმპერიო უსაფრთხოების სისტემის სამი თანმიმდევრობითი ვარიანტი ფიქსირდება, ვიდრე ეს სისტემა სრულიად მოიშლებოდა. იტალიელი კოლონისტები საუკეთესო ტექნოლოგიებით, არნახული მასშტაბის საკომუნიკაციო სისტემა, სამრეწველო საქონლის ფართო ასორტიმენტი, რომის მოქალაქეობა, მუნიციპალური ავტონომია – აი, რა მოუტანა რომმა დასავლეთ პროვინციებს I - II სს. მათაც ყოველივე ეს დააფასეს და მჭიდროდ ინტეგრირდნენ მეტროპოლისთან. რომანიზაცია ამის ლოგიკური შედეგია. ელინებს კი რომაელებმა წყნარი ცხოვრება და ეკონომიკური სტაბილურობა შესთავაზეს. რომაული რაინის, დუნაის და პონტოს საზღვრების მიღმა ბევრი იყო ისეთი, ვინც ამ პანევროპული ინტეგრაციის კონცეფციას თანაუგრძნობდა. მეგობარი მეფეებისთვის რომის მოქალაქეობა უმაღლეს ჯილდოდ ითვლებოდა. იულიუს-კლავდიუსებისთვის კი ეს კლიენტი სამეფოები საიმპერიო ტერიტორიების თავდაცვის პირველი ხაზი იყო. მათ უკან მთელ პერიმეტრზე განლაგებული მსხვილი სალევინო დაჯგუფებები სისტემის შეუვალობის გარანტიაა. ანტონინებმა სამეფოები გააუქმეს, სალევინო ზეკონცენტრაცია კი მათი ფართო სასაზღვრო დისლოკაციით შეცვალეს. თუმცა, კარდინალურად, არაფერი შეცვლილა. ორივე შემთხვევაში, სუსტი მეტოქე საზღვარზევე ნადგურდებოდა, შემდგომ კი სამხედრო ოპერაცია მისსავე ტერიტორიაზე გადაინაცვლებდა. უსაფრთხოების ამ სისტემას ექსპერტები წინა-ხაზზე-თავდაცვას უწოდებენ.

ანტიკურ საზოგადოებაში ინდუსტრიული კადრების არასწორმა გადანაწილებამ საწარმოო საშუალებების წარმოების საზიანოდ ერთ სულ მოსახლეზე წარმოებული სამრეწველო პროდუქციის ზრდის შედარებით ნელი ტემპები გამოიწვია დემოგრაფიული ევოლუციის ტემპებთან მიმართებაში. იტა-

ლია სამრეწველო საქონელზე ფასებს მაღლა წევს, პროვინციებისგან კი ნედლეულზე და სურსათზე დაბალ ფასებს მოითხოვს. რომის იმპერიის ევროპელი სუბიექტების ურთიერთსიმპათიები სუსტდება, ბევრი რაინს და ღუნაის მიღმა ეძებს მოკავშირეს. 1) ეკონომიკური კრიზისი, 2) საინტეგრაციო კავშირების შესუსტება, 3) „ბარბარიკუმის“ სოციალურ-ეკონომიკური გამოცოცხლება, 4) ფინანსური ქაოსი და პროფესიული არმიის ნაწილის ფერმერთა მილიციად ტრანსფორმაცია, ლიმიტანები – ყოველივე ზემოაღნიშნული ცვლის თავდაცვით სტრატეგიას. ლიმიტანები პირველ დარტყმას იღებენ და სასაზღვრო ზოლის ევაკუაციას სიმაგრეებში ახდენენ, ისინი მოწინააღმდეგეს ქანცავენ. ღრმად შეჭრილ მტერს კი ზურგში დაბანაკებული დიდი საველე არმიები ხვდება. სისტემა დიოკლეტიანეს ღროს გაფორმდა. ამას ჰქვია უკანა-ხაზზე-თავდაცვა.

მაგრამ ვიდრე ახალი სისტემა დადგინდებოდა, რომაელები იმპერიის ფარგლებში უკვე იოლად შემოჭრილ მოწინააღმდეგეს ამარცხებდნენ იქ, სადაც კი მძლავრი საარმიო კონცენტრაციის შექმნას მოახერხებდნენ. გალიენემ ამისთვის უკანა ხაზის სპეციალური სარეზერვო ნაწილები შექმნა. ადრე პრეტორიანული გვარდია იყო ერთადერთი საიმპერიო რეზერვი. სამხედრო ენაზე კონკრეტული მეთოდი ელასტიური თავდაცვაა.

უსაფრთხოების კონცეფციის შეცვლა კი აუცილებელი იყო თუნდაც გერმანიკული კლანების მეკობრული თავდასხმების გამო ყველგან ზღვებზე III ს-დან, რამაც სასაზღვრო ხაზის სიგრძე მნიშვნელოვანწილად გაზარდა.¹

პროფესიონალი ჯარისკაცებით დაკომპლექტებული ლეგიონები, საკავალერიო ალები, ქვეითთა კოჰორტები და შერეული *cohortes equitatae* წინა-ხაზზე-თავდაცვის სისტემის შემადგენელი ნაწილებია. ლიმიტანთა მილიციამ ალები და კოჰორტები ჩაანაცვლა, რეგულარულმა მობილურმა რეზერვმა – *comitatenses* – კი ლიმესზე თავმოყრილი ლეგიონები; ყველა ეს დანაყოფი უკანა-ხაზზე-თავდაცვის სისტემის შემადგენელი ნაწილია. ტრანსფორმაცია მთელი III ს. მანძილზე მიმდინარეობდა; დასრულებული სახე მან კონსტანტინე I ღროს მიიღო. მაგ. შიდა რეზერვის შექმნა ჯერ კიდევ სევერუსმა სცადა. მან *II Parthica* ალბანუმში განალაგა, მანვე გაზარდა პრეტორიანული და საქალაქო კოჰორტების შემადგენლობა. გალიენემ კი სარეზერვო საკავა-

¹ Edward N. Luttwak. The Grand Strategy of the Roman Empire. From the First Century A.D. to the Third. Baltimore. 1981, გვ. 192-193; Tedo Dundua, Nino Silagadze. European Industrial Complexes of I Cycle of Capitalism and the Georgian Western Affiliations. Historical and Numismatic Tale. Tb. 2005, გვ. 5-7; Tedo Dundua. North and South. Tb. 2001, გვ. 8-15.

ლერიო ნაწილები შექმნა.²

სწორედ წინა-ხაზზე-თავდაცვის სისტემა ჩამოყალიბდა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში I ს-ში. რომის კლიენტი სახელმწიფოების და რომაული რეგულარული სამხედრო ნაწილების ურთიერთქმედებამ ეს საზღვარი თითქმის ორი საუკუნის მანძილზე გადაულახავ ბარიერად, ხოლო რეგიონი სტაბილურ მხარედ გადააქცია. მოგვიანებით სიტუაცია შეიცვალა. ჯერ ერთი, პონტოს ლიმესს ბარბაროსებმა უკნიდან, ზღვიდან დაარტყეს; მეორეც, მსგავსად სხვა სასაზღვრო ხაზებისა, აქაც III ს-დან ბარბაროს ტყვე მემორებს განასახლებენ სასაზღვრო სამსახურისთვის. ახლა, უფრო დაწვრილებით ყოველივე ამის შესახებ.

მდგომარეობა პონტოს საზღვარზე I - III საუკუნეებში

მითრიდატულმა ომებმა რომის წინსვლა მცირე აზიაში, გარკვეულწილად, შეაფერხა, თუმცა რესპუბლიკის დიპლომატიამ, სამხედრო სიძლიერემ და ტექნოლოგიურმა უპირატესობამ პონტო მოკავშირეების გარეშე დატოვა, ხოლო მისი შეუპოვარი მეფე Mითრიდატე VI ევპატორი კი თვითმკვლელობამდე მიიყვანა.³

მითრიდატე VI ევპატორის სიკვდილის (ძვ. წ. 63 წ.) შემდეგ, პონტო ჯერ რომის მოკავშირეებს შორის გაყვეს, შემდეგ კი ნომინალურ მმართველებს ჩააბარეს ზენონიდების დინასტიიდან; ბოლოს კი ის პროვინციად გადააქციეს. პონტოს ბედი გაიზიარა მცირე აზიის სხვა პოლიტიკურმა ერთეულებმა.

კოლხეთი, რომელიც მითრიდატე VI ევპატორის დროს პონტოს სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა, ჯერ იყო და რომის ნომინალურ მმართვე-

² E. Luttwak. The Grand Strategy of the Roman Empire, გვ. 173, 184.

³ მითრიდატე VI ევპატორის შესახებ მრავალი გამოკვლევა არსებობს. იხ. შემდეგი წყაროები და სპეციალური ლიტერატურა: აპიანე. მითრიდატეს ომების ისტორია. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და შესავალი და საძიებლები დაურთო თ. ყაუხჩიშვილმა. თბ. 1959; ლ. სანიციძე. პონტოს სამეფო. თბ. 1956; გ. გოზალიშვილი. მითრიდატე პონტოელი. თბ. 1962; თ. დუნდუა. კოლხეთი, იბერია და პონტო ნუმისმატიკური მასალების მიხედვით. თბ. 1993; თ. თოდუა. ძველი კოლხეთი და გარე სამყარო. თბ. 2008, გვ. 15-37; Th. Reinach. Mithridates Eupator König von Pontos. Leipzig. 1895; B. C. McGing. The Foreign Policy of Mithridates VI Eupator, King of Pontus. Leiden. 1986; The Cambridge Ancient History. Second Edition. Vol. IX. The Last Age of Roman Republic, 146 - 43 B.C. Ed. by J. A. Crook, Andrew Lintott, Elizabeth Rawson. First pub. in 1992. Cambridge University Press. 1999, გვ. 137-161, 229-255; H. Ю. Ломоури. К Истории Понтийского царства. ч. I. Тб. 1979, და სხვ.

ლობას დაუმორჩილეს და არისტარქე კოლხს (ძვ. წ. 63 - 47 წწ.) ჩააბარეს, ხოლო შემდეგ კი პონტოს აღდგენილი სამეფოს შეადგენლობაში შეიყვანეს. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც იქიდან რამდენიმე წლით ადრე ფარნაკე მითრიდატეს ძე იქნა გაძევებული.

მითრიდატე VI გარდაცვალებიდან ზუსტად ასი წლის თავზე – 63 წ. ნერონმა პონტოში გააუქმა პოლემონ II ნომინალური მმართველობა, რითაც პონტოს სამეფომ *de jure* არსებობა შეწყვიტა. პონტო რომის რიგით პროვინციად გადაიქცა.⁴ მსგავსი ბედი ეწია პონტოსთან დაკავშირებულ კოლხეთსაც, ის პონტოსთან ერთად გალატიის პროვინციაში გააერთიანეს, ხოლო შემდეგ კი – ე.წ. „კაპადოკიურ კომპლექსში“. აქვე შედიოდა ქალაქი ტრაპეზუნტი, რომელიც ამ დროისათვის ძლიერ დაწინაურდა. ამ ქალაქში იდგა არამარტო რომაული გარნიზონი, არამედ შავი ზღვის ფლოტიც იყო დისლოცირებული. რომაელები დასავლეთ საქართველოში მხოლოდ ზღვისპირა ზოლს აკონტროლებდნენ.⁵

ამ დროს მიმდინარეობს კოლხეთის ჩრდილოეთით და სამხრეთით მდებარე მთიანეთიდან სხვადასხვა კლანების ჩამოსახლება. მათ გააძლიერეს კოლხური სოციალური ელიტა და ახალი პოლიტიკური ერთეულები ჩამოაყალიბეს.⁶ კოლხეთის ჰინტერლანდში რომის ახალი კლიენტი სახელმწიფოები პონტოს ლიმესის ერთგვარი დამცავი ზოლი უნდა გამხდარიყო ჩრდილოური ექსპანსიის შესაჩერებლად – იქ სარმატებთან ერთად ბოსფორის სამეფოც აქტიურობდა. პართიის მომძლავრებამ რომს იბერიასთან კავშირისკენაც უბიძგა. ეს იმისთვის იყო საჭირო, რომ პართიას არმენიაში რომის გავლენა არ ჩაენაცვლებინა.

კაპადოკიის ლეგატის ფლავიუს არიანეს მიხედვით, აღმოსავლეთ შავი-ზღვისპირეთის შემდეგი კლიენტი მეფეები იღებენ გვირგვინს რომის ღვთაებ-

⁴ საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. I. თბ. 1970, გვ. 537-538.

⁵ რომაულ გარნიზონებზე კოლხეთში/ლაზიკაში იხ. მაგ. T. Dundua. Influx of Roman Coins in Georgia. Roman Coins Outside the Empire. Ways and Phases, Contexts and Functions. Proceedings of the ESF/SCH Exploratory Workshop. Radziwill Palace, Nieborów (Poland). 3 - 6 September 2005. Moneta. 82. Wetteren 2008, გვ. 309-319.

⁶ აღნიშნული პროცესი ძველი და ახალი წელთაღრიცხვების მიჯნაზე მიმდინარეობს, რასაც ქართულ ისტორიოგრაფიაში არაერთი გამოკვლევა მიემდგნა. იხ. ს. ჯანაშია. საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე. შრომები. ტ. I. თბ. 1949, გვ. 208-212; Г. А. Меликишвили. К Истории древней Грузии. Тб. 1959, გვ. 370-375; ნ. ლომოური. ეგრისის სამეფოს ისტორია (წარმოქმნიდან ახ. წ. V საუკუნის ბოლომდე). თბ. 1968, გვ. 6-12; თ. დუნდუა. ქართული ეთნოკულტურული ევოლუცია და დასავლეთი ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით. თბ. 1997, გვ. 239-240; ზ. პაპასქირი. ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან. ნაკვ. I (უძველესი დროიდან 1917 წლამდე). თბ. 2003, გვ. 26-31.

რივი იმპერატორებისგან:

„ამათ გვერდით არიან მაკრონები და პენიოხები, მათი მეფე ანქიალეა.⁷ მაკრონებისა და პენიოხების მეზობლები ძიდრიტები არიან, ესენი ფარსმანის ქვეშევრდომნი არიან. ძიდრიტების გვერდით ლაზები არიან. ლაზების მეფე მლასაა, რომელსაც ტახტი შენგან (ე.ი. ადრიანესგან – ავტ.) აქვს მიღებული. ლაზების მეზობლები აფსილები არიან, მათმა მეფემ იულიანემ მეფობა შენი მამისაგან (ე.ი. ტრაიანესგან – ავტ.) მიიღო. აფსილების მეზობლები აბასკები არიან. აბასკთა მეფე რესმაგაა, ამასაც ტახტი შენგან აქვს მიღებული. აბასკთა მეზობლები სანიეები არიან, მათ მიწაზე იმყოფება სებასტოპოლისი. სანიეთა მეფე სპადაკამ შენგან მიიღო ტახტი“ (Arr., Periplus, 11).⁸

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ამ მეფეთა უმრავლესობამ ტახტი იმპერატორ ადრიანეს (117 - 138 წწ.), ან მისი მამის (მამობილი), ტრაიანეს (98 - 117 წწ.) მმართველობის დროს მიიღო. ერთადერთი არის ანქიალე, ვისაც გვირგვინი არც ადრიანესგან და არც ტრაიანესგან მიუღია. გ. მელიქიშვილის აზრით, ეს შეიძლება იმ ერთგულებით ავსხნათ, რომელსაც ანქიალე ხანგრძლივად იჩენდა რომის მიმართ. ამ აზრის განსამტკიცებლად, მკვლევარს იმპერატორ ტრაიანეს მიერ, პართიის კამპანიის დაწყებამდე, მეფე ანქიალესადმი საჩუქრების გაგზავნის ფაქტი მოჰყავს (115 წ.).⁹ ის რომ ანქიალე 115 - 131 წწ. რომის ერთგული მოკავშირეა, ეს ეჭვს არ იწვევს, ხოლო მის მიერ მეფობის მიღება რომ არც ტრაიანეს და არც ადრიანეს უკავშირდება, უფრო იმის მანიშნებელია, რომ მახელონების და პენიოხების მეფე ანქიალე ჯერ კიდევ ტრაიანემდე და ადრიანემდე იყო მონარქი და, შესაბამისად, ის სამეფო გვირგვინს ანტონინების დროს ვერ მიიღებდა. საფიქრებელია, რომ მან გვირგვინი დომინიციანეს (81 - 96 წწ.) დროს მიიღო, რომელიც შეთქმულებმა მოკლეს და მის ადგილზე ტრაიანეს მომავალი მამობილი, სენატორი ნერვა აიყვანეს. დომინიციანე რომაელი ხალხის მტრად შერაცხეს, მისი ბიუსტები დაამსხვრიეს, ხოლო მისი ხსენება აკრძალეს. ამ მოვლენას ადგილი

⁷ ეს ტომები ჯერ კიდევ რომსა და პართიას შორის I ს. 50-იან წლებში მიმდინარე ბრძოლებში რომის მხარეზე გამოდიოდნენ და 58 წ. იბერიის მეფე ფარსმანთან ერთად კორბულონის ლეგიონებს ეხმარებოდნენ პართიის წინააღმდეგ ბრძოლაში. ეს მოვლენა არაპირდაპირ მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ მახელონებისა და პენიოხების პოლიტიკური გაერთიანება I ს. 50-იანი წლებიდან მოყოლებული II ს. I ნახ. ჩათვლით რომის მოკავშირეა და მისი არსებობა რომის ინტერესებს შეეხება. იხ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. I, გვ. 541.

⁸ ფლავიუს არიანე. მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო. თარგმანი, გამოკვლევა, კომენტარები და რუკა ნ. კეჭაყმაძისა. თბ. 1961, გვ. 42-43.

⁹ საქართველოს ისტორიის ნარკვევები. I, გვ. 546.

სწორედ ანტონინების დროს ჰქონდა.¹⁰ ამით შეიძლება აიხსნას ფლავიუს არიანესთან ანქიალეს მწყალობელი იმპერატორის გამოტოვება. ამდენად, ანქიალეს მეფობა დაახ. I ს. 90-იანი - II ს. 30-იანი წწ. შეიძლება განისაზღვროს.

ამგვარად, რომის იმპერია ახალი „მეგობარი და მოკავშირე“ ქვეყნების მეშვეობით პონტოს ლიმესის თავდაცვისუნარიანობის გაზრდას ცდილობს, რისთვისაც კარგად იყენებს მახელონების და ჰენიოხების, ლაზების, აფშილეების, აბაზგების, სანიგების და ძიგების (ჯიქების) პოლიტიკურ გაერთიანებებს.

ეს რაც შეეხება პონტოს საზღვრის მიმდებარე მთიან ზონას და ჰინტერლანდს. განსხვავებული სიტუაცია ფიქსირდება კოლხეთის/ლაზიკის ზღვისპირა ზოლში, სადაც რომაული კასტელუმები არის განლაგებული.¹¹

სწორედ რომაული კასტელუმების ინსპექციის საფუძველზე იქნა შედგენილი პატაკი იმპერატორ ადრიანესადმი, რომლის ავტორიც კაპადოკიის ლეგატი ფლავიუს არიანეა. არიანემ თავადვე მოიარა შავიზღვისპირეთის აღმოსავლეთი სანაპირო და მისი მოგზაურობა, შესაბამისად, აღწერა ნაშრომში – “Periplus Ponti Euxini”-ში.¹²

რომაული კასტელუმები კოლხეთის/ლაზიკის სხვადასხვა ქალაქებში იყო დისლოცირებული, მათ შორის აფსაროსში, ფაზისში და სებასტოპოლისში.

ამ ციხე-ქალაქების ერთი ნაწილი ზღვიდან ოდნავ მოშორებით არის აგებული და მათი ძირითადი მიზანი არამარტო ზღვისპირა ზოლის გამაგრება, არამედ მეოტიდა-კოლხეთის შემოსასვლელი გზის ჩაკეტვა იყო. ეს გზა, მსგავსად დარიალის და კასპიის გადმოსასვლელებისა, ჩრდილოეთიდან სამხრეთში მიმავალ გზებს შორის ყველაზე აქტიური სავაჭრო თუ სამხედრო მარშრუტი გახლდა, ამდენად მის კონტროლს სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა.

აფსაროსი, სადაც ხუთი კოპორტა¹³ იყო განლაგებული, ზღვიდან ცოტა მოშორებით იყო აგებული. ეს იმის მიმანიშნებელია, რომ მიზანი ამ ციხის აგებისა და იქ არმიის დიდი ნაწილის კონცენტრაციისა მტრისათვის მთავარი გასასვლელი გზის ჩაკეტვა, ან მისი გარკვეული დროის მანძილზე

¹⁰ The Cambridge Ancient History. Second Edition. Vol. XI. The High Empire, A. D. 70-192. Ed. by A. K. Bowman, P. Garnsey, D. Rathbone. First pub. 2000. Cambridge University Press. 2007, გვ. 55; Всемирная история. Том II. М. 1956, გვ. 638-639.

¹¹ რომაული კასტელუმების შესახებ ლაზიკაში იხ. გ. გამყრელიძე, თ. თოდუა. რომის სამხედრო-პოლიტიკური ექსპანსია საქართველოში. თბ. 2006, გვ. 65-91; III. X. Мамуладзе, М. С. Халваши, Л. С. Асланишвили. Римские гарнизоны Апсара. ВДИ. 2002. № 1, გვ. 33-39.

¹² იხ. ფლავიუს არიანე. მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო.

¹³ ფლავიუს არიანე. მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო, გვ. 35.

ციხესთან შეყოვნება იყო, რაც პონტოს და კაპადოკიის რეგიონებს უკეთესად მომზადების საშუალებას მისცემდა. თუმცა ანტიონინების დროს თავდაცვის ამ სისტემის გარღვევის საშიშროება ნაკლები იყო.

ოდნავ განსხვავებული მიზანი ჰქონდა ფაზისის ციხე-გალავანს. ეს უკანასკნელი, ფლავიუს არიანეს სიტყვებით რომ ვთქვათ, ხომალდების უსაფრთხო ლოკალიზაციისათვის იყო განკუთვნილი. ციხე-გალავანი ოთხას მეომარს იტევდა. მათი მიზანი გალავნის და ნავსადგურის დაცვა იყო. კედელი ადრე თიხის იყო და მასზე ხის კოშკები იდგა. ხოლო II ს-ის დასაწყისში ის უკვე აგურისაა, მასზე ბალისტიებია დადგმული. ამასთან ციხე-გალავანს ორმაგი თხრილი იცავდა, რომელიც მას გარშემო ჰქონდა შემოვლებული. კელიდან მოყოლებული ვიდრე მდ. ფაზისამდე ვაჭრები და ვეტერანი სამხედროები სახლობდნენ. აქვე იყო ნავსადგურის ერთი ნაწილი, მეორე ნაწილი კი გამაგრებულ ზონაშია მოთავსებული.¹⁴

არიანემ მიზნად დაისახა კელიდან მოყოლებული, ვიდრე მდინარე ფაზისამდე გაეგრძელებინა ორმაგი თხრილი, რითაც არამარტო სრულიად ნავსადგურს, არამედ ახალმოსახლე, ყოფილი ლეგიონერების საცხოვრებლებსაც დაიცავდა:

„ნავსაყუდელი უშიშარი თავშესაფარი უნდა ყოფილიყო ხომალდთათვის . . . გადაეწყვიტე, რომ ციხის კედლის გარშემო არსებული ორმაგი თხრილიდან გამეყვანა მდინარემდე სხვა თხრილი, რომელიც გარს შემოუვლიდა ნავსადგურს და ციხის კედლის გარეთ მდგომ სახლებს (იგულისხმება ვეტერანი სამხედროებისა და ვაჭრების სახლები – ავტ.)“ (Arr., Periplus, 9).¹⁵

ღიოსკურია/სებასტოპოლისის და პიტიუნტს პირველებს ევალებოდა მიეღო მტრის დარტყმა მათი ჩრდილოეთიდან შემოსვლის შემთხვევაში. პიტიუნტი არიანეს დროს, ალბათ, უმნიშვნელო სადგომი იყო (ის არიანესთან არ იხსენიება) და მოსაზღვრე რეგიონების დაზვერვის ფუნქცია თუ ჰქონდა. მოგვიანებით (III ს. შუა წლებისთვის) აქ რომაელებმა ძლიერი საფორტიფიკაციო ნაგებობანი ააგეს, რაც გუთების გააქტიურებით იყო გამოწვეული.¹⁶

ნ. ლომოურის აზრით, აფსაროსის ძირითადი დანიშნულება იბერიის ექსპანსიის შეჩერება იყო, ხოლო ფაზისის კი – კოლხეთ/ლაზიკაში რომაული გავლენის გაძლიერება.¹⁷ ამგვარად, აფსაროსის კასტელუმის შექმნის მიზე-

¹⁴ ფლავიუს არიანე. მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო, გვ. 39-40.

¹⁵ ფლავიუს არიანე. მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო, გვ. 40.

¹⁶ ნ. ლომოური. ეგრისის სამეფოს ისტორია, გვ. 41.

¹⁷ ნ. ლომოური. ეგრისის სამეფოს ისტორია, გვ. 36-37.

ზად ადგილობრივი მოსახლეობის კონტროლი და იბერიის ექსპანსიის შეჩერება სახელდება. ნ. ლომოური ხაზს უსვამს ალანთა მოძღვარებასაც, რაც I - II სს. მოყოლებული მნიშვნელოვანი გამოწვევა ხდება რომის შავიზღვისპირეთის სამფლობელოებისთვის და ამიერკავკასიის ქვეყნებისთვის.¹⁸

ჩრდილოეთიდან პრობლემები განსაკუთრებით გამძაფრდა მას შემდეგ, რაც III ს-დან იწყება გუთების მასიური საზღვაო ექსპანსია სამხრეთის მიმართულებით. გუთთა საფრთხე აქტუალურია მანამ, ვიდრე ისინი ჰუნებმა არ განდევნეს ჩრდილოეთის სტეპებიდან. III ს-ის 50-იან წწ-ში ბოსფორელების დახმარებით გუთები პიტიუნტს მიაღწენენ, თუმცა ადგილობრივმა რომაულმა გარნიზონმა ისინი დაამარცხა და აიძულა სახლში წასულიყვნენ. მაგრამ შემდეგ იმპერატორმა ვალერიანემ (253 - 260 წწ.) სუკესიანუსი, ამ ბრძოლის გმირი და რომაელთა მეთაური, უკან გაიწვია, რასაც მოჰყვა გუთების ხელახალი ლაშქრობა. ამჯერად ისინი ფაზისს მიაღწენენ, თუმცა აქ წარმატებას ვერ მიაღწიეს. სამაგიეროდ, მათ დაიკავეს და გადაწვეს პიტიუნტი, ასევე – ტრაპეზუნტი, ააოხრეს მათი მიმდებარე მხარეები და მრავალი მოსახლე დახოცეს.¹⁹ საერთო ჯამში, გუთების ეს ლაშქრობები თითქმის სამი წლის განმავლობაში (254 - 256 წწ. ან 255 - 257 წწ.) გაგრძელდა და პონტოს ლიმესის გარდა, ბითვინია, მცირე აზიის სხვა ჩრდილოეთი პროვინციები და კაპადოკიის ცენტრალური ნაწილიც მოიცვა.²⁰

გუთების და სხვა ჩრდილოელი ხალხების თავდასხმები გაგრძელდა III ს-ის 60-იან და 70-იანი წწ-ის პირველ ნახევარშიც, რამაც, მცირე აზიის გარდა, ბალკანეთის პროვინციები და ეგეოსის სანაპირო მიწებიც მოიცვა.²¹ ჩრდილოეთიდან წამოსული გუთების შედარებით უფრო სერიოზული ტალღა 275 წ. დაატყდა თავს პონტოსს ლიმესს.²² გუთები, ზოსიმეს ცნობით, მდი-

¹⁸ ნ. ლომოური. ეგრისის სამეფოს ისტორია, გვ. 32-37; ნ. ლომოური. რომისა და ამიერკავკასიის ქვეყნების ურთიერთობისათვის ახ. წ. I საუკუნეში. თსუ შრომები (ისტორიის . . . სერია). ტ. 77. თბ. 1959, გვ. 146-153; საქართველოს ისტორიის ნარკვევები. I, გვ. 510-534.

¹⁹ ნ. ლომოური. ეგრისის სამეფოს ისტორია, გვ. 40-42.

²⁰ P. Heather, J. Matthews. The Goths in the Fourth Century. TTH. Vol. 11. Liverpool University Press. 1991, გვ. 2; A. Watson. Aurelian and the Third Century. Routledge: London and New York. 1999, გვ. 24-25; M. Kulikowski. Rome's Gothic Wars: From the Third Century to Alaric. Cambridge University Press. 2007, გვ. 18-19.

²¹ დაწვრილებით გუთების შემოსევების შესახებ III საუკუნის 50-70-იან წწ-ში, იხ.: H. Wolfram. History of the Goths. Tr. by T. J. Dunlap. University of California Press. 1990, გვ. 48-57.

²² ნ. ლომოური. ეგრისის სამეფოს ისტორია, გვ. 42; P. Heather, J. Matthews. The Goths in the Fourth Century, გვ. 3, სქ. 7.

ნარე ფაზისთან გადმოსხდნენ, ხოლო შემდეგ კი სანაპიროს გავლით პონტოში ჩავიდნენ და იქიდან გალატიისა და კილიკიის დარბევა დაიწყეს. გუთების ეს სამხედრო კამპანია რამდენიმე წელიწადს გაგრძელდა და მცირე აზიის დიდი ნაწილი მოიცვა. იმპერატორმა პრობუსმა, როგორც იქნა, შეძლო მათი შემორიგება და ამით გუთების თავდასხმა რომის ტერიტორიაზე შეწყდა.²³

ნ. ლომოური ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ გუთები, ზოსიმეს მიხედვით, ფაზისთან გადმოსხდომისას არ უტყვევნი თავად ქალაქ ფაზისს და ისე აგრძელებენ გზას პონტოს მიმართულებით. ამ ფაქტს, ის, გიორგი მელიქიშვილის მსგავსად, ლაზეთის სამეფოს გაძლიერებით ხსნის, რამაც, თითქოს, არ მისცა გუთებს ქალაქის აღების საშუალება, რაც მათ ვერც წინა შემთხვევაში, III ს. 50-იან წწ-ში მოახერხეს.²⁴ აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ზოსიმესთან არაფერია ნათქვამი ლაზეთის ჩარევაზე გუთების 275 წ. სამხედრო კამპანიის მიმდინარეობისას. ხოლო გუთების ფაზისთან გადმოსხდომას სხვანაირად ვერ ავხსნით, თუ არა მათ მიერ სურსათ-სანოვავის შევსების და ფლოტილიის განახლების სურვილით, რაც, ბუნებრივია, გულისხმობდა ადგილობრივი რესურსების გამოყენებას, რისი მიღწევაც გუთებს მხოლოდ ადგილობრივი მოსახლეობის და რომაული გარნიზონის წინააღმდეგობის გადალახვით შეეძლო.

ამდენად, ზოსიმეს ღუმილი გუთების ფაზისთან წარმატების შესახებ სულაც არ ნიშნავს იმას, რომ გუთები ფაზისს არ დაუფლნენ, ან იმას, თითქოს იქ არაფერი მოიმოქმედეს. ჩვენი აზრით, შესაძლოა, გუთებმა მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენეს ადგილობრივ რომაულ გარნიზონს.²⁵ ამ დანაკარგის შევსება იმპერატორმა პრობუსმა (276 - 282 წწ.) აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ფრანკი ლიმიტანების ჩასახლებით სცადა.

ფრანკი ლიმიტანები ლაზიკაში

ფრანკთა და ალემანთა დიდი ფედერაციები III ს. რაინის ლიმესს დაემუქრა. გუთები კი 238 წ-თვის უკვე დნესტრზე არიან.²⁶ ფრანკები გალიას

²³ ნ. ლომოური. ეგრისის სამეფოს ისტორია, გვ. 42.

²⁴ ნ. ლომოური. ეგრისის სამეფოს ისტორია, გვ. 42-43.

²⁵ კ. ფიფიას შენიშვნით, სწორედ გუთების ამ დაშქრობის დროს მიაყენეს მნიშვნელოვანი ზიანი რომაულ კასტელუმს აფსაროსში, რომელიც ამ დროიდან დროებით წყვეტს არსებობას. იხ. კ. ფიფია. ციხე-ქალაქ აფსაროსში გოთების დაშქრობის ისტორიისათვის. ჟურნ. საისტორიო ძიებანი. ტ. VIII-IX. თბ. 2006, გვ. 59-65.

²⁶ E. Luttwak. The Grand Strategy of the Roman Empire, გვ. 128, 146.

უტყვენ, ალემანები – საკუთრივ იტალიას. იმპერატორ მარკუს ავრელიუს პრობუსის (276 - 282 წწ.) მოღვაწეობის გვირგვინია გალიის 70 ქალაქის უკან დაბრუნება. რომაელებმა გაჟლიტეს თითქმის ნახევარი მილიონი, უკუაქციეს ფრანკები და ალემანები. შემდგომ პრობუსმა რაინი გადალახა, აქედან მან ცხენები და საქონელი წამოასხა, ხორბალი წამოიღო. იმპერატორმა 16 000 გერმანელი რეკრუტი ჩაიბარა, გაფანტა რა ისინი სხვადასხვა საჯარისო ნაწილებში. სხვა ტყვედწაყვანილ თუ ლტოლვილ ბარბაროსებს მან ახალი სტატუსი მოუგონა – სასაზღვრო ზოლის ფერმერი-მეომარი. კემბრიჯში პრობუსმა ვანდალები დაასახლა, ფრანკების ნაწილს და გეპიდებს ღუნაის და რაინის სანაპიროები მიუჩინა, ბასტარნებს – თრაკია. ფრანკების კიდევ ერთ პარტიას პონტოს ზღვის სანაპირო ზოლი გამოეყო.²⁷ მაგრამ სად? სწორედ ეს არის ჩვენი მსჯელობის საგანი.

აი, რას წერს ედ. გიბონი მათ შესახებ: ფრანკებს ალანთა შემოსევები უნდა მოეგერიებინათ. მათ კი ხელთ იგდეს ერთ-ერთ ყურეში დისლოცირებული ფლოტი, და ფაზისის (! – ავტ.) შესართავიდან ზღვებით რაინს მიაშურეს. ბოსფორი და ჰელესპონტი ფრანკებმა სხვებისთვის შეუძნეველად გაცურეს, ხმელთაშუაზღვისპირეთში კი ისინი აზიის, საბერძნეთის და აფრიკის სანაპიროებს მარცვავენ. ფრანკებს ემსხვერპლა ქალაქი სირაკუზი. მათი შემდგომი მარშრუტი ასეთია – ჰერაკლეს სვეტები > ლამანში > ბატავების ან ფრიზების მიწა.²⁸

რას ეყრდნობა ედ. გიბონი კონკრეტული პასაჟისთვის? ზოსიმეს და კონსტანციუს ხლორუსისადმი მიძღვნილ ერთ პანეგირიკს. ვნახოთ, რა წერია აქ.

პანეგირიკის ავტორი, იხსენიებს რა ძველ ამბავს, აღნიშნავს ტყვე ფრანკთა პატარა გუნდის უდიდეს წარმატებას, რომელიც ღვთაებრივი პრობუსის დროს მოტაცებული გემებით პონტოდან გამოემურა, გააჩანაგა საბერძნეთი და აზია, ზიანი მიაყენა აფრიკას, აიღო სირაკუზი. ჰერაკლეს სვეტებით ფრანკები ოკეანეში შეცურდნენ (*Recursabat quippe in animos illa sub diu Probo paucorum ex Francis captiuorum incredibilis audacia et indigna felicitas, qui a Ponto usque correptis nauibus Graeciam Asiamque populati nec impune plerisque Libyae litoribus appulsi ipsas postremo naualibus quondam uictoriis nobiles ceperant Syracusas et immenso itinere peruecti oceanum, qua terras irrumpit, intrauerant atque ita euentu temeritatis ostenderant nihil esse*

²⁷ Edward Gibbon. The History of Decline and Fall of the Roman Empire. vol. Second. A New Edition. MDCCLXXXVII (1787). თავი XII.

²⁸ E. Gibbon. The History of Decline and Fall of the Roman Empire. თავი XII, 71-72.

clausum piraticae desperationi, quo nauigiis pateret accessus.) (Panegyricus Costantio Dictus, IV. XVIII).²⁹

ზოსიმესთან შემდეგი ინფორმაციაა: მათივე თხოვნის საფუძველზე, იმპერატორმა ფრანკებს დასასახლებლად ქვეყანა გამოუყო. შემდგომ მათი ნაწილი აჯანყდა, და დიდი რაოდენობით გემი შეაგროვა. ფრანკებმა ააფორიაქეს საბერძნეთი, აქედან კი სიცილიისკენ გაცურეს, სირაკუზში მათ დიდძალი ხალხი დახოცეს. აფრიკიდან ისინი გამოაძევა ქალაქ კართაგენის მილიციამ. მიუხედავად ამისა, ფრანკები, დიდი დანაკლისის გარეშე, სახლებში ბრუნდებიან (Zosim. I, 71).³⁰

როგორც ვხედავთ, ამ ექსპედიციის საწყის პუნქტად ფაზისის შესართავი არსად ფიგურირებს. მაშ, საიდან მოიტანა ის ედ. გიბონმა?!

ყოველივე ლოგიკური მიგნებაა, გამორიცხვის მეთოდით.

მართლაც, ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთი რომაული კონტროლის მიღმაა, დასავლეთში, და საერთოდ, ბალკანებზე, უკვე უამრავი ბარბაროსია ჩასახლებული, მცირე აზიის სანაპირო ზოლს ამისთვის ნაკლებად იყენებდნენ; ე.ი. რჩება ლაზიკა და პონტოს ლიმესი. უფრო სწორად, პონტოს ლიმესის რემინისცენცია, რომელსაც უკვე საფრთხე არა ფრონტიდან ემუქრება, წინ ხომ, დამატებით, ვასალი ლაზი მეფეა, არამედ ზურგიდან, გუთი მეკობრეების მხრიდან.

ფროთხილი ჰიპოთეზის სახით, შესაძლოა ვივარაუდოთ ფრანკი ლიმიტანების რეალობა ლაზიკაში. რა კონკრეტული კოორდინაცია არსებობდა მათსა და რეგულარულ ნაწილებს შორის, ჩვენ არ ვიცით. არც მათი რაოდენობა ვიცით, და არც ის, რამდენი დარჩა ლაზიკაში აჯანყების შემდგომ, როგორ წარიმართა მათი შემდგომი ცხოვრება.

ისიც ლოგიკურია, რომ *receptio*-ს სისტემა რომის ყველა პროვინციას უნდა შეხებოდა, ცენტრი ბარბაროსული სუპერსტრატით რომ არ დატვირთულიყო. III ს. იმპერია ჯერ კიდევ ახერხებს ამის გაკეთებას.

შემოკლებათა განმარტება

ТТН – Translated Texts for Historians

ВДИ – Вестник древней истории

²⁹ Panegyriques Latina. T. I (I-V). Texte Établi et Traduit par Éd. Galletier. Paris. 1949, გვ. 96-97.

³⁰ Zosimus. New History. London. 1814. Book 1; *Zosimi comitis et exadvocati fisci historia nova*. Ed. by L. Mendelssohn. Lipsiae. MDCCCLXXXVII (1887), გვ. 52.

Tedo Dundua, Leri Tavadze

***LIMES PONTICUS* – ABOUT PONTIC FRONTIER IN THE 1ST - 3RD CC.**

Summary

Before being totally destroyed, Imperial security system actually had shown three gradual phases of development.

Beyond the Roman Rhine, Danube and Pontus there were many others favouring to the Roman concept of Pan-European integration. The happy client kings used to be awarded with the Roman citizenship. And for the Julio-Claudians these client kingdoms formed the first defense-line of the Imperial territories. A little behind, the whole perimeter had been dotted by solid legionary concentrations, proving the system to be impregnable. No cardinal changes took place in the era of the Antonines, except of annexation of the client kingdoms and breaking the big concentrations in favour of scattering the legions along the whole frontier. In the both cases, after defeating comparatively weak enemy at the border, the Romans usually attacked their territory. This system of security is called forward defense.

Gradually, many things had happened that completely changed the defensive strategy, namely: 1. economic crisis, 2. weakening of the integratory links, 3. socio-economic animation of “*Barbaricum*”, 4. financial chaos and some professional regiments converted into *limitanei*. From now they are to stand the first strike and evacuate the whole frontier folk into citadels, thus wearing down the enemy. And there were large and mobile field armies deployed far behind that self-contained strongholds to cut down any invasion into the depth. This system shaped in the times of Diocletian is called defense-in-depth.

But before this new system was finally established, the Romans had been fighting those already easily passing the border wherever they could manage to concentrate large army-units. Name for the defensive system is elastic defense.

Security-system had to be changed at least because of emergence of the Germanic seaborne attacks from the 3rd c. everywhere at the seas that prolonged the line of the frontier.

Full-time units, legions, *alae* of cavalry, *cohortes* of infantry and mixed *cohortes equitatae* served the forward defense-system. Part-time border force of *limitanei* had appeared and auxiliary *alae* and cohorts had disappeared; and regular mobile reserve – *comitatenses* – substituted legions, fixed at the border. All they served new security system – defense-in-depth. The whole 3rd c. saw these changes, finally shaped in the times of Constantine I.

From the great deeds of Emperor M. Aurelius Probus (276-282) the most important is the deliverance of seventy Gaulic cities. He drove back Franks and Alemanns, four hundred thousand of them being killed. Probus passed the Rhine, and returned back with considerable tribute of corn, cattle, and horses. Sixteen thousand Germanic recruits were dispersed among the Roman units. Other captive or fugitive barbarians gained a new status, that of part-time peasant-soldiers (*limitanei*). Emperor transported a considerable body of Vandals into Cambridgeshire, great number of Franks and *Gepidae* were settled on the banks of the Danube and the Rhine, *Bastarnae* – in Thrace. Pontic (The Black Sea) coast was reserved for some more Franks. But which one exactly? This is to be discussed.

According to Ed. Gibbon, Franks settled at the sea-coast of Pontus had to check the Alani inroads. A fleet stationed in one of the harbors of the Euxine fell into their hands, and they resolved, through unknown seas, to explore their way from the mouth of Phasis (River Rioni in the West Georgia, Ancient Colchis/Lazica – T. D., L. T.) to that of the Rhine. They easily escaped through the Bosphorus and the Hellespont, and cruising along the Mediterranean, indulged their appetite for revenge and plunder by frequent descents on the shores of Asia, Greece and Africa. City of Syracuse was sacked by the Barbarians. Franks proceeded to the columns of Hercules, coasted round Spain and Gaul, and steering their course through the British channel, at length finished their voyage by landing in safety on the Batavian or Frisian shores.

What is this whole story based on? Zosimus and one panegyric to Constantius Chlorus contributed to it.

There is no mention of mouth of the river of Phasis as a spring-board for the expedition in the sources. Then, what was in Gibbon's mind? Perhaps, logics, excluding the possibilities.

Indeed, the Northern Black Sea coast is beyond the Roman rule. The Western shores, and the Balkans are already packed with the Barbarians. Southern littoral had been less used for *receptio*. While Lazica and Pontic *Limes*

can not be argued. Being active since the 2nd half of the 1st c., this *Limes* was based upon well-manned castellum-system from Pitius to Apsaros in the Western Georgia. The Roman forts protected the units of the Roman Black Sea fleet in the small harbours, and also controlled the route coming from Meotis to Asia Minor. And something strange had happened to this *limes* in the 3rd c. Now threat comes not from the front, the Romans have Lazi client king dwelling there, but – from behind, because of the Goths living at the Northern shores of the Black Sea.

We can only guess that the Franks were in Lazica as *limitanei*.

როლანდ თოფჩიშვილი

ონომასტიკური მონაცემები დვალთა ეთნიკური კუთვნილების შესახებ

საქართველო, ისევე როგორც სხვა ცივილიზებული ქვეყნები, ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეების ერთობლიობას წარმოადგენდა. დასავლეთ ევროპულ მეცნიერებაში ასეთ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებს უბრალოდ ტერიტორიული ან ლოკალური ერთეულების სახელწოდებით მოიხსენიებენ. რაც შეეხება ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეების/ტერიტორიული/ლოკალური ერთეულების მკვიდრებს, ისინი ეთნოგრაფიულ ჯგუფებად იწოდებიან. საქართველოს ერთ-ერთი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე იყო დვალეთი. მისი მკვიდრნი დვალეები კი ქართული ეთნოსის ეთნოგრაფიული ჯგუფს შეადგენდნენ. დვალეთი, ისევე როგორც თუშეთი, ხევი და პირიქითა ხევსურეთი, კავკასიონის მთავარი ქედის ჩრდილოეთით მდებარეობდა; კავკასიონის მთავარი ქედი აქ დაბალი იყო, ვიდრე პირიქითა ქედი. დვალეთში შესასვლელები იყო ხევიდან (თრუსოს გზით), შიდა ქართლის მთიდან (ლიახვის ხეობიდან) და მთის რაჭიდან. თერთმეტი გადასასვლელი ზამთარშიც კი არ იკეტებოდა, მაშინ, როდესაც დვალეთიდან ოსეთში (ალაგირის ხეობაში) მხოლოდ ერთი გადასასვლელი იყო. ეს იყო *კასრის კარი*, რომელსაც გავლაც მხოლოდ ზაფხულში სამი-ოთხი თვის განმავლობაში შეიძლებოდა. კასრის კარის შესახებ ვახუშტი ბაგრატიონი წერდა: „და არს აქ კარი კლდისაგან და ქვითკირით ქმნილი, დიდკამაროვანი, მდინარესა ზედა, მეფეთაგან ქმნილი, რათა არა ვიდოდნენ თვინიერ მათსა ოვსნი“.¹

დვალეთსა და დვალეებზე როდესაც ვსაუბრობთ, სამწუხაროდ, ეს საუბარი წარსულ დროში გვიხდება, რადგან დვალეთი დღეს საქართველოს ფარ-

¹ ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. IV. თბ. 1973, გვ. 644-645.

გლებს გარეთაა და დვალთა ეთნოგრაფიული ჯგუფიც აქ აღარ მკვიდრობს. ისინი გაქრნენ. ვახუშტის ცნობით, დვალეთი ფარნავაზ მეფის დროიდან (ძვ. წ. IV-III საუკუნეების მიჯნა) საქართველოს განუყოფელი ნაწილი იყო.² ისევე როგორც საქართველოს მთიანეთის სხვა მხარეები, დვალეთიც უშუალოდ სამეფო კარის დაქვემდებარებაში იყო, აქ ფეოდალური ერთეული – სათავადო არ შექმნილა (ასევე იყო მეზობელ მთის მხარეებში: ფშავეში, ხევსურეთში, თუშეთში...). მთიელებს, საერთოდ, შედარებით თავისუფლება ჰქონდათ ბოძებული, მათი მოვალეობა ძირითადად საზღვრების დაცვა იყო. საქართველოს ერთიანი სამეფოს დაშლის შემდეგ, XV საუკუნის მეორე ნახევრიდან, დვალეთი ქართლის სამეფოს განუყოფელი ნაწილი იყო. მხარეს მეფეთა მიერ დანიშნული მოხელეები – მოურავები განაგებდნენ. ცნობილ პიროვნებათაგან დვალეთის მოურავი XVII საუკუნის დასაწყისში იყო გიორგი სააკაძე.

საქართველოს ხელისუფლება სრულ კონტროლს რომ ახორციელებდა დვალეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეზე და რომ აქ სამეფო კარს თავისი მოხელეები ჰყავდა, კარგად ჩანს XVIII საუკუნის საარქივო მასალებით. მაგალითად, 1780 წლით დათარიღებულ წყალობის წიგნში ვკითხულობთ: „ქნებითა ღვთისაითა, ჩვენ საქართველოს მეფის ბაქარის შვილმან და მეფის ვახტანგის შვილიშვილმან ალექსანდრემ ესე წყალობის წიგნი გიბოძეთ შენ **ნარელს აზნაურიშვილს თომაშვილს თავის**, ამისთვის, რომ ჩვენი მამაპაპისათვის თქვენს მამაპაპათა მრავალი უმსახურიათ და დიდად ერთგულნი და თავდადებულნი ყოფილან და ჩვენი ოჯახიც თქვენის ნამსახურობით დგას დღესაც და ჩვენცა ამაღ ჯამაგირი გაგვიჩენია შენთვის, რომ ყოველს წელიწადს საუკუნოთ ჩვენგანა და ჩვენის შვილისშვილებისაგან შენ შვილთა ჩამომავალთა არ მოემალოს და ყოველს წელიწადს გეძლეოდესთ ორმოცდაათი მარჩილი და თუ კიდევ თქვენგან მეტი ერთგულება და ნამსახური ვნახოთ, ჩვენც ყოველს წელიწადს ჯამაგირსა და წყალობას გიძატებთ, ასე იცოდეთ ჩვენგან“.³ ამრიგად, მოყვანილი საბუთიდან კარგად ჩანს, რომ საქართველოს სამეფო კარს დვალეთის ცენტრში – ნარას თემში ჰყავდა აზნაური – ეთნიკური ოსი, თავი თომაშვილი, რომელსაც ერთგული სამსახურისათვის ყოველწლიური ჯამაგირი ჰქონდა დანიშნული. ანალოგიური წყალობის წიგნები იმავე პერიოდში ებოძათ ასევე დვალეთის ნარას ხეობაში მცხოვრებ აზნაუ-

² ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 633.

³ საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა). ფონდი 1461. წიგნი 6. საქმე №8.

რებს თავყან ხელფამაშვილს,⁴ ყანაჩ ზარაშვილს,⁵ პეტრე მამიაშვილს.⁶

უფრო მეტიც, საქართველოს სამეფო კარს დვალითის მხარეში არა მარტო აზნაურები, არამედ თავადიც გაუჩენია, რომელიც ქვეყნის საერთო ინტერესების სამსახურში იღვა. ქვემოთ მოყვანილი წყალობის წიგნიც 1780 წელსაა გაცემული: „ქ. ნებითა ღთისათა ჩვენ, საქართველოს მეფის ბაქარის შვილმან და მეფის ვახტანგის შვილისშვილმან ალექსანდრემ გიბოძეთ ესე წყალობის წიგნი შენ **თავადისშვილს ჯიდაშვილს მახმათს** შენის მამის და პაპის ნამსახურებისათვის და თვითან ახლა საკურთხად დიდის ნამსახურებისათვის ასორმოდგაათი მარჩილი, მე, ჩემმან შვილმან შენ და შენს შვილიშვილს გაძლიოთ და არც დაგაკლოთ და კიდევ მოგიმატოთ. აღიწერა ქუთაისს, აგვისტოს ზ, წელსა ჩღპ, ალექსანდრე“.⁷ 1747 წელს მეფე თეიმურაზს წელიწადში ერთი თუმანი დაუნიშნავს შიდა ქართლის მთიანეთში მცხოვრები ეთნიკური ოსის ჩალი ხაჩირიშვილისათვის.⁸ 1750 წელს წყალობის სიგელი მიუღიათ მეფე ერეკლესაგან აზნაურებს გიორგი და აგარონ ჯიდაყანაშვილებსაც.⁹ ვფიქრობთ, წარმოდგენილი საბუთების შესახებ ზედმეტია კომენტარი, მაგრამ მაინც უნდა აღვნიშნოთ, რომ დვალითიც და, მითუმეტეს, შიდა ქართლის მთიანეთიც, საქართველოს განუყოფელი ნაწილი იყო. ამის აღნიშვნა განსაკუთრებით იმიტომაცაა საჭირო, რომ ბოლო დროს რუსეთში გამოცემულ წიგნებსა თუ სტატიებში ხშირად ესმის ხაზი იმას, რომ თურმე ე. წ. სამხრეთ ოსეთი 1774 წელს ქუჩუკ-კაინარჯის ზავის პირობით ჩრდილო ოსეთთან ერთად შეიერთა რუსეთის იმპერიამ.

1772 წელს შიდა ქართლის მთის ოსური სოფლებისა და **დვალითის ზროგოს და მაცხვარის ხეობების მოურავობა ერეკლე მეორეს თავად იორამ ფავლენიშვილისა და მისი სახლიკაცებისათვის უბოძებია:** „ქ. წყალობითა ღთისათა ჩვენ... მეორემან ირაკლიმ... ესე წყალობის ფირმანი შეგიწყალებთ და გიბოძეთ შენ, ჩვენს დიდად ერთგულს და წესისაებრ მრავალგვარად ნამსახურს ფავლენიშვილს იორამს, სესიას, თეიმურაზს და იოანეს. ასე რომე, მოხვედით კარსა დარბაზისასა ჩვენისასა და მოურაობის წყალობას დაგვეაჯენით. ჩვენც თქვენის დიდად ერთგულებისა და მრავალ ნამსახურების გა-

⁴ სცსა. ფ. 1461. წიგ. 6. საქ. №9.

⁵ სცსა. ფ. 1461. წიგ. 6. საქ. №10.

⁶ სცსა. ფ. 1461. წიგ. 6. საქ. №12.

⁷ სცსა. ფ. 1461. წიგ. 6, საქ. №11.

⁸ სცსა. ფ. 1461. საქ. №2.

⁹ სცსა. ფ. 1461. საქ. №3.

მოსად შეგიწყალეთ და გიბოძეთ მთაში ოსის სოფლების მოურაობა: ჯრისა, ნინიაყავისა, ჯავისა, სხლებისა, ტონტობეთისა, ყვერსევისა, ლალიანთისა, ქოთონთოსი, ყეშულთისა, ჯავისთავისა, ზამთარეთისა, ზროგოს ხუთი სოფლისა, მაცხვარეთის სამი სოფლისა, დამწვარეთისა, ხეწესი, ყალასი, კიდე ყალასი, ქეშელთასი, დოდონისთა, ჩავათასი, თხელასი, მაირამისა, ჭამადანისა; მუგუთს გალავანასშვილები და გაბელაშვილები, კიდე მუგუთს ქოზაშვილები, ჩავათს გაბათაშვილები და ჩარბუასშვილები. ესენი თქვენთვის და შვილთა თქვენთვის სამუდამოდ გვიბოძებია, ყოვლის მისის სამართლიანის სარგოთი გქონდესთ და გიბედნიეროსთ ჩვენსა ერთგულად სამსახურსა შინა. არ მოგეშალოს ჩვენგან და არცა შემდგომთა მეფეთა მეპატრონეთაგან... დაიწერა კარისა ჩვენისა მდივანშვიგნობრის თუმანიშვილის სულხანის ხელით. აგვისტოს კ. ქკს უი“.¹⁰ ასე რომ, დიდი ლიახვის ხეობის მთიანეთსა და დვალეთში თავად ფავლენიშვილებს არა მარტო მთელი რიგი სოფლების მოურაობა, არამედ ყმა გლეხი ეთნიკური ოსებიც ეკუთვნოდათ.

რუსეთის იმპერიამ დვალეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე ქართლ-კახეთის სამეფოსთან ერთად შეიერთა.¹¹ 1858 წლის 3 აპრილამდე დვალეთი ნარას უბნის სახით თბილისის გუბერნიის გორის მაზრაში შედიოდა. დასახელებულ დროს დვალეთი ცარიზმმა საქართველოს ჩამოაჭრა და თერგის ოლქს გადასცა. ასე დაკარგა საქართველომ თავისი ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი – 3 581 კვ. კმ.

დვალეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში ეთნიკური ცვლილება XV საუკუნის ბოლოს დაიწყო და ის ძირითადად განხორციელდა XVI საუკუნეში – ქართველი მთიელი დვალეები თანდათან ეთნიკურმა ოსებმა შეცვალეს, რომლებიც აქ ალაგირის ხეობიდან გადმოსახლდნენ. XVII საუკუნეში დვალეთში, ფაქტობრივად, დასრულდა ადგილობრივ ქართველთა ეთნოგრაფიული ჯგუფის (ტერიტორიული ერთეულის) – დვალეების ასიმილაცია ოსების მიერ. დვალეების ასიმილაცია განაპირობა იმან, რომ ისინი, მიგრირებულ ოსურ ენობრივ-ეთნიკურ გარემოში, უმცირესობაში აღმოჩნდნენ, რადგან ოსთა ხშირი თარეშების, მეკობრეობის შედეგად, დვალეები საქართველოს სხვადასხვა მხარეში გაიფანტნენ. თუმცა, როგორც ეთნოგრაფიული მასალებით ირკვევა, დვალეთის ზოგიერთ ხეობაში ეთნიკური ტრანსფორმაციის

¹⁰ სცსა. ფ. 1450. წიგ. 45. საქ. №188.

¹¹ რ. თოფჩიშვილი. ეთნიკური პროცესები შიდა ქართლში. საქართველოში არსებული კონფლიქტები და მშვიდობის პერსპექტივები. თბ. 2009, გვ. 145-146.

პროცესი დიდხანს გაგრძელებულა; ზახაში ორენოვნება XIX საუკუნის ბოლომდე იყო შემორჩენილი.¹² ზახელების უმეტესობამ, ოსურთან ერთად, ქართული ენა კარგად იცოდა. ეთნოგრაფიული მასალის დამფიქსირებელი ბ. კალოევი, რომელიც დვალეთის ზახას ხეობის მკვიდრი იყო, ამას საქართველოსთან ხანგრძლივი ეთნოკულტურული კავშირებით ხსნის, აგრეთვე ზახის ეკლესიებში ქართული სასულიერო პირების მოღვაწეობითა და მათ მიერ ქართულ ენაზე ქადაგებით. ეს მონაცემები პირდაპირ მიუთითებს არა ორ სხვადასხვა ეთნოსს შორის არსებულ ეთნოკულტურულ კონტაქტებზე, არამედ იმაზე, რომ დვალეები ქართველი მთიელები იყვნენ და მოსულმა ირანულ-ენოვანმა ერთობამ მათი ასიმილაცია მოახდინა. ზახაში ქართული ეკლესიების არსებობა, ქართველი მღვდლების მოღვაწეობა და ქართულ ენაზე ქადაგება იმის დამადასტურებელია, რომ დვალეთი ქართული მხარე იყო თავისი ქრისტიანული რელიგიით; ის ნიქოზის ეპარქიაში შედიოდა.

დვალეთის მხარე ეთნიკურად ქართული რომ იყო, ამას მატერიალური კულტურის კიდევ ერთი სახის ძეგლები ადასტურებს – ესაა *თლისა* და *ხოზიტა-მაირამის* ხუროთმოძღვრული ძეგლები. როგორც სათანადო გამოკვლევებითაა დადგენილი, თლისა და ხოზიტა-მაირამის ეკლესიები, რომლებიც XI საუკუნის დასაწყისშია აგებული, ტიპური ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლებია და არაერთ იმდროინდელ საქართველოს ძეგლთან აქვს ანალოგი. რაც მთავარია, მსგავსი ქრისტიანული ხუროთმოძღვრული კომპლექსი არსად ჩრდილოეთ ოსეთში არ არსებობს.¹³

სამეცნიერო ლიტერატურაში ისიცაა აღნიშნული, რომ XVIII საუკუნის ბოლოსაც დვალეთის მკვიდრნი, საჭიროების შემთხვევაში, საქართველოს ჯარში ისევე იბრძოდნენ, როგორც სხვა ქართული მხარეების წარმომადგენლები.

ოსური გადმოცემებიც ადასტურებენ, რომ ოსური ეთნოსი დვალეთში ბრძოლით არის მოსული. ადგილობრივ დვალეებს ისინი ამარცხებდნენ და ასე იკავებდნენ მათ საცხოვრებელ ადგილებს. ასეთი გადმოცემების საშუალებით, შეიძლება დავადგინოთ დვალეთის ადგილობრივი (ქართული)¹⁴ და მოსული

¹² Б. А. Калоев. Осетинские историко-этнографические этюды. М, 1999, გვ. 274.

¹³ ვ. დოლიძე. ხოზიტა-მაირამი – საქართველოსა და ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა კულტურული ურთიერთობის საბუთი. ჟურნ.: „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე“. ტ. XV. №2. 1954, გვ. 119-126; ვ. დოლიძე. თლის ხუროთმოძღვრული ძეგლი – საქართველოსა და დვალეთის კულტურული ურთიერთობის ახალი საბუთი. ჟურნ.: „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე“. ტ. XXI. №6. 1958, გვ. 767-773.

¹⁴ რ. თოფჩიშვილი. ეთნოისტორიული ეტიუდები. წიგნი I. თბ. 2005, გვ. 175.

(ოსური) გვარები. დვალეთში ფეხის მოკიდების შემდეგ ოსებმა შიდა ქართლის მთიანეთში გადმონაცვლეს.

ნარ-მამისონის ქვაბულში (ანუ ისტორიულ დვალეთში) XVIII საუკუნისათვის განსახლებული ოსური გვარები ძირითადად ალაგირის ხეობიდან რომ იყვნენ გადმოსახლებულნი, ამის დამადასტურებელი ეთნოგრაფიული მონაცემები რუს ეთნოლოგებს აქვთ დადასტურებული: «Другим более массовым и давним по времени движением алагирцев за пределы своего ущелья следует считать, видимо, их поселение в Центральной (ბოლო დროს ოსები ამ ტერმინით დვალეთს მოიხსენიებენ; ის ბ. კალოვემა დაამკვიდრა – რ. თ.) и Южной Осетии. Народная традиция выводит многих жителей верховьев Большой Лиахвы и Ардона из алагирских селений Цамат, Дагом, Луар, Урсдон, Цей и др.»¹⁵. «Формирование населения области Гуалта (ოსები დვალეთს „თუალთას“ უწოდებენ – რ. თ.), как уже отмечалось, происходило в основном за счет переселявшихся алагирцев., в Зругском ущелье (იგივე ზროგოს ხეობა – რ. თ.) поселились предки Козаевых, Хозиевых, Бираговых, в Закинском ущелье (ზახას ხეობა – რ. თ.) – Калоевых, в Гибе – Кучиевых из Мизура»¹⁶. მკვლევართ შენიშნული აქვთ, რომ ოსეთის ალაგირის ხეობა ყველაზე ნაკლებ ნაყოფიერი იყო, რაც აქაური ოსების ინტენსიური მიგრაციის მიზეზი იყო. ვერ გაექცა დვალეთელი ოსების კავკასიურ საფუძველზე წარმოქმნის უტყუარ მასალას ბ. კალოვეი, რომელიც აღნიშნავს, რომ ისინი ჩამოყალიბდნენ ალანების მიერ ადგილობრივი კავკასიური ტომების – დვალების ასიმილაციის გზითო, თუმცა დვალების ეთნიკური ქართველობის აღიარება უჭირს.¹⁷

დვალეთი არა მხოლოდ სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურად, არამედ სამეურნეო-ეკონომიკური თვალსაზრისითაც საქართველოსთან იყო დაკავშირებული. სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნულია, რომ დვალეთის ზახას ხეობის მკვიდრთ მოწეული მოსავალი მხოლოდ სამი-ოთხი თვის განმავლობაში ჰყოფნიდათ და ოსეთის სამხედრო გზის გახსნამდე და ადმინისტრაციულად თერგის ოლქში შესვლამდე (1858 წელი), სურსათს იძენდნენ საქართველოს ქალაქებში: ცხინვალში, ონში, გორში, ქუთაისში და სხვა; აქ ისინი ძირითადად მეცხოველეობის პროდუქტებს მიწათმოქმედების პროდუქტებსა და ხე-

¹⁵ Н. Г. Волкова. Этнический состав населения Северного Кавказа в 18 – начале 20 века. М. 1974, გვ. 122.

¹⁶ Н. Г. Волкова. Этнический состав населения Северного Кавказа..., გვ. 124.

¹⁷ Б. А. Калоев. Осетинские историко-этнографические этюды. М. 1999, გვ. 5.

ლოსნურ ნაწარმზე ცვლიდნენ. შიდა ქართლიდან გატანილ პროექტებს შორის, ეთნოგრაფიული მონაცემებით, ღვინოსაც ასახელებენ.¹⁸ XIX საუკუნის ეს ეთნოგრაფიული მონაცემები დვალეთში მცხოვრებ ეთნიკურ ოსებს ეხება, მაგრამ ეს იყო ძველი სამეურნეო-ეკონომიკური კავშირ-ურთიერთობის გაგრძელება, რომელიც დვალეებს საქართველოს სხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეების (რაჭა, იმერეთი, შიდა ქართლი, ხევი) მკვიდრებთან ჰქონდათ.

დვალეთი რომ ეთნიკურად ქართული მხარე იყო, ქართულ საისტორიო წყაროებთან და საბუთებთან ერთად, ამას სხვა მონაცემებიც ამტკიცებს. ეს გარემოება კარგად ჩანს XV საუკუნის დასაწყისის მინაწერით ლუდის (ლუნდის) სახარებაზე. სახარება „თათრობის“ ღროს დაკარგულა. ის ივანე ხორაულს უპოვია. შემდეგ კი სახარება გასაყიდად დვალეთში ფარუხაულის გვარის კაცს დედამისისათვის გაუგზავნია. მინაწერით დასტურდება, რომ დვალეთი ქართული მხარე იყო ქართული საღვთისმეტყველო ენით, სადაც მოთხოვნილება იყო ქართულ სახარებაზე და სადაც სახარებას მყიდველი ჰყავდა. მინაწერი მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისითაც, რომ მასში მოხსენიებული ანთროპონიმი – ფარუხაული ქართული გვარსახელია. გვარსახელი ნაწარმოებია აღმოსავლეთ საქართველოს მთის გვარებისათვის დამახასიათებელი – ურ (–ულ) სუფიქსით.¹⁹

დვალეების ქართველობის დამადასტურებელია მატერიალური კულტურის ისეთი ძეგლი როგორცაა მიწისზედა აკლდამა. ცნობილია, რომ ოსეთში, ისევე როგორც ჩაჩნეთსა და ინგუშეთში, მიცვალებულს ძირითადად მიწისზედა აკლდამებში კრძალავდნენ. დვალეთში არც ერთი მიწისზედა აკლდამა არაა დადასტურებული. დვალეთში XVI საუკუნიდან მიგრირებულმა ოსებმა მიცვალებულების დამარხვა ადგილობრივი ტრადიციის მიხედვით მიწაში დაიწყეს. დვალეები რომ ოსები ყოფილიყვნენ, რა თქმა უნდა, მათშიც იქნებოდა აკლდამები გავრცელებული. დვალეთში მიწისზედა აკლდამების არარსებობა დვალეების ვაინახობასაც გამორიცხავს. მიგრირებული ოსების მიერ მიცვალებულის დაკრძალვა დვალეთში ნაწილობრივ მხოლოდ მიწისქვეშა აკლდამებში ხდებოდა.²⁰

¹⁸ Б. А. Калоев. Осетинские историко-этнографические этюды. М. 1999, გვ. 270-271, 276.

¹⁹ გარდა ფარუხაულებისა დვალეები იყვნენ აგრეთვე: ხადურები, ჩიფჩიურები, ბიგულები, თვაურები, ჩოჩოურები/ჩოჩიშვილები, ბეღლურები, ხერხეულიძეები, ქესაურები, ბიგანები/ბიგანიშვილები, ხაბარელები, ხეთერცები, ხაჩიძეები (ადრინდელი ხაჩიურები) – რ. თოფჩიშვილი. კვლავ დვალთა ეთნიკური ვინაობისათვის. ჟურნ.: „ანალები“. №2. 1999, გვ. 50-55.

²⁰ რ. თოფჩიშვილი. ცენტრალური კავკასიის ეთნიკური ისტორიისათვის. ჟურნ.: „ანალები“. №2. 2001, გვ. 16-20.

დვალები რომ ეთნიკური ქართველები იყვნენ, ამის დამადასტურებელი სხვა მონაცემებიც გვაქვს, ესაა ონომასტიკური მასალა, როგორც ადგილთა სახელწოდებები (ტოპონიმები), ისე პიროვნული სახელები. შევეჩხით პირველ მათგანს. საბედნიეროდ, ჩრდილოეთ ოსეთის ტოპონიმია სრულყოფილად შესწავლილი.²¹ ა. ცაგაევას მიერ შესწავლილი ჩრდილოეთ ოსეთის ტოპონიმების პირველი ტომი გამოკვლევას წარმოადგენს, მეორე – აღწერილობას. ამავე დროს, ისინი კლასიფიცირებულია ტერიტორიული პრინციპით; ცალკეა წარმოდგენილი დიგორის, თაგაურის, ქურთაულის, ალაგირის ხეობების ტოპონიმები. ცალკეა დვალეთის ტოპონიმიაც. დვალეთის ტოპონიმების დიდი ნაწილი ა. ცაგაევას აუხსნელ ტოპონიმებად მიიჩნია. ცალკეა გამოყოფილი კავკასიური წარმომავლობის ტოპონიმები. ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ კავკასიური ფენის ტოპონიმების ქვეთავში ძირითადად ქართულძირიანი ტოპონიმებია ჩამოთვლილი. ამას ავტორი ვერ გაურბის, ოღონდ მისთვის მთავარია ქვესათაურში „ქართული“ არ ფიგურირებდეს. ამასთანავე, აუხსნელ ტოპონიმებშიც მნიშვნელოვანი რაოდენობით დაიძებნება ქართული ტოპონიმები. ქვემოთ მხოლოდ იმ ტოპონიმებს შევეჩხებით, რომლებიც გამჭვირვალე ეტიმოლოგიისანი არიან და რომელთა საფუძველს ქართული სიტყვები წარმოადგენს.

1. დვალეთში დადასტურებულია ტოპონიმი **უსწონა**. ადგილის სახელის ძირია „წონა“. მას ანალოგი („წონა“) საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში – რაჭაში მოეპოვება. შიდა ქართლში არის ამავე სახელწოდების მდინარეც. დვალეთში არსებობს აგრეთვე ტოპონიმი „ზენწონა“, რომელიც ორი სიტყვის შეერთების შედეგადაა მიღებული: „ზენ“+„წონა“, ე. ი. ზედა წონა. ანალოგიური წარმოების ადგილის სახელები საქართველოში ერთი და ორი როლი გვაქვს, მაგალითად, „ზენამხარი“, „ზენდუშეთი“, „ზენადრისი“, „ზენდიდი“, „ზენდობე“, „ზენობანი“, „ზენი“ და მრავალი სხვა.

2. **ზენწინა კომ**. პირველი კომპონენტი – „ზენწინა“ ქართულია, მეორე – ოსური, რაც ზენწინას ხეობას ნიშნავს. ეს პატარა ხეობა სოფელ ზახას მიდამოებშია. „ზენწინა“ ორი ქართული სიტყვის შეერთების შედეგადაა მიღებული. ზემოთ აღნიშნული გვქონდა, რომ „ზენ“ ძველი ქართული ენის ლექსიკური ერთეულია და ის ზედას, ზემოს ნიშნავს, ზენწინა კი – ზედა მხარის წინა მონაკვეთს.

²¹ А. Дз. Цагаева. Топонимия Северной Осетии. Часть 1. Орджоникидзе. 1971; А. Дз. Цагаева. Топонимия Северной Осетии, Часть 2. Орджоникидзе. 1975.

3. **გულაშუნი** – საძოვრის სახელწოდება სოფელ ტიბში (ქართული წყაროების თეზე). აუხსნელ ტოპონიმთა შორისაა მოხსენიებული. ადგილის სახელში აშკარად გამოიყოფა გულ- წინსართი. გულ- წინსართიანი ტოპონიმები საქართველოში ბევრია: გულგულა, გულეული, გულსუნდა. „გული“ – «сердце», დასახლებული პუნქტის ან რაიმეს შუა, ცენტრალური ნაწილი (середина). სვანურ მეტყველებაში „გუალ“ არის ბოსელი, გომური.

4. **ზლესი ძუარ** – სოფელ ქალაქას ჩრდილო-აღმოსავლეთით მაღალ მთაზე მოთავსებული სალოცავი. ეკლესია ნაწილობრივ დანგრეულია: «На трехдлинных камнях восточной стены святилища (на фасаде) имеются какие-то письма». «Четвертый же камень с письменами лежит на земле».²² ავტორი შეგნებულად არ ასახელებს, რომ ეს წარწერები ქართულ ენაზეა შესრულებული. „ზლესი ძუარ“, რა თქმა უნდა, ქართული „ძლევის ჯვარი“-ა. ამ სახელწოდებით სალოცავები შიდა ქართლში რამდენიმეა.

5. **ბერაუ** – სოფელ თებეს ერთ-ერთი საძოვრის სახელწოდება. ტოპონიმი მომდინარეობს მამაკაცის საკუთარი სახელიდან: ბერა. დვალეთშივე, გურკუმთის ხეობაში, დადასტურებულია ადგილის სახელი – „ბერიოი ყად“.²³ ა. ცაგავა თარგმნის ბერიოების (ბერიეების) ტყელ. თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ ასეთი საგვარეულო სახელი ოსურ ონომასტიკაში საერთოდ არ დასტურდება.²⁴ ბუნებრივია, ამ ტოპონიმში დვალთა საგვარეულო სახელია აღნიშნული. შუა საუკუნეების საქართველოში პიროვნული სახელი „ბერი“ ყველაზე გავრცელებული სახელი იყო.

6. **გაკური** – მდელის სახელი სოფლებს კამცხოსა და ლისრს შორის. ტოპონიმი ქართული -ურ სუფიქსითაა ნაწარმოები. -ურ სუფიქსიანი ტოპონიმები საქართველოში ბევრი იყო და, ჩვეულებრივ, ადგილის პირველი მფლობელის სახელს დაერთოდა ხოლმე. ის გაკის კუთვნილ ადგილს ნიშნავს.

7. **გომგათი** – სოფელ ზრამაგაში საძოვრის, ხეობისა და მთის სახელწოდება.²⁵ საქართველოში პირველი კომპონენტით გომ- რამდენიმე ტოპონიმი გვაქვს; გომ+ბორი, გომ+არეთი, გომ+ეწარი, გომი+ჯვარი, გომი. უფრო ლოგიკურია, ეს ტოპონიმი აიხსნას, როგორც გომგაძეების/გონგაძეების კუთვნილი ადგილი.

²² А. Дз. Цагаева. Топонимия Северной Осетии, Часть 2, გვ. 281.

²³ А. Дз. Цагаева. Топонимия Северной Осетии, Часть 2, გვ. 214.

²⁴ З. О. Гаглойти. Очерки по этнографии осетин. I. Общественный быт осетин в XIX в. Тб. 1974, გვ. 135-160.

²⁵ А. Дз. Цагаева. Топонимия Северной Осетии, Часть 2, გვ. 196.

8. **ნუხკოთა** – დვალეთის სოფელ ზდილის (ქართული წყაროების ჟღერს) სახენელის სახელწოდება. ტოპონიმი ორი კომპონენტისაგან შედგება: ნუხ+კოთა. „ნუხ“ მუხის ფონეტიკური ვარიანტია. სახნავი მუხიანი ტყის ახოს ადების შედეგადაა წარმოქმნილი. ანალოგიური ტოპონიმი დვალეთში, ოლონდ „მუხკოთას“ სახელწოდებით სხვაცაა²⁶. „მუხ“ სიტყვის შემცველი ტოპონიმები დვალეთში ბევრია, მაგალითად, ვარცეს ხეობაში წყაროს სახელწოდებაა „მუხიზგომი სუადონ“²⁷. ამ ტოპონიმის ქართულობას ა. ცაგაევაც აღნიშნავს და მას ასე განმარტავს: „მუხიანის წყარო“. ეს წყარო და ამავე სახელწოდების სათიბი და საძოვარი ადგილი ყოფილა „მუხიზ“-ში, რომლის ამკარა ქართულობასაც ავტორი აღნიშნავს: „მუხა“+სუფიქსი „-ის“, ე. ი. „მუხისა“. „მუხიზა/მუხისა“ სოფელ ვარცეს თავზე მდებარე მაღალ ქედზე ყოფილა. ის არის ტყის სახელწოდება²⁸. „მუხ“-ძირიანი ტოპონიმები დვალეთში ბევრია: „მუხიზგონი“, „მუხკული“.

9. **პოტიფაზ** – სოფელ ნარას ერთ-ერთი უბნის სახელწოდება,²⁹ რაც პოტის ველს აღნიშნავს. ა. ცაგაევასათვის პირველი კომპონენტი გაურკვეველია. მას უდავოდ ქართულ ტოპონიმთან „ფოთი“ აქვს ანალოგი. შესაძლებელია მისი თავდაპირველი ფორმა „ფროტი“ ყოფილიყო. სვანურ მეტყველებაში „ფროტი“ ფუტურო ხეს აღნიშნავს. ანალოგიური ტოპონიმი დვალეთის მეზობლად, რაჭაშიც არის დადასტურებული – სოფელ ურავში მთასა და ტყეს ქვია „ფოტიეთი“³⁰.

10. **ფურიათი** – ნასოფლარი სოფელ ზახას დასავლეთით. ამკარად ქართული ტოპონიმია, როგორც ძირით (ფური – „ზროხა დედალი“ – საბა), ისე სუფიქსით (საქართველოში -ათ სუფიქსიანი არაერთი ტოპონიმი გაგვანია).

11. **პურსუნა**. სოფლებს ლისრსა და ქალაქას შორის საძოვრისა და მდელის სახელწოდება.³¹ ქართული ტოპონიმია. ის ორი სიტყვისაგან შედგება: „პური“+უფხა“. აღნიშნავს „პურის მარცვალს“, უფხო პურს. ოსურ ენაში ტოპონიმი ფონეტიკურად შეიცვალა და ნაცვლად „პურსუფხისა“ მივიღეთ „პურსუნა“.

12. **პუს-ი** – მდელისი და სახენელის სახელწოდება სოფელ სატათის

²⁶ А. Дз. Цагаева. Топонимия Северной Осетии. Часть 2, გვ. 249.

²⁷ А. Дз. Цагаева. Топонимия Северной Осетии. Часть 2, გვ. 211.

²⁸ А. Дз. Цагаева. Топонимия Северной Осетии. Часть 2, გვ. 217.

²⁹ А. Дз. Цагаева. Топонимия Северной Осетии. Часть 2, გვ. 284.

³⁰ პ. ცხადაია, ვ. ჯოჯუა. რაჭის გეოგრაფიული სახელწოდებანი. III. თბ. 2010, გვ. 300.

³¹ А. Дз. Цагаева. Топонимия Северной Осетии. Часть 2, გვ. 250.

მახლობლად. წარმოდგენილია, როგორც აუხსნელი ტოპონიმი. ქართული ენის სვანურ მეტყველებაში „პუმ“ ერთგვარი ბალახის სახელია.

13. **რეგახი** – სოფელი სოფელ ნარადან აღმოსავლეთით. ქართული ტოპონიმი. საქართველოში ერთი და ორი არაა ტოპონიმი, რომლებიც –ხი სუფიქსით ბოლოვდება. ფუძეს წარმოადგენს საერთოქართველური „რე-გუ/რეგვ“, რაც დამტკრევას, დანგრევას, დაცემას აღნიშნავს.³²

14. **საგოლი** – სოფელი. ძველ ქართულში „გოლი“ თაფლის ფიჭაა, თაფლის კვერია. სვანურ მეტყველებაში თაფლის (ფიჭის) აღმნიშვნელი სიტყვაა,³³ სა- თავსართია.

15. **საიბატი** – ზროგოს ხეობაში ტყის მონაკვეთისა და სათიბი მინდვრის სახელწოდება. თავდაპირველი ფორმა იყო „საბატე“. ფონეტიკური ცვლილების შედეგად მიღებულ იქნა „საიბატი“.

16. **სამხთოსი/სანხთოსი დუაზ** – ტოპონიმები სოფლებში: თლიში, ქალაქასა და ლისრში.³⁴ ა. ცაგაევას ჩაწერილი მასალით, სოფელ თლიში **სამხთოს ძუარში** ათინგენის დღეობას – ათინგენობას – აღნიშნავდნენ. „სამხთოს ძუარი“ რომ ქართული სალოცავი და ტოპონიმი, ამაზე მსჯელობა არცაა საჭირო. აქ მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ „სამღვთო ჯვრის“ სალოცავზე ათინგენობის დღესასწაულს აღნიშნავდნენ. ნიშანდობლივია, რომ „ათინგენობა“ კავკასიის ქრისტიანულ სამყაროში მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, დვალეთის მოსაზღვრე საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებში გავრცელებული დღესასწაული იყო. ასეთ მხარეთა შორის იყო დვალეთიც. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ დვალეთში „სანიბას“ სალოცავიც არსებობდა.³⁵ როგორც ირკვევა, ის მდინარე მამისონდონის (ქართული წყაროების – ჟღელეს ხევის) მარჯვენა ნაპირზე ტყეში მდებარეობს და თუაეების (იგივე თვაურების/თავაურების) გვარის სალოცავი იყო. აშკარაა, რომ „სამხთოს ჯვარი“, ათინგენობა, სანიბა ადგილობრივი ქრისტიანი ქართველების ეთნოგრაფიული ჯგუფის – დვალეების სალოცავი იყო და, როგორც ყოველთვის ხდებოდა, მოსული ოსური ეთნოსის წარმომადგენლები მას ეყმნენ. სალოცავებთან დაკავშირებით კიდევ ერთი მასალა უნდა მოვიხმოთ; დვალეთის ზრამაგას ხეობის სოფელ ბირგთიყაუსთან მდებარეობს ოსთა სა-

³² მ. ჩუხუა. ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი. თბ. 2000-2003, გვ. 188.

³³ მ. ჩუხუა. ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი, გვ. 95.

³⁴ А. Дз. Цагаева. Топонимия Северной Осетии. Часть 1, გვ. 118; А. Дз. Цагаева. Топонимия Северной Осетии. Часть 2, გვ. 284.

³⁵ А. Дз. Цагаева. Топонимия Северной Осетии. Часть 2, გვ. 284.

ლოცავის – რეკომის ნიში.³⁶ სალოცავის ეს ნიში ოსურ მოსახლეობას ალაგირის ხეობიდან გადმოუტანია, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ნიშის გადმომტანები (ეთნიკური ოსები) ალაგირის ხეობიდან იყვნენ გადმოსახლებულნი. დვალეთში რამდენიმე სოფელში ყოფილა **თარანჯელოსის** (მთავარანგელოზის), **მიქალგაბარის** (მიქელგაბრიელის) სალოცავები. **მიქალგაბარის** სალოცავი ალაგირის ხეობის სოფელ ხოდშიც არსებობდა. ამავე სოფელის მიდამოებში მდებარეობდა ერქვა **ხატიონი**. ა. ცაგაევა ამ ტოპონიმს საკუთარ სახელს – ხატი უკავშირებს, რომელიც ქართული ხატიდან (ღვთაება) მომდინარეობს. მიგვაჩნია, რომ აქ საკუთარი სახელი „ხატი“ არაფერ შუაშია. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში „ხატიონი“ აღნიშნავდა ამა თუ იმ სალოცავის მლოცველს, ხატის ყმათ, მლოცველს, რომელიც რელიგიურ დღესასწაულზე სალოცავად იყო მისული. ტოპონიმი „ხატიონი“ კი იმ ადგილს შეერქვა, სადაც ხატიონი (ხატის ყმები, მლოცველები) ჩერდებოდნენ. ალაგირის ხეობის ქართულ ტოპონიმთაგან მხოლოდ რამდენიმეს ჩამოვთვლით: **დარვაზი**, **ჭანჭახი**, **კაცხა**, **ტიროფონი**, **ხოფი**, **ცხელწახი**, **წესათა...** საერთოდ, დვალეთის მოსაზღვრე ალაგირის ხეობაში ქართული ტოპონიმი ერთი და ორი არაა, რაც უდავოდ იმაზე მიუთითებს, რომ აქაც თავის დროზე დვალეები ცხოვრობდნენ.

17. **საშური** – მდებარეობს სახელწოდება სოფელ თებესთან ქართული ტოპონიმი, რომელშიც გამოიყოფა სა- თავსართი: სა-შური. შდრ.: ტოპონიმი „შური“ ლეჩხუმში. გაძვირვალე ქართული ტოპონიმი, აგრეთვე, „სანათი“.

18. **დანბადელი** – დვალეთის სოფელ კამცხოს სალოცავის სახელი.

19. **კოჯი კომ** – ჰიდრონიმი უღელეს დასავლეთით. პირველი კომპონენტი ქართულია, მეორე – ოსური. „კოჯ“, „კოშ“ ძირზე საქართველოში არაერთი ტოპონიმი გვაქვს; ამ მხრივ „კოჯორის“ დასახელებაც საკმარისია.

20. **დუალდერ-ი** – სათიბი სოფელ ლისრში. მიღებულია ორი სიტყვის შეერთების შედეგად: „დუალ“+„დერ“. „დუალი“ იგივე დვალაია. რაც შეეხება „დერ“-ს ქართული ენის სვანურ შტოზე „სვლას“ ნიშნავს. „დუალდერ“ დვალთა გასასვლელია.

21. **ტიბსლი/ტიბსილი** – დვალეთის ზრამაგას ხეობის სოფელი. ა. ცაგაევას სამართლიანი აღნიშვნით, სოფლის სახელწოდებას საფუძვლად აქვს ქართული სიტყვა „ტფილი“.³⁷

22. **ტიმწინა** – სოფელ თებეს ერთ-ერთი უბნის სახელი. ტოპონიმი

³⁶ А. Дз. Цагаева. Топонимия Северной Осетии. Часть 2, гл. 284.

³⁷ А. Дз. Цагаева. Топонимия Северной Осетии. Часть 2, гл. 286.

ორი კომპონენტისაგან შედგება: „ტიმ“ („ტიბ“) + „წინა“. ის აღნიშნავს წინა ტიბს, ტიბის წინა უბანს. „ტიმწინა“ ცალკე სოფლის სახელიც ყოფილა.³⁸ ჰქვია ხეობასაც.

23. **თლი** – სოფელი მამისონის (ჟღელეს) ხეობის ერთ-ერთ შენაკადზე. ა. ცაგაევამ თავდაპირველად ეს ტოპონიმი აუხსნელ ტოპონიმთა რიცხვში შეიტანა, მაგრამ ბოლოს მაინც მიიჩნია, რომ ქართული სიტყვისაგან „თლისაგან“ (გათლილისაგან) მომდინარეობს. ანალოგიური ტოპონიმი შიდა ქართლის მთაშიც არსებობდა.

24. **ტეხსა** – სოფელ ზახაში მდელოსი და საძოვრის სახელწოდება. ტეხ- ძირზე საქართველოში არერთი ტოპონიმი გვაქვს. მდინარე ტეხურის დასახელებაც საკმარისია. „ტეხა“ იგივე მტვრევაა. სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, „ტეხვრა“ – დიდი ყინვის აღმნიშვნელია.

25. **ლისრი** – სოფელი მამისონის ხეობაში. XVIII საუკუნის ბოლოს შედგენილ იოანე ბაგრატიონის ქართლ-კახეთის აღწერაში ეს ტოპონიმი „ლესრეს“ ფორმითაა შეტანილი. ლე- თავსართით დასავლეთ საქართველოში მრავალი ტოპონიმი არსებობს.

26. **ნაღორა** – საძოვრის სახელი სოფელ თებეში. ა. ცაგაევა ტოპონიმს ქართული ენას უკავშირებს, კერძოდ, სიტყვას „გორი“. მიგვაჩნია, რომ აღნიშნული ტოპონიმი „ღვართან“ უნდა იყოს დაკავშირებული. შდრ.: „ნაღვარ-ევ-ი“.

27. **ფრეული** – სოფელ ლისრეს მიდამოებში მდელოს სახელწოდება. ა. ცაგაევას ვარაუდით, ტოპონიმის საფუძვლად უნდა ედოს ქართული სიტყვა „თრული“. საქართველოში ადგილების (განსაკუთრებით, მინდვრების, სახვნელების) სახელწოდებანი ძალიან ხშირად -ურ (-ულ) სუფიქსით იწარმოებოდა და ასეთ ტოპონიმების ფუძეს უმეტეს შემთხვევაში მამაკაცის სახელი წარმოადგენს, იმ მამაკაცისა, ვინც პირველად დაეუფლა, მოხნა ესა თუ ის ადგილი, ვის საკუთრებასაც წარმოადგენდა. ასე რომ, ფუძეში უფრო მამაკაცის სახელი გვაქვს.

28. **ხალაწა** – ხეობისა და მთის სახელი ჟღელეს ხეობაში. ანალოგიური ჟღერადობის ოიკონიმი – „ხალაწანი“ საქართველოში გვაქვს კახეთშიც, პანკისის ხეობაშიც.

29. **ხელაი კანირ** – სათიბისა და საძოვრისაკენ მისასვლელი გზის სა-

³⁸ А. Дз. Цагаева. Топонимия Северной Осетии. Часть 2, გვ. 201.

ხელწოდება.³⁹ ა. ცაგავა ამ ტოპონიმს ხსნის, როგორც ხელას (პიროვნების) დაკბილულს. სამართლიანად შენიშნავს, რომ „ხელა“ მამაკაცის ქართული სახელია. ბუნებრივია, ოსებში პიროვნული სახელი „ხელა“ არასდროს გავრცელებული არ იყო; ის მხოლოდ ქართული სახელი იყო და ამ სახელის საფუძველზე წარმოქმნილი ტოპონიმი იმაზე მიუთითებს, რომ აღნიშნულ სოფელში ოდესღაც ქართველები ცხოვრობდნენ.

30. **სკორი** – დვალეთის სოფელ სატათის სახენელის სახელწოდება. მიკროტოპონიმი უდავოდ ქართულია. როგორც ჩანს, მიწის ამ ნაკვეთს სკორეთი (საქონლის განავლით) აპატივებდნენ. თუმცა ქართულ ენაზე ტოპონიმს სხვაგვარი ახსნაც მოეპოვება. ამ სიტყვით შედგენილი არაერთი ტოპონიმი გვაქვს დვალეთის მეზობელ საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში – რაჭაში. „სკორი“ ჰქვია მყინვარს ბუბისტავზე. რაჭაშივე, სოფელ ბორცოში, დადასტურებულია „ფართო სკორე“, „ღრჯამის სკორე“. რაჭულ დიალექტში „სკორე არის მუდმივი თოვლი, რომელიც არ დნება“.⁴⁰ დვალური ტოპონიმი „სკორ“-ი უფრო რაჭული დიალექტური ლექსიკით უნდა აიხსნას.

31. **ურემისენტა** – საძოვრის სახელწოდება გურკუმთას ხეობაში. ა. ცაგავას ვარაუდით, ტოპონიმს საფუძვლად უდევს ქართული სიტყვა „ურემი“.

32. **ურსერსერი კულ** – საძოვარი სოფელ თებესთან. „კულ“ ოსურად ფერდობია, ხოლო პირველი კომპონენტი „ურსერსერი“ აუხსენელადაა მიჩნეული. ამკარად გამოიყოფა ქართული სიტყვა „სერი“, რომელიც გაორმაგებული ფორმითაა მოცემული.

33. **ყორყორა** – ნასოფლარი. ტოპონიმი ქართულია. „ყორე“ უტალახოდ ამეჩბებული კედელია. „ყორ“- ძირზე საქართველოში ადგილის სახელები ბევრგან გვაქვს, მაგალითად, ი. ბატონიშვილი ერწოს სოფლებს შორის მოიხსენიებს „ყორათი/ყორათი“. ბევრია ასეთი ტოპონიმი რაჭაში: „ყორიანები“, „ყორის თავი“, „ყორყორა ველი“, „ყორიანი“...

34. **ყრუ** – სახენელი სოფელ ლისრთან. ამ ტოპონიმის ქართულობის შესახებ ა. ცაგავაც მიუთითებს: «название уго, очевидно, восходит к груз. хъру «глухой»».⁴¹ იგივე ახსნა შეიძლება მოეძებნოს ასევე სახენელის სახელს სოფელ კამცხოში: „ყრუტ“.

35. **ყურთა** – სოფელ ვარცეს ერთ-ერთი უბანი. ვარცეს მეორე უბანიც ქართულ სახელწოდებას ატარებს: „მაღალა“ («Высокий»). როგორც ყურ-

³⁹ А. Дз. Цагаева. Топонимия Северной Осетии. Часть 2, გვ. 287.

⁴⁰ პ. ცხადაია, ვ. ჯოჯუა. რაჭის გეოგრაფიული სახელწოდებანი.

⁴¹ А. Дз. Цагаева. Топонимия Северной Осетии. Часть 2, გვ. 273.

თაში, ისე მაღალაში ცხოვრობდნენ ქართული წარმომავლობის გოგინაშვილები, რომლებიც რუსეთის ხელისუფლების დროს გოგინაელებად იქცნენ. გვარსახელს საფუძვლად უდევს ქართული პიროვნული სახელი „გოგინა“ (გოგის კნინობითი ფორმა). ტოპონიმს „მაღლა დვალეთს“ XVIII საუკუნის ბოლოს იოანე ბაგრატიონიც⁴² ასახელებს.

36. **ღორღანი** – ზრამაგის ერთ-ერთი ხრამის სახელწოდება. მიკროტოპონიმს საფუძვლად უდევს ქართული სიტყვა „ღორღი“. „ღორღი“ ხომ წვრილი და ნამტვრევი ქვაა. მისი თავდაპირველი ფორმა უნდა ყოფილიყო „ღორღიანი“. „ღორღ“ ძირია და -ან სუფიქსი. ტოპონიმი „ღორღიანი“ საქართველოში ბევრგან გვხვდება, მაგალითად, ხეში.⁴³

37. **დაზღალ კომ** – ზახადან სამხრეთ-აღმოსავლეთით მიტოვებული, დაუსახლებელი ხეობა. „დაზღალ“ ორი კომპონენტისაგან შედგება. მეორე ნაწილი აშკარად ქართულია: სალიტერატურო ქართულ სიტყვას „დელე“ («речка») დასავლეთ საქართველოში შეესატყვისება დიალექტური ფორმა „ღალ“.

38. **ძუარ** – დვალეთსა და, საერთოდ, ჩრდილოეთ ოსეთში ამ სახელწოდებით ბევრი ტოპონიმი გვხვდება, მაგალითად, ჟღელედან ზროგის მყინვარამდე ხეობას ჰქვია „ძუარ კომ“. ამ ხეობის სათავეში შემორჩენილია უძველესი სალოცავის ნანგრევები, რომლის სახელწოდებაც ოსურმა მოსახლეობამ არ იცის და არც ლოცულობს მას. ეს ფაქტიც იმაზე მიუთითებს, რომ აქ ოსები მიგრირებულნი არიან, ხოლო ადრინდელი მოსახლეობა – ეთნიკური ქართველები ან თარეშების მსხვერპლნი შეიქმნენ ან აქედან საქართველოს სხვა მხარეებში გადასახლდნენ. ოსები დვალეთში რომ მიგრირებულები არიან, ეს კარგად ჩანს ძირითადი ოსური სალოცავის ნიშის არსებობითაც: „რეკომი ადაგი (რეკომის ხრამი, ხრანტე), სადაც არის რეკომის ნიში: «Небольшой овраг с «филиалом» святилища Реком в окрестностях с. Зарамаг».⁴⁴

39. **ზიკარი** – ერთ-ერთი გადასასვლელი დვალეთიდან შიდა ქართლში. ეს ქართული წყაროების „ზეკარია“, ე. ი. „ზემო კარი“.

40. **სტირლია** – პატარა მდინარე, რაც დიდ ლიას, ანუ დიდ საფლობს ნიშნავს. ა. ცაგავაც აღნიშნავს, რომ საძოვარი აქ დაჭაობებულია. მისივე მითითებით: «Слово лйа (В Стыр лйа) объясняется из груз. лйа «топи», «забо-

⁴² ი. ბაგრატიონი. ქართლ-კახეთის აღწერა. თბ., 1986, გვ. 77.

⁴³ მ. სანაყოთი. ჩრდილოეთ ოსეთის ზოგიერთი ტოპონიმის შესახებ. ონომასტიკა. I. თბ. 1987, გვ. 155.

⁴⁴ А. Дз. Цагаева. Топонимия Северной Осетии, Часть 2, гв. 200.

лоченные участки».⁴⁵ ლია გურკუმთის ხეობაში სოფელსაც ერქვა.

41. **ვლებერტა** – «Пашни в ущелье Гуркумта. В Глехерта имеем груз. глехи «крестьянин» с осет. -т-+а.

42. **დედაბერი** – მდელის სახელწოდება მამისონის ხეობაში. «Дедабери», груз. «старуха».⁴⁶

43. **მუხიზი** – ვარცეს ხეობაში ადგილის სახელი. აქვე პატარა წყაროს „მუხიზი სუადონ“-ს უწოდებენ. ა. ცაგავა სამართლიანად ტოპონიმს ქართულ მუხიანს, მუხას უკავშირებს.

44. **წალა** – ჟღელეს სამხრეთით საძოვრის სახელია. «из груз. Чъала – букв. «Прибрежные заросли».⁴⁷

45. **ურთღელი**⁴⁸. ტოპონიმი ქართული ენით იხსნება. ურთხელი («Негной») ოსურში „ურთღელად“ გადავიდა. თუმცა ამ ტოპონიმს შესაძლებელია მეორე ახსნაც მოუძებნოთ, თუ მის მეორე კომპონენტად -ღელ-ს მივიჩნევთ. მითუმეტეს, რომ არა მხოლოდ ტყის მასივი, არამედ ამ სახელწოდებას ხეობაც ატარებს: „ურთღელი კომ“.

46. **აბანა** – სოფელ ნარას ერთ-ერთი უბნის სახელწოდება. „აბანა“ ქართული აბანოდან მომდინარეობს. ასეთი სახელწოდებით სოფლები საქართველოში რამდენიმე იყო.

47. **გოდორთი ყად** – ვარცეს ხეობაში მდელის სახელწოდება, სადაც წარსულში ტყის მსუბუქი ჯიშები – არყის ხე და თხილი გვარობდა, რომლის ღერწმებისაგან გოდორებს წნავდნენ. ტოპონიმში მხოლოდ პირველი ნაწილია ქართული. „გოდორთი ყად“ ნიშნავს «Корзин лес», «Лес для корзин».⁴⁹

48. **ძირი ტუარი**⁵⁰ – მთავარი სალოცავი. აღმოსავლეთ საქართველოში ასეთი „ძირი სალოცავები“ ბევრი გვქონდა. ყველა გვარს აქ თავისი ძირი სალოცავი ჰქონდა.

50. **გორი** – სოფლის სახელი ზრამაგასა და ნარას შორის. ამ ტოპონიმის ქართულობას ა. ცაგავაც ადასტურებს.

51. **ღითხეუ** – მდელი სოფელ ქალაქასთან. ა. ცაგავა ამ ტოპონიმს

⁴⁵ А. Дз. Цагаева. Топонимия Северной Осетии, Часть 2, გვ. 200.

⁴⁶ А. Дз. Цагаева. Топонимия Северной Осетии, Часть 2, გვ. 232.

⁴⁷ А. Дз. Цагаева. Топонимия Северной Осетии, Часть 1, გვ. 127.

⁴⁸ А. Дз. Цагаева. Топонимия Северной Осетии, Часть 1, გვ. 127.

⁴⁹ А. Дз. Цагаева. Топонимия Северной Осетии. Часть 1, გვ. 127.

⁵⁰ А. Дз. Цагаева. Топонимия Северной Осетии. Часть 1, გვ. 128.

სრულიად სამართლიანად „დიდხევს“ უკავშირებს. დვალეთში სოფელ თიბესთან არის ანალოგიური ტოპონიმი – „დითხეუ რაბინ“⁵¹.

52. **უაჭე** – სოფელი. ტოპონიმი ქართული „ვაკის“ ფონეტიკურ ვარიანტს წარმოადგენს. რეალურად ნასოფლარი ვაკე ადგილზე მდებარეობს⁵².

53. **კართი, კართი კომ, კართითა** – პირველი ორი მდელის სახელება სოფელ ცმისსა და სახსათის ხეობაში, მესამე – «Разваллины Строений в ущелье к западу от с. Зарамаг».⁵³ ა. ცაგაევა აღნიშნულ ტოპონიმებს ქართულ ენას უკავშირებს: «Къарта «Ворота», букв. «двери», «Вход». Этот же грузинский корен къар/кара находим в топонимах Сунти къара «Вороньи ворота», Къари хард «Подъем у ворот», Цахаткъар «цахат (?) ворота», Зикъара.⁵⁴

54. **ქალაქა** – სოფელი ქველეს ხეობაში. «Калак», букв. «город». Селение в Мамисонском ущелье. Название его в грузинском означает «город»⁵⁵. დვალეთის სოფელ ქალაქას XVIII საუკუნის ბოლოს მიუთითებს ქართლ-კახეთის აღწერაში იოანე ბაგრატიონიც. ტოპონიმი წარმოდგენილია არა ფორმით „ქალაქი“, არამედ – „ქალაქა“. ქართული ენის ნიუანსებიდან გამომდინარე, მაკნინებელი „ა“ მიუთითებს იმაზე, რომ ქალაქა ნამდვილი ქალაქი არ იყო, რომ აღნიშნულ მხარეში ის ერთგვარი ქალაქის, სავაჭრო ფუნქციის მქონე იყო, განსაკუთრებით ორი მხარის, დვალეთისა და რაჭის, სავაჭრო-ეკონომიკური ფუნქციების თვალსაზრისით.

55. **ხუცური ფარსტი ხუიმ** – სახენელი ზემო ზარამაგის სიახლოვეს. ტოპონიმში ქართული მხოლოდ მისი პირველი ნაწილია – „ხუცური/ხუცურა“ საქართველოს მთაში მამაკაცის გავრცელებული სახელი იყო (მდრ.: გვარსახელი ხუცურაული ფშავის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში).

56. **ჭეურითა** – საძოვრის სახელი სოფელ თებეში. «Чьеурита «Молотильные камни». Название молотильного камня заимствовано из груз. где къеврию «Молотильная доска».⁵⁶ ცნობილია, რომ ქართული „ქ“ და „ქ“ ოსურში „ჭ“-დ გადადის.

⁵¹ А. Дз. Цагаева. Топонимия Северной Осетии. Часть 1, გვ. 129; А. Дз. Цагаева. Топонимия Северной Осетии. Часть 2, გვ. 233.

⁵² А. Дз. Цагаева. Топонимия Северной Осетии. Часть 1, გვ. 129; А. Дз. Цагаева. Топонимия Северной Осетии. Часть 2, გვ. 287.

⁵³ А. Дз. Цагаева. Топонимия Северной Осетии. Часть 1, გვ. 281.

⁵⁴ А. Дз. Цагаева. Топонимия Северной Осетии. Часть 1, გვ. 128.

⁵⁵ А. Дз. Цагаева. Топонимия Северной Осетии. Часть 2, გვ. 281.

⁵⁶ А. Дз. Цагаева. Топонимия Северной Осетии. Часть 2, გვ. 278.

57. **ტობორზა** – სოფელი დვალეთში ქვემო ზრამაგას მოპირდაპირე მხარეს (ამ სოფელში ბიგულოვები მკვიდრობდნენ. მას თუ რუსულ სუფიქსს ჩამოვაცლით დაგვრჩება -ურ (-ულ) სუფიქსიანი ქართული გარსახელი ბიგული). ტობორზის გულუბრყვილო ახსნა აქვს მოცემული ვ. აბაევს. სახელწოდება „ტობორზა“ უნგრულად თურმე ცეკვას («ПЛЯСКА») ნიშნავს. ზემოხსენებული მეცნიერის აზრით, ის ნასესხებია ალანების მიერ უნგრელებისაგან და შემოტანილია ცენტრალური ოსეთის (ასე უწოდებენ ახლა ოსები დვალეთის მხარეს) მთიანეთში. საინტერესოა, ცეკვის აღმნიშვნელი უნგრული სიტყვა ჯერ რატომ ოსურ ენაში არ შევიდა? ასეთი ტიპის ტობორზიები („ცეკვა“, „სიმღერა“, „ბუქნა“, „სირბილი“...) საერთოდ არ არსებობს. სად უნდა ესესხათ ოსებს უნგრელებისაგან აღნიშნული სიტყვა? სად უნდა მომხდარიყო უნგრულ-ალანური ენობრივი კონტაქტები? ისტორიაში მხოლოდ ერთი რამაა ცნობილი, რომ მონღოლთა შემოსევების დროს ჩრდილოეთ კავკასიის ველებში მცხოვრები ალანების ერთი, გადარჩენილი ნაწილი, 1238 წელს ყივჩაყებთან (იგივე პოლოვცები, იგივე კუმანები) ერთად, დასავლეთის მიმართულებით დაიძრა და იქ მადიარებს შეერია, ასიმილირებული იქნა უნგრელთაგან. სხვა შემთხვევაში ამ ორ, სრულიად სხვადასხვა ხალხს კონტაქტები არ ჰქონია. რაც შეეხება ტობორზს „ტობორზას“, ის ქართული ტობორზია. ამ ძირზე (ტობ-) ტობორზიები საქართველოში არაერთი გვხვდება. „ტობ“ ტბას ნიშნავს ქართული ენის მეგრულ მეტყველებაში. მეგრულ-ჭანურში მას „ღრმას“ მნიშვნელობაც აქვს⁵⁷. სოფელი „ტობა“ იყო სამცხეში. სვანეთში არსებობს სოფელი „ტობარი“, იმერეთში – „ტობანიერი“...

58. **ღორი ყადთა** – „ღორეს ტყე“ სოფელ თებეს მიდამოებში. ღორე საქართველოში გავრცელებული კანონიზებული ქრისტიანული სახელის დღეს კინობითი ვარიანტია (მღრ.: გვარსახელი „ღორე-ული“).

59. **ცუდი** – მდელის სახელი ლისრსა და კამცხოს მიდამოებში. «Название топонима груз., где цуди «плохо». Топоним Цуди встречается и в форме мн. ч. им. п. Цудита».⁵⁸

60. **ბერძენთი ფაზ** – კასრის ხეობაში გზის მონაკვეთი ბურონსა და ზრამაგას შორის. «Слово бердзенты объясняется из груз., где бердзени «грек»».⁵⁹

⁵⁷ ბ. ჯორბენაძე. ონომასტიკური გულანი. თბ. 1993, გვ. 107-124.

⁵⁸ А. Дз. Цагаева. Топонимия Северной Осетии. Часть 2, გვ. 275.

⁵⁹ А. Дз. Цагаева. Топонимия Северной Осетии. Часть 2, გვ. 279.

61. **წესი** – საძოვრისა და მდელის სახელწოდების სოფლებში ციში და ნარაში.⁶⁰ „წესი“ რაჭის ერთ-ერთი სოფლის სახელია.

დვალეთში იყო პატარა ხეობა, რომელსაც **მაცხვარეთი** ერქვა, რომელიც დაფიქსირებულია 1772 წლის ერეკლე მეორის მოურავობის წყალობის წიგნში იორამ ფავლენიშვილისადმი. ერეკლე მეორე თავად ფავლენიშვილს უბოძებს შიდა ქართლის მთის ოსური სოფლების (ჯრია, ჯავა, სხლები, ტონტობეთი, ჯავისთავი, ქეშელთა...) და დვალეთის რამდენიმე სოფლის მოურავობას: „**ზროგოს ხუთი სოფლისა, მაცხვარეთის სამი სოფლისა**“⁶¹. ამავე წყალობის წიგნში თავადს **სოფელ მაირამის** მოურავობაც ებოძა. ესეც დვალეთის სოფელი უნდა იყოს, რომელსაც შემდეგ სახელი შეეცვალა და აქ მცხოვრები ოსური გვარის მიხედვით **ხოზიტყაუ** ეწოდა. ზროგოს ხეობის ამ ნასოფლარში დღესაც დგას **ხოზიტა-მაირამის XI** საუკუნის დასაწყისის ქართული ეკლესია.

ვახუშტის ატლასში დვალეთის ყველა ხეობაა დატანილი. ოსური სოფლები 8-ითაა აღნიშნული. სოფლებს სახელები არ აწერია – მხოლოდ ზემო ზრამაგა, ქვემო ზრამაგა და ზახას ხეობის მარცხენა შენაკადზე აღნიშნულია სოფელი **გენაური/გეიაური**.⁶² საკამათო არაა, რომ ეს –ურ სუფიქსიანი ტოპონიმი ქართულია.

დვალეთის ზოგიერთი ტოპონიმი დაფიქსირებულია XIV-XV საუკუნეების მიჯნის „ძეგლი ერისთავთაში“. შეიძლება დავასახელოთ: ბობაღეთაი/ბიბაღ-მთა, სოსხო/ზოხო (სოსხო ერქვა სოფელსა და მთას), თლე, წერლუი...⁶³ სოსხო და თლე/თლისხევი ბოლო დრომდე შემორჩა, ოღონდ ფონეტიკურად შეცვლილი სახით: „სოსხ“ დვალეთის ზახას ხეობაში ერთ-ერთ მდელს ჰქვია.⁶⁴ „ძეგლი ერისთავთაში“ მალრან-დვალეთის სოფლების სახელებიც გვხვდება; ესენია: ერემა, წუხლეთი, წუხენი, ხოჯა... ძეგლში საუბარია ქვემო დვალეთის შესახებაც.⁶⁵ მიაჩნიათ, რომ ქვემო დვალეთი იგივე მალრან-დვალეთია (დიდი ლიახვის უკუდურესი სათავე – ცხრა სოფელი), მაგრამ ქვემო დვალეთის შემდეგ, იქვე მალრან-დვალთა მოხსენიება ამას გამო-

⁶⁰ А. Дз. Цагаева. Топонимия Северной Осетии. Часть 2, გვ. 276, 277.

⁶¹ სცსა. ფ. 1450. წიგნი 45. საქმე №188.

⁶² ვახუშტი ბაგრატიონი. საქართველოს ატლასი (XVIII ს.). თბ. 1997, გვ. 31, 45.

⁶³ შ. მესხია. ძეგლი ერისთავთა. ჟურნ.: „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“. (მსკი). ნაკვ. 30. თბილისი. 1954, გვ. 344, 353, 357.

⁶⁴ А. Дз. Цагаева. Топонимия Северной Осетии. Часть 2, გვ. 257.

⁶⁵ შ. მესხია. ძეგლი ერისთავთა, გვ. 357.

რიცხავს. „ძველი ერისთავთაში“ ვკითხულობთ (პირველი ციტატა): „ესმა ქვემო დვალთა კოშკელ-იოსებურთა, თლეველ-მუღისველეელთა, ზღუბერელ-როკაელთა“. (მეორე ციტატა): „მობრუნდა და შედგა მთასა სოსხოისასა. და ესმა მალრან-დვალთა და მოვიდეს ბრუტას შვილნი და კელეურ-კაბუშურნი“...⁶⁶ პირველ ციტატაში „ქვემო დვალთას“ შემდეგ სასვენ ნიშანს (მძიმეს) თუ დავსვამთ, ყველაფერი თავის ადგილზე დადგება. ბუნებრივია, თუ არსებობდა ქვემო დვალეთი, არსებობდა ზემო დვალეთიც. ქვემო დვალეთი და ზემო დვალეთი დვალეთის შემადგენელი ნაწილები იყო. შესაძლებელია, ზემო დვალეთის აღმნიშვნელი ტერმინი „მაღალი დვალეთი“ იყო („მაღლა დვალეთს“ ვხვდებით იოანე ბაგრატიონთან).

ვფიქრობთ, ტოპონიმების ჩამოთვლა, რომლებიც ქართული ენისა და მისი დიალექტებით იხსნება, საკმარისია. მაგრამ ერთი ტოპონიმიც უნდა დავასახელოთ: „აზილან“, რომელიც ოსურად ნიშნავს: «Места поворота». ესაა დანგრეული კოშკი და ეკლესია ზრამაგაში. ამ ნაეკლესიარის შესახებ ა. ცაგავას ასეთი გადმოცემა ჩაუწერია: «Местные старожилы утверждают, что в эту церковь приходили молиться грузины».⁶⁷ რატომ მიდიოდნენ ქართველები დვალეთში სალოცავად? იმიტომ, რომ სალოცავი მათი წინაპრების იყო. ქართველებს, განსაკუთრებით მთიელებს, წესად ჰქონდათ წინაპრების ადგილსაცხოვრისში სალოცავად სიარული. ბუნებრივია, ამ წესს მისდევდა დვალეთიდან საქართველოს სხვადასხვა მხარეში (განსაკუთრებით შიდა ქართლსა და რაჭაში) გადასახლებული მოსახლეობა. ერთი ასეთი ფაქტი დვალეთში ხაჩიძეების სალოცავად სიარულისა 1947 წელს აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილს დაუდასტურებია: „პაპაჩემისაგან გამიგონია, რომ ძირი ხატის მოსალოცავად ის ნარას (ე. ი. დვალეთს – ნ. ბ.) დადიოდა; ჩვენი წინაპარი ძველადვე მოსულა ქართლში, წაქვსა და ბიჯნისს სახლებულან სურამის თავზე“.⁶⁸ ზემოთ დვალეთში აღმოსავლეთ საქართველოს სხვა მხარეების მთიელთა ანალოგიური დღესასწაული – ათენგენობა ვახსენეთ. დვალეთში იყო, აგრეთვე, სხვა ქრისტიანული დღესასწაულები, რომლებსაც ქართულ ქრისტიანულ სამყაროსთან უშუალო კავშირი აქვთ, კონკრეტულად, ჯანათის ხეობის მოსახვევში „წიფი უასტერჯის“ სალოცავზე დღესასწაულობდნენ

⁶⁶ შ. მესხია. ძველი ერისთავთა, გვ. 357.

⁶⁷ А. Дз. Цагаева. Топонимия Северной Осетии. Часть 2, გვ. 278.

⁶⁸ ნ. ბერძენიშვილი. ბორჯომის ხეობა. საქართველოს ისტორიის საკითხები. წ. I. თბ. 1964, გვ. 235.

„ჯიორგუბას“.⁶⁹ წმინდა გიორგის სალოცავი, ოსეთის სხვა საზოგადოებებისაგან განსხვავებით, დვალეთის თითქმის ყველა სოფელში ყოფილა და აქ ამ სალოცავთან დაკავშირებული დაახლოებით ათი ტოპონიმი დაფიქსირებული.⁷⁰ „ჯიორგობა“ ხომ საქართველოში ყველაზე გავრცელებული ქრისტიანული დღესასწაული იყო. ამ თვალსაზრისითაც დვალეთი უდავოდ ქართული ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე იყო.

მოყვანილი მონაცემები აშკარად მიუთითებს იმაზე, რომ **დვალეთში ქართული ტოპონიმების შემქმნელი ეთნიკური ქართველები იყვნენ. ა. ცაგავა მხოლოდ 120 გეოგრაფიულ სახელწოდებას (ძირითადად მიკროტოპონიმს) უკავშირებს ქართულ ენას. სინამდვილეში ის ბევრად მეტია, რადგან მის მიერ აუხსნელ ტოპონიმებს შორისაც უმეტესობა ქართულია.** ეს ოსთა სამხრეთელ მეზობლებთან კონტაქტების შედეგად წარმოქმნილ მოვლენად მიიჩნევა.⁷¹ მეზობლობა ამ რაოდენობის მიკროტოპონიმებს ვერ შექმნიდა; მიკროტოპონიმებს მხოლოდ მკვიდრი მოსახლეობა ქმნის. სხვა გზა არაოსური ტოპონიმების წარმოქმნისა ოსურ ეთნიკურ გარემოში არ არსებობს. რა გზით შეიძლებოდა მოსულ ოსებს ქართული მიკროტოპონიმები შეეთვისებინათ? მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსულ ოსურ ეთნიკურ ერთობას ადგილზე გარკვეული რაოდენობის ქართული მოსახლეობა დახვდებოდა. მართალია, ჩრდილოეთიდან ოსთა მეკობრეობისა და თარეშების შედეგად, ქართველთა ეთნოგრაფიული ჯგუფის – დვალთა დიდი ნაწილი აიყარა და საქართველოს სხვადასხვა მხარეში გაიფანტა, მაგრამ მათი ნაწილი ადგილზე დარჩა და ღრთა განმავლობაში ასიმილირდა. გაოსება კი განაპირობა იმ გარემოებამ, რომ ქართველები (დვალეები) ოსურ ენობრივ-ეთნიკურ გარემოში უმცირესნი აღმოჩნდნენ. სხვა გზა ქართული მიკროტოპონიმის გადარჩენისა არ არსებობდა. ტოპონიმებს მეცნიერებაში ხომ „მიწის ენას“ უწოდებენ. **დვალეთის ადგილთა სახელწოდებები კი უდავოდ მეტყველებენ იმაზე, რომ დვალეები ქართველები იყვნენ.**

დვალთა ქართველობის დამადასტურებელი კიდევ ერთი ონომასტიკური მასალა გაგვანჩია – ესაა ანთროპონიმები. საქართველოს სახელმწიფო ცენტრალურ საისტორიო არქივში დაცულია რუსეთის იმპერიის მიერ ჩატარებული მოსახლეობის კამერალური აღწერის დავთრები. მკითხველს შევთავაზებთ

⁶⁹ А. Дз. Цагаева. Топонимия Северной Осетии. Часть 2, გვ. 286.

⁷⁰ А. Дз. Цагаева. Топонимия Северной Осетии. Часть 2, გვ. 19.

⁷¹ А. Дз. Цагаева. Топонимия Северной Осетии. Часть 1, გვ. 124.

XIX საუკუნის პირველი ნახევრის თბილისის გუბერნიის გორის მაზრის ნარას „უჩასტკის“ (ანუ ისტორიული დვალეთის) აღწერებიდან ამოკრებილ ზოგიერთ ანთროპონიმს. წინასწარ უნდა ითქვას, რომ ნარას „უჩასტკაში“ (დვალეთში) მამაკაცების დიდი ნაწილი თითქმის ისეთსავე პიროვნულ სახელებს ატარებდა, როგორი სახელებიც დასაღეთ საქართველოში იყო გავრცელებული. უფრო რომ დავაზუსტოთ, საუბარია არაქრისტიანულ ქართულ სახელებზე, რომლებიც ქართველ ხალხში ძირითადად მეორე, ანუ მეტსახელის სახით გვხვდებოდა. აღწერის დავთრებში მხოლოდ მამრობითი სქესის ეთნიკური ოსები არიან შეყვანილნი. ეს ბუნებრივიცაა, რადგან აღნიშნული დროისათვის დვალეთი ეთნიკურად უკვე ოსური იყო. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საყურადღებოა 1814 წლის აღწერა.⁷² სოფელ კულბითში (შიდა ქართლის მთა) ნითითებულია «Нарский Гето Бегелури». აღნიშნულ სოფელში გეთო ბელელური დვალეთის სოფელ ნარადან იყო გადმოსახლებული. ბელელური სწორედ დვალეთის ერთ-ერთი ძირძველი, ადგილობრივი გვარი იყო. გვარსახელი სუფთა ქართულია. მხედველობაში გვაქვს როგორც მისი ძირი, ისე სუფიქსი. გვარსახელს საფუძვლად უდევს მამაკაცის ძველი ქართული სახელი „ბელელა“. რაც შეეხება პიროვნულ სახელს – „გეთო“, ბოლო დრომდე ის გავრცელებული იყო დასავლეთ საქართველოში (მდრ.: გვარსახელები: გეთია და გეთიაშვილი).

1814 წელს დვალეთში ფიქსირებულია საკუთარი სახელები: ტუხია, ბიძინა, ჩინელი, ფრანგა, ბატია. ყველა მათგანი მრავალჯერაა ფიქსირებული ძველ ქართულ საისტორიო წყაროებსა და საბუთებში. ისინი გამჭვირვალე ეტიმოლოგიის ანთროპონიმებია.

დვალეთელ ოსთა შორის გვხვდებოდა ისეთი ანთროპონიმები, როგორებიცაა: „ჩიჩო“, „ბახა“ „ხუჭა“, „ლოჩი“ (გურიასა და აჭარაში „ლოჩი“ ერთი წლის ან ცოტა ნაკლები ხნის ხბოს, დეკეულს ეწოდებოდა. ქართლში კი „ლოჩო“ უემშაკო ადამიანის სინონიმია), „ჯახი“, „ჩოჩი“, „ფალი“, „გუჩა/გუძა/გუცა“, „გუგუნა“, „სალა“, „კანკო“, „გაბილა“, „გაბისა/გაბისუ“, „ტიბა“, „ლაჩა“, „გეგო“, „წულუკა“, „ხაჟი“, „კიტო“, „კუცი“, „თოთუ/თოთა (მდრ.: ქართული გვარსახელები: „ჩიჩუა“ „ბახია“, „ხუჭუა“, „ლოჩია“, „ჯახია“, „ჩოჩია“ და „ჩოჩოური“, აგრეთვე სოფლის სახელი „ჩოჩეთი“, „ფალიანი“, „გუჩუა“, „გუგუნავა“, „სალია“, „კანკია“, „გაბელია“, „გაბისონია“, „ტიბუა“, „ლაჩაშვილი“, „გეგია“, „წულუკიანი/წულუკიძე“, „ხაჟალია“, „კიტია“, „გაბი-

⁷² სცსა. ფ. 254. ანაწერი 1. საქმე №367.

ჩა“ , „კუცია“ , „თუთუსანი“ .

XIX საუკუნეში დვალეთელი ოსები ატარებდნენ, აგრეთვე, სახელებს: „გონა/გონი“ , „გულუნი“ , „გულა“ , „თავქანა“ , „კონი“ , „ტალახა“ , „ტილა“ , „უბილა“ , „კიტრია“ , „რუხია“ , „ხარა“ , „ჯარჯი“ , „მაძია“ , „გოცი“ , „გულა“ , „გერგა/გერგო“ , „თელა“ , „ახლაუ“ (იგივე „ახალა“) , „მაცი“ , „ბოხი“ , „ხელა“ ... გვაქვს ოსური გვარსახელი „კონიევი“ , რომელსაც საფუძვლად უდევს მამაკაცის სახელი „კონი“ . „კონი“ ქართული ენის მეგრულ მეტყველებაში კაცს აღნიშნავს. სამეგრელოში გავრცელებული სახელი – „დულა“ უდევს საფუძვლად ოსურ გვარს „დულავეს“ (მეგრულ მეტყველებაში „დულა“ თავს აღნიშნავს).

ზემოთ დვალეთში მცხოვრები ოსთა ანთროპონიმების მხოლოდ ნაწილი შემოგთავაზეთ. ბევრი მათგანი მეტსახელის სახით აღმოსავლეთ საქართველოშიც იყო გავრცელებული. მონაცემები საყურადღებო დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა. პიროვნული (საკუთარი სახელების) ერთი ეთნოსიდან მეორე ეთნოსში ასეთი რაოდენობით გავრცელება წარმოუდგენელია. რჩება ერთადერთი გზა: დვალეთში მიგრირებულმა ოსებმა ეს სახელები დამხვლური ქართული მოსახლეობისაგან შეითვისეს. მართალია, ოსთა ეთნიკურ-ენობრივ გარემოში დვალეებმა დაკარგეს ქართული ეთნოსისათვის მახასიათებელი ბევრი ნიშან-თვისება, ფაქტობრივად, ისინი გაოსდნენ, მაგრამ გაოსებულმა დვალეებმა შეინარჩუნეს და მაძიდან შვილზე, თაობიდან თაობაზე გადასცეს საკუთარი სახელების გარკვეული რაოდენობა, რომლებიც აქ მიგრირებულმა ოსებმაც შეითვისეს.

ამრიგად, დვალეთი საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე იყო, სადაც ქართული ეთნოგრაფიული ჯგუფი – დვალეები მკვიდრობდნენ. საისტორიო წყაროების, დოკუმენტების, მატერიალური კულტურის ძეგლების, ტოპონიმების, ანთროპონიმების მონაცემებით დვალეები ქართველი მთიელები იყვნენ. დვალთა უმეტესობა XV საუკუნის ბოლოსა და XVI საუკუნეში საქართველოს სხვადასხვა მხარეში გადასახლდა. გადასახლების მიზეზი ოსთა თარეშები და მეკობრეობა იყო. დვალეთში დარჩენილი ქართველები კი დროთა განმავლობაში გაოსდნენ. გაოსების მიზეზი კი ოსური ენობრივ-ეთნიკური გარემო იყო.

Roland Topchishvili

ONOMASTIC DATA ON AFFILIATION OF DVALETI RESIDENTS

Summary

Georgia was unity of historical-ethnographic regions of Georgia (territorial, local units). The population living in the territorial units is called an ethnographic group. Dvaleti was one of the historical-ethnographic regions. Its residents – Dvals – comprised an ethnographic group of the Georgian ethnos. Dvaleti, as well as Tusheti, Khevi and the other part of Mtiuleti, was located to the north of Great Caucasian ridge; Great Caucasian ridge was low here than the other parts of the ridge. The eleven passes were not blocked here even in winter, when only one pass was from Dvaleti to Ossetia (in the Alagir Gorge). It was the Kasris Kari, which was open to pass only during three-four months in summer.

Dvaleti at present is beyond the borders of Georgia and the ethnographic group of Dvals is not settled here any longer. They have disappeared. The Russian Empire annexed Kingdom of Kartl-Kakheti alongside with Dvaleti which was historical-ethnographic region of Georgian Kingdom at that time. Till April 3, 1858 Dvaleti was within Gori mazra of Tbilisi Guberniya under the name of Nara region. The Russian Empire cut Dvaleti (3 581 square km) off Georgia and transferred it to the Tergi region. Ethnic changes were accomplished in the Dvaleti historical-ethnographic region in the 16-17th cc. – Georgian highlander Dvals were gradually replaced by ethnic Ossetians, which migrated there from the Alagiri Gorge. Dvals' assimilation was caused by the fact that they turned out to be minority in the Ossetian language-ethnic environment. According to the Georgian historical sources, documents, the monuments of material culture the Dvaleti population was ethnically Georgian till the 16-17th cc.

Dvals were ethnic Georgians and this is witnessed by onomastic material, both by the names of places (toponyms) and personal names. Ethnic Georgians were the creators of the Georgian toponyms. In the scientific literature only 120 geographical names (mostly, micro-toponyms) are connected with the Georgian language. In reality, those toponyms are more, because even among the unexplained toponyms of Dvaleti the majority is Georgian. Dvals being Georgian is witnessed by anthroponyms as well, which are fixed in the descriptions of historical Dvaleti of the first half of the 19th century. A great part of men had nearly the same personal names as were spread in West Georgia.

ქეთევან ქუთათელაძე

ქვის აღმნიშვნელი ტოპონიმები ქვემო ქართლში (თეთრი წყაროს რაიონის სოფლების მიხედვით)

ბუნებრივი ქვის ან ქვის მასალის ყოფაში გამოყენება საქართველოში უძველესი დროიდან იღებს სათავეს. ქვას, როგორც ბუნებრივ მასალას, სხვადასხვა ზომისა და ფორმის გათვალისწინებით, არა მარტო საყოფაცხოვრებო დანიშნულება ჰქონდა, არამედ რიტუალურიც და წინარექრისტიანული პერიოდის მენტალობის განმსაზღვრელი ერთ-ერთი მთავარი ატრიბუტი იყო. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, ქვის აღნიშვნელი ტოპონიმები ამ მასალით მდიდარ რეგიონებში შეიქმნებოდა, სადაც ხალხი ოდითგანვე მას საცხოვრებელ და საყოფაცხოვრებო ფუნქციას ანიჭებდა, ზოგიერთ გამორჩეულ ლოდს კი სარიტუალო დატვირთვას აძლევდა. აღნიშნული მონოლითური ქვები არა მარტო წყლის ნაყოფიერების გამომხატველნი არამედ, ზოგადად ნაყოფიერების სიმბოლურ საკულტო ძეგლებს წარმოადგენდნენ.

ქვის აღმნიშვნელი ტოპონიმებით განსაკუთრებით გამოირჩევა ქვემო ქართლი, რომლის აღმოცენების ხელშემწყობ ფაქტორად ალგეთისა და ხრამის ხეობის განსაკუთრებული გეოლოგიური აგებულება უნდა მივიჩნიოთ. მკვლევართა მიერ დადგენილია, რომ თრიალეთის ქედის „რელიეფის ძირითად ფონს ქმნის საშუალო მთიანი ეროზიული ქედ-ხეობების ერთობლიობა“, ¹ თრიალეთის ქედიდან გამომავალი მდინარეთა ხეობები ზოგ ადგილას ხასიათდება კლდოვანი ხევებით, ღარებით, კანიონებით, აგრეთვე ბუნებრივი კლდოვანი ნაგებობებითა და გამოქვაბულებით. შუა ხრამის მთათა სისტემაც ძირითადად ხასიათდება ლავური პლატოებით, ღრმა ხევებით, ციცაბო კედლებითა და ქვაბულებით.

ქართულ ისტორიოგრაფიაში ქვის ძეგლები, როგორც „არქაიკული მონუმენტალური ხელოვნების“ ნიმუშები, საგანგებოდ გამოიკვლია ლ. მელიქ-

¹ ლ. მარუაშვილი. საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია. თბ. 1964, გვ. 303.

სეთ-ბეგმა ნაშრომში „მეგალითური კულტურა საქართველოში“, რომელიც 1938 წელს გამოსცა.² მკვლევარი ამ ნაშრომში დაწვრილებით მიმოიხილავს მეგალითური ძეგლების ნიმუშებს, მათ კლასიფიკაციას, აღმნიშვნელ ტერმინებს, თვისებებსა და ფუნქციებს, ამასთან დაკავშირებით გავრცელებულ თქმულებებს და ძეგლთა საილუსტრაციო მასალას. ყოველივე ზემოაღნიშნულის გარდა, მკვლევარი ამ საკითხთან დაკავშირებით სამეცნიერო კვლევის შესახებ ინფორმაციას და ბიბლიოგრაფიასაც გვთავაზობს.

განსახილველი საკითხისთვის, შეიძლება ითქვას, ბიძგის მიმცემი არის ის გრანდიოზული კვლევა, რომელიც XX ს-ის 20-30-იან წწ-ში ჩატარებულა ქვის მონუმენტური ძეგლების შესწავლისათვის. ქართულ წყაროებში შემორჩენილია ქვის აღმნიშვნელი ტოპონიმები, რომლებიც ძირითადად ქვემო ქართლის ტერიტორიაზე მდებარე მეგალითურ ძეგლებს ეწოდება. მათგან მნიშვნელოვანია ალგეთის ხეობაში **გოხნარის კარკნალი** და **ბედენის ლოდოვანი**, **კარკნალი სამშვილდესთან**, **ტამ-ბაში** თრიალეთში, ქვის ნაგებობებიდან გამომდინარე **გმირთ-ნაკვეთი** ალგეთის ხეობაში და სხვ. ამ ძეგლების შესახებ დაწვრილებით საუბრობს ლ. მელიქსეთ-ბეგი ზემოაღნიშნულ ნაშრომში, ამიტომ მათ დახასიათებას არ შევხვები. ჩემი მიზანია, წყაროებთან და ქართული ენის დიალექტებში დაცულ მასალებთან მიმართებით ყოფით ცხოვრებაში შემორჩენილი ქვის სახელწოდებები და მათგან გამომდინარე, წარმოქმნილი ტოპონიმების ურთიერთმიმართება წარმოვადგინო, რაც ერთ-ერთი მყარი არგუმენტია ქვემო ქართლის ქართველთა ეთნიკური კუთვნილებისა სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული კუთხით. ქვემო ქართლის მცენარეულ ტოპონიმებზე მუშაობის დროს ყურადღებას იქცევდა სათიბებისა და სახნავ – საძოვრების სახელწოდებები, რომლებიც დაკავშირებული იყო ქვასთან. თითოეული ეს სახელწოდება უდიდეს ინფორმაციას ინახავს ჩვენი წინაპრების წინარეპრისტიანული ხანის მენტალობისა და უძველესი ქართული საკულტო ძეგლების შესახებ, რომელთა ნაწილი უკვე აღარ არსებობს, მაგრამ სახელწოდება, თაობიდან თაობას გადაცემული, დღევანდელ დღემდე შემოგვრჩა.³

² ლ. მელიქსეთ-ბეგი. მეგალითური კულტურა საქართველოში. მასალები არქაიკული მონუმენტალური ხელოვნების ისტორიისათვის. თბ. 1938.

³ მუშაობის პროცესში გაწეული დახმარებისა და თანამშრომლობისათვის მადლობას ვუხდით ივ. ჯავახიშვილის თბილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ონომასტიკის ლაბორატორიის თანამშრომლებს, რომელთაც კოლოსალური შრომა აქვთ ჩატარებული ქართული ტოპონიმების მასალების შეგროვებისა და კლასიფიკაციის საქმეში.

სახელოვანი მეცნიერი სულხან-საბა ორბელიანი ქვის აღმნიშვნელი სახელწოდებების ფართო სპექტრს წარმოგვიდგენს. ყველაზე მნიშვნელოვანი, რომელიც ქვემო ქართლის ქვის ტოპონიმებს შეესაბამება, შემდეგია: „ლოდი არს ქვა ღიდი; არმანი ქვა კაცთაგან ალებად საჭირო; მარილის ქვაიც არმანად ითქმის; ბალავარი არს უდიდესი და საძირკვლად დასადები კედელთათვის; კარკალი არს ლოდ-არმანი სიმრავლით მიყრილი ვრცელად; ... გოხი არს ქვითკირის მსგავსი, ვიეთნი სოდომის ნალეწს უკმობენ“.⁴ თუმცა სხვა ვარიანტით – „ლოდი არს კაცთაგან აღ)სალებელი“, ხოლო „არმანი არს უდიდეს მის(ს)ა კაცთაგან ალებად შეუძლებელი, მარილის ქვაც არმანად ითქმის; ბალავარი არს უდიდესი ყოველთასა ... კარკალი არს ქვანი ლოდ-არმან-ბალავართა სიმრავლე განვრცელებულად გვერდოვანთა, ანუ ვაკოვანთა ყრილი, სავალად საჭირო და ძნელი, (ან – „კარკალია ქვა მათა შინა ლოდთა და ბალავართა სიმრავლე ფრიადი და სავალად ძნელი“) ... გოხი არს ქვა გორთა ზედა(ნ) ფანჩვით კლდოვანი, გინა ქვითკირის მსგავსნი“.⁵ ერთგან, ს.ს. ორბელიანი აღნიშნავს „კარკარს“, რომელიც „არს სალი წყლტუ კლდე“.⁶

ილ. აბულაძის ძველი ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, „ლოდი“ არის კლდე, ქვა – „ლოდნი განთქდეს“, – „კლდენი განსთქდეს“; „აღმართვენით ლოდნი ესე“, – „აღმართენ შენ ქვანი იგი“. მისი შესატყვისია, აგრეთვე „ლოდოანნი“, რომელიც სიტყვის მრავლობითი ფორმა უნდა იყოს: – „რომელმან გარდააქცინა ლოდოანნი ტბად წყალთა“, „რომელმან გარდააქცია კლდე ტბად წყალთა“.⁷

საინტერესოა, ასევე, სახელწოდება „ლოდი მსტუარი-“, ანუ „ლოდი სალოცარი“.⁸ ასეთი „სალოცავი ლოდები“ უნდა ყოფილიყო „მარიამჯვარი“ მანგლისთან, მენჭირი სამშვილდეში, რომლის კონკრეტული სახელწოდება უცნობია, ვახუშტის ცნობით, პანტიანთან მდებარე ლოდი და სხვ., რომელთაც ქვემოთ შევხებით.

სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, „კლდე არს ქვა მ(რ)თლივ

⁴ სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული. II. ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ილ. აბულაძემ. თბ. 1993, გვ. 223.

⁵ სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული. II, გვ. 224.

⁶ სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული. II, გვ. 223.

⁷ ილ. აბულაძე. ძველი ქართული ენის ლექსიკონი. თბ. 1973, გვ. 210.

⁸ ილ. აბულაძე. ძველი ქართული ენის ლექსიკონი. თბ. 1973, გვ. 210.

მთა, ანუ გორი და გვერდი სრუ(ლიად) იყოს“.⁹ სახელოვანი მეცნიერი კლდის რამდენიმე სახელწოდებასაც იძლევა. ესენია: „ტინი“ („აღმა ამართული და მაგარი“), „სალი“ („ვრცელი და მაღალი, თხათაგანაც უვალი“), „თირი“ („ქვა ლბილი და ადვილად საჭრელი“).¹⁰ საინტერესოა ის, რომ „ტინი“ ზოგიერთ ქართულ დიალექტზე (ქართლ., ქიზიყ., ფერეიდნ., ლეჩხ.) ზოგადად ნიშნავს ქვას, ლოდს, სალ კლდეს.¹¹

კლდესთან დაკავშირებული ტოპონიმებიდან პირველ რიგში უნდა დავასახელოთ „კლდე-კარი“, რომელიც თრიალეთის ქედის ერთ-ერთი მწვერვალია და მას აქვს ხელოვნური კარის მსგავსი გასასვლელი თრიალეთის თხემზე, რომელიც არის მდინარეების ალგეთისა და თეძამის წყალგამყოფი. ვახუშტი მას „კლდე-კარის მთას“ უწოდებს.¹² მისივე თქმით, ციხე „...კლდე-კარი აღაშენა ლიპარიტ ბაღვაშმან, და არს მაღალსა მთის კლდესა ზედა ციხე. ამ მთას გამოდის ალგეთი“. კლდეკარიდან გამოძვავალი საყვარისა და მჟავისის ხეობები ალგეთს უერთდება, რომლებიც ვახუშტი ბატონიშვილის თქმით, **კლდეკარის სოფლებად** იწოდება.¹³

კლდესთან დაკავშირებული უნდა იყოს, ასევე, ქციას ხეობაში „**კლდე-სა**“. კლდეისის სახელწოდებით დღევანდელი თეთრი წყაროს რაიონის სოფლები **დიდი და პატარა კლდეისა** იწოდება. ქვის აღმნიშვნელი სახელწოდებებიდან მნიშვნელოვანია სოფ. დიდი კლდეისის ტოპონიმები: „**დიდი კლდეისის წყარო**“, „**თეთრი კლდე**“ („**თეთრი კლდის მაღარო**“ (გამოქვაბული) და „**თეთრი კლდის ძირი**“ (სათიბი) (ჩამწერი ქეთევან გოდერძიშვილი, ინფორმატორი ი. გოგიჩაშვილი, ი. მიქელაძე, 1982).

ვახუშტი ბაგრატიონის აღწერილობით, ვარდისუბნის მონასტრის ქვემოთ ქციას ერთვის „...**ციხე კლდეისისა**, გამოსდის ბენდერის გამოკიდებულს მთასა. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, კლდეისის ხევისა და ქციას შესართავთან „**კორკებს არს ქუაბი კლდისა**, რომელი არს ზამთარ თბილი, ვითარცა აბანო, და ზაფხულს დის წყარონი კლდიდამ; მას წყაროს ჰყინავს, და არს ყინული ფრიად წმიდა და მრავალი, ზიდვენ ზაფხულს მეფისათვის“.¹⁴

⁹ სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული. I. თბ. 1991, გვ. 376.

¹⁰ სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული. II, გვ. 224-225.

¹¹ ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა. შემდგენელი აღ. დლონტი. თბ. 1984, გვ. 510.

¹² ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. IV. თბ. 1973, გვ. 318.

¹³ ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 325.

¹⁴ ილ. აბულაძე. ძველი ქართული ენის ლექსიკონი, გვ. 321

ვახუშტი ბატონიშვილის ინფორმაცია „ქუაბი კლდის“ შესახებ შეესაბამება იმ ფაქტს, რომ სოფ. პატარა კლდეის მიდამოებში „ზღვის დონიდან 1450 მ სიმაღლეზე არსებობს დოლერიტებში მოქცეული ბუნებრივი ჭა, რომელიც დახეთქილი ლავური ღვარის ფართო ნაპრალთა და სიღრუვეთა სისტემასთან არის დაკავშირებული და ცივი ზამთრების შემდეგ მთელი ზაფხულის განმავლობაში ყინულს შეიცავს“.¹⁵ ძალზედ საინტერესოა თეთრი წყაროს რ-ნის სოფლებში (დიდი ნამტვრევანი, მუხათი, I შუამთა) შემორჩენილი საძოვრების სახელწოდება „კრიახი“ და „კრიახის ქედი“, რაც კლდიან ადგილებს ნიშნავს.

ვახუშტი ბატონიშვილი მრავლად ჩამოთვლის დიდრონი ლოდებით ნაშენ, ზოგჯერ ბუნებრივ ნაგებობებს. თრიალეთის აღწერისას იგი ასახელებს შაორის წყაროს, რომელიც უერთდება ფარავნის ტბას. ისტორიკოსის თქმით „ხოლო შაორის მთის თხემსა ზედა დგას ციხე დიდროვანისა ლოდითა ნაშენი. არს კუალად მთა თავკუეთილი, კვე-ღრმა, და საშუალ ფანავრისა და ტბის-ყურისა ბარძიმი და ჭიქიანი“.¹⁶

ხრამის ხეობაში ვახუშტი ბაგრატიონი „ზღუდე გარდავლებულს, ეგრეთვე დიდროვანითა ლოდითა“ მოიხსენიებს ქვემო ქართლის უძველეს ქალაქს **სამშვილდეს**, რომლის შემოგარენიც მდიდარია კარკნალებითა და მეგალითური კულტურის საკულტო ქვებით. ზემოაღნიშნული „ლოდი მსტუარი“, ან „ლოდი სალოცარი“ უნდა ყოფილიყო სამშვილდის ნაქალაქარის მენჰირი, სადაც სალოცავად გადიოდნენ უშვილო და გასათხოვარი ქალები, ასევე ორსული ქალები მშვიდობიანი მშობიარობისთვის, დღეობა ღვთისმშობლის მიძინების დღეს ტარდებოდა.¹⁷

ალგეთის ხეობაში, რომელიც, ასევე, გამოირჩევა ბუნებრივი კლდოვანი სისტემითა და ნაგებობებით (მდრ. ბირთვისი), ვახუშტი ბატონიშვილის აღნიშვნით, „ჩხიკუთის სამკრით არს ეკლესია სამება, წმიდის გიორგისა, მაღალს გორასა ზედა ნაშენი, რომელი კაცთაგან არა შესაძლებელ არს მისი ქმნა, რომელი ავლია ზღუდელ. ძირსა მისსა არს წყარო დიდი და ფრიალ კარგი. ძუაელად იწოდა **გმირთ-ნაკუეთი**, და იყო ციხე, ხოლო აწ ეკლესია“.¹⁸ სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, „გმირი კაცი არს დიდი და

¹⁵ ილ. აბულაძე. ძველი ქართული ენის ლექსიკონი, გვ. 315

¹⁶ ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 320

¹⁷ ქ. ქუთათელაძე. მარიამჯვარი. ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი. VIII. თბ. 2006, გვ. 272.

¹⁸ ქ. ქუთათელაძე. მარიამჯვარი, გვ. 326.

საზარელი ტანითა და საქმითაცა მეტი და გარდარეული ძალითა“.¹⁹ აქედან გამომდინარე, „გმირთ-ნაკვეთი“ არაბუნებრივი, ან ზებუნებრივი ძალის მქონე არსებათაგან შექმნილად უნდა მივიჩნიოთ, რაც, ბუნებრივია, საკულტო ძეგლზე მიუთითებს. ამ ადგილას არ გამოვრიცხავთ, რომ წინარე ქრისტიანული მსოფლმხედველობის სალოცავიც ყოფილიყო, რასაც მიუთითებს სამების ეკლესიის წმიდა გიორგის სახელით მოხსენიება. ეკლესია ან სამების სახელობის უნდა ყოფილიყო, ან წმინდა გიორგის, თუმცა ეს უკანასკნელი შეიძლება რომელიმე წარმართული ღვთაების ქრისტიანული ჩანაცვლებაც ყოფილიყო.

აღგეთის შენაკადის ასურეთის ხევის ქვემოთ ისტორიკოსი მოიხსენიებს **ღურნუკს**, სადაც „...არს კარკნალნი და დარანნი დიდ-დიდნი.“²⁰ მართლაც, სოფ. პატარა ღურნუკის მიდამოებში გვხვდება სახნავის სახელწოდება **„ქვა – გორა“**. ვახუშტი ბატონიშვილის თქმით, „ეგრეთვე **მარნეულს** ... არს ნაციხვარი, მის გამო იწოდა ძუელადვე **ლომთა-გორა**“.²¹ სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, „დარანი“ არის „გინა კლდეში, ან მიწის ქვეშ შესასვლელი სამალავი. დარანად ითქმის სახლი მიწის ქვეშ ნაგები, გინა მიწა და კლდე შეთხრილი უჩინრად“.²² თუ კარკნალის ზემოაღნიშნულ მნიშვნელობას გავითვალისწინებთ, დიდრონი ლოდების წყობის შედეგად შეიძლებოდა შექმნილიყო დარანის მსგავსი სამალავები.

თეთრი წყაროს რაიონის სოფლებში ქვის სახელწოდებით ტოპონიმების წარმოშობა, როგორც ავლნიშნე, უნდა განეპირობა ერთ შემთხვევაში მხარის, ან კონკრეტული ადგილის ფიზიკურ-გეოგრაფიულ ლანდშაპტს, მეორე მხრივ კი საკულტო დანიშნულების ქვის მეგალითურ ძეგლს. ასურეთის ს/საბჭოს სოფ. ენაგეთიში შემორჩენილია ტოპონიმი **„ლოდის წყარო“**, რომელიც განმარტებულია, როგორც წყარო – სოფლიდან მოშორებით დახვრეტილების კლდეში. თეთრი წყაროს რ-ის სოფ. ვაკის ტოპონიმებიდან ჩვენი ყურადღება მიიპყრო **„დიდლოდის ნიშმა“**. სოფლის განაპირას აღმოსავლეთით არის ნიში (ლოდი), რომელიც სარიტუალო დანიშნულების უნდა ყოფილიყო. იმავე სოფლის ტოპონიმებიდან **„დიდლოდის სერი“** ჰქვია საძოვარს (ჩამწერი ქეთევან გოდერძიშვილი, ინფორმატორი ნინო ალექსის ას. ბექაური, 1982). საძოვრის სახელწოდებები **„დიდლოდიანი“** და **„პატარა ლოდიანი“** გვხვდება

¹⁹ სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული. I, გვ. 162-163.

²⁰ სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული. I, გვ. 327.

²¹ სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული. I, გვ. 327.

²² სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული. I, გვ. 197.

სოფ. გონნარში (ახალსოფლის ს/საბჭო) (ჩამწერი ქეთევან გოდერძიშვილი, ინფორმატორი მარიჯან ლოლაშვილი, 1984). სახელწოდება „ლოლიანი ქელი“ გვხვდება გუდარეხის ტოპონიმებში. ზოგან (დიდი თონეთი, აძლევი) „ლოლიანები“ გვხვდება, როგორც სახნავის სახელწოდება. ასევე, „ლოლიანების მორევი“ ალგეთზე (ჩამწერი ს. მელიქიძე, ინფორმატორი ო.ზ. თაქთაქიშვილი, 1982).

სოფ. ენაგეთის ტოპონიმებიდან, ასევე, საინტერესოა ქვის სალოცავი „ქვაკაცა“. სახელწოდება ვრცელდება, აგრეთვე, სოფლიდან მოშორებით მდებარე ჯაგნარზეც (ჩამწერი ქეთევან გოდერძიშვილი, ინფორმატორი ალექსი ილიას ძე მესტვირიშვილი, 1982). სოფ. დიდი ნამტვირიანის (შეხვეტილას ს/საბჭო) ტოპონიმებში „ქვაკაცა“ არის ხევის (შუა ქედის მარცხენა შენაკადი) და საძოვრის (საძოვრის გვერდით) სახელწოდებაც. გადმოცემის თანახმად, აქ ქვის ქანდაკება ყოფილა. უცნობია, ფუნქციურად თუ რა დატვირთვის იყო ის, თუმცა არ გამოვრცხავ, რომ ისიც საკულტო დანიშნულების იქნებოდა²³ (ჩამწერი ქეთევან გოდერძიშვილი, ინფორმატორი ბ. წიკლაური, ოთ. აფციაური, 1982). მთიულურ დიალექტზე „ქვაკაცა“ განმარტებულია, როგორც „სერებზე აგებული გზის მაჩვენებელი ბოძი“.²⁴

ბორბალოს ს/საბჭოს სოფ. ვაშლოვანში გვხვდება სალი კლდის სახელწოდება „ლიპი“ (ჩამწერი სერგო მელიქიძე, ინფორმატორი გიორგი თომას ძე მესტვირიშვილი, 1982). სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით „ლიპი“ გაყინულ ადგილს ნიშნავს.²⁵ კილო-თქმათა ლექსიკონში „ლიპი“ (ქიზიყ.) განმარტებულია, როგორც „სრიალა, მცურალა, სასხლტომი“. მთიულურ დიალექტზე „ლიპარიტი“ პატარა სიპ ქვას ნიშნავს, რომლითაც ბავშვები კლასობანას თამაშობენ.²⁶ საინტერესოა, აგრეთვე მთის სახელწოდება

²³ ზ. თანდილაგას ცნობით, აჭარაში ე.წ. „ჰაჯეთნამაზი სერის“ (სურვილის ღოცვის სერი) გარშემო მთებზე, რომელთაგან ყველაზე დიდი დიდგორას მთა არის, აღმართულ „ქვაკაცებთან“ (ქვის პატარ-პატარა ნატეხების ერთი მხორეზე დაწყობით აღმართული ქვის კონუსისებრი ფიგურები) ასული ხალხი მათ წვიმიანობას, უხვ ჭირნახულს, კეთილდღეობას ეხვეწებოდა. მართალია, მუსლიმანური ტრადიციის შედეგად ქალთა როლი აქ შეზღუდული იყო, მაგრამ არსებობდა ტარდიცია, რომლის მიხედვით, „ცაღკე ადიოდნენ დედაბრები, რომლებიც დიდგორის ძირში ე.წ. „ობოლ ქვასთან“ ღოცვის შესრულების შემდეგ შეექცეოდნენ თან წამოდებულ ნამცხვრებს და იქვე წყაროს წყალს დააყოლებდნენ“ (ზ. თანდილაგა, ლაზარობა და ქვაკაცები აჭარაში. სამხრეთ – დასავლეთ საქართველოს ზეპირსიტყვიერება. I. თბ. 1974, გვ. 16).

²⁴ ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, გვ. 67.

²⁵ სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული. I, გვ. 416.

²⁶ ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, გვ. 332.

„ქვისერი“, რომელიც სოფლის დასავლეთით მდებარე ქვიანი მთაა.

მანგლისის, შეხვეტილას და ახალსოფლის ტოპონიმებში ხშირად საძოვარს, ან სათიბს „გოხნარი“, ან „გოხიანი“ ეწოდება (ორბეთის ს/საბჭოს სოფ. კიანეთში დიდგორზე საძოვრის სახელწოდება „გოხიანი“). სოფ. ამლევის ტოპონიმებში „დიდი გოხი“ და „პატარა გოხი“ საძოვრისა და წყაროს სახელწოდებაცაა. „გოხები“ ეწოდება, აგრეთვე, ზირბითიდან მანგლისამდე მდებარე გზას (ჩამწერი ქეთევან გოდერძიშვილი, ინფორმატორი ივ. ნარიმანიძე, 1982), „გოხიანი“ ქვიანი, ან ლოდიანი ადგილს უნდა ნიშნავდეს (ჩამწერი ქეთევან გოდერძიშვილი, ინფორმატორი ს.პ. კობაიძე, 1982). საინტერესოა, აგრეთვე, თვით „გოხნარის“ სახელწოდება, რაც „გოხის“ მრავლობით მნიშვნელობაზე უნდა მიუთითებდეს. ქართულ დიალექტებში (თუშური და ფშაური) „გოხი“ ნიშნავს დიდ ქვას, ლოდს, სხვა მნიშვნელობით – სალეს ქვას. ქართულ დიალექტზე „გოხი“/„გოხა“ არის „გაუტეხელი ურწყავის მაღალი ადგილი, უბალახოა და მწირი“, ასევე, მთიულურ დიალექტზე „გოხი უქნია“ ნიშნავს „მოურწყველობით ყანა გამაგრებულა, მიწა გაგოხებულა“.²⁷ „გოხს“ უნდა უკავშირდებოდეს „კოხი“, რომელიც ქართულ დიალექტებზე (ქართლ., ხევს., მთიულ.) მრგვალ, მაგარ ქვას ნიშნავს.

ამ სოფლის ტოპონიმებიდან მნიშვნელოვანია „მამიდას ქვა“, ანუ „აყუდებული ქვა“. ეს სწორედ „ქვათარძალის“ სახელწოდებით ცნობილი „მარიამჯვარია“, რომელსაც წყლის ნაყოფიერებას ევედრებოდნენ.²⁸ სახელწოდება „მარიამჯვარს“, მანგლისელი რუსები ე.წ. «Каменная невестка», ანუ – „ქვათარძალი“ (ქალქვა) ეწოდება. მასთან დაკავშირებულ თქმულებაში, რომლის სიუჟეტი საქართველოს სხვადასხვა მხარეში ოდნავ განსხვავებული ინტერპრეტაციით არის წარმოდგენილი, მთავარი მოქმედი გმირი ქალია. იგი მტრის ხელში ტყვედ ჩავარდნას გაქვავებას ამჯობინებს. სახელი „მარიამი“ უნდა მიუთითებდეს ძეგლის ქალურ საწყისსზე, რომელიც ქრისტიანულ ეპოქაში ჩაენაცვლა მას. არ არის ცნობილი, თუ რა ერქვა უძველეს ხანაში ამ ძეგლს, თუმცა თქმულებაშიც და ერთ ხალხურ ლექსშიც, რომელიც მანგლი-

²⁷ ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, გვ. 160.

²⁸ ამ კუთხით, საქართველოში საკულტო დანიშნულების ლოდებს მართლაც რომ სცემდნენ თავყანს. ვახუშტი ბატონიშვილიც ადასტურებს: „პატივანს ქვევით ვაკეს არს ლოდი, რომელი გვაღვასა თუ გადააბრუნო და შენამო მოვალს წვიმა, ხოლო წვიმიანობასა შინა თუ შეაყარო ნაცარი და გადააბრუნო, იქმნების უწყვიმობა“ (ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 326).

სის აშენებას ეხება, ყოველთვის ქალი ფიგურირებს.²⁹ აქედან გამომდინარე, ძეგლის რუსული სახელწოდება «Каменная невестка» („ქვათარძალი“) ამ მონუმენტის უფრო ქალური თვისებიდან გამომდინარე იყო, რომელიც ფოლკლორში შემორჩა და არა გარეგნული ნიშნის მიხედვით. ამ რეგიონში ჩასახლებული რუსი მოსახლეობის მიერ „ყვითელი მთის“ გვერდით ტყეა და გორას „პოდკრესტი“ ეწოდება, რაც დაკავშირებული უნდა ყოფილიყო ზემოაღნიშნულ საკულტო ქვასთან.

მსგავსი უნდა ყოფილიყო „ყორღანის“ სახელწოდების ქვა, რომელიც მდებარეობს ბედენზე გუდარენის ტერიტორიაზე. ეს არის ქვაზე გამოკვეთილი ჯვარი. პირველ მაისს მოსახლეობა ამ ქვასთან შესაწირავს კლავს. ამ დღეს თამარის დღესასწაულს უწოდებენ. ეს ქვის სალოცავი მანგლისთან ახლოს არსებული „მარიამჯვრის“ მსგავსად უძველეს საკულტო ძეგლს უნდა წარმოადგენდეს, რომელიც ნაყოფიერების უძველესი ქალღვთაების (თამარის სახელწოდება გვიანდელი ფორმა უნდა იყოს) თაყვანისცემის ობიექტი უნდა ყოფილიყო. ასეთი ქვები გარდა წყლის ნაყოფიერებისა ქალური ნაყოფიერების განსაზღვრავდა.³⁰ ქალური ნაყოფიერების საკულტო ძეგლზე მიუთითებს სოფ. მაწევანის ტოპონიმებიდან (ჩხიკეთის ს/საბჭო) ქვაჯვრის სახელწოდება „ძუბუბიანი ქალი“ (ჩამწერი ს. მელიქიძე, ინფორმატორი გ. დემეტრაშვილი, 1982).³¹

²⁹ ქ. ქუთათელაძე, გვ. 272.

³⁰ ქართულ ფოლკლორში ზეციურ ნამს უკავშირდება 7 მაისი ნამი. 7 მაისის დამეს ჩამონადენ ნამს ქალები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. მის საპატივცემულოდ „ფერხულს აბამდნენ და მღეროდნენ: „შვიდი მაისის ნამი თავზე დამეძინა, შვიდ-შვიდი ნაწნავი ზურგზე დამეჭიმა“ (ზ. თანდილავა. წყლის კულტი ქართულ ფოლკლორში. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზეპირსიტიყვიერება. VII. თბ. 1984, გვ. 50-51). ციფრი 7 მაშინვე გვაგონებს იმ შვიდ ცლომილს, რომელიც ფიგურირებს ქართულ ასტროლოგიაში და მათ უკავშირებდნენ ასტრონომიულ მოვლენებს (სულხან-საბა ორბელიანი. დიქსიკონი ქართული. II, გვ. 335). 7 მაისს დიღმის ზემოთ იმართებოდა „დიდგობობა“. საინტერესოა, რომ 7 მაის ქართულში იმართებოდა „ჯვარპატიოსნებაც“ (ქ. ქუთათელაძე. მანგლისის სახელწოდებისათვის. ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი. VIII. თბ. 2006, გვ. 313).

³¹ „ძუბუს ქვას“ უწოდებენ ჯავახეთში მურჯახეთის („მარინედ“ წოდებულ) მეგალითურ ქვას, რომელთანაც ქალები რძის ნაყოფიერებისათვის ღოცულობდნენ, საკმევებს უკმევდნენ და ცხიმს უსვამდნენ. საინტერესო პარალელი შეიძლება გავაელოთ სვანეთში, უშგულის ღამარიას ეკლესიაში ქალთა სალოცავ თეთრი მარმარილოს ქვასთან, („ხაჭაპურის გული“ – „ქუთი ყვამ“-ად წოდებული), რომელსაც ქალები ყველის ბარაქას და მეწველი საქონლის გამრავლებას ეხვეწებოდნენ. აღმ. საქართველოს მთიანეთში (თუშეთი) კი, ასეთ საკულტო ქვებს, ან კლდეს „მარიმწმინდის ხატი“, ასევე „ძროხების ხატი“, ან „ძროხების სალოცავი“ ეწოდებოდა (თუშეთში სოფ. ჩიღოში „ძროხების ხატი“ ჰქვია პატარა საღ კლდეს,

ქეთევან ქუთათელაძე. ქვის აღმნიშვნელი ტოპონიმები ქვემო ქართლში (თეთრი წყაროს რაიონის სოფლების მიხედვით)

გუდარეხისა და ვაკის საზღვარზე, დიდი სერის სამხრეთ საზღვარზე, მდებარეობს „**ქვაჯვარი**“. არსებობს თქმულება, რომ 2 მეტრის სიმაღლის ეს ქვაჯვარი თამარ მეფის მიერ არის აღმართული. „**ქვაჯვრის**“ სახელწოდებით ნიში – ქვის ჯვარი მოიპოვება, აგრეთვე, სოფ. კლდესიდან 3 კმ-ზე (ჩამწერი ქეთევან გოდერძიშვილი, ინფორმატორი. გოგიჩაშვილი, ი. მიქელაძე, 1982). ქვის სალოცავის აღმნიშვნელი უნდა იყოს სოფ. ზირბითის ტოპონიმებიდან „**პატარა ნიში**“ – „**ქვაჯვარიანი**“ (ჩამწერი ქეთევან გოდერძიშვილი, ინფორმატორი ი. სომხიშვილი, ნ. ბექაური, 1982). ნიში, სალოცავი ქვა – „**ქვაჯვარას**“ სახელწოდებით შემორჩენილია, აგრეთვე, სოფ. საღირაშენის (ჯორჯიაშვილის ს/საბჭო), ტბისის (ჩხიკეთის ს/საბჭო), (ძვ. სასაფლაო), ღოუბნის (ბორბალოს ს/საბჭო), ქსოვრეთის, პატარა თონეთის (თონეთის ს/საბჭო) (**ქვა-სვეტი** სახნავის სახელწოდებაცაა) ტოპონიმებში. ორბეთის ს/საბჭოს სოფ. ნაოხარის ტოპონიმებში ფიქსირდება ადგილის დედის სახელწოდება „**საჯვარე**“. სოფლის ქვემოთ ქვებია დაწყობილი. ეს ადგილი სალოცავად არის მიჩნეული და აქ პეტრე-პავლობის დღესასწაულს ზემობენ (ჩამწერი ს. მელიქიძე, ინფორმატორი ბაბაღე იესეს ასული მაძულაძე, 1982).

საინტერესოა საკულტო დანიშნულების ქვები „**ნიშის**“ სახელწოდებით. გუდარეხის მონასტრიდან აღმ-ით 200 მ-ზე არის პატარა სამლოცველო, რომელსაც „**ნიში**“ ჰქვია. „ნიშის“ სახელწოდებით ქვის სალოცავის სახელწოდებები ცნობილია ახალსოფლის ს/საბჭოს სოფ. მუჯავისის (საფუძრები) ტოპონიმებიდან, რომელთაგან მნიშვნელოვანია „**ზეითი ნიში**“ – ქვა და „**კვირაცხოველი**“/„**ქვეითი ნიში**“, რომელიც არის ქვა კედელივით (ჩამწერი ქ. გოდერძიშვილი, ინფორმატორი ჟ. ნარიშანიძე, 1982). ასევე, პატარა ნამტვრიალის ტოპონიმებში, კუნწუხის სახელწოდებით ქედზე დაფიქსირებულია „**ქვანიში**“ – ქვის სალოცავი (ჩამწერი ქ. გოდერძიშვილი, ინფორმატორი ბექან ვიკლაური, 1983).

ქვის აღმნიშვნელი სახელწოდებებიდან საინტერესოა „**ღორღიანი**

სოფ. გირევიში დიდ თეთრ ღოდს „მარიამწმინდას“ უწოდებენ, სოფ. ჩიგილაურთაში სოფლის ჩრდილოეთით ფიქალ კლდეს კი „ძროხების სალოცავს“), რომელთაც მოხუცი ქალები საქონლის სიმრავლეს, წველადობას და ბარაქიანობას ეხვეწებოდნენ (ქ. ქუთათელაძე. მარიამჯვარი, გვ. 277). ქალქებზე ცნობილი მეგალითური ქვები – ქალ-ქვა სოფ. საბუედან, „მარიამჯვარი“ – მანგლისიდან, ქალ-ქვა („ქვათარძალა“) გურიის სოფ. ღეხაურიდან, მურჯახეთის აღნიშნული ქვა (მარინე), ქალურ საწყისთან არიან დაკავშირებულნი. „ეს, ალბათ, ნაყოფიერებისა და გამრავლების პროცესის სიმბოლური გამოხატულება უნდა ყოფილიყო“, (ქ. ქუთათელაძე. მარიამჯვარი, გვ. 271).

კლდე“, რომელიც მდებარეობს შეხვეტილას ს/საბჭოს სოფ. ნაპილნარის ჩრდილო - დასავლეთ მხარეს (ჩამწერი ქ. გოდერძიშვილი, ინფორმატორი ზეინაბ გოჯიევი, სულეიმან მუსაევი, 1982). ქართულ დიალექტებზე ღორღით აღინიშნება „სხვადასხვა ფორმისა და ზომის ქვები, ან ქვების გროვა“.³² ასევე გვხვდება ტოპონიმი „ქვაყრილი“, რომელიც სოფ. ლოლოვანთან გორაკს (ქვაენარი გორაკია) ჰქვია. ეს ტოპონიმი ფიქსირდება, აგრეთვე, სოფ. შიხილოს ტოპონიმებში: „ათარინ ბაშ“ - „ქვაენარი“, „ქვაყრილის თავი“, „ქვაყრილი“ (ჩამწერი ს. მელიქიძე, ინფორმატორი, ელ. ცხვედაძე, ი. მახმელოვი, 1982). „ქვაენარი“/„ქვანალი“ აჭარულ დიალექტზეც ქვიან ადგილს ნიშნავს.³³

თეთრი წყაროს რნ-ის სოფ. ღუმანისის (ღუმანისის სოფ. საბჭო) ტოპონიმებიდან ჩვენი ყურადღება მიიპყრო „ალარდის“ სახელწოდებით ქვამ (ნიში), რომელიც თვაურების გვარის სალოცავს წარმოადგენდა. საინტერესოა აგრეთვე, რომ იმავე სახელწოდებით მოიხსენიებენ ეკლესიას (ჩამწერი ს. მელიქიძე, ინფორმატორი ილ. ტიტეს ძე თვაური, 1982). ამ სახელწოდებით მოიხსენიებენ, აგრეთვე, სოფლის სამხრეთით ნიშის გვერდით სახნავს (ჩამწერი ქეთევან გოდერძიშვილი, ინფორმატორები ს. ნ. ძაკიევი, და ტ. ს. ქორთიევი, 1982). „ალარდი“(ალარტი)/„ალერდი“(ალერტი) შესაძლოა ალერტის ხატსაც უკავშირდებოდეს. არ გამოვრიცხავთ, რომ იგი მთვარის თაყვანისცემის უძველესი ობიექტიც ყოფილიყო. არსებობს თქმულება „ალარტ-ალერტის“ ღვთაებაზე და „ალერტის ხატზე“, ასევე გადმოცემა ალერტის წმინდა გიორგიზე, რომელსაც უკავშირდება ხარის კულტი.³⁴ (შდრ. მთვარის სამსხვერპლო ცხოველი). ალერტის წმინდა გიორგის სალოცავი სამეგრელოში სამი ყოფილა: ზუგდიდიდან 7 კმ-ზე მდებარე ალერტკარში, მარტვილის რაიონის სოფელ ალერტში და წალენჯიხის რნ-ის სოფ. ლეხარჩილეში ალერტ-ხარჩილის სახელწოდებით.³⁵ ალერტის წმინდა გიორგი დაკავშირებული იყო ილორისა და ყულის წმინდა გიორგის სალოცავებთან, გადმოცემის მიხედვით ისინი ძმებად ითვლებოდნენ, დღესასწაული 10 ნოემბერს იმართებოდა. დ. ჭითანავას თქმით, მთხრობელები „ალერტ“-ს „ყულის ალერტი“-სა

³² ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, გვ. 594.

³³ ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, გვ. 567.

³⁴ ქართული მითოლოგია. შეადგინა, შენიშვნები და კომენტარები დაურთო აპ. ცანავამ. თბ. 1992, გვ. 109-110; ქართული ხალხური სიტყვიერება. მეგრული ტექსტები. II. კ. დანელიას და აპ. ცანავას გამოცემა. თბ. 1991, გვ. 412.

³⁵ დ. ჭითანავა. „თეონიმ „ალერტ“-ის ეტიმოლოგიისათვის. საქართველო და ქრისტიანობა. თბ. 2001, გვ. 111.

და „ილორის ალერტ“-ის ფორმითაც იხსენიებენ.³⁶ აღნიშნული მიუთითებს რომ „ალერტი“ კონკრეტულად ერთი კულტის სახელია, რომელიც ყულისა და ილორის სალოცავებისთვისაც საერთო იყო. ამ აზრს ამყარებს სამივე სალოცავის წმინდა გიორგის სახელობაც.

ამ სახელის ზუსტი განმარტებისათვის ძალზე მნიშვნელოვანი უნდა იყოს ერთი ძველი ქართული სიტყვა „ალა“, რომელსაც სულხან-საბა ორბელიანი „მოთვარის პირის ლიბრით“ განმარტავს.³⁷ უფრო ზუსტად, „ალა ეწოდების მოთვარესა, რომელი აჩნია პირთა“.³⁸ ლიბრს იგი განმარტავს, როგორც ჩალურჯებულს და მოლურჯოს,³⁹ ან ლურჯ-იისფერს.⁴⁰ ერთი სიტყვით, „მოთვარისა პირის ლიბრში“ შეგვიძლია მოვარეზე ჩრდილები ვიგულისხმოდ, ან „მოთვარესა, რომელი აჩნია“, მოვარის ლაქები გვეფიქრა. საინტერესოა, აგრეთვე, „ალას“ მეორე განმარტება, რომელიც დაკავშირებული უნდა იყოს მის პირველ მნიშვნელობასთან. სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, იგი „სიგრძეზედ ამართულს“ ნიშნავს, უფრო ზუსტად: „ცხოველი რა აღემართოს და ფერხი აღმართ იქნას, ყირად ვიტყვი, ხოლო უსულოსა რა აღემართოს, ანუ კაცმან აღმართოს ალას აღმართვად ვიტყვი“;⁴¹ „ალას აღმართვა“ რაიმე ძეგლის ან კერპის დადგმად უნდა გავიგოთ, ან კიდევ რაიმე სვეტის (ქვა, ხე, ნიში), რომელიც დაკავშირებული იქნებოდა მოვარის ღვთაებასთან. „ალა“ ალბათ, სავსე (ან ნახევრად სავსე) მოვარის აღსანიშნავად გამოიყენებოდა, რომელსაც ლაქები ემჩნევა და ღამე განსაკუთრებით ანათებს“.⁴² ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მეგრული სიტყვა „ალარტ-ალერტი“ და ზემოაღნიშნული საკულტო ქვის „ალარდის“ სახელწოდება მოვარის

³⁶ დ. ჭითანავა. „თეონიმ „ალერტ“-ის ეტიმოლოგიისათვის, გვ. III; დ. ჭითანავა, „ალერტ“-ს თეონიმური წარმოშობის სიტყვად მიიხსენებს და მის ეტიმოლოგიურ ახსნას შემდეგნაირად წარმოგიდგენს: „თუ ალერტ-ში „ალ“ კომპოზიტს ცალკე გამოვყოფთ ქართული „ალი“-ს მნიშვნელობით, რომელსაც განათების, ანუ სიკაშკაშის ასოციასთან მივყავართ, ხოლო, „ერტ“-ს ეტლის-ვარსკვლავის, ანუ პლანეტის მნიშვნელობით, მაშინ მივიღებთ კაშკაშა მანათობელ ვარსკვლავს, რომელ ფაქტსაც ამ თეონიმის სახით მნათობთა თაყვანისცემასთან, მნათობ ღვთაებასთან მივყავართ ... მისი გაიგივება მითრას, როგორც სინათლის ღვთაებასთან დასაშვებად მივგაჩნია, რომელიც ამ ციურ ეტლთა, ანუ მზის, მოვარისა და ვარსკვლავების დახმარებით ბოროტ ძალებს ებრძვის“ (დ. ჭითანავა. „თეონიმ „ალერტ“-ის ეტიმოლოგიისათვის, გვ. 119).

³⁷ სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული. I, გვ. 44.

³⁸ სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული. I, გვ. 45.

³⁹ სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული. I, გვ. 414, 500.

⁴⁰ სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული. II, გვ. 15.

⁴¹ სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული. II, გვ. 267.

⁴² ქ. ქუთათელაძე. მანგლისის სახელწოდებისათვის, გვ. 311.

კულტს უნდა უკავშირდებოდეს. საინტერესოა ისიც, რომ „ალიორტობა“ იმერეთში საღვთო სალოცველად ითვლება,⁴³ რაც ამ კულტის არსებობას მართლ საძველესოში არ აფიქსირებს, არამედ თითქმის მთელ დას. საქართველოში. ქვემო ქართლის ტერიტორიაზე ამ სახელწოდების არსებობა კი ადასტურებს „ალარდ/ალარტის“ კულტის ზოგადქართულობას, რომ აქ ქართველთა ეთნოგენეზის პროცესში მონაწილეობას იღებდა ზანურ ენაზე მოლაპარაკე ხალხიც.⁴⁴

ზოგადქართული მენტალობის მხრივ, საინტერესოა, აგრეთვე, შეხვეტილას ს/საბჭოს ზაზას სოფლის ტოპონიმებიდან ადგილის დედა „თეთრი გიორგის“ სახელით ცნობილი, რომელიც, ასევე, მთვარის კულტის თაყვანისცემის ობიექტს უნდა წარმოადგენდეს. ამ სახელწოდებით მაშინვე გვაგონდება „აწყურის თეთრი გიორგი“. ივ. ჯავახიშვილმა ყურადღება მიაქცია რა სტრატონის მიერ აღწერილი ალბანეთ-იბერიის საზღვარზე მთვარის ტაძარში ჩატარებულ რიტუალთან აწყურის თეთრი გიორგის დღესასწაულის მსგავსებას, დაასკვნა, რომ „მთელი ეს თეთრი-გიორგის ხატობის ჩვეულება ... მთვარის ძველი, წარმართობის დროინდელი დღესასწაულის ნაშთია“.⁴⁵ მკვლევარს საკმაოდ მყარი არგუმენტები მოჰყავს და ძნელია არ დავეთანხმოთ, „რომ აწყურის თეთრი გიორგობა, რომელიც 14 აგვისტოს საღამოს იწყება და მთელი ღამე გასტანს, მაშინვე არ გვახსენებდეს სრული მთვარის დადგომის ფაზას, რომელიც თვის მე-14-მე-15 დღეს ემთხვევა. შემთხვევითი არ უდა იყოს თეთრი ფერი, რომელიც სრული მთვარის დისკოს გარშემო დამახასიათებელია“.⁴⁶ მაგ.: სავსე მთვარის აღმნიშვნელი „თუთარჩელა“ სიტყვა-სიტყვით, მეგრულად „მთვარე თეთრს“ ნიშნავს. აწყურის თეთრი გიორგის ე.წ. „მონა ქალებიც“ თეთრ ტანისაღმოსში არიან გამოწყობილნი.⁴⁷

⁴³ ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, გვ. 30.

⁴⁴ საინტერესოა აგრეთვე ისიც, რომ „ალ“ გურულ დიალექტზე სახის გამომეტყველებას ნიშნავს, რომელიც სულხან საბა ორბელიანის „ალას“ ზემოაღნიშნულ განმარტებას ნაწილობრივ უდგება (მთვარის პირი/სახე). ადამიანისთვის ძველ დროში შეუიარაღებელი თვალთ მთვარის ლაქებისა და ჩრდილების დანახვა სავსე, ან სრულმთავარიანობის დროს რომ იყო შესაძლებელი, ამ აზრს მხარს უჭერს აჭარულ დიალექტში არსებული სიტყვა „ალა-მ-ალა-მ“, რაც სულ, მთლად (მთლიანი), სავსებით (სავსეს), სრულად (სრული) ნიშნავს. (ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, გვ. 27).

⁴⁵ ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. I. თბ. 1979, გვ. 93.

⁴⁶ ქ. ქუთათელაძე. მანგლისის სახელწოდებისათვის, გვ. 312.

⁴⁷ 14-15/VIII წმ. გიორგის დღესასწაული რამდენიმე კვირის განმავლობაში იმართებოდა გერის წმ. გიორგის ეკლესიაშიც. მას თავი გერისთაობა ერქვა, მეორეს დიდს ან შუა გერისთაობას, მესამეს ბოლო გერისთაობას ეძახდნენ (ნ. აბაკელია,

თეთრი წყაროს რნ-ის სოფლებში შემორჩენილია, აგრეთვე, ცალკეული დიდი საკულტო ქვის სახელწოდებაც, მაგ.: „აყულებული ქვა“ მოიხსენიება გუდარეხის მონასტრის მხარეს, ასევე, ამ სახელწოდებით – დიდი ქვა ბედენზე (სოფ. პატარა თონეთი); გვხვდება აგრეთვე, სახელწოდება „აღმართული ქვა“⁴⁸ (აღვილ. სახელწოდება „ცეც ქარ“) თელუდალში (დაღეთ-ხაჩინი) (ჩამწერი ქეთევან გოდერძიშვილი, ინფორმატორი გეორქ მოვსესიანი, 1982). „მარტოქვა“ – დიდი ქვა ბედენზე, სოფ. ქსოვრეთის ჩრდილოეთით; „ქვაჯგერა“, ან „ქვაჯგორა“ (ნიში), სადაც იმართება გიორგობა (სოფ. ჯორჯიაშვილი); „ადგილის დედა“ (ნიში) დიდი ქვა (სოფ. აბრაშეთი); „დიდი ქვის თავი“ (სოფ. შიხილო).

ამრიგად, ზემოაღნიშნული ისტორიული, ფოლკლორული, ლინგვისტური და ონომასტიკური მასალა ცხადყოფს, რომ ქვემო ქართლის რეგიონი, კერძოდ, ისტორიული გაჩიანის ტერიტორია, ყოველთვის წარმოადგენდა ქართველი ხალხის განსახლების არეალს, სადაც ყოველი საკულტო დანიშნულების ლოდი ქართველთა უძველესი ცივილიზაციისა და წარსულის კუთვნილებაა.

ქ. ალავერდაშვილი, ნ. ღამბაშიძე, ქართულ დღეობათა კალენდარი, გვ.110). საინტერესოა ის ფაქტი, რომ „სწორი 21-22 აგვისტოს არის ხოლმე, მეორე სწორი კიდევ ერთი კვირის შემდეგ ... ვისაც აღთქმული აქვს თეთრები აცვია“ (ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. ტ. I, გვ. 94). ისინი ეკლესიას სწირავდნენ ცვილის ადამიანის ფიგურას, რომელსაც თეთრები ეცვა (შდრ. მთვარის ქაღალმერთის სელენეს ტანისამოსის თეთრი ფერი). III კვირას „გერის ბოლოს“ მლოცველები მიდიოდნენ სოფ. არბოში, სადაც იგივე წესები სრულდებოდა (ნ. აბაკელია, ქ. ალავერდაშვილი, ნ. ღამბაშიძე, ქართულ დღეობათა კალენდარი, გვ. 111). ვფიქრობთ, თქმაც არ სჭირდება იმას, რომ დღესასწაულის უქმობა აქ მთვარის ფაზებთან არის დაკავშირებული. უფრო ზუსტად, ივ. ჯავახიშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, „15-ს იმიტომ არის, რომ მთვარე ამ დროს სრულია, ხოლო სწორზე მთვარე მესამე მეოთხედში, ხოლო სწორის სწორზე მეოთხე მეოთხედში, ანუ მცხრალი იქნება იგი; ერთი სიტყვით სწორის უქმობა მთვარის მეოთხედებზე არის დამყარებული“ (ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. ტ. I, გვ. 94-95).

⁴⁸ ლ. მელიქსეთ-ბეგის განმარტებით, „აყულებულ ვეებერთელა ქვებს, დაუმუშავებულს, ანდა ოდნავად დამუშავებულს, საქართველოსა და სომხეთში თურქულად ეწოდება „თიქილ-ტაშ“//„თიქმა-ტაშ“, ხოლო სომხურად „თიქ-ქარ“, რაც აღმართულ ქვას აღნიშნავს და კელტურ „მენჰირ“ (menhir) – ის ექვივალენტს წამოადგენს“ (ლ. მელიქსეთ-ბეგი. მეგალითური კულტურა საქართველოში, გვ. 17).

Ketevan Kutateladze

**THE TOPONYMS DENOTING STONE IN KVEMO (LOWER) KARTLI
(ACCORDING TO THE NAMES OF THE VILLAGES OF TETRI
TSKARO REGION)**

Summary

Making use of natural stones or stone materials in private life of Georgia is originated from the ancient times. Taking into consideration its shape and form, stone as natural material had not only the function in private life but ritual as well, and was one of the main attributes in the definition of mentality at pre-Christian period. Naturally, the toponyms denoting stone were created in the regions rich with stones, where from the very beginning people gave to it the functions of housing and private life. Some huge boulders were loaded with ritual function.

Kvemo (Lower) Kartli is the most distinguished place with the existence of toponyms denoting stone, the appearing of which we consider to be special geological structure of Algeti river and Khrami river canyons. The most important from them are “Gokhnari Karknali” and “Bedeni Lodovani” in Algeti canyon, “Karknali” near Samhvilde, “Tash-Bashi” in Trialeti region, “Gmirt-Nakveti” originates from stone buildings in Algeti canyon and others.

From the toponyms on Georgian language denoting megalith stones the following names are preserved: “Kva-Gora”, “Kriakhi”, “Lodis Tskaro”, “Kvakatsa”, “Kvajvari”, “Kva-sveti”, “Kviseri”, “Gokhnari”, “Gokhiani”, “Didlodiani”, “Sajvare”, “Kvakrili”, “Kvavnari”, “Nishi”, “Akudebuli Kva”, “Agmartuli Kva”, “Marto Kva” and others. The historical, folk, linguistic and onomastic materials make it clear that the region of Kvemo (Lower) Kartli, especially the territory of historical Gachiani represents the old settlement of Georgian people, where each boulder is the property of the ancient Georgian civilization and past.

ნინო სილაგაძე

ჯავახიშვილის მონასტრის მთავარი ეკლესია და მისი მომიჯნავე ნაგებობათა კომპლექსი

დარბაზული ტიპის ეკლესიის განვითარება საქართველოში ადრექრისტიანული ხანიდან იწყება. ეს ერთ-ერთი უძველესი, ფართოდ გავრცელებული და, ამავე დროს, ერთ-ერთი ყველაზე ხანგრძლივი ისტორიის მქონე არქიტექტურული ტიპია ჩვენი ქვეყნის მონუმენტურ ხუროთმოძღვრებაში: მისი ნიმუშები ჩვენ გვხვდება მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში. დარბაზული ტიპის ეკლესიის კომპოზიცია ერთგვარი სიმარტივით და ფორმათა კონსერვატულობით გამოირჩევა ქართულ საეკლესიო ხუროთმოძღვრებაში ცნობილ სხვა არქიტექტურული ტიპებთან შედარებით. ასეთი ეკლესიები ჩვენი ქვეყნის თითქმის ყველა რეგიონში, ყველა ისტორიულ პროვინციაშია გავრცელებული (მათ შორის, მაღალმთიან რეგიონებში). უფრო ხშირად ეს მცირე ზომის, ქალაქებიდან თუ დიდი ადმინისტრაციული ცენტრებიდან მოშორებით აგებული ტაძრებია, ასევე დიდ სამონასტრო კომპლექსებში შემავალი მცირე ეკლესიები. საუკუნეების მანძილზე საქართველოში დარბაზული ტიპით აგებდნენ სოფლის ეკლესიებსაც.

ერთ-ერთი ასეთი რეგიონი, სადაც განსაკუთრებით დიდი რაოდენობით შემოგვრჩა დარბაზული ეკლესიები, სამცხე-ჯავახეთია. დიდია მათი ქრონოლოგიური დიაპაზონი: უძველესი, VII–VIII სს. ტაძრებით დაწყებული – XIX ს-ის სოფლის ეკლესიებით დამთავრებული. საუკუნეების მანძილზე აქ ჩამოყალიბდა განსაკუთრებული არქიტექტურული სკოლა, გამორჩეული სტილი ხუროთმოძღვრებაში, რომლის ძირითადი დამახასიათებელი ნიშნებია ერთიანი, კომპაქტური შიდა სივრცის შექმნის მცდელობები, მონუმენტური ფორმები, ყოველგვარი დეტალიზაციის უარყოფა, სადა დეკორი, თავშეკავებული მხატვრული აქცენტები შენობის ექსტერიერში, ფასადების დიდი სიბრტყეები, დამახასიათებელი კედლის წყობა კარგად დამუშავებული საპირე ქვებით, პოლიქრომიის ელემენტების გამოყენება (სხვადასხვა ფერის ქვების კომ-

ბინაცია, გარკვეული ტონალობების ქვების შეხამება და სხვ.) და ა. შ.

სწორედ სამხრეთ საქართველოს ამ რეგიონის ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი ღირშესანიშნავი ძეგლია ჯაყისმანის (ჯაყისუბნის) სამონასტრო კომპლექსი, რომლის შესახებაც პრაქტიკულად არ შემოგვენახა ისტორიული ცნობები. საქართველოს სახელმწიფო არქივში არ არის დაცული არც ერთი დოკუმენტი ჯაყისმანის (ჯაყისუბნის) ტოპონიმით ცნობილი დასახლებული პუნქტის შესახებ. ერთადერთი ცნობა ამ სოფლის შესახებ შემონახულია გურჯისტანის ვილაეთის დიდ დავთარში.¹ აქ მოხსენიებულია V ფოცხოვის ლივის ჩრდილის ნაპას სოფლები ჯაყისმანი და ზედა ჯაყი, აგრეთვე ჯაყის რაბათი (ჯაყის ციხე)². სავარაუდოდ, ჯაყისმანი ჯაყისუბნის ტოპონიმადან მოდის. ყველა ეს ტოპონიმი ბუნებრივია ტერიტორიისთვის, რომელიც ისტორიულად ჯაყის სახელს ატარებდა და მსხვილი ფეოდალების – ჯაყელების – სამფლობელოს ნაწილს წარმოადგენდა.

ასევე არ შემოგვრჩა ისტორიული ცნობები ჯაყისმანის მონასტრის შესახებ. არც ერთ ქართულ მატთანეში იგი, სამწუხაროდ, არ მოიხსენიება. მონასტრის ახლოს, ფოცხოვის ხეობაში, თურქეთის ტერიტორიაზე მდებარეობს შუა საუკუნეების ციხე – ჯაყის ციხე, რომელიც ჯაყელთა საგვარეულოს ეკუთვნოდა. მდინარე, რომელიც მონასტრის ახლოს ჩამოდის, ჯაყსუიუს, ანუ ჯაყის წყლის სახელს ატარებს. ამავე სახელითაა მოხსენიებული ეს მდინარე ვახუშტის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“-ში: „ხოლო ბოცოსა და ქუბლოვანის წყალის შესართავს ქუეთ ამ წყალს ერთვის ჯაყის წყალი“. ვახუშტი აღწერს აქ „აღვილს ნოხარს, სადაც იყო თამარის სასახლე დიდშენი, შუენიერს ადგილას და აწ ოხერ... აქა არის ვანას მონასტერი, შუენიერი, კეთილ-ნაგები და მუნვე ქუაბნი გამოკვეთილნი, დიდ-დიდნი კლდესა შინა...“. აქვე ახლოს ჯაყის წყალი უერთდება ფოცხოვს, სადაც „წურწუმას არის ეკლესია გუმბათოვანი, კეთილ-შუენიერად ნაგები და დიდი. იჯდა ეპისკოპოზი, მწყემსი ბოცოს წყლისა და ახალციხის ეკლესიის სამხრეთისა... წყურწუმ ზეთ, ჯაყის წყალზედ, არის ყუელის ციხე, მრავალჯერ შემუსრილი და აწ ოხერი“.³ როგორც ვხედავთ, ვახუშტი არსად არ ახსენებს ჯაყისმანის ან ჯაყისუბნის მონასტერს.

¹ ს. ჯიქია. გურჯისტანის ვილაეთის დიდი დავთარი. წიგნი II. თბ. 1941, გვ. 312.

² ს. ჯიქია. გურჯისტანის ვილაეთის დიდი დავთარი. წიგნი II. გვ. 312-317.

³ ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. IV. თბ. 1973. გვ. 316.

ჯაყისმანის სამონასტრო კომპლექსი მდებარეობს ისტორიულ სამცხეში, ქ. ვალედან ოციოდე კმ-ის მოშორებით სამხრეთის მიმართულებით, საქართველო-თურქეთის სასაზღვრო ზონაში. მასთან მიღწევა შესაძლებელია საკონტროლო პუნქტის გავლით. უახლოესი დასახლებული პუნქტი სოფელი წყალთბილაა (დაახლ. 9 კმ-ის მოშორებით). სამანქანო გზა პრაქტიკულად არ არსებობს.

ჯაყისმანის სამონასტრო კომპლექსი პირველად აღწერილია ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს აღწერა-პასპორტიზაციის განყოფილების ექსპედიციის მიერ 1980 წლის ივლის-სექტემბერში (მონაწილეები: ექსპედიციის ხელმძღვანელი ვ. ვარდოსანიძე, არქიტექტორი ვ. ჯიშკარიანი, ისტორიკოსი ზ. თოთიბაძე), რომელმაც ახალციხის რაიონში ჩაატარა ორასზე მეტი ისტორიული, ხუროთმოძღვრული და მონუმენტური პლასტიკის ძეგლის პასპორტიზაცია და აღწერა. 1984 წელს ვ. თოთიბაძემ გამოაქვეყნა სტატია ამ ექსპედიციის მასალებზე დაყრდნობით⁴. შედეგები საბოლოო არ იყო, რადგან ძეგლზე არ ჩატარებულა გაწმენდითი სამუშაოები, არქეოლოგიური კვლევა და სხვ.

ჩვენს სტატიაში ჯაყისმანის მონასტრის ნაგებობების დათარიღებისას და სხვა პრობლემატურ საკითხების გადაწყვეტისას უკანასკნელი აღწერისა და გაწმენდითი სამუშაოების მონაცემებს დავეყრდნობით: 2011 წლის მაისში შპს „არქიტექსმა“ ჩაატარა კომპლექსის ტერიტორიაზე გაწმენდითი სამუშაოები და შეადგინა სარესტავრაციო პროექტი. სწორედ ამ ექსპედიციის დროს მოპოვებული უახლესი მასალები დაედო საფუძველად წინამდებარე ნაშრომს.

ჯაყისმანის სამონასტრო კომპლექსში შემავალი ნაგებობები ფერდობზე, ხელოვნურად მოსწორებულ ბაქანზეა განლაგებული, ძველი ნასოფლარის ტერიტორიაზე. ფერდობი ფოცხოვის ხეობას გადაკყურებს. სამხრეთის მიმართულებით მთაზე, თურქეთის ტერიტორიაზე, განლაგებულია ჯაყის ციხის ნანგრევები. მონასტერი დაახლოებით ორი წელია რაც მოქმედია. მთავარი ტაძარი ამჟამად აღდგომის სახელობისაა.

ჯაყისმანის სამონასტრო კომპლექსი შემდეგი ნაგებობებისგან შედგება: მთავარი დარბაზული ეკლესია, რომელსაც ჩრდილოეთიდან ორი მცირე სამლოცველო აკრავს (მათგან ერთი, შესაძლოა, პასტოფორიის ფუნქციას ასრულებდა), ხოლო დასავლეთიდან – ნარტექსის ნაშთები. დიდი ეკლესიის სამხ-

⁴ ვ. თოთიბაძე. ჯაყისმანის (ჯაყისუბნის) სამონასტრო კომპლექსი. ჟურნ.: „ძეგლის მეგობარი“. 1984. № 67, გვ. 27-34.

რეთით, განცალკევებით დგას კიდევ ერთი მცირე სამლოცველო და სამრეკლო. კომპლექსი გარშემორტყმული იყო გალავნით. წინასწარი გაწმენდითი სამუშაოების შედეგად გამოვლინდა აგრეთვე ნარტექსის კედლები მთავარი ეკლესიის დასავლეთით, ამავე ეკლესიის ჩრდილოეთით არსებული მცირე სამლოცველოს ჩრდილოეთით კიდევ ერთი პატარა დარბაზული ნაგებობა, რომელიც ამ უკანასკნელის ნაწილი აღმოჩნდა, და ეკლესიის სამხრეთ კედელზე მიდგმული მცირე სამლოცველოს მიწაში ჩასული ფრაგმენტები. გამოვლენილია აგრეთვე ფილაქანი, დაგებული სამრეკლოსა და მთავარ ეკლესიას შორის მონაკვეთზე, და მრავალი სამარხი მთელი კომპლექსის სხვადასხვა წერტილში. ყველა ნაგებობა დაზიანებულია და მხოლოდ ნაწილობრივია შემორჩენილი.

კომპლექსის ძირითადი ნაგებობაა მოზრდილი დარბაზული ეკლესია (მინაშენების გარეშე დაახლ. 12,1X7 მ). იგი ფერდობზე მდებარეობს და გაწმენდით სამუშაოებამდე აღმოსავლეთის, ჩრდილოეთის და სამხრეთის მხრიდან ნაწილობრივ მიწაში იყო ჩამჯდარი. ეკლესია დარბაზული ტიპისაა და მონაცრისფრო, ოდნავ მოვარდისფრო ტონალობის ბაზალტის კარგად დამუშავებული, დიდი საპერანგე ქვებითაა მოპირკეთებული. პერანგი მხოლოდ ფრაგმენტულადაა შემორჩენილი: დასავლეთის ფასადის უმეტეს ფართობზე (აკლია ქვედა მონაკვეთები შენობის კუთხეებისკენ); სამხრეთ ფასადზე – ზედა მარცხენა მონაკვეთზე და შესასვლელის თავზე მოთავსებული ტიმპანზე; აღმოსავლეთის ფასადზე საპირე ქვები არაა; ჩრდილოეთის ფასადზე მცირე სამლოცველოებია მიდგმული, მათი კამარების თავზე კი პერანგი ფრაგმენტულადაა შემორჩენილი.

დასავლეთიდან ეკლესიას ჰქონდა ნარტექსი. ამჟამად შემორჩენილია მხოლოდ მისი კამარის დასაწყისი ეკლესიის კედელზე და გაწმენდითი სამუშაოების შედეგად გამოვლენილი საძირკვლის ფრაგმენტები.

ინტერიერში მოპირკეთება ნაკლებადაა დაზიანებული: რუხი, კარგად გათლილი ქვების წყობა მონუმენტურ შთაბეჭდილებას ახდენს.

ეკლესია გეგმით დარბაზულ ეკლესიას წარმოადგენს, რომელიც ორტრაკვიანი ნახევარცილინდრული კამარითაა გადახურული. წაგრძელებული დარბაზი ორ თანაბარ ნაწილადაა დაყოფილი პილასტრებით. მათ რთული სამსაფეხურიანი ფორმა აქვს, თუმცა გეგმაში სხვადასხვანაირია: ცენტრალური წყვილი წარმოადგენს მასიურ ოთხკუთხა ბურჯს ზედ მიდგმული სწორკუთხა ორი შვერილით, ხოლო აღმოსავლეთის (აფსიდისპირა) და დასავ-

ლეთის კუთხის წყვილი იმავე ფორმას იმეორებს, მხოლოდ აფსიდის და დასავლეთის კუთხის მხარეს რთული პროფილი „მოჭრილია“. ორი სწორკუთხა შვერილი ყველა ბურჯზე წარმოადგენს საკუთრივ კედლის შვერილს, ისინი კამარამდე „ადის“ და მათზეა გადაყვანილი კამარის საყრდენი თაღები. პილასტრების პირველ საფეხურზე კი გადაყვანილია გრძივი კედლების დამანაწევრებული თაღები. ერთი თაღი არის დასავლეთის კედელზეც. კამარის ფორმა, აფსიდი მკაცრად ნახევარწრიულია, გრძივი კედლის დამანაწევრებული თაღები კი – სულ ოდნავ ნალისებური.

საკურთხევლის აფსიდი დარბაზისაგან გამოყოფილია საფეხურით. მასში ერთი სწორკუთხა ნიშია ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეს.

საყურადღებოა პილასტრების კაპიტელების ფორმა. ისინი მოკლებულია ორნამენტურ დეკორს და მარტივადაა პროფილირებული. სვეტისთავის ფორმა ოდნავ ტრაპეციისებრია, მის თავზე სწორკუთხა ფორმის ბრტყელი ფილაა მოთავსებული, რომელიც პროფილირებულია მომრგვალებული და სწორკუთხა ფორმებით. ინტერიერში კაპიტელის სამგვარი ვარიანტია გამოყენებული.

ეკლესიის შიდა სივრცე ხალვათი და თავისუფალია, მიუხედავად თავად ნაგებობის არც თუ დიდი ზომებისა. ინტერიერი ერთიანი, მონუმენტურია, რაც საერთოდ დამახასიათებელია სამცხე-ჯავახეთის არქიტექტურული ძეგლებისათვის. პილასტრების და კაპიტელების ფორმები მარტივი, მაგრამ დახვეწილია, ასეთივეა თაღების, კონქის, კამარის მოხაზულობა. კედლები მოპირკეთებულია სუფთად გათლილი მსხვილი კვადრებით, ისინი ჰორიზონტალურ რიგებადაა დალაგებული, ქვები კარგადაა მორგებული მწკრივებში, თუმცა ყველა ერთი ზომის არაა, რაც, ვფიქრობთ, ჯაყისმანის ეკლესიას X ს-ის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლებთან აახლოებს.

ეკლესიას ორი შესასვლელი აქვს: დასავლეთიდან და სამხრეთიდან (ეს უკანასკნელი ამჟამად ამოქოლილია).

ეკლესია ნათდება აფსიდის ერთი, დასავლეთის ერთი და სამხრეთ კედლის ორი სარკმლით.

დასავლეთის კედელზე, სარკმლის აქეთ-იქით, ასევე აფსიდის ტრიუმფალურ თაღზე და კონქის ზენიტში მონუმენტური ფერწერის კვალია შემორჩენილი, თუმცა რთულია იმის თქმა, რა ფრაგმენტები ან კომპოზიციები იყო აქ გამოსახული. დასავლეთ კედელზე სარკმლის მარცხნივ თითქოს განირჩევა გამოსახულებები: ქალის ფიგურა, მისი სახის და დრაპირების ფრაგმენტები, კიდევ ორი ფიგურის ფრაგმენტები – ფეხის ტერფები, სამოსი; სარკმლის

მარჯვნივ – დახრილი ფიგურის ფრაგმენტები და მის ქვეშ რაღაც მოღუნული ფორმა მრგვალი „თვალით“. ამ უკანასკნელის ქვეშ შეიმჩნევა აგრეთვე ნალესობის კვალი, სადაც ფრესკის ხაზები იკვეთება, ხოლო ტრიუმფალურ თაღზე და კონქის ზენიტში მოწითალო-მოყავისფრო საღებავის კვალია შემორჩენილი.

სარკმლის მარჯვენა მხარეს გამოსახული დახრილი ფიგურა და მის ქვეშ ფრაგმენტები ძალზე მოგვაგონებს წმ. გიორგისა და გველეშაპის გამოსახულებას, მარცხნივ სამი ფიგურის ფრაგმენტები კი – სამ მეოთხედ ბრუნში წარმოდგენილ წმინდანთა რიგს.

ეკლესიის მოხატულობის თარიღზე თუ გამოსახულ კომპოზიციებზე მსჯელობა შეუძლებელია. ერთადერთი, რისი ვარაუდის საშუალება გვაქვს, ისაა, რომ ფრესკები ეკლესიის თანადროული არაა. ის, რომ მოხატულობის ფრაგმენტები შერჩენილია დასავლეთ კედელზე, მეტყველებს, რომ ეკლესია მთლიანად იყო მოხატული. X ს-ში ან თუნდაც X–XI სს. მიჯნაზე საქართველოში ეკლესიების მთლიანად მოხატვა სიუჟეტური კომპოზიციებით ჯერ არ იყო პრაქტიკაში. გარდა ამისა, ეკლესიის ინტერიერში კედლის წყობის მაღალი ხარისხი, მსხვილი, კარგად მორგებული ქვების გამოყენება იმაზე მიუთითებს, რომ კედლები შესაძლებლად და მოსახატად არ იყო გათვალისწინებული.


ინტერიერში ყველაზე მეტად ჩრდილოეთის კედელია დაზიანებული, კერძოდ, თაღებს ქვეშ მონაკვეთებს ნაწილობრივ აკლია პერანგის ქვები (აქ მოგვიანებით ამოქოლილი ღიობები იყო). ფრაგმენტები შევსებულია ფლეთილი ქვით. როგორც ვ. თოთიბაძე აღნიშნავს, აქ იატაკიდან ერთი მეტრის სიმაღლეზე მოწყობილი უნდა ყოფილიყო ღიობები, რომლებიდანაც კიბეები სავარაუდოდ ჩადიოდა ჩრდილოეთის სამლოცველოს ქვეშ არსებულ კრიპტაში⁵. ალბათ არქეოლოგიური სამუშაოები საბოლოო სიცხადეს შეიტანს ამ საკითხში. გაწმენდითი სამუშაოებისას კრიპტა ვერ გამოვლინდა, სამაგიეროდ, ცხადი გახდა, რომ მცირე სამლოცველოს და მთავარი ეკლესიის იატაკის ღონეები არ ემთხვევა ერთმანეთს (მცირე სამლოცველოსი უფრო დაბლაა). ამ მცირე სამლოცველოს სამხრეთი კედელი ჩართულია დიდი ეკლესიის ჩრდილოეთ კედელში (ამ კედელზე გამავალი თარო-კარნიზის ღონეზე).

ჯაყისმანის მონასტრის მთავარი ეკლესია ყურადღებას იქცევს თავისი

⁵ ვ. თოთიბაძე. ჯაყისმანის (ჯაყისუბნის) სამონასტრო კომპლექსი, გვ. 28.

დეკორატიული მორთულობით. როგორც უკვე აღვნიშნეთ ზემოთ, ნაგებობის კედლის წყობა და საპირე ქვების დამუშავება მაღალი დონით გამოირჩევა. ასევე შესრულების მაღალი ხარისხისაა არქიტექტურული დეტალები, რომლებიც ინტერიერს ამკობს (პილასტრები, კაპიტელები, თალები), იგივე შეიძლება ითქვას ძეგლის ექსტერიერის დეკორატიულ მორთულობაზე. სამცხე-ჯავახეთის სხვა რიგითი ძეგლების უმეტესობისგან განსხვავებით, ჯაყისმანის მონასტრის მთავარი ეკლესია დახვეწილი მოჩუქურთმებული ელემენტებითაა შემკული (განსაკუთრებით, სამხრეთი ფასადი). ჩუქურთმის ხარისხი, კვეთის ხასიათი საკმაოდ გამოირჩევა ამ რეგიონის ძეგლების ერთგვარი უხეში და ძუნწი დეკორისაგან. ამ მხრივ ჯაყისმანის ეკლესია უფრო ტაო-კლარჯეთისა და ქართლის X–XI სს. ნიმუშებს უახლოვდება.

დასავლეთის ფასადის მთავარი დეკორატიული აქცენტია ფართო მოჩუქურთმებული საპირის მქონე სარკმელი. საპირე ძირშეუკრავია და მისი მოჩარჩობა წყვილ გრეხილ ლილვშია ჩასმული. ლილვების კვადრატული ბაზისებიდან მარჯვენა მოჩუქურთმებულია, მარცხენაზე კი წარწერაა მოცემული, რომელიც სარკლის ძირზეც გრძელდება.



წარწერა შემდეგნაირად იკითხება:

ქე შ
ე მო ბ(ან გ) ჯ ი

ქ(რისტ)ე შ(ეიწყალ)ე მო(ნა)... ბ(ან გ) ჯ ი

პალეოგრაფიული ანალიზით (ასოების მოხაზულობის ზოგიერთი ნიუანსი: მაგ., თავშეუკრავი ასო შ, ასოების მარტივი, სადა მოხაზულობა და სხვ.) წარწერა X ს-ს განეკუთვნება. როგორც ვ. თოთიბაძე ვარაუდობს, შესაძლებელია, აქ მოხსენიებულია ჯაყელთა საგვარეულოს რომელიმე წარმომადგენე-

ლი⁶. როგორც ცნობილია, ჯაყელთა საგავრეულოს პირველი წარმომადგენლები, რომლებიც ჩორჩანელთა ფეოდალური გვარის ჩამომავალნი არიან, ქართულ ისტორიულ წყაროებში მოიხსენიებიან XI ს-ის შუა წლებიდან.⁷ ჩვენი მხრივ, წარწერის წაკითხვას დაუმატებთ სარკმლის ძირში ამოკითხულ ასოებს ბ (ან გ), ჯ და ი. მათგან ყველაზე ნათლად სწორედ ასო ჯ იკითხება. რასაკვირველია, გადაჭრით შეუძლებელია ითქვას, რომ ჯ ამ შემთხვევაში მაინცდამაინც „ჯაყელს“ ნიშნავს.

სარკმლის საპირე მოქნილი, ხვეული ფოთლოვანი ორნამენტითაა მორთული. გ. ჩუბინაშვილის მიხედვით, ასეთი მოტივი საქართველოში ფართოდ ვრცელდება X ს-ის შუა წლებიდან (მაგ., ბედიის, ტბეთის, ხცისის ტაძრები და სხვ.). ძირშეუკრავი საპირეები კი გვხვდება როგორც X,⁸ ასევე XI ს-ის ტაძრებზე.

აღსანიშნავია, რომ ჩუქურთმა დასავლეთის სარკმლის საპირეზე, ამავე ტაძრის სამხრეთ ტიმპანის მორთულობასთან შედარებით, ოდნავ უხეშად გამოიყურება. სავარაუდოდ, ამ ფაქტში აისახება შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრებისათვის ჩვეული მიდგომა: მეტი ყურადღების დათმობა სწორედ სამხრეთის ფასადის დეკორატიული შემკულობისათვის. ამიტომ, როგორც წესი, ძეგლთა უძეტესობის სამხრეთ ფასადზე მოცემული ჩუქურთმები განსაკუთრებული დახვეწილობით გამოირჩევა. ამ მხრივ ჯაყისმანის ეკლესია არ წარმოადგენს გამონაკლისს. რა თქმა უნდა, დასაშვებია აგრეთვე მოსაზრება, რომ ძეგლის მორთულობაზე ორი სხვადასხვა ოსტატი მუშაობდა.

ეკლესიის ფასადების უმნიშვნელოვანესი დეკორატიული აქცენტია სამხრეთის კარის ნაწილობრივ შემორჩენილი პორტალი. ტიმპანში მოთავსებულია სამმაგ წრეში ჩასმული აყვავებული ჯვარი აქეთ-იქით ფოთლოვანი ორნამენტით (განსაკუთრებული ფორმის პალმეტები).

ჩუქურთმიან არეს გარეს უვლის ვიწრო გლუვი ზოლი. თავად ტიმპანი მოცულობითია, თავსართი შევრილია. იგი შედგება გლუვი ზოლის და ორი შევრილი პატარა მომრგვალებულ „კარნიზს“ შორის მოქცეული ჩუქურთმიანი არისგან. თავსართზე მცენარეული ორნამენტის ზოლია მოცემული.

ჯაყისმანის ეკლესიის სამხრეთის შესასვლელის ტიმპანი კომპოზიციის

⁶ გ. თოთიბაძე. ჯაყისმანის (ჯაყისუბნის) სამონასტრო კომპლექსი, გვ. 30.

⁷ ქართლის ცხოვრება. რედ. ს. ყაუხჩიშვილი. ტ. I. თბ. 1955, გვ. 316-334.

⁸ გ. მარსაგიშვილი. აგარის მონასტრის უძველესი ეკლესია. ჟურნ.: „ძეგლის მეგობარი“. №60. 1982, გვ. 15

მხრივ ანალოგიებს პოულობს იშხნის კათედრალის დასავლეთი მკლავის და ამავე კომპლექსის გურგენისეული მცირე ეკლესიის ტიპპანებთან (1006). მისი ორნამენტული დეკორი კი ძალზე მოგავგონებს იკვის, ხცისის, ნიკორწმინდას, პატარა ონის ტაძრების ჩუქურთმებს⁹. თავსართის ჩუქურთმიანი ზოლი ძალზე ახლოსაა დოლიყანის (X ს-ის II ნახ.) სამხრეთი სარკმლის თავსართის¹⁰ და ვალეს (X ს.) ეკლესიის ტიპპანების და სარკმლის თავსართების ორნამენტებთან. ყველა ჩუქურთმა შესრულებულია ფაქიზად, პირდაპირი, და რა ირიბი, კვეთით. ჩუქურთმა კედლის სიბრტყიდან მხოლოდ ერთ ღონეზეა ამოწეული, ანუ ფორმათა ერთმანეთზე დადება არ შეიმჩნევა.

ჯაყისმანის ეკლესიის სამხრეთ ფასადის ერთ-ერთი სარკმლის თავზე მოცემულია მედალიონში ჩასმული კიდევ ერთი პატარა აყვავებული ჯვარი, რომელიც საკმაოდ გავს ანალოგიურ გამოსახულებას ვალეს ტაძარზე.

ეკლესიას ორიგინალური ფორმის, რთული პროფილის მქონე კარნიზი აქვს, რომელიც ალაგ-ალაგ ჩამოცვენილია. კარნიზის ასეთი ფორმა არ დასტურდება X–XI სს. ჯავახეთის და თრიალეთის რეგიონის ჩვენთვის ცნობილ არც ერთ დარბაზულ ეკლესიაზე, სამაგიეროდ, იგი ჰგავს ტაო-კლარჯეთის X ს-ის რამდენიმე მნიშვნელოვან ძეგლზე შემორჩენილ ლავგარდანებს (მაგ., ოთხთა ეკლესიის და ოშკის).

ჯაყისმანის მონასტრის ტერიტორიაზე წარმოებული წინასწარი გაწმენდითი სამუშაოების შედეგად გამოვლინდა აგრეთვე ლორფინის და კრამიტის ნატეხები. სავარაუდოდ, ეკლესია თავდაპირველად ლორფინით იყო გადახურული, შემდეგ კი – კრამიტით. ამჟამად კრამიტიცა და ლორფინიც მთლიანად ჩამოცვენილია, სახურავში არის ნახვრეტებიც.

ჯაყისმანის მონასტრის მთავარ ეკლესიას ჩრდილოეთიდან ეკვრის მომცრო, თითქმის კვადრატული, ასევე აფსიდიანი, სათავსი (დაახლ. 4X5 მ). ამ უკანასკნელის აფსიდი უსწორო ფორმისაა და აქვს ორი სწორკუთხა ნიში. სათავსის კამარა და ნაწილობრივ კედლები დანგრეულია. კონქის შემორჩენილი სიმაღლეა 4 მ. შემორჩენილია კამარის საბჯენი და ტრიუმფალური თალების ნაწილი. თალების ქუსლების ფორმა მარტივია. სათავსი ნაწილობრივ მიწაში იყო ჩაფლული და მცენარეებით დაფარული. პერანგი შემოდარცულია. წვრილი ქვები, მათი ცუდი დამუშავება, ფლეთილი ქვის გამოყენება, არასწო-

⁹ კ. თოთიბაძე. ჯაყისმანის (ჯაყისუბნის) სამონასტრო კომპლექსი, გვ. 31.

¹⁰ კ. ჯობაძე. ადრეული შუა საუკუნეების ქართული მონასტრები ისტორიულ ტაოში, კლარჯეთსა და შავშეთში. თბ. 2006, გვ. 79-80.

რი ფორმის აფსიდი გვაფიქრებინებს, რომ ეს ნაგებობა XV ს-ს განეკუთვნება.

სათავსი დიდ ეკლესიას უკავშირდება დიობით, ამჟამად ეს დიობი ამოქოლილია. სავარაუდოდ, ეს დიდი ეკლესიის პასტოფორია იყო. სათავსსა და მთავარი ეკლესიის ჩრდილოეთით არსებულ მცირე ეკლესიის აფსიდს შორის იყო განგრეული ხვრელი, რომელიც ასევე ამოვსებულია. სხვა, დამოუკიდებელი შესასვლელი სათავსს არა აქვს.

კიდევ ერთი უფრო დიდი, მოგრძო აფსიდიანი სამლოცველო ჯაყისმანის მთავარ ეკლესიას ასევე ჩრდილოეთიდან ეკვრის (ზომები 7,6X4,4 მ). მისი სამხრეთი კედელი ჩართულია მთავარი ეკლესიის ჩრდილოეთი კედლის სტრუქტურაში (ამ კედელზე გამავალი თარო-კარნიზის სიმაღლეზე). მთავარი ეკლესიის ჩრდილოეთ კედელზე, მის დამანაწევრებელ თაღებს ქვეშ არის ამჟამად ფლეთილი ქვით უხეშად ამოვსებული მონაკვეთები. როგორც ჩანს, აქ ოდესღაც ჩრდილოეთის მცირე ეკლესიაში გამავალი კარები იყო. როგორც ვ. თოთიბაძე აღნიშნავს, აქედან კიბეები სავარაუდოდ ჩადიოდა ჩრდილოეთის სამლოცველოს ქვეშ არსებულ კრიპტაში¹¹. მოგვიანებით ეს დიობები ამოქოლეს. ალბათ არქეოლოგიური სამუშაოები საბოლოო სიცხადეს შეიტანს ამ საკითხში, რადგან, როგორც ვთქვით, ამ ეტაპზე კრიპტა ვერ გამოვლინდა. მცირე ეკლესიის სიმაღლე ჩამოქცეული კონქის ზედა წერტილამდე 4,1 მ-ია. არაა შემორჩენილი არც პილასტრები, არც თაღები.

ერთი შეხედვით, მცირე ეკლესია შეიძლება მთავარი ტაძრის ეკვდერად მივიჩნიოთ, მაგრამ უფრო საგულდაგულო დაკვირვებისას ცხადი ხდება, რომ თავდაპირველად სწორედ ეს მცირე ეკლესიაა აგებული: მისი უფრო დაბალი კედელი ჩართულია დიდი ტაძრის კედელში, იატაკის დონეც უფრო დაბლაა, გარდა ამისა, კედლის წყობის ხასიათი მის არქაულობაზე მოუთითებს.

კედლის წყობა მცირე ეკლესიაში უფრო პატარა ქვებისგან შედგება, ვიდრე დიდი ტაძარში. ქვის დამუშავების ხარისხი უკეთესია, ვიდრე პასტოფორიაში. ამ წყობის ხასიათის მიხედვით მცირე ეკლესია, სავარაუდოდ, VIII–IX სს-შია აგებული, მაშინ, როდესაც დიდი ტაძარი სავარაუდოდ X ს-ის II ნახევარს ან უკიდურეს შემთხვევაში XI ს-ის დასაწყისს განეკუთვნება. ამდენად, საფიქრებელია, რომ თავდაპირველ ეკლესიას სწორედ ეს პატარა ეკლესია წარმოადგენდა, რომელიც X–XI სს-ში ვეღარ პასუხობდა დიდი

¹¹ ვ. თოთიბაძე. ჯაყისმანის (ჯაყისუბნის) სამონასტრო კომპლექსი, გვ. 28.

ფეოდალების – ჯაყელების – რეზიდენციის ახლოს განლაგებული მონასტრის სტატუსს, რომელიც თავისი არსებობის მანძილზე მუდმივად იყო ამ საგვარეულოს წევრების განსაკუთრებული ზრუნვის ობიექტი (ამას მოწმობს ამავე კომპლექსში შემავალი XIII ს-ში აგებული კიდეც ერთი მცირე ეკლესია და სამრეკლო და აგრეთვე საქტიტორო წარწერიანი ქვა, რომელიც ამჟამად სოფ. წინუბნის სომხურ სამლოცველოშია ჩატანებული¹²).

ის მოსაზრება, რომ ჩრდილოეთის პატარა ეკლესია დამოუკიდებელ ეკლესიას წარმოადგინდა, დამტკიცდა გაწმენდითი სამუშაოების შედეგად გამოვლენილი მასალით. გაირკვა, რომ ჩრდილოეთის მცირე ეკლესია ორი დარბაზული სათავსისგან შედგება: გაითხარა კიდეც ერთი, უფრო პატარა დარბაზული ეკლესია მის ჩრდილოეთით (მათი საერთო ზომებია 7,3X7,6 მ).

სამხრეთის დარბაზი უფრო გრძელია (7,6 მ), ჩრდილოეთისა – უფრო მოკლე (5,8 მ). ეს უკანასკნელი მთლიანად გაწმენდითი სამუშაოების შედეგად გამოვლინდა. მისი კედლის მაქსიმალური სიმაღლე 2,55 მ-ია. პატარა დარბაზს აქვს შესასვლელი დასავლეთიდან, რომლის წინ აღმოჩნდა საძვალე. ძნელია თქმა, იყო თუ არა ამ ორ დარბაზულ ელემენტს შორის კარი. ერთობლიობაში ნაგებობა ორდარბაზიან ეკლესიას მოგვაგონებს.

ორდარბაზიანი ეკლესია უერთდებოდა ნარტექსს, რომელიც ამ ორივე დარბაზს და მთავარ ეკლესიას უვლიდა დასავლეთიდან.

დიდი ეკლესიის სამხრეთით გაითხარა კიდეც ერთი პატარა სამლოცველო (2,25X6,6 მ). იგი უშუალოდ მიდგმულია დიდი ეკლესიის სამხრეთ ფასადზე. დარბაზული ტიპის ეკლესიის კედლები მიწიდან ამოვიდა მაქსიმალუ-

¹² ვ. თოთიბაძე. ჯაყისმანის (ჯაყისუბნის) სამონასტრო კომპლექსი, გვ. 33-34: ქვა ზემოდან მომრგვალებულია და მას გრეხილი ღიღვი შემოუყვება. როგორც ჩანს, იგი სიმბოლურად ტაძარს განასახიერებს („სიონს“, „იერუსალიმს“). ქვაზე ამოკვეთილია კვარცხლბეკზე მდგომი ორნამენტირებული ჯვარი და მის მკლავებს შორის ორი წარწერა. წარწერები ჯვრის პორიზონტალური ძელით გამოიყოფა ერთმანეთისგან. ერთი წარწერა მხედრულია, მეორე კი – ასომთავრული მხედრული ი-ს და ნუსხური ღ-ს და ო-ს ჩართვით. ეს უკანასკნელი წარწერა საქტიტოროა და, მასში მოხსენიებულია ვინმე ეფროსინე. მას აუგია სამრეკლო და მცირე ეკლესია ვინმე გურანდუხტის საფლავზე. წარწერაში მოხსენიებული ეფროსინე, შესაძლებელია, ჯაყელთა საგვარეულოს წარმომადგენელი იყო. საინტერესოა მისი სახელიც – სავარაუდოა, რომ ეფროსინე მონაზვნად აღკვეცის შემდეგ მიღებული სახელია. ალბათ ეს ქვა თავის დროზე ჯაყისმანის რომელიმე მცირე ეკლესიაში, სამრეკლოში ან ხსენებული გურანდუხტის საფლავზე იყო მოთავსებული. იხ. აგრეთვე ვ. სილოგაძე. სამხრეთ საქართველოს წარწერების შესწავლა ხელნაწერთა ინსტიტუტის ეპიგრაფიკული ექსპედიციის მიერ. ჟურნ.: „მრავალთავი“. X. თბ. 1983, გვ. 287-288.

რი სიმაღლით 2,5 მ. კონქში ერთი სარკმელია. საპირის ქვები შემორჩენილია როგორც გარე, ასევე ინტერიერის მხრიდან. კედლის წყობა მოძცრო, მაგრამ კარგად დამუშავებული, ერთი ზომის ქვებისგან შედგება, რაც, სავარაუდოდ, ძეგლს XIII ს-ის ნაგებობებთან აახლოებს. სამლოცველოში შემორჩენილია საფლავის ქვები. სამლოცველოს წინ, მონაკვეთზე დიდ ეკლესიასა და სამრეკლოს შორის, დაგებულია ფილაქანი. მის ქვეშაც არის სამარხები. ნარტექსში საძვალეა განლაგებული.

ჯაყისმანის ეკლესია თავისი მხატვრული ღირებულებით გამოირჩევა სამცხე-ჯავახეთის რეგიონის დარბაზულ ეკლესიებს შორის თავისი მაღალი ხარისხის სამშენებლო ტექნიკით, არქიტექტურული ფორმებით და დახვეწილი დეკორატიული მორთულობით.

ძეგლის უფრო ზუსტი დათარიღების საშუალებას რამდენიმე დამახასიათებელი დეტალი გვაძლევს. პირველ რიგში, ესაა კედლის წყობის მაღალი ხარისხი: როგორც ფასადები, ასევე ინტერიერი მოპირკეთებულია ფაქიზად დამუშავებული, მსხვილი კვადრებით, რომლებიც მკაცრ ჰორიზონტალურ მწკრივებადაა განლაგებული და კარგადაა მორგებული ერთმანეთზე. ქვები საკმაოდ დიდი ზომისაა, მაგრამ ყველა ერთი ზომის არ არის, ამდენად, წყობის ხასიათის სიმკაცრე ერთგვარად შერბილებული, გამრავალფეროვნებულია. ასევე მაღალი ხარისხისაა კედლის წყობა პერანგის შიგნით.

ნაგებობის ზოგადი პროპორციები ზომიერი და მოხდენილია, შიდა სივრცე თვისუფალი, ხალგათი და ერთიანია.

ასევე დახვეწილი ფორმისა და პროპორციებისაა არქიტექტურული დეტალები: პილასტრები, კაპიტელები. არსად არ შეიმჩნევა მოუხეშავი, მძიმე პროპორციები, რომლების ხშირად გვხვდება სამხრეთ საქართველოს დარბაზულ ეკლესიებში. კაპიტელების ფორმა სადაა, თუმცა მრავალფეროვნადაა პროფილირებული. კამარის, აფსიდის ფორმები ნახევარწრიულია, მაშინ როდესაც გრძივი კედლების დამანაწევრებელი თაღები სულ ოდნავ ნალისებრია.

ასეთი ხასიათის კედლის წყობა და არქიტექტურული დეტალები აშკარად არაა გათვლილი შელესვასა და მოხატვაზე ისევე, როგორც X ს-ში აგებული სხვა ქართული ძეგლები. ფრესკები, რომელთა ფრაგმენტებიც შემორჩენილია ჯაყისმანის მონასტრის მთავარ ეკლესიაში, აშკარად ნაგებობის თანადროული არაა.

ყველა ეს დეტალი ძეგლს X ს-ის ქართული ხუროთმოძღვრების ნიმუშებთან აახლოებს. ამავე მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს სამხრეთ

ფასადზე არსებული წარწერის პალეოგრაფიული ანალიზიც, რომლის მსხვილი, სადა, მარტივი, ყოველგვარ დეკორატიულობას მოკლებული მოხაზულობის ასოები წარწერის არქაულობაზე მეტყველებს. როგორც ცნობილია, უკვე XI ს-ში ასეთ სადა ასოებს აღარ იყენებენ.

ტაძრის ფასადების დეკორატიული მორთულობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია მისი მხატვრული ღირებულებისა და აგების თარიღის განსაზღვრისათვის. სამხრეთის ტიმპანის დახვეწილი ორნამენტები და მთლიანად პორტალის კომპოზიცია X–XI სს. მთელ რიგ ძეგლებზე პოულობს მსგავსებას (პატარა ონი, იშხნის მცირე ეკლესია, იშხნის კათედრალის დასავლეთი მკლავის სამხრეთი ტიმპანი, იკვი, ხცისი და სხვ.). ჯაყისმანის ეკლესიის ტიმპანის თავსართის მსგავსი თავსართები აქვს ვალეს და დოლისყანის ეკლესიის სარკმლებს.

დასავლეთ ფასადის სარკმლის ძირშეუკრავი საპირის ფორმა და მისი S-ისებრი ორნამენტი ასევე გვხვდება X–XI სს. ეკლესიებზე (აგარა, იშხნის კათედრალი).

ჯაყისმანის დიდი ტაძრის კარნიზის ანალოგიური კარნიზები გვხვდება ოთხთა ეკლესიასა და ოშკის კათედრალზე.

ყოველივე ზემოთაღნიშნულის გათვალისწინებით სავარაუდოდ მიგვაჩნია ჯაყისმანის მონასტრის მთავარი ეკლესიის დათარიღება X-ს-ის II ნახევრით, ან, უკიდურეს შემთხვევაში, X–XI სს. მიჯნით.

რაც შეეხება ჩრდილოეთის მცირე “ორდარბაზიან” ეკლესიას, ის, სავარაუდოდ, VIII–IX სს-შია აგებული და მოგვიანებითაა ჩართული მთავარი ეკლესიის სტრუქტურაში.

მთავარი ტაძრის გვერდითი სათავსი, სავარაუდოდ, XV ს-შია აგებული. ამას გვაფიქრებინებს მისი წყობის უხარისხოდ დამუშავებული ქვები, ფლეთილი ქვის გამოყენება და სხვ.

დიდი ეკლესიის სამხრეთით გათხრილი სამლოცველო, ასევე კედლის წყობის ხასიათის მიხედვით, სავარაუდოდ, XIII ს-ს განეკუთვნება.


ასევე სავარაუდოდ შეიძლება ითქვას, რომ ნარტექსი, რომელმაც გააერთიანა დიდი ტაძარი და VIII–IX სს. “ორდარბაზიანი” ეკლესია, დიდი ტაძრის თანადროულია.




სურ. 1. ჯავისმანის მონასტერი გაწმენდით სამუშაოებამდე
(ზედი სამხრეთ-დასავლეთიდან)




სურ. 2. ჯავისმანის მონასტერი გაწმენდითი სამუშაოების შემდეგ
(ზედი დასავლეთიდან)



სურ. 3. ჯაყისმანის მთავარი ეკლესიის გეგმა მიმდებარე
ნაგებობებთან (არქ. შ. მელიქიძე)




სურ. 4. მთავარი ეკლესიის ჭრილი
ჩდრილოეთზე (არქ. შ. მელიქიძე)



სურ. 5. მთავარი ეკლესიის სამხრეთი
ფასადის სქემა (არქ. შ. მელიქიძე)




სურ. 6. მთავარი ეკლესიის დასავლეთი ფასადი



სურ. 7. მთავარი ეკლესიის სამხრეთი ფასადი



სურ. 8. აფსიდისპირა პილასტრები



სურ. 9. ინტერიერში გამოყენებული კაპიტელები (არქ. შ. მელიქიძე)



სურ. 10-11. ფრესკის ფრაგმენტები დასავლეთ კედელზე



სურ. 12. სარკმელი სამხრეთის ფასადზე



სურ. 13. წარწერა საპირის ლილვის ბაზაზე



სურ. 14. სამხრეთის კარის ტიმპანი



სურ. 15. ვალეს ეკლესიის ტიმპანის თავსართი



სურ. 16. ჯაყისმანის ეკლესიის სამხრეთის სარკმლის მორთულობა



სურ. 17. აყვავებული ჯვრის გამოსახულება ვალეს ტაძარზე



სურ. 18. ჯაყისმანის ეკლესიის კარნიზი



სურ. 19. ოთხთა ეკლესიის კარნიზი



სურ. 20. გვერდითი სათავსი



სურ. 21. მთავარი ტაძრის სამხრეთ კედელზე მიღებული მცირე
სამლოცველო

Nino Silagadze

THE MAIN CHURCH OF JAKISMANI MONASTERY AND NEIGHBORING BUILDINGS

Summary

The Main Church of Jakismani Monastery is one of the interesting buildings of the Southern Georgia (historical province of Samtskhe). We have no historical records about the Monastery. The level of research of this complex is not very high. That is why we are focused to intensify the interest toward this architectural monument. Recently the empiric investigations were conducted over the complex and we are putting the results of these in this issue.

After revealing the several hidden parts, the full view of the architectural complex, i.e. of the main church and neighboring buildings, can be observed. That fact provides us with new date for the main church (the end of 10th c.) and other parts of the complex (8th-9th cc., 13th c., 15th c.). This date is also confirmed by other data – stylistic and typological traits, like decoration, architectural details, epigraphics, etc.

გვანცა აბდლაძე

გიორგი IV ლაშა და აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი

გიორგი ლაშას ურთიერთობა აღმოსავლეთ საქართველოს მთის რეგიონის მოსახლეობასთან მისი საშინაო პოლიტიკის ერთ-ერთი გამორჩეული შტრიხია. XIII ს-ის დასაწყისში სამეფო ხელისუფლებამ გადაწყვიტა ხელის ერთი დაკვრით მოეგვარებინა მთიელებთან ურთიერთობის პრობლემები. მითუმეტეს, რომ იმხანად საქართველოს კულტურულ-პოლიტიკური გავლენა ჩრდილოეთ კავკასიაზეც ვრცელდებოდა (ამის დამადასტურებელია თუნდაც დაღესტანში ტყობაერდის ეკლესია და აქ აღმოჩენილი ოცამდე ქართულ-ავარული ბილინგვა), და ასეთ ვითარებაში ერთიანი და გაძლიერებული ქვეყანა, ბუნებრივია, ვერ მოითმენდა ეკლესიურ თუ პოლიტიკურ დაუმორჩილებლობას ქვეყნის შიგნით. მთის ჩამორჩენილ რეგიონში „ფეოდალიზაცია და ქრისტიანიზაცია ერთდროულად მიმდინარეობს“.¹

თამარის მიერ განხორციელებული საგანგებო ზომებით მთაში მკაცრი წესრიგი დამყარდა, როგორც ლაშასდროინდელი მემატიანე წერს: „ოვსმან, მთიულმან, და ყივჩაყმან, და სუანმან ვერ იკადრიან პარვა“.² მთა შეწუხდა ბარის მოწოლით და აჯანყდა. „ფხოველთა და დიდოთა განდგომა“ ივანე მხარგრძელმა წარმატებით ჩაახშო, რადგან სამეფო ხელისუფლების გვერდით დადგნენ „ბარელი მთიელები“: დვალნი, ცხრაზმელნი, მოხვეენი, ხადელნი, ცხავატელნი, ჭართალელნი, ერწოთიანელნი..., ხოლო ჩრდილო კავკასიელი ძურძუკნი გამოეთიშნენ აჯანყებას.

თამარ მეფის მიერ მთის მიმართ განხორციელებულ რადიკალურ ზომებს, ბუნებრივია, პრობლემის მთლიანად გადაჭრა არ შეეძლო. ამ საკითხზე ზრუნვა

¹ რ. მეტრეველი. დეკლასირებული ელემენტები შუა საუკუნეების საქართველოში (V-XII სს). გლახაკები. თბ. 1976, გვ. 69.

² ლაშა გიორგის-დროინდელი მატიანე. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ჯავახიშვილის მიერ. ტ. I. თბ. 1955, გვ. 369.

თამარის მემკვიდრესაც დააწვებოდა მხრებზე. გააგრძელა თუ არა დედისეული საშინაო პოლიტიკა მთიელებთან ურთიერთობაში გიორგი IV ლაშამ?

იოანე ბატონიშვილი გიორგი IV ლაშას ფშავ-ხევსურეთში მოღვაწეობას შემდეგნაირად აღწერს: „ჟამთა ამათ შინა ადგილ-ადგილ იყო ფშაველთა შინა ქრისტიანობა, გარნა ვერა ეპყრათ რიგიან, ქურდობდნენ და ესხათ ორ-ოლი და სამ-სამი ცოლი და იქცეოდნენ არაწმინდებით. მაშინ მეფე გიორგი წარვიდა ფშავს და წარიღო მოჭედილი ჯვარი და ნაწილი წმიდისა გიორგისა; მოეგებნენ ფშაველნი, მეფემან შეიწყნარნა კარგად და უჩვენა გზა ჭემმარიტებისა და დაუდგინა მღვდელნიცა და ქადაგნიცა. ქმნა მცირე ეკლესია და დაასვენა მუნ ჯუარი იგი; და დაასვენა ნაწილიცა იგი და მიუბოძა ბავრაცი, და იგინიცა მხიარულ იქმნეს და ნათელ იდეს. ხოლო ფშაველნი უწოდებენ ჯუარსა მას „ლაშარის ჯუარად“, „ბაგრატიანთა მოძმის ჯუარად“, ხოლო ხევსურნი „გუდანის ჯუარად“.³

იოანე ბატონიშვილის ვერსიით გიორგი IV ლაშა სუსანა დედოფალსაც აქტიურად რთავდა მთიელებთან ურთიერთობაში. „კუალად შეიქნა არეულობა მთასა მას შინა. მაშინ მოუწერა მეფემან დედოფალსა სუსანას, რათა გარდავიდეს და დაამშვიდოს იგინი. ხოლო დედოფალი უკვე წარვიდა, მოეგებნენ სრულად ფშაველ-ხევსურნი და დიდისა პატივითა და სიხარულით მიიღეს, და ყოველნივე დამორჩილდნენ ბრძანებასა მისსა, მაშინ მცნობმან მეფემან დამშვიდებისათვის მთიურთა ხალხთა ჯილდოდ უბოძა დედოფალს პირიქით ფშავისა სოფელი ერთი, რომელნიცა ინახავდნენ დედოფლისა საჯოგე ულაცსა ცხენსა, ესე განუჩინა ხარკად დედოფალმან. ხოლო დაჰყო მუნ ვიდრე სამი თვე და მრავლისა ქვეითად სიარულითა, ვინაითგან ვიწრო და კლდიანი ადგილები არს და ძნელად სასიარულო ცხენითა, გაცივდა ღამე დედოფალი ნაოფელი და შეიქმნა ძლიერად ავად, რომელ წარმოიღეს ხელისა სკამითა, და ვერარა არგო რა მკურნალმანც, და მთის ამოსავალს საშუალ ადგილს გარდიცვალა დედოფალი იგი, რომელიც გარდმოვალს გზაი ესე ბაჩალზედ თიანეთის მხარეს. სადაც დედოფალი ესე მიიცვალა, მუნ არს ცხრა ანუ ათერთმეტი ხე არყისა მდგომარე, და ყოველწლივ ფშაველნი მივლენან მუნ, მიიყვანენ საკლავთა და ჰკლავენ და ისადილებენ მუნ, და გარდაიხდიან ალაპსა, შესმენ ღვინოსა და ლუდსა და შეავედრებენ ღმერთს სულსა დედოფლისასა, რომელიცა

³ კორნელი კეკელიძე. ძველი ქართული წელიწადი. ახალი ლიტერატურული წყაროები ლაშა გიორგის ისტორიისათვის. ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. ტ. I. თბ. 1956, გვ. 292.

აწ არს ესრეთცა, ხოლო აცნობეს ესე მეფესა. მეფე იქმნა დიდად მწუხარე და მივიდა თიანეთს და ბრძანა დამარხვა მისი ხარჭოის ეკლესიასა შინა“.⁴

იოანე ბატონიშვილის ეს მონათხრობი სინამდვილეს გავს. რადგან გიორგი IV ლაშას კულტი, რომელიც შეიქმნა მთაში, მთიელებისადმი მხოლოდ განსაკუთრებით ფრთხილი და სათუთი დამოკიდებულებით შეიძლება გაჩენილიყო. მითუმეტეს ივანე ათაბაგის სისხლიანი დემარშის შემდეგ. გიორგი IV ლაშას მეუღლემ წარმატებით გაართვა თავი უმძიმეს დიპლომატიურ მისიას, რაც მისი განსაკუთრებული პიროვნული თვისებებითაც უნდა აიხსნას. სათნო ბუნებით მთის მოსახლეობაში პოპულარობა მოიპოვა და ფშაველნი მისთვის ყოველწლიურ აღაპს გადაიხდიდნენ. აკად. ნიკო ბერძენიშვილი შენიშნავდა, „მთიელებს საზოგადოდ უყვართ მეფე, მაგრამ ეს ფეოდალური მეფე კი არაა, არამედ სახალხო გმირი, ბელადი. ასევეა სვანებთან თამარი, ფშავ-ხევსურებთან ლაშა. მეფეებსაც კარგად ესმოდათ ეს და იქ სულ სხვაგვარად იქცეოდნენ (ხატის შვილი, ხატის ძმა) და მთა მათი საყრდენი ხდებოდა. შესაბამისად მთას სძულს ისინი, ვინც მას უპირისპირდება“.⁵

გიორგი ლაშა ქართულ ფოლკლორში: გიორგი ლაშა საკმაოდ ფართოდ არის წარმოდგენილი მთიელთა ხალხურ გადმოცემებსა თუ ლეგენდებში. ეს ორი მიზეზით უნდა აიხსნას, ჯერ ერთი ლაშას განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა მთის მიმართ, მეორეც მეფე თამარის პოპულარობამ გარკვეული გავლენა მოახდინა მის შვილის პოპულარობაზეც და ლეგენდების ერთი ციკლი სწორედ ლაშას დაუკავშირდა.

მთის მოსახლეობის ფოლკლორში ფართოდ არის გავრცელებული (10-მდე ვარიანტია ჩაწერილი) ლაშას დაბადების თემა, რომელიც უკავშირდება მსოფლიოს თითქმის ყველა ხალხის ფოლკლორში დადასტურებულ მიტოვებული ბავშვის მოტივს. ლეგენდის ყველა ვარიანტი იწყება იმით, რომ თამარს არ სურდა გათხოვება და შვილის გაჩენა. თამარის უქორწინებლობის ლეგენდებს საფუძველი ალბათ „ქართლის ცხოვრების“ იმ ცნობამაც მისცა, რომლის თანახმად თამარი გათხოვების წინააღმდეგი იყო. თამარის წმინდანად შერაცხვას და ღვთაების რანგში აყვანას უნდა გამოეწვია მისთვის ყოველგვარი ადამიანური თვისებების მოცილება.

ლეგენდათა ნაწილი მოგვითხრობს, რომ თამარი სასწაულებრივად

⁴ კორნელი კეკელიძე. ძველი ქართული წელიწადი, გვ. 294.

⁵ ნიკო ბერძენიშვილი. მასალები ავტორის არქივიდან. საქართველოს ისტორიის საკითხები. ტ. IX. თბ. 1979, გვ. 425.

დაორსულდა (ვარიანტი ა – „მზის სხივი ეცა და დაორსულდა;“ ვარიანტი ბ – „ერის სულით ჩაესახა;“ ვარიანტი გ – „უცნაური ძალით დაორსულდა;“ ვარიანტი დ – „მღვთის ბრძანებით დაორსულდა“.⁶ ჩვენი აზრით ლეგენდებში მეფის ამგვარ მითიურ სიმაღლემდე ასვლა თამარის გაღმერთებას ნიშნავს (სამეფო კარის მემატიანე ხომ ღვთისმშობელს ადარებს თამარს, თვით ლაშას დაბადება კი იესოს ბეთლემში შობასთანაა შედარებული). ამის თაობაზე საუკეთესო განმარტებას თავად იძლევა ერთ-ერთი ლეგენდა: „მთელ საქართველოს ხალხს თამარ დედოფალი წმინდანათა ჰყავს დასახული და ამიტომაც არა სჯერა, რომ მას ქმარი ჰყვანდა“.

ლეგენდათა მეორე ნაწილი სხვაგვარად მოგვითხრობს: ვარიანტი ა – „არჩიეს ამ დიდებულებმა და შემდეგ ამ გადაწყვეტილებას დაადგინენ: უნდა ლაშე, ჩუმად შეეგზავნათ თამარის ოთახში კაცი... შეეგზავნეს ერთი შავი კაცი;“ ვარიანტი ზ – „მოიგონეს შემდეგი: დაათრონ ბანგით და ძილში მიუგზავნონ რომელიმე ჭაბუკი;“ ვარიანტი თ – „თამარ დედოფალმა თავისი კარისკაცისაგან ერთი ბალანა გააკეთა;“ ვარიანტი ი – „კენჭი ყარეს... ერთ კაცს ერგა. იმ დროს თამარ მეფე დაბანგეს. იმან აღარაფერი აღარ გაიგა, ჭაჭანი“; ვარიანტი კ – „მძინარეს მიჰპარებია ერთი მდაბალთა წრიდან;“ ვარიანტი ლ – „მაილაპარაკეს ვაზირებმა, მერმე შააპარეი ბანგი, დაამინეს და ერთ ვაზირს უთხრეს, წადი და იმას დაუწექიო“.⁷

გააჩინა თამარმა ვაჟი (რომლის სახელს ბევრი ვარიანტი სწორად გვისახელებს), მოიძულა და ტყეში გადააგდო. გაზარდა ირემმა (ამის შემდეგ ბაგრატიონები ირმის ხორცს აღარ ჭამდნენო). მხოლოდ მოგვიანებით ისურვა დედამ შვილის დაბრუნება. ის, რომ ქართულმა ხალხურმა აზროვნებამ ტყეში გაზრდილი ბავშვის შესახებ (სხვათა შორის, ქართულ ხალხურ ზღაპრებში ამ ბავშვს ყოველთვის ირემი ზრდის) გავრცელებული ზღაპრის პერსონაჟად ლაშა-გიორგი წარმოიდგინა, არ უნდა იყოს უბრალო დამთხვევა. ლეგენდებში ხაზს უსვამენ ლაშას არამეფურ წარმოშობას და არამეფურ აღზრდას, ე. ი. დაბალი სოციალური წრის ადამიანებს ლაშა რატომღაც უფრო თავისიანად და თავისნაირად მიაჩნიათ.

ფშაური გადმოცემით, ლაშა უფლის რჩეულია. ღვთის ბრძანებით გაუჩნდა თამარს, უქმროდ. ჟინვანის სასახლეში გადიამ დაკარგა ახლადფეხადგმუ-

⁶ ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება. ტექსტების მომზადება, რედაქცია, შესავალი და შენიშვნები ქსენია სიხარულიძის. ტ. I. თბ. 1961, გვ. 235-239.

⁷ ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება. ტ. I, გვ. 237-249.

ლი ყრმა. იგი ერთმა სასიძოთაგანმა, თამარის ქმრობის მოსურნემ გაიტაცა და ტყეში, ხის ძირას დაავლო. იქ ღმერთმა ერთი ირემი მიუჩინა, რომელიც ძუძუს აწოვებდა. ერთხელ ნადირობისას ტყეში იბოვებს და დააბრუნეს. თამარმა ბრძანა, ჩემი მეფობის მანძილზე არავინ გაბედოს ირმის მოკვლას. ამ ლეგენდას პასუხობს ხალხური ლექსიც: „ბაგრატიონთ გვარის კაცსა ირმის ძუძუ უწოვანია, ალგეთისა წყალი უსვამს, მაშავერი უძოვანია. ჭალაში გადავდებული მონადირეს უპოვანია“.⁸

ამ ლეგენდათა ერთი გამოუქვეყნებელი ვარიანტი იპყრობს ჩვენს ყურადღებას. მსგავსი ვერსია, გარკვეული სახეცვლილებით ჩაწერილია ხევსურეთში, არხოტის თემის სოფელ აძლაში და ცნობილია „ბაგრატიონთა ანდრეხის“ სახელით.⁹ ჩვენს მიერ მიგნებული ლეგენდის მთხრობელია ამირან არაბული და ჩაწერილია 1975 წელს დუშეთის რ-ის სოფ. მლაშეში. „თამარ მეფე უშვილო ყოფილა და იმის სიკვდილის მერე ვის უნდა ემეფა არ იცოდნენ. შეიკრიბეს ვაზირები და გადაწყვიტეს კენჭის ყრა. ვისაც კენჭი ერგებოდა იმას უნდა გაეთენებინა ღამე თამართან. ყარეს კენჭი და მიერგა სოგრაატს. თამარ მეფეს ვახშამზე ვეხირთ გაურიეს ბანგი და დააძინეს. გათენდა და თამარ მეფემ გაიგო, რომ ღამით მასთან ვილაცა ყოფილა. ვაზირთ არაფერი აგრძნობინა. დაებადა ვაჟი და შობისთანავე უთხრა მსახურთ: წაიყვანეთავ და თავლაში, ცხენების ფეხში გადაავლითავ, წაიყვანეს და გადაავდეს. მერე დილას იქავ გაგზავნ და უთხრ: მიდითავ, ნახეთავ, რაი ქნაევ. წავიდეს და ნახეს: ისე მიჭუჭკვილები იყვნენ კუთხეში, ვითამ მწყემსები უდგანანავ.“

თამარ მეფეს რომ ეს უთხრეს, თქვა: გამაიყვანეთავ და საცა ყველაზე მეტად მცურავი ან ჭაობი ასავე, იქ გადაავლითავ. წაიყვანეს და გადაავდეს ჭაობში. მესამე დღეს უთხრ თამარმა: ეეხლა წეედითავ და ნახეთავ რაი ქნაევ. წავიდეს და ნახეს, რომ მცურავები ლოკავენ. მოვიდეს და აცნობეს მეფეს. მეფემ კვლავ უთხრა: წაიყვანეთავ და ისეთ ტყეში გადალუპეთავ, რომ ორი წლის განმავლობაში იქ მონადირემ არ გაიარასავ.

წაიყვანეს და გადაავდეს მიუვალ, ხშირ ტყეში. ერთხელ ტყეში ორი მონადირე წასულა, ფშაველი და ხევსური. უნახავ ირემი. ფროთხილდ ვიაროთ, აქ ირემიავ და გაიქცევისავ-გაუფროთხილებავ ერთიმეორე. ფროთხილად მიეპარნეს აქეთ-იქედან. ერცხვისად (ერთიმეორესთვის) უძახებავ ჩუმად: დაიცა, დაიცა არ დაჰკრავ თოფივ, ორივეს უნახავ ირმის ძუძუზე ჩამოკიდებული

⁸ ს. ცაიშვილი. თამარ მეფე ხალხურ სიტყვიერებაში. თბ. 1943, გვ. 73.

⁹ ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება. ტ. I, გვ. 246.

ბალლი, რომელიც სწოვდა ცურს... გააქციეს მონადირეებმა ირემი და ბალლი თან წამაიყვანეს. წილი ყარეს, თუ ვის უნდა რგებიყვ ბალლი. მიერგა ხევსურს. წაიყვან ხევსურმ დიდხუთშაბათს გუდანის ჯვარში ხელოსანთან.

რაიავ, ვინ მაიყვანეთავ ესივ? – უკითხავს ხელოსანს. ტყეში მახხელეთავ – უპასუხებავ ხევსურს. დაუწყავ ბაღლის ზრდა თემს. აჭმევეს ჯვარშით მატანილ ქადას. ბაღლს სახელად დაჭქვიენეს გიორგი. სანესლეღეს (ადგილი პირაქეთ ხევსურეთში – გ. ა.) შვილი წლის გიორგი გამაუქცევავე ცხენი და იმის შემდეგ ას წესად დაღებული იქ ცხენტ რბოლება. დავარდ ხმა, რომ მონადირეთ ტყეში ბაღლ მახხელესავ და ხევსურეთში იზრღებისავ, ბალლი თამარ მეფის შვილიავ. ეს გაივ თამარ მეფემ და შაყარ ჯარი. თამარმ თქვა: ან მამგვარან შვილივ, არადა მთლიანად გავანადღურებავ ხევსურეთსავ.

შიკრიკების პირით ხევსურებმ თამარ მეფეს შამაუთვალეს: ჯერ ბჭენ არ დამხნდარანავ გუდანის ჯვარის კარავ. როსაც დასხღებთანავ და გადასწყვეტენავ შენი შვილის დაბრუნება-არდაბრუნების საკითხსავე მაშინ მაგცემთავ პასუხსაც. თემმ აირჩივ ხევსურეთის ოთხი კუთხის ხალხი, დასხღეს ბჭობად გუდანის ჯვარში. – რას იტყვითავ, კაც მაგვივზავნავ თამარ მეფემავ, გავატანათავე თუ არავ გიორგივ? ყველას უთქვამს: თუ თამარ მეფეს შვილ უნღოდავ, ტყეში არ გადაავღებღავ ნადირთ გასაზღელადავ. გიორგის არავის არ მივსცემთავ. ჩვენ გავთავღებთავ, მაგრამ არ დავუთმობთავ.

საბჭოს დაღგენიღება შეატყობინეს თამარ მეფეს. თამარი გაბრაზდა ამ პასუხის მოსმენაზე და გაშფოთებული გამოუღღვა თავის ჯარს არავზე. ხევსურეთში მივიღა ამბის მიმტანი, რომ თამარ მეფე მაღისავ ჩვენ ასაოხრებღად ჯართავ, გაიგეს ხევსურებმ და დაღვ ცხენტა ნაღების ლაწა-მტკრევა. ხევსურების ლაშქარმა თამარის ჯარს მაუსწავრა ჟინვალის ხიღზე. მააწყღესავ ხევსურნივ თამარის ჯარსავ და დაღვავ ჩაჩქნების ბრიაღივ და ხმღების პრიაღივ. გამაქცეულა თამარ მეფე, ვეღარ გასძაღიანებია ხევსურთ ჯარს. წინ თამარ მეფეივ და უკენ ხევსურნივ მირბღღესავ... თამარი მაინც არ მიემვა, უნღოღა რომ როგორმე დაებრუნებინა შვილი გიორგი... გიორგიზე მაღიოღეს ერეკღიანი. ერეკღიანი არ ჭამღეს ირმის ხორცს¹⁰. ამ ლეგენღაში ჩანს ლაშა გიორგის და წმინღა გიორგის გაიგივების მცღელღობა, აგრეთვე ლაშა-გიორგის გუდანის ჯვართან დაკავშირებაც, რაც ეხმაურება იოანე ბატონიშვილის ზემოთმოყვანიღ სიტყვებს.

¹⁰ თბიღისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოღკლორისტიკის კათეღრის არქივი. ფ. 21088.

როგორც ვხედავთ, თამარის ურთიერთობა მთის მოსახლეობასთან საინტერესოდ აისახა ამ ლეგენდაში. დავაკვირდეთ, როგორი უარყოფითი დამოკიდებულებაა გამოხატული თამარის მიმართ, მეფე-ქალი მოძალადე პიროვნებააა გამოყვანილი. ამგვარი ტენდენცია გამონაკლისს წარმოადგენს და არც ერთ სხვა კუთხის ფოლკლორში არ ჰპოვებს გამოძახილს. მსგავსი განწყობილება შეიგრძნობა კიდევ ერთ ლეგენდაში, სადაც თამარის და ფშაველი კაცის ურთიერთობაა ასახული: „მისრიათ პაპა ჯალაბაური განთქმული მჭედელი ყოფილა; თურმე მისრეთში ყოფილა მჭედლად. მერე ის თამარ-ნეფეს გზაში შეხვედრია. თამარ-ნეფეს უკითხავს: ვინ ხარ და სად მიდიხარო. იმან უთხრა მჭედელი ვარო, ამოიღო ჯიბიდან თავის გაკეთებული ხმალი, დაგვირგვლი ყოფილიყო და ჯიბეში სდებიყო, გახსნა და გაიშალა, გასწორდა; დაგვირგვლა და ისევ ჯიბეში ჩაიღო. თამარ-ნეფემ ჯერ უთხრა ჩემთან წამოდი და იქ იმუშავეო. რომ არ დათანხმდა, დაიჭირა და წამოიყვანა. მისულმა ცოტა ხანს კი იმუშავა და გაიპარა. წავიდა თამარ-ნეფე და მივიდა იმასთან, ერთი დიდი ჯაჭვი გამიკეთეო, უთხრა: გაუკეთა იმანაც ჯაჭვი. თამარ ნეფემ ეს ჯაჭვი კისერზე დაადო, წამოიყვანა და ლაშარის ჯვარში დააბა. მანამდე ყავდა დაბმული, სანამ ფიცი არ მისცა-აღარ წავალო. შეფიცვის შემდეგ წამოიყვანა და თავის ადგილში დაასახლა. რადგან ის მისრეთით მოყვანილი იყო, ამიტომ მათი გვარი მისრიაშვილია და სოფელი მისრიაანთკარი...“¹¹

ზემოთ მოყვანილი ფაქტებიდან გამომდინარე ვფიქრობთ, რომ გიორგი ლაშას საშინაო პოლიტიკა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მიმართ აბსოლუტურად განსხვავებულა იმ რადიკალური ქმედებებისაგან, რასაც თამარის მეფობისას ჰქონდა ადგილი. როგორც ჩანს, ლაშას მეტი ეფექტურობით და ჰუმანურობით უმოქმედია, რითაც მთიელი კაცის თუმც კი ურჩ, მაგრამ ალალ გულში სათაყვანო ადგილი დაუჭერია. ცხადია, მეფეს რაღაც პირადი ინტერესები უნდა ჰქონოდა. ჩვენი აზრით, იმ გართულებული შიდა-პოლიტიკურ ვითარებაში, რაც გიორგი ლაშას გამეფებისას არსებობდა, ახალგაზრდა მეფე შეეცდებოდა დამატებითი პრობლემა არ შეექმნა და ამ ძნელად დასამორჩილებელი რეგიონის დიდი პოტენცია თავისდა სასიკეთოდ შემოეტრიალებინა და დასაყრდენად გაეხადა.

სწორედ ლაშას ინიციატივით უნდა შექმნილიყო მთაში, მდ. არაგვის ხეობაში ძლიერი საზოგადოებრივ-საკულტო ცენტრი, არა მარტო ფშაველები-

¹¹ ვ. ბარდაველიძე. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები. ტ. I. თბ. 1974, გვ. 23.

სა, არამედ საერთოდ მთიელებისათვის. ლაშარის ჯვარს მჭიდრო კავშირი ჰქონდა ბარის საქართველოსთან, როგორც რელიგიური, ისე პოლიტიკურ-ეკონომიკური თვალსაზრისით. ამ მოსაზრებას მხარს უჭერს იოანე ბატონიშვილის ცნობებიც, რომ მეფის პირადი მოძღვარი გიორგი ხარჭაშნელი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანი რეგიონის საეკლესიო მოღვაწეა და მეფის მეუღლეს მთაშია დასაფლავებული.

თამარ მეფე უდიდეს სამისიონერო საქმიანობას ეწეოდა მთაში, მთელი კავკასიის მასშტაბით (სვანეთი, რაჭა, ოსეთი, ჩერქეზეთი), რაც იოანე ბატონიშვილსაც აქვს აღწერილი. თუ გავითვალისწინებთ, რომ თამარის მეფობის ბოლოს დიდოელთა და ფხოველთა აწიოკება მოხდა, ბუნებრივია რომ ლაშა განსაკუთრებულად შეეცდებოდა ამ ხალხის გულის მოგებას და განსაკუთრებულ მზრუნველობას გამოიჩენდა მათდამი. სწორედ ამით უნდა აიხსნას ლაშას განსაკუთრებული პოპულარობა მთაში და ზოგიერთ ზემოთმოყვანილ გადმოცემაში თამარის უარყოფითი სახე.

გიორგი ლაშა და ლაშარის ჯვარი: ლაშარის ჯვარი ფშავის, გუდანის ჯვარი კი ხევსურეთის მთავარი სალოცავია. ქართული საისტორიო ტრადიცია გიორგი ლაშას უკავშირებს ლაშარის ჯვრის კულტს, „აქა ფშავსა შინა არს ეკლესია ლაშასაგან აღშენებული, რომელსა შინა არიან მრავალნი ხატნი და ჯვარნი, ოქრო-ვერცხლისანი, ჭურჭელნი და წიგნნი, და უწოდებენ ლაშას ჯვარს“ – წერს ვახუშტი ბატონიშვილი.¹²

ვაჟა-ფშაველა წერს: „ამ ადგილას წინათ ყოფილა აშენებული ლაშა გიორგისაგან ეკლესია წმიდის გიორგის სახელზე, რომლისათვისაც მშვენიერი ხატი წმიდის გიორგისა შეუწირავს. ხალხს ეს გარემოება დავიწყნია, შემწირველ-შეწირული გაუერთიანებია და კიდევაც გაულმერთებია. მეორე გორაზე აშენებულია თამარის სალოცავი, რომლის დღეობას „ღელეობა“ ეწოდება. როგორც ამ სალოცავს, ისე ლაშარის ჯვარს „მოდე-მოდმეს“ ეძახიან (ეი. თამარი და ლაშა და-ძმად არიან წარმოდგენილნი), „გაგიმარჯოს თავის მოდე-მოდმით“-ასე მიმართავს მთიელი ლაშარის ხატს“.

ფშავში გავრცელებულ დალოცვა-ფერხულში თამარ მეფის და ლაშას სახელები თითქოს სამებასთან არის გაიგივებული. „პირველად ღმერთი ვახსენოთ, ეგ უფრო დიდებულია, მეძრ თამარ ნეფე ვახსენოთ, ეგ ღმერთთან

¹² ვახუშტი ბაგრატიონი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. IV. თბ. 1973, გვ. 533.

წილდებულია. ლაშარის ჯვარიც ვახსენოთ ეგ ყმაზე თავდებულია... ქრისტიანთ სალოცავადა თვითონ ხმელგორზე ბრძანია. პირდაპირ უღვა გორზედა ლალი ლაშარის ჯვარია... მურგვალთ მოვარტყი სამი ზღვა: თეთრი, წითელი, შავია, შიგ გავანინე ღუნია, რჯულად ათასი გვარია...¹³ არსებობს ამ ხალხური ლექსის სხვა ვარიანტიც: „პირველად ღმერთი ვახსენოთ, არის საყდარზე მდგარია, მეორედ ლაშარის ჯვარი, ფშავლების საკვეხარია. მესამედ თამარ მეფეი, ქართველების სალოცავია“. ეს შეიძლება „ეპიკურიზმის“ გამოვლინებად მივიჩნიოთ, როდესაც მეფის პერსონის ხატთან სინკრეტიზება ხდება და ამას სახელმწიფო იდეოლოგიაც უჭერს მხარს.

ჩვენი აზრით წარმართობის ხანაში არმაზის და ზადენის მსგავსად ფშავშიც იდგა ომის ღვთაებისა და მის მოპირდაპირედ ნაყოფიერების კერები. ქრისტიანობის შემოსვლის შემდეგ ომის ღმერთის ადგილი დაიკავა წმინდა გიორგიმ. XIII ს-ის დასაწყისში ქრისტიანობის საბოლოო გამარჯვების შემდეგ ოფიციალური სახელმწიფო იდეოლოგიის გავლენით ფშავში წამყვანი გახდა ლაშარის წმინდა გიორგი და ღელის თამარის ხატი, რომელმაც დაიკავა წარმართული ნაყოფიერების კერპის ადგილი. ალბათ ერთი მიზეზი ლაშას სახელზე არსებული კულტის აღმატებისა თამარის კულტზე ისიც უნდა იყოს, რომ ზოგადად ქართული სარწმუნოება, როგორც წარმართობა, ისე ქრისტიანობა, უპირატესობას ანიჭებდა მეომარი მამაკაცის კულტს. ლაშარის ხატი წინ მიუძღვის ფშავლებს ომში, გადადის ქისტეთში ცხვარ-ძროხის მოსატაცებლად... თუშცა მთავარი, რა თქმა უნდა, თვით ლაშასადმი მთის მოსახლეობის განსაკუთრებული სიმპატიებია, რაც გახდა საფუძველი წმინდა გიორგისთან მისი გაიგივებისა.

თამარის ღვთისმშობელთან გაიგივების პირდაპირი დადასტურება მოეპოვება პრასკოვია უვაროვას, რომელიც 1895 წელს იმყოფებოდა ლაშარში. მისთვის ლაშარის ჯვრის ხევისბერს ქერჩო გოდერძაულს ვერცხლის სამი მოოქროვილი ჯვარი უჩვენებია, მათ შორის ორი ქართული წარწერებით, ხევისბერის თქმით ლაშარის ჯვარს ეკუთვნოდა, ერთიც – თამარს შეუწირია ღელის თამარის ხატისათვის. ეს ღვთისმშობლის ხატი ყოფილა, ხევისბერი კი ღვთისმშობლის გამოსახულებაზე უმტკიცებდა თამარ მეფეაო.¹⁴

თამარის სახელთან დაკავშირებული თამარის ხატი ლაშარის ჯვრის

¹³ ს. ცაიშივილი. თამარ მეფე ხალხურ სიტყვიერებაში. თბ. 1943, გვ. 69.

¹⁴ ვ. ბარდაველიძე. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები. ტ. I, გვ. 59.

ანუ ხმელგორის პირდაპირ მდებარეობს ე. წ. თამარელის ქედზე და მოიცავს 20 ჰექტარ ტერიტორიას. ხალხური ტრადიციის მიხედვით, თამარის გამოგზავნილი ხატი მოთავსებულია ამ სალოცავში და თამარის სახელი იმითომ დარქმევია (ე. ი. შექმნილა ისევე, როგორც ლაშარის ჯვარი), თითქოს თამარის საფლავიც აქ უნდა იყოსო... მაგრამ, საყურადღებოა, რომ თავისი მნიშვნელობითა და მასშტაბურობით თამარ-ღელეს ხატი ოდნავაც ვერ შეედრება ლაშარის ჯვარს.

ფხოველნი თავგანს სცემენ მუხის ანგელოზს. ეს მუხა ხალხური გადმოცემით „ლაშარის ხმელგორზე“ მდგარა და თემის მთავარ სალოცავად ითვლებოდა თურმე. თამარის ბრძანებით აქ ეკლესია აუშენებიათ, რომლისთვის თამარს თავისი ძის ლაშა გიორგის სახელზე ვერცხლის ხატი შეუწირავს და ამ გორსაც ლაშარის ჯვარი დარქმევია.¹⁵

საინტერესოა, რომ ივანე მხარგრძელის შესახებ ფშავში ზოგიერთი ცნობა დღემდეა შემორჩენილი. წინათ ლაშარობა-თამარღელეობის დროს ხევისბერები დამწყალობლებისას ივანე მხარგრძელსაც იხსენიებდნენ თურმე. თამარღელეს საჯარეში დღესაც დაცულია სავარძლისებურად მომრგვალებული ქვის საჯდომი, რომელსაც მხარგრძელის საჯდომს უწოდებენ. გადმოცემით მხარგრძელი აქ ჯდებოდა და საჯარეში ფხოველების ხევისბერთა თათბირს უსმენდა.

ლაშარი ფშავლის წარმოდგენით გმირი და უძლეველი მხედარია (ანუ პერსონიფიკაცია ხატისა აშკარაა – გ. ა.), რომელიც მტრისგან იცავს ფშავის ხევს, ლაშქრობის დროს ჯარს წინ მიუძღვის და გამარჯვებაში ეხმარება. ლაშარი თავის ყმათა მფარველია და ხელმწიფის გარდა თავის ყმებზე არავის გააბატონებსო. ეს უძლეველი მხედარი ლურჯა ცხენზე ზის და თავის ყმებს უხილავად დაჰყვება, რათა ისინი განსაცდელისგან დაიფაროს: „ლაშარელაის ლურჯასა ფაფარი სხავის გიშრისა, შავდება, გაემართება, კოტორ გაჰყვება ნისლისა, თავის ყმათ მიეშველება, ხან რომ არ იყოს მისვლისა“.¹⁶

ქეთევან ლომთათიძე უარყოფს „ლაშარის ჯვრის“ კავშირს გიორგი ლაშასთან, ეთნოგრაფთა და ფოლკლორისტთა ნაწილის აზრით იგი უთუოდ ლაშქრობის სალოცავია. საგულისხმოა, რომ ვაჟა-ფშაველას თავის წერილში „ფიქრები ვეფხისტყაოსნის შესახებ“, რომლის ავტოგრაფიც დაცულია, „ლაშარის“ ნაცვლად ნახმარი აქვს „ლაშქარი“. იონა ხელაშვილს „კალმასობი-

¹⁵ ს. მაკალათია. ფშავი. ტფ. 1934, გვ. 21.

¹⁶ ს. მაკალათია. ფშავი, გვ. 21.

დან“ მოტანილ ციტატებში ერთ გვერდზე სამ ადგილას უწერია „ლაშარის“ ნაცვლად „ლაშქრის“, რაც რელაქტორ-გამომცემლებს გაუსწორებიათ. ჩვენ ვერ გავიზიარებთ ამ მოსაზრებებს, რადგან ფოლკლორული მასალა აშკარად საპირისპიროს მეტყველებს.

თვით ლაშარის ჯვარს ხევისბერი ხელმწიფედ მოიხსენიებს თავის დამწვლობებაში (დალოცვაში): „გაუმარჯოს ხელმწიფე ლაშარის ჯვარსა“... რაც აგრეთვე პერსონიფიცირება უნდა იყოს და მისი „ლაშქართან“ დაკავშირება არამართებული ჩანს. ფშავის ხევი თავის მტერს ლაშარის მტრად თვლიდა და ლაშქრობაც სამღვთო ხასიათის ატარებდა. ლაშარშივე წყდებოდა ომის და ზავის საკითხი, აქ იყო დიდი ლაშარის დროშა, რომლითაც წინ მიუძღოდა თავხევისბერი ფშავის ხევის ლაშქარს.

თამარ მეფე ითვლება „აქიმ-დედოფლად“ და მას ფშავლები შესთხოვენ ჯანმრთელობასა და კეთილდღეობას. წამლის სახსრად ერთ ზედმეტ ცხვარს წირავენ. მართებულად აღნიშნავს სერგი მაკალათია: „ფშავში ლაშას და თამარის პიროვნების გაღვთიურება და მათი თაყვანისცემის ხატისა და კულტის შექმნა საყურადღებო ისტორიული ფაქტია, რომლის მსგავსი მოვლენა საქართველოს სხვა კუთხეში არ გვხვდება. ამ გარემოებას რასაკვირველია თავისი პოლიტიკური სტიმული და ისტორიული გამართლება უნდა ჰქონოდა...“¹⁷

ლაშარის ჯვარი სხვადასხვა ნაგებობათაგან შემდგარი რთული კომპლექსია, მათი უმეტესობა თავისი ფუნქციით აშკარად წარმართობის დროინდელია. მხოლოდ მცირე ეკლესიის (ნიშის) ნანგრევი მოჩანს ქრისტიანობის დროინდელად. სავარაუდოა, რომ არსებულ ჯვარს და დაწესებულ დღესასწაულს გიორგი ლაშამ ახლებური დანიშნულება და ელფერი შესძინა. ამ მოვლენას ასახავს ერთი ლეგენდა: „ერთხელ ლაშარის გორზე ფშაველთა დღეობის დროს, სადაც მთელი ფშავი შეკრებილიყო, მოვიდა ლაშა-გიორგი თავისი მხლებლებით, ფშავლები იმას კარგად გაუმასპინძლდნენ და როცა გიორგი წავიდა, ოქროს ჯვარი გამოუგზავნა. ის ჯვარი შიგნით იყო და გარედან ვერცხლი ჰქონდა გადაკრული. ძალიან დიდი იყო და ინახებოდა ლაშარის ჯვარში. მას შემდეგ დაერქვა ამ სალოცავს ლაშარის ჯვარი“.¹⁸ ამას ადასტურებს სოფ. მათურას მცხოვრებ გიორგი თადიაურის გადმოცემაც: „ლაშა გიორგის ოქროს ჯვარი მოუტანია ამ სალოცავში (მერე რუსებმა

¹⁷ სერგი მაკალათია. ფშავი, გვ. 212.

¹⁸ ვ. ბარდაველიძე. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები. ტ. I, გვ. 39.

წაიღეს) და ამიტომ ეწოდება ლაშარის ჯვარი, მანამდე წმინდა გიორგი ერქვა“. ¹⁹ სავარაუდოა, რომ სწორედ ლაშას ამ სალოცავთან ურთიერთობის შედეგად განდიდებოდა ეს ადგილი ასერიგად, მანამდე კი ერთ-ერთი და არა ძირითადი სალოცავი იქნებოდა.

საინტერესოა, რომ არსებობს „ლაშარის ჯვრის ნიშიც“. იგი მდებარეობს პირიქით ხევსურეთში, სოფელ ხახაბოს სამხრეთ-დასავლეთით და წარმოადგენს სიპებისაგან მშრალად ნაგებ პატარა ზომის კოშკს. დატანებული აქვს შუკუმი, რომლის თავზე დიდი ზომის მობრტყო ბროლის ქვაა. ²⁰ ამ ნიშს თუშებიც თავის საკუთრებად თვლიან. თუში ინფორმატორის გადმოცემით: „ყოფილა ქვათალიმთა. აქ მოდენილან ჩაჩნებიცა და თუშებიც. იქ მოსვლიათ ჩხუბი. უხოციათ ერთ-ერთი და თუშებს წამოუღიათ იქიდან ლაშარი-თეთრი ზინჭრიქვა“. ²¹

ლაშარის ხატი და ლაშარობის დღესასწაული: ლაშარობის დღესასწაულს ჩვენ დავესწარით 2001 წლის 16 ივნისს. ჩავიწერეთ რიტუალი, ხევისბერის დამწყალობნება... პირველად, 1898 წელს ლაშარობა აღწერა ივანე ბუქურაულმა. საუკუნოვანი ინტერვალის მიუხედავად, ლაშარობის პროცესი თითქმის უცვლელი სახითაა შენარჩუნებული.

ლაშარის ჯვარი თავისი მდებარეობით წარმოადგენს აღმოსავლეთ საქართველოს ბუნებრივ ცენტრს, თვით ფშავი გარშემორტყმულია მხოლოდ მონათესავე კუთხეებით (ჩრდილოეთიდან და დასავლეთიდან – ხევსურეთი, სამხრეთიდან – ქართლ-კახეთი, აღმოსავლეთიდან – თუშეთი) და ყველაზე უფრო დაცულია. ალბათ ამანაც განაპირობა ძველადვე ხატობის ადგილად ლაშარის გორის არჩევა.

ფშავის ცენტრალური ხატებია: 1. ლაშარის ჯვარი; 2. საკვირაო; 3. თამარღელის ხატი; 4. დამასტური, წმინდა გიორგის ხატი. ფშავში ითვლება სულ 11 ძირითადი თემი და მეთორმეტეც-ლაშარის ჯვარში გაფიცულ ხახაბოელ ხევსურთა თემი. ყველა თემს თავ-თავისი ხატი და ხატიონი ჰყავს. ყველასთვის საერთო გამაერთიანებლად კი მეომარი ღვთაება ლაშარი და მკურნალობა-ნაყოფიერების ღვთაება თამარ აქიმ დედოფალი ითვლება.

ლაშარის ჯვრის სალოცავი უკანა ფშავში, მდ. არაგვის ზემო წელში, მარჯვენა სანაპიროზე, დასახლებული ადგილიდან საკმაოდ დაშორებით, ხოშარის და წითელაურთის თემებს შორის, ე. წ. ხმელგორზე ანუ ლაშარის

¹⁹ თსუ ფოლკლორისტიკის კათედრის არქივი, № 25499. 1982 წ. ზაფხული.

²⁰ ვ. ბარდაველიძე. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები. II ტ. თბ. 1982, გვ. 137.

²¹ თსუ ფოლკლორისტიკის კათედრის არქივი. № 28437.

გორზე მდებარეობს და უჭირავს 0,75 ჰექტარი ფართობი. არაგვისკენ ეს მთა ძლიერ დაფერდებული და კლდინია, მეორე მხარეს კი დაბურული ტყე მოსავს. სალოცავის ტერიტორია ჭალაში ქვის გალავანითაა გარშემორტყმული. გალავნის პირზე მდინარისკენ დგას ლაშარის სალოცავი-სამრეკლო, ოთხკუთხა ძირით. ამენებულია ბაზალტის ქვით, რომელიც ახლომახლო მრავლადაა. სალოცავი ოთხ სვეტზე დაყრდნობილი გუმბათიანი შენობაა, გადახურულია თუნუქით. გუმბათის თავზე მრგვალი ბურთი და ზედ ჯვარია. ჯვრის სამივე ბოლო პატარა ჯვრებით ბოლოვდება, მათზე კი ეუყანი კიღია ჯაჭვით.

ლაშარის ხმელგორის ტერიტორია თემებს შორისაა განაწილებული საკულტო და სამეურნეო-საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობებისთვის. მთავარი გალავნით ლაშარის ჯვარი გაყოფილია გარე და შიდა ნაწილებად. გალავნის გარეთაა ჯვარისკარი და მისი ფუნქციური ნაგებობები: სამსხვერპლო, საკურთხეველი (ქადა-კვერის საწირი ანუ სასუფეველი) და სასანთლე კოშკი. ხოლო ამ ნაგებობათა ირგვლივ წმინდა იფნები, რომელთა ტოტებზე ჩამოკიდებულია სამსხვერპლოს ნაწილები და შენაწირები; მეორეს მხრივ, ღია და დაფარული საჯარეები, განკუთვნილი თემებისთვის. აქვეა სალოდე საკოდითურთ და საყენო. გალავნის შიდა ტერიტორიაზე, რომელიც ჯვარის წმინდა ნაწილს წარმოადგენს და სადაც ხატიონის გარდა ვერავინ შევიდოდა, მოთავსებულია: საზარე კოშკი, სამნები, ოდესღაც სათაყვანებელი ბერძუნის „საფენი“. იქვე ახლოსაა საუნჯე, საბერო, საზარე-მარანი გალავნითურთ და ბჭე-ხევისბერთა საბჭოს ნაგებობა, რომელიც მოიცავს საკურთხეველს და ბჭე-ხევისბერთა სკამებს.²²

სალოცავის წინ, გალავანს გარეთ, დიდი ორმოა ამოთხრილი. აქ სამსხვერპლო კურატებს კლავენ, სისხლს კი ორმოში უშვებენ. გალავნის შიგნითაა პატარა სამრეკლო. აქ ადრე ინახებოდა რევაზ არაგვის ერისთავის შემოწირული ზარი (მხედრული წარწერით: „ქ. ესე ზარი შემოგწირე მე: ერისთავმა რევაზ შენ: წმინდა გიორგის ლაშარის ღმერთო აღდგერძელე მისი ღამწერი“). ძველი განძეული ლაშარის ჯვრისა, შემოწირული საქართველოს მეფეებისგან და სხვა, ძირითადად განიავდა ნუგზარ ერისთავის და ქისტების შემოსევებისას. საინტერესო გამონაკლისს წარმოადგენს 2001 წლის ივნისში ეთნოგრაფიული ექსპედიციის მიერ მიკვლეული, წინა წელს სალუდე დარბაზის გაწმენდისას ფშავლების მიერ აღმოჩენილი ჯვარი, რომელიც ვალერი

²² ვ. ბარდაველიძე. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები. ტ. I, გვ. 39-40.

სილოგავამ წარწერის პალეოგრაფიული ნიშნებით დაათარიღა XI-XII საუკუნით. ჯვარზე არსებული წარწერა: „ნპი აშენე ღ(მერთ)ო. ესე ჯ(უა)რი გეგსეურთ შეაჯ(ერ)ე და სწყ(ა)ლობდი. (-)ელ მახობის მამიას ცოდვანი შეუნდვენ ღმერთმან. შემწენი ამასცა სწყალობდი. ქრისტე მე ამისი მწერელსაბ ცოდვანი შემიდნა ღმერთო. ვინ-ვინცა მოგუიკსენოთ, თქუენცა შეგინდვენ ღმერთმან, ამენ ღმერთო“. წარწერა მარცხენა მკლავზე: „წმიდაო წყაროსთაველთ ბვეს-გდამისსა-ნაორთა“.²³

ლაშარის ჯვრის პირდაპირ ტყიანი მთის წვერზე დგას თამარ დედოფლის ხატი, გარშემო არტყია გალავანი. შიგნით ხატის საღმრთო ჭალაა-ძისი შეურაცხყოფა თავის დაწყევლას ნიშნავს. გალავნის აღმოსავლეთით ფერდობი მოსწორებული და ქვის ყორით გამაგრებულია. ყორედან მლოცველებისთვის გამოშვერილია სკამები. გალავნის სამხრეთით ქვის სახლია დეკანოზების დროშებისათვის, იქვეა ქვევრები ზედაშე ღვინით. ცალკე დგას ლუღის გამოსახდელი სახლი. გალავანში 2 სამრეკლოა: ერთი ქვისაა, კირით შელესილი, გუმბათიანი, ორი დიდრონი ზარი კიდეა. მეორე ხისაა. გალავნის შესასვლელთან ასვენია ხატები, იქვეა სამსხვერპლო.

ლაშარობის რიტუალი იწყება მსხვერპლად შემოწირული კურატების დაკვლით (ეს უშუალოდ ხევისბერის ფუნქციაა), შემდეგ ხდება დამწყალობნება. მფერხავები ცეკვავენ ფერხულს. საღამოს მლოცველები ჩადიან არავის პირზე, სადაც გრძელდება ლხინი და ღამისთევა. მეორე დღით კი ადიან თამარღელეზე (თამარ მეფის ხატში).

ლაშას სახელს უკავშირდება ფშავში წაწლობის შემოღება. სერგი მაკალათიას ცნობით ფშავლებს მისთვის განუმარტიათ, რომ ეს ჩვეულება მამაპაპურია და განწესებულია ლაშა-გიორგის მიერ, რადგან თამარ მეფის დროს ლამაზ შთამომავლობის გამრავლებისათვის ლამაზ ქალ-ვაჟებს ერთად აწვენდნენ. წაწლობა ფშავში ლაშა გიორგიმ განამტკიცა და ლაშარობის დროს მიღებული იყო საზოგადო წოლა. ფშაველთა შეხედულებით ლაშარის ჯვარი ქალთან დაწოლას არ უშლის, რადგან თვითონაც მოქეიფე და ქალების მოყვარული იყო. ამის გარდა წაწლობის შესახებ ფშავში არსებობს სხვა თქმულებაც, რომელიც ადასტურებს მის სიძველეს. ერთხელ ლაშა ფშავის ხევში ყოფილა, სადაც მისი ნიშია. იქ აუშენებია ეკლესია და განუწესებია ბერები. მერე იქიდანვე ჩამოსულა ქალაქში და როცა მისმა დამ რუსუდანმა ჰკითხა: როგორ არის ფშავეთის საქმეო? ლაშას უპასუხნია, ეკლესიაც ავაშე-

²³ პ. ბუხრაშვილი. ლაშარის ჯვარი. ჟურნ.: „ამირანი“, № 4-5, 2001. გვ. 266-267.

ნე და მწირველი ბერებიც დავადგინეო, „წაწლობა სცოდნიყო ფშავლებს, კინალამ მომატყუეს მეცა და დამჩვიესო“.²⁴ ლაშარობის ხატობას უკავშირდება საღვთო წაწლობა, როდესაც თვით ხატის ქალები და კაცები ერთმანეთთან წაწლობენ და აგრეთვე ის გადაჭარბებული საზოგადო სიმთვრალე და ლხინი, რომელსაც მეხატენი ექსტაზში მოყავს.²⁵

ამრიგად ზემოთმოყვანილი მასალის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ გიორგი ლაშას განსაკუთრებულმა პოლიტიკამ მთის მოსახლეობისადმი განაპირობა მისი კულტის დამკვიდრება მთაში, განსაკუთრებით ფშავის რეგიონში. ეს კულტი გარკვეული მიზეზების გამო თამარ მეფის კულტზე მალე იდგა. მეფის დაკავშირებას წმინდა გიორგის სალოცავთან მისმა სახელმაც შეუწყო ხელი და მოხდა სინკრეტიზება მეფე გიორგი ლაშასი ლაშარის წმინდა გიორგის ხატთან.

²⁴ ს. მაკალათია. ფშავური წაწლობა და ხევსურული სწორფრობა. ტფ. 1925, გვ. 5.

²⁵ ს. მაკალათია. ფშავური წაწლობა და ხევსურული სწორფრობა, გვ. 24.

Gvantsa Abdaladze

GIORGI IV LASHA AND HIGHLANDERS OF EASTERN GEORGIA

Summary

In the beginning of the 13th century, during the period of Queen Tamar (1184-1210), the royal government had decided final solution of problem of the highlanders. That was a period when the cultural and political influence of Georgia was extended even in the Northern Caucasus. In such circumstances, the royal government could not tolerate religious or political disobedience within the country. Special arrangements ordered by Tamar were conducted in mountainous region of Eastern Georgia. Highlanders, now disturbed, rebelled. The Commander-in-Chief of Royal government Ivane Mkhargrdzeli successfully suppressed that uprising.

George IV (1210-1223) changed her mother's policy. He had special attitudes with highlanders. That facilitated the establishment of king's cult in mountains, especially in the region of Pshavi. Giorgi Lasha was associated with St. George (Giorgi) himself. And he became even more popular among highlanders than his mother.

აკაკი ჩიქობავა

ოდშიის სამთავროს საუფლისწულოები

XV-XVIII საუკუნეების საქართველოში გაბატონებული იყო მიწის მფლობელობის თავადური ანუ სამამულო (საგვარეულო-სამემკვიდრეო) ფორმა. თვით სათავადოში კი ფეოდალური საკუთრების 3 ფორმა გვხვდება:

1) „სახასო“ (საერთო მამული); 2) „საუფლისწულო“ და 3) „სათავისთავო“ (პირადი ქონება, ნასყიდი, მზითვი და ა.შ.).¹

სათავადოთა წარმოშობა საქართველოში ფეოდალური „დაჩიხულობის“ შედეგია. XIV-XVI საუკუნეებში „ფეოდალიზმის კრიზისმა“ ევროპაში „ახალი ხანის“ წარმოშობა განაპირობა.² ამის პარალელურად საქართველოში „ჩიხია“, რაც „ფეოდალიზმის კრიზისის“ საპირისპირო მოვლენაა.

სათავადო დასავლეთ საქართველოში, ისე როგორც აღმოსავლეთ საქართველოში, მსხვილ ფეოდალურ სამფლობელოს წარმოადგენდა, თუმცა, ო. სოსელიას აზრით, სათავადო დასავლეთ საქართველოში პოლიტიკურ-ორგანიზაციულად უფრო სრულყოფილი, გამოკვეთილი და ცენტრთან უფრო სუსტად დამოკიდებული ფეოდალური სამფლობელო იყო, ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოში.³

ოდშიის სამთავროში „სალიპარტიანოს“ სახელწოდებით არსებობდა დიდი სათავადო, რომელიც ოდიშის მთავართა გვერდითი შტოს სამფლობელოს, ანუ საუფლისწულოს, წარმოადგენდა. ჩვენი აზრით, სალიპარტიანო XIV-XV საუკუნეების მიჯნაზე უნდა წარმოქმნილიყო, რაზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი.

¹ გ. ჯამბურია. ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან (სომხით-საბარათიანოს სათავადოები). თბ. 1955, გვ. 139-140; დ. გვრიტიშვილი ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან. ტ. II. თბ. 1965, გვ. 76-79.

² დ. ნინიძე. ბაგრატიონთა სამეფო განშტოებათა ისტორია (XIII-XVIII საუკუნეებში). თბ. 2004, გვ. 96.

³ ო. სოსელია. ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან (სათავადოთა სისტემა), თბ. 1966, გვ. 53.

სალიპარტიანოს წარმოშობისა და განვითარების ისტორიას თავის დროზე შეეხნენ შემდეგი მკვლევრები: ექ. თაყაიშვილი,⁴ თ. ბერაძე,⁵ შ. ჯღარაკავა⁶ და ო. სოსელია.⁷ ასევე, გარკვეული ადგილი დაუთმო ილ. ანთელავამ თავის წიგნში „ლევან II დადიანი“.⁸

ნაშრომში განვიხილავთ სალიპარტიანოს წარმოქმნის საკითხს, მის საზღვრებს და თვით ლიპარტიანთა სტატუსს.

ვახუშტი ბატონიშვილი სალიპარტიანოს ასე გვისახავს: „და არს ჭყონდიდიდამ უნაგირამდე მთის ძირი სალიპარტიანო (არშიაზე R-სალიპარტიანო). არიან ამ ადგილთა შინა მოსახლენი მთავარნი და აზნაურნი. და არს ქუეყანა (ხაზი ჩვენია – ა. ჩ.) ესე მზგავსი ვაკისა და უმეტეს ნაყოფიანი და ტყიანი“.⁹

სალიპარტიანო ჩვენ გვესახება, როგორც ისტორიულ-გეოგრაფიული „ქვეყანა“. ანალოგია შეიძლება მოიძებნოს „სავახტანგოსა“ და „სამუხრანბატონოსთან“¹⁰ (ეს სამივე „ქვეყანა“ საუფლისწულოს წარმოადგენს, თუმცა მათი წარმოქმნა, ჩვენი აზრით, სხვადასხვა მიზეზმა განაპირობა). ნ. ბერძენიშვილსაც სალიპარტიანო ისტორიულ-გეოგრაფიულ „ქვეყანად“¹¹ წარმოუდგენია, მისი თქმით, ის არის „ჭყონდიდის ქვეყანა“ და ნაადრევი „ონოგურიის ქვეყანა“.

პირველი ლიპარტიანი, რომელიც წყაროებში დასტურდება, ეს არის შამადავლა ლიპარტიანი, ის მოხსენიებულია თოფურეძეთა სასისხლო სიგელში,¹² რომელიც საქართველოს მეფის ალექსანდრე I (1412-1442) დიდის

⁴ ექ. თაყაიშვილი. ნიმუშები სამეგრელოს სიგელ-გუჯრებისა. გაზ. „ივერია“. 1891. №213.

⁵ თ. ბერაძე. ერთი საკითხი სამეგრელოს ისტორიული გეოგრაფიიდან. საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული კრებული (სიგე). II. თბ. 1964, გვ. 115-131.

⁶ შ. ჯღარაკავა. სალიპარტიანო (ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა). თსუ-ს შრომები, ტ. 113. თბ. 1965, გვ. 268-295

⁷ ო. სოსელია. ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან (სათავადოები), ტ. III. თბ. 1990, გვ. 85-91.

⁸ ილ. ანთელავა. ლევან II დადიანი. თბ. 1990.

⁹ ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. IV. თბ. 1973, გვ. 777.

¹⁰ დ. ნინიძე. ბაგრატიონთა სამეფო განშტოებათა ისტორია, გვ. 147-202; დ. ნინიძე. საქართველოს ისტორიული გეოგრაფია (მითითებები სადეკლო კურსისათვის). თბ. 2005, გვ. 57-59.

¹¹ ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. თბ. 1990, გვ.536. 462.

¹² ექ. თაყაიშვილი. ნიმუშები სამეგრელოს სიგელ-გუჯრებისა. №213, გვ. 3; ექ. თაყაიშვილი. საქართველოს სიძველენი. ტ. II. ტფ. 1909, გვ. 37.

თანამედროვეა. ყველა, ვინც კი სალიპარტიანოს საკითხს შეეხო, ამ ცნობას ეჭვით უყურებს, რადგან საქმე გვაქვს სასისხლო სიგელთან.¹³ ჩვენი აზრით, ამ ცნობის უარყოფა იმ მოტივით, რომ ის სასისხლო სიგელშია მოცემული, არაარგუმენტირებულია და ვერ გავიაზრებთ. ჩვენ ვემხრობით იმ მეცნიერთა მოსაზრებებს, რომელთათვის გარკვეული ცნობები „სასისხლო სიგელებში“ ეჭვს არ იწვევს.¹⁴

ჩვენთვის საინტერესო ინფორმაციას მივაგენით ქ. სიგუას საღისურთა-ციო ნაშრომში „ოდიშის სამთავრო XVI საუკუნის მეორე ნახევარში“. დისერტანტი, როდესაც ეხება „სალიპარტიანოს“ საკითხს, ყველაზე ადრინდელ ლიპარტიანად მას დასახელებული ჰყავს აბესალომ ტულუშის მიერ მარტვილის ტაძრის ერთ ახალ წარწერაში ნახსენები „ოზბეგ ლიპარტიანი“¹⁵ (აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩვენ ვესაუბრეთ ბატონ აბესალომ ტულუშს, მისი თქმით, ეს წარწერა ფრესკული ხასიათისაა). ავტორი „ოზბეგ ლიპარტიანს“ აიგივებს წყაროებში ცნობილ ოზბეგ დადიანთან,¹⁶ რომლის საფლავის ქვა აღმოჩენილია სოფელ ჭლოუში (ოჩამჩირის რ-ნი), შესაბამისი წარწერით:¹⁷

„ერისთავთა ერისთავი
მანდატურთუხუცესი
დადიან, ოზბეგს, შეუნდვენ
ღმერთმან“.¹⁸

იგივე, ოზბეგ დადიანი იხსენიება დანიელ ცაიშელის მიერ გაცემულ საბუთში (ლაბსყალდის) დემეტრე მეფესთან ერთად.¹⁹ აღნიშნული საბუთი ვალერი სილოგავამ 1445-1452 წლებით დაათარიღა და დემეტრე მეფე, მისი აზრით, უნდა იყოს ალექსანდრე I (1412-1442) დიდის ვაჟი.²⁰ დავით ნინიძეც,

¹³ თ. ბერაძე. ერთი საკითხი სამეგრელოს ისტორიული გეოგრაფიიდან, გვ. 376-277.

¹⁴ დ. ნინიძე. სასისხლო სიგელები და „პროვინციის მეფეთა“ ინსტიტუტი. „ახალგაზრდა მეცნიერთა შრომები“. XVI. თბ. 1988.

¹⁵ ქ. სიგუა. ოდიშის სამთავრო XVI საუკუნის მეორე ნახევარში, დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად. თბ. 2001, გვ. 87-88.

¹⁶ პ. ინგოროყვა. სვანეთის საისტორიო ძეგლები, ნაკ. II. ტექსტები. თბ. 1941, გვ. 28.

¹⁷ X. C. Бгажба. Из истории письменности в Абхазии. Труды Абнйли. XXX. Сухуми. 1959, გვ. 260.

¹⁸ აბ. ტულუში. ერთი წარწერის წაკითხვა-დათარიღებისათვის, „ძეგლის მეგობარი“. 1983. №62, გვ. 35-36. ვ. სილოგავა. სამეგრელო-აფხაზეთის ქართული ეპიგრაფიკა. თბ. 2006, გვ. 289-291.

¹⁹ პ. ინგოროყვა. სვანეთის საისტორიო ძეგლები, ნაკ. II. თბ. 1941, გვ. 28.

²⁰ სვანეთის წერილობითი ძეგლები, ისტორიული საბუთები და სულთა მატრიანე-

ეყრდნობა რა ვალერი სილოგავას, ზემოთ აღნიშნულ დემეტრეს ალექსანდრე I-ის (1412-1442) ძედ – „წყალს იქითის“ მეფედ მიიჩნევს.²¹ ჩვენი აზრით, სათუთა ის ფაქტი, რომ „წყალს იქითის“ „მეფეს“ რაიმე პრეტენზია ჰქონოდა სვანეთზე, ამიტომ გამოვთქვამთ ვარაუდს, რომ წყაროებში ნახსენები დემეტრე უნდა იყოს „ლიხთ იქითის“ ერისთავისა და „მეფის“ ალექსანდრეს ვაჟი დემეტრე, მისი მოღვაწეობა მოდის 1414-1455 წლებზე.²² ასევე, 1414-1455 წლებს ემთხვევა ოზბეგ დადიანის (ლიპარტიანის) მოღვაწეობა. თ. ბერაძეს²³ და მ. ბახტაძეს²⁴ ეს ოზბეგი სვანეთის ერისთავად მიაჩნიათ.

ჩვენი აზრით, ოზბეგი ლიპარიტ I (1412-1470) დადიანის ძმაა. შამადავლა დადიანის (მთავრობა 1470-1475) მცირეწლოვანების პერიოდში, სავარაუდოდ, ის იყო „სალიპარტიანოს“ მფლობელი და გამგებელი, შამადავლას გალიპარტიანების შემდეგ ოზბეგი სვანეთის ერისთავი უნდა გამხდარიყო, რადგან დადიანებს სვანეთზე გარკვეული პრეტენზიები ჰქონდათ (გავიხსენოთ საჟიგ დადიანი სვანთა ერისთავი).²⁵

შემდეგი წარმომადგენელი ლიპარტიანებისა იხსენიება ვახუშტი ბატონიშვილთან, თუმცა უსახელოდ. იმერეთის მეფე გიორგი II-ს უღალატა თავისმა ბიძაშვილმა ქაიხოსრო ვახტანგის ძემ, რომელმაც მოიმხრო „დადიანი და იმან იშუელა ჭილაძე ვარაზა ლიპარტიანით ოდიშრით“. ბრძოლა მოხდა იანეთს 1568 წელს, სადაც გიორგი მეფემ გაიმარჯვა.²⁶

ცაიშის ერთ-ერთ გულანში მოხსენიებულია ვინმე მანა ლიპარტიანის ასული, რომელიც გულიანის გადამწერია. მანა XVI ს. 70-იანი წლების მოღვაწე უნდა იყოს, თ. ბერაძეს ის ვახუშტისთან მოხსენიებული, უსახელო ლიპარტიანის ქალიშვილად მიაჩნია.²⁷

ამის შემდეგ მოხსენიებული ლიპარტიანი არის სპეციალისტებისთვის კარგად ნაცნობი, გიორგი ლიპარტიანი, ლევან II (1611-1657) დადიანის

ბი, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები დაურთო და სამეცნიერო-საცნობარო აპარატი დაურთო ვალერი სილოგავამ. თბ, 1986, გვ. 103-104.

²¹ დ. ნინიძე. „პროვინციის მეფეები XIV-XV საუკუნეების საქართველოში“. თბ. 1995, გვ. 135-137.

²² დ. ნინიძე. ბაგრატიონთა სამეფო განშტოებათა ისტორია, გვ. 77.

²³ თ. ბერაძე. „ოდიშის საერისთავო“. კრ. სამეგრელო, კოლხეთი, ოდიში. თბილისი-ზუგდიდი. 1999, გვ. 143.

²⁴ მ. ბახტაძე. ერისთავობის ინსტიტუტი საქართველოში. თბ. 2003, გვ. 221-224.

²⁵ სვანეთის წერილობითი ძეგლები, გვ. 102-103; მ. ბახტაძე. ერისთავობის ინსტიტუტი საქართველოში, გვ. 219.

²⁶ ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 815-816.

²⁷ თ. ბერაძე. ერთი საკითხი სამეგრელოს ისტორიული გეოგრაფიიდან, გვ. 116.

ბიძა, რომელიც ლევანის მცირეწლოვანობის პერიოდში განაგებდა ოდიშის სამთავროს.²⁸ სამეგრელოში მცხოვრები იტალიელი მისიონერი არქანჯელო ლამბერტი გიორგი ლიპარტიანზე აღნიშნავს: „კაცი ფრიად სამართლიანი და სახელმწიფო საქმეებში კარგად გამოცდილი. ეს გიორგი განაგებდა ყველაფერს ფრიად ერთგულად და ისე მიჰყავდა საქმეები, რომ მისი გამგეობის დროს კოლხიდაში არავითარი არეულობა და აჯანყება არ მომხდარა“.²⁹

გიორგი ლიპარტიანი, რომ ლევან II (1611-1657) დადიანის ბიძა იყო დასტურდება ერთი წარწერითაც:

„ლიპარტიანი ბატონი გიორგი, ძმა ხელმწიფისა მანუჩარისა. ბიძა დიდისა ხელმწიფისა ბატონისა ლევანისა დადიანისა და ძე დიდისა ხელმწიფისა მამია დადიანისა“.³⁰ ამ გიორგი ლიპარტიანს სამი ცოლი უნდა ყოლოდა, თავი ამილახორის ასული,³¹ დადიანის ასული ანა³² და ნესტან-დარეჯან ჭილაძე. გიორგი ლიპარტიანს ჰყავდა ორი ვაჟი, ვამეყი³³ და გიორგი, რომელიც აჭის წმინდა გიორგის ხატის წარწერაში იხსენიება: „გიორგი შოუსტანი დადიანის (ე.ი. ვამეყის) ძმა ლიპარტიანი“. ნესტან-დარეჯან ჭილაძისაგან გიორგი ლიპარტიანს შვილი არ ჰყოლია.³⁴

გიორგი ლიპარტიანს უნდა ყოლოდა კიდევ ორი ქალიშვილი, თამარი და ხორეშანი.³⁵ ეს თამარი უნდა იყოს ქართლის მეფე ლუარსაბ II-ს (1606-1615) დედა, რომელსაც ვახუშტი³⁶ და ბერი ეგნატაშვილი³⁷ მარიამს უწოდებენ („ქალი ლიპარტიანისა“ – ვახუშტი; „ასული ლიპარტიანისა“ – ბერი ეგნატაშვილი).

გიორგი ლიპარტიანს, რომ სხვა ლიპარტიანებიც უსწრებდნენ დასტურ-

²⁸ ილ. ანთელავა. ლევან II დადიანი. თბ. 1990.

²⁹ არქანჯელო ლამბერტი. „სამეგრელოს აღწერა“. იტალიურიდან თარგმნა ალექსანდრე ჭყონიამ, გამოსაცემად მოამზადა და წინასიტყვაობა დაურთო პროფ. ილია ანთელავამ. თბ. 1992, გვ. 23.

³⁰ ექ. თაყაიშვილი. „არქეოლოგიური მოგზაურობა სამეგრელოში“ ძველი საქართველო. ტ. III. ტფ. 1913-1914, გვ. 191.

³¹ ს. კაკაბაძე. დასავლეთ საქართველოს ზოგიერთი ეპიგრაფიული მასალის შესახებ. საისტორიო კრებული. IV. ტფ. 1929, გვ. 109.

³² თ. ბერაძე. ერთი საკითხი სამეგრელოს ისტორიული გეოგრაფიიდან, გვ. 117.

³³ ექ. თაყაიშვილი. „არქეოლოგიური მოგზაურობა სამეგრელოში“, გვ. 191.

³⁴ შ. ჯღარკავა. სალიპარტიანო (ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა), გვ. 278.

³⁵ კ. გრიგოლია. ზებედე მღვდელმონაზონი და მისი ანდერძი, აკად. ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის მოამბე. ტ. XVII. 1953, გვ. 51.

³⁶ ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 423.

³⁷ ბერი ეგნატაშვილი. ახალი ქართლის ცხოვრება. ტექსტი პირველი. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. II. თბ. 1959, გვ. 389.

დება „აფხაზეთის საკათალიკოზო დიდი იადგარის“ ერთი მინაწერით, სადაც გიორგი ლიპარტიანის შეწირულ მამულზეა ლაპარაკი, აი, რას ვკითხულობთ: „იმ ადგილას ძველი ლიპარტიანებისგანაცა ქონდა ხატს შეწირული კაცები“.³⁸

ჩვენ, მოკლედ წარმოვადგინეთ ინფორმაცია წყაროებში ნახსენები ლიპარტიანების შესახებ, ახლა კი „სალიპარტიანოს“ წარმოშობის საკითხს შევეხებით.

ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი წყაროებში პირველად ნახსენებ შამადავლა და ოზბეგ ლიპარტიანებზე, რომლებიც XV საუკუნის I ნახევრის მოღვაწეები არიან, ანუ ამ პერიოდში „სალიპარტიანო“ უკვე შექმნილი უნდა იყოს.

ვახუშტი ბატონიშვილი სამეგრელოს (ოდიში) აღწერისას მის საზღვრად აღმოსავლეთით მდ. ცხენისწყალს დებს, ჩრდილოეთით – ეგრისის ქედს, სამხრეთით მდ. რიონს, დასავლეთით შავ ზღვას, ხოლო ჩრდილო დასავლეთით „ანაკოფის მცირე“ მთას.³⁹ თ. ბერაძემ სამართლიანად შენიშნა, რომ ვახუშტი ამ შემთხვევაში XV საუკუნის II ნახევრის საზღვრებს გადმოგვცემს, როდესაც საქართველოს სამეფო დაიშალა სამეფო-სამთავროებად.⁴⁰ შემდეგ ვახუშტი იქვე აღნიშნავს, რომ უნაგირას მთას „მზღვრიდნენ ოდესმე იმერთა და ოდიშთა საზღვრად. და არს ჭყონდიდიდამ უნაგირამდე მთის ძირი სალიპარტიანო“.⁴¹ ანუ გამოდის, რომ სალიპარტიანოს ტერიტორია, თუ მთლიანად არა, ნაწილი ადრე იმერეთის შემადგენლობაში შედიოდა, ხოლო შემდგომ ოდიშის შემადგენლობაში, მფლობელობაში გადავიდა.

როდის უნდა მომხდარიყო ეს?

შ. ჯღარკავას აზრით,⁴² ეს უნდა მომხდარიყო XV საუკუნის დასაწყისში, ო. სოსელიას აზრით,⁴³ უნდა მომხდარიყო XIII საუკუნის 20-იან წლებში, XV საუკუნის დასაწყისში ვარაუდობს ასევე თ. ბერაძე.⁴⁴ ჩვენთვის ყველაზე მისაღებია ექვთიმე თაყაიშვილის მოსაზრება,⁴⁵ რომლის მიხედვითაც

³⁸ თ. ბერაძე. ერთი საკითხი სამეგრელოს ისტორიული გეოგრაფიიდან, გვ. 118.

³⁹ ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 776.

⁴⁰ თ. ბერაძე. ვახუშტი ბაგრატიონი და ოდიშის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული. ტ. IV. თბ. 1971, გვ. 54.

⁴¹ ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 777.

⁴² შ. ჯღარკავა. სალიპარტიანო (ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა), გვ. 295.

⁴³ ო. სოსელია. ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან (სათავადოები). ტ. III, გვ. 86.

⁴⁴ თ. ბერაძე ერთი საკითხი სამეგრელოს ისტორიული გეოგრაფიიდან, გვ. 121.

⁴⁵ ექ. თაყაიშვილი. ნიმუშები სამეგრელოს სიგელ-გუჯრებისა. №213, გვ. 3-9.

სალიპარტიანოს პირველი მფლობელი ლიპარიტ I (1470-1475) დადიანი იყო, და მისი სახელიდან უნდა მოდიოდეს სახელწოდება „სალიპარტიანო“. თაყაიშვილს მოჰყავს დავით I დადიანის (ოდიშის მთავარი ჩიქვანთა დინასტია 1840-1853) ცნობა თუ გადმოცემა, რომ სალიპარტიანოში „ოდესმე უცხოვრია რომელსამე ლიპარიტს, დადიანების წინაპრებად წოდებულს: შეძღვევ ის სამეგრელოს მთავრის შთამომავალი, რომელიც იქ ბატონობდა, იწოდებოდა ლიპარტიანებად“.⁴⁶

როგორ გვესახება სალიპარტიანოს წარმოშობა:

ჩვენთვის ცნობილია, რომ XIV საუკუნეში აქტიურობას იწყებენ „ლიხთ-იმერეთის მეფეები“, რომლებიც განკერძოებისკენ მიისწრაფვიან და ერთიანი საქართველოს მეფეებს არ ემორჩილებიან,⁴⁷ ასეთ ვითარებაში ოდიშის ერისთავი დადიანები ცენტრალური ხელისუფლებას ემხრობიან და იმერეთის „მეფეებს ებრძვიან“.⁴⁸

თ. ბერაძეს, დასაშვებად მიაჩნია, რომ ოდიშის საერისთავოს ცალკე – სამთავროდ გამოყოფის დროს დადიანებს უნაგირას აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორია მიეტაცებინათ,⁴⁹ სადაც შეძღვომ სალიპარტიანო შეიქმნა. ჩვენ ვეთანხმებით კონკრეტულ შენიშვნას.

უნაგირას აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორიის შემოერთება ოდიშის ერისთავის მამია II (1396-1412) დადიანის დროს უნდა მომხდარიყო.

ლიხთ-იმერეთის „მეფეთა“ მოწინააღმდეგე დადიანების მიერ, „მეფეთა“ მფლობელობაში მყოფი ტერიტორიის შემოერთება ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგობას არ წააწყდებოდა. ამ შემთხვევაში დადიანებისა და საქართველოს მეფეთა ინტერესი ერთიანდებოდა ლიხთ-იმერეთის „მეფეების“ წინააღმდეგ.

გადავავლოთ თვალი XIV-XV საუკუნეების მიჯნათა „ლიხთ იმერეთს“, რა ხელისშემწყობი პოლიტიკური ვითარებაა დასავლეთ საქართველოში, „სალიპარტიანოს“ მიწების შემოერთებისთვის.

1396 წელს იმერეთში კონსტანტინე „გამეფდა“, ამავე დროს ოდიშის ერისთავი ხდება მამია II (1396-1412) დადიანი. კონსტანტინეს გარდაცვალების შემდგომ ტახტზე ადის მისი ძმისწული დიმიტრი, რომელიც ცდილობს

⁴⁶ ექ. თაყაიშვილი. ნიმუშები სამეგრელოს სიგელ-გუჯრებისა. №213, გვ. 3-9.

⁴⁷ დ. ნინიძე. „პროვინციის მეფეები XIV-XV საუკუნეების საქართველოში“. თბ. 1995.

⁴⁸ ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 803-805.

⁴⁹ თ. ბერაძე. ერთი საკითხი სამეგრელოს ისტორიული გეოგრაფიიდან, გვ. 121.

თავის გავლენას დაუმორჩილოს მამია დადიანი, მათ შორის ბრძოლები 1401 წლამდე გრძელდებოდა, ამ დროს დასავლეთ საქართველოში გადმოდის გიორგი VII და 1401 წელს მამია დადიანის დახმარებით შეიპყრო დიმიტრი და იმერეთში ერთიანი საქართველოს მეფობა აღადგინა.⁵⁰

მამია II (1396-1412) დადიანს, სწორედ დიმიტრისთან ბრძოლის პერიოდში შეეძლო მიეთვისებინა უნაგირას აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორია, დიმიტრის შემპყრობი ერისთავისთვის გიორგი VII შეიძლება ეს ტერიტორია დაეკანონებინა.

მამია II (1396/7-1412) დადიანს ჰყავდა ვაჟი ლიპარიტი (მთავრობისას ლიპარიტ I – 1412-1470). ვიზიარებთ რა, ექ. თაყაიშვილის მოსაზრებას, სწორედ ლიპარიტი მიგვაჩნია სალიპარტიანოს პირველ მფლობელად. ამ შემთხვევაში შემოერთებულ ტერიტორიას ის სავარაუდოდ საუფლისწულო სტატუსით განაგებდა. აქ კი, ჩვენი აზრით, საინტერესო ტენდენცია იკვეთება, ოდიშის მთავართა მიერ შემოერთებულ ტერიტორიაზე თავისი ძმის, შვილის ან ბიძის დასმისა უფლისწულობის სტატუსით, ამაზე ქვემოთ გვექნება საუბარი.

წერილობითი წყაროების სიმცირის გამო გვიძნელდება დავადგინოთ, თუ რა ტერიტორიას მოიცავდა სალიპარტიანო, თუმცა ზოგადი საზღვრების მოხაზვა მაინც შეიძლება.

ზემოთ გვქონდა საუბარი ვახუშტის მიერ სალიპარტიანოს ლოკალიზების შესახებ: „და არს ჭყონდიდიდამ უნაგირამდე მთის ძირი სალიპარტიანო“.⁵¹ ანუ ვახუშტის ის მდინარე ტეხურსა და აბაშას შორის წარმოუდგენია.

წყაროებიდან ირკვევა, რომ სალიპარტიანოს ცენტრი სოფელ ტარჩულში იყო. ერთ-ერთი ხატის წარწერაზე ვკითხულობთ: „დადიანმან პატრომან ლევან... მოვაჭვდინეთ ხატი ესე სახისა თქუენისა და შევამკვეით თვალითა და მარგალიტითა და დავასვენეთ ტარჩულს ლიპარტიანისა სასახლესა კარის ეკლესიასა“.⁵² თ. ბერაძის⁵³ აზრით, ეს ტარჩული ნოქალაქევთან მდებარე ტოპონიმი ტარჩელი უნდა იყოს, გ. ელიავას მიხედვით, ტარჩუ.⁵⁴

გიორგი ლიპარტიანს, სავარაუდოდ, ყმები ეკუთვნოდა სოფელ ობუჯში და ოკალიკეში, მისივე საკუთრება უნდა ყოფილიყო სოფელი ნაგვაზაუ და

⁵⁰ თ. ბერაძე. ერთი საკითხი სამეგრელოს ისტორიული გეოგრაფიიდან, გვ. 804-805. 275.

⁵¹ თ. ბერაძე. ერთი საკითხი სამეგრელოს ისტორიული გეოგრაფიიდან, გვ. 777.

⁵² ექ. თაყაიშვილი. „არქეოლოგიური მოგზაურობა სამეგრელოში“, გვ. 55.

⁵³ თ. ბერაძე. ერთი საკითხი სამეგრელოს ისტორიული გეოგრაფიიდან, გვ. 29.

⁵⁴ გ. ელიავა აბაშისა და ტეხურის ხეობის ისტორიული ღირსშესანიშნაობანი (მეგზური). თბ. 1971, გვ. 38.

ბომბოთი.⁵⁵

შ. ჯღარკავას აზრით, სოფელი ხუნწი სალიპარტიანოს შემადგენლობაში უნდა შევიყვანოთ, რადგან ამ სოფელს გიორგი ლიპარტიანი ხონის საყდარს სწირავს.⁵⁶

ჩვენი ყურადღება მიიქცია მარტვილის ხატის ერთ-ერთმა მინაწერმა, სადაც ვკითხულობთ: „დავასახლეთ ჭაქვიჯს მეჯოგეთ გოშართია შენგელია და დავაყენეთ სააღაპოთ... აწი ვინცა ეს ჩვენგან გაჩენილი ალაპი მოშალოს ანუ ლიპარტიანმა ანუ სხვა მებატონემ...“⁵⁷ და შემდეგ წყევლა-კრულვა მოსდევს. წარწერის შინაარსიდან გამომდინარე ლიპარტიანს, როგორც „მებატონეს“, ჭაქვიჯზე ან იქ მოსახლე რომელიმე გვარზე, რაღაც უფლება გააჩნდა.

სალიპარტიანოს ტერიტორიის ძირითადი ბირთვი ასე უნდა წარმოვიდგინოთ: დასავლეთით ის აღწევდა მთის იმ ზოლს, რომელიც მდინარე ტეხურის მარჯვენა ნაპირს მიუყვება, სამხრეთით ის ჭილაძეთა სამფლობელოს ესაზღვრებოდა, აღმოსავლეთით კი მას საზღვრავდა საჭყონდიდლო მამულები.⁵⁸ თუმცა, სავარაუდოდ, ლიპარტიანებს საზიარო მამულიც ჰქონოდათ, ჭაქვიჯისა (ჭაქვიჯი) და ხუნწის მაგალითზე ეს ნათლად ჩანს, რადგან ჭაქვიჯი დღევანდელი ზუგდიდის რაიონია, ხოლო სოფელი ხუნწი მდინარე ცხენისწყლის პირას მდებარეობს.

სალიპარტიანო, როგორც სათავადო, ტიპურ სენიორიას წარმოადგენდა. გიორგი ლიპარტიანის შეწირულობის წიგნიდან ვიგებთ, რომ მას ჰყოლია: მოურავი სეხნია ნემსაძე (ნეუსაძე), კარის მესტუმრე ივანე რევია და წინამძღვარი ზებედე. ასევე ვიგებთ, რომ ლიპარტიანს სხვა მოხელეებიც ჰყავდა: „ამისა მოწამენი არიან... სხვანი კარისა ჩვენისა ხელის მქონებელნი“.⁵⁹

რაც შეეხება ლიპარტიანის სტატუსს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, – გიორგი ლიპარტიანი ლევან II (1611-1657) დადიანის მცირეწლოვანობის უამს ოდიშის მმართველი იყო. თ. ბერაძეს ლიპარტიანობა, ცაიშის დიდი ჯვარცმის ხატზე არსებულ წარწერაზე დაყრდნობით ტიტულად მიაჩნია.⁶⁰ წარწერის შინაარსი შემდეგში მდგომარეობს:

⁵⁵ თ. ბერაძე. ერთი საკითხი სამეგრელოს ისტორიული გეოგრაფიიდან, გვ. 129.

⁵⁶ შ. ჯღარკავა. სალიპარტიანო (ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა), გვ. 288.

⁵⁷ ექ. თაყაიშვილი. „არქეოლოგიური მოგზაურობა სამეგრელოში“, გვ. 56.

⁵⁸ თ. ბერაძე. ერთი საკითხი სამეგრელოს ისტორიული გეოგრაფიიდან, გვ. 129.

⁵⁹ ს. კაკაბაძე. დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები. წიგნი II. ტვ. 1921, გვ. 127.

⁶⁰ თ. ბერაძე. ერთი საკითხი სამეგრელოს ისტორიული გეოგრაფიიდან, გვ. 118.

„მოიჭედა და შეიმკო ხატი ესე ბატონობასა მანუჩარის ძის ბატონისა ლევანისსა და ლიპარტიანობასა ბატონისა ბიძისა მისისა ბატონის გიორგისა. დმერთმა აღიდნეს ორთავე შინა ცხოვრებასა“. ანუ, მისი თქმით, „ლიპარტიანობა“ დადიანის (მთავრის) შემდეგ მეორე მოხელის ტიტულია.⁶¹

ჩვენი აზრით, „ლიპარტიანობა“ ნიშნავს სალიპარტიანოს ფლობას. აქვე ვიზიარებთ, ილ. ანთელავას მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ლიპარტიანთა ასეთი დაწინაურება არა მათი მოხელეობით, არამედ სამთავროს სახლის უმცროსი შტოს წარმომადგენლობით უნდა აიხსნას.⁶² თუმცა გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ ლიპარტიანებს, როგორც სამთავრო სახლის გვერდითა შტოს წარმომადგენლებს, ოდიშის სარდლის ფუნქცია უნდა შეეთავსებინათ.

ზემოთ გვქონდა საუბარი იანეთის ბრძოლაზე, სადაც გიორგი II იმერთა მეფეს ქაიხოსრო ვახტანგის ძე (თავისი ბიძაშვილი) აუჯანყდა, რომელმაც დადიანი მოიძხრო, ხოლო დადიანმან „იშუელა ჭილაძე ვარაზა ლიპარტიანით ოდიშრით“ (ხაზი ჩვენია – ა.ჩ.).⁶³ როგორც ვხედავთ, დადიანმა დაიხმარა ჭილაძე და ლიპარტიანი კი ოდიშრით.

1614 წელს, შაჰ-აბასი პირველად შემოესია ქართლ-კახეთს, როგორც ზებედე მღვდელმონაზონის ანდერძიდან ირკვევა: „გაილაშქრა მეფის თეიმურაზის საშუელად ძემან კურთხეულისა დადიანისა მანუჩარისამან... პატრონმან ლეონ და ბიძამან ლიპარტიანმან ბატონმან გიორგი“.⁶⁴

შ. ჯღარკავას, გიორგი ლიპარტიანი ამ ლაშქრობის (ოდიშის ლაშქრის) სარდლად მიაჩნია.⁶⁵

დადიანთა პირველი შტოს შემდეგ ოდიშის მთავრის ტიტული, როგორც ვიცით, ჩიქვანთა ხელში გადადის, ხოლო მანამდე კაცია ჩიქვანი ლიპარტიანობას იღებს.⁶⁶ ის იხსენიება წარწერებში, როგორც „ოდიშის თავი და სარდალი“.⁶⁷ ასევე ერთი სიგელიდან ირკვევა, რომ ლიპარტიანის (სავარაუდოდ გიორგი III ლიპარტიანი) პრეროგატივა ყოფილა „ლაშქრად წაბრძანება“.⁶⁸

⁶¹ თ. ბერაძე. ერთი საკითხი სამეგრელოს ისტორიული გეოგრაფიიდან, გვ. 118.

⁶² ილ. ანთელავა. ლევან II დადიანი, გვ. 44.

⁶³ ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 815-816.

⁶⁴ კ. გრიგოლია. ზებედე მღვდელმონაზონი და მისი ანდერძი, აკად. ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის მოამბე. ტ. XVII. თბ. 1953, გვ. 51.

⁶⁵ შ. ჯღარკავა. სალიპარტიანო (ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა), გვ. 281.

⁶⁶ ს. მაკალათია. სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თამარ მაკალათიას გამოცემა. თბ. 2006, გვ. 188.

⁶⁷ ექ. თაყაიშვილი. „არქეოლოგიური მოგზაურობა სამეგრელოში“, გვ. 121.

⁶⁸ ექ. თაყაიშვილი. საქართველოს სიძველენი. ტ. I. ტფ. 1920, გვ. 31.

გამოვთქვამთ ფრთხილ მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ლიბარტიანების პირველ შტოს ოდიშის სარდლის მოვალეობა ჰქონდა, ხოლო სალიპარტიანოს ჩიქვანთა ხელში გადასვლის შემდგომ ეს „ხელი“ მათ უნდა მიეღოთ.

ახლა კვლავ დავუბრუნდეთ სალიპარტიანოს შექმნის საკითხს და საუფლისწულოთა წარმოქმნის თავისებურებებს ოდიშის სამთავროში. მოვიყვანთ გარკვეულ მაგალითებს.

„საუფლისწულო“, ეს არის სამამულო საკუთრების ფორმა, რომელიც უფლისწულს (ბატონიშვილს) მიეცემა საერთო, „სახასო“ ქონების ნაწილიდან.⁶⁹ ქართლის სამეფოში გვიან შუა საუკუნეებში არსებული ყველაზე დიდი საუფლისწულოები, ეს არის სამუხრანბატონო და სავახტანგო. სამუხრანბატონო წარმოადგენს ბაგრატიონთა (როგორც სავახტანგო) გვერდითი შტოს საგანმგეოს, რომელიც უშუალოდ სამეფო მამულებისაგან წარმოიქმნა.⁷⁰

ჩვენი დაკვირვებით, ოდიშის სამთავროში „საუფლისწულო“ შემოერთებულ ან ჩამორთმეულ ტერიტორიაზე წარმოიქმნება, როგორც ეს „სალიპარტიანოს“ მაგალითზე მოხდა. სამთავრო სახლისათვის, უფრო სასურველი იქნებოდა, ახლად შემოერთებულ ტერიტორიაზე თავისი ერთგული პირი დაესვა, როგორც ჩვენს შემთხვევაში ჩანს, ესენი მთავართა ძმები, შვილები, ბიძაშვილები ან ბიძები არიან.

მოგვყავს მაგალითები:

1) ვახუშტის თქმით, გიორგი იმერთა მეფემ მოკლა ჯავახ ჭილაძე „რამეთუ მიმდგომიცა იყო დადიანისა და დაიპყრა მამული ჯავახ ჭილაძისა“. ამით შემფრთხილებმა დადიანმა და გურიელმა გაილაშქრეს იმერთა მეფის წინააღმდეგ და „არა აუფლებდნენ გიორგი მეფესა მამულსა ზედა ჭილაძისას. არამედ ნახევარი დაიპყრა დადიანმან და ნახევარი გურიელმან“.⁷¹

ჭილაძეებს ეპყრათ „დიდი მხარე გურიისა და სამეგრელოს შუა. გურიაში მათი სამფლობელო საერისთავომდის მიდიოდა, ესე იგი მათ ეჭირათ მთელი ეხლანდელი მხარე გურიისა, რომელსაც ჰქვია საჯავახო, სამეგრელოს მხრით მათი სამფლობელო, როგორც ირკვევა ეხლა, ბანამდის მიდიოდა. ამ საზღვრებში შედიოდა, გარდა საჯავახოისა ორპირი სამტრედია, ახლანდელი საჭილაო, აბაშა და სეფიეთი“.⁷²

⁶⁹ გ. ჯამბურია. ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 139.

⁷⁰ დ. ნინიძე. ბაგრატიონთა სამეფო განშტოებათა ისტორია, გვ. 147-201. დ. ნინიძე. საქართველოს ისტორიული გეოგრაფია, გვ. 57-79.

⁷¹ ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 816.

⁷² ექ. თაყაიშვილი. არქეოლოგიური მოგზაურობა სამეგრელოში, გვ. 3.

ჭილაძეთა სათავადოს საზღვარი დაახლოებით ასეთი უნდა ყოფილიყო: აღმოსავლეთით, ნაფლადურ-ნაჩხეტაური, დასავლეთით – სოფელი ბანძა თუ – მდინარე ნოლელა, სამხრით – თავად მაჭუტაძეთა სამფლობელო ნიგოეთი, ქვიანი და გურიის საერისთავო, ჩრდილოეთით – ქოლობანი და გუგუნაყანათი.⁷³

ასეთი ვრცელი ტერიტორია გაიყვეს დადიანმა და გურიელმა. შემდგომ დადიანის კუთვნილ ჭილაძეთა მამულს ბათულია დადიანი განაგებს, სავარაუდოდ, მას ეს ტერიტორია საუფლისწულოდ უნდა მიეღო, როგორც ეს მოხდა „სალიპარტიანოს“ – უნაგირას აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორიის შემოერთების შემთხვევაში.

რა გვადლევს საფუძველს ბათულია დადიანი ჭილაძეთა მამულის, დადიანის წილის „მფლობელად“ მივიჩნიოთ?

ლევან I (1533-1557 ერისთავი, 1557-1572 ოდიშის I მთავარი „ხელმწიფე“) დადიანის შემდგომ ოდიშის სამთავრო ტახტზე ადის მისი ვაჟი გიორგი III (1572-73, მეორედ 1578/9-1582) დადიანი,⁷⁴ მას ტახტს ეცილება ძმა მამია IV (1573-1578/9, მეორედ 1582-1590) დადიანი. საბოლოოდ გიორგი იმერთა მეფემ შეარიგა გიორგი III დადიანი და მისი ძმა მამია, მთავრად კი გიორგი ავიდა, მეორედ, 1578/9-1582 წლებში.⁷⁵

გაიგო რა ძმების შერიგების ამბავი მათმა ბიძამ ბათულიამ, „შეიყარა საჯავახოელნი და წარმოვიდა საღალატოდ გიორგი დადიანისა“, ⁷⁶ რადგან ბათულია და გიორგი დადიანი მტრობდნენ ერთმანეთს, ამ უკანასკნელმა მას ცოლი წაართვა და თვითონ შეირთო.⁷⁷ გიორგიმ დაასწრო ლაშქრის შეკრება და ბათულია უკან გაბრუნდა საჯავახოს.⁷⁸

როგორც ვხედავთ, ბათულია საჯავახოს მფლობელი ჩანს, ამასთან დაკავშირებით შევადარეთ ვახუშტის, ბერი ეგნატაშვილის, „ქართლის ცხოვრების“ მესამე ტექსტი და ნიკო დადიანისეული „ქართველთა ცხოვრება“.

ვახუშტისთან ვკითხულობთ: „ბათულამ, ბიძამან დადიანისამან **შემოიკრიბა საჯავახო, რამეთუ მას ეპყრა იგი** (ხაზი ყველგან ჩვენია – ა.ჩ.) და

⁷³ ო. სოსელია. ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან (სათავადოები). ტ. I, გვ. 275.

⁷⁴ თ. ბერაძე. ოდიშის მთავართა ქრონოლოგიური სია, ჟურნ.: „ანალები“. თბ. 2000. №2, გვ. 26-28.

⁷⁵ თ. ბერაძე. ერთი საკითხი სამეგრელოს ისტორიული გეოგრაფიიდან, გვ. 818; თ. ბერაძე. ოდიშის მთავართა ქრონოლოგიური სია, გვ. 26-28.

⁷⁶ ბერი ეგნატაშვილი. ახალი ქართლის ცხოვრება, ტექსტი პირველი, გვ. 362.

⁷⁷ თ. ბერაძე. ერთი საკითხი სამეგრელოს ისტორიული გეოგრაფიიდან, გვ. 815.

⁷⁸ ბერი ეგნატაშვილი. ახალი ქართლის ცხოვრება. ტექსტი პირველი, გვ. 362.

მოიბირნა ვინამენიცა მეგრელნი“.⁷⁹

ბერი ეგნატაშვილთან: უკუქცეული ბათულია „წარვიდა თუისად საჯავახოლ“.⁸⁰

ნიკო დადიანთან: „და ამ ბათულიას ეპყრა საჯავახო, მიცემული წილად დადიანისაგან“.⁸¹

ო. სოსელიას აზრითაც, ბათულია ფლობდა საჯავახოს, რადგან იოანე ბატონიშვილს ის გვართა სიაში ყავს შეყვანილი და „საჯავახოს თავადს“ ეძახის.⁸²

ვისგან უნდა მიეღო ბათულიას „საჯავახო“?

სავარაუდოდ, „საჯავახო“, ბათულიამ თავისი ძმის ლევან I (1533-1572) დადიანისაგან მიიღო. გიორგი III (1572-1573, მეორედ 1578/9-1982) დადიანის დროს ეს ვერ მოხდებოდა, რადგან ისინი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ერთმანეთს მტრობდნენ. ბოლოს ბათულია ტრაგიკულად ამთავრებს თავის ცხოვრებას.⁸³

2) გიორგი III-სა და მამია IV დადიანებს შორის უთანხმოების შემდეგ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ისინი იმერთა მეფე გიორგიმ შეარიგა: „გიორგი დასუეს დადიანადვე, ხოლო მამიას მისცეს ჭილაძისა და რევაზის მამულნი“.⁸⁴ ბერი ეგნატაშვილთან კი ვკითხულობთ „მამია დადიანს ლომკაცი ჭილაძისეული და რევაზისეული დაანებეს“.⁸⁵ „ქართლის ცხოვრების“ მესამე ტექსტში კი წერია: „მაშინ მამია დადიანს მისცეს სარჩოდ (ხაზი ჩვენია – ა. ჩ.) ლომკაცის ჭილაძისეული და რევაზისეული“.⁸⁶

შეიძლება ვიფიქროთ, რომ ბათულია დადიანი მამიასათვის ჭილაძისეული მამულის გადაცემამ აღაშფოთა, რადგან მასაც ჭილაძის ნაქონი „ეპყრა თუისად“. თუმცა შემდგომმა მოვლენებმა აჩვენა, რომ მამიას კუთვნილ მიწას არაფერი აქვს საერთო ბათულიას საკუთრებასთან.⁸⁷

⁷⁹ ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 818.

⁸⁰ ბერი ეგნატაშვილი. ახალი ქართლის ცხოვრება, ტექსტი პირველი, გვ. 362.

⁸¹ ნიკო დადიანი. ქართველთ ცხოვრება. ტექსტი გამოსცა წინასიტყვაობა და ლექსიკონი დაურთო შ. ბურჯანაძემ. თბ. 1962, გვ. 158.

⁸² ო. სოსელია. ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან (სათავადოები). ტ. I, გვ. 279.

⁸³ თ. ბერაძე. ერთი საკითხი სამეგრელოს ისტორიული გეოგრაფიიდან, გვ. 818.

⁸⁴ ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 816.

⁸⁵ ბერი ეგნატაშვილი. ახალი ქართლის ცხოვრება. ტექსტი პირველი, გვ. 362.

⁸⁶ ქართლის ცხოვრება. ტ. II, გვ. 504.

⁸⁷ ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 818.

აქ გამოიკვეთა კიდევ ერთი „საუფლისწულოს“ საკითხი, რომელიც მამია IV დადიანს გადაეცა. ისმის კითხვა, ვინ არიან ლომკაც ჭილაძე და რევაზი ან რევანოზი?

ჯაფარიძეთა სასისხლო სიგელში მოხსენიებულია ლომკაც ჭელიძე, ის მამია დადიანისა და ალექსანდრე მეფის გვერდით იხსენიება.⁸⁸ აქ მოხსენიებული ალექსანდრე უნდა იყოს „პროვინციის მეფე“ ლიხთ-იქითისა 1478-1484, ხოლო შემდგომ იმერეთის მეფე 1484-1510 წწ.⁸⁹ მამია დადიანი კირიგით მამია III 1503-1533 წწ.⁹⁰ აქედან გამომდინარე ლომკაც ჭილაძე დაახლოებით 1503-1510 წწ. მოღვაწე უნდა იყოს.

ლომკაც ჭილაძე, ასევე, იხსენიება მოქვის ომფორის წარწერაზე: „სულსა ლომკაცისა ჭილაძისა და მეუღლისა მისსა კონდაკეს შ-ნს შეუნდვენი ღ-ნ. ა-ნ“.⁹¹ აქ ასევე იხსენიებიან მამია და ლიპარიტ დადიანები.

კიდევ ერთი ლომკაც ჭილაძე იხსენიება 1629 წლის (317+1312+1629) შეწირულობის წიგნში, სადაც საუბარია ლომკაცის მიერ აფხაზეთის საკათალიკოზოსათვის შეწირულ ეკში (სენაკის რ-ნი) მცხოვრებ იოანე გუნიასა და თვალთალეი გუნიას შესახებ.⁹²

ჯაფარიძეთა სასისხლო სიგელში ნახსენები ლომკაცი და 1629 წელს შემწირველი, ო. სოსელიას ერთი და იგივე ადამიანი ჰგონია.⁹³

ჩვენი აზრით, ჯაფარიძეთა სასისხლო სიგელში მოხსენიებული ლომკაც ჭილაძე და მოქვის ომფორის წარწერაზე ნახსენები პიროვნება ერთი და იგივე პირია, ხოლო მას და 1629 წელს შემწირველ ლომკაც ჭილაძეს შორის შუალედი დიდი გამოდის, ასევე პირველის მეუღლეს ჰქვია კანდაკე, მეორისას კი ასტანდარ, ამიტომ, ჩვენი აზრით, ჭილაძეთა გვარში პირობითად ლომკაც I და ლომკაც II უნდა ყოფილიყო, ხოლო მამა დადიანისთვის კი ლომკაც I-ის (პირობითად 1503-1510) მამული უნდა მიეცათ.

მამიასთვის, ასევე, მიუციათ რევაზისეული მამული. ჩვენი აზრით, ეს რევაზი თუ რევაზონიც ჭილაძე უნდა იყოს. ვანიჭებთ რა უპირატესობას

⁸⁸ ს. კაკაბაძე. წერილები და მასალები საქართველოს ისტორიისათვის, გვ. 129.

⁸⁹ დ. ნინიძე. „პროვინციის მეფეები XIV-XV საუკუნეების საქართველოში“, გვ. 176-177.

⁹⁰ გ. არახამია. ოდიშის ერისთავთა ქრონოლოგიის საკითხისათვის. საისტორიო ძიებანი. 2002. V, გვ. III.

⁹¹ თ. ჟორდანიას. მოქვის ეკლესიაში (აფხაზეთში) ომფორი ისტორიული წარწერებით. გაზ.: „ივერია“. 1902. 2 მაისი. №9, გვ. 3-7.

⁹² ს. კაკაბაძე. დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები. წიგნი I. ტფ. 1921, გვ. 47.

⁹³ ო. სოსელია. ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან (სათავადოები). ტ. I, გვ. 273.

„ქართლის ცხოვრების“ მესამე ტექსტში ნახსენებ რევანოზს, მას ვაიგივებთ წყაროებში ცნობილ როვანოზ ჭილაძესთან:

„შეიწყალე და აცხოვნე სული როვანოზ ჭილაძე თანამეცხედრე მათი უტანდარ ჩხეტიძის ქალი“. ⁹⁴ ეს როვანოზი უნდა იყოს ლევან II (1611-1657) დადიანის სიმამრი, ნესტან-დარეჯან ჭილაძის მამა. ⁹⁵

დადიანთა ხელში ჭილაძეთა მამულის გადასვლაზე მიგვიითითებს კიდევ ერთი ფაქტი, შხეფის ციხის წარწერა, რომელიც ასე იკითხება:

„+ კოშკი ესე კარისთუალი შედან ალაშენა, შეუნდოს ღმერთმან ამინ; ვინცა სოქუა, შეგინდოს ღმერთმან“. ⁹⁶

თ. ბერაძემ, უარყო წარწერაში ნახსენები შედანის კავშირი შედან (ბედან) დადიანთან და ის ჭილაძეთა გვარის წარმომადგენლად მიიჩნია და გააიგივა XVI საუკუნის გამოჩინებულის წარწერაში ნახსენებ „ჯავახ და შედანთან“. ⁹⁷ ვ. სილოგავა, შხეფის წარწერის შედანს, ზემოთ ნახსენებ ჯავახისა და შედანის მამად მიიჩნევს, ხოლო შხეფის წარწერას XVI საუკუნის II ნახევრით ათარიღებს. ⁹⁸ როგორც ვხედავთ, შხეფის ციხე XVI საუკუნის II ნახევარში ჭილაძეთა ხელშია, ხოლო 1582 წელს, როდესაც გიორგი III დადიანი კვდება, ტახტზე ადის მისი ძმა, მამია IV (1582-1590) დადიანი. გიორგის დარჩა მცირეწლოვანი ძე, რომელიც მამიამ შხეფის ციხეში გამოკეტა, სადაც მან თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე. ⁹⁹ ასევე, შხეფის ციხეში დაამწყვდია მამია IV დადიანმა იმერთა მეფე ლევანი, სადაც გარდაიცვალა კიდევ. აქედან დასკვნა, მამია დადიანს ეკუთვნის ადრე ჭილაძეთა ხელში მყოფი შხეფი, სავარაუდოდ, მან ეს ადგილები უფლისწულობის პერიოდში მიიღო, როდესაც „სარჩოდ“ მიიღო „ლომკაც ჭილაძისეული და რევანოზისეული“. უფრო მოგვიანო პერიოდში ვახუშტი შხეფის ციხეს ასე მოიხსენიებს: „არს შხეფს ციხე ღიდნაშენი და სასახლე დადიანისა“. ¹⁰⁰ აქ უკვე ამკარად ჩანს, რომ შხეფი დადიანთა ხელშია.

3) დადიანთა მიერ შემოერთებულ ტერიტორიაზე გვერდითი შტოს

⁹⁴ ექ. თაყაიშვილი. „არქეოლოგიური მოგზაურობა სამეგრელოში“, გვ. 9-10.

⁹⁵ ო. სოსელია. ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან (სათავადოები). ტ. I, გვ. 283.

⁹⁶ ვ. სილოგავა. სამეგრელო-აფხაზეთის ქართული ეპიგრაფიკა, გვ. 82.

⁹⁷ თ. ბერაძე. ოდიშის პოლიტიკური გეოგრაფიიდან. სიგკ. III. 1967, გვ. 167-168.

⁹⁸ ვ. სილოგავა. სამეგრელო-აფხაზეთის ქართული ეპიგრაფიკა, გვ. 185.

⁹⁹ ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 821. თ. ბერაძე. ოდიშის მთავართა ქრონოლოგიური სია, გვ. 504.

¹⁰⁰ ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 777.

დასმის პარალელურად ისინი ასეთივე ხერხს მიმართავენ იმ ტერიტორიების (ჩვენს შემთხვევაში სვანეთის საერისთავო და გურიის საერისთავო) მიმართ, რომელზეც რაიმე სახის პრეტენზია აქვთ/ჰქონდათ.

წყაროებში გურიელები იხსენიებიან, როგორც დადიანთა ძეები. ორალალიძეთა და კვიციანიშვილთა სასისხლო სიგელში, რომელიც ბოძებულია გიორგი IX-ის მიერ, მოხსენიებული არიან „დადიანი ლიპარიტ და ძე მისი გურიელი მამია“.¹⁰¹

ასევე, ერთ-ერთი ხატის წარწერაში ვკითხულობთ:

„დადიანს გ-ის და მეუღლესა მ-თსა
რუსუდანს ძეთა მთთა მანდატურთხუცესა
ვამეყს და გურიელსა კახაბერს“.

აქ ნახსენები გიორგი დადიანი XIV საუკუნის მოღვაწეა. ის ოდიშის ერისთავია 1345-1384 წლებში, ვამეყი კი მისი ძეა, ის ერისთავად იჯდა 1384-1396 წლებში, როგორც ვხედავთ, გიორგის ძე და ვამეყის ძმა კახაბერი გურიელის ტიტულს ატარებს.

გურიის მმართველი ორი კახაბერია ცნობილი, კახაბერ I გურიელი გიორგი დადიანის ძე,¹⁰² სწორედ ეს გიორგი და კახაბერი არიან მოხსენიებული ზემოთ აღნიშნული წარწერაში.

ორალალისძეთა-კვიციანიშვილთა სასისხლო სიგელში მოხსენიებული მამია გურიელი არის ოდიშის ერისთავის ლიპარიტ I (1412-1470) დადიანის ძე, მისი მმართველობა გურიაში მოდის 1459-1463 წლებზე. მისი შემდგომი გურიელია მისი ძმა, ასევე ლიპარიტ I დადიანის ძე, კახაბერ II გურიელი, ის ერისთავად 1463-1483 წლებში ზის. კახაბერ II-ის შემდგომ გურიას მართავს მისი ძე გიორგი I გურიელი, მისი მოღვაწეობის წლებია 1483-1512.¹⁰³

მამია გურიელისა და კახაბერ II გურიელის ძმაა ოდიშის ერისთავი შამადავლა (1470-1475) დადიანი.

იმის გათვალისწინებით, რომ გურიაში ლიპარიტ I (1412-1470) დადიანის ძეები მმართველობენ, ხოლო ლიპარიტიანად ოდიშში შამადავლა დადიანია, უფრო დამაჯერებელი ჩანს მოსაზრება ოზბეგ დადიანის სვანთა ერისთავობის შესახებ.¹⁰⁴ ჩვენ, ოზბეგ დადიანი, ლიპარიტ I (1412-1470) და-

¹⁰¹ ექ. თაყაიშვილი. საქართველოს სიძველენი. ტ. II. ტფ. 1909, გვ. 436.

¹⁰² ქ. ჩხატარაიშვილი. გურიის სამთავრო (პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის ნარკვევები). საკანდიდატო დისერტაცია. თბ. 1959, გვ. 348.

¹⁰³ ქ. ჩხატარაიშვილი. გურიის სამთავრო, გვ. 349.

¹⁰⁴ მ. ბახტაძე. ერისთავობის ინსტიტუტი საქართველოში, გვ. 221. თ. ბერაძე. ოდი-

დაიანის ძმად მივიჩნიეთ. ნიშანდობლივია, რომ მის შემდგომ სვანთა ერისთავად მისი ძმისშვილი, ოდიშის ერისთავი შამადავლა (1470-1475) დადიანი უნდა ყოფილიყო.¹⁰⁵

კახაბერ II გურიელი იმდენად კარგი მმართველი ყოფილა, რომ მის შესახებ ზეპირსიტყვიერებაში შემორჩენილა ცნობები, როგორც საუფლისწულოს მფლობელის. ის, სავარაუდოდ, თავისი ძმის მამია გურიელის მმართველობის (1459-1463) დროს გურიაში უფლისწულის სტატუსით მოღვაწეობდა.¹⁰⁶

როგორც ვნახეთ, ოდიშის სამთავროში საუფლისწულოთა წარმოქმნის თავისებური ფორმა არსებობდა. გარკვეული პოლიტიკური კონიუქტურის პირობებში ოდიშის მმართველები, თავისი მეზობლების მიწების ხარჯზე აფართოებენ თავიანთ სამფლობელოს. ახლადშემოერთებულ ტერიტორიაზე დადიანები თავის ერთგულ პირებს, კონკრეტულ შემთხვევაში მთავრად თავის ძმას ან შვილს სვამენ. მათ ეს ტერიტორია უფლისწულობის სტატუსით გადაეცემათ, როგორც ეს მოხდა „სალიპარტიანოს“ შემთხვევაში.

პარალელურად იკვეთება ანალოგიური ტენდენცია იმ ტერიტორიების მიმართ (სვანეთი, გურია), რომელზედაც დადიანებს რაიმე პრეტენზია აქვთ აქაც ისინი თავის ძეს ან ძმას აუფლებენ.

2. წყაროთა ანალიზით გამოიკვეთა, რომ დადიანთა პირველი შტოს მმართველობის პერიოდში, გარდა სალიპარტიანოსი“ არსებობდა სხვა საუფლისწულოები:

1) ბათულია დადიანის, რომელიც შემოერთებულ ტერიტორიას (აქაც იკვეთება ოდიშის სამთავროში საუფლისწულოს წარმოქმნის თავისებურება) საჯავახოს ფლობდა. პირობითად მას „საბათულიო“ ვუწოდეთ.

2) ასევე, არსებობდა მამია IV დადიანის საუფლისწულოები, რომელიც ჭილაძეთა მამულებისაგან უნდა შექმნილიყო.

შის საერისთავო, გვ. 143.

¹⁰⁵ მ. ბახტაძე, ერისთავობის ინსტიტუტი საქართველოში, გვ. 222. 224.

¹⁰⁶ ქ. ჩხატარაიშვილი, გურიის სამთავრო, გვ. 71-72. 401.

Akaki Chikobava

THE “PRINCES’ DOMAINS” IN ODISHI PRINCIPALITY

Summary

There existed the special form of landownership in the Medieval Georgia. It was called the “Prince Domain” and it represented the signoria belonging to the successors to the royal or princely thrones. In Kartli and Kakheti kingdoms the “Prince Domain” was created from the lands of the Royal Domain and was given to the princes, who were ruling it.

“Salipartiano” was the biggest “Prince Domain” in the Odishi (Megrelia) Principality, which belonged to the Dadianis, the ruling house of Odishi Principality. “Salipartiano” has to be created at the edge of the 14-15th cc. as a result of the battles conducted by the Odishi Princes against the “Trans-Likhi Kings” (Western Georgia). Its first owner was Liparit, son of Mamia II Dadiani (1396/97-1412). The domain was named after him and literally means the “property of Liparit”.

The background of the creation of the “Prince Domain” in Odishi Principality was different from the one of the “Princes’ Domains” (“Savakhtango”, “Samukhranbatono”) in the Eastern Georgia. In Odishi Principality the “Prince Domain” is created from the lands taken from the other principalities or confiscated from the lords, and it is ruled by the brother or the uncle of the Prince. The same event is observed in the Kingdom of “Abkhazs” in the 8-9th cc. Therefore, such creation of the “Prince Domain” can be considered as characteristic only to the Western Georgia.

Basing on the analysis of the sources, there were some other “Princes’ Domains” in Odishi Principality, and they also were created on the taken/confiscated territory. The first one was a “Prince Domain” created in “Sadjavakho”, which was ruled by Bathulia, the brother of Levan I Dadiani (1533-1572). We designated it as “Sabathulio” for the further reference. The second one was created on the lands confiscated from the Chiladzes and was ruled by Mamia IV Dadiani (1582-1590), when he was prince during the principality of his brother Giorgi Dadiani.

ალექსანდრე ბოშიშვილი

თბილისის მელიქის სახელოს და ქრონოლოგიის შესახებ

XVI ს. შუახანებში თბილისის მოხელეებს შორის ჩნდება ახალი თანამდებობა, კერძოდ, ქალაქის მელიქის სახელო. ამ საკითხს ყურადღება ჯერ კიდევ პროფ. შოთა მესხიამ მიაქცია და ერთი მეტად საყურადღებო და მნიშვნელოვანი ნაშრომი – „ქალაქები და საქალაქო წყობილება ფეოდალურ საქართველოში (XVII-XVIII სს.)“ – მიუძღვნა. მან აღნიშნული საუკუნეების თბილისის სამოხელეო სტრუქტურა შეისწავლა და ნაშრომში ქალაქის სხვადასხვა მოხელეებს, მათ შორის, თბილისის მელიქს და მამასახლისს სათანადო ქვეთავი დაუთმო. ნაშრომმა საკითხის შესწავლისას დიდი დახმარება გააკვიწია. თუმცა შევეცდებით, რამდენიმე საკითხი და ქრონოლოგია დავაზუსტოთ.

მელიქი არაბული სიტყვაა და მფლობელს, გამგებელს, მეფეს ნიშნავს. ისლამამდე, მელიქი, ჰასანიდების და ლაჰამიდების არაბული სახელმწიფოს გამგებელი, სამხრეთ-აღმოსავლეთ არაბეთის ზოგიერთი ტომის და ცენტრალური არაბეთის ტომთა მეთაური იყო. ისლამის გავრცელების შემდეგ ტერმინ „მელიქს“ არაბები უპირატესად არამუსლიმი გამგებლების მიმართ (მონარქის მნიშვნელობით) იყენებდნენ. XIII-XVIII საუკუნეებში კავკასიაში ტერმინი „მელიქი“ ფეოდალთა ტიტულს და თანამდებობას აღნიშნავდა. აზერბაიჯანსა და სომხეთში მელიქები ნახევრად დამოუკიდებელი მფლობელები იყვნენ. მონღოლების დროს, მელიქებად ადგილობრივი ქრისტიანი ფეოდალები იწოდებოდნენ, შაჰ-აბას I-ის (1587-1629 წწ.) დროს კი – შაჰზე დამოკიდებული ფეოდალები.¹

მელიქის თანამდებობამ, კავკასიაში, განსაკუთრებით, გვიან შუა საუკუნეებში მოიკიდა ფეხი. ამ დროს, დღევანდელი აზერბაიჯანის და სომხეთის ტერიტორიაზე, რამდენიმე სამელიქო არსებობდა, რომელთაც შაჰის ხელი-

¹ იხ. ი. სურგულაძე. მელიქი. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია (ქსე). ტ. VI. თბ. 1983, გვ. 558.

სუფლებიდან გარკვეული უფლებები ჰქონდათ მინიჭებული. საქართველოს ტერიტორიაზეც არსებობდა მელიქების რამდენიმე სახლი. რომლებიც, ასევე ირანის ხელშეწყობით გაჩნდა, თუმცა, შემდეგ დამკვიდრდა და საკმაოდ დიდხანსაც არსებობდა.

ეს თანამდებობა საქართველოს სამოხელეო წყობაში მაჰმადიანური აღმოსავლეთის გავლენით, რომ იყო დამკვიდრებული, თვითონ თბილისის უკანასკნელ მელიქს დარჩია ბებუთაშვილსაც კარგად სცოდნია, იგი აღნიშნავს, რომ „მელიქობა აზიელთაგან არის დაწესებული“.² მაგრამ აღმოსავლეთის ქვეყნებისგან განსხვავებით, სადაც მელიქი, მეფეს ან მაღალ ხელისუფალს შეესაბამებოდა, საქართველოში და განსაკუთრებით ქალაქის სამოხელეო წყობაში, მანამდე არსებულ მოხელეს, მამასახლისს, შეესაბამებოდა. იგივე დარჩია ბებუთაშვილს თუ დავიმოწმებთ, „რაც სარგებლობა ტფილისის მელიქსა აქვს, აგრეთვე ეგოდენი სარგებლობა ტფილისის მამასახლისსა აქვს, და აგრეთვე, თანამდებობაცა. როდესაც უწინ მელიქი სხვა ყოფილა და მამასახლისი სხვა, შემოსავალი ცალ-ცალკე აულიათ“.³ ასე, რომ თბილისში, მანამდე არსებული მამასახლისის სახელოს გვერდით, რომელიც მოურავის მომდევნო ადგილზე იყო, გაჩნდა მელიქის სახელოც.⁴

მელიქი თბილისის მოხელეებს შორის პირველად 1552 წელს გამოჩნდა.

ლუარსაბ I-ის (1527-1556 წწ.) 1546 წლის სიგელში ჩამოთვლილია თბილისის ყველა მოხელე: ამირთამირა, მამასახლისი, ნაცვალი, მუშრები.⁵

² მასალები ქართლ-კახეთის სამეფოს სამოხელეო წყობის ისტორიისათვის. შესავალი წერილი, შენიშვნები და საძიებელი დაურთო შ. მესხიამ. ჟურნ.: „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“ (მსკი). ნაკვ. 1(26). თბ. 1948, გვ. 95.

³ მასალები ქართლ-კახეთის სამეფოს სამოხელეო წყობის ისტორიისათვის, გვ. 94.

⁴ განსხვავებული ვითარებაა სომხეთში (ქვემო ქართლი), სადაც ადგილობრივი მელიქი საკმაოდ დიდი უფლებებით სარგებლობს. იგი მეფის მოხელე კი არ არის, არამედ თავადია და ირანის შაჰისგან მიღებული მხარდაჭერის გამო, ქართველ თავადებთან შედარებით უპირატეს მდგომარეობაშიც კი იმყოფება. მელიქის მამული „დაუწერელია“ მას განსაკუთრებული სტატუსი და შაჰისგან ბოძებული საგადასახადო პრივილეგიები აქვს (იხ. ვ. გაბაშვილი. ქართული ფეოდალური წყობილება XVI-XVII საუკუნეებში (შედარებითი შესწავლის ცდა). თბ. 1958, გვ. 295-296; ად. ბოშიშვილი. გორულის წარწერაში მოხსენიებულ პირთა ვინაობის საკითხისთვის. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. I. თბ. 2011, გვ. 176-184); გორის მელიქიც ცოტა ხანს არსებობდა, იგი ყიზილბაშობის დროს (1735-1749 წწ.) ჩნდება და ირანელთა ბატონობის შესუსტებასთან ერთად, თანდათან ქრება. იხ. შ. მესხია ქალაქები და საქალაქო წყობილება ფეოდალურ საქართველოში (XVII-XVIII სს.). საისტორიო ძიებანი. ტ. II. თბ. 1983, გვ. 427-428.

⁵ მასალები ქართლ-კახეთის სამეფოს სამოხელეო წყობის ისტორიისათვის, გვ. 61.

მაგრამ არ ჩანს მელიქი. ხოლო იმავე მეფის 1552 წლის სიგელში კი უკვე მელიქიც ჩნდება: „ქალაქის მოურავო, მამასახლისო, მელიქო და ნაცვალო და სხვანო მოსაქმენო თქუნცა... დაუმტკიცეთ“ – ბრძანებდა ლუარსაბ მეფე.⁶ ამ საბუთებზე დაყრდნობით პროფ. შოთა მესხია მართებულად მიიჩნევს, რომ თბილისის მელიქის სახელო ლუარსაბ მეფის დროს, კერძოდ 1545–1552 წწ. შორის უნდა იყოს დაწესებული.⁷

ცვლილებები თბილისის სამოხელეო წყობაში ამით არ დამთავრებულა. მელიქი თბილისის მოხელეთა შორის მნიშვნელოვან ადგილს იჭერს და თანდათან, მოურავის შემდეგ უპირველეს მოხელედ იქცევა. თუკი ლუარსაბ I-ის (1527-1556 წწ.) დროს თბილისის მამასახლისი იერარქიულად მელიქზე მაღლა იდგა, სიმონ I-ის (1556-1569; 1578-1600 წწ.) დროისათვის, კერძოდ, XVI საუკუნის 80-იანი წლებიდან, მელიქი თბილისის მოხელეთა შორის მეორე ადგილს იკავებს, მამასახლისი კი მესამე ადგილზე ინაცვლებს.⁸

პროფ. შოთა მესხიას არასწორად მიაჩნია მოსაზრება, რომ თითქოს „XVII-XVIII სს. ტფილისის მოქალაქე სომხებს ჰქონდათ ცალკე თავისი მმართველობა და მათ საქმეებს მართავდა მელიქი“. – იგი აღნიშნავს, რომ – მელიქის ხელისუფლება არ შეიძლება გაგებული იქნეს, როგორც სომეხ მოქალაქეთა ცალკე ხელისუფლება. XVII-XVIII საუკუნეებში მელიქი, მხოლოდ სომეხ მოქალაქეთა ხელისუფალი კი არ იყო, არამედ საერთოდ, ქალაქში მეფის მიერ დანიშნული მოხელე, რომელიც XVIII საუკუნიდან მაინც თანაბრად განაგებდა ქალაქის მოსახლეობის ყველა ეროვნების წარმომადგენელთა საქმეებს.⁹

ამ აზრის გასამყარებლად ჩვენ შეიძლება ისიც დავამატოთ, რომ მელიქები ხშირად, ჯერ ქალაქის სხვა სახელოებს ფლობენ (მამასახლისი, ნაცვალი) და მერე ხდებიან მელიქები. მაგ. მელიქი გიორგი, მელიქი აშხარბეგი მელიქობამდე მამასახლისები იყვნენ, ხოლო მელიქი შერმაზან ივანგულაშვილი დაწინაურებამდე ქალაქის ნაცვალი იყო¹⁰. ჩვენამდე მოღწეულ არცერთ საბუთში არ ჩანს, რომ მეფე, თანამდებობაზე დასანიშნავად, ეროვნების მიხედვით არჩევდეს ვინმეს.

⁶ ს. კაკაბაძე. ისტორიული საბუთები. ტ. III. თბ. 1913, გვ. 41.

⁷ შ. მესხია. ქალაქები და საქალაქო წყობილება, გვ. 426.

⁸ შ. მესხია. ქალაქები და საქალაქო წყობილება, გვ. 427.

⁹ შ. მესხია. ქალაქები და საქალაქო წყობილება, გვ. 431.

¹⁰ იხ. დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის XVI-XIX სს. შეადგ. ნ. ბერძენიშვილი და მ. ბერძენიშვილი. წ. I. თბ. 1962, გვ. 19-24, 38-53, 95-96.

მელიქს და მამასახლისს მეფე ქალაქის მოსახლეობის ზედაფენებიდან, ან მსხვილი ვაჭრების წრიდან ირჩევდა და ისე ნიშნავდა თანამდებობაზე. მამასახლისების და მელიქების მოვალეობაში შედიოდა: ქალაქში ღუქნის, სახლის თუ სხვა „მამულის“ ყიდვა-გაყიდვის დამოწმება, ქალაქში რაც გაიყიდებოდა „ნასყიდობის წიგნზე“ მელიქის, მამასახლისის, მელიქ-მამასახლისის დამოწმება აუცილებელი იყო. მათ მოვალეობაში იყო აგრეთვე ვაჭრობაზე წესრიგი, ქალაქში საქონელზე ნიხრის დაწესება, „ვაჭრის მსუბუქი სამართალი“ და სხვ.

თბილისის მელიქი და შემდგომში მელიქ-მამასახლისი მთლიანად მეფეზე იყო დამოკიდებული. ამ უკანასკნელს შეეძლო იგი თანამდებობიდან გადაეყენებინა ან დაესაჯა. როგორც ჩანს, მეფე ამ უფლებას ხშირად იყენებდა კიდევ.

XVI საუკუნის მეორე ნახევარში, 1573 წელს, ერთი ნასყიდობის წიგნის მოწმეა ვინმე მელიქი მირიმანი.¹¹ შეიძლება იგივე მირიმანი იყოს სომხითის პირველი მელიქი, რომელსაც შაჰ აბასმა, XVI საუკუნის ბოლოს და XVII საუკუნის დასაწყისში, მელიქის სახელო და ქვემო ქართლში მამული მემკვიდრეობით უბოძა. სწორედ ამ მირიმანიდან უნდა მოდიოდეს სომხითის მელიქების, იგივე მირიმანიძეების საგვარეულო. მირიმანს რამდენიმე ვაჟი ჰყავდა, ერთ-ერთს, ყორხმაზს ჰყავდა ექვსი ვაჟი,¹² რომელთაგან ერთმა შტომ, მემკვიდრეობით მიიღო სომხითის მელიქობა, მეორემ ირანში მაღალ სამონღოლო თანამდებობებს მიიღწია, მესამემ ქვემო ქართლში სათავე დაუდო ახალ საგვარეულოს, ხოლო თბილისში დარჩენილმა შტომ შეინარჩუნა ქალაქის მელიქის თანამდებობა. როგორც ჩანს თბილისის მელიქი ასლანი მელიქ მირიმანის შვილიშვილია. ასლანი მელიქ-მამასახლისადაც მოიხსენიება,¹³ 1592 წელს მეფე სვიმონ I-მა ქალაქის მელიქს და მამასახლისს ასლანს შეუთვალა, რომ მეფის მოხელეებს თევზის, ხილის, პურისა და ღვინის საკათალიკოსო ბაჟზე ხელი აეღო.¹⁴

¹¹ სცსა. ფ. 1450-18/78; პირთა ანოტირებული ლექსიკონი. XI-XVII სს. ისტორიული საბუთების მიხედვით. მასალები შეკრიბეს და გამოსაცემად მოამზადეს: ა. ბაქრაძემ, ლ. რატიანმა და გ. ოთხმეზურმა. ტომი შეადგინეს დ. კლდიაშვილმა და მ. სურგულაძემ. ტ. III. თბ. 2004, გვ. 180.


¹² ყორხმაზის და მისი შვილების შესახებ ვრცლად იხ. ალ. ბოშიშვილი. გორულის წარწერაში მოხსენიებულ პირთა ვინაობის საკითხისთვის, გვ. 176-184.

¹³ პროფ. შ. მესხია ვარაუდობს, რომ სახელო 1725 წლამდე არ გაერთიანებულა, მაგრამ რამდენიმე უფრო ადრეული დოკუმენტით დასტურდება სახელოს ერთი კაცის ხელში თავმოყრა.

¹⁴ სცსა. 1448-3371; პირთა ანოტირებული ლექსიკონი. XI-XVII სს. ისტორიული საბუთების მიხედვით. გამოსაცემად მოამზადეს: დ. კლდიაშვილმა, მ. სურგულაძემ, ე. ცაგარეიშვილმა, გ. ჯანდიერმა. ტ. I. თბ. 1991, გვ. 189.

შემდეგ, XVII საუკუნის დასაწყისის წყაროებში, ქალაქის მელიქად (პირველად – 1634 წ.) ეწაა მირიმანაშვილი მოიხსენიება.¹⁵ ერთხანს ქალაქის მელიქი იყო, ასევე მისი ძმა მირიმანიც.¹⁶ ორივე ძმა, საბუთების მიხედვით მირიმანაშვილები არიან. თუ XVI ს. II ნახევარში მოხსენიებულ მელიქ მირიმანს ეწააა წინაპრად ჩავთვლით, გამოდის რომ ეწააამ სწორედ მისგან მიიღო გვარი მირიმანაშვილი და ქალაქის მელიქის სახელი. თბილისის მელიქ ეწააა და სომხითის მელიქების, ერთი საგვარეულოდ ვარაუდის გასამყარებლად, ისიც შეიძლება ჩაითვალოს, რომ ეწაააა ერთ-ერთ ძმას, მირიმანი, სავარაუდოდ, სახელოვანი ბიძის¹⁷ და დიდი პაპის სახელი ჰქვია.

სომხითის მელიქების და მელიქ ეწაააა გენეალოგია



¹⁵ შ. მესხია. ქალაქები და საქალაქო წყობილება, გვ. 429; პირთა ანოტირებული ლექსიკონი. ტ. III, გვ. 181.
¹⁶ ეწაააა ძმები: მამუკა, მირიმანი, ბაინდურა, სოლადა, ბალუმა, ამირჯანა, მირაქა. პირთა ანოტირებული ლექსიკონი. ტ. III, გვ. 181-183.
¹⁷ მირიმანის, იგივე სეფიველი ხანის შესახებ ვრცლად იხ. პიროტაკე მადეა. ქართველები სეფიანთა ირანში. ლულამთა ოთხი ოჯახის ეთნოსოციალური წარმომავლობა. თბ. 2008, გვ. 42-44.
¹⁸ გენეალოგიაში წარმოდგენილია მხოლოდ რამდენიმე ძირითადი ხაზი.

XVII საუკუნის საბუთების მიხედვით, მელიქები (ენალა – 1634-1673 წწ.; მირიმანა – 1634 წ.; ბებუთა – 1661 წ.; შერმაზან ივანგულაშვილი 1667-1672 წწ.; ავთანდილი 1678-1696 წწ.; ქაიხოსრო – 1683-1693 წწ.), ერთმანეთს ხშირად ენაცვლებიან.

XVII საუკუნეში პოლიტიკური სიტუაცია სწრაფად იცვლებოდა, შესაძლოა, ესარგებლა რომელიმე პიროვნებას და ირანის მოხელეების დახმარებით თბილისის სამოხელეო წყობაში ხელმეორედ დაწინაურებულიყო, მაგრამ ესეც საეჭვო ჩანს, რადგან მსგავსი სიტუაციაა თითქმის მთელი XVII საუკუნის განმავლობაში. როგორც ჩანს, ერთდროულად და ერთმანეთის პარალელურად ქალაქში რამდენიმე მელიქი იყო. სხვა შემთხვევაში მელიქის ასეთი ხშირი ცვლილება ვერაფრით აიხსნება. ჩვენამდე მოაღწია რამდენიმე საბუთი, რომლებშიც ერთად ორი მელიქი მოიხსენიება.

მაგ. 1672 წლის ნასყიდობის წიგნს ამოწმებენ მელიქი ენალა და მელიქი შერმაზანა.¹⁹ 1696 წ. 26 სექტემბრის ნასყიდობის წიგნსაც მელიქი ავთანდილი და მელიქი ყაზანთ ავთანდილი ამოწმებენ.²⁰

ავთანდილის, ყაზანთ ავთანდილის და ენალას პარალელურად, ბიძინა სოლადაშვილის მიერ ელიზბარ სოლადაშვილისთვის მიცემული მამულისა და გლეხების ნასყიდობის წიგნში, რომელიც 1661 წლის 16 აპრილს არის გაცემული, მოწმეებს შორის, სხვებთან ერთად, ქალაქის მელიქი და მამასახლისი ბეჭბუღაც მოიხსენიება.²¹ ბეჭბუღა, იგივე ბებუთა, მესამე მელიქია იმავე ხანებში, იგი მხოლოდ ამ ერთი საბუთით ჩანს მელიქის თანამდებობაზე.

ბებუთას მეტად საინტერესო ბიოგრაფია აქვს, როგორც წყაროებიდან ჩანს, თავდაპირველად იგი ხოჯა იყო და მისი დაწინაურება როსტომ ხანის (1633-1658 წწ.) დროს მოხდა. თბილისის გარეუბანში მამულები მიიღო.²² სხვადასხვა დროს ეკავა ზარაფის, შემდეგ ზარაფთუხუცესის, 1646-1661 წლებში მამასახლისის სახელოები.²³ მან ბებუთაშვილების ძლიერ ფეოდალურ საგვარეულოს დაუდო სათავე. მოგვიანებით ბებუთაშვილებმა, მელიქის და მამასახლისის სახელოს გაერთიანება საბოლოოდ დააკანონეს და მელიქ-

¹⁹ დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის, გვ. 29.

²⁰ დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის, გვ. 56.

²¹ პირთა ანოტირებული ლექსიკონი. ტ. I, გვ. 541; ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი (ხეც). Sd-751.

²² ბებუთას როსტომმა დღევანდელი ავლაბარიც უბოძა და ტოპონიმი „ხოჯევანქიც“ სწორედ მის სახელს უკავშირდება. ბებუთას მამულები ჰქონდა ქალაქის სხვა მხარესაც – დღევანდელი გმირთა მოედნის ტერიტორია. პირველი ხიდი, მდინარე ვერეხე, ზოოპარკის მიდამოებში, სწორედ მან გადაადო.

²³ ხეც. Hd. 14911; Sd. 751; პირთა ანოტირებული ლექსიკონი. ტ. I, გვ. 541.

მამასახლისობა თავისთვის სამემკვიდრეო თანამდებობადაც აქციეს, ამასთან, თავისი გვარის – ბებუთაშვილის – თავადის ხარისხში აყვანაც მოახერხეს.²⁴

ბებუთას შემდეგ, ქალაქის მელიქად შერმაზან ივანგულაშვილი მოიხსენიება. 1667 წელს ქართლის მეფე ვახტანგ V შაჰნავაზმა (1658-1675 წწ.), შერმაზან ივანგულაშვილს,²⁵ ქალაქის მელიქობის და სარგოს წყალობა განუახლა და „მტკიცე სიგელით“ დაუმტკიცა.²⁶ მაგრამ, მალე, 1672 წელს თბილისის მელიქი ისევ ენალაა.²⁷

1679-1686 წლების საბუთებით მელიქად ავთანდილი ჩანს.²⁸ 1689 წლის საბუთის მიხედვით, ისევ ენალაა მელიქი, ხოლო 1696 წლის საბუთით ისევ ავთანდილი. იმავე პერიოდში რამდენიმე ნასყიდობის დოკუმენტს ამოწმებს მელიქი ქაიხოსრო.²⁹ 1699 წელს ჩანს მელიქი შერმაზანიც.³⁰ იმავე წელს ჩნდება მელიქი – მანუჩარი, 1699 წლიდან 1711 წლამდე – მელიქ გიორგის დამოწმებები გვხვდება საბუთებზე.³¹

1712 წელს თბილისის მელიქად, ბებუთაშვილთა საგვარეულოს წარმომადგენელი აშხარბეგი დაინიშნა, მანამდე, იგი ქალაქის მამასახლისი იყო.³² აშხარბეგთან ერთად 1712-1713 წლებში, მელიქის თანამდებობა ვინმე ზურაბს ჰქონდა. 1715-1718 წლებში აშხარბეგი მარტო ჩანს ამ თანამდებობაზე, შემდეგ, ერთხანს 1719-1721 წლებში – ასლამაზია.

1725 წელს მელიქი ოსეფაა,³³ თუმცა იმავე წელს – აშხარბეგ ბებუთაშვილი იღებს ამ სახელოს და იგი ერთადერთი მელიქია ქალაქში, ამასთან, მალევე, საბოლოოდ აერთიანებს მელიქის და მამასახლისის თანამდებობას.³⁴ აშხარბეგი 1735 წელს „ურუმებმა მოჰკლეს“.³⁵ აშხარბეგის შემდეგ მელიქ-

²⁴ ბებუთაშვილებს თავადობა ერეკლე II-მ 1783 წელს უბოძა. იხ. იოანე ბაგრატიონი. შემოკლებით აღწერა საქართველოს შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა. რედაქტორი და გამომცემელი ზ. კაცელაშვილი. თბ. 1997, გვ. 38.

²⁵ ჰყავს მამა ყარახანი და შვილები ფარსადანი და ნაზარი: პირთა ანოტირებული ლექსიკონი. XI-XVII სს. ისტორიული საბუთების მიხედვით. გამოსაცემად მოამზადეს: დ. კლიაშვილმა, მ. სურგულაძემ. ტ. II. თბ. 1993, გვ. 392.

²⁶ პირთა ანოტირებული ლექსიკონი. ტ. II, გვ. 392.

²⁷ დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის, გვ.

²⁸ პირთა ანოტირებული ლექსიკონი. ტ. I, გვ. 81.

²⁹ დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის, გვ. 36, 39, 46-48, 50.

³⁰ დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის, გვ. 58.

³¹ ჰყავს შვილი ქაიხოსრო, ძმა ბეჟანი: პირთა ანოტირებული ლექსიკონი. ტ. I, გვ. 657.

³² დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის, გვ. 95, 96.

³³ შ. მესხია. ქალაქები და საქალაქო წყობილება, გვ. 429.

³⁴ შ. მესხია. ქალაქები და საქალაქო წყობილება, გვ. 429.

³⁵ საქართველოს ისტორიის ქრონიკები XVII-XIX სს. ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები, შენიშვნები და განმარტებები დაურთო ა. იოსელიანმა. თბ. 1980.

მამასახლისი მისი ძე, ალა გახდა, რომელსაც პაპუნა ორბელიანის სიტყვებით, „შესწამეს ღალატი“. ალა ერეკლე II-მ (1745-1798 წწ.) შეიპყრო და დააპატიმრა.³⁶ თანამდებობა ორად გაიყო. ანტონი მელიქად, ხოლო საჰაკი მამასახლისად დაინიშნა. ანტონის შემდეგ, 1751 წლიდან საჰაკი მელიქი ხდება.

ალა ბებუთაშვილმა 1760 წელს ერეკლე მეფესთან შერიგება მოახერხა და ძველი მდგომარეობაც დაიბრუნა. მისი გარდაცვლების შემდეგ (1770 წ.), მელიქ-მამასახლისი ავეტიქ აღას ძეა, ხოლო 1795 წლიდან რუსეთის მიერ ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებამდე (1801 წ.) – მელიქ-მამასახლისის თანამდებობა დარჩნა ავეტიქას ძე ბებუთაშვილს უკავია,³⁷ რომელიც თავისი გაზრდილი მამულების გამო დიდ მემამულედ იყო გადაქცეული და მისი სამფლობელოც უკვე სათავადოს წააგავდა.

ამრიგად, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ თბილისის მელიქები, ამ სახელოს არსებობის მანძილზე, მთლიანად მეფის ბრძანებების და სურვილების შემსრულებლები იყვნენ. სახელოს, ხან მემკვიდრეობით და ხანაც დამსახურების მიხედვით იღებდნენ ქალაქის მოსახლეობის ზედაფენების წარმომადგენლები, განურჩევლად მათი ეროვნული წარმომავლობისა. რათქმა უნდა არანაირად არ შეიძლება მამასახლისის ქართულად, ხოლო მელიქის სომხურ თანამდებობებად გამიჯვნა, რადგან, როგორც ერთ ისე მეორე თანამდებობას უმეტესად დამსახურების მიხედვით ორივე ეროვნების წარმომადგენლები იკავებდნენ.

ნაშრომის ბოლოს წარმოდგენილია ქართულ საისტორიო საბუთებში დაცული მონაცემების მიხედვით დადგენილი თბილისის მელიქების ქრონოლოგია.

³⁶ პაპუნა ორბელიანი. ამბავნი ქართლისანი. ტექსტი დაადგინა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ე. ცაგარეიშვილმა. თბ. 1981.

³⁷ შ. მესხია. ქალაქები და საქალაქო წყობილება, გვ. 429-430.

თბილისის მელიქები და მელიქ-მამასახლისები:

მირიმანი* – მელიქი - 1573**

ასლანი [მირიმანაშვილი] – ქალაქის მელიქი და მამასახლისი -1592

ენალა მირიმანაშვილი – ქალაქის მელიქი 1634–1673 წწ.

მირიმანა მირიმანაშვილი – მელიქი 1634 წ.

ბებუთა – ქალაქის მელიქი და მამასახლისი 1661 წ.

შერმაზან ივანგულაშვილი – მელიქი 1667–1672 წწ.

ავთანდილი – მელიქი 1679–1696 წწ.

ქაიხოსრო – მელიქი 1683-1693 წწ.

მანუჩარი – მელიქი 1699 წ.

გიორგი – მელიქი 1699-1711 წწ.

აშხარბეგ ბებუთაშვილი – მელიქი 1712-1725 წწ.; მელიქ-მამასახლისი 1725-1735 წწ.

ზურაბი – მელიქი 1712-1713 წწ.

ასლამაზი – მელიქი 1719-1721 წწ.

ოსეფა – მელიქი 1725 წ.

ალა აშხარბეგის ძე ბებუთაშვილი – მელიქ-მამასახლისი 1735-1747 წწ.

მელიქ-მამასახლისი და ქალაქის ნაცვალი 1760-1768 წწ.

ანტონი – მელიქი 1747-1751 წწ.

საჰაკა – მელიქი 1751-1760 წწ.

ავეტიქა აღას ძე ბებუთაშვილი – მელიქ-მამასახლისი 1770-1795 წწ.

დარჩია ავეტიქას ძე ბებუთაშვილი – მელიქ-მამასახლისი 1795-1801 წწ.

* მირიმანზე პირდაპირი მინიშნება არ გვაქვს, რომ ქალაქის მელიქი იყო, მხოლოდ შეიძლება, რომ ვივარაუდოთ, რადგან მისი შთამომავლები – ასლანი, ენალა და მირიმანი, სწორედ ქალაქის მელიქები არიან.

** მოცემულია მხოლოდ მელიქებად მოხსენიების თარიღები.

Alexander Boshishvili

ABOUT CHRONOLOGY AND OFFICE OF TBILISI MELIK

Summary

The late in the middle ages office of Melik was established in Caucasus. Several Melikdoms emerged in contemporary territories of Armenia and Azerbaijan. In Georgia at the region of Kvemo Kartli, also in Tbilisi and Gori several Melikdoms existed. Everywhere, in Iranian Empire, Shah has granted some privileges to Meliks.

The office of Melik was created concerning to Muslim – Eastern influence. The last Melik of Tbilisi – Melik Darchia Bebutasvili outlined this peculiar moment in his writings: “Office of Melik is established by Asians”. In the Eastern countries title of Melik was used to denote the king or the highest sovereign of the country. In Georgia, especially in the urban administration, Melik was equal to Georgian – Mamasakhlisi. Both of those offices – Mamasakhlisi and Melik were appointed by king from the high class citizens or rich merchants of the city. Duties of Mamasakhlisi and Melik were as following: buying and selling of public houses, buildings and other properties of the city, as well as their official indication. Everything that was commerced should have been stamped by Melik or Mamasakhlisi (later those offices were combined into one position of Melik-Mamasakhlisi) Their duties were also to establish order in commercial deals and to regulate the prices on goods, solving the problems concerning the business deals and many more.

Because of similarities in the urban administration system, offices of Melik and Mamasakhlisi were occupied by one person and from 1725 the single, unified office of Melik-Mamasakhlisi was created. Melik of Tbilisi and later Melik-Mamasakhlisi were totally under the dependence of king. The latter had authority to dismiss or to punish the officeholder of Melik-Mamasakhlisi. As far as we see from the sources king had used this right very often.

Below we have presented the chronology of Meliks of Tbilisi according to historical datum preserved in Georgian charters.

List of Meliks and Melik-Mamasakhlisi of Tbilisi

Miriman – Melik (1573)

Aslan [Mirimanashvili] – Melik and Mamasakhlisi (1592)

Enala Mirimanashvili – Melik (1634-1666)

Miriman Mirimanashvili – Melik (1634)

Bebuta – Melik-Mamasakhlisi (1661)

Shermazan Ivangulashvili – Melik (1667-1672)

Avtandil – Melik (1679-1696)

Qaikhosro – Melik (1683-1693)

Manuchar – Melik (1699)

Giorgi – Melik (1699-1711)

Ashkharbeg Bebutashvili – Melik (1712-1725); Melik-Mamasakhlisi (1725-1735)

Zurab – Melik (1712-1713)

Aslamaz – Melik (1719-1721)

Osepha – Melik (1725)

Agha, son of Ashkharbeg Bebutashvili – Melik-Mamasakhlisi (1735-1747); Melik-Mamasakhlisi and Natsvali (1760-1768)

Anton – Melik (1747-1751)

Sahak – Melik (1751-1760)

Avetik, son of Agha Bebutashvili – Melik-Mamasakhlisi (1770-1795)

Darchia, son of Avetik Bebutashvili – Melik-Mamasakhlisi (1795-1801)

თამაზ გოგოლაძე

**ავთანდილ ბარათაშვილ-აბაშიშვილის ფეოდალური ოჯახი და
1648-1653 წწ. შეწირულების აქტი აბელ ბარათაშვილის და
მისი ძმებისა პირღებულის ღმრთისმშობელისადმი**

XVII საუკუნის ქართლის სამეფოს ფეოდალური სახლებიდან ჩვენ დიდ ინტერესს იწვევს აბაშიშვილთა ფეოდალური სახლი, კერძოდ, ამ საგვარეულოს ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის, ამავე XVII საუკუნის I ნახევრის პოლიტიკური ფიგურის – ქართლის მეფის, სიმონ II-ის (1619-1631 წწ.) თანამეცხედრის, ჯაჰანბანუ დედოფლის სუფრაჯ,¹ ავთანდილ აბაშიშვილის ფეოდალური ოჯახი. ამ ფეოდალური სახლის შესახებ საინტერესო ცნობებს ამავე პერიოდის დიმილომატიკური საბუთებში ვხვდებით. აღნიშნული ისტორიული საბუთების განხილვა საშუალებას გვაძლევს, შეძლებისდაგვარად წარმოვადგინოთ ქართლის სამეფო კარზე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სახელოს მქონე, სუფრაჯ ავთანდილ ბარათაშვილ-აბაშიშვილის ფეოდალური სახლის ცხოვრება და მოღვაწეობა. აქვე დავძენთ, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში სპეციალური გამოკვლევა ავთანდილ ბარათაშვილ-აბაშიშვილის ფეოდალურ ოჯახზე არ მოგვეპოვება.

დღეისათვის სულ 16 დიპლომატიკური ძეგლი გვაქვს ხელთ ავთანდილ აბაშიშვილის ფეოდალური სახლის შესახებ, რომელთაც ქრონოლოგიური თანმიმდევრობით წარმოვიდგენთ. ეს ისტორიული საბუთებია: ა) დედოფალ

¹ სუფრაჯი – საფარეშოს მოხელე გვიანფეოდალურ ხანის საქართველოში. სუფრაჯის ძირითადი მოვალეობა მეფის პირადი სამსახური იყო. ვახტანგ VI-ის დასტურდამალის მიხედვით სუფრაჯს მეფის სუფრის გაშლა ევალებოდა. სუფრაჯი საპატიო, მეფის ხელშინაური მოხელე და მასთან დაახლოებული პირი იყო. იგი მნიშვნელოვან როლს თამაშობდა სამეფოს მმართველობაში. სუფრაჯის სახელო მსხვილ ფეოდალებს ეჭირათ (სუფრაჯი იყო მაგ. შადიმან ბარათაშვილი). ზოგიერთი მოვალეობის თავის „კაცების“ საშუალებით ასრულებდა. სუფრაჯი დედოფალსაც ჰყავდა. თბილისის ერთ-ერთ უბანს სუფრაჯიანთა უბანი რქმევია (იხ. ი. სურგულაძე, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის. ტ. I. თბ. 1952; ქსდ. ტ. IX. თბ. 1985, გვ. 615.

ჯაჰანბანუს წყალობის წიგნი, მიცემული ავთანდილ ბარათაშვილ-აბაშიშვილისადმი (1627 წ.) (ქართულ-სპარსული დოკუმენტი); ბ) დედოფალ ჯაჰანბანუს წყალობის განახლების წიგნი, ბოძებული სუფრაჯ ავთანდილ ბარათაშვილ-აბაშიშვილისადმი (1628 წ.); გ) დედოფალ ჯაჰანბანუს წყალობის განახლების წიგნი, მიცემული სუფრაჯ ავთანდილ ბარათაშვილ-აბაშიშვილისადმი (1628 წ.); დ) დავის გარიგების წიგნი ქაიხოსრო ბარათაშვილის მიერ სამ საგინაშვილისათვის მიცემული ხოდაბუნების დათმობისა (1628 წ.); ე) დედოფალ ჯაჰანბანუს წყალობის სიგელი, სუფრაჯ ავთანდილ ბარათაშვილ-აბაშიშვილის მანგლისის მოურავად დანიშვნის შესახებ (1629 წ.); ვ) დედოფალ ჯაჰანბანუს წყალობის წიგნი, მიცემული სუფრაჯ ავთანდილ ბარათაშვილ-აბაშიშვილისადმი (1630 წ.); ზ) წიგნი ავთანდილ ბარათაშვილ-აბაშიშვილსა და მგელა ვალააშვილს შორის უძრავი ქონების გაცვლის შესახებ (1637 წ.); თ) როსტომ მეფის წყალობის წიგნი, ბოძებული მის დისშვილ ხვარაშან ბატონიშვილისადმი (1641 წ.); ი) როსტომ მეფის წყალობის წიგნი, მიცემული ხვარაშან ბატონიშვილისადმი (1641 წ.); კ) ნასყიდობის წიგნი, სუფრაჯ ავთანდილ ბარათაშვილ-აბაშიშვილისა მიერ ევანეზ ზეგულაშვილისაგან მისივე ზვრის პირას მდებარე მიწის ავეტისას მიწამდე ყიდვის შესახებ (1644 წ.); ლ) ნასყიდობის წიგნი, მიცემული მამასახლის სამებისას მიერ ალიხანა [იაგულაშვილისათვის] (1646 წ.); მ) განჩინება ტოტუაშვილებსა და აჯაბუნაშვილებს შორის სახლის ადგილის გამო (1648 წ.); ნ) ქართლის მეფის როსტომის წყალობის განახლების წიგნი, გაცემული აბელ ბარათაშვილისადმი (1653 წ.). ო) დავის წიგნი, ავთანდილ ბარათაშვილ-აბაშიშვილისა და იოთამიშვილებს შორის აკაურთულ მიწებზე (1662 წ.); პ) დავის წიგნი, ბარათაშვილ-აბაშიშვილებსა და იოთამიშვილებს შორის აკაურთულ მიწებზე (1662 წ.); ჟ) მამულის წყალობის წიგნი, მიცემული ვახტანგ V-ის (1658-1675 წწ.) მიერ ავთანდილ და ქაიხოსრო ბარათაშვილებისათვის (1664 წ.).

გთავაზობთ ზემოთნათვლილ ისტორიულ დოკუმენტებში დაცულ ცნობებს სუფრაჯ ავთანდილ ბარათაშვილ-აბაშიშვილის ფეოდალური სახლის შესახებ ქრონოლოგიური პრინციპით.

პირველად ავთანდილ ბარათაშვილ-აბაშიშვილი 1627 წლის ჯაჰანბანუ დედოფლის მიერ გაცემულ წყალობის სიგელში იხსენიება, რომლის მიხედვით ჯაჰანბანუ დედოფალმა მას ნასოფლარი დიდი ურცევანი უწყალობა. 1627 წლის საბუთში კვითხულობთ:

„[ქ.] ნებითა და შეწევნითა ღ(მრ)თისათა.

ჯ(ა)კ(ა)ნბანუ(მ) ესე წყალობის წიგნი და ნიშანი [შეგიწყალებთ და გი-
ბობქეთ] ჩვენსა ერდგულსა და თავდადებით [ნამსახურსა ყმასა], ბარათაშ-
ვილს ავთანდილს და შენს ძმასა მერაბსა და თქვენს ძმისწულსა აბაშსა და
შვილთა თქვენთა და მომავალთა სახლისა თქვენისათა ყოველთავე.

მას ჟამს, როდის მოგვიდგეთ<ა> კარსა და თქვენისავ სამკვიდროს
წყალობას გვიაჯენით, ჩვენ ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენ და მოკითხუ-
ლი ვქენით და პირველადც თქვენი<ვ> მამა-პაპათა ყოფილ იყო, გიბობქეთ სა-
ბარათაშვილი ჩიგა ნასოფლარი – დიდი ურცევანი, მისით მართლის სამართ-
ლიანის სამძღურითა და საქმითა, რასაც მამულს მქონებელი ყოფილიყოს
ყოვლითურ თქუენთვის სამკვიდროდ და სამამულედ გვიბობებია..“² (პუნქტუა-
ცია და ქარაგმის გახსნა ჩვენია – თ. გ.).

როგორც ვხედავთ, აღნიშნულ სიგელში ავთანდილ აბაშიშვილი თავის
ძმა მერაბთან და ძმისწულ აბაშთან ერთად იხსენიება. გარდა ამისა, აღნიშნუ-
ლი საბუთი შემდეგი დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა: ა) ის, რომ
1627 წლისათვის ავთანდილ ბარათაშვილ-აბაშიშვილი თავის ძმა მერაბთან
და ძმისწულ აბაშთან ერთად ნასოფლარ დიდ ურცევანს ფლობს, ხოლო,
მეორე მხრივ, ნათლად ჩანს, რომ ოჯახი გაუყრელია, წინააღმდეგ შემთხვევა-
ში ძმები ავთანდილ და მერაბ ბარათაშვილ-აბაშიშვილები, ჯაჰანბანუ დედოფ-
ლისაგან ერთად არ მიიღებდნენ წყალობას. მესამე ის, რომ აღნიშნული ნა-
სოფლარი დიდი ურცევანი ავთანდილ და მერაბ ბარათაშვილ-აბაშიშვილების
წინაპრების საკუთრებას წარმოადგენდა.

1628 წლის წყალობის წიგნში, რომელიც ასევე ჯაჰანბანუ დედოფლის
მიერ არის გაცემული ავთანდილ ბარათაშვილ-აბაშიშვილისადმი, რომელიც
შემდეგი შინაარსისაა:

„[ქ.] ნებითა და შეწევნითა ღ(მრ)თისათა.

ჩვენ, დედოფალმა, პატრონმა ჯაჰანბანუ, ესე წყალობის წიგნი და ნი-
შანი შეგიწყალებთ და გიბობქეთ თქვენ, ჩვენს ერდგულსა და თავდადებით ნამ-
სახურსა ყმას, ბარათაშვილ<ი>სა სუფრანს ავთანდილს და შენსა ძმას მერა-
ბას და თქვენს ძმისწულს აბაშას და თქვენთა შვილთა და მომავალთა სახ-

² საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა). ფ. 1450. საბ. 15/30; აღ-
ნიშნული საბუთის, როგორც ქართული, ისე სპარსული ვარიანტი გამოქვეყნებუ-
ლი აქვს ვლადიმერ ფუთურიძეს. იხ. ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები.
ტექსტი დაადგინა, თარგმნა და შენიშვნები დაურთო ვლ. ფუთურიძემ. თბ. 1955,
გვ. 73-74.

ლისათა თქვენისათა ყოველთავე.

მას ჟამს, როდის მოგვიდევით კარსა და კიკეთის წყალობასა გვეაჯენით და ჩვენ ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი და პირველადც თქვენი ნაქონი ყოფილ იყო და აწეც, წიგნითა ამით გაგიახლეთ და გიბოძეთ კიკეთი მისით მართლის სამართლიანის სამძღვრითა და საქა^ამითა, მითთა და ბართთა, ველითა და ვენახით, სახნავითა და სათიბითა, შესავლითა და გამოსავლითა, ყოვლითურ თქვენთვინ გვიბოძებიათ ყოვლის კაცის უცილებლად, გქონდეს და გიბედნიეროს ღ(მერ)თმ(ა)ნ“ (პუნქტუაცია და ქარაგმის გახსნა ჩვენია – თ. გ.).³

როგორც ჩანს, ავთანდილი აქ უკვე სუფრაჯის სახელოთი მოიხსენიება. 1628 წლის წყალობის სიგელში სუფრაჯი ავთანდილ ბარათაშვილ-აბაშიშვილი კვლავ თავის ძმა მერაბთან და ძმისწულ აბაშთან ერთად არის დასახელებული, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ოჯახი კვლავ გაუყრელია. ამ წყალობის სიგელით ჯაჰანბანუ დედოფალი მათ უახლებს კიკეთის წყალობას, რომელიც თავდაპირველად „მათი ნაქონი ყოფილ იყო“.

იმავე 1628 წელს ჯაჰანბანუ დედოფალი ავთანდილ ბარათაშვილ-აბაშიშვილს კიდევ ერთ წყალობის სიგელს აძლევს, რომლის მიხედვით მას გოლთეთას მამული დუეზითურთ უწყალობა:

„[ქ.] ნებითა და შეწევნითა ღ(მრ)თისათა.

ჩვენ, დედოფალმა, პატრონმა ჯაჰანბანუ[მ] ესე წყალობის წიგნი და ნიშანი შეგიწყალებთ და გიბოძეთ თქვენ, ჩვენსა ერდგულსა თავდადებით ნამსახურს ყმასა, აბაშის შვილიშვილს – ავთანდილას და ძმას შენსა – მერაბსა და ძმისწულსა შენსა – აბაშსა და შვილთ და მომავალთა და სახლსა თქვენისათა ყოველთავე.

მას ჟამსა ოდეს მოგვიდევით კარსა, თქვენსავ სამკვიდრო მამულს გოლთეთას გვიაჯენით, მისის დუეზით მოკითხული ვქენით და პირველადც თქვენის მამა პაპათა ყოფილ იყო, ჩვენცა წიგნ[ით] ამითა გაგიახლეთ და გიბოძეთ“⁴ (პუნქტუაცია და ქარაგმის გახსნა ჩვენია – თ.გ.).

ამ წყალობის საბუთზე დაყრდნობით ვგებულობთ, რომ ა) ავთანდილ ბარათაშვილ-აბაშიშვილის პაპას სახელად აბაში რქმევია. ბ) ავთანდილი ისევ თავის ძმა მერაბთან და ძმისწულ აბაშთან ერთად იხსენიება. გ) აღნიშნული მამულები გოლთეთა და დუეზი ავთანდილ აბაშიშვილის წინაპრების საკუთ-

³ სცსა. ფ. 1450. დავთ. 15. №10.

⁴ სცსა. ფ. 1450. დავთ. 15. №51.

რებას წარმოადგენდა, რომელსაც ჯაკანბანუ დედოფალი თავის მხრივ უახ-
ლებს ერთგულ ფეოდალს. დ) ოჯახი კვლავ გაუყრელია.

ჩნდება ლოგიკური კითხვა – რომელი საუკუნის მოღვაწედ უნდა
მივიჩნიოთ ამ საბუთში დასახელებული ავთანდილ აბაშიშვილის პაპა –
აბაში?

თუ ამოვალთ იქიდან, რომ სუფრაჯი ავთანდილი XVIII ს-ის I ნახევ-
რის მოღვაწეა, გამოდის, რომ მისი მამა, რომლის სახელიც სამწუხაროდ,
არც ქართულ ნარატიულმა წყაროებმა და არც ქართულ დიპლომატიკურმა
ძეგლებმა არ შემოგვინახა, XVI ს-ის II ნახევრის მოღვაწე, მოღვაწე უნდა
ყოფილიყო, აქედან გამომდინარე, თუ ვიფიქრებთ, რომ ავთანდილის პაპა –
აბაში XVI საუკუნის I ნახევარში მოღვაწეობდა.

მას შემდეგ, რაც სავარაუდოდ დავადგინეთ ავთანდილის პაპის აბაშის
მოღვაწეობის ზოგადი ქრონოლოგიური მონაკვეთი, საინტერესოა თუ, როდის
ჩნდება პირველად ქართულ დიპლომატიკურ ძეგლებში სახელი – აბაში?

ამის შემდეგ, აბაშ და დავით ბარათაშვილები 1529 წელს ასევე მცხე-
თის საკათალიკოსო ტაძარს, ამჯერად სოფელ ყორანთის ეკლესიას მისი ნა-
სოფლართურთ სწირავენ.⁵

ამრიგად, ზემოთმოყვანილი 1506 და 1529 წლების საბუთები, ნათლად
აჩვენებს, რომ აბაშ ბარათაშვილი ტავის ძმისწულ დავითთან ერთად XVI ს-
ის I ნახევრის ქართლის სამეფოს ერთ-ერთ აქტიურ პოლიტიკურ მოღვაწეს
წარმოადგენდა.

მართალია, ქართულ დიპლომატიკურ ძეგლებში, მართლაც, მოიძებნა
სახელი აბაში, თუმცა მიუხედავად ამისა გასარკვევი რჩება, ერთი ფრიად
მნიშვნელოვანი საკითხი – თუ რა მიმართებაში არის ჩვენს მიერ ზემოთდასა-
ხელებული აბაშ ბარათაშვილი 1628 წლის საბუთში მოხსენიებულ ავთანდილ
აბაშიშვილის პაპა – აბაშთამნ.

არიან თუ არა იდენტური პიროვნებები? ამ კითხვაზე პასუხის გაცემის
მიზნით, მეტად მნიშვნელოვანია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში Qd კოლექ-
ციაში 1604 ნომრით განთავსებული დოკუმენტი. აღნიშნული საბუთი ქართ-
ლის კათალიკოსის ნიკოლოზ VI-ის (1584--1589 წწ.) მიერ მანგლისის ეკ-
ლესიისათვის მიცემული წყალობის წიგნს წარმოადგენს და 1584 წლით
არის დათარიღებული. ეს სიგელიც ფრაგმენტის სახით არის ჩვენამდე მოღ-

⁵ სცსა. ფ. 1449. საბ. 1539.

წეული და იწყება პირდაპირ სოფლების ჩამონათვალთ. ქართლის კათალიკოსის თქმით „...უბანი, ქცია, თეთრანი, მრატათელი, შოშილეთი, საჭ...ე(?), იფნარი, ახალშენი, ვარდისუბანი, დია და ახალდია ქციას გაღმა აბაშისა და დავითის კერძი მამული შენი და ოჯერი ჴელშეუვალად [გ]ქონდეს და გიბედნიეროს ღმერთამან თქვენ, მანგლისის ღმრთისმშობელსა და თქვენსა საჭეთმპყრობელს, პატრონს მანგლელსა“.⁶

აღნიშნული საბუთიდან ვგებულობთ, რომ აბაშ და დავით ბარათაშვილების კუთვნილი სოფლები ყოფილა: ქცია, თეთრანი, მრატათელი, შოშილეთი, საჭ...ე(?), იფნარი, ახალშენი, ვარდისუბანი, დია და ქციის გაღმა მდებარე ახალდია.

გარდა ამისა, საინტერესოა კიდევ ერთი, 1699 წლის საბუთი გაცემული ქართლის კათალიკოს იოანე VII დიასამიძის (1688-1700 წწ.), მიერ მანგლელ გაბრიელ ჯავახიშვილისათვის, სადაც ქართლის კათალიკოსი მანგლელს სხვა მამულებთან ერთად აბაშისა და დავითის ნაქონ მამულებს უბოძებს.⁷

როგორც ამ ორი დოკუმენტიდან ნათლად ცანს, მანგლელის სამწყსოში შემავალთ სოფლები ადრე, უფრო კონკრეტულად, XVI ს-ის I ნახევარში აბაშ და დავით ბარათაშვილების მფლობელობაში ყოფილა. ჩვენს მიერ ზემოთ დასმულ კითხვას ამომწურავ პასუხს სცემს 1630 წელს ჯაჰანბანუ დედოფლის მიერ სუფრაჯ ავთანდილ ბარათაშვილისადმი გაცემული მანგლისის წყალობის სიგელი, რომელიც შემდეგი შინაარსისაა:

„[ქ.] ნებითა და შეწევნითა ღ(მრ)თისათა.

ჩუენ, დედოფალმა პატრ(ო)<მა>ნმა ჯაჰნ აბანუ[მ] ესე წყალობის წიგნი და ნიშანი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქვენ, ჩვენს ერდგულსა და თავადებით ნამსახურსა ყმას, ბარათასშვილს სუფრაჩს ავთანდილს და ძმას თქვენს მერაბს და შვილსა თქვენსა ბადურას და ძმის წულსა თქვენსა აბაშსა და შვილთა და მომავალსა სახლისა თქვენისათა ყოველთავე.

მას ჟამს, როდეს მოგვიდევით კარსა და მა(ნ)გლის[ის] გვიაჯენით, ჩვენ ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი და მოკითხული ვქენით და პირველადც თქვენის მამა პაპათა სამკვიდრო და სასაფლაოვო ყოფილ იყო და ახლაც წიგნითა ამითა გავიახლეთ და გიბოძეთ თქვენივ სამკვიდრო მა(ნ)გლისი“.⁸

⁶ ხეც. Qd-1604.

⁷ ხეც. Ad-647.

⁸ სცსა. ფ. 1450. დავთ. 15. №29.

(პუნქტუაცია და ქარაგმის გახსნა ჩვენია – თ.გ.).

როგორც ვხედავთ, 1630 წლის დოკუმენტში მეტად საინტერესო ცნობებს ვხვდებით: ა) ავთანდილი კვლავ სუფრაჯის საპატიო სახელოს ფლობს. ბ) იგი იხსენიება კვლავ თავის ძმა მერაბთან და ძმისწულ აბაშთან ერთად. გ) აღნიშნულ საბუთში ავთანდილი იხსენიება აგრეთვე თავის უფროს ვაჟ ბადურასთან ერთად. დ) აღსაღნიშნავია, რომ ამ სიგელში ჯერ ავთანდილის ვაჟი – ბადურაა მოხსენიებული, ხოლო შემდეგ მერაბის ვაჟი – აბაში. ეს გამოწვეულია იმით, რომ ავთანდილი ბარათაშვილ-აბაშიშვილი ოჯახის უფროსია და აქედან გამომდინარეა, რომ მის გვერდით ჯერ თავის ვაჟი ბადურაა დასახელებული, ხოლო შემდეგ კი მისი ძმის, მერაბის ვაჟი – აბაში. ეს მანიშნებელია იმისა, თუ როგორ მკაცრად იყო განსაზღვრული უფროს-უმცროსობის პრინციპი იმდროინდელ ქართულ ფეოდალურ ოჯახში. ე) ავთანდილი კვლავ გაუყოფელია ძმასთან. ვ) ამ დოკუმენტში ჯაჰანბანუ დედოფალი ერთ მეტად საყურადღებო ფაქტზე ამახვილებს ყურადღებას და აღნიშნავს, რომ მანგლისი ავთანდილ ბარათაშვილ-აბაშიშვილის წინაპართა „სამკვიდრო და სასაფლავო იყო“. ამრიგად, სუფრაჯ ავთანდილის მამა-პაპათა სამკვიდრო და საძვალე ადგილს მანგლისი წარმოადგენდა.

ერთი მხრივ ვითვალისწინებთ, 1584 წლის ქართლის კათალიკოზის, მანგლისის ეკლესიისადმი გაცემულ წყალობის წიგნსა და 1699 წლის ქართლის კათალიკოს ევდემონ დიასამიძის მიერ მანგლელ გაბრიელ ჯავახიშვილისადმი შეწირულების სიგელს, მეორე მხრივ მხედველობაში ვირებთ 1630 წლის ჯაჰანბანუ დედოფლის წყალობის წიგნში აღნიშნულ, მეტად საყურადღებო პასაჟს, რომლის მიხედვითაც, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, მანგლისის საყდარი სუფრაჯ ავთანდილის წინაპართა საძვალეს წარმოადგენდა, არ შეეცდებით თუ ვიტყვით, რომ სწორედ 1506-1529 წლებში მოხსენიებული აბაშ ბარათაშვილი გახლდათ სუფრაჯ ავთანდილის პაპა. აქვე შევნიშნავთ იმასაც, რომ არ არის გამორიცხული 1506-1529 წლებში ქართულ დიპლომატიკურ ძეგლებში ნახსენები აბაშ ბარათაშვილი, ბარათაშვილთა ფეოდალური საგვარეულოს ერთ-ერთი შტოს – აბაშიშვილთა ფეოდალური ოჯახის დამფუძნებელი იყოს, რაზეც შესაძლოა მეტყველებს ერთი საუკუნის შემდეგ, ქართლის დედოფლის ჯაჰანბანუს მიერ 1630 წლის გაცემულ საბუთში საგანგებო ხაზგასმა იმ ფაქტზე, რომ აბაშის შვილიშვილი იყო სუფრაჯი ავთანდილ აბაშიშვილი, იქიდან გამომდინარე, რომ ჩვენი ნაშრომის ძირითადი მიზანია ავთანდილ ბარათაშვილ-აბაშიშვილის ფეოდალური ოჯახის ცხოვრება მოღვაწეო-

ბის დეტალურად განხილვა, ამის გამო აქ ამ მიმართულებით მსჯელობას აღარ გავაგრძელებთ. თუმცა, აქ აქვე დავსძენთ, რომ ამ საკითხს მოვუბრუნდებით მაშინ, როდესაც საუბარი გვექნება აბაშიშვილთა ფეოდალური სახლის ჩამოყალიბებაზე.⁹

1628 წელს ავთანდილ ბარათაშვილ-აბაშიშვილი ახლა უკვე მოწმის სტატუსით გვევლინება ქაიხოსრო ბარათაშვილის მიერ საამ საგინაშვილისათვის მიცემული ხოდაბუნების დათმობის სიგელში. ჩვენთვის სავსებით გასაგებია, თუ რატომ არის ამ საბუთში მოხსენიებული ავთანდილ ბარათაშვილ-აბაშიშვილი მოწმის სახით, რადგან, როგორც ამ დოკუმენტიდან ირკვევა, საამ საგინაშვილი ქაიხოსრო ბარათაშვილს „გოლთეთს წყაროსთან“ ძღებარე ხოდაბუნს ედავებოდა. გოლთეთას მამულს დუეზითურთ კი, როგორც ჩვენთვის არის ცნობილი, ამ დროისათვის ავთანდილ ბარათაშვილ-აბაშიშვილი ფლობს თავის ძმა მერაბთან და ძმისწულ აბაშთან ერთად. სწორედ ამის გამო არის აღნიშნულ სიგელში ავთანდილ ბარათაშვილ-აბაშიშვილი მოწმედ მოხსენიებული.

1629 წელს ჯაჰანბანუ დედოფალი სუფრაჯ ავთანდილ ბარათაშვილ-აბაშიშვილს სამოურაოდ მანგლისს აძლევს:

„ქ. ჯაჰანბანუ დედოფალი გ(ი)ბ(რძანე)ბთ, მა(ნ)გლისის მამასახლისნო და ერთობილნო მა(ნ)გლელნო, მერმე თქვენი თავი სამოურაოდ სუფრაჩის ავ<ა>თანდილისათუნ მიმიცემია და მიუღევით“.¹⁰ (პუნქტუაცია და ქარაგმის გახსნა ჩვენია – თ.გ.).

1637 წლის გაცვლის წიგნში ავთანდილ ბარათაშვილ-აბაშიშვილი ისევ ბარათაშვილად არის მოხსენიებული. ამ წყალობის წიგნში ვკითხულობთ:

„ქ. ნებთა და შეწევნითა დ(მრ)თისათა, მამისა, ძისა და სულისა წმიდისათა. შეგიწყალეთ და გიბოძეთ ესე ჟამთა გას<ა>თავებელი წიგნი და სიგელი ჩუენ, ბარათაშვილმა <პატავთ> პატრონმა ავთანდილ, ძემა ჩუენმა პატრონმა ლევან და ძ<ა>მამა ჩუენმა პატრონმა მერაბ, ძ<ა>მისწულმა ჩუენმა პატრონმა აბაშ შენ, ვალალასშვილს მგელიას და სახლისა მომავალსა შენისათა.

ასრე და ამა პირსა ზედა, რომე ფეშქაში მოგვართვით და ჭიჭრიანს სათიბს და ახოთას ერთს ნაოხ<ა>რს ცხურის საფარეხეთ გვიაჯენით, ვისმი-

⁹ აქვე დავსძენთ, რომ აბაშიშვილთა ფეოდალური სახლის შესახებ ვამზადებთ საგანგებო გამოკვლევას, შესაბამისად, ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენ მიერ გამოთქმული მოსაზრებები უახლოეს მომავალში ცნობილი იქნება ფართო სამეცნიერო წრეებისათვის.

¹⁰ სცსა. ფ. 1448. საბ. 3262.

ნეთ აჯა და მოხსენება თქუენი, შეგიწყალეთ და გიბოძეთ, მოგცეს. ღმერთმან და გიბედნიაროს მერმე მოკითხული ვქენით და ამას წინათაც ელიოზს თქუენტოვის ახოთას მიწები მოეცა ის გამოგართვა¹¹ით და ამის მუქვათ ეს გიბოძეთ“.¹¹ (პუნქტუაცია და ქარაგმის გახსნა ჩვენია – თ. გ.).

1637 წლის გაცვლის სიგელის მიხედვით, ისინი ახოთასა და ჭიჭ-რიანს ფლობენ, თუმცა ადრე ახოთაზე ხელი ჰქონია ვიღაც ელიოზს, რომელსაც წინათ ახოთას მიწები მგელია ვალალაშვილისათვის მიუცია. სწორედ აღნიშნული ახოთას მიწები გამოართვა ავთანდილ ბარათაშვილ-აბაშიშვილმა მგელია ვალალაშვილს, რომლის სანაცვლოდ მას ჭიჭრიანის სათიბი და ახოთას ერთი ნაოხარი ცხვრის საფარეხედ მისცა.

ამ დოკუმენტში ავთანდილი თავის შვილ ლეონთან, ძმა მერაბთან და ძმისწულ აბაშთან ერთად იხსენიება. აღნიშნულ სიგელში ჩვენი ყურადღება მიიპყრო ერთ მნიშვნელოვან დეტალმა, რაც მდგომარეობს შემდგომში, რომ ზემოთ აღნიშნულ სიგელში ავთანდილ ბარათაშვილ-აბაშიშვილს თავის ძმა მერაბზე წინ წამოწეული ჰყავს თავისი რიგით მეორე ვაჟი – ლეონი. გარდა ამისა, აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ აღნიშნულ ქონების გაცვლის წიგნში ქრება ავთანდილ აბაშიშვილის უფროსი ვაჟის – ბადურას სახელი. ამ ცვლილებას ჩვენამდე ყურადღება მიაქცია მეცნიერმა – თემო ჯოჯუამ, რომელიც სამართლიანად ფიქრობს რომ, „უფროსი ძმა – ბადურა მამის გვერდით მხოლოდ ერთ, 1630 წლის საბუთში იხსენიება.¹² ქრონოლოგიურად მომდევნო, 1637 წლის დოკუმენტში ბადურას სახელს ვეღარ ვხედავთ. სამაგიეროდ, აქ, ავთანდილ ბარათაშვილ-აბაშიშვილის გვერდით, ახლა უკვე მომდევნო ძმის – ლეონის სახელი ჩნდება.¹³ ამგვარ ცვლილებას, ვფიქრობთ, ერთადერთი ახსნა შეიძლება ჰქონდეს 1630-1637 წლებს შორის პერიოდში ბადურა, როგორც ჩანს, გარდაიცვალა და ავთანდილ აბაშიშვილის ოჯახშიც მისი ადგილი, პირმშობის წესის თანახმად, მომდევნო ძმამ – ლეონმა დაიკავა“.¹⁴

ამგვარად, მკვლევარმა, ერთი მხრივ, გაითვალისწინა 1630 წლის საბუთში ავთანდილ აბაშიშვილის გვერდით მისი უფროსი ვაჟის – ბადურას

¹¹ სცსა. ფ. 1448. 2936.

¹² პირთა ანოტირებული დეკსიკონი. XI-XVII სს. ისტორიული საბუთების მიხედვით, გამოსაცემად მოამზადეს: დ. კლდიაშვილმა, მ. სურგულაძემ, ე. ცაგარეიშვილმა, გ. ჯანდიერმა. ტ. I. თბ. 1991, გვ. 394.

¹³ პირთა ანოტირებული დეკსიკონი. ტ. I, გვ. 394.

¹⁴ ნ. ბახტაძე, ნ. კუპრაშვილი, ლ. მირიანაშვილი, კ. ზენდერი, თ. ჯოჯუა. პირდებულის მონასტერი. 1989 და 2002-2003 წლების კომპლექსური სამეცნიერო ექსპედიციის შედეგები. თბ. 2005, გვ. 199.

მოხსენიება, ხოლო, მეორე მხრივ, ყურადღება გაამახვილა მომდევნო 1637 წელს სიგელში მისი უფროსი ვაჟის მოუხსენიებლობაზე და ყოველივე ამის საფუძველზე სავსებით სამართლიანად გამოთქვა მოსაზრება, რომ, როგორც ჩანს, სუფრაჯ ავთანდილის უფროსი ვაჟი – ბაღურა 1630-1637 წლებს შორის პერიოდში გარდაიცვალა.

1641 წელს როსტომ მეფემ (1632-1658 წწ.) ავთანდილ ბარათაშვილ-აბაშიშვილს კიკეთი ჩამოართვა და მის დისწულს ბატონიშვილ ხორეშანსა და მის შვილებს – ლეონს, დავითს, ბერსა და იოსებს გადასცა. ამ წყალობის საბუთში ავთანდილი კვლავ ფეოდალური სახლის უფროსია:

„ჩვენ, მეფეთ მეფემან პატრონმან როსტომ ესე საბოლოოთ და სამკუიდროთ გასათავებელი კიკეთის სოფლისა წიგნი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქვენ, ჩუენს დისწულსა, ბატონიშვილს ბატონს ხუარეშანს და შვილთა თქუენთა ლეონს და დავითს და ბერს, იოსებს მომავალთა სახლისა თქუენისათა ასრე რომე ამ სოფელთან არს ავთანდილის სახლის კაცს ხელი არა ქონდეს“.¹⁵ (პუნქტუაცია და ქარაგმის გახსნა ჩვენია – თ. გ.).

იმავე, 1641 წლის საბუთის მიხედვით, „ჩუენ, მეფეთ მეფემან, პატრონ-მჯან როსტომ ესე სამკუიდროთ და საბოლოოთ გასათავებელი წიგნი და სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქუენ, ჩუენსა დისწულს ბატონიშვილს ბატონს ხუარეშანს და შვილთა თქუენთა ლეონს და დავითს და ბერს იოსებს და ჩამომავლთა სახლისა თქუენისათა ყოველთავე.

ასრე და ამას პირსა ზედა რომე არს ავთანდილას სჯახლის კაცს გოლთეთს ხელი ნურვის აქუს ქკს **ტპთ**, თებერვალსა **დ** /როსტომ/“.¹⁶ (პუნქტუაცია და ქარაგმის გახსნა ჩვენია – თ. გ.).

როგორც ვხედავთ, როსტომ მეფემ ამჯერად ავთანდილ ბარათაშვილ-აბაშიშვილს გოლთეთა ჩამოართვა და ისევ თავის დისწულ ბატონიშვილ ხორეშანსა და მის შვილებს – ლეონს, დავითს, ბერსა და იოსებს უწყალობა.

1644 წელს ავთანდილი ბარათაშვილ-აბაშიშვილმა ევანეზ ზეგულაშვილისაგან მისივე ზვრის პირას მდებარე მიწა იყიდა ავეტისას მიწამდე. 1644 წლის ნასყიდობის წიგნში ავთანდილ ბარათაშვილ-აბაშიშვილი კვლავ სუფრაჯის სახელოს ფლობს, იგი აღნიშნულ სიგელში უკვე აღარ იხსენიება თავის ძმა მერაბთან და ძმისწულ აბაშთან ერთად, არამედ ავთანდილის გვერდით დასახელებულია მისი სამი ვაჟი: ლევანი, აბელი და გორჯასპი. ეს ცვლილე-

¹⁵ სცსა. ფ. 1450. დავთ. 15. №11.

¹⁶ სცსა. ფ. 1450. დავთ. 15. №52.

ბა ჩვენი მხრიდან გარკვეულ ახსნას მოითხოვს, რაც, ჩვენი აზრით, გამოწვეული უნდა იყოს იმით, რომ ავთანდილი და მერაბი 1644 წლისათვის უკვე გაყრილნი არიან. სწორედ ამის გამო აღარ იხსენიებიან მერაბ და მისი ვაჟი – აბაში ავთანდილის გვერდით. ჩვენ შეგვიძლია დაახლოებით განვსაზღვროთ, თუ როდის შეიძლება მომხდარიყო ავთანდილისა და მერაბის გაყრა. თუ იქიდან ამოვალთ, რომ ავთანდილ ბარათაშვილ-აბაშიშვილის გვერდით მერაბი და მისი ვაჟი – აბაში უკანასკნელად 1637 წლის საბუთში არიან მოხსენიებულნი და ამ ცნობას შევუჯერებთ 1644 წლის ნასყიდობის წიგნს, მაშინ გამოდის, რომ ავთანდილისა და მისი ძმის, მერაბ ბარათაშვილ-აბაშიშვილების გაყოფა 1637-1644 წლებს შორის უნდა მომხდარიყო. აღნიშნულ ნასყიდობის წიგნის მიხედვით, შუა ბოლნისში მდებარე ზვარი ავთანდილისა და მისი ვაჟების – ლევან, ახელ და გორჯასკ აბაშიშვილების საკუთრებას წარმოადგენს. გარდა ამისა, 1644 წელს ევანჯა ზეგულაშვილისაგან ზვარს კიდევ დამატებით ყიდულობენ.

შემდეგ ავთანდილი ბარათაშვილ-აბაშიშვილი მოწმედ იხსენიება 1646 წელს შუა ბოლნელების დავის სიგელში, რადგან, როგორც ზემოთ მოყვანილი 1644 წლის ნასყიდობის წიგნიდან ვიცით, ავთანდილ ბარათაშვილ-აბაშიშვილი, და მის ვაჟებს შუა ბოლნისში ჰქონდათ ზვარი, და, უფრო მეტიც, 1644 წლისათვის ევანჯა ზეგულაშვილისაგან ზვარი კიდევ იყიდეს. აქედან გამომდინარე, ნათელია, თუ რა მიზეზით მონაწილეობს შუა ბოლნელების დავაში ავთანდილ ბარათაშვილ-აბაშიშვილი. 1646 წლისათვის იგი ჯერ კიდევ დედოფლის სუფრაჯია.

1648 წელს დედოფლის სუფრაჯ ავთანდილ ბარათაშვილ-აბაშიშვილი ტოტუაშვილებსა და აჯაბუნაშვილებს შორის არსებულ დავის გამრიგედ იხსენიება. იქიდან გამომდინარე, რომ ამ დავის განჩინება მარიამ დედოფლის ბრძანებითა და თაოსნობით მიმდინარეობდა, ბუნებრივია, დედოფალი მეფის მოხელეებთან ერთად თავისი მოხელესაც დასვამდა აღნიშნული დავის მოსაწესრიგებლად, კი გვევლინება დედოფლის სუფრაჯი ავთანდილ ბარათაშვილ-აბაშიშვილი.

1648 წლიდან დიპლომატიკურ ძეგლებში ავთანდილ ბარათაშვილ-აბაშიშვილი აღარ იხსენიება. ბოლოს ავთანდილი მოიხსენიება 1653 წელს როსტომ მეფის მიერ გაცემული წყალობის წიგნში მიცემული ახელ ბარათაშვილისა და მისი ძმებისადმი, სადაც ვკითხულობთ, რომ „ჩვენ, ღ(ვ)თ(ი)ვ კვირგვინოსანმან ქართლისა და კახეთისა ორისავე ტახტისა მპყრობელმა, მე-

ფეთ მეფემან, კელმწიფემან პატრონმა როსტომ და თანა მეცხედრემან ჩუენ-მან, დელოფალთ დელოფალმან, პატრონმან მარიამ ესე ამიერ უკუნისამდეს ჟამთა და ხანთა გასათავებელი მტკიცე და უცვალებელი წყალობისა წიგნი და სიგელი შეგიწყალებთ და გიბოძეთ თქუენ, ჩუენთა ერდგულსა და მრავალფერად თავდადებით ნამსახურსა ყმასა, ბარათაშვილს ჩუენის სუფურაჩის შგ(ი)ლს – აბელს, ძმათა თქვენთა – ქაიხოსროს და იესესა, შვილთა და მოძავალთა სახლისა თქვენისა ყოველთავე.

მას ჟამსა, ოდეს თქუენის მამულის სიგლის გახლებას დაგვიაჯენით, შეგიწყალებთ და რაც კურთხეულის მამის თქუენის ჟამში მამული გქონენ, ხელ-შეუალად მით ბარამდისინ სამკუიდროდ საბოლოოდ სიგლითა ამით დაგვიმტკიცებია და გვიბოძებია ყოვლის კაცისა უცილებრად¹⁷ (კუნქტუაცია და ქარაგმის გახსნა ჩვენია – თ. გ.).

როგორც ვხედავთ, 1653 წლის დოკუმენტში ავთანდილი გარდაცვლილი ჩანს, რისი ნათელი დადასტურებაცაა ის არის, რომ 1653 წელს უკვე სახლის უფროსი მისი ვაჟი აბელია და როსტომ მეფემ სწორედ მას და მის ძმებს უახლებს წყალობას იმ მამულებისა, რომელთაც „კურთხეული მამის“ (იგულისხმება ავთანდილი – თ.გ.) დროს ფლობდნენ. იმის გათვალისწინებით, რომ დედოფლის სუფრაჯი ავთანდილ ბარათაშვილ-აბაშიშვილი მოქმედ პირად ბოლოს 1648 წლის სამამულე დავის დოკუმენტში არის დასახელებული, ხოლო, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1653 წლის საბუთში კი უკვე გარდაცვლილია, იგი 1648-1653 წლებს შორის უნდა გარდაცვლილიყო. ზემონახსენებ წყალობის საბუთში აბელ ბარათაშვილი როსტომის ერთგულ და „მრავალფერად“ ნამსახურ ყმად არის მოხსენიებული:

ამ საბუთში ასახული ცვლილებები ავთანდილ ბარათაშვილ-აბაშისშვილის ვაჟებთან დაკავშირებით ასევე შეუმჩნეველი არ დარჩენილა მკვლევარ თემო ჯოჯუასთვის, რომელიც მას შემდეგ, რაც ავთანდილის უფროსი ვაჟის – ბაღურას გარდაცვალებას 1630-1637 წლებს შორის პერიოდით ათარიღებს, იქვე აგრძელებს თავის მსჯელობას და ამბობს, რომ „1637 წლისათვის შექმნილი მდგომარეობა 1644 წელს ჯერ კიდევ უცვლელი ჩანს. ამ წლით დათარიღებულ საბუთში ავთანდილ ბარათაშვილ-აბაშისშვილი გვერდით ერთბაშად მისი სამი ვაჟია დასახელებული: ჯერ – ლეონი, ხოლო შემდეგ კი – ლეონის მომდევნონი: აბელი და გორჯასპი.¹⁸ აბსოლუტურად გან-

¹⁷ სცსა. ფ. 1450. დავთ. 15. №21.

¹⁸ პირთა ანოტირებული ლექსიკონი. ტ. I, გვ. 394.

სხვაგვებული სურათია წარმოდგენილი 1653 წლის დოკუმენტში, სადაც აღარც ავთანდილ ბარათაშვილ-აბაშისშვილი ჩანს და აღარც მისი რიგით მეორე ვაჟი – ლეონი. მათ ნაცვლად ქართლის მეფე როსტომი წყალობის განახლების წიგნს უკვე რიგით მესამე ვაჟს – აბელს აძლევს. აქვე, აღსანიშნავია ისიც, რომ ამავე 1653 წლის საბუთში აღარც აბელის მომდევნო, რიგით მეოთხე ძმა – გორჯასპია მოხსენიებული. ამ უკანასკნელის მაგივრად, აბელის გვერდით ორი უმცროსი ძმის – ქაიხოსროსა და იესეს სახელებს ვხვდავთ.¹⁹ ჩვენი დაკვირვებით, აღნიშნული ცვლილება არ უნდა იყოს ძნელი ასახსნელი. როგორც ჩანს, 1653 წლისათვის გარდაცვლილი არიან როგორც თავად ავთანდილ ბარათაშვილ-აბაშისშვილი, ისე მისი რიგით მეორე და მეოთხე ვაჟი – ლეონი და გორჯასპი, მათი სათავადოს სახლის უფროსობა კი, პირმშობის წესის ძალით, რიგით მესამე ვაჟს – აბელს აქვს დამკვიდრებული“.²⁰

აქ ნათლად ჩანს, რომ მკვლევარი სავსებით სარწმუნო ახსნას უძებნის 1653 წლის დოკუმენტში ასახულ ცვლილებას ავთანდილის ვაჟებთან დაკავშირებით და სავსებით სამართლიანად მიიჩნევს, რომ 1653 წელს გარდაცვლილია არა მარტო ავთანდილ აბაშისშვილი, არამედ მისი რიგით მეორე და მეოთხე ვაჟებიც: ლეონი და გორჯასპიც გარდაცვლილი ჩანან. მართალია, მეცნიერი ამგვარ ცვლილებას სამართლიან ახსნას უძებნის, თუმცა ლეონისა და გორჯასპის გარდაცვალებას კონკრეტული თარიღით არ განსაზღვრავს. მიუხედავად ამისა, საფიქრებელია, რომ იგი ავთანდილ ბარათაშვილ-აბაშისშვილის ვაჟების – ლეონისა და გორჯასპის გარდაცვალებას 1644-1653 წლებით განსაზღვრავს.

მეცნიერის მიერ შემოთავაზებულ დათარიღებას, სუფრავ ავთანდილის რიგით მეოთხე ვაჟის – გორჯასპის გარდაცვალების შესახებ – 1644-1653 წლებს სავსებით ვიზიარებთ, თუმცა მისი რიგით მეორე ვაჟის – ლეონის გარდაცვალების თარიღთან დაკავშირებით გვიჩნდება კითხვა – რამდენად შეესაბამება რეალობას მკვლევრის მიერ ავთანდილის ვაჟის, – ლეონ ბარათაშვილის, გარდაცვალების თარიღი?

ამ კითხვაზე სრულად პასუხის გაცემის მიზნით, მოგვყავს შეწირულების აქტი აბელ ბარათაშვილისა და მისი ძმებისა პირღებულის ღმრთისმშობელისადმი.

¹⁹ პირთა ანოტირებული ლექსიკონი. ტ. I, გვ. 393.

²⁰ ნ. ბახტაძე, ნ. კუპრაშვილი, ლ. მირიანაშვილი, კ. ზენდერი, თ. ჯოჯუა. პირღებულის მონასტერი, გვ. 199.

დღემდე ეს შეწირულების აქტი აბელ ბარათაშვილისა და მისი ძმებისა პირღებულის ღვთისმშობელისადმი სამგზის არის გამოქვეყნებული: პირველად – 1904 წელს ექვთიმე თაყაიშვილის მიერ, მეორედ – 2003 წელს ავტორთა ჯგუფის მიერ, ხოლო მესამედ – 2005 წელს, თემო ჯოჯუას მიერ.

აღნიშნული წარწერა პირველად ექვთიმე თაყაიშვილმა (1863-1953 წწ.) გამოაქვეყნა თავის 1904 წლის ნაშრომში – «Грузинские памятники окрестностей Белаго-Ключа», სადაც მკვლევარი აღნიშნულ შეწირულების აქტს პალეოგრაფიული მონაცემების საფუძველზე, ზოგადად, XVII საუკუნით განსაზღვრავს. შეწირულების აქტის ექვთიმე თაყაიშვილესული გამოცემა:

„ქ. აგრევე. ბარათაშვილმან. აბელ. და. მისმან. ძმებმან. შემოგწირეს. პირღებულთა. ღთისმშობელსა. მათის. ძმის. ლეონის. სულისათვის. დიას. ჯ[ვარს | ორი საკომლო. და ს...ჩ | ფემ...მწები. შემოგწ[ირეთ]. ამინ.“.

ექვთიმესეული ტექსტის წაკითხვა რუსულ ენაზე:

«Точно также Бараташвили Абель и его братья пожертвовали Пиргебульской Божьей Матери в поминновение ихъ брата Леона два дыма крестьянь в диась-джвари (?) Пожертвовали земли, аминь».²¹

მეორედ აღნიშნული შეწირულების აქტი ავტორთა ჯგუფის (ნოდარ ბახტაძე, კონრად ზენდერი, ნანა კუპრაშვილი, ლალო მირიანაშვილი, თემო ჯოჯუა) მიერ თავიანთ 2003 წლის სტატიაში „პირღებულის მონასტრის კომპლექსური კვლევის შედეგები“ იქნა გამოქვეყნებული.

გთავაზობთ აღნიშნული წარწერის ავტორთა ჯგუფისეულ ინტერპრეტაციას, რომელიც დამყარებულია ექვთიმე თაყაიშვილის 1904 წლის პუბლიკაციაზე:

„ქ. აგრევე, ბარათაშვილმან აბელ და მისმან ძმებმან შემოგწირეს პირღებულთა, ღ(მრ)თისმშობელსა მათის ძმის ლეონის სულისათვის დიას ჯ[ვარს | ორი ... საკომლო და ს...ჩ | ფემ...მწები შემოგწ[ირეთ], ამინ“.²²

გარდა ამისა, ავტორთა ჯგუფმა, ექვთიმე თაყაიშვილისაგან განსხვავე-

²¹ Е. Такашвили. Грузинские памятники окрестностей Белаго-Ключа. В сборнике: Известия кавказскаго Отделения Императорскаго Московскаго Археологическаго Общества. выпускъ I. Тиф. 1904, გვ. 22-23; შდრ.: Е. Такашвили. Грузинские памятники окрестностей Белаго-Ключа. В книге: «Археологическия экскурсии, разискания и заметки». вып. II. Тиф. 1905, გვ. 22-23.

²² ნ. ბახტაძე, კ. ზენდერი, ნ. კუპრაშვილი, ლ. მირიანაშვილი, თ. ჯოჯუა. პირღებულის მონასტრის კომპლექსური კვლევის წინასწარი შედეგები. კრებ.: სამეცნიერო სესია მიძღვნილი ე.თაყაიშვილის ხსოვნისადმი. მოხსენებების მოკლე შინაარსები. 2003 წლის 27-30 მაისი, გვ. 83.

ბით აბელისა და მისი ძმების შეწირულების აქტის ქრონოლოგია დაავიწრო-
ვა. მათ გაითვალისწინეს რა ტექსტში ნახსენები ლეონ და აბელ ბარათაშვი-
ლების მოღვაწეობასთან დაკავშირებულ ისტორიული საბუთების მონაცემები
და აქედან გამომდინარე, წარწერის ქრონოლოგია, XVII საუკუნის ნაცვლად,
1644-1650-იანი წლებით განსაზღვრეს.

სულ ბოლოს, ეს შეწირულების აქტი გამოაქვეყნა თემო ჯოჯუამ 2005
წელს გამოცემულ პირღებულის მონასტრისადმი მიძღვნილ მონოგრაფიაში
„პირღებულის მონასტერი, 1989-2002-2003 წწ. კომპლექსური სამეცნიერო
ექსპედიციის შედეგები“.

გთავაზობთ შეწირულების აქტის ტექსტის თემო ჯოჯუასეულ ინტერ-
პრეტაციას:

1. ქ.: აგრევე: ბარათაშვილმან: აბ
2. ელ: და: მისმან: ძმებმან: შემ
3. ოგწირეს: პირღებულთა: ლთ
4. ისმშობელსა: მათის: ძმის: ლეო
5. ნის: სულისათვის: დიას: ჯ[ვ]არს
6. ორი [...] საკომლო: და ს[...]ჩ (?)
7. ფემ[...]მწები(?): შემოგწ[ირეთ]: ამინ:

„ქ. აგრევე, ბარათაშვილმან აბელ და მისმან ძმებმან შემოგწირეს პირ-
ღებულთა, ღ(მრ)თისმშობელსა მათის ძმის ლეონის სულისათვის დიას ჯვარს
| ორი [...] საკომლო და ს[...]ჩ (?) ფემ[...]მწები (?) შემოგწ[ირეთ], ამინ“.²³

მკვლევარი მას შემდეგ, რაც მოჰყავს შეწირულების აქტის ტექსტი,
ვრცლად მსჯელობს მისი ქრონოლოგიის შესახებ. მისი მიხედვით: „წარწე-
რას, როგორც აღვნიშნეთ ზემოთ, თარიღი არ უზის. სამაგიეროდ, მოგვეპოვე-
ბა XVII საუკუნის ოთხ დოკუმენტში დაცული რამდენიმე საყურადღებო
ცნობა ტექსტში მოხსენიებული ისტორიული პირების – აბელ ბარათაშვილი-
სა და მისი გარდაცვლილი ძმის, ლეონის, შესახებ, რომლებზე დაყრდნობი-
თაც შესაძლებლობა გვაქვს მიახლოებით მაინც განვსაზღვროთ ჩვენთვის
საინტერესო ეპიგრაფიკული აქტის ქრონოლოგია. ეს დიპლომატიკური ძეგ-
ლებია: დედოფალ ჯაჰანბანუს წყალობის წიგნი სუფრან ავთანდილ ბარათაშ-
ვილ-აბაშიშვილისადმი (1630 წ.),²⁴ წიგნი ავთანდილ ბარათაშვილ-აბაშიშვი-

²³ ნ. ბახტაძე, ნ. კუპრაშვილი, ლ. მირიანაშვილი, კ. ზენდერი, თ. ჯოჯუა, პირღე-
ბულის მონასტერი, გვ. 201.

²⁴ პირთა ანოტირებული ლექსიკონი. ტ. I, გვ. 394.

ლისა და მგელა ვალალაშვილს შორის უძრავი ქონების გაცვლის შესახებ (1637 წ.);²⁵ წიგნი სუფრან ავთანდილ ბარათაშვილ-აბაშიშვილის მიერ ევანგელის ზეგულაშვილისაგან მიწის ნასყიდობის შესახებ (1644 წ.);²⁶ და ბოლოს, ქართლის მეფის როსტომის წყალობის განახლების წიგნი აბელ ბარათაშვილისადმი (1653 წ.).²⁷ დასახელებული დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ ლეონ და აბელ ბარათაშვილების მამა – ავთანდილ ბარათაშვილ-აბაშიშვილი ქართლის სამეფოს ერთ-ერთი დიდმოხელე – სუფრაჯი და მანგლისის მოურავი ყოფილა. მას ჰყოლია ექვსი ვაჟი, რომელთა ასაკობრივი თანმიმდევრობაც სავარაუდოდ, ასეთი უნდა ყოფილიყო – ბადურა, ლევანი//ლეონი, აბელი, გორჯასპი, ქაიხოსრო და იესე.²⁸ აქედან, უფროსი ძმა – ბადურა, მამის გვერდით მხოლოდ ერთ, 1630 წლის საბუთში იხსენიება.²⁹ ქრონოლოგიურად მომდევნო, 1637 წლის, დოკუმენტში, ბადურას სახელს ვეღარ ვხედავთ. სამაგიეროდ, აქ, ავთანდილ ბარათაშვილ-აბაშიშვილის გვერდით, ახლა უკვე მომდევნო ძმის – ლეონის სახელი ჩნდება.³⁰ ამგვარ ცვლილებას, ვფიქრობთ, ერთადერთი ახსნა შეიძლება ჰქონდეს 1630-1637 წლებს შორის პერიოდში ბადურა, როგორც ჩანს, გარდაიცვალა ავთანდილ აბაშიშვილის ოჯახშიც მისი ადგილი, პირმშობის წესის თანახმად, მომდევნო ძმამ – ლეონმა დაიკავა. 1637 წლისათვის შექმნილი მდგომარეობა 1644 წელს ჯერ კიდევ უცვლელი ჩანს. ამ წლით დათარიღებულ საბუთში ავთანდილ ბარათაშვილ-აბაშიშვილი გვერდით ერთბაშად მისი სამი ვაჟია დასახელებული: ჯერ – ლეონი, ხოლო შემდეგ კი – ლეონის მომდევნონი: აბელი და გორჯასპი.³¹ აბსოლუტურად განსხვავებული სურათია წარმოდგენილი 1653 წლის დოკუმენტში, სადაც აღარც ავთანდილ ბარათაშვილ-აბაშიშვილი ჩანს და აღარც მისი რიგით მეორე ვაჟი – ლეონი. მათ ნაცვლად ქართლის მეფე როსტომი წყალობის განახლების წიგნს უკვე რიგით მესამე ვაჟს – აბელს აძლევს. აქვე, აღსანიშნავია ისიც, რომ ამავე 1653 წლის საბუთში აღარც აბელის მომდევნო, რიგით მეოთხე ძმა – გორჯასპია მოხსენიებული. ამ უკანასკნელის მაგივრად აბელის გვერდით ორი უმცროსი ძმის – ქაიხოსროსა და იესეს სახელებს ვხედავთ.³²

²⁵ პირთა ანოტირებული დოკუმენტები. ტ. I, გვ. 394.

²⁶ პირთა ანოტირებული დოკუმენტები. ტ. I, გვ. 394.

²⁷ პირთა ანოტირებული დოკუმენტები. ტ. I, გვ. 393.

²⁸ პირთა ანოტირებული დოკუმენტები. ტ. I, გვ. 394.

²⁹ პირთა ანოტირებული დოკუმენტები. ტ. I, გვ. 394.

³⁰ პირთა ანოტირებული დოკუმენტები. ტ. I, გვ. 394.

³¹ პირთა ანოტირებული დოკუმენტები. ტ. I, გვ. 394.

³² პირთა ანოტირებული დოკუმენტები. ტ. I, გვ. 393.

ჩვენი დაკვირვებით, აღნიშნული ცვლილება არ უნდა იყოს ძნელი ასახსნელი. როგორც ჩანს, 1653 წლისათვის გარდაცვლილნი არიან როგორც თავად ავთანდილ ბარათაშვილ-აბაშისშვილი, ისე მისი რიგით მეორე და მეოთხე ვაჟი – ლეონი და გორჯაასპი, მათი სათავალოს სახლის უფროსობა კი, პირმშობის წესის ძალით, რიგით მესამე ვაჟს – აბელს აქვს დამკვიდრებული. მიღებული დასკვნები მეტად მნიშვნელოვანია ჩვენთვის, ვინაიდან მათზე დაყრდნობით, ირკვევა, რომ პირღებულის მონასტრის განსახილავ წარწერაში გარდაცვლილად მოხსენიებული ლეონ ბარათაშვილი 1644 წლისათვის ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. შესაბამისად, აღნიშნული წარწერის ამოკვეთის ქვედა ქრონოლოგიურ ზღვრად უეჭველად 1644 წელი უნდა მივიღოთ. გაცილებით უფრო ამოცანაა მეტნაკლებად ზუსტი ზედა ქრონოლოგიური ზღვრის დადგენა. აქ, უპირველეს ყოვლისა, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ 1653 წლის შემდეგ ქართულ დიპლომატიკურ ძეგლებში საერთოდ ქრება აბელ ბარათაშვილის სახელი.³³ აქედან, ვფიქრობთ, ლოგიკურად უნდა მომდინარეობდეს დასკვნა, რომ აბელ ბარათაშვილი სათავადო სახლის პირველკაცობას 1653 წლის ახლოხანებში, უფრო ზოგადად კი – 1650-იან წლებში ფლობდა. ჩვენი ვარაუდით, ამავე 1650-იანი წლებით უნდა განისაზღვროს პირღებულის მონასტრის განსახილავი წარწერის ზედა ქრონოლოგიური ზღვარიც, რომლის შემდგენელთა შორის მთავარ იურიდიულ სუბიექტად სწორედ აბელ ბარათაშვილი გვევლინება, რაც, თავის მხრივ, მისი, როგორც კონკრეტული სათავადო სახლის უფროსის განსაკუთრებული სტატუსით უნდა ყოფილიყო განპირობებული. ამრიგად, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, პირღებულის მონასტრის აბელ ბარათაშვილისეული წარწერის ზედა ქრონოლოგიურ ზღვრად 1650-იან წლებს ვიღებთ და მთლიანად ეპიგრაფიკულ აქტსაც 1644-1650-იანი წლებით ვათარილებთ“.³⁴

როგორც ვხედავთ, მკვლევარი წარწერის თარიღის უქონლობის მიუხედავად, ცდილობს წარწერაში მოხსენიებული პირებისადმი გაცემული XVII საუკუნის ოთხი დოკუმენტის საფუძველზე დაავიწროვოს აღნიშნული შეწირულების აქტის ქრონოლოგია. იგი, ავტორთა ჯგუფის მსგავსად, მხედველობაში იღებს რა იმ ფაქტს, რომ 1644 წლის საბუთის შემდეგ ლეონი ქართულ დიპლომატიკურ ძეგლებში აღარ იხსენიება და, შესაბამისად, წარწერის

³³ პირთა ანოტირებული ლექსიკონი. ტ. I, გვ. 394.

³⁴ ნ. ბახტაძე, ნ. კუპრაშვილი, ლ. მირიანაშვილი, კ. ზენდერი, თ. ჯოჯუა, პირღებულის მონასტერი, გვ. 198-201.

შესრულების ქვედა ქრონოლოგიურ ზღვრად 1644 წელს დებს. რაც შეეხება შეწირულების აქტის ზედა ქრონოლოგიურ ზღვარს, აქ მკვლევარმა ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ შეწირულების აქტის მთავარი მოქმედი პირი და ოჯახის უფროსი აბელ ბარათაშვილი ქართული საისტორიო საბუთებიდან 1653 წლიდან ქრება და ყოველივე ამის საფუძველზე აბელ ბარათაშვილის სათავედოს სახლის პირველკაცობას 1653 წლის ახლო ხანებით, უფრო ზოგადად კი – 1650-იანი წლებით განსაზღვრავს. ეს ყოველივე მკვლევარმა საკმარის არგუმენტად მიიჩნია იმისათვის, რომ წარწერის ზედა ქრონოლოგიურ ზღვრად იგივე 1650-იანი წლები დაედო. ამრიგად, მეცნიერი ავტორთა ჯგუფის (ნოდარ ბახტაძე, კონრად ზენდერი, ნანა კუპრაშვილი, ლადო მირიანაშვილი, თემო ჯოჯუა) მსგავსად აბელ ბარათაშვილისა და მისი ძმების შეწირულების აქტს პირღებულის ღმრთისმშობელისადმი 1644-1650-იანი წლებით ათარიღებს.

ამრიგად, დღემდე ქართულ სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულ აბელ ბარათაშვილისა და მისი ძმების შეწირულების აქტს პირღებულის ღმრთისმშობელისადმი მეცნიერთა ერთი ნაწილი (ექვთიმე თაყაიშვილი), მისი პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით, ზოგადად XVII საუკუნით ათარიღებს, ხოლო მეორე ნაწილი კი – ავტორთა ჯგუფი (ნოდარ ბახტაძე, კონრად ზენდერი, ნანა კუპრაშვილი, ლადო მირიანაშვილი, თემო ჯოჯუა), ითვალისწინებენ რა წარწერაში მოხსენიებული ლეონ და აბელ ბარათაშვილების ქართულ დიპლომატიკურ ძეგლებში მოხსენიების ქრონოლოგიას, მის ქრონოლოგიას, ექვთიმე თაყაიშვილისაგან განსხვავებით, კიდევ უფრო ავიწროვებენ და 1644-1650-იანი წლებით განსაზღვრავენ.

ჩვენი აზრით, აღნიშნული დათარიღება, ზოგადად მართებულია, თუმცა კვლევის შედეგად იმ დასკვნამდე მივდით, რომ აღნიშნული ქრონოლოგიური მონაკვეთი (XVII ს.) [1644-1650-იანი წწ.] კიდევ უფრო დაზუსტდეს და დავიწროვდეს. ამისათვის კიდევ ერთხელ მოვიტანთ აღნიშნულ შეწირულების აქტს მისი ბოლო პუბლიკაციაზე დაყრდნობით:

1. ქ. აგრევე: ბარათაშვილმან: აბ
2. ელ: და: მისმან: ძმებმან: შემ
3. ოგწირეს: პირღებულთა: ლთ
4. ისმშობელსა: მათის: ძმის: ლეო
5. ნის: სულისათვის: დაის: ჯ[ვ]არს
6. ორი [...] საკომლო: და ს[...]ჩ (?)
7. ფემ[...]მწები(?): შემოგწ[ირეთ]: ამინ:

„ქ. აგრევე, ბარათაშვილმან აბელ და მისმან ძმებმან შემოგწირეს პირღებულთა ღ(მრ)თისმშობელსა მათის ძმის ლეონის სულისათვის დიას ჯვარს | ორი [...] საკომლო და ს[...]ჩ (?) ფემ[...]მწები (?) შემოგწ[ირეთ], ამინ“.³⁵

აღნიშნული შეწირულების აქტის მიხედვით, აბელ ბარათაშვილი და მის ძმები მათი გარდაცვლილი ძმის, ლეონის სულის საოხად პირღებულის ღმრთისმშობელს დიას ჯვარს მცხოვრებ ორი კომლ გლეხს სწირავენ. ეს კი იმის თქმის საფუძველს გვაძლევს, რომ შეწირულების აქტის შედგენამდე, აბელ ბარათაშვილი და მისი ძმები ფლობდნენ პირღებულის მონასტრის ახლოს მდებარე სოფელ დიას-ჯვარს.

ჩვენს ყურადღება ამ შეწირულების აქტში მიიქცია ერთმა ფრიად მნიშვნელოვანმა გარემოებამ, რომელიც შემდგომში მდგომარეობს, რომ ამ წარწერაში არ არის მოხსენიებული აღნიშნული იურიდიული აქტის მთავარი მოქმედი პირის, აბელის მამა – ავთანდილ ბარათაშვილ-აბაშისშვილი. ეს კი გვაფიქრებინებს, რომ იგი შეწირულების აქტის შედგენის დროს უკვე გარდაცვლილი იყო, წინააღმდეგ შემთხვევაში ამ წარწერაში ჯერ მოხსენიებული იქნებოდა ავთანდილ აბაშისშვილი და შემდეგ მისი ვაჟები (ვგულისხმობ აბელსა და მის ძმებს – თ.გ.). როგორც ზემოთ ვნახეთ, იგი მოქმედ პირად სულ ბოლოს 1648 წლის 22 მაისის სიგელში იხსენიება, სადაც დელოფლის სუფრაჯი – ავთანდილი ტოტუაშვილებსა და აჯაბუნაშვილებს შორის არსებული დავის გამრიგედ გვევლინება. აქედან გამომდინარე, არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ წარწერის ქვედა ქრონოლოგიურ ზღვრად, 1644 წლის ნაცვლად, 1648 წელი უნდა დავდოთ, რაც შეეხება შეწირულების აქტის შედგენის ზედა ქრონოლოგიურ ზღვარს, აქ მხედველობაში ვიღებთ 1653 წლის როსტომ მეფის წყალობის სიგელს, გაცემულს აბელ ბარათაშვილისადმი, სადაც, როგორც ვნახეთ, ავთანდილ აბაშისშვილთან ერთად მისი რიგით მეორე და რიგით მეოთხე ვაჟების – ლეონისა და გორჯასპის სახელებიც ქრება. ამავედროულად, მხედველობაში ვიღებთ იმ ფაქტსაც, რომ შეწირულების აქტი შედგენილია სწორედ ლეონ ბარათაშვილის სულის საოხად, თამამად შეგვიძლია ამ წარწერის ზედა ქრონოლოგიურ ზღვრად 1653 წელი მივიჩნიოთ. ასე, რომ, ქართულ ისტორიოგრაფიაში აღნიშნული შეწირულების აქტის დღემდე მიღებული თარიღს კიდევ უფრო ვავიწროვებთ და XVII ს., [1644-1650-იანი წწ.] ნაცვლად, ხუთწლიანი შუალედით, კერძოდ, 1648-1653 წლე-

³⁵ ნ. ბახტაძე, ნ. კუპრაშვილი, ლ. მირიანაშვილი, კ. ხენდერი, თ. ჯოჯუა, პირღებულის მონასტერი, გვ. 201.

ბით განვსაზღვრავთ. მას შემდეგ, რაც დავავიწროვეთ ხუთწლიანი პერიოდით აბელ ბარათაშვილისა და მისი ძმების შეწირულების აქტის ქრონოლოგია, აქედან გამომდინარე ჩვენ შეგვიძლია სრულად გავცეთ ჩვენს მიერ ზემოთ დასმულ კითხვას პასუხი და სრული დამაჯერებლობით განვაცხადოთ, რომ ამავე 1648-1653 წლებით უნდა განისაზღვროს ლეონ ბარათაშვილის გარდაცვალების თარიღიც.

სულ ბოლოს, ჩვენი ყურადღება გვინდა შევაჩეროთ 1662 წლის ორ საბუთზე, სადაც მოთხრობილია ავთანდილ ბარათაშვილ-აბაშიშვილსა და იოთამიშვილებს შორის მომხდარი დავის ამბავი აკაურთულ მიწებზე. ამ ორმა დოკუმენტმა ჩვენამდე პირის სახით მოაღწია, რომელთა ტექსტსაც მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე სრულად გთავაზობთ:

„[ქ] ნებითა და შეწევნითა ღმ(რ)თისათა.

ჩუვენ, დედოფალთა დედოფალმან, პატრონმან მარიამ ესე საბოლოოდ გასათავებელი გარდაწყვეტილობისა წიგნი და სიგელი დაგიწერეთ და გიბოძეთ თქვენ, ბარათაშვილებს გიორგის, ბეჟანს, გივსა და ერასტას, შვილთა თქვენთა და მამავალთა სახლისა თქვენისათა ასრე და ამა პირსა ზედა, რომე თქვენ და აბაშისშვილები ავთანდილ, აბაშ, შერმაზან და სულხან აკაურთულს მიწებზედ შეიცილენით და მიხუედით და ჩვენს კარზედ სამართალი ჰქენით, ფიცი ავთანდილს, აბაშსა და მერაბისშვილებს დაედვა, ბოქ[ა]ულთუხუცესი ზაალ გაგატანეთ, წახუედით და ხატი მოგესვენებინა და აბაშიშვილებს ვეღარ დაეფიცა და გამტყუვნებული იყვნენ, მიწები თქვენი ყოფილიყო და თქვენვე დაგრჩომოდათ ამ სამძღვრითა, რომე აკაურთი დაღმა საქალაქე დიდი შარა ქალაქისკენ წავა<ა> და ავაზნიას ძირს გაივლის და ლომელაში რატევენულს სამძღუარს შეეცყრების, იმას ქვეით თქვენი არის და აბაშანთ ჰველი არა გაქუს, ჩვენი ბძანება ასრე არის და ამრიგათ გარიგებულა და ვინც ამ სამართალს გარდავა ჩვენად შეცოდებათ მოვ[ი]კითხავთ.

დაიწერა ბ(რ)ძ(ანე)ბა და სიგელი ესე ქ(ორონი)კ(ონ)სა ტნ, ელითა კარისა ჩვენისა მღვიან-მწიგნობრისა, მარტიროზისშვილის შალვასითათია. [ჩართული]“ (პუნქტუაცია და ქარაგმის გახსნა ჩვენია – თ.გ.).³⁶

როგორც ამ საბუთიდან ჩანს, ქართლის დედოფალი აკაურთულ მიწებს იოთამიშვილებს უმტკიცებს, თუმცა ამავე სიგელში საუბრობს იმ წინაპირობებზეც თუ რა მიზეზით უწყალობა აღნიშნული მამულები მან იოთამიშვილებს. მისი თქმით, იოთამიშვილები და აბაშიშვილები: ავთანდილი, აბაში,

³⁶ სცსა. ფ. № 1450. დავთ. 38. №5.

შერმაზანი და სულხანი შეცილებიან ერთმანეთს აკაურთულ მიწებზე, ფიცი აბაშიშვილებს დაედოთ, თუმცა მას შემდეგ, რაც ზაალ ბოქაულთუხუცესს აბაშიშვილები წაუყენებია ხატზე დასაფიცებლად მათ ვერ დაუფიცებიათ და აქედან გამომდინარე დედოფალმა მარიამმა აკაურთულ მიწები იოთამიშვილებს მიაკუთვნა.

მიუხედავად ქართლის დედოფლის გადაწყვეტილებისა აბაშიშვილები კვლავ განაგრძობენ დავას იოთამიშვილებთან აღნიშნულ მამულებზე, რაზეც მეტყველებს 1662 წლის კიდევ ერთი დოკუმენტის შინაარსი, რომელიც შემდგომში მგომარეობს:

„ჩვენ, {მ}დივანბეგმან პატრონმან ედიშერ და მდივანბეგმან ბარათაშვილების საცილობელი საქმე ამ რიგათ გა<ე>{ვ}სინჯეთ, ამას წინათ {მ}დივანბეგს როინს და მდივანებს სამართალი ექნათ და ფიცი აბაშიშვილებზედ შეეგდო და ბოქაულთუხუცესი, ბარათაშვილი ზაალ გაეტანებინა მოსრულიყვნენ და აბაშიშვილებს ვეღარ დაეფიცა, მაშინ მოსრულიყვნენ და ბატონის დედოფალის იოთამიშვილებისათვის წიგნი ებოძა და გარდაეწყვიტა, მას უკან მოვიდნეს და ჩვენთან იჩივლეს, ჩვენც მოკითხული ვქენით და რომელსაც ტერტერას ხატი მიესვენა, იმასაც ვკითხეთ ფიცის საქმეზედ აბაშიშვილები გამტყუვნებულიყვნენ რა, ჩვენ ისიები ვნახეთ და გავსინჯეთ, საცილობელი მიწები იოთამიშვილებს დარჩომოდა და ჩვენც ასრე დავანებეთ, რომე რარეგადაცა ბატონის დედოფლის წიგნში გა{ჩ}საზ{ღვრ}ულია იმ წესითა ამ იოთამიშვილებისა არის და აბაშიშვილებს ელი აღარა აქუს ამ სამძღურითა აკაურთიღამე, რომ საქალაქე შარა გამოვა ავაზნის წყაროს ძირს გამოვილის და დისველის პირს მოადგების, გზის ქუეთი იოთამიშვილებისა არის და გზას [ზე]დათი აბაშიანთი{ა}.

დაიწერა ესე წიგნი ქ(ორონი)კ(ონ)ს ტნ, მაისის ოცს [ადგილი ბეჭდისა]“ (პუნქტუაცია და ქარაგმის გახსნა ჩვენია – თ.გ.).³⁷

როგორც ჩანს, აბაშიშვილები ხელმეორედ ჩივიან მდივან ედიშერთან ამ მამულებზე. საბუთის მიხედვით, მდივანბეგ ედიშერს ძველი წიგნები მოუკითხვას და მარიამ დედოფლის წყალობის წიგნიც უნახავს გაცემული იოთამიშვილებისადმი. ყოველივე აქედან გამომდინარე, მდივანბეგ ედიშერმაც ქართლის დედოფლის მსგავსად აღნიშნული დავა იოთამიშვილების სასარგებლოდ გადაწყვიტა.

³⁷ სცსა. ფ. 1450. დავთ. 38. №4.

ჩვენ ღავენტერესდით პირველ საბუთში მოხსენიებული ავთანდილ აბაშიშვილის პიროვნებით, რომელიც, როგორც ზემოთ ვაჩვენეთ, თავის სახლიკაცებთან: აბაშთან, შერმაზანთან და სულხანთან ერთად იოთამიშვილებთან აწარმოებს ღავას აკაურთულ მიწებზე. თუ გავითვალისწინებთ, 1627-1648 წლებში სუფრაჯ ავთანდილ ბარათაშვილ-აბაშიშვილთან ერთად მისი ძმის მერაბისა და მისი ძმისწულის აბაშის მოხსენიებას, ამავდროულად ყურადღებას გავამახვილებთ 1654 წლის მერაბ აბაშიშვილის მიერ პაპუნა არეშიშვილისთვის მიცემულ ნასყიდობის წიგნზეც, სადაც მერაბის შვილებად დასახელებულნი არიან: შერმაზანი და სულხანი, სავსებით ლოგიკურია თუ ვიფიქრებთ, რომ სუფრაჯ ავთანდილ აბაშიშვილს ბადურას, ლევანის, აბელის, გორჯასპის, ქაიხოსროს, და იესეს გარდა ჰყოლია კიდევ ერთი, მისი მოსახელე ვაჟი – სახელად ავთანდილი.

ჩვენს მიერ გამოთქმული მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, Sd კოლექციაში დაცული კიდევ ერთი 1664 წლის მამულის წყალობის წიგნი, მიცემული ქართლის მეფის ვახტანგ V-ის (1658-1675 წწ.) მიერ ავთანდილ და ქაიხოსრო ბარათაშვილებისადმი. გთავაზობთ საბუთის ტექსტს:

ქ. ნებოთა და შეწეწითა ღმ(რ)თისათა.

ჩვენ, ღმ(რ)თივ აღმართებულმან, ღმ(რ)თივ დამყარებულმან და ღმ(რ)თივ გვირგვინოსანმან, მეფეთ მეფემან, პატრონმან| შაჰნავაზ და თანამეცხედრემან ჩვენმან, დედოფალთ დედოფალმან, პატრონმან მარიამ, პირმშომან და სასურველმა ძემან ჩვენმან, პატრონმან გიორგიმ და ლევან ესე უკუნისამდის ჟამთა და ხანთა გასათავებელი, მტკიცე და შეუცვალებელი წყალობისა წიგნი და სიგელი შეგიწყსლეთ და გიბოძეთ თქვენ, ერდგულთა და თავდადებით ძრავალფერად ნამსახურთა ყმათა, ბარათაშვილს ავთანდილს, ძმასა შენსა ქაიხოსროს, შვილთა და მომავალთა სახლისა თქვენისათა ყოველთავე.

მას ჟამსა, ოდეს მოგვიდევით კარსა და თქვენის სამკვიდროს სოფელი ქციის წყალობას დაგვეაჯენით, მოკითხული ვქენით და მამათა და პაპათა თქვენთა სამკვიდრო იყო და ცოტას ხანსა დაუნაშავებლად გამოგროთმოდათ, აწე, ისევე შეგიწყსლეთ, გიბოძეთ სოფელი ქცია მისითა მითთა, ბარითა, წყლითა, წისქვილითა, ველითა, ვენახითა, ჭალითა, სათიბითა და უთიბითა და ყოვლის მისის სამართლიანის სამძღურითა, თქვენთვის და თქვენთა შვილთათვის გვიბოძებია ყოვლის კაცის უცილებრად, გქონდეს და გიბედნიეროს ღ(მერ)თ(მა)ნ ჩვენსა ერდგულობისა და სამსახურსა შიგან, ესე ასრე

გავითავდეს და არაოდეს არ მოგეშალოს არა ჩვენგან და არა შემდგომად სხვათა მეპატრონეთაგან.

აწე, გიბ(რძანე)ბთ კარისა ჩვენისა ვეჟილ-ვეზირნო, მდივანო და სხვა-ნო მოსაქმენო ბ(რძანე)ბა და ნიშანი ჩვენი თქვენცა ასრე გაუთავეთ, ნურას მოუშლით და შეეცილებით, თვინიერ თანადგომისა და შეწვევისაგან კიდე.

დაიწერა ბ(რძანე)ბა და ნიშანი ჩვენი ესე ქ(ორონი)კ(ონ)ს ტნბ, თიბათ-ვეს ზ, ელისა კარისა ჩვეისა მდივან-მწიგნობარის, მარტიროზიშვილის ბეგ-თაბეგისათა [ხელრთვები: „შ[ა]ჰ[ნ]ა[ვ]ა[ზ]“, „მარიაშ“] (პუნქტუაცია და ქარაგ-მის გახსნა ჩვენია – თ.გ.).³⁸

როგორც საბუთიდან ვგებულობთ, ვახტანგ V და მისი თანამეცხედრე მარიამი ავთანდილ და ქაიხოსრო ბარათაშვილებს აძლევენ დროებით წართ-მეულ სოფელ ქციას, რომელიც მათ მამა-პაპათა საკუთრებას წარმოადგენდა, რომელიც მათ „ცოტას ხანსა დაუნაშავებლად“ გამორთმეული ჰქონდათ.

ამ საბუთთან დაკავშირებით მეტად საინტერესო სურათი გვაქვს, რაც გამოიხატება იმით, რომ ამ საბუთის გარდა არსებობდა იგივე შინააარსის კი-დევე ერთი დოკუმენტი, რომელსაც თან დართული ჰქონდა ტექტის სპარსუ-ლი ვარიანტი. ამას მოწმობს Sd-1 საბუთის პირი, რომლის გადამწერს ქარ-თულ ტექსტან ერთად გადმოუწერია საბუთის სპარსული ვერსიაც. აღნიშნუ-ლი პირის, როგორც ქართული ასევე სპარსული ვარიანტი გამოქვეყნებული აქვს ვლადიმერ ფუთურიძეს თავის მონოგრაფიული ტიპის ნაშრომში „ქარ-თულ-სპარსული ისტორიული საბუთები“. Sd-1 საბუთისა და 1450 ფონდის საბუთების ქართული ტექსტი სიტვასიტვით იმეორებს ერთმანეთს, რაც შეე-ხება 1450 ფონდის სპარსულ ვერსიას ის კიდევე უფრო ავსებს საბუთის ქარ-თულ ვარიანტს, სადაც პირდაპირ არის ნათქვამი, რომ „გამოვიდა მაღალი ბრძანებულება, რომ ავთანდილ-ბეგ ბარათაშვილის შვილების – სიდიადის სა-ფარველის ავთანდილისა და ქაიხოსროსადმი წყალობის [მიპყრობის] და კე-თილგანწყობილების გამო, იმ საფუძველზე, რომელიც ქვემოთ ქართულად არის დაწერილი, ჩვენ დავუმტკიცეთ წესისამებრ თიულად ხსენებული, ნიან-გის წლის ცხრათვეობის დასაწყისიდან, საბარათიანოს სოფელი ქცია, რომე-ლიც წინათ ხსენებულთა მშობელს ჰქონდა დამტკიცებული...“³⁹

აქ უკვე გარკვევით არის ნათქვამი, რომ ავთანდილ და ქაიხოსრო ბა-რათაშვილების მამას სახელად ავთანდილი რქმევია, რომელსაც აღნიშნული

³⁸ ხეც. Sd-1.

³⁹ ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, გვ. 302.

სოფელი ქცია ჰქონია ადრე დამტკიცებული. ისმის კითხვა – ვინ შეიძლება ამ საბუთის სპარსულ ვერსიაში მოხენიებულ ავთანდილ და ქაიხოსრო ბარათაშვილების მამა ავთანდილში მოვიანროთ?

მას შემდეგ, რაც გავარკვეეთ აბაშ ბარათაშვილისა და სუფრაჯ ავთანდილ აბაშიშვილის პაპა-შვილიშვილობის საკითხი, სრულიად ნათელია, რომ აქ მოხსენიებულ ავთანდილისა და ქაიხოსროს მშობელ ავთანდილში 1627-1648 წლებში მოღვაწე ქართლის დელოფლის სუფრაჯი – ავთანდილი უნდა მივიჩნიოთ. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს, 1584 წლის ქართლის კათალიკოს ნიკოლოზის წყალობის წიგნი გაცემული მანგლისის საყდრისადმი, რომელიც ზემოთ არა ერთხელ მოვიყვანეთ და რომლის მიხედვითაც აბაშ ბარათაშვილის საკუთრებას სხვა სოფლების გარდა სოფელი ქციაც წარმოადგენდა. საკვებით ლოგიკურია თუ ვიფიქრებთ, რომ თავისი პაპის – აბაშ ბარათაშვილის ქონება გადასცემოდა თავის შვილიშვილს, ამ შემთხვევაში სუფრაჯ ავთანდილ ბარათაშვილს, რაც იმდროინდელ ქართულ ფეოდალურ ურთიერთობებში ჩვეულებრივი მოვლენა იყო.

ასე, რომ 1662 წლის ორი საბუთის, 1664 წლის ვახტანგ V-ის წყალობის წიგნის, ამავე 1664 წლის საბუთის პირის სპარსული ვარიანტისა და 1584 წლის ქართლის კათალიკოსის საბუთების ურთიერთშეჯერების საფუძველზე შეგვიძლია თამამად განვაცხადოთ, რომ სუფრაჯ ავთანდილ ბარათაშვილს ბადურას, ლევანის, აბელის, გორჯასპის, ქაიხოსროს და იესეს გარდა ჰყოლია კიდევ ერთი, მისი მოსახელე ვაჟი სახელად ავთანდილი. გარდა ამისა, ვიგებთ, რომ ქართლის დელოფლის სუფრაჯ ავთანდილის მფლობელობაში ყოფილა სოფელი ქცია, რაც მის სახელზე გაცემული დოკუმენტებიდან არ ჩანდა. როგორც ჩანს, ეს წყალობის სიგელი დროთა სიავის გამო განადგურდა და ჩვენამდე ვერ მოაღწია.

მიღებული დასკვნების შემდეგ შესაძლოა და ლოგიკურიცაა დაისვას შემდგომი კითხვები – თუ ჰყავდა სუფრაჯ ავთანდილს მისი მოსახელე ვაჟი ავთანდილი რატომ არ მოიხსენიება არც 1627-1648 წლების ავთანდილის სახელზე გაცემულ საბუთებში და არც 1653 წლის როსტომ მეფის წყალობის სიგელში აბელ ბარათაშვილისა და მისი ძმებისადმი? თუ 1653 წლის როსტომის წყალობის წიგნში აბელის გვერდით მისი ძმების: ქაიხოსროსა და იესეს სახელებს ვხვდებით, მაშინ რატომ არის, რომ 1664 წელს ვახტანგ V-ის წყალობის სიგელში ჯერ ავთანდილ ბარათაშვილია მოხსენიებული, ხოლო შემდეგ მისი უფროსი ძმა ქაიხოსრო?

ჩვენს მიერ ზემოთ დასმულ პირველ კითხვას შეიძლება ერთადერთი ახსნა მოეძებნოს ის, რომ სუფრაჯ ავთანდილ აბაშიშვილის ვაჟი 1653 წლისათვის მცირეწლოვანი იყო და ამის გამო არ არის ის მოხსენიებული მისი ძმების გვერდით. რაც შეეხება მეორე კითხვას აქ ჩვენი აზრით, ქართულ ფეოდალურ ოჯახში უფროს-უმცროსობის პრინციპის დარღვევასთან გვაქვს საქმე, რომელიც, როგორც ზემოთ ვაჩვენეთ, მკაცრად იყო განსაზღვრული. აქ გასათვალისწინებელია და ყურადსაღებია ის ფაქტიც, რომ ავთანდილი მისი სახელოვანი მამის მოსახელეა, იმავდროულად აქტიური პოლიტიური ფიგურაცაა, ყოველივე ამის ფონზე გააკვირვებას არ უნდა იწვევდეს მის მიერ აღნიშნული ფეოდალური ოჯახის უფროსობის დაკავება. სწორედ ამით უნდა იყოს გამოწვეული ის, რომ 1664 წლის ვახტანგ V-ის წყალობის წიგნში ჯერ ავთანდილია მოხსენიებული, ხოლო შემდგომ მისი უფრი ძმა ქაიხოსრო.

თუ ჩვენი მსჯელობა სწორია და ეს როგორც ზემოთ ვაჩვენეთ ასეა, მაშინ იბადება კიდევ ერთი კითხვა – თუ რით შეიძლება აიხსნეს ის ფაქტი, რომ 1664 წლისათვის ავთანდილისა და ქაიხოსროს გვერდით ვეღარ ვხვდებით მათი ძმების: აბელისა და იესეს სახელებს?

დასმულ კითხვას ერთადერთი ლოგიკური ახსნა შეიძლება მოეძებნოს ის, რომ 1664 წლისათვის ისევე როგორც აბელი, ასევე იესეც გარდაცვლილნი არიან და სწორედ ამის გამოა, რომ ისინი აღნიშნულ დოკუმენტში უკვე აღარ იხსენიებიან. თუ გავითვალისწინებთ, 1653 წლის როსტომ მეფის წყალობის განახლების წიგნს, სადაც აბელი და იესე ცოცხალ პირებად გვევლინებიან და ყოველივე ამას შევუჯერებთ 1664 წლის ვახტანგ V-ის წყალობის დოკუმენტს, სადაც უკვე აღარც აბელისა და აღარც იესეს სახელი აღარ გხვდება, მაშინ შეგვიძლია დავადგინოთ ავთანდილ და ქაიხოსრო ბარათაშვილების ძმების: აბელისა და იესეს გარდაცვალების თარიღი და იგი ზოგადი ქრონოლოგიური მონაკვეთით 1653-1664 წლებით განვსაზღვროთ.

ამრიგად, ზემოთჩამოთვლილ დიპლომატიკურ ძეგლებში დაცული ინფორმაცია ავთანდილ ბარათაშვილ-აბაშიშვილის ფეოდალური ოჯახის შესახებ დაწვრილებით განვიხილოთ, ამ ყოველივეს შევუჯერეთ აბელ ბარათაშვილისა და მისი ძმების შეწირულების აქტი პირღებულის ღმრთისმშობელისადმი, რამაც მიგვიყვანა მეტად საინტერესო დასკვნებამდე, რომელიც შემდგომში მდგომარეობს:

1. 1627 წლის ჯაჰანბანუ დედოფლის წყალობის სიგელის მიხედვით, ქართლის დედოფლის მიერ ავთანდილისათვის ნაბოძები ნასოფლარი დიდი

ურცვეანი მისი წინაპრების საკუთრებას წარმოადგენდა.

2. 1628 წლის ქართლის დედოფლის წყალობის წიგნის თანახმად, ავთანდილ ბარათაშვილ-აბაშიშვილის პაპას სახელად აბაში რქმევია. გოლთეთა-სა და ღუეზის მამულები ავთანდილ აბაშიშვილის წინაპრების საკუთრებას წარმოადგენდა, რომელსაც ჯაჰანბანუ დედოფალი თავის მხრივ უახლებს ერთგულ ფეოდალს. გარდა ამისა, მოვანდინეთ აღნიშნული აბაშის იდენტიფიცირება 1506-1529 წლებში მოღვაწე აბაშ ბარათაშვილთან.

2. ავთანდილ ბარათაშვილის წინაპართა მფლობელობაში ყოფილა შემდგომი სოფლები: ურცვეანი, გოლთეთა, ღუეზი, ქცია, თეთრანი, მრატეთელა, შოშილეთი, იფნარიანი, ახალშენი, ვარდისუბანი, დია და ახალდია.

3. ავთანდილ აბაშიშვილის წინაპართა საქვალეს მანგლისის საყდარი წარმოადგენდა.

4. ამოვედით იქიდან რა, რომ ავთანდილ ბარათაშვილ-აბაშიშვილის გვერდით მისი ძმა მერაბი და მისი ძმისწული აბაში უკანასკნელად 1637 წლის საბუთში არიან მოხსენიებულნი, ამ ცნობას შევუჯერეთ 1644 წლის ნასყიდობის წიგნი, სადაც აღარც ავთანდილის ძმა მერაბი და აღარც მისი ძმისწული აბაში არიან მის გვერდით დასახელებულნი და ამ ყოველივეს გათვალისწინებით, ავთანდილისა და მისი ძმის მერაბ ბარათაშვილ-აბაშიშვილების გაყოფა ზოგადი ქრონოლოგიური თარიღით – 1637-1644 წლებით განვსაზღვრეთ.

5. გავითვალისწინეთ, რომ დედოფლის სუფრაჯი ავთანდილ ბარათაშვილ-აბაშიშვილი მოქმედ პირად ბოლოს 1648 წლის დავის დოკუმენტში არის დასახელებული, ხოლო 1653 წლის საბუთში კი უკვე გარდაცვლილია. აღნიშნული ორი დოკუმენტში დაცული ცნობების ურთიერთშეჯერების საფუძველზე ავთანდილის გარდაცვალების თარიღი ზოგადი ქრონოლოგიური მონაკვეთით – 1648-1653 წლებით განვსაზღვრეთ. აქედან გამომდინარე, აბელ ბარათაშვილისა და მისი ძმების შეწირულების აქტის დღემდე ქართულ ისტორიოგრაფიაში მიღებული ზოგადი ქრონოლოგიური მითითებები – XVII ს. [1644-1650-იანი წლები] კიდევ უფრო დავავიწროვეთ და ხუთწლიანი შუალედით, ამავე 1648-1653 წლებით დავათარიღეთ. ამავე 1648-1653 წლებით განვსაზღვრეთ სუფრაჯ ავთანდილის ვაჟის ლეონ ბარათაშვილის გარდაცვალების ქრონოლოგიაც.

6. 1662 წლის ორი საბუთის, 1664 წლის ვახტანგ V-ის წყალობის წიგნის, ამავე 1664 წლის საბუთის პირის სპარსული ვარიანტისა და 1584

წლის ქართლის კათალიკოსის საბუთების ურთიერთშეჯერების საფუძველზე შეგვიძლია თამამად განვაცხადოთ, რომ სუფრაჯ ავთანდილ ბარათაშვილს ბაღურას, ლევანის, აბელის, გორჯასპის, ქაიხოსროს და იესეს გარდა ჰყოლია კიდევ ერთი, მისი მოსახელე ვაჟი სახელად ავთანდილი. გარდა ამისა, ვიგებთ, რომ ქართლის დედოფლის სუფრაჯ ავთანდილის მფლობელობაში ყოფილა სოფელი ქცია, რაც მის სახელზე გაცემული დოკუმენტებიდან არ ჩანდა.

7. გავითვალისწინეთ, 1653 წლის როსტომ მეფის წყალობის განახლების წიგნი, სადაც აბელი და იესე ცოცხალ პირებად გვევლინებიან და ყოველივე ამას შევუჯერეთ 1664 წლის ვახტანგ V-ის წყალობის დოკუმენტი, სადაც უკვე აღარც აბელისა და აღარც იესეს სახელი აღარ გხვდება, ყოველივე ამის საფუძველზე დავადგინეთ ავთანდილ და ქაიხოსრო ბარათაშვილების ძმების: აბელისა და იესეს გარდაცვალების თარიღი და იგი ზოგადი ქრონოლოგიური მონაკვეთით 1653-1664 წლებით განვსაზღვრეთ.

ლოკუმენტები:

ავთანდილ ბარათაშვილ-აბაშიშვილი
(1627-1648წწ)

1627 წ. ჯაჰანბანუ დედოფლის წყალობის წიგნი, მიცემული ავთანდილ ბარათაშვილისადმი სოფელ დიდი ურცევანის ბოძების შესახებ

პ ი რ ი: სცსა. ფ. 1450, დავთ. 15, №30.

საბუთს ბოლოში, როგორც ჩანს, ჯაჰანბანუ დედოფლის ბეჭედი ჰქონდა დასმული, რადგანაც იგი გადამწერის მიერ არის გადმოხატული.

გამოცემა: ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები. ტექსტი დაადგინა, თარგმანი და შენიშვნები დაურთო ვ. ფუთურიძემ. თბ. 1955, გვ. 73-74, №30.

[ქ]. ნებითა და შეწევნითა ღ(მრ)თისათა.

ჯ(ა)ჰ(ა)ნბანუ[მ] ესე წყალობის წიგნი და ნიშანი [შევიწყალეთ და გიბოძეთ] ჩვენსა ერდგულსა და თავდადებით [ნამსახურსა ყმასა], ბარათაშე(ი)ლს ავთანდილს და შენს ძმასა მერაბსა და თქვენს ძმისწულსა აბაშსა და შვილთა თქვენთა და მოძვალთა სახლისა თქვენისათა ყოველთავე.

მას უამს, როდის მოგვიდეგითა კარსა და თქვენისავ სამკვიდროს წყალობას გვიაჯენით, ჩვენ ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენ[ი] და მოკითხული ვქენით და პირველადც თქვენეივ მამა პაპათა ყოფილ იყო, გიბოძეთ საბარათაშვილი ჩიგა ნასოფლარი დიდი ურცევანი მისით მართლის სამართლიანის სამძღურითა და საქმითა, რასაც მამულს მქონებელი ყოფილიყოს ყოვლითურ თქუენთვის სამკვიდროდ და სამამულედ გვიბოძებია, გქონდეს და გიბედნიეროს ღ(მერ)თმან ჩვენსა ერდგულად სამსახურსა შიგან.

აწე, უუესთესთა მოგახსენებთ და უქედესათა გიბ[რ]ძანებთ კარ[ი]სა ჩვენის ვეჭილნო და ვეზირნო და ს<ა>ხუანო მოსაქმენო ვინვინ აწ ვინ იყუნეთ მერმე რარიგადც ამა ჩვენგან ნაწყალობეგს ფარვანაჩიგა ეწეროს, თქვენც ასრე გაუთავეთ და ნურა ოდეს ნუ მოუშლით და შეცილებით თუნიერ თანდგომისა და შეწევნისაგან კიდე.

ღაიწერა (ბეჭდის ადგილი) ნიშანი და ბრძანება ქ(ორონი)კ(ონ)ს ტიმ,

ხელითა კარციქსა ჩვენისა მღვიან-მწიგნობრციქს – ყორღანაშვილისა პაქატასითა
(ჯაჰანბანუ დედოფლის გადმოხატული ბეჭედი)

საბუთის სპარსული ნაწილის ქართულ თარგმანს გთავაზობთ ვლადიმერ ფუთურაძის პუბლიკაციაზე დაყრდნობით:

„გამოვიდა მალალი ბრძანება, რომ თანასწორთა ბურჯის, ავთანდილ-ბეგისადმი წყალობის [მიპყრობის] გამო, [ჩვენ] ვუწყალობეთ და ვუბოძეთ ხსენებულს, კურდღლის წლის დასაწყისიდან, საბარათიანოს სოფლის ურცევანის მალუჯათი [და სხვა] გადასახადები წლითი წლამდე თიულად. აღნიშნულ ადგილას მცხოვრები ქეთხუდები და გლეხები, აღიარებენ რა ხსენებულ [პირს] თავის თიულდარად, მის კეთილს, ღირსეულ სიტყვას ნუ გადაუხვევენ, ყოველ საქმეს, რომელიც მათ შორის მოხდება, გარდა სისხლის [სამართლის] საქმეებისა, მას მიანდობენ [გადასაწყვეტად] და ერთ ბათმან [პურსაც] და ერთ ღინარსაც არ აღებენ ხსენებულის ცნობის გარეშე. მოხსენებული [თიულდარის] მოვალეობა ის არის, რომ გლეხებს და ღარიბებს ისე მოეპყრას, რომ მდიდართ არ დაჩაგრონ შეუძლებელნი, და მისი კეთილი ქცევის შედეგი გამოჩნდეს. ამის შესახებ [გამოცემული] სასტიკი ბრძანება იცოდნენ, წინააღმდეგობას ნუ გასწევენ, ყოველ წელიწადს ახალ ბრძანებას ნუ მოითხოვენ და როცა [ეს ბრძანება] მალალი ბეჭდით შეიმკობა, ერწმუნონ. დაიწერა კურთხეული ზულჰიჯჯას თვეს, 1036 წ.“⁴⁰

1628. VI. 4. ჯაჰანბანუ დედოფლის წიგნი, მიცემული ავთანდილ ბარათაშვილისადმი სოფელ გოლთეთის დუეზითურთ წყალობის განახლების შესახებ

პ ი რ ი: სცსა. ფ. 1450, დავთ. 15, №51.

საბუთს ბოლოში, როგორც ჩანს, ჯაჰანბანუ დედოფლის ხელრთვა ჰქონდა დასმული, რადგანაც იგი გადამწერის მიერ არის გადმოხატული.

[ქ.] ნებითა და შეწვევითა ღ(მრ)თისათა.

ჩვენ, დედოფალმა, პატრონმა ჯაჰან-აბანუქმქ ესე წყალობის წიგნი და ნიშანი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქვენ, ჩვენსა ერდგულსა თავდადებით ნამსახურს ემასა, აბაშის შვილიშვილს, ავთანდილას და ძმას შენსა მერაბსა და ძმისწულსა

⁴⁰ ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, გვ. 74.

შენსა აბაშსა და შვილთ და მომავალთა და სახლსა თქვენისათა ყოველთავე.

მას უამსა, ოდეს მოვეიღვეთ კარსა თქვენსავ სამკვიდრო მამულს ვოლთეთას გვიჯგენით მისის ღუეზით, მოკითხული ვქენით და პირველადაც თქვენის მამა პაპათა ყოფილ იყო, ჩვენცა წიგნი[ით] ამითა გავიახლეუთ და გიბოძეთ ყოვლის მისის მართლის სამართლიანის საქმითა, მითითა და ბარით, შესავლით და გამოსავლით ყოველთვის თქვენთვის: სამკვიდროდ და სამამულედ გვიბოძებიათ, გიბედნიეროს ღ(მერ)თ(მა)ნ ჩვენს ერდგულად სამსახურსა შიგან.

აწე, უჯესა-თ[ე] <ი>სთა მოვახსენებთ და უქვედ[ა]ეს <ა>თა გიბძანებთ კარსა ჩვენის ვეჟილნო და ვეზირნო და სხუანო მოსაქმენო, მერმე რარივადც ამა ჩვენგან ნაწყალობევს ფარვანაშიც ეწეროს, თქვენც ასრე გაუთავეთ და ნუ მოუშლით და შეცილებით თუნიერა თანადგომისა და შეწვევისაგან კიდე.

ღაიწურა ნიშანი და ბძანება ესე ქ(ლორნი)კ(ონ)ს ტივ, თიბათევს დ, ხელითა კარისა ჩვენის მწიგრიბის ყორღანაშვილის ბატასათა (ჯაჰანბანუ დედოფლის გადმოხატული ხელრთვა).

1628 წ. ჯაჰანბანუ დედოფლის წიგნი, მიცემული ავთანდილ ბარათაშვილისადმი სოფელ კიკეთის წყალობის განახლების შესახებ

პ ი რ ი: სცსა.ფ. 1450, დავთ. 15, №10.

საბუთს ბოლოში, როგორც ჩანს, ჯაჰანბანუ დედოფლის ხელრთვა ჰქონდა დასმული, რადგანაც იგი გადამწერის მიერ არის გადმოხატული.

[ქ.] ნებითა და შეწვევითა ღ(მრ)თისათა.

ჩვენ, დედოფალმა, პატრონმა ჯაჰანბანუ[მ] ესე წყალობის წიგნი და ნიშანი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქვენ, ჩვენს ერდგულსა და თავდადებით ნამსახურსა ყმას, ბარათაშვილ <ი>სა სუფრაჩს ავთანდილს და შენსა ძმას მერაბას და თქვენს ძმისწულს აბაშს და თქვენთა შვილთა და მომავალთა სახლისათა თქვენისათა ყოველთავე.

მას უამს, როდის მოვეიღვეთ კარსა და კიკეთის წყალობასა გვეჯგენით და ჩვენ ვისძინეთ აჯა და მოხსენება თქვენი და პირველადც თქვენი ნაქონი ყოფილ იყო და აწეც, წიგნითა ამით გავიახლეუთ და გიბოძეთ კიკეთი მისით მართლის სამართლიანის სამძღვრითა და საქ<ა>მითა, მითითა და ბარითა, ველითა და ვენახით[ა], სახნავითა და სათიბითა, შესავლითა და გამოსავლითა ყოველითურ თქვენთვინ გვიბოძებიათ ყოვლის კაცის უცილებლად, გქონდეს და გიბედნიეროს

დ(მერ)თმ(ა)ნ ჩვენს ერდგულად სამსახურსა შივან.

აწე, უჩუქ<ჯ>ეკესთესთა მოგახსენებთ და უქვედესთა ვიბძანებთ კარსა ჩვენის ვექილნო და ვეზირნო და სხვანო მოსაქმენო მერმე რარივადც ამ ჩვენგან ნაწყალობევს ფარვანშა ეწეროს, თქვენც ასრე გაუთავეთ თვინიერა თანადგომისა და შეწევნისაგან კიდე.

ღაიწერა ნიშანი და ბძანება ქ(ორონი)კ(ონ)ს ტივ, თებერვალს კე (ჯაჰან-ბანუ დედოფლის გადმოხატული ხელრთვა).

1628 წ. ქაიხოსრო ბარათაშვილის დავის წიგნი საამ საგინაშვილთან, ვოლთეთის წყაროსთან მდებარე ხოლაბუნის შესახებ.

პ ი რ ი: სცსა. ფ. 1450 დავთ. 26, №69, საბუთმა ქართულ სასამართლო სისტემაში 1812 წლის 12 აპრილს გაიარა რეგისტრაცია.

[ქ.] სახელითა სახიერისა, არსება დაუსაბამისა დ(მრ)თისა მამისა, ძისა და სულისა წმინდისა, მეოხებითა ყოვლადწმინდისა დ(მრ)თისმშობელისათა, მარადის ქალწულის მარიამისათა, ძლიერებითა ცხოველსმყოფელისა პატიოსნისა ჯუარისათა, წმინდათა ზეცისა ძალთა მთავარანგელოზთა მიქაილ და გაბრიელისათა, წმინდისა წინასწარმეტყველისა წინამორბედისა ნათლისმცემელისა იოვანესითა და იოვანე ქალწული მახარობელისათა და ყოველთა წმინდათა დ(მრ)თისათა ესე საბოლოოდ გასათავებელი ნიშანი მოგეც მე, ბარათაშვილმა ქაიხოსრომ და ჩემთა ძმამ, თამაზს და ჩემს შვილმა, ნიკოლოზ და ბარათამ თქვენ, საგინაშვილთა სამსონ, დურმ(იშხ)ნს, ზაღიას, თამაზასა, იორამს, სეხნიასა, ზუბიტასა, რევაზას და როსტომს ასრე, რომ ვოლთეთს წყაროსთან, რომ გზა გარდმოვა იქ თქვენ ხოლაბუნს შემომესარჩლენით, გავსინჯეთ და არას შემართლებოდით ძველიდგან თქვენი ყოფილიყო და დავანებთ, რომ არას ჩვენს სახლის კაცს ხელი არა ჰქონდეს თელას ქუეშენი, გქონდეს და ვიბეღნიეროს დ(მერ)თ(მა)ნ, რარივადც ვინდოდეს, რავგარათაც სხუა შენი სამეუიდრო მამული გაქუს დ(მერ)თ(მა)ნ ასრე ეს ვახმაროს, არიან ამასნი დამხდომნი: გიორგი ბარათაშვილი, ფალავან-ხოსრო ბარათაშვილი, ავთანდილ ბარათაშვილი და ჩვენი ყმანი: კოტორაშვილი ხახანა, თანღრიაშვილი ელისბარა და სრულა ჩემნი ყმანი, ქ(ორონი)კ(ონ)ს ტივ. (ადგილი ბეჭდის) (ჩართული)

1629 წლის ჯაჰანბანუ დედოფლის წყალობის წიგნი, მიცემული ავთანდილ ბარათაშვილისათვის მანგლისის მოურავად დანიშნის შესახებ.

დ ე დ ა ნ ი: სცსა. ფ. 1448-3262, ღია ყავისფერი ქალაღი; 1 ფურ-
ცელი; რესტავრაციამდე ზომა: 21,7×14 სმ; ზომა რესტავრაციის შემდეგ:
23,4×16; შავის ფერის მელანი; განკვეთილობის ნიშნებად გამოყენებულია
ორწერტილი ან სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ; რესტავრირებულია;
ტექსტის ხილვადობა მკაფიოა.

ბეჭდები: [მურის ერთი ოვალური სპარსული ბეჭედი ავთანდილ ბარათაშვილისა]

*ქ. ჯაჰანბანუ დედოფალი ვ(ი)ბ(რძანე)ბთ მანგლისის მამასახლის[ნ]ო და
ერთობილნო მან[გ]ელენო, მერმე თქვენი თავი სამოურავოდ სუფრახის ავთანდი-
ლისათუინ მიმიცემია და მოუღევით და რაც / საჩუენო სამსახური იყოს, ნურა
კაცთ უარს / ნუ ეტყუეთ, რაც მოურავის წეს[ი] იყოს, ნუ და[ა]კლებთ, ვინც
უარს ეტყუით ეს იცოდით, რომე ჩვენდაქ შეცოდებად მოგკითხავთ.*

*დაიწერა ნიშანი და ბრძანება ქ(ლორნი)კ(ონ)ს ტიზ, ენკენისთუეს ბ, კე-
ლითა კარ[ი]სა ჩუენის მწიგნობრის – ყორღანასშვილის ბატასათა (ჯაჰანბანუ
დედოფლის ბეჭედი იყო, როგორც ჩანს, სიგელის ბოლოს, რადგან გადამწერს
ბეჭედი გადმოხატული აქვს).*

საბუთს ბოლოში უზის ჯაჰანბანუ დედოფლის ხელრთვა.

მინაწერი verso-ზე: 1. „მანგლისის სამოურავოს წიგნი“. 2. „მანგლისი“.

1630 წ. ჯაჰანბანუ დედოფლის წიგნი, მიცემული ავთანდილ ბარათაშვილისადმი მანგლისის წყალობის შესახებ.

ბ ი რ ი: სცსა. ფ. 1450, დავთ. 15, №29.

საბუთს ბოლოში, როგორც ჩანს, ჯაჰანბანუ დედოფლის ხელრთვა
ჰქონდა დასმული, რადგანაც იგი გადამწერის მიერ არის გადმოხატული.

[ქ.] ნებითა და შეწევნითა ღ(მრ)თისათა.

*ჩუენ, დედოფალმა, პარ-ტ[ო]მა^ნმა ჯაჰან-ბანუ[მ] ესე წყალობის წიგნი
და ნიშანი შევიწყალეთ და გიბოძეთ თქვენ, ჩვენს ერდგულსა და თავდადებით
ნამსახურსა ყბას, ბარათასშვილს, სუფრახის ავთანდილს და ძმას თქვენს, მერაბს*

თამაზ გოგოლაძე. ავთანდილ ბარათაშვილ-აბაშიშვილის ფეოდალური ოჯახი და
1648-1653 წწ. შეწირულობის აქტი ახელ ბარათაშვილის და მისი ძმებისა
პირდებულის ღმრთისმშობელისადმი

და შვილსა თქვენსა, ბაღურას და ძმისწულსა თქვენსა, აბაშსა და შვილთა და მომაგალსა სახლისა თქვენისათა ყოველთავე.

მას ჟამს, როდეს მოგვიდევით კარსა და მაგლის გვიჯენით, ჩვენ ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი და მოკითხული ვქენით და პირველადც თქვენის მამა პაპათა სამკვიდრო და სასაფლავო ყოფილ იყო და ახლაც წიგნითა აბითა გავიხსნეთ და ვიბოძეთ თქვენვე სამკვიდრო მანქელისი, ვიბედნიეროს ღ(მერ)თ(მა)ნ ჩვენსა ერდგულად სამსახურსა შიგან ყოველის მისის შესავლითა და გამოსავლითა და მართლის სამძღურითა და საქმით.

აწუ, უუესთესთა მოგახსენებთ და უქუედესთა ვიბძანებთ კარისა ჩვენისა ვეჭილნო და ვეზირნო და სხუანო მოსაქმენო, ვინვინდვინ იყუნეთ ანუ ვინვინ აწ ვინ იქნებოდეთ, მერმე რარიგადც ამ ჩუენგან ნაწყალობევს სიგელშიგ ეწეროს, თქუენც ასრე გაუთავეთ, აწ, ნუ ეს ოდეს ნუ მოუშლით და შეცილებით თანჯაღვომისა და შეწვენისაგან კიდე.

ღაიწურა ნიშანი და ბძანება ქ(ორონი)კ(ონ)ს ტიშ, ხელითა კარსა ჩუენისა ძლივან-მწიგნობ<ა>რიქს – ყორღანასშვილისა ბატასათქაქ (ჯაჰანბანუ დედოფლის ვადმოხატული ხელრთვა).

**1637 წ. სათიბის გაცვლის წიგნი, მიცემული ავთანდილ ბარათაშვილის მიერ
მგელია ვალალაშვილისადმი**

ღ ე ღ ა ნ ი: სცსა. ფ. 1448-2936, ყავისფერი ქალაღლი ლაქებით, ორად გაკეცილი; 1 ფურცელი; რესტავრაციამდე ზომა: 43,1×12,6 სმ; ზომა რესტავრაციის შემდეგ: 44,5×14,3; შავის ფერის პელანი; განკვეთილობის ნიშნებად გამოყენებულია ორწერტილი ან სამწერტილი, ან ოთხწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ; რესტავრირებულია, ნაპირები ოღნავ გაცვეთილია; ტექსტის ხილვადობა მკაფიოა.

ბეჭდები: [მურის ერთი ოვალური სპარსული ბეჭედი ავთანდილ ბარათაშვილისა]

ქ. ნებითა და შეწვენითა ღ(მრ)თისათა, / მამისა, ძისა და სულისა წმიდისათა / შევიწყალეთ და ვიბოძეთ ესე / ჟამთა ვასქათავებელი წიგნი და / სიგელი ჩუენ, ბარათასშვილმა <პატავთ>, პატრონმა ავთანდილ და ძემსა ჩუენმა, პატრონმა / ლევან და ძ<ა>მამა ჩუენმა, პატრონმა მერაბ, ძ<ა>მისწულმა ჩუენმა, პატრონმა აბაშ, შენ, ვალალასშვილს მგელიქს და სახლისა მომაგალსა შენისათა

ასრე და ამ პირსა ზედა, რომე ფეშქაში მოგვართვით და ჭიჭირიანს სათიბს და ახლათას, ერთს ნაოხ/ქარს ცხურის საფარეხეთ, გვიჯენით, ვისმინეთ აჯა და / მოხსენება თქუენი, შევიწყალეთ და გიბოძეთ, მოგცეს / ღმერთმან და გიბედნი<ა>ქროს, / მერმე მოკითხული ვქენით / და ამას წინათაც ელიო/ზს თქუენთუის ახლათას მიწები მოეცა, გამოგართვით და იმის მუქვით ეს გიბოძეთ, ვინც შევიშქალოს / თავად რისხავს ღმერთი // და ყოველი მისი წმინდანი ზე/ცისანი და ქვეყანისანი, არის ამის მოწამე: ყვაყანი სუთიანი და ონოკაი და მაგლელი გულუაი და ნიკოლოზა და მე, პქარონ სარქისის/შვილს ბქაინდურს დამ/ციწერი და მოწამეც ვარ.

მერმე / ის ადგილი საზქამთროთ მოგე/ცით, ზაფხულით ცხვარს / იქ ნუ წაქასხამთ და არც საზქა/ფხულით მოგვიცემია.

დაიწერა თებერვალსა იბ, ქ(ორონი)კ(ონ)ს / ტკე [ოვალური სპარსული ბეჭედი ავთანდილ ბარათაშვილისა] †

1641 წ. როსტომ მეფის წყალობის წიგნი, მიცემული მის დისწულს, ზვარამან ბატონიშვილისადმი ავთანდილის ნაქონი სოფელი კიკეთის ბოძების შესახებ

პ ი რ ი: სცსა. ფ. 1450, დავთ. 15, №11.

გამოცემა: ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები. ტექსტი დაადგინა, თარგმანი და შენიშვნები დაურთო ვლ. ფუთურიძემ. თბ. 1955, გვ. 157-158, №70.

[ქ.] ჩვენ, მეფეთ მეფემან, პატრონმან როსტომ ესე საბოლოოვით და სამკუიდროთ გასათავებელი კიკეთის სოფლისა წიგნი შევიწყალეთ და გიბოძეთ თქვენ, ჩუენს დისწულსა, ბატონიშვილს ბატონს ზვარამანს და შეილთა თქუენთა, ლეონს და დავითს და ბერს იოსებს, მომავალთა სახლისა თქვენისათა.

ასრე, რომე ამ სოფელთან არს ავთანდილის სახლის კაცს ზელი არა ქონდეს, ქ(ორონი)კ(ონ)ს ტკთ, თებერვალს /ხელნართული/ რარიავადცა ამ წიგში წყალობა გვიძნია [ადგილი ბეჭდის], ესა წიგნი ასრე უნდა გათავდეს [ადგილი ბეჭდის].

საბუთის სპარსული ნაწილის ქართულ თარგმანს გთავაზობთ ვლადიმერ ფუთურიძის მიხედვით:

„გამოვიდა მაღალი ბრძანება მასზე, რომ ის, რაც წინათ ავთანდილ-ბეგს
ეკუთვნოდა, ჩვენც წესისამებრ მას ვუწყალობეთ. დაიწერა შავალის თვეს, 1042
წელს“⁴¹

**1641 წ. როსტომ მეფის წყალობის წიგნი, მიცემული მის დისწულს,
ხვარაშან ბატონიშვილისადმი ავთანდილის ნაქონი სოფელი გოლთეთის
ბოძების შესახებ**

პ ი რ ი: სცსა. ფ. 1450, დავთ. 15, №52.

საბუთს ბოლოში, როგორც ჩანს, როსტომ მეფის ხელრთვა ჰქონდა
დასმული, რადგანაც იგი გადამწერის მიერ არის გადმოხატული.

*ჩუენ, მეფეთ მეფემან, პატრონმ(ა)ნ როსტომ ესე სამკუიდროთ და საბო-
ლოვით გასათავებელი წიგნი და სიველი შევიწყალეთ და გიბოძეთ თქუენ, ჩუენ-
სა დისწულს, ბატონიშვილს ბატონს ხუარეშანს და შვილთა თქუენთა, ლეონს
და დავითს და ბერს იოსებს და ჩამომავლთა სახლისა თქუენისათა ყოველთავე.*

*ასრე და ამას პირსა ზედა, რომე არს ავ<ტ>[თ]ანდილას ს[ა]ხლის კაცს
გოლთეთს ხელი ნურვის აქუს, ქ(ორონი)კ(ონ)ს ტკთ, თებერვალსა დ. (როსტომ
მეფის გადმოხატული ხელრთვა) ეს წიგნი ასრე უნდა რომე გათავდეს [ადგილი
ბეჭდისა].*

**1644. III. 27. მიწის ნასყიდობის წიგნი, მიცემული ევანეზა ზეგულაშვილის
მიერ ავთანდილ ბარათაშვილისადმი**

პ ი რ ი: სცსა. ფ. 1450, დავთ. 33, №66.

*[ქ.] ნებითა და შეწვევითა ღ(მრ)თისათა მამის, ძისა და სულისა წმინდისა-
თა, ოხითა და მეოხებითა ყოველად წმინდის დედოფლის ღ(მრ)თისმშობლის, მა-
რადის ქალწულის მარიამისათა, ზეცის ძალსა და ქუეყნად ანგელოზთა ათ<ა>თა
და თორმეტთა თავთა მოციქულ<ტ>[თ]სა პეტრე და პავლესითა, ამათის
შ[ქ]ემ[ქ]წ[ქ]ო<მი>ბითა და შუამდგომლობითა, ოხითა მეოხებითა წმინდის გიორგი-*

⁴¹ ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, გვ. 158.

სათა და წმინდის ატენისითა და წმინდის სამებისითა ამათის მოწმობითა და შუამდგომლობითა მოგეცით ესე ნასყიდობის წიგნი უკუნის უკუნისამდის შეუშლელ და შეუცვალეებელ ჩვენ, შუა ბოლნელმა ზეგულასშვილმა ევანეზამა და ძმაძა ჩვენმა, სარქისამ და შერმაზანამ თქვენ, ბარათასშვილს, სუფა-რჩ<ა>ს ბატონს ავთანდილს და შვილსა თქვენსა, ლევანს და აბელს და გორჯასპის მოგყიდეთ ჩვენი მიწა თქვენის ზურის პირს ყოვლის კაცისაგან უცილებელი მისის სამართლიანის სამძ<უ>ღურითა ბოლო ზურის ბოლომდის თავი ავეტისას სამძღურომდის, გამოგართვით ფასი [სრული, რაზუც] გული ჩვენი შეგჯერდებოდა, ასრე, რომე თქვენზედა არა დარჩარა, არის ამისი მოწამე და შუადამხდური თავად ღ(მერ)თ(ი) და მერმე ქვეყნად ხორციელი მამასახლისი სამებისა, ამზაბევის ყმა ნაცვალი ბაინდურა, ხასადარი ადიბევა, მამასახლისის ძმა, ფინეზა და ზურაბ ლებრისშვილი, ვართაზა ნერსესასშვილი, ყულია მირქასშვილი, ვართანა იერდგარასშვილი, სოლთამა, სრულ ერთ პირად შუა ბოლნელნი ამისი მოწამენი არიან, აწე, ვარეშე მოწამე ბარათისშვილი ბეჟან, (?)ობიბასშვილი ყორხმაზ, კახაბრისშვილი ღუშია, თუშმალისშვილი შერმაზანა.

ღაიწერა ესე წიგნი მარტის კზ, ქ(ორონი)კ(ონ)ს ტლბ, მე, პარუნ სარქისას შვილს, ბაინდურას ღამიწერია და მოწამეცა ვარ × ჩჩ[ბეჭდის ადგილი]ჩჩ

1646. III. 13. ვენახის ნასყიდობის წიგნი, მიცემული მამასახლის სამებისას მიერ ალიხანა იაგულაშვილისადმი

პ ი რ ი: სცსა. ფ. 1450, დავთ. 9, №133.

[ქ.] სახელითა სახ<იე>ჩ<უ>რისა, არსება <არსება> დაუსაბამოსა ღმ(რ)თისა მამისა, ძისა და სულისა წმიდისათა, თავდებობითა, მინდობითა და შუამდგომლობითა უმეტესად ყოვლად უზრწნელიისა, ყოვლად ქებულისა და უფროსდად კურთხეულად დედოფლისა ჩუ(ე)ნისა ღმ(რ)თისმშობელიისა, მარადის ქალწულისა მარიამისათა, თავდებობითა, მინდობითა და შუამდგომლობითა ცხოველსმყოფელისა პატიოსნისა ჯვარისათა, რომელსა ზედა ჯვარს ეცვა უფალი ჩუენი იესო ქრისტე ჴსნისა ჩუენისათვინ, მისითა თავდებობითა, მინდობითა და შუამდგომლობითა წმიდათა ზეცისა ძალთა ანგელოზთა და მთავარანგელოზთა მიქელ და გაბრიელითა, თავდებობითა, მინდობითა და შუამდგომლობითა ეს<ს>[ქ] უკუნისამდის უამთა გასათავებელი მტკიცე და შეუცვალეებელი, სამკვიდროდ და საბოლოოდ მოუშლელი ნასყიდების წიგნი და სიგელი ღავიწერეთ და მოგეცით ჩუენ, შუა

ბოლნისის მამასახლისმა, სამებისმა, ძმამ ჩემან, ფი<ი>ნეზამა, პაქატამა და ზურაბამან, შვილმა ჩუენმა და მომავალმა სახლისა ჩუენისამა, თქვენ, კელმწიფვის კარის ყაფ<ი>ჩის, ალიხანს, შვილსა თქვენსა, ალავერდის და ბეჟანსა, მომავალთა სახლისა თქვენისათა.

მას უამსა, ოდეს ვიგულეთ და ვიგულისმოღვინეთ, ჩუენის ნება-წადილითა მოგ<ტ><ყ>იდეთ ჩუენის ყმის, სათუმაშვილს ზეჩიკას ნაქონი ოთახი ველი ვენახი შენის ვენაკის თავშია და ავიღეთ შენგან იმის ფასი, რითაც ჩუენი გული შეგჯერდა, ა<ი>მ ჩუქენის ყმის ნასყიდი იყო, ჩუენ იმას გამოვართვით და თქვენ მოგყიდეთ, მოგცეს (ღმე)რ(თ)მ(ა)<თ>ნ და მოგაკმაროს ასრე, რავუარადა<ა>ც შენს გულს ეპრიანებოდეს, ვერა კაცი ვერ შემოგეცილოს თვინიერ ერთის ღმ(რ)თის მეტი, არის ამისი მოწამე და დაამზდომი: ბატონის დედოფლის სუფრანი, ავთანდილ, ბოქულოთუხუცესი ფალავანხოსრო, შუა ბოლნელი ხ<ა>ასადარი აღიბეგა, ნაცვალი ბაინდურა ჯაგარაშვილი, სარქისა ყაფჩი მანთაშა და სრულად ერნი <ბოლნი> შუა ბოლნელნი, მე, ბატონის დედოფლის ძღვიანს – მართიროზიშვილს შალვას დამიწერია და მოწამეც ვარ.

დაიწერა ნასყიდობის სიგელი ესე ქ(ორონი)კ(ონ)ს ტლდ, მარტს იგ, თუ ვინმე ამ ჩუენგან მოცებულს და მოსყიდულს მამულს შემოგეცილოს, მასამცა რისხავს დაუსაბამო ღმ(ერ)თი მამა, ძე და სული წმინდა და ყოველნი წმინდანი ღმთისანი ზეცისა და ქუეყანისანი, ჯორციელნი და უჯორციონი. ††

1648. V. 22. სახლის დავის წიგნი ტოტუაშვილებსა და აჯაბნუშასშვილებს შორის

დ ე დ ა ნ ი: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. Qd-503, მოყვითალო ფერის ქალაღი ლაქებით, ორად გაკეცილი; 1 ფურცელი; ზომა: 49,3×21,1; შავის ფერის მელანი; განკვეთილობის ნიშნებად გამოყენებულია ორწერტილი ან სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ; ტექსტის ხილვადობა მკაფიოა და თავიდან ბოლომდე თავისუფლად იკითხება.

საბუთს ბოლოში უზის შემდეგი ბეჭდები: ყაფლან ბარათაშვილის ოთხკუთხედი ფორმის ბეჭედი: [ყაფლან]; შემდგომი ბეჭედი გადაშლილია და შესაბამისად არ იკითხება []; ჯაჰანბანუ დედოფლის სუფრაჯ, ავთანდილი ბარათაშვილის ოთხკუთხედი ფორმის ბეჭედი: [ავთ(ან)დილ]; შემდგომ მოდის თანიას ასევე ოკუთხედი ფორმის ქართულ-სპარსული ბეჭედი: [თანია].

გამოცემა: დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის (XVI-XIX სს.)
წიგნი პირველი. შეადგინეს ნიკო ბერძენიშვილმა და მამისა ბერძენიშვილმა.
თბ. 1962, №9; ქართული სამართლის ძეგლები. სასამართლო განჩინებანი
(XVI-XVIII სს.). ტ. IV. ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძებლები
დაურთო პროფ. ი. დოლიძემ. თბ. 1972, №30, გვ. 86-88.

ქ. ნებითა და შეწვევითა ღმ(რ)თისათა, ბძანებითა დე(ლო)ფალთა პატრონისა მარიამისათა, დავსხედით ჩუენ, სახლისუხუცესი, ბატონი ყავლან, სუფრაჩი, ბატონი ავთანდილ, ძღვიანი ავთანდილ, ქალაქის მელ(ი)ქი ენალ, მამასახლისი ასლამაზ, ქალაქის უფროსი და აფს კაცი, მანდენაშვილი მანდენა, ფარყუზათაშვილი რამაზა, სოღრ(უ)აშვილი პაპია, ფეთხიმის ძღრდელი, ტერ-გრიგოლ და / მისი შვილი, სერაპიონ, მახარობელი გედუსშვილი, ძღრდელი ივანე ბეგლიკაშვილი, მერაბა ხოსინაშვილი, მჭედელი პაპია და ტოტუაშვილი მახარობლის შვილი, ბასილი, მისი ძმა გარსევან და ივანე და აჯაბნუშასშვილ<ე>ები ყულია და მისი ძმები, სახლისა და მარნის ალაგ ზედა ცილობდეს, მიველით, გავსინჯეთ, გავ(ა)სამართლეთ და მახსოვარი კაცები მოვასხით, პირველად დარფუნ ზურაბასშვილის სუთუასაგან ეს ადგილი ტოტუაშვილს მახარებელსა და იმის შვილებს ეყიდა, მერმე მანდენას მამა-ბიძანი შემოსცილებოდეს, მისულიყვნენ მახსოვარი კაცნი, ძველი მამასახლისი ამირ, ძველის მელიქის შვილი შერმაზან და პროშვი მხითარა მოეყანა მახსოვარ<ა>თ, მოკითხული ექნათ ამ შემოსცილებაზედა მანდენაშვილი მანდენა გამტყუენებულიყო და კელახლა მანდენასაგან მისის ძმისა და მისის ბები(ი)ს ლოშუას ცოლყოფილის წიგნი აეღო, რომ იმ ადგილთან მანდენას ნათესავს კაცს კელი აღარა ჰქონდა, ჩუენ კიდეც მოკითხული ვქენით დარფუნ ზურაბასშვილი სუთუა ბერი კაცი იყო და კიდევე ცოცხალ(ი) იყო, / ის მოვაყვანინეთ და გავიკითხეთ იმან კიდეც დაიფიცა და კიდეც / ისულმერთა, რომე ის ადგილი იმისგან ტოტუაშვილის მახარებლისა და მისის შვილებისათვის მოსცილული იყო და აჯაბნუშა და მისი შვილები ტყუილად ეცილებოდეს, აწე, რაცა დარფუნ ზურაბასშვილის სუთუას მიცემულს სიგელში / უწერია ქალაქის სამართალმცა და ჩუენმა სამართალმანც ამ / ტოტუაშვილს ბასილსა და ამის ძმე<ე>ბს დაანარჩუ<მ>წა.

[აწ], ბ(ა)ტონის ბძანებითა ჩუენც ამ(ა)თ დავანებეთ ასრე, რომე არას მ(ო)ქალაქესა და არას ადამის მონათესავეს კაცსა ამ ალაგ ზედა კელი არა აქუს, არის ამის მოწამენი: სრულად კელმწიფის კარის კაცნი და მე, ბატონის დელოფლის ძღვიანს – მარტორ(ო)ზიშვილს შალვას დამიწერია და მოწამეცა ვარ.

დაიწერა წიგნი და განაჩენი ესე ქ(ორონი)კ(ონ)სა ტლვ, მაის(ს) ოცდა-

ორსა [მარიამ დედოფლის ხელრთვა: „მარიამ“]

მინაწერი საბუთის ვერსო-ზე: 1. „ ქ. ეს ბ(რძანება ასრე უნდა გათავდესა
[ყავლა[ნ]] [] [ავთ(ან)[ლი]ლ]; [თანია]; 2., ქ. ტყუილათა გველავებოდენ ეს წიგ-
ნია“.

1653 წ. როსტომ მეფის წყალობის წიგნი, მიცემული ახელ ბარათაშვილისა და მის ძმებისადმი მამულის ბოძების შესახებ.

პ ი რ ი: სცსა. ფ. 1450, დავთ. 15, №21.

საბუთს ბოლოში, როგორც ჩანს, როსტომ მეფის ხელრთვა ჰქონდა
დასმული, რადგანაც იგი გადამწერის მიერ არის გადმოხატული.

ჩვენ, ღთ(მრთი) <ნ>ვ გვირგვინოსანძან, ქართლისა და კახეთისა ორისავე
ტახტისა მპყრობელმა, მეფეთ მეფემან, კელმწიფემან პატრონმა როსტომ და
<ტ>[თქანამეცხედრემან ჩუენმან, დედოფალთ დედოფალმან პატრონმან მარიამ
ესე ამიერ უკუნისამდეს უამთა და ხანთა გასათავებელი მტკიცე და უცვალებელი
წყალობისა წიგნი და სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქუენ, ჩუენტა
ერდგულსა და მრავალფერად თავდადებით ნამსახურსა ყმასა, ბარათაშვილს,
ჩუენის სუფრანის შვ(ი)ლს, აბელს, ძმათა თქვენთა, ქაიხოსროს და იესესა,
შვილთა და მოძავლთა სახლისა თქვენისა ყოველთავე.

მას უამსა, ოდეს თქუენის მამულის სივლის გახლებას დაგვიჯენით, შე-
გიწყალეთ და რაც კურთხეულის მამის თქუენის უამში მამული გქონენ, ხელ-
შეუალად მთით ბარამდისინ სამკუიდროდ საბოლოოდ სივლითა ამით დაგ-
ვიმტკიცებთა და გვიბოძებთა ყოვლის კაცისა უცილებრად, ბედნიერის ყაქენის
თავის მზემა, რაც კაცი თქუენს მამულს გამოითხოვს არას კაცს არ მივსცემთ
და არც გაგალარიბებთ, გქონდეს და გიბედნიეროს ღ(მერ)თ(მა)ნ ჩუენსა
ერდგულად სამსახურსა შინა და არაოდეს არ მოვეშალოს არა ჩუენგან და არა
შემდგომად ს<ა>ხუათა მეფეთა და მეპატრონეთაგან.

აწე, გიბძანებთ კარისა ჩვენისა ვ<ა>[ქ]ქილ-ვაზირრო და სხუანო მოსაქ-
მენო, თქუენც ასრე გაუთავეთ და ნურაოდეს ნუ მოუშლით და შეცილებით
თუნიერ შეწევნისა და თანა ღვომისაგან კიდე.

დაიწერა ბძანება და ნიშანი ესე ქ(ორონი)კ(ონ)ს ტმა, ხელი<ტ>[თქ]ა კა-
რისა ჩუენისა მდივ[აქ]ნ-მწიგნობრის თუმანიშვილის ბირთველისითა [როსტომ
მეფის გადმოხატული ხელრთვა].

1662 წლის დავის წიგნი, ავთანდილ ბარათაშვილ-აბაშიშვილსა და
იოთამიშვილს შორის

პ ი რ ი: სცსა. ფ. 1450. დავთ 38. №5.

[ქ.] ნებითა და შეწყენითა ღმ(რ)თისათა.

ჩვენ, დედოფალთა დედოფალმან, პატრონმან მარიამ ესე საბოლოოდ გასათავებელი ვარდაწყვეტილობისა წიგნი და სიგელი დავიწერეთ და გიბოძეთ თქვენ, ბარათაშვილებს ვიორგის, ბეჟანს, გივსა და ერასტას, შვილთა თქვენთა და მამავალთა სახლისა თქვენისათა ასრე და ამა პირსა ზელა, რომე თქვენ და აბაშისშვილები ავთანდილ, აბაშ, შერმაზან და სულხან აკაურთულს მიწებზედ შეიცილენით და მიხუდით და ჩვენს კარზედ სამართალი ჰქენით, ფიცი ავთანდილს, აბაშსა და მერაბისშვილებს დაედვა, ბოქსა^ქულოთუხუცესი ზაალ გაგატანეთ, წახუდით და ხატი მოგესვენებინა და აბაშიშვილებს ველარ დაეფიცა და გამტყუნებელი იყვენენ, მიწები თქვენი ყოფილიყო და თქვენვე დაგრჩომოდათ ამ სამძღვრითა, რომე აკაურთი დაღმა საქალაქე დიდი შარა ქალაქისკენ წავა<ა> და ავაზნიას ძირს გაივლის და ღომელაში რატვენულს სამძღვარს შექეყრების, იმას ქვეით თქვენი არის და აბაშანთ ელი არა გაქუს, ჩვენი ბძანება ასრე არის და ამრიგათ ვარიგებულა და ვინც ამ სამართალს ვარდავა ჩვენად შეცოდებათ მოვიკითხავთ.

დაიწერა ბ(რ)ძ(ანე)ბა და სიგელი ესე ქ(ორონი)კ(ონ)სა ტნ, ჴელითა კარისა ჩვენისა მდივან-მწიგნობრისა, მარტირიზისშვილის შალვასითაითა. [ჩართული].

1662. V. 20. დავის წიგნი, ბარათაშვილ-აბაშიშვილებსა და
იოთამიშვილს შორის

პ ი რ ი: სცსა. ფ. 1450. დავთ. 38. №4.

„ჩვენ, მდივანბებმან პატრონმან ელიშერ და მდივნებმან ბარათაშვილების საცილობელი საქმე ამ რიგათ ვა<ე>ცქისინჯეთ, ამას წინათ მდივანბებს როინს და მდივნებს სამართალი ექნათ და ფიცი აბაშიშვილებზედ შეეგდო და ბოქსა^ქულოთუხუცესი, ბარათაშვილი ზაალ გაეტანებინა მოსრულიყვენენ და აბაშიშვილებს ველარ დაეფიცა, მაშინ მოსრულიყვენენ და ბატონის დედოფალის იოთამიშვილებსათვის წიგნი ებოძა და ვარდაეწყვიტა, მას უკან მოვიდნეს და ჩვენთან იჩიველეს, ჩვენც მოკითხული ვქენით და რომელსაც ტერტერას ხატი მიესვენა, იმასაც

გკითხეთ ფიცის საქმეზედ აბაშიშვილები გამტყუვნებულებიყვნენ რა, ჩვენ ისიები ვნახეთ და გავსინჯეთ, საცილობელი მიწები იოთამიშვილებს დარჩომოდა და ჩვენც ასრე დავანებეთ, რომე რარიგადაცა ბატონის დედოფლის წიგნში გაჩნსა-ზ(ღვრ)ულია იმ წესითა ამ იოთამიშვილებისა არის და აბაშიშვილებს ელი აღა-რა აქუს ამ სამძღურითა აკაურთიდაძე, რომ საქალაქე შარა გამოვა ავაზნის წყა-როს ძირს გამოვილის და დისველის პირს მოადგების, გზის ქუეთი იოთამიშვი-ლებისა არის და გზას [ზე]დათი აბაშიანთიქაქ.

დაიწერა ესე წიგნი ქ(ორონი)კ(ონ)ს ტნ, მაისის ოცს [ადგილი ბეჭდისა].

**1664 წ. შაჰ-ნავაზმა ავთანდილ ბარათაშვილს დაუბრუნა მკვიდრი სოფელი
ქცია, რომელიც დროებით წართმეული ჰქონდა.**

დ ე დ ა ნ ი: ხეც. Sd-1; ღია მოყვითალო ფერის ქალაღი, 1 ფურცელი; ზომა: 44,8X22,1 სმ; შავი ფერის მელანი; მხედრული; განკვეთილობის ნიშა-ნი: ორწერტილი ან სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ; დასაწყისი ნაწი-ლი მოხეულია, თუმცა ავღნიშნავთ, რომ საბუთის ტექსტი თავიდან ბოლომდე გარკვევით იკითხება; საბუთი ორად არის გაკეცილი; საბუთს ბოლოში უზის ვახტანგ (შაჰნავაზ) მეფისა და მარიამ დედოფლის ხელრთვები: „შქაქჩნ-აკვქაზ“, „მარიამ“.

ქ. ნებითა და შეწვენითა ღმ(რ)თისათა.

ჩვენ, ღმ(რ)თივ აღმართებულმან, ღმ(რ)თივ დსმყარებულმან და ღმ(რ)თივ გვირგვინოსანმან, მეფეთ მეფემან, პატრონმან | შაჰნავაზ და თანამეცხედრემან ჩვენმან, დედოფალთ დედოფალმან, პატრონმან მარიამ, პირმშომან და სასურველ-მა ძემან ჩვენმან, პატრონმან | გიორგიმ და ლევან ესე უკუნისადღის ჟამთა და ხანთა გასათავებელი, | მტკიცე და შეუცვალებელი წყალობისა წიგნი და სიველი შევიწყალეთ და გიბოძეთ თქვენ, ერდგულთა და თავდადებით მრავალფერად ნამ-სახურთა ყმათა, ბარათაშვილს ავთანდილს, ძმასა შენსა ქაიხოსროს, შვილთა და მოძავალთა სახლისა თქვენისათა ყოველთავე.

მას ჟამსა, ოდეს მოგვიდევით კარსა და თქენიის სამკვიდროს სოფელი ქციის წყალობას დაგვეჯენით, მოკითხული ვქენით და მამათა და პაპათა თქვენ-თა სამკვიდრო იყო და | ცოტას ხანსა დაუნაშავებლად გამოვრთმეოდათ, აწე, ისევე შევიწყალეთ, გიბოძეთ სოფელი ქცია მისითა მითთა, ბარითა, წყლითა, წისქვილითა, ველითა, ვენახითა, ჭალითა, სათიბითა და უთიბითა და ყოვლის მისის სამართლიანის სამძღურითა, თქვენთვის და თქვენთა შვილთათვის გვიბო-

ძებია ყოვლის კაცის უცილებრად, გქონდეს და გიბედნიეროს ღ(მერ)თ(მა)ნ ჩვენ-სა ერდგულობასა და სამსახურსა შიგან, ესე ასრე გაგითავდეს და არაოდეს / არ მოგეშალოს არა ჩვენგან და არა შემდგომად სხვათა მეპატრონეთაგან.

აწუ, ვიბ(რძანე)ბთ კარისა ჩვენისა ვეჭილ-ვეზირნო, მდივანწო და სხვანო მოსაქმენო ბ(რძანე)ბა და ნიშანი ჩვენი თქვენცა ასრე გაუთსვეთ, ნურას მოუშლით და შეეცილებით, თვინიერ თანადგომისა და შეწევნისაგან კიდე.


დაიწერა ბ(რძანე)ბა და ნიშანი ჩვენი ესე ქ(ორონი)კ(ონ)ს / ტნბ, თიბათვეს ჭელისა კარისა ჩვეისა მდივან-მწიგნობარის, / მარტიროზიშვილის ბეგთაბეგისათა [ხელროვები: „შქაქჳნაჳცაჳზ“, „მარიამ“].

საბუთის სპარსული ნაწილის ქართულ თარგმანს გთავაზობთ ვლადიმერ ფუთურიძის მიხედვით:

„გამოვიდა მაღალი ბრძანებულება, რომ ავთანდილ-ბეგ ბარათაშვილის შვილების – სიდიადის საფარველის ავთანდილისა და ქაიხოსროსადმი წყალობის [მიპყრობის] და კეთილგანწყობილების გამო, იმ საფუძველზე, რომელიც ქვემოთ ქართულად არის დაწერილი, ჩვენ დავუძტკიცეთ წესისამებრ თიულად ხსენებულთ, ნიანგის წლის ცხრათვეობის დასაწყისიდან, საბარათიანოს სოფელი ქცია, რომელიც წინათ ხსენებულთა მშობელს ჰქონდა დამტკიცებული. აღნიშნული სოფლის გლეხებმა მოხსენებული [პირები] უნდა იცნონ თავის სრულუფლებიან თიულდარებად, წლითი წლამდე ძალუჯათი და სახელმწიფო გადასახადი თვისი მას უნდა გადასცენ საქართველოს წეს-ჩვეულების თანახმად, [სასამართლოს] საქმეები, გარდა სისხლის [სამართლის] საქმეებისა, ხსენებულთ მიანდონ [გადასაწყვეტად] და თავის მოვალეობად იცნონ [ამ ბრძანების შესრულება]. მაღალი კარის მუსტოფი, ჩასწერს რა [ამას] დავთარში, ყოველ წელს ახალ ბრძანებულებას ნუ მოითხოვს. დაიწერა ზულ-ყაღის თვის 23-ს, 1074 წ.“⁴²

⁴² ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, გვ. 302-303.

ავთანდილ ბარათაშვილ-აბაშიშვილის
ფეოდალური ოჯახის გენეალოგია



* აქ გასათვალისწინებელია XVI ს-ის სპარსელი ისტორიკოსის – ჰასან რუმელუს ცნობა, რომელიც 1541 წლის შაჰ თამაზის (1524-1573 წწ.) I ლაშქრობის დროს საქართველოში ახსენებს ვინმე ჰაბაშს, რომელიც თბილისის ციხეში იმყოფებოდა. ამ ციხის დაცემის შემდეგ, იგი გარბის ბირთვისის ციხეში, რაც გვაფიქრებინებს, რომ ეს პიროვნება ბარათაშვილთა საგვარეულოს წარმომადგენელი იყოს. არც ის არის გამორიცხული, რომ ეს ჰაბაში და 1506-1529 წწ. მოხსენიებული აბაშ ბარათაშვილი ერთი და იგივე პიროვნება იყოს. იმის გათვალისწინებით, რომ დამატებითი არგუმენტები არ გვაქვს ხელთ, რაიმეს გადაჭრით თქმა აღნიშნულ საკითხის შესახებ შეუძლებელია

Tamaz Gogoladze

**FEUDAL FAMILY OF AVTANDIL BARATASHVILI-ABASHISHVILI
AND ACT OF DONATION (1648-1653) OF ABEL BARATASHVILI AND
HIS BROTHERS TO PIRGHEBULI
CHURCH OF THE VIRGIN**

Summary

The present paper deals with life and deeds of Avtandil Baratashvili-Abashishvili and his family. Avtandil held the position of sufragani (protector of King's table) (1627-1648) of Queen Jahanbanu, wife of King Simon II (1619-1631) of Kartli. According to analysis and comparative study of the 16th and 17th cc. documents and acts of donation to Parghebuli church, done by Abel Baratashvili and his brothers, we can clarify some unknown details about sufragani Avtandil and his feudal house. Those details are as follows:

1) Name of Avtandil Abashishvili's grandfather was Abash. Besides, we can identify Abash Abashishvili with person who was active in 1506-1529.

2) Ancestral possession of Avtandil Abashishvili were several villages located in Kartli. Those villages were as follows: Urtsevani, Golteta, Duezi, Qtsia, etc.

3) The family burial of Avtandil Abashishvili was church of Manglisi.

4) Concerning to our research, date of death of Sufragani Avtandil Abashishvili is defined by 1648-1653. Consequently, acts of donation of Abel Abashishvili and his brothers which was conditionally dated by 17th c. (1648-1650-s), has to be dated by 1648-1653.

5) Except for Baadura, Levan, Abel, Gojasp, Kaikhosro and Iese, Avtandil Baratashvili-Abashishvili had one more son – Avtandil, his namesake.

გიორგი ჟუჟუნაშვილი

„ამანათობის“ ინსტიტუტი საქართველო-რუსეთის ურთიერთობებში (XVI-XVIII სს.)

„ამანათობის“ ინსტიტუტი ახალათვისებული და მიმდებარე ტერიტორიების მოსახლეობასთან ურთიერთობისას რუსეთის სახელმწიფოს პოლიტიკის ერთ-ერთი შემაღგენელი ნაწილია. იგი ფართოდ გამოიყენებოდა საშინაო და საგარეო პოლიტიკის წარმოებისას. ამანათობა რუსეთში XIX საუკუნის 60-იან წლებშიც ლოიალობის გარანტიების ერთ-ერთი მთავარი არგუმენტია.¹

ქვემოთ შევეცდებით წარმოვაჩინოთ რუსეთის (მოსკოვის სახელმწიფო, რუსეთის იმპერია) საშინაო და საგარეო პოლიტიკის წარმოებისას პოლიტიკური მძევლის – **ამანათის** მნიშვნელობა და მისდამი დამოკიდებულება; განვიხილავთ ამ საკითხს საქართველოსთან (საქართველოებთან) მიმართებით.

თავდაპირველად ტერმინი – „ამანათის“ შესახებ: პირველ რუსულ ენციკლოპედიაში ვ. ტატიშჩევი ასე განმარტავს მას: „ამანათები აიყვანებიან არასანდო ქვეშევრდომებისაგან ცნობილი წინამძღოლთა გვარიშვილები ან ძმები. ძირითადად ეს შეეხება სტეპის მაცხოვრებლებს, ასევე მთიელებს, თათრებსა და სხვა ხალხებს“.²

¹ ბოლშევიკური რუსეთის არსებობის პირველ წლებშიც ხელისუფლება მოსახლეობის ლოიალობის შენარჩუნების, საკუთარი არსებობის შენარჩუნების მიზნით, ხშირად იყენებდა მძევლების აყვანის ტაქტიკას. ამ მეთოდის მთავარი იდეოლოგი ლევ ტროცკი წერდა: «Пленные являются для нас заложниками... Они думали, что мы будем пассивны, но мы показали, что, когда дело идет об удержании завоеваний революции, мы можем быть беспощадны» (Ю. Кожин. Заложники в годы гражданской войны в России. <http://his.1September.ru/artichle.php?id=200002101>. ბოლო ნახვა: 27.05.2011).

² В.Н. Татищев. Избранные произведения. Л. 1979, გვ. 162. შემდგომ დროინდელი განმარტებითი ლექსიკონები იმეორებენ, ან აზუსტებენ მას: «Аманат-заложник, человек взятый в залог, в обеспечении чего-то, верности племени или народа, подданства покоренных; заимст. из татарского, крымско-татарского – залог, поручение. Арабского происхождения. Аманат обманщик – донское наречие» (Даль В. Толковый словарь живого великорусского языка (онлайн версия); также словарь Макса Фасмера). მაგ.: «И послы говорили,

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის თანახმად, „ამანათი (არაბ.) – ძვ. მძევალი. „უფრო გულდაწყნარებული იქნები, როდესაც ლეკთა წარჩინებულნი ამანათად გეყოლებიან ხელში (ვ. ბარნოვი)“; „მიბარებული, მინდობილი რამ“.³ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში „ამანათს“ უწოდებდნენ სხვა სოციუმში ინკორპორირებულ პირს.⁴

ეს არის „ძველად პირობის სიმტკიცისათვის ან სხვა რაიმე მიზეზის გამო წინადად მიცემულ-დატოვებული ადამიანი“.⁵

რუსულში მძევალს ორი მნიშვნელობით ხმარობენ. ერთია თანამედროვე ტერმინი – «заложник» მძევალი უფრო ფართო მნიშვნელობით და მეორე, მოძველებული – «аманат», რომელსაც უფრო პოლიტიკური დატვირთვა ჰქონდა. ქართულ-რუსული ურთიერთობების მასალებში ამ სიტყვის საინტერესო ვარიანტს ვხვდებით: «заклад».⁶

მართალია, „ამანათი“ პირდაპირ ითარგმნება როგორც „მძევალი“, მაგრამ ამგვარი მძევლის სტატუსი განსხვავებულია, ამიტომაც მას ქართულ მეცნიერებაში „პოლიტიკურ მძევალს“ უწოდებენ.⁷ „ამანათის“ აყვანა ძირითადად ხდებოდა მტრული, ან პოტენციურად მტრული მხარისაგან სამშვიდობო პირობების უზრუნველსაყოფად.⁸

ვარაუდობენ, რომ მძევლების გაცემის ტრადიცია ჩაისახა ადრეულ ეპოქაში, როდესაც ხშირი იყო გვარებსა და ტომებს შორის ურთიერთდაპირისპირება, რომლის დასარეგულირებლად, მშვიდობის უზრუნველსაყოფად

что Шевкалу верить не мочно; хотя он и сына даст в заклад или брата своего,-и то ни во что: сынов у него много, что собак» (Белокуров С.А. Сношение России с Кавказом 1578-1613 гг. М. 1889, გვ. 58).

³ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. არნ. ჩიქობავას რედ. ტ. I. თბ. 1950, გვ. 291.

⁴ ქართული საზოგადოება და ევროპული ღირებულებები (ევროპული ძიებანი), თბ. 2006. (Civil ენციკლოპედია).

⁵ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. არნ. ჩიქობავას რედ. ტ. V. თბ. 1958, გვ. 1211.

⁶ С.А. Белокуров. Сношение России с Кавказом 1578-1613 гг, გვ. 18, 58, 60, 65, 75...

«Заклад, или залог – имущество или другие ценности, служащие частным или полным обеспечением, гарантирующим погашение займа или выплату...денег» (ru.wikipedia.org/wiki/заклад).

⁷ ი. ცინცაძე. მძევალის საკითხი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების ისტორიაში XVI-XVII სს. გვ. 70-71.

⁸ მძევლის მოთხოვნა-აყვანა რეპრესაღიების (იძულების) ერთი ნაირგვარობაა. აკრძალვის მიუხედავად (ჟენევის კონვენცია, 1949 წ.) კვლავაც საკმაოდ აქტიურად გამოიყენება.

გამოიყენებოდა ამანათის გაცემა. იგი იყო გარანტიის ერთადერთი ფორმა. ეს წესი შენარჩუნდა უპირატესად აღმოსავლელ, ძირითადად, მომთაბარე ხალხებში.⁹

ამანათობის ინსტიტუტს ფართოდ იყენებდნენ მონღოლები. სწორედ მათგან შეითვისეს იგი რუსებმა.¹⁰

როგორც წესი, მძევლის გაცემას წინ უსწრებდა ხანგრძლივი ბრძოლა დამპყრობლებთან, ან ხანგრძლივი დიპლომატიური მოლაპარაკებები მფარველობის თაობაზე. როგორც წესი, მოლაპარაკებათა გაფორმების შემდეგ, საჭირო ხდებოდა ერთგულების განსაკუთრებული დადასტურება, რაც გამოიხატებოდა ფიცსა და მძევლების გაცემაში.

ამანათობის ორ ტიპს გამოყოფენ: გაცვლითი (იგივე „ეკვივალენტური“), როდესაც ორი თანაბარმნიშვნელოვანი მხარე ზავის დადებისას გაცვლიდა თანაბარი სტატუსის მქონე მძევლებს, რომელთაც გარკვეული პერიოდი დიდი პატივით ინახავდნენ; მეორე კი – ცალმხრივი ამანათობა, როდესაც ერთი-უპირატესობის მქონე (ძლიერი!) მხარე აიძულებს მეორე-უფრო სუსტსა და რანგით დაბალ, ან დაქვემდებარებულ მხარეს ერთგულების დასტურად გასცეს მძევალი. ამ შემთხვევაში ამანათის მდგომარეობა არ არის მთლად სახარბიელო.

ეკვივალენტური მძევლების გაცვლა გამოიყენებოდა თანაბარ უფლებებში მყოფ ხალხებს შორის. რუსული ამერიკის (ალიასკის ნახევარკუნძული – გ. ყ.) ერთ-ერთი პირველი მკვლევარი, კ. ხლებნიკოვი, მოგვითხრობს: „...ზოგჯერ მტრულად განწყობილი ტლინკიტები ზავებიან მოლაპარაკების შედეგად, ასევე იხდიან გამოსასყიდს მოკლულთა საფასურად; ამ დროს ცვლიან მძევლებს; მათი არჩევა ხდება საზეიმოდ. მოწინააღმდეგენი დიდ ველზე ერთმანეთის პირისპირ ეწყობიან (ქალებიც და კაცებიც) შეიარაღებულნი. წინამდგომნი, ისინი, ვინც ამანათები (მოწინააღმდეგეთაგან საუკეთესონი და პატივსაცემნი) უნდა შეიპყრონ, შეტევის იმიტაციას ახდენენ – ყვირილით და იარაღის ჟღარუნით შეიჭრებიან მოწინააღმდეგის რიგებში და მძევალი

⁹ ბაშკირების მაგალითზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ მომთაბარეების მიერ ერთმანეთისთვის საქონლის, მოგვიანებით კი საძოვრების წართმევას (ბარიმთა) მოსდევდა საპასუხო აქცია (ქარიმთა). ამ სიტუაციას არეგულირებდა ამანათობა (tarkhan.ru/27.05.2011).

¹⁰ მსგავსი ფორმით ამანათებს ითხოვდნენ ირანის შაჰებიც და ოსმალეთის სულთნებიც (ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე, გ. მელიქიშვილი, შ. მესხია, პ. რატიანი. საქართველოს ისტორია. ტ. I. თბ. 1958, გვ. 277).

ხელში აყვანილი გამოჰყავთ. ამგვარად გაცვლილ ამანათებს დიდი პატივითა და ყურადღებით ეპყრობიან. სიარულის ნებასაც კი არ აძლევენ. საჭიროების შემთხვევაში ხელში აყვანილი დაატარებენ... ყველაფერი ეს დიდი ზეიმითა და ღრეობით სრულდება“.¹¹

რუსეთში, ძირითადად, გამოიყენებოდა ცალმხრივი ამანათობა. როგორც აღვნიშნეთ, ლოიალობის გარანტიის ამ ფორმას მიმართავდნენ აღმოსავლელ ხალხებთან (ვოლგისპირეთის არარუსი ხალხების, ციმბირისა და ალიასკის მოსახლეობასთან, კავკასიელ მთიელებთან) ურთიერთობისას. ამანათი რომ ერთგულების გარანტიად გამოიყენებოდა, ამის დადასტურებაა ასტრახანელი ვოევოდების დამოკიდებულება ყალმუხი ტაიშებისადმი, რომლებიც ითხოვენ ამანათებს ასტრახანში. „მძევლის გარეშე ვერ ვენდობით, რადგან აქამდეც ბევრჯერ დადეს ფიცი და არც ერთხელ არ შეასრულეს“,¹² – წერდა 1651 წელს ვოევოდა ი. პრონსკი.

იშვიათად, მაგრამ მაინც, პოლიტიკური მძევალი აჰყავდათ ევროპელთაგანაც: 1734 წ., ერთი მხრივ, რუს გენერალ-ფელდმარშალ მინიხს, მის მოკავშირე ვაისენფელდის ჰერცოგსა და, მეორე მხრივ, დანცინგის ღებუტატებს ვაალსა და ფერბერს შორის შეთანხმებით დადგინდა, რომ ეს უკანასკნელნი დარჩებოდნენ რუსთა ბანაკში ამანათებად, ვიდრე არ დასრულდებოდა მოლაპარაკებები.

მძევლის საკითხის წინწამოწევა თუ „მივიწყება“ დამოკიდებული იყო ქვეყანაში არსებულ მდგომარეობაზე. განსაკუთრებული ინტენსივობით ამ საკითხის გადაწყვეტას ითხოვდნენ კრიტიკულ სიტუაციებში (მაგ.: XVIII საუკუნის 30-40 წლებში), როდესაც სახელმწიფოს არ ჰქონდა მიმდებარე ტერიტორიების მოსახლეობის დამორჩილების და მათი ლოიალობის შენარჩუნების სხვა გარანტიები. ამანათობით შეპირებული ტერიტორიების მოსახლეობასთან დამოკიდებულების ხასიათი განსაზღვრავდა მძევალთა აყვანა-დათხოვნის ინტენსივობას. ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია როგორც „ნდობის“ საკითხი (უფრო ნაკლებად, პროპაგანდისტული აქტია), ისე მათი შენახვის ხარჯების ზრდა. ამ უკანასკნელის გამო ადგილობრივი ხელისუფლება ხშირად გამოსულა ამანათობის გაუქმების ინიციატივით.¹³

საინტერესოა ასევე, რომ ცალკეული ხალხისაგან ასაყვანი მძევლების

¹¹ А. Гринев. Туземцы-аманаты в Русской Америке. Клио. № 4. 2003, გვ. 124.

¹² Очерки истории Калмыцкой АССР. Дооктябрьский период. М. 1967, გვ. 114-115.

¹³ А. Гринев. Туземцы-аманаты в Русской Америке, გვ. 129.

რაოდენობა განისაზღვრებოდა კონკრეტული პირობების შესაბამისად. მაგალითად, XVIII საუკუნის 30-იან წლებამდე ყაბარდოელი მთავრები აგზავნიდნენ მხოლოდ ერთ წარმომადგენელს. ამის შემდეგ, უთანხმოების გამო, რუსებმა დაიწყეს ამანათების აყვანა ყოველი მნიშვნელოვანი მთავრისაგან.¹⁴ ჩეჩენი მმართველები, ჩატუსოვები, ჩიზნახოვები, ზუმსოვცოვები, ვაშანდროვები XVII ს. რუსეთის მფარველობაში შესვლის შემდეგ რიგ-რიგობით იძლეოდნენ მძევლებს.¹⁵ მე-18 საუკუნის დასაწყისში რუსეთისადმი ერთგულების დასტურად ნოღაელებმა საინოვო და კასაევთა გვარებიდან გასცეს მხოლოდ ერთი ამანათი. მოგვიანებით, ნოღაელთა დაქუცმაცებულობის გაძლიერების შემდეგ კი ყველა მურზა ცალკე მძევალს იძლეოდა.¹⁶

1657 წელს ყალმუხმა ტაიშებმა პირობა დადეს ამანათად საკუთარი ბიძაშვილები ან ნათესავები გაეგზავნათ, ხოლო რუსებთან თანალაშქრობისას დაემატებინათ სხვა დიდგვაროვანი მძევლები.¹⁷

ასევე საინტერესოა, როგორი იყო თავად ამანათის გამცემი ხალხების დამოკიდებულება მფარველობის ამგვარი გამოხატულებისადმი: XVIII საუკუნეში ამანათის გაცემის საკითხმა მწვავე პოლიტიკური ხასიათი შეიძინა ყალმუხებში. მაგალითად, 1724 წელს ხანობის ერთ-ერთმა კანდიდატმა უარი თქვა შვილის გაცემაზე და ხანობის წოდებაზე.¹⁸ მის ნაცვლად ეს პირობა მიიღო დონდუკ ფაშამ და მძევლად ერთ-ერთი ვაჟი ასარაი გასცა. ამის შემდეგ 1741 წელს დაინიშნა მეფისნაცვლად. მართალია, მისი ავტორიტეტი ვაჟის გარდაცვალების შემდეგ შეირყა, თუმცა 20 წელი დარჩა ხელისუფლებაში.¹⁹

საინტერესოა ჩეჩნების დამოკიდებულება ამანათებისადმი. ისინი ამანათს თვლიდნენ არა პოლიტიკური მორჩილების, არამედ რუსეთისადმი კეთილგანწყობის გამოხატულებად. იგივე ითქმის ყაზახ ხანებზეც.

სხვა კავკასიელ ხალხებს ამ ინსტიტუტისადმი ჩეჩნებისაგან განსხვავებული დამოკიდებულება აქვთ. ურთიერთობები განსაკუთრებით გამწვავდა XVIII საუკუნის 30-იან წლებში, როდესაც 1732-1735 წლებში ირანთან გან-

¹⁴ Кабардино-русские отношения в XVI-XVIII вв. Т. II. М. 1957, გვ. 101.

¹⁵ Русско-чеченские отношения..., გვ. 178.

¹⁶ Б.Б. Кочекаев. Ногайско-русские отношения в XV-XVIII вв. Алма-Ата. 1988, გვ. 138.

¹⁷ Очерки истории Калмыцкой АССР..., გვ. 119.

¹⁸ Очерки истории Калмыцкой АССР. Дооктябрьский период. М. 1967, გვ. 187.

¹⁹ Н. Н. Пальмов. Очерк истории калмыцкого народа за время пребывания его в пределах России. Астрахань. 1922, გვ. 50-56; К.Н. Максимов. Калмыкия в национальной политике, системе власти и управления России (XVII-XX вв.). М. 2002, გვ. 122-123.

ჯისა და რეშტის, 1739 წელს კი ოსმალეთთან ბელგრადის ტრაქტატების დადების²⁰ (ანუ რუსეთის კავკასიიდან უკანდახვევის) შემდეგ, როდესაც ყაბარდოსა და ყალმუხეთში გაძლიერდა პროთურქული ორიენტაცია. ამ დროს ყიზლარში კავკასიელი მმართველების მიერ გაცემული 22 ამანათი ზის. აქედან დიდი ყაბარდოდან 11, მცირე ყაბარდოდან – 4, აყსუს მიდამოთა მფლობელებიდან – 1, ენდერელებისაგან – 1, ჩეჩნებისაგან – 2 მძევალია გაცემული.²¹ 1743 წელს ნადირ შაჰის განსაკუთრებული გააქტიურებისას ყიზლარში მარტო „მთიელთა“ მმართველთაგან 110, ხოლო სულთან-აულელთაგან 126 მძევალი ზის. მათ შენახვაზე 3036 მანეთი და 40 კაპიკი დაიხარჯა.²²

თავის დაზღვევის მიზნით, რუსმა ხელისუფლებმა რამდენიმე მძევალი ყიზლარიდან ასტრახანში გადაიყვანეს, თუმცა ამ გამაფრთხილებელმა ღონისძიებამ უკუშედეგი გამოიღო – სასლან ბეგ კაიბუკინი (ყაბარდოს დიდი მთავარი), შვილის ამანათობის მიუხედავად, ყირიმის ხანს – ყაფლან გირეის მიემხრო.²³ იგივე მოიმოქმედა ყულმუხეთის მმართველმა ალიშა ხამაზინმა. ასევე საინტერესოა მცირე ნოღაელთა მოქმედებაც: ამანათების გაცემის მიუხედავად, მათი დიდი ნაწილი ყირიმის ხანს მიუვიდა. ამის პასუხად რუსებმა 50 მძევალი ყიზლარიდან ასტრახანში გადაგზავნეს. ამ ღონისძიებამაც ვერ შეაშინა ნოღაელები, რომელთა ერთი ნაწილი 1740 წელსაც მიუვიდა ყირიმის ხანს.

ალიასკაზე მოღვაწე რუსი მეწარმეების მიერ ეკატერინე მეორესადმი 1788 წლის თებერვალში წარდგენილ თხოვნაში დაფიქსირებულია ადგილობრივი მოსახლეობისაგან 500 (!) ამანათის აყვანის ფაქტი.²⁴

ამანათობაზე საუბრისას უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოებაც, რომ პირველ რიგში, ეს იყო, რა თქმა უნდა, სოციალურ-პოლიტიკური და, არც

²⁰ ბელგრადის ტრაქტატის ტექსტში მითითებული იყო, რომ რუსეთსა და ყაბარდოს შორის ურთიერთობა უნდა მოგვარებულიყო ამანათების გაცემის გზით: «**Артикуль 6.** ...Но что однакоже по древнему обыкновению браны будут во Всероссийскую Империю от тех Кабардинцев, для спокойнаго их пребывания аманаты; и Оттоманской Порте, також позволяется для такой же причины, брать от них таких же аманатов; а ежели помянутые Кабардинцы причину жалобы подадут одной или другой Державе, каждой позволяется наказать» (Договоры России с Востоком политические и торговые. Собрал и издал Т. Юзефович. СПб. 1869, გვ. 15-24).

²¹ П. Г. Бутков. Материалы для новой истории Кавказа с 1722 по 1803 гг, გვ. 157.

²² П. Г. Бутков. Материалы для новой истории Кавказа с 1722 по 1803 гг, გვ. 78; Кабардино-русские отношения в XVI-XVIII вв. Т. II. М. 1957, გვ. 107.

²³ Кабардино-русские отношения в XVI-XVIII вв. Т. II. М. 1957, გვ. 84.

²⁴ А. Гринев. Туземцы-аманаты в Русской Америке, გვ. 132.

თუ იშვიათად, ეკონომიკური იძულების ინსტიტუტიც. იძულება ხშირად ეკონომიკური ხასიათისა იყო, იასაყის-ბეწვეულით გადასახადის უზრუნველსაყოფად. მაგ.: ყაზანისა და ციმბირის ქარხნების მთავარი სამმართველოს კანცელარიის უფროსი, ნამდვილი სახელმწიფო მრჩეველი ვ. ტატიშჩევი 1736 წელს კრძალავდა ყოველნაირ ვაჭრობას, თუ ბაშკირები არ გასცემდნენ ამანათებს; ტობოლსკელ კაზაკთა ატამანის ივანე რებროვის 1739 წლის არზაში ვკითხულებთ: „...დავიჭირეთ იაკუცკელი მთავრის ახტან მულჩევის ვაჟი ამანათად და ამის შემდეგ ავიღეთ მათგან იასაყი“;²⁵ საზღვაო უწყების 1764 წლის 16 ივნისის საიდუმლო ინსტრუქციაში ნათქვამია, რომ „აღნიშნული კუნძულების (უძნაკის და უნალაშკის) მკვიდრი მოსახლეობის რუსეთისადმი მორჩილების შენარჩუნება და იასაყის გადახდა ხერხდება მხოლოდ ამანათების წყალობით. მათი შიშით განმაპირობებელი არის ამანათების სიცოცხლე“.²⁶

„ამანათობა“ სოციალური მნიშვნელობით განსხვავდება მძევლის სხვა გაგებისაგან. ამანათებად აპყავდათ (ან ხდებოდნენ) არც თუ უბრალო ადამიანები (ტატიშჩევის მიხედვით – მმართველთა ნათესავები, ან ძმები). უფრო ხშირად ესენი იყვნენ მაღალი სოციალური სტატუსის, ავტორიტეტის მქონე ადამიანთა ოჯახის წევრები – შვილები, ძმისშვილები, უახლესი ნათესავები. რუსეთის მთავრობა დიდი პასუხისმგებლობით ეპყრობოდა იმ საკითხს, რომ მოკავშირეებს არ ეძუებოდათ და მნიშვნელოვანი პიროვნებების ნაცვლად „მსხვერპლად“ გაწირული უგვანო, ან არც თუ მნიშვნელოვანი კანდიდატი არ შეეტყუებინათ. ხელისუფალნი ყოველთვის საგანგებოდ მიუთითებენ მოხელეებს, გადაამოწმონ ამანათის სოციალური მდგომარეობა; ამანათის გარდაცვალებისა და მისი სანაცვლოს გაცემაზე უარის შემთხვევაში, 1754 წლის ინსტრუქციის თანახმად, საგარეო საქმეთა კოლეგია ადგილობრივ ხელისუფლებას ავალდებულებდა ხელში ჩაეგდოთ თავად მმართველი (მფლობელი), ან მისი საუკეთესო აზნაური (узден).²⁷ 1794 წელს ერთ-ერთი რუსი მკვლევარი მიუთითებდა, რომ იაკუტელებმა რუსები მოატყუეს და საკუთარი შვილების ნაცვლად მონები შეატყუესო,²⁸ პ. ბუტკოვი გვამცნობს, რომ მთიელთა მმართველები ხშირად გადააცმევდნენ გლეხს ან ტყვეს. დაუძახებდნენ შვილს

²⁵ А. Гринев. Туземцы-аманаты в Русской Америке, გვ. 128.

²⁶ А. Гринев. Туземцы-аманаты в Русской Америке, გვ. 129.

²⁷ П. Г. Бутков. Материалы для новой истории Кавказа с 1722 по 1803 гг., გვ. 163.

²⁸ А. Гринев. Туземцы-аманаты в Русской Америке, გვ. 135.

და გაგზავნიდნენ მძევლად. თავად დადებულები კი პირობების შესრულებას არც ფიქრობდნენ.²⁹

როგორც აღვნიშნეთ, მძევლის გაცემა წარმოადგენს გამცემისაგან მიმღების უპირატესობის, მფარველობის, საკუთარი სუვერენიტეტის შეზღუდვის აღიარებას, რაც ხშირად იწვევდა პროტესტს.³⁰ მძევლებს (ამანათებს) განიხილავდნენ არა როგორც პირდაპირი მნიშვნელობით მძევალს, არამედ, გარკვეულწილად, როგორც შესაბამისი ქვეყნის სრულუფლებიან წარმომადგენელს. ამგვარი დამოკიდებულების გამო რუსი მოხელეები ვალდებულები იყვნენ განსაკუთრებულად ეცათ მათთვის პატივი. საყურადღებოა ინსტრუქცია ყიზლარის კომენდანტისადმი, სადაც ნათქვამია: „მათ მოეპყარით ფრთხილად, დაკვირვებით, სამართლიანად, ყურადღებით, დაყვავებითაც კი კიდევ, მაგრამ ზედმეტი არ მოგივიდეთ“.³¹

ამანათად მყოფს ეძლეოდა საშუალება, ახლოს, გაცნობოდა რუსეთის ყოფა-ცხოვრებასა და სახელმწიფო წესრიგს. ამისათვის ზოგიერთ მძევალს, რომლის გამცემიც ლოიალურად იყო განწყობილი რუსეთის ხელისუფლებისადმი, აცნობდნენ ქალაქს, არ უკრძალავდნენ ურთიერთობას გარშემომყოფებთან, იჩენდნენ მის მიმართ ყურადღებას. XVIII საუკუნის შუა ხანებიდან, რუსული ყოფის უფრო აქტიური პროპაგანდის მიზნით, რუსები ცდილობდნენ ამანათების უფრო ფართოდ გამოყენებას. მაგალითად, 1730 წლის ინსტრუქცია ქალაქ ოხოტსკის (ციმბირი) ქალაქის თავს ავალდებულებდა, რომ ხელი შეეწყო ყველა მღვდელმსახურისათვის ამანათებში განათლებისა და ქრისტიანობის გავრცელების საქმეში. ყიზლარის ხელისუფალთაც ევალდებოდათ მძევლებისათვის ჩაენერგათ ადამიანურობა და სიკეთე, განათლების გზით განერიდებინათ ისინი ბოროტისგან და ბარბაროსული ჩვევებისაგან.³²

²⁹ ასტრახანის ვოევოდა უარს არ ამბობს 2 წლის გასვლის შემდეგ შეცვალოს ჩენების მიერ გაცემული ამანათი, მხოლოდ იმ პირობით, თუ ახალი კანდიდატი იქნებოდა წინაზე უკეთესი და მისი ნდობაც იქნებოდა შესაძლებელი (Русско-чеченские отношения. II пол. XVI-XVII вв. Сб. документов. М. 1997, გვ. 179).

³⁰ XVIII საუკუნის 60-იან წლებში ბაშკირებს აჯანყების გამო შეაწერეს ამანათები, რაზეც მათ პროტესტი გამოხატეს – «Прежде Падишах нас чрез аманатов не оберегал, добром и милостью. Если падишах пожелает нас по-прежнему в холопстве держать, то пусть нам пришлет наших аманатов» (tarkhan.ru/27.05.2011).

³¹ Н. А. Сотагов. Северный Кавказ в русско-иранских и русско-турецких отношениях в XVIII в. От Константинопольского договора до Кючук-Кайнарджского мира 1700-1774 гг. М. 1991, გვ. 93.

³² П. Г. Бутков. Материалы для новой истории Кавказа с 1722 по 1803 гг. Ч. III. СПб. 1869, გვ. 157; А. Гринев. Туземцы-аманаты в Русской Америке, გვ. 131.

ერთ-ერთი მისიონერი-მღვდელმონაზონი გედეონი აღნიშნავდა, რომ 1806 წელს ალიასკაზე არსებულ სასწავლებელში ნებაყოფლობით მონათლული ამანათები სწავლობდნენ, რომელთაგან ორნი – კალისტრატე და გედეონი შემდგომში რუსულ-ამერიკულ კომპანიის თარჯიმნებად (ტოლმაჩებად) აიყვანეს.³³ დაწინაურდნენ ბაშკირები – იასან ყარაბაშევი, არეკ ისენბაევი და იუ-ნაი ახნაევი. ისინი დაინიშნენ თავთავიანთ ოლქებში მამასახლისებად.

განსხვავდება შესრულების ფორმაც – თუ მძევალი აჰყავდათ და აჰყავთ ძალისმიერი მეთოდის გამოყენებით, ამანათის, ანუ პოლიტიკური მძევლის გაცემა რიგ შემთხვევებში ნებაყოფლობითაც ხდებოდა.³⁴

საინტერესოა საკითხი მძევლად ყოფნის ხანგრძლივობის შესახებ. მძევლობის შემთხვევაში – ვადები შეზღუდულია, მეორე შემთხვევაში კი – შეუზღუდავი. რუსეთში ამანათები არ იყვნენ ერთი და იგივე პირები. გარკვეული ვადების გასვლის შემდეგ რუსეთის მთავრობასთან შეთანხმებით შეიძლებოდა მათი გაცვლა.³⁵

ამანათობაში ვადებისა და ცხოვრების პირობების გარდა, პიროვნებების შემდგომი ბედიც განსხვავებული იყო. ნოღაელი ადილ-შურზა ტემირბულატოვი 20-წლიანი მძევლად ყოფნის შემდეგ რუსეთის გენერალი გახდა. მართალია, 1733 წელს იგი გაექცა „პატრონს“ და ყირიმის ხანს მიეკედლა, მაგრამ 1740 წელს კვლავ დაბრუნდა. მოგვიანებით, როგორც ღალატში ეჭვმიტანილი, ორენბურგის ციხეში გადაასახლეს.

მეორე ნოღაელი მძევალი, ყაზბულათ-შურზა ტოგანოვი, როგორც წარ-

ამ მხრივ საინტერესოა 1775 წელს კაზანის ადმინისტრატორის პრემიერ-მაიორ მ. ფონ ბემის ინსტრუქცია კურილიის კუნძულებზე ექსპედიციის ხელმძღვანელის ი. ანტიპოვისადმი, სადაც ავტორმა ამანათებისადმი დამოკიდებულების მანამდე არსებული გამოცდილება შეაჯამა. ინსტრუქციის თანახმად, ამანათები უნდა აეყვანათ არა მარტო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, არამედ მათი „გაკულტურებისათვის“ დაგეგმილი იყო მთელი რიგი ღონისძიებები: რუსული ენის, წეს-ჩვეულებების გაცნობა-შესწავლა და მათი (ამანათების) მუშევრებით ადგილობრივ მოსახლეობაში შეტანა (А. Гринев. Туземцы-аманаты в Русской Америке, გვ. 131-132).

³³ А. Гринев. Туземцы-аманаты в Русской Америке, гв. 138.

³⁴ «Искать государственной прибыли, призывать в подданство инородцев, обеспечивать их и брать аманатов, а которые не пойдут в подданство и не дадут аманатов, с теми поступать военном поведением»-ნათქვამია ტობოლსკის დრაგუნთა პოლკის კაპიტნის პეტრე ტატარინოვისადმი 1713 წელს გაცემულ ინსტრუქციაში. მოგვიანებით, 1727 წელს მსგავსი ფორმულა დაფიქსირდა ეკატერინე I-დმი სენატის რეკომენდაციებში (А. Гринев. Туземцы-аманаты в Русской Америке, гв. 128,132).

³⁵ П. Г. Бутков. Материалы для новой истории Кавказа с 1722 по 1803 гг., гв. 163.

ჩინებული და განსწავლული სანკტ-პეტერბურგს გადააგზავნეს და საგარეო საქმეთა კოლეგიაში მიიღეს თარჯიმნად. იგი 1745 წელს მოინათლა კიდეც, და კადეტთა კორპუსშიც ჩაირიცხა. მოგვიანებით კავკასიაში მსახურობდა, იყო მოზდოკის კომენდატი, მიიღო გენერალ-მაიორის ჩინი.³⁶

ამანათთა ცხოვრებაში ყველაზე დიდი აკრძალვა შეეხებოდა მათ თავისუფალ გადაადგილებას, განთავსების ადგილის (ქალაქი, ციხე) დატოვებას. მძევლების ზედამხედველობა ევალებოდა ადგილობრივ გარნიზონს და პოლიციას. გამოიყოფოდა სპეციალური ყარაული, რომელსაც ოფიცერი მეთაურობდა. ზოგჯერ ვხვდებით განსაკუთრებულ რწმუნებულებსაც.³⁷ მიუხედავად ამგვარი აკრძალვებისა, მძევლებს მაინც ჰქონდათ ურთიერთობა ახლობლებთან, რომლებიც ხშირად სტუმრობდნენ მათ და აწვდიდნენ უკანასკნელ ცნობებს სამშობლოდან.³⁸ ამანათებს ეძლეოდათ პირადი იარაღისა და ადჭურვილობის ტარების უფლება, სარგებლობდნენ რუსეთის მხარის სამედიცინო დახმარებით.

მძევლების განთავსების ადგილი შემთხვევითია, პოლიტიკური მძევლები კი ცხოვრობდნენ სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში. არსებული პოლიტიკური კონიუნქტურა გავლენას ახდენდა მძევალთათვის შესანახი ადგილების ე. წ. „მძევალთა ეზოების“ (аманатный двор) განლაგებაზე.

მძევლების შესანახი ადგილები სპეციალურად გამოიყოფოდა და მნიშვნელობის მიხედვით მდებარეობდა სხვადასხვა ქალაქში. მაგალითად, უფაში – ციმბირელთათვის, ასტრახანში – აცხოვრებდნენ მიმდებარე ხალხებისა და, ზოგადად, აღმოსავლელთა მძევლებს, თერგის, მოგვიანებით კი ყიზლარის ციხეს – იყენებდნენ კავკასიელ მმართველებთან აყვანილ ამანათებს. ძირითადი „ეზო“ მდებარეობდა მოსკოვში, სადაც „ინახავდნენ“ განსაკუთრებულად „ძვირფას“ მძევლებს. აქ ზოგჯერ 150-მდე ასეთი „სტუმარი“ ყოფილა დაბინავებული.

საყურადღებოა ერთი ფაქტი: ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ამანათები ძირითადად განთავსებულნი იყვნენ მათი მხარეების მახლობელ ქალაქებში, რომ ნათესავებს ჰქონდათ მათთან კონტაქტი და მათი მდგომარეობის შესახებ ინ-

³⁶ П. Г. Бутков. Материалы для новой истории Кавказа с 1722 по 1803 гг., გვ. 219.

³⁷ ყიზლარში მყოფ მძევლებზე ზედამხედველობა ხშირად ევალებოდა იქ მყოფ გენერალ-მაიორ, მთავარ ელმურზა ჩერკესოვს, ყაბარდოელ მთავართა ჩამომავალს.

³⁸ ერთ-ერთი რუსი ნეგოციანტი ივანე კოროვინი აღნიშნავდა: «А между тем к находящимся при нас при гаване четырнадцати человекам аманатам приезжали отцы их тоены раза три в разные числа в байдарках, которые привозили рыбу треску и понемногу китоваго жиру. И за привоз того корму им тоенам давали от себя королками тако ж и своими съестными припасами их довольствовали » (А. Гринев. Туземцы-аманаты в Русской Америке, გვ. 130).

ფორმაცია. ამ საკითხს ხშირად აკონკრეტებდნენ და მუდმივად სთხოვდნენ ხელისუფლებას შორის არ წაეყვანათ ძველები. რუსეთის მოხელეებს მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში გადაჰყავდათ ამანათები უფრო შორეულ ადგილებში. ამ მეთოდს იყენებდნენ ძველების პატრონებზე ზეწოლის გაზრდის მიზნით. ხდებოდა პირიქითაც, ლოიალური ვასალებისათვის კეთილგანწყობის საჩვენებლად, შორეული პუნქტებიდან უკან, მახლობელ ქალაქებში აბრუნებდნენ. მაგალითად, ასტრახანის გუბერნატომა ვ. ტატიშჩევმა 1745 წელს ასტრახანიდან ყიზლარს დააბრუნა თათარხან ჩერკასკის ვაჟი და აზნაური საბუ-გირეი. ამანათთა გამცემები ამ და სხვა საკითხებს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ და აპროტესტებდნენ ყოველგვარ გადაცდომას, რადგან ამანათისადმი დამოკიდებულება სიმბოლურად თავად გამცემისადმი დამოკიდებულებას გამოხატავდა.³⁹

ქვეყნებს შორის არსებული ურთიერთობების განვითარების შესაბამისად (დაახლოება, ურთიერთობის გაციება) შეიძლება შეეცვალოს ძველების ადგილსამყოფელი. მაგალითად, 1657 წელს, ყალმუხებთან ურთიერთობის საბოლოოდ მოგვარების შემდეგ, აქაური ამანათებისათვის სამყოფლად რუსეთის ხელისუფლებამ ასტრახანი დაადგინა და გაზარდა მათი შესანახი თანხა.⁴⁰

ამ მძევალთა შესანახად მთავრობა განსაკუთრებულად ზრუნავდა: საცხოვრებლის გამოყოფის გარდა, მძევალს თან ახლდა თანმხლები პირები (ოჯახი, მოსამსახურეები და სხვა), გამოიყოფოდა თანხა მათ შესანახად... ყალმუხების ხანის დონდუკ დაშის ვაჟს – ასარაის თან ახლდა მღვდელმსახური, ყალმუხი მსახურეები, რუსი ზედამხედველები და უცხოელი ექიმიც კი.⁴¹

ასევე საინტერესოა, რომ შიბუთელი (ჩეჩენი) – ამანათის თერგის ციხეში შენახვის თანხები სახელმწიფოს უჯდებოდა 60 მანეთი წელიწადში.⁴² ამ თანხის გარდა, სამოსისათვის სახელმწიფო გამოჰყოფდა 2 მანეთს წელი-

³⁹ 1763 წელს რუსი ნეგოციანტის ივანე კოროვინის ბრძანებით გაროზგეს ალექსეიტელთა ერთ-ერთი ბელადის ვაჟი. ამ მოქმედებებმა ადგილობრივი მოსახლეობის ამხედრება გამოიწვია: «Такое телесное наказание, сделанное сыну Тоэна, каковому в их быту подвергались одни только Калги (рабы) и безчестные люди и которое как никогда ими не слыханное и не виданное они почли за великое бесчестие и ужаснее самой смерти, оскорбило Алеутов до чрезвычайности. И сверх того, как говорят старики Алеуты, видя от Русских и другие притеснения и обиды, касательно их жен и дочерей, положили намерение избавиться от таковых неприятных им гостей» (А. Гринев. Туземцы-аманаты в Русской Америке, გვ. 130).

⁴⁰ Очерки истории Калмыцкой АССР. До октябрьский период. М. 1967, გვ. 118.

⁴¹ Н. Попов. Татищев и его время. М. 1861, გვ. 332.

⁴² ეს საკმაოდ დიდი თანხაა. ამავე პერიოდში საელჩო პრიკაზის, მოსკოვის სამეფოს საგარეო უწყისების, ხელმძღვანელის ხელფასი შეადგენდა 120 მანეთს.

წადში, ყოველკვირეულად მძევალს 25 კათხა ღვინო და 7 „ვედრო“ ლუდი ეძლეოდა.⁴³

მძევალთა შენახვისათვის გაღებული თანხები ყოველთვის ერთნაირი არ იყო. ამაზე გავლენას ახდენდა პოლიტიკური კონიუნქტურა. თუ მძევლის გამცემი მხარე არ ინარჩუნებდა ერთგულებას, ან არ ასრულებდა სხვა ვალდებულებას, ამანათებისადმი დამოკიდებულება მკაცრდებოდა. ცნობილია შემთხვევები, როდესაც, მაგალითად ასტრახანის გუბერნატორმა ი. პრონსკიმ, მხოლოდ პურსა და წყალზე დასვა მძევლები.⁴⁴

რუს მკვლევართა ერთი ნაწილი აღნიშნავს, რომ რუსეთში, სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით, მძევლები გარკვეული დიპლომატიური იმუნიტეტით სარგებლობდნენ. მათ არ მოეთხოვებოდათ პასუხი მათი ნათესავების, თანამემამულეების საქციელზე. ხშირად მათ შეუფერებელ საქციელსაც პატიობდნენ. უკიდურეს შემთხვევაში მოუჭრიდნენ შესანახ თანხას. გვაქვს სხვა შემთხვევებიც, როდესაც მღვდმარეობის გართულებისას რუსი მოხელეები გასცემდნენ მძევალთა განადგურების ბრძანებას: 1762 წელს ალიასკაზე ალუუთელთა თავდასხმის პასუხად 7 მძევალი მოკლეს, 1772 წელს რუსმა ზღვაოსანმა ი. სოლოვიოვმა კუნძულ სანას მცხოვრებთაგან აყვანილი მძევალი მოაკვლევინა.⁴⁵

ამანათობის ნაირგვარობად უნდა მივიჩნიოთ მძევლად ქალების გაცემა: ნოღაელი მთავრები ბაშკირებისგან ამანათებად იყვანდნენ ქალებს.⁴⁶

* * *

მძევლის საკითხი თავისებურად, განსხვავებულად, მაგრამ მაინც არაერთხელ დასმულა ქართულ-რუსული ურთიერთობებისას. ჩვენში ითვლება, რომ მძევალი გაჰყავდათ „ურჯულ“ ქვეყნებში, ხოლო ერთმორწმუნე რუსეთი ამ საკითხით არც დაინტერესებულა.⁴⁷

საქმე არც თუ ისე მარტივადაა. ქართულ-რუსულ ურთიერთობებში ეს

⁴³ Русско-чеченские отношения..., გვ. 178.

⁴⁴ Русско-чеченские отношения, გვ. 178-179.

⁴⁵ А. Гринев. Туземцы-аманаты в Русской Америке, გვ. 131.

⁴⁶ tarkhan.ru/27.05.2011.

⁴⁷ „ჩვენმა ისტორიკოსებმა უკვე დაადგინეს, რომ ამ პერიოდში მოსკოვი არ ცდილობდა მძევლის აყვანას რუსეთ-კახეთის კავშირის უზრუნველსაყოფად“ (დ. ალექსიძე. საქართველო რუსეთის საერთაშორისო – სამართლებრივი ურთიერთობა XV – XVIII სს. თბ. 1983, გვ. 125).

საჭირობორტო საკითხი არაერთხელ წამოჭრილა.

პოლიტიკური მძევლის საკითხს ნაშრომი მიუძღვნა ი. ცინცაძემ: „მძევლის საკითხი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების ისტორიაში XVI-XVII სს.“.⁴⁸ ეს პერიოდში შეზღუდული უფრო სამეცნიერო-პოპულარული ნაშრომია, სადაც მეცნიერი მხოლოდ ცალკეულ საკითხებს აღწერს. მათი სისტემური კვლევა არავის უწარმოებია.

საკითხში გარკვევისათვის, უპირველესყოვლისა, უნდა გავიხსენოთ, თუ რა ვითარებაში დამყარდა ორ ქვეყანას შორის ურთიერთობები. მოვიხმობთ მოკამედ თავერის ცნობას: „მან (თეიმურაზმა), რადგანაც რუსების თანამორწმუნე იყო, მიმართა რუსის ხელმწიფეს და დახმარება და შველა ითხოვა. მან მზაკვრულად ურჩია..., რომ მიზანშეწონილი იქნებოდა, თუ ყოი-სუს ციხის სანახებში რამდენიმე სხვა ციხეც იქნებოდა ამენებული“.⁴⁹ მართალია, გვიანი ხანის ცნობაა, მაგრამ კარგად გადმოგვცემს შექმნილ მდგომარეობას.

ამრიგად, XVI საუკუნის მიწურულს მოსკოვისა და კახეთის სამეფოებს შორის დამყარებული ურთიერთობა „ურჯულოთაგან ქრისტიანობის დაცვის“ იდეაზეა დაფუძნებული. მოსკოვის სახელმწიფოს პრაქტიკაში ეს პირველი შემთხვევაა მართლმადიდებელ ქვეყანასთან ამგვარი ურთიერთობისა. მიუხედავად იმისა, რომ რუს ხელისუფალთ ზოგადად უნდა მოსწონებოდათ თავიანთი ავტორიტეტის ზრდა-აღიარება, პირველ ხანებში ერთგვარი დაბნეულობა ეტყობათ: გასარკვევი ჰქონდათ, რის საფუძველზე უნდა მიეღოთ მფარველობაში კახეთი – ფიცი საკმარისი უნდა იყოს, მძევლებსა და იასაყს ვერ დააკისრებენ, ტერიტორიითაც შორსაა და ორი დიდი მუსლიმურ სახელმწიფოს „ყმა“.⁵⁰ ამიტომაცაა, რომ პირველ ხანებში „ფიცის წიგნებსა“ და „ოქრობეჭდოვან“ სიგელებში დამოკიდებულების შესახებ მხოლოდ ზოგადი ფრაზები გვხვდება.⁵¹

⁴⁸ „საბჭოთა სამართალი“. თბ. 1964. №4, გვ. 66-75.

⁴⁹ მოკამედ თავერის ცნობები საქართველოს შესახებ. ვლ. ფუთურიძის გამოცემა. კრ.: „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“ (მსკი). ნაკვ. 30. თბ. 1954, გვ. 284.

⁵⁰ ე. კოროვინი მიუთითებს, რომ შუა საუკუნეებში „ფიცი“ («крестное целование») ითვლებოდა ყველაზე გავრცელებულ გარანტიად ერთგულებისა. მოგვიანებით (რუსულ სინამდვილეში მუსლიმებთან დაკავშირებით) მას დამატა მძევალ-ამანათი (Н. Марр. К столетию дня со рождения М. И. Броссе. Жур.: «Записки восточного отделения Императорского археологического общества». Т. 14. Вып. 4. СПб. 1902, გვ. 16; Кабардино-русские отношения в XVI-XVIII в.в., გვ. 215).

⁵¹ ლ. ალექსიძე, საქართველო რუსეთის საერთაშორისო-სამართლებრივი ურთიერთობა XV-XVIII სს, გვ. 55-146.

მხოლოდ მოგვიანებით, 1590-იანი წლების შუა ხანებში, როდესაც აქტიურად დაიწყო საშამხლოზე ლაშქრობის საკითხი, რუს დიპლომატებს „გაანსენდათ“ ქართველი მეფისაგან აეღოთ ერთგულების „ღამატებითი“ გარანტიები. ბორის გოდუნოვთან მოლაპარაკებებისას დაფიქსირდა რუსთა მოთხოვნა:

«...а тебе б, Александру царю, и детем твоим, будучи под в.г.н. его царского величества самодержавною.- А ко г.б.н. к в.г.ц. и в.к. Ф.И. в. Р. самодержцу к его царскому величеству прислсл бы еси сына своего царевича Юрья или внука своего царевича Константина его царские очи и жалование на себе видеть и его царского величества з жалованием вскоре ехать к тебе...Да ведамо в.г.ц. и в.к. Ф.И. в. Р. самодержцу учинилось, что у тебя, у Олександра царя, сидит в пойманье брат твой большой по своей вине... И тебе б, Александру царю, прислати к в.г.н. его царьскому величеству детей его обеих царевичей или одного из них с сыном своим с царевичем Юрьем или со внуком своим Константином для того: как в.г.н. отпустил сына твоего или внока, и те твои племянники в те поры побудут при г.н. его царском величестве, и всем окольным государем то будет пристрашно. А г.н. мимо твою волю от себя не отпустит...».⁵²

ეს საინტერესო შემთხვევაა. საერთოდ, რუსეთში უცხო ქვეყნებთან მიმოწერის წარმოების პერეოგატივით მხოლოდ მეფე სარგებლობდა. მეფის შემდგომ – ბოიართა სათათბირო.⁵³ კერძო პირებს განსაკუთრებული ინსტრუქციების გარეშე სასტიკად ეკრძალებოდათ მეფის სახელის ხსენებაც კი.⁵⁴

ბორის გოდუნოვი – ეს არის განსაკუთრებული შემთხვევა.⁵⁵

უცხოეთის სახელმწიფოთა წარმომადგენლებს მიუთითებდნენ ამ პიროვნების განსაკუთრებულ მდგომარეობაზე და ურჩევდნენ საქმის უკეთ წარმართვის მიზნით სწორედ მასთან ჰქონოდათ ურთიერთობა.⁵⁶ იგივე უნდა

⁵² С. А. Белокуров. Сношение России с Кавказом с 1578 по 1613 гг, გვ. 261.

⁵³ მიმოწერის უფლებით სარგებლობდა საელჩო „პრიკაზის“ პირველი ხელმძღვანელი – დიაკი ვისკოვატი და ისიც მხოლოდ ცოტა ხანს. მის შემდგომ ასეთი უფლება არავისთვის მიუციათ (А. П. Богданов. Первые российские дипломаты. М. 1991, გვ. 21-25).

⁵⁴ მსგავსი ინსტრუქციები ეძლეოდათ მხოლოდ განაპირა რაიონების ვოევოდებს.

⁵⁵ Н. Костомаров. Русская история в жизнеописании его главнейших деятелей. М. 1991, გვ. 331.

⁵⁶ С. М. Соловьев. История России с древнейших времен – Сочинения в 18-ти книгах. Кн. IV. Тт. 7-8. М. 1989, გვ. 191.

მომხდარიყო კახეთთან დამოკიდებულებაშიც, რადგან ამ ურთიერთობის ადრეულ ეტაპზე (1588 წ-დან) ქართველი ელჩებიც ამ პიროვნებასთან აწარმოებდნენ მოლაპარაკებას.⁵⁷ 1591 წლის 19 აპრილს ბორის გოდუნოვმა მეფესთან აუდენციამდე მიიღო ელჩები და მათგან მხოლოდ თარჯიმნის თანდასწრებით აწარმოებდა მოლაპარაკებას;⁵⁸ ეს ეტიკეტის არნახული დარღვევა იყო და მსგავსი დანაშაული მოსკოვის სახელმწიფოში მკაცრად ისჯებოდა.⁵⁹

საინტერესოა, რის საფუძველზე აძლევს ბორის გოდუნოვი თავს ამდენ უფლებას. თვითონ ამის შესახებ წერს:

«И яз по твоему челобитью и прошенью благочестивому ... ц. и в. к. в. Р., молил и бил челом. И государь наш ... впред мне о тебе и о твоей земле всякими делы твоими радети⁶⁰ приказал».⁶¹

ბორის გოდუნოვი გარკვეული ხნის განმავლობაში დამოუკიდებლად აწარმოებს მოლაპარაკებას ალექსანდრე II-თან, მაგრამ ერთ მომენტში გადააჭარბა რწმუნებებს: მძევლის მოთხოვნის გამო ღინჯი და ფრთხილი ალექსანდრეს წყრომა დაიმსახურა.

«И мы то выслушали и о том велми подивился; еще бы и в царской грамоте не написано было, а государев бы посол изует говорил, и мы б его слову верили... А о том де не кручиня для одной речи: Божиею милостью от Бога нам ничево неоскудно. Один де государь еси якоже и аз и иные государи, ино для того тружаюсь для нашии сладкие веры христьянские».⁶²

ამის შემდეგ რუსთა მხარეს აღარასოდეს დაუყენებია ეს საკითხი დღის წესრიგში.

მოგვიანებით კიდევ ერთხელ გამოჩნდა შესაძლო მძევლის – ბაგრატ

⁵⁷ С. А. Белокуров. Сношение России с Кавказом с 1578 по 1613 г.г, გვ. 54.

⁵⁸ С. А. Белокуров. Сношение России с Кавказом с 1578 по 1613 г.г, გვ. 229-231.

⁵⁹ ამის დასადასტურებლად საკმარისია ივანე ვისკოვატის, ვასილი შხელკალოვის და გრ. კოტოშინის მაგალითები. ისინი მკაცრად დაისჯნენ სამეფო კარის ნორმების დარღვევის გამო (С. А. Белокуров. О Польском приказе. М. 1906; А. П. Новосельцев. Русско-иранские политические отношения во II пол. XVI в. Международные связи России до XVII в. М. 1961).

⁶⁰ «Радеть» – მზრუნველობა, კეთილისმყოფელობა (С. И. Ожегов. Словарь русского языка. М. 1986, გვ. 554; რუსულ-ქართული ლექსიკონი. თბ. 1993, გვ. 610).

⁶¹ С. А. Белокуров. Сношение России с Кавказом с 1578 по 1613 г.г, გვ. 251.

ბორის გოდუნოვისადმი ასეთი უფლებები აღინიშნა მის ტიტულატურაშიც: «...конюший царя...наместник Казанского и Астраханского царств» (Н. П. Павлов-Сильванский. Государевы служивые люди. Т. I. СПб. 1902, გვ. 57).

⁶² С. А. Белокуров. Сношение России с Кавказом с 1578 по 1613 г.г, გვ. 263-264.

იესეს ძის კანდიდატურა, მაგრამ არეულობის ხანაში იგი ქრება. ამის შესახებ ნ. ბერძენიშვილი წერდა: „კონსტანტინეს (ალექსანდრე II-ს ძე – კონსტანტინე მირზა) მოწინააღმდეგეებმა საჭირო რწმუნებებით აღჭურვეს ბედის მძიებელი და მფარველ ხელმწიფეს მაჰმადიანთა მძლავრობისაგან კახეთის დაცვა სთხოვეს... კახელებმა ოსტატურად ისაქმეს, რომ ბაგრატ ბატონიშვილი მოსკოვს გააგზავნეს... მოსკოველ მეგობარს შეეძლო ბაგრატის კახეთს გამეფებისათვის ენერგიულად მხარი დაეჭირა და ამ აქციის ცნობა შაჰისათვის კატეგორიულად მოეთხოვა... შაჰ-აბასმა აქაც დასწრება გადაწყვიტა. მან ქრისტიან ბაგრატს ქრისტიანივე თეიმურაზი დაუპირისპირა“.⁶³

არსებობს ისეთი საკითხებიც, რომლებიც, დიდი სიფრთხილის გამო, არ შექჰონდათ „ნაკაზებში“. მათ შესახებ ვიგებთ ელჩთა ანგარიშებიდან.⁶⁴ ძირითადად ეს შეეხება დინასტიური ქორწინების საკითხს.

1604-1605 წლებში კახეთში გამოგზავნილი რუსეთის ელჩის, ტატიშჩევის სანგარიშო მოხსენებაში დაცულია ცნობა, რომელიც ქართველ ბატონიშვილთა მოსკოვში გამგზავრებას ეხება:

1605 წლის 10 მაისს ქართლის მეფის – გიორგი X-ს მიერ ბორის გოლუნოვისადმი მიცემული „ფიცის წიგნში“ აღნიშნულია:

«Божию милостью в. г. ц. и в. к. Б. Ф. в. Р. с. (полный титул); г-ю и обладателю и твоего царского величества сыну в. г. ц.-чю к. Б. Ф. в. Р. Яз, Богом венчанный царь от корене Иесея, Давида и Соломона царей и корене вседержителей обладатель писанных мест, Аравиский, Кахетинский, Зекинский, Ахпасииский и всяя Иверия содержитель, и Картлинский царь Юрь⁶⁵ даю извещение се и целюю крест перед дьяком Ондреем, что

⁶³ ნ. ბერძენიშვილი. საქართველო XI-XVIII საუკუნეებში. საქართველოს ისტორიის საკითხები. წ. VI. თბ. 1973, გვ. 143.

⁶⁴ Л. А. Юзефович. Как в посольском обычаях ведется. М. 1988, გვ. 69-70.

1771 წლის დეკემბერში ერეკლე II ეკატერინე II-სადმი მფარველობის სათხოვარი პუნქტების პროექტში მძევლობის ტრადიციის შესახებ წერდა: „...როდესაც სპარსთ რომ ვეჭვირებით მძღავრებით და ხან ოსმალსა, სპარსნი ჩვენს სამეფოს ორ წელიწადში ერთხელ წაართმევდნენ ცხრას ტყვეს და კვამლხედ 14 შაურს“ (ვ. მაჭარაძე. მასალები XVIII ს. II ნახევარში რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის. ნაწ. III. ნაკვ. II. თბ. 1997, გვ. 765).

⁶⁵ აღნიშნული „ფიცის წიგნი“ დიამეტრულად განსხვავდება ყველა დანარჩენისაგან. მსგავსი სახით ქართველი მეფის ტიტულატურა არსად არ გვხვდება: „ნებითა ღვთისათა აფხაზთა (Аравиский), ქართველთა, რანთა, კახთა (Кахетинский) და სომეხთა (Сомехетиский) მეფისა, შარვანშა, შანშა (Захиский) და ყოვლისა აღმო-

прислал ко мне ты ... послов своих ... И они мне твое царское повеление говорили... просил ты».⁶⁶

ეს „ფიცის წიგნი“ ეხება ერთ მეტად მნიშვნელოვან საკითხს: «ТАИНОЕ ДЕЛО», როგორც რუსი დიპლომატები უწოდებენ ორ სამეფო კარს შორის დინასტიური ქორწინების საკითხს:

ბორის გოდუნოვის დროინდელი რუსეთის შესახებ ბევრი დაწერილა და თქმულა. უბრალოდ, შევნიშნავთ, რომ უფლისწული დიმიტრის „მკვლელს“, მეორე ხარისხის ბოიარს, მეტად გაუჭირდა საზოგადოებაში დასაყრდენის პოვნა. იგი ყოველ ღონეს ხმარობდა ამისათვის და ქართველ მეფეებთან დაახლოებაც სცადა. გიორგი X-ის „ფიცის წიგნი“ უფრო წინასწარ შეთანხმებას ჰგავს.

ბაგრატიონების დინასტიასთან დანათესავების ცდა პოლიტიკური მოტივებით იყო ნაკარნახევი. მეორეხარისხოვანი ბოიარის – გოდუნოვის ტახტზე ასვლა, იმ დროს, როცა რიურიკელთა დინასტიის უშუალო წარმომადგენლები – შუისკები, სტაროდუბსკები და სხვები მოსკოვის დიდი მთავრის ტახტთან პირველი კატეგორიის ბოიარებად იყვნენ, უდავოდ საზიფათო საქმე იყო გოდუნოვისათვის, იმ გოდუნოვისათვის, რომელიც ივანე მრისხანეს პოლიტიკის გავრცელებით ფიქრობდა სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის განმტკიცებას. ცხადია, მისთვის სრულიად არ იყო ხელსაყრელი რუსეთის ბოიარებთან სისხლით დანათესავება.⁶⁷ მე-16 საუკუნის მიწურულისათვის საკმაო ცნობები ჰქონდათ რუსეთში ბაგრატიონთა დინასტიის „ბიბლიური“ წარმოშობის შესახებ.

„ჩვენ არ ვიცით, როგორ მსჯელობდა ამ საკითხის გარშემო ქართლის

სავლეთისა ვიდრე დასავლეთამდის თვითმფლობელობით მაქონებელ მპყრობელი (Всея Иверия содержитель)“ (იხ. ივ. ჯავახიშვილი. ქართული სიგელთმცოდნეობა ანუ დიპლომატიკა. თბ. 1926, გვ. 127).

⁶⁶ ამ სიტყვებით დასტურდება, რომ ფიცის წიგნების ტექსტი მოსკოვში დგებოდა. ამ შემთხვევაში, შექმნილი მდგომარეობის გამო ელჩებს დამატებითი კონსულტაციის გარეშე მოუხდათ საკითხის გადაწყვეტა.

⁶⁷ ი. ცინცაძე. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის არქივიდან (XVII ს.). მიმომხილველი. II. თბ. 1951, გვ. 263. გამოქვეყნებული მასალებიდან არ ჩანს სასიძო-საპატარძლოს საკითხი პირველად ვინ დააყენა. ნამდვილად ვიცით, რომ ქართლში შემთხვევით მოხვედრილი ელჩები გაუგებრობაში აღმოჩნდნენ: რუსეთის მეფის ხელდებული კახელი ბაგრატიონები ასპარეზიდან გაქრნენ მოულოდნელად, ელჩებს დავალება დარჩათ შესასრულებელი, ქართლის მეფემ კი პირველ მთხოვნელად რუსეთის მხარე დააფიქსირა, რაც ელჩებისათვის ინსტრუქციის დარღვევად ჩაეთვლებოდათ.

სამეფო დარბაზი, მაგრამ ქართველი მეფის იმ პასუხიდან, რომელიც მას რუსეთის ელჩისათვის გაუცია დიდებულთა თათბირის შემდეგ, ჩანს, რომ ქართველ დიდებულებს საუბარი ჰქონიათ რუსეთთან პოლიტიკური ურთიერთობის მიზანშეწონილობის საკითხზე. მეფის ასულის რუსეთში სადედოფლოდ გაგზავნა დადებითად გადაწყვეტილა დარბაზის თათბირზე, მაგრამ რუსეთის მფარველობაში გადასვლა და მეზობელ თურქეთთან და ირანთან ამის გამო ურთიერთობის გამწვავების შესაძლებლობა აწუხებდათ.

რუსეთის სახელმწიფო საზღვრების სიშორე ამინებდა, თურმე, ქართველ პოლიტიკოსებს⁶⁸.

რუსეთი ამ შემთხვევაში ძველს კი არ ეძებდა, არამედ ცდილობდა ახალი დინასტიისათვის საჭირო, საყოველთაოდ ცნობილ სამეფო ოჯახთან სისხლით ნათესაობას.

ასეთ კანდიდატად შეარჩიეს ხოსრო ბატონიშვილი. მაგრამ რუსეთის სამეფო კარს საქართველოში ქალის გამოთხოვება არ უნდა, არამედ სურთ ქართველი ბატონიშვილი წაიყვანონ მოსკოვში. ხოსრო ბატონიშვილი მუხრანელ ბაგრატიონთა შტოს წარმომადგენელი იყო. ოღონდ საეჭვო იყო მისი რუსეთში გაშვების შემდეგ რა მოხდებოდა: «царь себе мыслит, что есть у него Ходзрой добри добр и разуменж да цар от него блюдетца: как будет у великого государя в милости, и он любо поищет под ним государства».⁶⁹

ამ საშიშროების თავიდან ასაცილებლად წინასწარ პირობას და გარანტიას ითხოვენ. ტატიშჩევი აღნიშნავს: «И послы им то отговоривали всякими мерами, чтоб царь себе того в мысли не держал... великий государь не отпустит его от себя никуда и устроит его в своем государстве по государскому чину...».⁷⁰ ქართლის მეფემ შესაშური გამჭრიახობა გამოიჩინა. რუსეთში ჩასულ უფლისწულებს კი მათსავე სახელმწიფოში „უზრუნველ“ ცხოვრებას ჰპირდებოდნენ, მაგრამ საკუთარი ქვეყნის საზიანოდ მეფისათვის სამსახურსაც ითხოვდნენ.⁷¹

⁶⁸ ი. ცინცაძე. მძევლის საკითხი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების ისტორიაში XVI-XVII სს, გვ. 70.

⁶⁹ С. А. Белокуров. Сношение России с Кавказом с 1578 по 1613 г.г., გვ. 504.

⁷⁰ С. А. Белокуров. Сношение России с Кавказом с 1578 по 1613 г.г., გვ. 504.

⁷¹ რუსეთის ელჩს ტატიშჩევს ქართლის სამეფოში მიუგნია ბორის გოდუნოვის ოჯახისათვის შესაფერისი სარძლოსა და სასიძოსათვის. მაგრამ, როგორც ამ ელჩის საანგარიშო მოხსენებიდან ჩანს, არც თუ ისე მარტივად გადაწყვეტილა ქართლის სამეფო კარზე რუსეთის სამეფო ოჯახთან დანათესავების საკითხი. 1599-1603 წლებში ევროპის სხვადასხვა ქრისტიანულ ქვეყანაში რუს ელჩებს ევალებო-

სიძე-პატარძლის საკითხი კიდევ ერთხელ დაისვა ქართულ-რუსული ურთიერთობებისას, XVII საუკუნის შუა ხანებში ქართულმა დიპლომატიამ კურსი შეცვალა: სხვა რომ არაფერი გამოვიდა,⁷² მიველდით და სასიძო-საპატარძლოს საკითხი წამოწია წინ. გამოქვეყნებული თუ გამოუქვეყნებელი მასალებიდან ცნობილია, რომ ქართველი ბატონიშვილი ერეკლე (რუსული წყაროების ნიკოლოზ დავითის ძე) ხანგრძლივი მოლაპარაკებების შემდეგ, რუსეთის მხარის დაჟინებული მოთხოვნით, მოსკოვში გააგზავნეს და რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში იქ იმყოფებოდა. უფლისწულის მოსკოვში გამგზავრების საკითხი კას პოლიტიკოსთა ინიციატივა იყო.⁷³ ამ ინიციატივას ძალიან ფრთხილად ამუშავებს ქართული მხარე.

1645-1646 გიორგი ჩოლოყაშვილის ელჩობის მასალებიდან კარგად ირკვევა, თუ როგორ ავითარებს ქართული დიპლომატია მიველდისა და სასიძო-საპატარძლოს საკითხს – თეიმურაზის მიერ ელჩებისათვის მიცემულ პირველ წერილებში რუსთა დაინტერესებას ტრადიციული ხერხებით ცდილობს. მოგვიანებით, მ. ბროსეს მიერ გამოქვეყნებულ წერილში, კი ტონი იცვლება და უფრო კონკრეტული წინადადებები წამოიწევს წინ – „ქართლი დაგვაჭერინოს... პატრიარქად იმათი ბერი დასვან... ამისთვის ჩემს შვილს გიორგის მივსცემ; ციხე აუგონ (ლეკებს) და იმისთვისცა მივსცემ შვილსა; ჩემს უხუცესს შვილს

დათ სასიძოს მოძიება გოდუნოვის ქალიშვილის ქსენიასათვის: მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ შვედეთის ყოფილი მეფის ერიკ XIV ვაჟთან უფლისწულ გუსტავთან, რომელიც მოსკოვშიც კი ჩამოვიდა, მაგრამ უარი თქვა სიძობაზეც და შვედეთში დაშქრობაზეც. ამის გამო იგი უგლიწში გადაასახლეს, სადაც დაიღუპა. მოგვიანებით, 1602-1603 წლებში ქსენიას სასიძოდ განიხილბოდა დანიის მეფის ფრედერიკ II-ის მესამე ვაჟი, პრინცი ჰანსი. 1601 წლის დეკემბერში შედგა საქორწინო შეთანხმება, რომლის თანახმადაც ჰანსს უნდა მიეღო ტვერის სამთავრო და 400000 გულდენი. რუსეთის მხარემ დადო პირობა, რომ სასიძოს არ შეეკმნებოდა პრობლემები, მაგრამ, მოგვიანებით, მას მოსთხოვეს სარწმუნოების შეცვლა. მანამდე კი შავი ჭირისაგან გარდაიცვალა პრინცი ჰანსი, რომლის ბოლო სიტყვები იყო: „როგორც ჩანს, უფალს არ სურდა ამ ანტიქრისტეთა შორის ყოფნა და ამიტომაც თავისთან მივყავარო“ (А. Юрганов. «Русское дело» датского принца Вальдемара. <http://yos.ru/liberal-arts/35-1-r-html>).

⁷² 1646 წელს თეიმურაზ I ელჩის, გიორგი ჩოლოყაშვილის, პირით უთვლიდა რუსეთის მეფეს: «А мы для того поддалися есми под великою руку многолетново царя, чтоб презирал великий царь, имети для нас великое промышленности и презрения от недругов, от кизылбаш и от поганных лезгинцев» (გ. ქუჭუნაშვილი. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა XVII საუკუნის 40-იანი წლების შუახანებში. ქართული დიპლომატია. წელიწადეული. ტ. II. თბ. 1995, გვ. 298).

⁷³ ი. ცინცაძე. მიველდის საკითხი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების ისტორიაში XVI-XVII სს, გვ. 71.

ლუარსაბს ქალი მისცეს, საქართველო საბოლოოდ ხელმწიფისა იქნება...“.⁷⁴

საყურადღებო საპროგრამო წერილია. ქართველი მეფე უფრო რეალური პირობების შეთავაზებით ცდილობს რუსეთის გააქტიურებას სამხრეთის მიმართულებით. საინტერესოა უკვე შემდგომი მოლაპარაკებებისას ქართველი ელჩის მიერ დაფიქსირებული პოზიცია: „თქვენ შეგვინახით და არც თქუენი ხელი მოგვსხივით. თავი თვისი გაყმო და შვილიცა მოგართო და შვილისთვინ და გოხოვა და თავისი ქვეყანა თქვენ მოგართო“.⁷⁵

ამ წერილის მიღებისთანავე თეიმურაზის ელჩი დაუკითხავთ საგარეო საქმეთა უწყებაში და ცნობები შეუკრებიათ, თუ რამდენი შვილი და შვილიშვილი ჰყავდა თეიმურაზს, რამდენი წლისანი არიან თეიმურაზის ოჯახის წევრები და სხვა.⁷⁶ მაგრამ რომანოვების გვარის ქალის საქართველოში გამოთხოვებაზე პასუხი არ ჩანდა, ოფიციალურად დუმილი არჩიეს. თუმცა ბობორიკინ-ისტომინის საპასუხო ელჩობის ინსტრუქციაში საგანგებოდ იქცევეს ყურადღებას ე.წ. „საიდუმლო საქმე“ როგორც აღვნიშნეთ, ამ გრიფით აღინიშნებოდა დინასტიასთან დაკავშირებული პრობლემები (ქორწინება, შეთქმულება და სხვა), რომლებსაც ისე ასაიდუმლოებდნენ, რომ ელჩობის მხოლოდ რამდენიმე წევრმა თუ იცოდა. ამ „ოპერაციის“ წარმატებით დასრულების შემდეგ, ინსტრუქციის თანახმად, სასიძო-საპატარძლო მოსკოვში უნდა ჩაეყვანათ.⁷⁷

რუსეთის ხელისუფლების შემდგომი მოქმედებებიდან კარგად ჩანს, რომ თეიმურაზის წინადადებას – ბატონიშვილის „საყმოდ“ გაგზავნის შესახებ – დიდი ინტერესი გამოიწვია.⁷⁸

ის, თუ რეალურად რა მოსაზრებით იგზავნება ბატონიშვილი რუსეთში უფრო გარკვევით მოცემულია თეიმურაზის წერილში: «Молю и челом бью... да пришлеш к нам казны и ратных людей овладети места наши да будут все рабы... вашего царствия... и царевич останетца в закладе и руках вашего царствия».⁷⁹

⁷⁴ М. И. Броссе. Переписка на иностранных языках грузинских царей с российскими государями от 1639 года по 1770 год, გვ. 64.

⁷⁵ გ. ჟუჟუნაშვილი. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა XVII საუკუნის 40-იანი წლების შუახანებში, გვ. 301.

⁷⁶ გ. ჟუჟუნაშვილი. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა XVII საუკუნის 40-იანი წლების შუახანებში, გვ. 302.

⁷⁷ გ. ჟუჟუნაშვილი. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა XVII საუკუნის 40-იანი წლების შუახანებში, გვ. 302-303.

⁷⁸ ი. ცინცაძე. მძევალის საკითხი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების ისტორიაში XVI-XVII სს, გვ. 72.

⁷⁹ ი. ცინცაძე. მძევალის საკითხი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების ისტორიაში XVI-XVII სს, გვ. 73.

რუსეთში მყოფი ქართველი უფლისწულის მდგომარეობა გაორებულია – ერთი მხრივ, ვრ. კოტომიხინის თანახმად, «...ему честь такова, что природному сыну царскому⁸⁰ ... понеже он не полоненый есть, но единие с ним веры»,⁸¹ მეორე მხრივ, იგი „საპატიო ტყვეა“, რომელსაც უნებართვოდ გადაადგილებაც კი ეკრძალება (ამანათის მსგავსად, მაგრამ გაპარვისათვის ფიზიკურად არავენ სჯის).⁸²

ქართულ-რუსულ ურთიერთობებში მძევლის საკითხი დაისვა XVIII საუკუნის 70-იან წლებშიც. 1771 წლის დეკემბრის ბოლოს ეკატერინე II-სადმი გაგზავნილ ხელშეკრულების პროექტში ერეკლე II წერდა: „... და როდესაც თქვენის იმპერატორობის დიდებულების ჯარი ამ ქვეყანაში მოვა და ჩვენ და ისინი, საერთოდ, მტერს ჩვენს წართმეულს ქვეყნებს რომ წავართმევთ... და ამ წყალობებისთვის... მოვართმევთ ძესა ჩვენსა რომელსამე და ეგრეთვე რაოდენსამე კნიაზსა...და აზნაურთაცა შეძლებისაებრ ჩვენისა“.⁸³

მოგვიანებით, გეორგიევსკის ტრაქტატის დადებისას, ეს საკითხი არც განუხილავთ. გრაფი ალექსანდრე ბეზბოროდკოს წერილში გრიგოლ პოტიომკინისადმი (1782-1783 წლების მიჯნა) ატყობინებს ეკატერინე II-ის მოსაზრებას ზოგადად ურთიერთობებისადმი: „ქართველებთან დავამყაროთ სამოკავშირეო ხელშეკრულება, ვუწოდოთ მათ არა ქვეშევრდომები, არამედ მოკავშირეები, რომელთაც მფარველობს იმპერია“.⁸⁴ ტექსტის თანახმად, რუსული

⁸⁰ შდრ. კონსტანტინე ალექსანდრეს ძე რუს ელჩებს ეუბნება: «А яз дей холоп шахов, а пишет ко мне шах в грамотах своим сыном» (Белокуров С. А. Сношение России с Кавказом с 1578 по 1613 г.г, გვ. 490).

მოტანილი ტექსტიდან კარგად ჩანს, რომ „მამა-შვილური“ დამოკიდებულება არც მძევლობას და არც ყმობას არ გამოირიცხავდა. ალბათ, უფრო პირიქით.

⁸¹ Гр. Котошихин. О России в царствовании Алексея Михайловича. СПб. 1859, გვ. 12.

⁸² 1675 წლის შემდგომი ნაზარალიხანისეული წერილები ალექსი მიხეილის ძისადმი ძირითადად თავის მართლებას: „ქ. დიდო ბატონო ხელმწიფე და დიდო კნიაზო – ხელქვეითი და ერთი ბეწვი თქვენი გაზრდილი ნიკოლა თავს გიკრავ ... ყვენი კახეთზედ მოვიდოდა და ჩემის მოსვლით ვეგბის კახეთი არ წაახდინოს მეთქი. იმისათვის წამოველ, თორემ უდასტუროდ როგორ წამოვიდოდი“ (М. И. Броссе. Переписка на иностранных языках грузинских царей с российскими государями от 1639 года по 1770 год. СПб. 1861, გვ. 89-91). რუსთაგან ამ თხოვნას არ მოჰყოლია არანაირი რეაქცია, – ირანის შაჰის მოხელე, თანაც ასეთ მდგომარეობაში ჩავარდნილი, რუსთა სახელმწიფოს მესვეურთა ინტერესების მიღმა დარჩა.

⁸³ ვ. მაჭარაძე. მასალები XVIII ს. II ნახევარში რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის. ნაწ. III. ნაკვ. II, გვ. 765.

⁸⁴ გეორგიევსკის ტრაქტატი. გამოკვლევა, დოკუმენტები, ფოტოპირები ვ. მაჭარაძისა. თბ.1983, გვ. 64.

მხარე დამატებით გარანტიებს არ ითხოვს. მაგრამ რუსეთში მაინც აგზავნიან ორ უფლისწულს – მირიანს და თეიმურაზს (ანტონ II კათალიკოსს).

გვინდა ყურადღება გავამახვილოთ ერთ საკითხზე, რომელიც პირდაპირ არ უკავშირდება საქართველოდან მძევლის გაყვანა, მაგრამ საინტერესოა ზოგადად რუსეთის ხელისუფალთა დამოკიდებულების გამოსახატავად. საქმე ეხება საქართველოში მოვლინებულ რეზიდენტს – ოთარ თუმანოვს. 1754 წლის მარტში საგარეო საქმეთა კოლეგიამ იმპერატორს წარუდგინა ქართველი მეფეებისათვის გასაცემი პასუხისა და ელჩების სამშობლოში გასტუმრების პროექტი, რომელშიც ნათქვამი იყო: «когда оные митрополит Афанасий и князь Макаев с ответом здешним и с награждением в Грузию возвратятся, небезнужно было бы ведать каким образом сие от царей принято будет. Удовольствуются они здешним ответом и останутся ли к здешней стороне преклонными».⁸⁵

ამას გარდა, რუსეთის მთავრობას განსაკუთრებით ის აფიქრებს, თურქეთი ზომ არ შეეცდება სპარსეთში არსებული ვითარებით ისარგებლოს.

საინტერესო სიტუაციაა: რუსეთის მთავრობა საქართველოსათვის რეალური დანხარების გაწევას თურქეთის გაღიზიანების შიშით ვერ ბედავს, მაგრამ ეშინია, თურქებმა ჩუმად არ გადადგან რეალური ნაბიჯები. ამისათვის კი საჭიროა უტყუარი ცნობები, მაგრამ მზვერავად რუსის გაგზავნა არ შეიძლებოდა.⁸⁶

საგარეო საქმეთა კოლეგიას ქართველ თავადთაგან შეურჩევია მზვერავი, რომელსაც თვითონ შეუთავაზებია სამსახური.

ოთარ თუმანოვი მსახურობდა ქართველ ჰუსართა პოლკში და 1750 წლისათვის კაპიტნობისათვის მოუღწევია. 1750 წლის სექტემბერში მან რუსეთის მთავრობას მიმართა თხოვნით – გაეგზავნათ მზვერავად თბილისში, რათა იქ შეეტყო სპარსელებისა და თურქების ზრახვები, საქართველოში შექმნილი ვითარების შესახებ და ამის თაობაზე ცნობებს მიაწვდიდა რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეგიისათვის. 1750 წლის სექტემბერში წარდგენილ მოხსენებით ბარათში, ო. თუმანოვი ითხოვდა რა საქართველოში გამოშვებას, ირ-

⁸⁵ ვ. მაჭარაძე. მასალები XVIII საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის. ნაწ. I. გამოსაცემად მოამზადეს, შენიშვნები და საძიებლები დაურთეს ვ. კუტალაძემ და ვ. შუქუნაშვილმა. თბ. 2007. დანართი. დოკ. №38, გვ. 184.

⁸⁶ ვ. მაჭარაძე. მასალები XVIII საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის. ნაწ. I. დანართი. დოკ. №38, გვ. 184.

წმუნებოდა – ერთგული ვარ და თავდებად ვტოვებ შვილს ივანეს, რომელიც ჰუსართა პოლკშია პრაპორშნიკი, ასევე ცოლსა და დანარჩენ შვილებსო.

1754 წლის 21 მარტს იმპერატორმა მოიწონა და დაამტკიცა საგარეო საქმეთა კოლეგიის წინადადება⁸⁷, ხოლო 1754 წლის აპრილში შეიმუშავა ინსტრუქცია, რომელიც ო. თუმანოვს მიეცა სამოქმედოდ. ინსტრუქციაში ნათქვამია, რომ რაკი თქვენ საქართველოში საკუთარი სახლი გაქვთ და ნათესავები გყავთ, შეგიძლიათ იქ უშიშრად იყოთ, ამიტომ გიშვებთ საქართველოში 2 წლით, თითქოს თქვენი ოჯახური საქმეების მოსაგვარებლად, ნამდვილად კი დასაზვერად და გავალებთ შეგვატყობინოთ: 1. როცა ელჩები ათანასე და სიმონ მაყაშვილი საქართველოში დაბრუნდებიან, როგორ შეხვდებიან მათ მეფენი, დარჩებიან თუ არა კმაყოფილნი, თუ თურქეთის პროტექციის და დახმარების ძებნას დაიწყებენ; 2. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ სპარსეთის საქმეებს, თურქეთის შესაძლო გადაადგილებებს ამ მიმართულებით; 3. როცა საჭირო ცნობებს შეაგროვებ, საიმედო ხელით თქვენი კონვერტით საიდუმლოდ გამოუგზავნე ყიზლარის კომენდანტს, რომელიც ჩვენ გადმოგვიგზავნის, რის თაობაზეც მას მითითება აქვს მიცემული; 4. ეს ინსტრუქცია თქვენ უნდა დაიზეპიროთ და კარგად დაისომოთ, ხოლო საზღვარზე რომ მიხვალთ, დაწვით, რომ ვინმეს ხელთ არ ჩაუვარდეს; 5. თქვენი საქართველოში გაგზავნის მიზნის დასაფარავად სამხედრო კოლეგია მოგცემთ პასპორტს, რომელშიც აღნიშნული იქნება, რომ თქვენ ორი წლით თქვენივე თხოვნით გაშვებული ხართ საქართველოში თქვენი ოჯახური საქმეების მოსაგვარებლად, რის შემდეგ რუსეთში ბრუნდებით; 6. ხარჯებისათვის საგარეო კოლეგია გაძლევეთ 300 მანეთს და ფულს ტრანსპორტის დასაქირავებლად ასტრახანამდე, ხოლო ასტრახანის საგუბერნიო კანცელარიას ეგზავნება მიწერილობა, რომ დაუყოვნებლივ გაგამგზავრონ ყიზლარში შესაბამისი საშვით, თქვენი მისიისათვის დასახული ამოცანა საიდუმლოდ უნდა შეინახოთ; 7. იმპერატორის ბრძანებით, სამხედრო კანცელარიას დავალებული აქვს: თქვენი აქ არყოფნის დროს წლის განმავლობაში თქვენს ცოლ-შვილს მიეცემა თქვენი ხელფასი.⁸⁸

განხილული მასალიდან ჩანს, რომ „ამანათობის“ ინსტიტუტი ახალთვისებული და მიმდებარე ტერიტორიების მოსახლეობასთან ურთიერთობისას რუსეთის სახელმწიფოს პოლიტიკის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. იგი

⁸⁷ ი. ცინცაძე. კაპიტან ოთარ თუმანოვის მოხსენებითი ბარათები საქართველოდან, გვ. 11.

⁸⁸ ი. ცინცაძე. კაპიტან ოთარ თუმანოვის მოხსენებითი ბარათები საქართველოდან, გვ. 14.

ფართოდ გამოიყენებოდა საშინაო და საგარეო პოლიტიკის წარმოებისას. ამანათობა რუსეთში XIX საუკუნის 60-იან წლებშიც ლოიალობის გარანტიების ერთ-ერთი მთავარი არგუმენტია.

მძევლის საკითხი თავისებურად, განსხვავებულად, მაგრამ მინც არაერთხელ დასმულა ქართულ-რუსული ურთიერთობებისას. ჩვენ არ ვიზიარებთ ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებულ აზრს, რომ ერთმორწმუნე რუსეთი ამ საკითხით არც დაინტერესებულა, რომ მას არასოდეს მოუთხოვია ქართველთაგან მძევალი. რა თქმა უნდა, ჩრდილო კავკასიელი ან ციმბირელი თუ სხვა მმართველთა მსგავსად ამანათის საკითხი ქართველებთან მიმართებით არ განიხილებოდა, მაგრამ სამხედრო დახმარების სანაცვლოდ გარკვეული გარანტიები უნდა მოეთხოვათ. XVI საუკუნის 90-იან წლებში ამ მოთხოვნას ქართველთა მხრიდან დიდი პროტესტი მოჰყვა და რუსთა მხარესაც პირდაპირ აღარასოდეს დაუსვაძს. თუმცა ამანათობამ „სახე იცვალა“ და სხვადასხვა დროს სხვადასხვაგვარად კვლავ დადგა და გადაწყდა: მძევალთა კატეგორიაში უნდა განვიხილოთ სიძე-პატარძლის, „რუსეთის მეფის შვილის“ ერეკლე-ნიკოლოზის, ასევე, გეორგიევსკის ტრაქტატის შემდეგ მირიან-თეიმურაზის „სტუმრობა“ რუსეთში და სხვა.

Giorgi Zhuzhunashvili

**INSTITUTE OF “AMANATOBA” (POLITICAL HOSTAGE) IN
GEORGIAN-RUSSIAN RELATIONSHIP
FROM THE 16TH TO THE 18TH CC.**

Summary

The present work deals with the issues concerning Georgian-Russian relationship. Institute of political hostages, as the way of Russian policy, was used in relation with neighboring countries.

It was widely in use in domestic and external affairs. The institute of political hostages was one of the major guarantee of loyalty even in 60-s of 19th century for the Russian Empire.

We do not share the opinion maintained by some members of Georgian historiography that Orthodox Russians had never demanded the hostages from Georgian sovereigns. North-Caucasian and Siberian princes were directly demanded to send the hostages, while the Georgians could have been demanded some guarantees in exchange for military assistance. In 90-s of 16th century a demand to send the hostages was met with hursh protest by the Georgians and the Russian side never discussed this issue again. But “Amanatoba” changed her appearance and the issue was resolved differently. The issues like marital arrangement between the brides and bridegrooms, visit and delay of Georgian prince – “son of Russian Tsar”, Erekle-Nikolay in Moscow, also after treaty of Georgievsk “visit” of Mirian and Teimuraz in Russia should be understood as the way of keeping the political hostages in Russian Empire.

აპოლონ თაბუაშვილი

ქართლ-კახეთის სამეფოს თავდაცვითი ღონისძიებები ირანის აგრესიის მოსაგერიებლად 1795 წლის ივნის-აგვისტოში

1795 წლის აპრილ-მაისში ირანის ჩრდილოეთით, ქალაქ არდებილში, ალა-მაჰმად ხანმა დაიწყო ჯარების შეკრება, რომლის მიზანი ქართლ-კახეთის სამეფოს დამორჩილება იყო. მან თავი მოუყარა 70 000 კაციან არმიას.

ირანიდან მომდინარე საფრთხის შესახებ ქართლ-კახეთის სამეფო კარისათვის 1791 წლიდანვე იყო ცნობილი. ქართლ-კახეთის სამეფოს საგარეო დაზვერვა რომ საკმაოდ გამართულად მუშაობდა და მოწინააღმდეგის შესახებ ყველა ინფორმაციას ფლობდა, კარგად ჩანს რუსეთში გაგზავნილი წერილებიდან. სამეფო კარი დაწვრილებით ატყობინებდა ირანელთა ყველა გადაჯგუფების შესახებ საიმპერატორო კარსა თუ კავკასიის ხაზის გენერალ გულოვიჩს.¹ 1795 წლის ივლისში კი გარსევან ჭავჭავაძემ გრაფ ა. ბუზბოროდკოს უკვე ულტიმატუმის ფორმით მიმართა: „სპარსეთის ახლანდელი ბრძანებელი, ალა-მაჰმად ხანი, მიისწრაფვის შაჰად იქნეს ცნობილი და საქართველოზე თავდასასხმელად ემზადება. ჩემი თანამდებობისამებრ მე უმდაბლესად გთხოვთ გვაუწყოთ: ინებებს თუ არა რუსეთის უმაღლესი კარი ტრაქტატით გათვალისწინებული დახმარებისა და მფარველობის აღმოჩენას. ვთხოვთ თქვენს ბრწყინვალეებას ამ ჩემს წარდგინებაზე სწრაფად მომცეთ პასუხი. ჩვენ ახლა უკიდურესად გვჭირდება ამის ცოდნა“.² ერთი სიტყვით, ქართლ-კახეთის დიპლომატიამ, რუსეთის სამეფო კარს დროულად მიაწვდინა ხმა მოსალოდნელი საფრთხის შესახებ. ამ წერილებიდან კარგად ჩანს, რომ ირანელთა ლაშქრობის საფრთხე ქართლ-კახეთის სამეფოს მესვეურებს სრული სიცხადით ჰქონდათ წარმოდგენილი და საკმაო დროც გააჩნდათ შესაბამისი მზადებისათვის.

¹ იხ. Грамоты и другие исторические документы. Относящиеся до Грузии. томъ II. выпускъ II. Подъ редакціей А. А. Цагарели. СПб. 1902.

² Грамоты и другие исторические документы. Относящиеся до Грузии. томъ II. выпускъ II. Подъ редакціей А. А. Цагарели, გვ. 272.

მაშინ, რატომ მოხდა ისე, რომ ერეკლე II ძალზედ მცირე ძალებით და, ფაქტობრივად, მოუმზადებელი აღმოჩნდა ირანის შაჰის პირისპირ. ერეკლე II-ის მოუმზადებლობაზე მიგვანიშნებენ, სხვადასხვა ისტორიული წყაროები: ვახტანგ ბატონიშვილი გადმოგვცემს, რომ როდესაც აღა-მაჰმად ხანი თბილისიდან 7 ვერსით დაშორებულ სოღანლულში დადგა, „იყო ფრიად მწუხარე მეფე ირაკლი დიდად სიმცირისათვის სპათასა“;³ ბაგრატ ბატონიშვილის ცნობით, „მეფე არ მომდინარე მოსვლისა მისისა (აღა-მაჰმად ხანისა – ა.თ.), რომელიცა იყო მას ჟამსა უთადარიკოთ...“;⁴ თეიმურაზ ბატონიშვილი კი მოგვითხრობს, რომ „მაშინ მეფესა ირაკლის არა აქვნდა სრული განმზადებულებად მტერთა მიმართ იმედუელსა მეზობელთა თ[კი]სთა (რუსეთის – ა.თ.) მოშველებისა“.⁵

კრწანისის ბრძოლის წინ ერეკლე II-ის მოუმზადებლობას აღნიშნულ საკითხის მკვლევრები სხვადასხვა მიზეზით ხსნიან. ივ. შაიშმელაშვილი, ეყრდნობა რა არტემ არარატელის, ბუტკოვის და ალ. ჯამბაკურ ორბელიანის ცნობებს, აღნიშნავს, რომ ბატონიშვილთა და დიდ თავადთა გულგრილობამ გამოიწვია ქვეყნის დამარცხება.⁶ იასე ცინცაძემ, თუმცა, წყაროთა კრიტიკის ფონზე, სამართლიანად უარყო ბატონიშვილთა და დიდ მოხელეთა დალატის ფაქტები, მაგრამ კრწანისის ომში დამარცხება ქართლ-კახეთის სამეფოს სოციალ-ეკონომიკური და მმართველობის ჩამორჩენილი ფორმებიდან გამომდინარე კანონზომიერად ჩათვალა.⁷ იმავე აზრს ავითარებს სარგის კაკაბაძე თავის ნაშრომში „კრწანისის ომი“.⁸ საერთოდ კი, საბჭოთა ისტორიოგრაფია დამარცხების მიზეზთა ძიებაში არ ითვალისწინებს კონკრეტულ გარემოებებს და უმეტესად აქცენტს აკეთებს იმ ზოგად დებულებაზე, რაც ქართლ-კახეთის მმართველობის სისტემის უვარგისობას, ქვეყნის ჩამორჩენილობას გულისხმობს და კრწანისის ტრაგედიასაც ამ კუთხით აფასებს. ყოველივე ეს კი პირდაპირ უკავშირდება რუსეთის იმპერიის საქართველოში გაბატონების ღე-

³ ვახტანგ ბატონიშვილი. ისტორიები აღწერა ღირსთა ხსომისა შემთხვეულებათა საქართველოსა შ-ა აღწერთა ზნეობათა და ჩვეულებათა მსახლობელთა მის ქვეყნისა, თხზული საქართველოს მეფის ირაკლის ძის ვახტანგის მიერ. ტფ. 1914, გვ. 34.

⁴ ბაგრატ ბატონიშვილი. ახალი მოთხრობა. გამოსცა თამარ ღომოურმა. თბ. 1941, გვ. 65.

⁵ თეიმურაზ ბაგრატიონი. დავით ბაგრატიონის ისტორია. თბ. 1972, გვ. 32.

⁶ ივ. შაიშმელაშვილი. კრწანისის ომი. თბ. 1965 გვ. 29-47.

⁷ ი. ცინცაძე. აღა-მაჰმად ხანის თავდასხმა საქართველოზე. თბ. 1969.

⁸ ს. კაკაბაძე. კრწანისის ომი. თბ. 1991, გვ. 158-160.

გიტიშურობის მტკიცებას. მაგ. ივ. შაიშმელაშვილი გადმოგვცემს, რომ კრწანისის ბრძოლის შემდეგ „ქართველი ხალხი რუსეთთან მეგობრობის საიმედო საფარმა იხსნა დეგრადაციისა და განადგურების საშიშროებისაგან“.⁹ „საქართველოს ისტორიის ნარკვევებში“ კი აღნიშნულია, რომ „კრწანისის ტრაგედიის ერთ დიდი მიზეზი ქართლ-კახეთის ფეოდალური სახელმწიფოს შინაგანი დაუძღურება, მისი ცენტრალური ხელისუფლების სისუსტე იყო“.¹⁰

საბოლოოდ მიღებულია მოსაზრება, რომ არდებილში სპარსელთა ჯარების შეკრების გაცხადების შემდეგ ქართლ-კახეთის სამეფოშიც დაწყებული შესაბამისი მზადება, მაგრამ სამხედრო ძალები ცუდი ორგანიზებით იკრიბებოდნენ და აგვისტოს ბოლოსათვის მოხერხდა მხოლოდ იმერეთის სამეფოს 2 ათასი და 2-3 ათასი ქართლ-კახეთის მოლაშქრის შეგროვება. ამის მიზეზად სახელდება ქვეყნის შინაგანი დაუძღურება და ცენტრალური ხელისუფლების სისუსტე, რის გამოც ერეკლე II მტერს მოუმზადებელი დაუხვდა.¹¹

მიუხედავად აღნიშნული მოსაზრებისა, რომელიც დამკვიდრებულია ქართულ ისტორიოგრაფიაში, საკითხისადმი ჩაღრმავება სურათს სხვაგვარად წარმოაჩენს.

ამ მხრივ საინტერესოა ალ. ცაგარელის მიერ გამოქვეყნებული 1795 წლის ერთ-ერთი დოკუმენტი. დოკუმენტს ზუსტი თარიღი არ აქვს, თუმცა ეჭვგარეშეა, რომ ის ივნის-ივლისის მდგომარეობას გამოხატავს, რადგან აღნიშნულია, რომ ამ დროს ალა-მაჰმად ხანი არდებილში იდგა ჯარებით და საქართველოსაკენ აპირებდა ლაშქრობას. დოკუმენტი წარმოადგენს გარსევან ჭავჭავაძის მოხსენებას რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეგიისადმი, სადაც ქართველი თავადი აღნიშნავს: „...მეფესა ჩემსა აქვს უძლიერესი მფარველი ახლანდელის დროთმჩემებელისაგან, რომლისაგანაც ითხოვს ყ-დ მოწყალე ბითს შეწევნას, რათა მიეცეს შეწევნა 6 ანუ ხუთის პოლკის რეგულის ქვეითის ჯარისა, და უწინ ჯარის გასტუმრებისა საჭირო არის, რომ გაისტუმროთ პრავიანტმაისტერი მოსამზადებლად პურისა, და მეფე თავისის მხრიდამ მისცემს ჭეშმარიტს ბრძანებას, რათა გასასყიდი პური იყოს ზომიერ ფასით რაოდენ შეიძლება, თუმცა თანამდებობა აქვს მეფესაც და ერსა რათა სრულ

⁹ ივ. შაიშმელაშვილი. კრწანისის ომი, გვ. 125.

¹⁰ მ. დუმბაძე, ზ. ცქიტიშვილი. საქართველო-ირანის ურთიერთობის გამწვავება. ირანელთა შემოსევა 1795 წ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. IV. თბ. 1973, გვ. 766.

¹¹ მ. დუმბაძე, ზ. ცქიტიშვილი. საქართველო-ირანის ურთიერთობის გამწვავება. ირანელთა შემოსევა 1795 წ., გვ. 758-760.

ჰყონ რუსეთის ჯარი სურსათით, მაგრამ რადგან ჰყავს ახლანდელს ღროება-ში შეყრილი სხვა და სხვა ხალხი ჯარათ, რომლისაც თანამდევ არის მიცემად მათდა ყოვლისავე ჯამაგირისა, და ამ მიზეზით არღარ შემძლებელ არის თავისის ხარჯით განმზადებად სურსათის უმაღლესისა ხელმწიფის ჯარისათვის“.¹²

ამ მეტად მნიშვნელოვანი დოკუმენტიდან განსაკუთრებით საინტერესოა ის ფაქტი, რომ გარსევან ჭავჭავაძე ალა-მაჰმად ხანის ჯარების „არდავილში“ კონცენტრირების დროს, 1795 წლის ივნის-ივლისში, აფიქსირებს ქართლ-კახეთში „შეყრილ სხვა და სხვა ხალხს ჯარათ“. დოკუმენტიდან ჩანს, აგრეთვე, რომ მათ ნაწილს „ჯამაგირი“ ეძლეოდა, ანუ დაქირავებული ჯარი ყოფილა. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე ცხადი ხდება, რომ 1795 წლის ივნის-ივლისში, ქართლ-კახეთის სამეფო კარს კონტრზომები მიუღია და რუსეთის იმპერიისათვის დახმარების თხოვნის პარალელურად, არმიის მობილიზება მოუხდენია, რომლის ნაწილსაც ჯამაგირი ეძლეოდა, ანუ დაქირავებული ყოფილა. ცნობილია, რომ ქართველ მეფეებს დაქირავებული ჯარი, როგორც წესი, ჩრდილოეთ კავკასიიდან, დაღესტნიდან გამოჰყავდათ.

დოკუმენტის შედგენის დროს ქართლ-კახეთის სამეფოში თუ რა ტიპის და რა რაოდენობის ჯარების კონცენტრაციასთან გვაქვს საქმე, ამის შესახებ გარკვეულ ინფორმაციას გვაწვდის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული 1795 წლის 14 ივნისით დათარიღებული ერეკლე II-ის წერილი აზნაურ ქაიხოსრო მურვანიშვილისადმი. წერილის დასაწყისში საუბარია ყარაბაღის სახანოში გაგზავნილ ალექსანდრე ბატონიშვილის რაზმის ჯარისკაცებითა და სურსათით მომარაგებაზე, ჯამუშების სათანადო აღვილებზე განწესებასა და სხვა საკითხებზე. შემდეგ ერეკლე II აღნიშნავს: „...დ[კო]თის მოწყალეობით ამ ორსაოდ დღეში ან ჩვენ წამოვალთ (ყარაბაღში) ხუთი ექვსი ათასის კაცით და ან ჩვენს შვილს იულონს გამოვისტუმრებთ. ამ ხუთს ექვს ათასს კაცს რომ ვიწერებით ესენი ახლა აქ გზას არიან და დღე დღეობით ემატებიან. ესენი ქართლისა და კახეთის ჯარი არის. ჯერ მთის კაცნი და უცხოს ქვეყნის ჯარები არ მოგვსვლიან. დაბარებულნი არიან და მოველით. და ჯერ ქართლისა და კახეთის ჯარი არცა მესამედი მოსულა და არც მთის კაცნი მოსულან, ჯერ არც იმერლები და არც ლეკები და ჯერ დ[კო]თის მოწყალეობით იმგვარი ამბავი არა არისრა“.¹³

¹² Грамоты и другие исторические документы. Относящиеся до Грузии. томъ II. выпускъ I. Подъ редакціей А. А. Цагарели. СПб. 1898, გვ. 117.

¹³ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. Hd-14261.

ლოკუმენტი ერთგვარად განსაზღვრავს 1795 წლის ივნისის შუა რიცხვებში ქართლ-კახეთის სამეფოში ჯარის შეკრების ორგანიზების გეგმებს. ცნობილია, რომ 14 ივნისისათვის აღექსანდრე ბატონიშვილი 1000 კაციანი რაზმით გაგზავნილი იყო ყარაბაღში იბრეიმ ხანის დასახმარებლად, რომელმაც, ამავე წერილის სხვა ადგილიდან ჩანს, შევსება მიიღო. ასე რომ მას დაახლოებით 2000 კაცი ეყოლებოდა. გარდა ამისა, ერეკლე II წერილში აცხადებდა, რომ რამდენიმე დღეში 5-6 ათასკაციანი ჯარს გაგზავნიდა ყარაბაღში მისი ან იულონ ბატონიშვილის მეთაურობით. ერეკლე II-ის განცხადებით, ეს იყო ქართლ-კახეთის ჯარის მხოლოდ მესამედი და კიდევ მოელოდა ჯარს, რომელიც დღითიდღე იკრიბებოდა. გარდა ამისა, „მთის კაცნი“ და უცხო „ქვეყნის ჯარები“ დაბარებულნი ყოფილან და მეფე მათაც მოელოდა. „მთის კაცში“ ერეკლე, რა თქმა უნდა, ქართლ-კახეთის მთიანეთის ანუ თუშფშავ-ხევსურეთს, არაგვის და ქსნის ხეობის ქართველთა და ოსთა ჯარს გულისხმობდა. „უცხო ქვეყნის ჯარების“ შესახებ კი უფრო კონკრეტდება და აღნიშნავს, რომ „ჯერ არც იმერლები და არც ლეკები“ არ მოსულანო. ერთი სიტყვით, ერეკლე II-ის გეგმის მიხედვით, 1795 წლის ივნისში უნდა შეკრებილიყო ქართლ-კახეთის ბარის და მთის მოსახლეობიდან დაახლოებით 15-20 ათასკაციანი არმია. იმერეთის და დაღისტნელთა ჯარის ჩათვლით 1795 წლის ივნისის ბოლოსათვის სამეფო კარი უკვე შეკრებილ და დაბარებულ ჯართან ერთად სულ, დაახლოებით, 25000 კაცის მობილიზებას აპირებდა.

თუ რამდენად შესრულდა ეს გეგმა, ამის შესახებ ინფორმაციას გვაწვდის დარჩი ბებუთაშვილის ერთი კერძო წერილი ვინმე ისაიასადმი. წერილში აღნიშნულია: „ბატონიშვილი აღექსანდრე [ჯარით] ხომ დიდი ხანია გოგჩაზე (სევანის ტბა – ა.თ.) ბრძანდება და ახლაც მისი უგანათლებულესობა ბატონიშვილი იულონ და მუხრან-ბატონი, ამილახვარი, – ეს სარდლები უმაღლესობამ (ერეკლე II-მ – ა.თ.) გამოისტუმრა. არტილერიაც სრული ძალით გამოდგა. ღვთით და უმაღლესობის დოვლათით ვნახოთ რას იმოქმედებს. გუშინ განჯიდან კაცი მოვიდა ჯავათ-ხანისა, რომ ალა-მაჰმად-ხან ყარაბაღში მოვიდაო. ეს საეჭვო არის, სარდალი კი იქნება რომ მოსულიყოს. აქ დიდრონი ჯარები იყრება. პირიქით ლეკის ჯარი სულ ხვალ ან ზევ შემოვა და იმერელიც (სოლომონ II – ა.თ.) ახლა ქართლს მოსული იქნება“ (1795 წლის 30 ივნისი).¹⁴

¹⁴ ს. კაკაბაძე. კრწანისის ომი. თბ. 1991. გვ. 82; დ. პ. პურცელაძე. Грузинская крестьянская грамоты. Составил Д. П. Пурцеладзе. Тиф. 1882, გვ. 61.

ამ დოკუმენტიდან ჩანს, რომ ერეკლე II-ის 14 ივნისის წერილში აღნიშნული გეგმა მართლაც ხორციელდებოდა. დარჩია ბებუთაშვილი ადასტურებს, რომ ერეკლეს იულონ ბატონიშვილი, მემარჯვენე სარდალ ამილახვართან და მემარცხენე სარდალ მუხრანბატონთან ერთად გაუსტუმრებია ყარაბაღში იბრეიმ ხანის და ალექსანდრე ბატონიშვილის დასახმარებლად. ბებუთაშვილი გაგზავნილი ჯარის რაოდენობას არ აკონკრეტებს, მაგრამ ცხადია, ის მართლაც ერეკლე II-ის 14 ივნისის წერილში გაცხადებული ციფრის ანალოგიური იქნებოდა, რადგან ჯარს არტილერია სრული სახით ახლდა. ზოგადად, ქართლ-კახეთის მცირე ჯარი არტილერიას არ ატარებდა. ამავე დროს, ერეკლე II, რომელმაც თითქმის მთელი თავისი შემოსავლები არტილერიის შექმნას მოახმარა და რომელიც ქართლ-კახეთის სამეფოს მთავარ მონაპოვრად ითვლებოდა, მცირე ჯართან ერთად არ გაგზავნიდა და დამარცხების შემთხვევაში მის დაკარგვას არ დაუშვებდა. ამ ფაქტებიდან გამომდინარე, ცხადი ხდება, რომ ერეკლე II-მ ივნისის მეორე ნახევარში ყარაბაღში დამატებითი 5-6 ათას კაციანი ჯარი გაგზავნა. ერთი სიტყვით, 1795 წლის ივნისის ბოლოსათვის ყარაბაღის სახანოს დასახმარებლად ერეკლე II-მ ორ ეტაპად, მინიმუმ, 7000 კაცი გაგზავნა ალექსანდრე ბატონიშვილის, იულონ ბატონიშვილის, ოთარ ამილახვრის და იოანე მუხრანბატონის სარდლობით. იბრეიმ ხანისა და ქართლ-კახეთის გაერთიანებულმა ჯარმა, ბუტკოვის ცნობით, 1795 წლის ივნისში გაანადგურა ალა-მაჰმად ხანის მიერ ყარაბაღის დასამორჩილებლად გაგზავნილი 10 000 კაციანი ჯარი. წერილის ბოლოს აღნიშნულია, რომ ყარაბაღის სახანოში გაგზავნილი ჯარის (7000 კაცი) გარდა, თბილისში „დიდრონი ჯარები“ გროვდებოდა. ბებუთოვის განმარტებით, დაღესტნის ჯარებს სრულად უახლოეს დღეებში მოელოდნენ და იმერლებიც 30 ივნისისათვის უკვე ქართლის საზღვრებში უნდა ყოფილიყვნენ მისულნი. როგორც ვხედავთ, ერეკლე II-ის მიერ 14 ივნისს გაცხადებული გეგმა უტოპიური პერსპექტივა არ ყოფილა და მისი განხორციელება მართლაც დაწყებულია. ივნისის ბოლოსათვის დამატებით ყარაბაღში 5-6 ათას კაცი გაუგზავნიათ და მის გარდა თბილისში „დიდრონი ჯარებიც იყრებოდა“. „დიდრონი ჯარებში“ ბებუთოვი ცხადია 2-3 ათას კაცს არ გულისხმობდა და ის, სულ მცირე, ყარაბაღში გაგზავნილი ჯარის ოდენობის ეკვივალენტური იქნებოდა. წერილის კონტექსტიდან კარგად ჩანს, რომ „დიდრონი ჯარებში“ ბებუთოვი დაღესტნისა და იმერეთის ჯერ კიდევ მოუსვლელ ჯარებს არ გულისხმობდა. ეს „დიდრონი ჯარები“ 14 ივნისისათვის ჯერ კიდევ შეუკრებავი

ქართლ-კახეთის ჯარის და მთის მოსახლეობისაგან უნდა ყოფილიყვნენ მობილიზებული. ყარაბაღში გაგზავნილ, დაახლოებით 7000 ჯარისკაცის გარდა „დიდრონ ჯარებში“ თუ ერთი ამდენს ვიგულისხმებთ, ცხადი ხდება, რომ 1795 წლის ივნისის ბოლოსათვის ერეკლე II-ს ქართლ-კახეთიდან დაახლოებით 14-15 000 კაცის მობილიზება მოუხდენია.

ჯარის მობილიზება ქვეყანაში სრული მასშტაბით რომ ხორციელდებოდა, ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ ყარაბაღიდან ახლად დაბრუნებული ალექსანდრე ბატონიშვილი უკვე 8 ივლისს მობილიზებას უკეთებს მის მიერვე ყარაბაღიდან ჩამოყვანილ ელებს, ყაზახსა და შამშადილუში.¹⁵

ჯარების სრული მობილიზების ფაქტზე მეტყველებს, აგრეთვე, დ. ფურცელაძის გამოქვეყნებული 1795 წლის ერთ-ერთი დოკუმენტი, რომელიც წარმოადგენს ერეკლე II-ის ბრძანებას გლახა ჭავჭავაძისადმი, სადაც აღნიშნულია, რომ მის საგამგებლო ტერიტორიაზე მსახლობელ თითოეული ოჯახიდან ერთი კაცი უნდა გამოიყვანოს და 30 ივნისს მეფესთან გამოცხადდნენ.¹⁶ ცხადია, ანალოგიური ბრძანებები გაიცემოდა ქართლ-კახეთის სამეფოს ყველა მოურავისა და სამხედრო სამობილიზაციო რეგლისადმი. როგორც ამ დოკუმენტებიდან ჩანს, ქართლ-კახეთის ბარის რაიონებიდან კომლზე კაცის სიხშირით მიმდინარეობდა მოსახლეობის მობილიზაცია.

ერეკლე II-ის წერილში აღნიშნული იყო, ასევე, რომ ჯარებს მოელოდნენ იმერეთიდან და დაღესტნიდან. დადასტურებული ფაქტია, რომ იმერეთის ჯარები ივლისის თვეში მართლაც ჩამოვიდნენ თბილისში და კრწანისის ბრძოლაში 2000 კაციც მონაწილეობდა. თუმცა, სხვადასხვა წყაროები მიუთითებს, რომ ივნის-ივლისში იმერელთა გაცილებით დიდი რაოდენობის ჯარი უნდა მოსულიყო თბილისში. ს. კაკაბაძის აზრით, ყველაზე სანდო წყაროდ უნდა მივიჩნიოთ დავით თუშანიშვილის ცნობა, რომელიც აღნიშნავს, რომ იმერეთის დამხმარე ჯარი 4000 კაცისაგან შესდგებოდა.¹⁷ მარი ბროსეს მიერ გამოქვეყნებულ ერთ-ერთ დოკუმენტში, რომელიც 1795 წლის 18 ივლისით თარიღდება, აღნიშნულია, რომ სოლომონ II, რომელსაც დადიანს წყალობის გამო ვერ გამოჰყვა, ჯარით გორში იმყოფებოდა და 1500 კაცით სარდალი ქაიხოსრო წერეთელი ფცაში იყო მისული და ქართლისაკენ

¹⁵ M. Brosset. Histoire de la Georgie. II Partie. II Livrasion. SPb. 1857, გვ. 550.

¹⁶ Пурцеладзе Д. П. Грузинские дворянские грамоты. Составиль Д. П. Пурцеладзе. Тиф. 1881, გვ. 29,

¹⁷ ს. კაკაბაძე. კრწანისის ომი, გვ. 83.

მიემართებოდა.¹⁸

როგორც ამ დოკუმენტიდან ჩანს, სოლომონ II-ის თანხმლებ ჯარის გარდა ქართლში ქაიხოსრო სარდალსაც მოუყვანია 1500 მოლაშქრე. ერთი სიტყვით, ივლისის თვეში მართლაც 4000-მდე იმერეთის ჯარი უნდა შემოსულიყო თბილისში.

ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ გარსევან ჭავჭავაძის მიერ რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეგიისადმი გაგზავნილ მოხსენებაში აღნიშნულია, რომ ერეკლე შეკრებულ ჯარის ნაწილს „ჯამაგირს“ უხდიდა, რაც შეიძლება დადესტინიდან ჯარის დაქირავებაზე მიგვანიშნებდეს, რადგანაც იმდროისათვის არც ქართლ-კახეთის მოსახლეობიდან მობილიზებულ ჯარს და არც იმერლებს „ჯამაგირი“ არ ეძლეოდა. მარი ბროსეს გამოქვეყნებულ ერთ-ერთ დოკუმენტში, 1795 წლის ივლისში ფიქსირდება დაქირავებული ჯარი, რომელთაც კაცზე 2 თუმანი ეძლეოდათ და ფრანგული თარგმანი მათ „Daouthalabi“-ის ხალხს უწოდებს.¹⁹ („Daouthalabi“ ერთ-ერთი დადესტინელი ბელადის სახელის თარგმანი უნდა იყოს). აგვისტოს დასაწყისში იგივე ხალხი სამხედრო ოპერაციებშიც იღებენ მონაწილეობას. დადესტინელთა დაქირავებული ჯარის ნაწილის, „ჯამაგირით“ გასტუმრებას უნდა ასახავდეს დ. ფურცელაძის გამოქვეყნებული ერთ-ერთი დოკუმენტი, სადაც საუბარია 1795 წლის ზაფხულში 2870 მანეთის „ფარჩის“ და ლურჯი საღებავის ლეკებისათვის გადაცემაზე.²⁰

როგორც ვხედავთ, 1795 წლის ივნის-ივლისში ერეკლე II-ს დაახლოებით 20 000 კაციანი არმიის მობილიზება მოუხდენია. ამავე დროს, ერეკლემ ყარაბაღის ხანს, სამხედრო დახმარებასთან ერთად, 120 000 მანეთი გაუგზავნა.²¹ იბრემ ხანმაც 15 000 კაციანი ჯარის მობილიზება შეძლო. საბრძოლო მდგომარეობაში იყო მოყვანილი ერევნის სახანოც.

როგორც ჩანს, ალა-მაჰმად ხანი მოერიდა ერეკლე-იბრემ ხანის და ერევნის ხანის გაერთიანებული ძალების წინააღმდეგ ბრძოლას. თბილისზე ლაშქრობის ნაცვლად, რისი შესაძლებლობაც მას ივლისში აშკარად ჰქონდა განჯის ხანის უკვე გარკვეული პიზიციის გამო, მან სამი მიმართულებით დაძრა თავისი არმია: ნაწილი შირვანისაკენ, ნაწილი ერევნის ციხისაკენ გაგ-

¹⁸ M. Brosset. Histoire de la Georgie. II, გვ. 549.

¹⁹ M. Brosset. Histoire de la Georgie. II, გვ. 550.

²⁰ Д. П. Пурцеладзе. Грузинская крестьянская Грамоты. Составил Д. П. Пурцеладзе. Тиф. 1882, გვ. 60.

²¹ П. Г. Бутков. Материалы для новой истории Кавказа. ч. III. СПб. 1869, гв. 254.

ზავნა, ხოლო ძირითადი ძალებით 8 იენისს შუშის ციხეს მიადგა და ალყაში მოაქცია. გენერალ გულოვიჩის რეკომენდაციის მიუხედავად, თავის მხრივ, რუსეთის ჯარების დახმარების გარეშე, ვერც ერეკლე II-მ გაბედა იბრემ-ხანთან გაერთიანება.

ირანის მმართველი თბილისზე ლაშქრობას განზრახ აჭიანურებდა. არც შუშაზე მიჰქონდა გადამწყვეტი იერიში და ერევანში მყოფ სარდლობასაც უბრძანებდა, რომ, შესაძლებლობის მიუხედავად, არც ერევანის ციხე აეღოთ და არც ხანი დაეპატიმრებინათ.²²

ტაქტიკური თვალსაზრისით ეს იყო აბსოლუტურად მომგებიანი პოზიცია. მან კარგად იცოდა, რომ ერეკლე II ღიძი ხნით ჯარებს ვერ შეინახავდა და დროის გაჭიანურებით საბრძოლო უპირატესობასაც დაეუფლებოდა. ამავე დროს მოადუნებდა ქართველთა ყურადღებას და მათ წარმატების ილუზიას შეუქმნიდა.

ამასობაში ერეკლე II-მ მოლაღატე განჯის ხანის წინააღმდეგ ალექსანდრე და იულონ ბატონიშვილები გაგზავნა. აგვისტოს დასაწყისში მათ განჯა დაარბიეს. ამ ლაშქრობაში დაქირავებული დაღესტნელი მთიელებიც მონაწილეობდნენ.²³

8 აგვისტოს კი ალა-მაჰმად ხანმა შუშის ციხე მიატოვა და უკან დაიხია. ამით შეიქმნა შთაბეჭდილება მისი არმიის სისუსტის შესახებ. ამ ამბავს თბილისში სიხარულით შეხვდნენ. ერთ-ერთი დოკუმენტის ფრანგულ თარგმანში აღნიშნულია, რომ „ალა-მაჰმად ხანმა უკან დაიხია, როგორც ლტოლვილმა (დეზერტირმა), დატოვა რა ორი ზარბაზანი, კარვები, დროშები, სამხედრო აღჭურვილობა, ყუმბარები, ტყვია და ღენთი და გაემართა ხუდაფრენის ხიდისაკენ (მდინარე არაქსის მიმართულებით – ა.თ.)“.²⁴

როგორც ჩანს, აგვისტოს დასაწყისში ალა-მაჰმად ხანის მოჩვენებითმა წარუმატებლობამ თავისი შედეგი გამოიღო და ქართველებმა ძალები მოადუნეს. ამავე დროს, ერეკლე II-ს რუსეთიდან დამაიმედებელი ცნობები მოსდიოდა. გულოვიჩი გამორიცხავდა ირანელთა თბილისზე ლაშქრობას, წინააღმდეგ შემთხვევაში ერეკლეს დახმარებას ჰპირდებოდა. თანაც ზამთარი ახლოვდებოდა. ქართველი სარდლობა დარწმუნდა, რომ სპარსელები ამჯერად თბილისზე

²² Грамоты и другие исторические документы. Относящиеся до Грузии. томъ II. выпускъ II. Подъ редакціей А. А. Цагарели. СПб. 1902, გვ. 94-95.

²³ M. Brosset. Histoire de la Georgie. II, გვ. 550.

²⁴ M. Brosset. Histoire de la Georgie. II Partie. II, გვ. 550.

აღარ მოდიოდნენ და ჯარების დიდი ნაწილი დაითხოვეს. ამ დროს უნდა დაეთხოვათ იმერელთა ის დაჯგუფება, რომელსაც ქაიხოსრო წერეთელი ხელმძღვანელობდა, დაღესტნელები (რომლებიც კრწანისის ბრძოლაში არ მონაწილეობდნენ) და ქართლ-კახეთის ჯარების ნაწილები. ჩვენს მოსაზრებას პირდაპირ ეხმაურება კრწანისის ბრძოლის მომსწრის, თბილისელი სომეხის, სერობ გრიჩის, ნაშრომი „აღა-მაჰმად ხანის მიერ 1795 წლის 11 სექტემბერს დედაქალაქ თბილისის (ფაიტაკარანის) გადაწვის მოკლე ისტორია“, რომელიც კრწანისის ბრძოლიდან რამდენიმე თვეში დაიწერა. წყაროში პირდაპირაა აღნიშნული, რომ ერეკლე II-მ 1795 წლის ზაფხულში თავისი ჯარები დაშალა.²⁵

ერეკლე II-მ მხოლოდ 2000 იმერეთის სამეფოს ჯარი და 2500-მდე საკუთარი ჯარის ნაწილები დაიტოვა ერევნის სახანოში მყოფი სპარსული ნაწილების გასადევნად. ერეკლე II-მ ერევანში ლაშქრობის დროს ყაზახში მიიღო საგანგაშო ცნობა – მსტოვრების მიერ აღმოჩენილ აღა-მაჰმად ხანის წერილში აღნიშნული იყო, რომ სპარსელები ჩქარი სვლით თბილისზე იწყებდნენ ლაშქრობას.²⁶ მოკლე დროში არმიის ხელახალი მობილიზება ვერ მოხერხდა და ერეკლე II მცირე ძალებით დაუპირისპირდა ირანელებს. ერთი სიტყვით, 1795 წლის ივნის-აგვისტოში ჩატარებული თავდაცვითი ღონისძიებების მიუხედავად, აღა-მაჰმად ხანის სწორმა ტაქტიკურმა ნაბიჯებმა და რუსეთის იმპერიის დამახინჯებლმა ქმედებამ ერეკლე II შეცდომაში შეიყვანა და ირანელებთან ომს მოუშზადებელი შეხვდა.

²⁵ სერობ რჯინი. აღა-მაჰმად ხანის მიერ 1795 წლის 11 სექტემბერს დედაქალაქ თბილისის (ფაიტაკარანის) გადაწვის მოკლე ისტორია (რუსუდან ჭუბაბრიას თარგმანი). საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე. ენისა და ლიტერატურის სერია. თბ. 1991. №3, გვ. 119.

²⁶ Грамоты и другие исторические документы. Относящиеся до Грузии. томъ II. выпускъ I. Подъ редакціи А. А. Цагарели. СПб. 1898, გვ. 96-97.

Apolon Tabuashvili

**DEFENSIVE MEASURES OF KARTL-KAKHETI KINGDOM
AGAINST
PERSIAN ONSLAUGHT IN JUNE-AUGUST 1795**

Summary

Presented paper deals with the period before Krtsanisi battle which took place in the 10th -11th september, 1795. the Georgians attempted to organize measures for prevention of Persian onslaught. sovereign of Iran trying to invade eastern Georgia was Agha Muhammad Khan Qajar. As seen from the different sources, in June 1795, king of Kartl-Kakheti Erekle II started the mobilization of his army and towards the midst of July numerous army of Kartl-Kakheti together with troops from Imereti Kingdom and mountainous regions of Dagestan were assembled. After that, the events were as follows: in August 1795 Agha Muhammad Khan had retreated from the Shusha castle (which was probably the tactical manoeuvre). That event was reckoned to be the success by Georgian commanders. They disbanded the major part of the army. But in the end of August the Iranian ruler started marching towards Tbilisi with rush. Erekle II was unprepared, he had only 5000 men-in-arms in his command, that was one of the main reasons of Georgians' failure at Krtsanisi battle.

ქეთევან ჰავლიაშვილი

ბოლბეს ეპარქიის უძრავი ქონების ექსპროპრიაცია- სეკულარიზაციის მიზეზები და შედეგები (XIX ს.)

XIX საუკუნის დასაწყისში ქართული სახელმწიფოებრიობისათვის უდიდესი გარდატეხის ხანაა: გაუქმდა ქართული ისტორიული სახელმწიფო და საქართველოს ეკლესიის რეფორმირებამ მოშალა მისი თავისთავადობა, აქცია ის რუსული ეკლესიის დანაშაუად. აღნიშნულის შედეგს წარმოადგენდა ძირძველი ქართული ეპარქიების შერწყმის მეშვეობით მათი გაუქმება. ასეთ ეპარქიათა რიცხვში იყო ბოლბეს ეპარქიაც, რომელიც ახლადშექმნილი – კახეთ-ალავერდის ეპარქიის შემადგენლობაში შევიდა; მოგვიანებით, მას ყოფილი ბოლბეს ეპარქია ბოლბე-სიღნაღის ეპარქიის სახელით გამოეყო. XIX საუკუნის 40-იანი წლებიდან ბოლბეს საეპისკოპოსო კათედრა რუსეთის ხელისუფლებამ გააუქმა და ის სამიტროპოლიტო ცენტრად გამოაცხადა. ამ უკანასკნელს შედეგად მოჰყვა სიღნაღ-ქიზიყის ეპარქიის გაუქმება და მისი ქართლ-კახეთის ეპარქიაში გაერთიანება. ამ დროიდან დაიწყო ბოლბეს ეპარქიის, როგორც კახეთის რეგიონის კულტურულ-სარწმუნოებრივი ბურჯის, სწრაფი დაკნინების პროცესი (მოსახლეობის სარწმუნოებრივი ინდეფერენტიზმის გაღრმავება, ეროვნული სამღვდლოების ლიკვიდაცია, სექტანტობის მძლავრობა და სხვ.).¹

რუსეთის საქართველოში გაბატონებამ ბოლბეს ყოფილ ეპარქიას შეუნარჩუნდა სარწმუნოებრივი იდეოლოგიის ფუნქცია რეგიონში, მაგრამ სხვაობა იმაში მდგომარეობდა, რომ იმ ეტაპზე, ბოლბეს რუსული კოლონიზატორული პოლიტიკის რუბორის ფუნქცია დაეკისრა. სხვა უამრავი პრობლემის გადაწყვეტის გვერდით, ბოლბეს იმპერიის ეკონომიკური ამოცანების გადაჭრაც დაეკალა. ისტორიული ბოლბე თანდათანობით ყალიბდებოდა თვითმპყრობელური

¹ Еп. Кирион. Краткий очерк истории Грузинской церкви и экзархата за XIX столетие. Тиф. 1901, გვ. 79-82.

რუსეთის იდეოლოგიის მქადაგებელ საეკლესიო კათედრად, რომელსაც უნდა დაეჩქარებინა კახეთის მხარის კოლონიზაცია, დაემკვიდრებინა მის მოსახლეობაში ცარიზმული რეჟიმის ავტორიტეტი, შეეცხო საეკლესიო ამონაგებით სახელმწიფო ხაზინა, რისთვისაც ეპარქიაში სხვადასხვა სახის რეფორმები მიმდინარეობდა.²

საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის თვითმყოფადობის გაუქმების ხარჯზე დაფუძნებულ საქართველოს საეგზარქოსოს იმპერიამ იმთავითვე გამოუკვეთა ფუნქცია იმპერიულ სისტემაში. ეს ფუნქცია მდგომარეობდა საეკლესიო, პოლიტიკური და ეკონომიკური ამოცანების გადაჭრაში, რასაც უნდა მოჰყოლოდა საქართველოს სრული შერწყმა რუსეთის იმპერიაში. ამ ეტაპზე, კვლევის ობიექტია ეკონომიკური ამოცანის განსაკუთრებული მნიშვნელობა ეროვნული ეკლესიის თავისთავადობის დაკარგვაში. ამოცანა ითვალისწინებდა საქართველოს ეკლესიის რეფორმირებას, რომლის მეშვეობით ეს უკანასკნელი რუსულ ბიუროკრატიულ აპარატზე დაქვემდებარებულ ორგანიზაციად უნდა ქცეულიყო. ეკონომიკური რეფორმები ქართული ეკლესიის მატერიალური დაძაბუნების მომასწავებელი იყო, რაც უნებლიედ მას იმპერიის ეკონომიკური სიძლიერის მნიშვნელოვან ქვაკუთხედად აყალიბებდა.³

ეკონომიკური ამოცანის განხორციელების ქრონოლოგიური ჩარჩო 1817-1850 წლებს მოიცავს, თუმცა მისი შემამზადებელი პერიოდი 1811 წლიდან იწყება და მისი დასასრული 60-იანი წლების მიწურულზე მოდის. აქვე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ რეფორმის განხორციელების ეტაპები აღმოსავლეთსა და დასავლეთ საქართველოში სხვადასხვა პერიოდებს მოიცავს, განსხვავებულია რეფორმირების მეთოდების ხარისხი და ინტენსიურობაც, თუმცა შედეგები ერთნაირია – ორივე მხარეში ეკონომიკურმა რეფორმამ საქართველოს ეკლესიას ეკონომიკური ბერკეტი მოუშალა და შესაბამისად, ის რუსეთის ეკლესიაზე დამოკიდებული გახდა. ეკონომიკური რეფორმა სამ ეტაპად განხორციელდა: პირველ ეტაპზე – მოხდა საეკლესიო აზნაურების ყმა-გლეხთა მამულებისანად სახაზინო უწყებაში გადაცემა, რაც მიმდინარეობდა 1811-1841 წლებში. სეკულარიზაციის მეორე ეტაპი – დაიწყო 1843 წლიდან

² საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა). ფ. 488. საქმე №10321. ფურ. 11-14.

³ ქ. პავლიაშვილი. საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორია (1800-1945). თბ. 2008, გვ. 100; ქ. პავლიაშვილი. საქართველოს საეგზარქოსო 1900-1917 წლებში. თბ. 1995, გვ. 17-21.

და დასრულდა 1852 წელს 5 ნოემბრის ბრძანებით – „უძრავი საეკლესიო ქონების სახაზინო უწყებაში გადასვლის შესახებ“; მესამე ეტაპზე, 1853-1869 წლებში დასახლებულ-დაუსახლებელი, მთელი საეკლესიო მიწები საბოლოოდ გადავიდა სახაზინო უწყების განკარგულებაში. აღსანიშნავია ისიც, რომ რუსეთის ხელისუფლებას რეფორმის გატარების პროცესში სხვადასხვა მიდგომა ჰქონდა ცალკეული ეპარქიებისადმი, იმის მიხედვით, თუ რომელ ეპარქიას რა ოდენობის ქონება გააჩნდა (განსაკუთრებით უძრავი ქონება); რაც უფრო დიდი რაოდენობის მამულებს ფლობდა ეპარქია, მით უფრო ძლიერი წნეხის ქვეშ ექცეოდა სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდან. ასეთ ეპარქიათა შორის იმთავითვე მოიაზრებოდა ბოლბეც, რომლის, მიმართ ადმინისტრაციულ-ეკონომიკური რეფორმები განსაკუთრებული სიმძიმით ხასიათდებოდა.

ბოლბეს ეპარქია საუკუნეების მანძილზე ძლიერ და გავლენიან საეკლესიო კათედრას წარმოადგენდა, რომელიც ყველა იმ მაღალი უფლებებითა და შიდამოწყობილი სტრუქტურებით სარგებლობდა, რომელიც დადგენილი იყო ისტორიული საქართველოს ეკლესიის კანონმდებლობით.⁴

ისტორიულად ბოლბეს ეპარქიას დიდი შემოსავალი ჰქონდა; ფლობდა უძრავ-მოდრავ ქონებას, სოფლებს, აგარაკებს, რეგიონალურ ციხე-სიმაგრეებს, ყმა-გლეხებს, სათევზაო ადგილებს, სანთლის საწარმოებს, სამღებროებსა და სასტუმრო სახლებს. ყოველივეს ეპარქია ქართული ეკლესიის მატერიალურ სიძლიერეს და სახელმწიფოებრივ სიმტკიცეს ახმარდა; ბოლბეს ეპარქიის უძრავი ქონება დასახლებული და დაუსახლებელი მიწებისაგან შედგებოდა. ამ მიწებით საეკლესიო გლეხები სარგებლობდნენ, რის სანაცვლოდაც იხდიდნენ ღალას. რუსეთის საეკლესიო ბატონობის პერიოდში გლეხთა დიდი ნაწილი გადასახადს ფულადი სახით იხდიდა და ის წელიწადში 120 მანეთს უდრიდა, საიდანაც საქართველოს საეგზარქოსო ხაზინაში წელიწადში 39. 584 მანეთი შედიოდა.⁵

ბოლბეს ეპარქიის მატერიალური სიძლიერე საქართველოს სამეფო ხელისუფლების განსაკუთრებული ზრუნვის საგანი იყო.⁶ კახეთის მეფეები თურქ-სპარსთა მიერ აოხრებულ ბოლბეს და მის საკათედრო ტაძარს სისტემატიურ დახმარებას უწყევდნენ, სოფლების, ყმა-გლეხების, სახნავ-სათესი მიწების, წისქვილების, სააბრეშუმე თუთის პლანტაციების და სხვათა გადაცე-

⁴ ქ. პავლიაშვილი. საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებლური ეკლესიის ისტორია (1800-1945), გვ. 305.

⁵ ქ. პავლიაშვილი. საქართველოს საეგზარქოსო 1900-1917 წლებში, გვ. 51-52.

⁶ სცსა. ფ. 1448, საქმე №2384. ფურ. 4.

მის სახით.⁷ XVIII საუკუნის მეორე ნახევრისათვის ნაწყალობევის სახით ბოლბეს ეპარქია და წმინდა ნინოს სახელობის საკათედრო ტაძარი ფლობდა ერეკლე II-ის მიერ ბოლბელი ეპისკოპოსების განმგებლობაში გადაცემულ „თათარი ყმების“ და სომხების (ნასომხარი) დასახლებულ სოფლებს (41 კომლი)⁸; „სოფლებს: ვეჯინს, ფხოველს, ზიარს, ქოდალოს, მელაანს თავადიშვილებით – ერასტიშვილებით, მოურავიშვილებით, ზურაბიშვილებით“.⁹ სისტემატიური ხასიათი ჰქონდა მეფეთა ბრძანებულების გაცემას ბოლბეს ეპარქიის სასარგებლო გამოსაღებისათვის, მაგალითად, მეფე ერეკლე II-ის „ოქმი კირილე ბოლბელისადმი“ გაცემული 1795 წლის 6 მარტს, რომელიც იუწყება, რომ „ყველა საეკლესიო ყმამ უნდა გადაიხადოს ყველა სახის გადასახადი და ჩააბაროს ბოლბელს“¹⁰; ან მეფე გიორგი XII-ის ბრძანებულება ქიზიყის მოურავ ზაქარიასადმი, რომ „განწესების მიხედვით საეკლესიო ყმების გადასახადი „სარბევი და ფანჯიაქი (ხუთისთავი) ბოლბელს უნდა ჩაბარდეს. სხვა მოხელეს და თვით მეფესაც მათთან ხელი არ უნდა ჰქონდეთ“.¹¹ ბოლბის ეპარქიის სასარგებლო გადასახადების გადახდის სასარგებლოდ კახეთის მეფეები ეკლესიაზე შეწირულ გლეხებს სამეფო გადასახადებისგანაც ათავისუფლებდნენ და მათ მხოლოდ ლაშქარ-ნადირობაში მონაწილეობის ვალდებულებას უტოვებდნენ.¹²

ბოლბეს ეპარქიის სამღვდელოებას კახეთში საპატრიო ადგილი ეკავა; ქვეყანაში ომისა და მშვიდობის საკითხები მათი აქტიური მონაწილეობით განიხილებოდა. ომიანობის დროს ბოლბელი სამღვდელოება თავის სამწყსოში საეკლესიო გლეხებს შორის აგროვებდნენ მებრძოლებს, თავად კი აქტიურად მონაწილეობდნენ მომხდურთან ბრძოლებში. საისტორიო-საეკლესიო საბუთების თანახმად მათ შორის იყვნენ: მთავარეპისკოპოსები:

ვასილი (1615 წ.), ევდემონ დიასამიძე (1642 წ.), ნიკოლოზ ციციშვილი (1679 წ.), ზაქარია (1721 წ.), მიტროპოლიტები: იოანე (1756 წ.), დავითი (1763 წ.), საბა (1776 წ.), კირილე (1791-1795 წ.წ.), ონოფრე (1795 წ.).¹³

⁷ სცსა. ფ. 1449. საქმე №1561. ფურ. 2.

⁸ სცსა. ფ. 1445. წიგნი 2^ა. §62, §51.

⁹ სცსა. ფ. 1451 (საქართველო-იმერეთის სინოდის კანტორის რეგისტრები). საქმე №2^ა. ფურც. 3. რიგითი №13; ფონდი 1449. საქმე №2572. ფურც. 1-2.

¹⁰ სცსა. ფ. 1451. საქმე №2^ა. §22, 23.

¹¹ სცსა. ფ. 1451. საქმე №2^ა. §24.

¹² სცსა. ფ. 1451. ბოლბის საბუთები. §1; ფონდი 1451, №2^ა. §8; ფონდი 1448, №1239.

¹³ სცსა. ფ. 1685. აღწ. 1. №6. ფურ. 3-10.

1757 წელს ბოლბეს წმინდა ნინოს მონასტრის განმგებლობაში შევიდა ქიზიყ-ზაქათალის მხარის გარდა საჭერემლოს გაუქმებული კათედრის სამწყსოს ნაწილი, ხოლო 1777 წელს ერეკლე II-ის ბრძანებულების საფუძველზე ეს ეპარქია თავისი მრევლით დროებით მიტროპოლიტ საბას დაემორჩილა. მას უფლება ეძლეოდა შემოსავლები სრულად მოეხმარა ეკლესიათა მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. ამრიგად, ბოლბეს ეპარქიის გამგებლობაში შევიდა თელავის მაზრის სოფლები: კონდოლი, კისისხევი, წინანდალი, კალაური – თავადი ვაჩნაძეები გლეხებითურთ, სოფლები: ურიათუბანი და ზეგანი – თავადი ჯანდიერებით და ყმა-გლეხებით; სიღნაღის მაზრის სოფლები: ჩუძლაყი, გურჯაანი, კოლაგი, დარჩიეთი, კაჭრეთი, შიბლიანი, ვეჯინი – თავადებით ერასტიშვილებით და ჯანდიერებით, სოფლები: ფხოველი, ქოდალო და ძელაანი – თავადი ზურაბიშვილებით.¹⁴

რუსეთის მიერ საქართველოს სახელმწიფოს გაუქმებისა და მისი პოლიტიკური დაპყრობისთანავე, იმპერიის ხელისუფლება საქართველოს ყოველმხრივ შესწავლას შეუდგა; განსაკუთრებული ინტერესის საგნად იქცა ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაცნობა, უძრავ-მოძრავი ქონების აღწერა. ამ მხრივ საქართველოს ეკლესიის მამულები განსაკუთრებულ ინტერესს იმსახურებდა. მისი უძრავი ქონების გაცნობა ხელისუფლებამ იმპერიის ჩინოვნიკს კოვალენსკის დაავალა, რომელმაც 1803 წლის ბრძანებულებით ბოლბეს საკათედრო ტაძრისათვის მეფე ერეკლე I-ის მიერ შეწირული „ყაზახის სამოცი კომლი“ წმინდა ნინოს ტაძარს ჩამოართვა და თავად გარსევან ჭავჭავაძის მიერ ბოლბეს ყმა-გლეხებისათვის განკუთვნილი ყოველწლიური 24 თუმანი შეწირულობა შეუწყვიტა. აღნიშნულმა გადაწყვეტილებამ ბოლბელ საეკლესიო გლეხებში მღელვარება გამოიწვია. კოვალენსკი იძულებული გახდა კომპრომისზე წასულიყო და მიღებული გადაწყვეტილების ძალაში შესვლა დროებით შეეჩერებინა.¹⁵

საისტორიო საბუთების თანახმად, 1811 წლისათვის ბოლბეს მონასტრის სამწყსოში 726 კომლი გლეხი ირიცხებოდა სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა პირების მიერ შეწირული. ამ გლეხთა შორის იყვნენ ნასყიდი გლეხებიც. მონასტრის ყველა გლეხს ევალებოდა მონასტრის სასარგებლო

¹⁴ სცსა. ფ. 1448. საქმე №2384. ფურ. 4; Записки Общества любителей Кавказской археологии. Тиф. 1875; Акты собранные кавказской археографической комиссией (АКАК), т. I, გვ. 21-22. 41-44; т. IV, გვ. 164.

¹⁵ სცსა. ფ. 488. აღწ. I. საქმე №25605. ფურც. 1-11.

გამოსაღების გადახდა. ზოგიერთ შემთხვევაში, ეპარქიის სამღვდლოება თავისი შეხედულებებისამებრ უწყებდა გადასახადებს გლეხობას.¹⁶ ეს უკანასკნელნი თავისუფალნი იყვნენ სხვადასხვა გადასახადებისაგან, გარდა ლაშქრობა-ნადირობისა. საეკლესიო გლეხებს საეკლესიო მიწის გაყიდვის უფლება არ ჰქონდათ ეპარქიის მღვდელმთავრისა და მეფის ნებართვის გარეშე, დაუმორჩილებლობის შემთხვევაში, მიწის გამყიდველ გლეხს საეკლესიო მიწა ჩამოერთმეოდა და ხიზნად გადაიქცეოდა.¹⁷

1818 წელს რუსეთის ხელისუფლებამ დაამტკიცა საქართველოს ეკლესიისათვის ახალი საშტატო განრიგი, რითიც განისაზღვრა ეკლესია-მონასტრებისა და სამღვდლოების რაოდენობა. ბრძანებულებას მოჰყვა რეფორმის გატარების დაწყება სამრევლოებში და ბოლბესაც 80-დან 100 საგლეხო კომლამდე დაუდგინდა.¹⁸ 1814 წლიდან დაიწყო ეპარქიის შემოსავალ-გასავლის აღწერილობა; აღწერილობა პირველად ჩატარდა წმინდა ნინოს მონასტერში, დადგინდა, რომ ხსენებული წლის სამონასტრო შემოსავალი უდრიდა 818 მან და 25 კაპიკს. შემოსავალი განისაზღვრებოდა მარცვლეულით: „ქერი, ფეტვი, ასევე ჭაჭა, საფეიქრო ბაჟი, გასამყრელო, თათრების მახთა, რვა ლუქნიდან ბაჟი“; გასავალი კი უდრიდა 1626 მანეთს, ხსენებული თანხა გაიხარჯა: „მონასტრის შეკეთებაზე, მუშა-ხელის სარჩოზე, მთავარებისკოპოსის მიტრის დამზადებაზე, სამღვდლო შესამოსელის შეკერვაზე, საღურგლო სამუშაოებზე“¹⁹ – იუწყებოდა ბოლბელი მიტროპოლიტი იოანე (მაყაშვილი). საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტროლის 1815 წლის 25 მაისის №2 ბრძანებულების საფუძველზე ბოლბეს ეპარქიას ორ წელიწადში ერთხელ დაუწესდა შემდეგი სახის გადასახადები: „დრამის გადასახადი კომლი გლეხიდან – 10 კაპ., სახუცო მღვდლებიდან – 60 კაპ., საიდანაც 10 კაპ. ეკუთვნის ბლალოჩინს (კეთილდამწყველი – ქ. პ.), 50 კაპ. ეკლესიას“. ²⁰20-იანი წლებიდან ხელისუფლებამ ერთი-ორად გაზარდა ბოლბეს ეპარქიის სავალდებულო შემოსავლების რაოდენობა, რაც საეკლესიო გლეხების მდგომარეობას კიდევ უფრო ართულებდა. 1820 წლის საეპისკოპოსო აღწერილობა – საეკლესიო მამულების შემოსავლის უწყისი იუწყება, რომ ბოლბეს წმ. ნინოს

¹⁶ სცსა. ფ. 1685. აღწ. I. საქმე №6. ფურც. 1-14.

¹⁷ газ.: «Кавказ». 1881 г. №181, გვ. 2.

¹⁸ ქ. პავლიაშვილი. საქართველოს სამცქიქულო მართლმადიდებლური ეკლესია, გვ. 51.

¹⁹ სცსა. ფ. 489. აღწ. I. საქმე №416. ფურც. 29, 37.

²⁰ АКАК. т. V. § 498, გვ. 414-415.

ტაძრის მუდმივი შემოსავალი უნდა ყოფილიყო წლიურად 240 მანეთი ვერცხლით, ხოლო მთლიანად ეპარქიის 3 000 მან. ვერცხლით.²¹

XIX საუკუნის 30-იანი წლების შუა ხანებში ხელისუფლებამ ბოლბეს ეპარქიის უძრავ-მოდრავი ქონების ხელახალი აღწერის ახალი ეტაპი დაიწყო და საამისოდ საგანგებო კომისიაც შექმნა. კომისია დადგინდა შემდეგი შემადგენლობით: ნათლისმცემლის უდაბნოს არქიმანდრიტი იოანე, არქიმანდრიტები: თეოდოსი და ნიკიფორე, თელავის ფერისცვალების ეკლესიის ღეკანოზი იოანე (ზურაბოვი). ბოლბელი მიტროპოლიტის იოანეს უნდობლობა კომისიისადმი გამოიხატა საქართველოს ეგზარქოს ევგენისადმი მიმართვით, სადაც ის ითხოვს აღმწერელთა სიაში შეყვანილ იქნეს „კეთილსაიმედო პირი – წმ. ნინოს ტაძრის იღუმენი დიონისი“. აღწერის ანგარიშმა გამოავლინა ამ უკანასკნელის არასანდობობა. იღუმენი ხელისუფლებისაგან ითხოვდა საეკლესიო გლეხების ფულადი ხარჯის გაზრდას, რასაც გლეხობამ დაუმორჩილებლობით უპასუხა.²² იოანე ბოლბელმა ეგზარქოსისადმი გაგზავნილ წერილში მოითხოვა ახალი, ობიექტური კომისიის შედგენა წმ. ნინოს მონასტრის კუთვნილი ქონების აღრიცხვისათვის. ბოლბელი მიტროპოლიტი მიმართვაში უკმაყოფილებას გამოთქვამს საეკლესიო ყმების გამოსაღების გაზრდასთან დაკავშირებით, რადგან „ყმები 300 თუმანს გადასახადს ვერ გადაიხდიან, ნაცვლად ადრე არსებული გადასახადისა. გარდა ამისა, უწინდელთან შედარებით, მომატებით ერთმევათ „ზემსკის“ ან სახაზინო ორასი თუმანი ვერცხლით, რის გამო საეკლესიო ყმები დიდ სიღარიბეს არიან მიწვენილნი“,²³ – აღნიშნავდა წერილში მიტროპოლიტი.

ბოლბეს ეპარქიის უკანასკნელი მღვდელმთავრის იოანეს გარდაცვალების შემდეგ რუსეთის ხელისუფლებამ ეპარქიის შემდგომი არსებობის საკითხის განხილვა დაიწყო. საამისოდ, აუცილებელი გახდა ეპარქიის ქონების სრული მითვისება, რასაც სათანადო არგუმენტაციით დასაბუთება სჭირდებოდა. აღნიშნულის მიზეზი გახდა იოანე ბოლბელის ანდერძის ირგვლივ გაშლილი კამპანია. საქართველოს უზენაესი მმართველობის, აღმასრულებელი ექსპედიციის 1838 წლის 3 ივნისის ოქმის ამონაწერი იუწყებოდა, 26 აპრილს წარმოდგენილი იოანე ბოლბელის ანდერძის უკანონოდ ჩათვლის შესახებ და მემკვიდრეობა უნდა დადასტურებულიყო სასამართლო წესით. სახელისუფლე-

²¹ სცსა. ფ. 489. აღწ. 1. საქმე №1143. ფურც. 8-9, 12, 24, 52-55.

²² სცსა. ფ. 489. აღწ. 1. საქმე №5110. ფურც. 40.

²³ სცსა. ფ. 489. აღწ. 1. საქმე №5110. ფურც. 25.

ბო გამოძიებით გაირკვა, რომ მიტროპოლიტის საკუთრებაში იყო: ფულადი თამასუქები, სხვადასხვა შინაარსის ხელნაწერები, 500-მდე სული ცხვარი და 170 მან. და 40 კაპ. თანხა.²⁴ საისტორიო წყაროები იუწყებიან რომ ბოლბეს სამღვდელთა ერთი ნაწილი იღუმენ დიონისეს მეთაურობით საეკლესიო ხელისუფლებასთან ჩიოდნენ, რომ ბოლბელი მიტროპოლიტი სარგებლობდა საეკლესიო შემოსავლით ნავთობის წყაროებიდან 1828-1838 წლების მანძილზე, საიდანაც წელიწადში ეპარქიაში შედიოდა 1310 მანეთი ღუქების მოვაჭრეთაგან; 1827 წლიდან ათი წლის მანძილზე შემოსავალი უდრიდა 1 400 მანეთს, თაფლის სანთლით ვაჭრობით სიღნაღის მაზრიდან 1827-1836 წლებში 4 360 მანეთს. აღნიშნული სამღვდელოება მიღებული თანხების მათთვის გადაცემას ითხოვდა, რომელსაც იოანე ბოლბელი მათ სიცოცხლეშივე დაჰპირდა 10 000 მანეთი ვერცხლის ოდენობით.²⁵ შექმნილმა ვითარებამ, რუსეთის ხელისუფლებას დაანახა, რომ 20-იანი წლების ქონებრივი აღწერილობის ოქმში უზუსტობები აშკარა იყო, რომ ეპარქიის ხელმძღვანელობა ხელისუფლებას არასწორ ინფორმაციას აწვდიდა. 30-იანი წლების მიწურულს, საეგზარქოსო ბოლბეში ხელახალი აღწერა ჩატარა და მისი შედეგების 1821 წლის აღწერასთან შეჯერებით აღმოაჩინა, რომ მასში გამოტოვებული იყო ხუთი ღუქანი, სოფელ ბოლბისხევში მღებარე წისკვილები და ბოლბისა და ბოლბისხევის ფეიქრები, ლილის სამღებროები. აქედან, ბოლბეს საკათედრო ტაძარს წელიწადში 453 თუმანი შეზღიოდა.²⁶ 1837 წლის იანვრის წმ. ნინოს ტაძრის საეკლესიო გლეხების მამულების აღწერილობიდან ირკვევა, რომ აღწერა 4 განყოფილებად დაუყვიათ. პირველ განყოფილებაში გაერთიანებულია სოფელ ბოლბეს გლეხები კუთვნილი მიწებით: „356 კომლი გლეხი 335 ბალ-ვენახით, 232 დღის სახნავი მიწით, რომელიც ყოველწლიურად იძლევა 273 საპალნე ღვინოს, 1167 დღის ურწყავი სახნავი მიწა“. ყოველივეს ეკლესიის სასარგებლოდ ყოველწლიურად ხაზინაში შეაქვს 1524 მანეთი ვერცხლით. მეორე განყოფილებაში მოცემულია სოფელ ქედელის აღწერის შედეგები: 67 კომლი გლეხი 470 სულით. მათ განკარგულებაშია 70 ბალი, 50 დღის მოცულობის სახნავი მიწა, საიდანაც ყოველწლიურად ეკლესიის ხაზინაში შედის 55 საპალნე ღვინო; ასევე, 104 დღის ურწყავი სახნავი მიწა. ზემოხსენებული სოფლის გლეხობას ეკლესიის სასარგებლოდ ყოველწ-

²⁴ სცსა. ფ. 489. აღწ. I. საქმე №5647. ფურც. 83-88.

²⁵ სცსა. ფ. 489. აღწ. I. საქმე №5647. ფურც. 194-197.

²⁶ სცსა. ფ. 489. აღწ. I. საქმე №5110. ფურც. 73-74.

ლიურად შეჰქონდა 256 მანეთი ვერცხლით. მესამე განყოფილებაში ნაჩვენებია სოფელ ასანაურის გლეხთა სია, მათი კუთვნილი მამულები. სულ სოფელში 63 კომლია 432 სულით. მათ განკარგულებაში ყოფილა 75 ბაღი, 75 დღის სახნავი მიწა, საიდანაც ყოველწლიური შემოსავალია 133 საპალნე და 15 ჩაფი ღვინო. ასევე, 320 დღის ურწყავი სახნავი მიწა, საიდანაც ყოველწლიური ამონაგებია 200 მანეთი – ვერცხლით. მეოთხე განყოფილებაში ნაჩვენებია სოფელ ბოლბისხევის გლეხები და მათი კუთვნილი მამულები. სოფელში 275 კომლი 1642 სულით ყოფილა. მათ განკარგულებაში იყო 288 ბაღი, 322 დღის სახნავი მიწა, საიდანაც შემოსავალი იყო 203 საპალნე და 20 ჩაფი ღვინო, 702 დღის ურწყავი სახნავი მიწა. ყველა ზემოხსენებული საეკლესიო გლეხებს ეკლესიის სასარგებლოდ შეჰქმნოდათ 1 000 მანეთი ვერცხლით.²⁷

1837 წლის ეპარქიალურ აღწერას შედეგად მოჰყვა გამოძეურებული უძრავ-მოდრავი ქონების სახელმწიფო ხაზინაში სრულად გადაცემა, საიდანაც ხელისუფლებამ ბოლბელი სამღვდელოების ჯამაგირები შემდეგი სახით გადაანაწილა. 1838 წლის 28 თებერვლის სინოდალური კანტორის განსაზღვრით წმინდა ნინოს მონასტრის კრებულს დაენიშნა: „მღვდელს 50 მანეთი ვერცხლით, ზოტიკეს – 50 მან. ვერცხლით, დიაკვანს – 40 მან. ვერცხლით, დიაჩოქს – 30 მან. ვერცხლით, იღუმენს – 90 მან. ვერცხლით. წელიწადში ერთიანი ჯამი შეადგენს წლიურად 260 მანეთს“.²⁸ ბოლბეს წმ. ნინოს მონასტრის შტატით განსაზღვრული იყო „ერთი დეკანოზი, მღვდელი და დიაკონი – 3, „პრიჩეტნიკი“ – 3, იპოდიაკვნები და მეფსალმუნეები – 8“.²⁹

1843 წლის 27 სექტემბერს იმპერატორმა რეზოლუცია დაადო ამიერკავკასიის მოწყობის კავკასიური კომიტეტის მიერ წარმოდგენილ გადაწყვეტილებას საქართველოს საეკლესიო ქონების სახელმწიფო ხაზინაში გადაცემაზე. აღნიშნული შეთანხმება ათი წლის მანძილზე მზადდებოდა ეპარქიათა შემოსავალ-გასავალის სისტემატური აღწერილობების ფონზე. მიღებული გადაწყვეტილების დანერგვამ ინტენსიური სახე 1825 წლის 5 ნოემბრის უწმინდესი სინოდის ბრძანებულების შემდეგ მიიღო. 1853-1869 წლების მანძილზე საეკლესიო მიწები სრულად და საბოლოოდ გადავიდა სახელმწიფო ხაზინაში; სამღვდელოებას და ეკლესია-მონასტრებს დარჩათ საეკლესიო სა-

²⁷ სცსა. ფ. 489. აღწ. 1. საქმე №5110. ფურც. 37-39.

²⁸ სცსა. ფ. 489. აღწ. 1. საქმე №6877. ფურც. 3.

²⁹ სცსა. ფ. 489. აღწ. 1. საქმე №7414. ფურც. 66; საქმე №7415. ფურც. 2-3.

ჭიროების ნაგებობები, მღვდელმთავრის საცხოვრებელი შენობა თავისი მცირე ნაკვეთით. სახელმწიფო ხაზინაში გადასულ საეკლესიო მიწებს დაუდგინდა: 1). ეპარქიებიდან, საეკლესიო მიწებიდან ამონაგებით შესული თანხები სრულად გადადის სახელმწიფო ხაზინაში; 2). დადგენილი თანხების ჭარბი ამონაგები სრულად მოხმარდეს მიწების განყოფილებას, სამღვდლოების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას, 12 წლის მანძილზე დაგროვილი ჭარბი ამონაგები გადავიდეს სასულიერო ხელმძღვანელობის განმგებლობაში.

სახელმწიფო ხაზინა ვალდებულია იღებდა, საქართველოს ეკლესიის სასარგებლოდ რეფორმადელი თანხების ამოღების კამპანიის ჩატარებას მოსახლეობაში, რაც სავარაუდოდ 1853 წლისათვის 88.709 მანეთსა და 33 კაპიკს უდრიდა. საქართველო-იმერეთის სინოდური კანტორის მონაცემებით აღნიშნული ფინანსური ჩავარდნა შედეგი იყო 29 წლის (1824-1853 წ.წ.) მანძილზე ხელისუფლების პასიური პოლიტიკისა გამოსაღებთა დროულ და სისტემატურ აკრეფაში.³⁰

1853 წლის ეპარქიალურმა აღწერამ გამოავლინა საქართველოს ეკლესიის უძრავი ქონების რეალური სურათი: 8487 გლეხთა კომლიდან 7635 კომლი მიმაგრდა ეკლესიებზე 266 სოფლიდან, რომლებიც მიეკუთვნებოდა თბილისის, გორის, თელავის, სიღნაღისა და დუშეთის მაზრებს.³¹

საქართველოს ეკლესიის უძრავი ქონების ექსპროპრიაციის შედეგად მითვისებული ქონების მართვა სახელმწიფომ დროებით კომისიას გადასცა, რომლის მუშაობის ხანგრძლივობა ორი წლით დადგინდა. ამ უკანასკნელის გადაწყვეტილებით (იმპერატორის 1855 წლის 1 იანვრის ბრძანების საფუძველზე) საეკლესიო ქონება სრულად გადავიდა განსაკუთრებული მმართველობის რეჟიმზე. საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის საქმეებიდან ცნობილი ხდება, რომ სახელმწიფო ხაზინაში გადასული მიწები ეკუთვნოდა საქართველოს ეკლესიის ეპარქიების შემდეგ ეკლესია-მონასტრებს: მცხეთის საპატრიარქო ტაძარს, ალავერდის, ბოდბეს, წმ. ნინოს, ნეკრესის, ანჩისხატის, ანანურის, თელავის, ნინოწმინდის, წილკნის, რუისის, ურბნისის, სამთავისის ნიქოზის ტაძრებს; შიომღვიმის, ქვათახევის, შუამთის, დავით-გარეჯის და სხვა მონასტრებს.³²

ხაზინაში შესული საეკლესიო ქონების საფუძველზე 1853 წლიდან სა-

³⁰ Отчет экзарха Грузии от 31 марта 1853 года за №1004.

³¹ Отчет наместника Кавказского за 1868 – 1878 гг.

³² Еп. Кирион. Краткий очерк истории Грузинской Церкви и Экзархата, გვ. 257-258.

ხაზინო სამმართველომ დაიწყო სამღვდელოების ყოველწლიური ხელფასების გაცემა, რაც უდრიდა წელიწადში 72.053 მან. 51 კაპ.-ს. საარქივო მონაცემებზე დაყრდნობით დგინდება, რომ 1853-1868 წლის მანძილზე სამღვდელოებაზე ხაზინიდან გაიცა 1.129.332 მან. და 64 კაპ. აქედან, მიწების დასამუშავებლად დაიხარჯა 81.073 მან. 71 კაპ.

რუსეთის ხელისუფლებისათვის მიუღებელი აღმოჩნდა საეკლესიო მიწების შენახვასა და სამღვდელოებაზე გაცემული თანხების ფართო მასშტაბები და რეფორმირების ახალი ტალღისათვის დაიწყო აქტიური მუშაობა. რეფორმირების ახალ ეტაპს შესაბამისი არგუმენტაცია ესაჭიროებოდა, რისი ფუნქციაც შეასრულა კავკასიის მეფისნაცვლის შუამდგომლობამ საეკლესიო მიწების მმართველობაში ცვლილებების შეტანაზე. ეს უკანასკნელი შემდეგში მდგომარეობდა: 1) სახელმწიფო მმართველობაში მყოფი საქართველოს ეკლესიის კუთვნილი დასახლებული და დაუსახლებელი მიწები სამუდამოდ გადასულიყო იმპერიის სახელმწიფო ქონების შემადგენლობაში; 2) საეკლესიო გლეხებს მინიჭებოდათ სახელმწიფო გლეხების ყველა უფლება და გადაყვანილ ყოფილიყვნენ საერთო საგუბერნიო მმართველობაში, ხოლო მიწები, ტყე და სხვა უძრავი მათი ქონება სახელმწიფო მმართველობაში; 3) ჩამორთმეული ქონების სანაცვლოდ სამღვდელოებას სახელმწიფო ხაზინიდან დაენიშნა ყოველწლიური --- ჯამაგირი. ზემოაღნიშნულ რეკომენდაციას საქართველოს ეგზარქოსმა ევსევიმ რეზოლუცია დაადო.³³ აღნიშნული ღონისძიების ცხოვრებაში დანერგვა დროებით დააბრკოლა რუსეთ-თურქეთის, ე.წ. ყირიმის ომმა (1853-1856 წ.წ.). მიუხედავად ამ დაბრკოლებისა, ხელისუფლება ეტაპობრივად ახორციელებდა საეპარქიო მიწების სამუდამო გადაცემის პროცესს სახელმწიფო სახაზინო მმართველობაში. აღნიშნულმა ღონისძიებამ განსაკუთრებულად მძიმე ხასიათი და მისით გამოწვეული შედეგები მოგვცა ბოღბეს ეპარქიის მაგალითზე. ხაზინის განმგებლობაში 1854 წელს გადავიდა წმ. ნინოს მონასტრის ირგვლივ არსებული 22 დესეტინა ტყე, 1850 კვადრატული საჟენი სახნავ-სათესი მიწა, მონასტრის სასაფლაოს მიწები – 620 კვ. საჟენი და ა.შ., სულ 33 დესეტინა და 1890 კვ. საჟენი. სიღნაღის მაზრის საეკლესიო გლეხებს ჩამოერთვათ და ხაზინას გადაეცა: სახნავ-სათესი – 131 დესეტინა და 1520 კვ. საჟენი, ბალ-ვენახები – 18 დესეტინა 480 კვ. საჟენი, შოსეების მიმდებარე ტერიტორია – 2 დესეტინა, 1840 კვ. საჟენი, სულ: 152

³³ Отношение хозяйственного управления при Св. Синоде в финансовый департамент главн. управл. наместника кавказского, от 17-го декабря 1865 г. за № 105000.

დესეტინა, 1440 კვ. საუენი; ვენახი – 3 დესეტინა, 500 კვ. საუ. და ა.შ.³⁴ ხაზინაში გადასული უძველესი ქონების ერთი ნაწილი ადგილობრივმა ხელისუფლებამ წმ. ნინოს მონასტრის დახმარების საბაბით იჯარით გასცა, საიდანაც ყოველწლიურად ხაზინაში შედიოდა 400-დან 500 მანეთამდე ვერცხლით.³⁵

1853 წლის რეფორმირების ახალი, შესწორებული პროექტი იმპერატორმა მხოლოდ 1869 წლის 13 ნოემბერს დაამტკიცა, რითიც ფაქტობრივად დასრულდა საქართველოს ეკლესიის უძველესი ქონების ექსპროპრიაციის ოცდაექვსწლიანი პროცესი. ამ დადგენილების მიხედვით სიღნაღის მაზრის ყოფილ საეკლესიო გლეხებს ხაზინაში ყოველწლიურად უნდა შეეტანათ თავიანთი შემოსავლებიდან 1 540 მანეთი ვერცხლით.³⁶ ამრიგად, 1864-1870 წლების მანძილზე სიღნაღის მაზრიდან სახელმწიფო ხაზინაში შედიოდა წელიწადში 3 532 მანეთი და 70 კაპიკი ვერცხლით.³⁷

ამრიგად, აღმოსავლეთ საქართველოს საეკლესიო მიწების და კონკრეტულად, ბოდბეს ეპარქიის კუთვნილი უძველესი ქონების სეკულარიზაციის პროცესი XIX საუკუნის 60-იანი წლების მიწურულში დასრულდა და მიწები სახელმწიფო მმართველობაში გადავიდა, ხოლო ბოდბეს ყოფილი საეკლესიო გლეხები სახაზინო გლეხთა რიგებში ჩაირიცხნენ; ბოდბეს სამღვდელოება, ისევე, როგორც საქართველოს მთელი სამღვდელოება, სახელმწიფო დაფინანსებაზე იქნა გადაყვანილი. XIX საუკუნის მიწურულისათვის ბოდბის ეპარქიის სამღვდელოების წლიური ხელფასი შემდეგი სახით განისაზღვრებოდა: მღვდელმთავრის – 150 მანეთი, მთავარდიაკვნის – 100 მანეთი, მედავითნის – 60 მანეთი.

მიმდინარე გარემოება, რუსეთის იმპერიის საეკლესიო პოლიტიკა, ეკონომიკური რეფორმა და მისი გატარების მეთოდები უკმაყოფილებას იწვევდა სრულიად საქართველოს და, მათ შორის, ბოდბეს ეპარქიის სამღვდელოებასა და მრევლში. თავის მხრივ, დაიძაბა ურთიერთობები მრევლსა და სამღვდელოებას შორის, რისი მიზეზიც სამღვდელოების ქონებრივი დაკნინება გახდა. თუ XIX საუკუნის პირველ ნახევარში ხელისუფლება სამღვდელოებას მეტნაკლებად უზრუნველყოფდა ხელფასებით, მეორე ნახევრიდან ფაქტობრივად, მთავრობა სამღვდელოებას აღარ უხდიდა ჯამაგირს და ისიც იძულებული

³⁴ საქართველოს საპატრიარქოს არქივი. აღწ. 1. საქმე №343. ფურც. 22-23.

³⁵ სცსა. ფ. 489. აღწ. 1. საქმე №21118. ფურ. 185.

³⁶ სცსა. ფ. 1603. აღწ. 2. საქმე №102. ფურ. 1.

³⁷ სცსა. ფ. 1603. საქმე №86. ფურც. 6; საქმე №95. ფურც. 4; საქმე №102. ფურც. 4.

იყო მრევლთან შეთანხმებით დაედგინა წლიური შემოსავალი. 80-იანი წლებიდან სახელისუფლებო ბრძანებულების საფუძველზე გაიზარდა გლეხების სახაზინო გადასახადი და ისინიც ვეღარ აუდიოდნენ მაღალი გამოსაღების ფონზე სამღვდელოების ჯამაგირით უზრუნველყოფას. ყოველივე ეს, მრევლის ეკლესიისა და სამღვდელოებისადმი დაპირისპირებას იწვევდა. ბოლბეს მოსახლეობა სამღვდელოებას ადანაშაულებდა მტაცებლობა-მომხვეჭელობაში და სახელმწიფო ინტერესებით მოქმედებაში, ხოლო გლეხობა საეკლესიო წესების შესრულებისადმი ურჩობაში.³⁸

ამრიგად, რუსეთის იმპერიის საერო და სასულიერო ხელისუფლებამ ეკონომიკური ბერკეტის მოშლით (უძრავი ქონების ექსპროპრიაცია-სეკულარიზაცია – ქ. პ.) საქართველოს ეკლესიის თავისთავადობის გაუქმების საქმეში უაღრესად ქმედითი ნაბიჯი გადადგა; ქართულ ეკლესიას მატერიალურად ძლიერი ეპარქიების სამეურნეო დამოუკიდებელი ცხოვრება მოშალა და ამით საქართველოს საპატრიარქოს ადმინისტრაციულ სისტემას ძირი გამოუთხარა. ერთ-ერთ ეკონომიკურად ძლიერ ეპარქიას წარმოადგენდა ბოლბეც, სადაც განსაკუთრებული სიმწვავეთ აისახა რუსული იმპერიული საეკლესიო პოლიტიკა და მისი შედეგები.

³⁸ ქ. პავლიაშვილი. საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებლური ეკლესია, გვ. 54-57.

Ketevan Pavliashvili

**REASONS AND RESULTS OF EXPROPRIATION-SECULARIZATION
OF BODBE EPARCHY'S REAL ESTATE IN THE 19TH C.**

Summary

The secularization process of Georgian Church lands, in particular, Bodbe eparchy's real estate was completely finished by the end of 1860s. The lands were transformed into governmental property, while the peasants were registered into ranks of the state peasants; Georgian clergy, among them ecclesiastics of Bodbe eparchy, were supported by state financing.

The ecclesiastic policy of Russian empire, the economic reform and methods of its implementation caused the dissatisfaction of Georgian clergy. The tension had arisen between clergy and parish as well because of financial failure of the clergy. If in the first half of nineteenth century the government more or less provided the clergy with salary, from the second half of the century the government ceased the process and clergy had nothing to do, but to agree annual income with parish. From 1880s onwards, on the basis of the governmental decision, state tax for peasants increased and they were not able any more to provide salary for clergy. All above mentioned facts caused the tension between clergy and parish. Population of Bodbe blamed the clergy for their greediness and for acting according to governmental interests, while peasants were blamed for recalcitrance and ignoring the church rules.

Thus, economically strong and independent life of Georgian eparchies was destroyed, what in its part resulted in failure of administrative system of Georgian patriarchate. Bodbe was one of the strongest eparchies in Georgia. There the destroying impact of Russian church policy was felt most painfully.

*მარიამ ჩხარტიშვილი
ქეთევან მანია
სოფიო ქადაგიშვილი*

ქართული ნაციონალიზმის წარმოშობა*

სპეციალისტები განასხვავებენ ერების (ნაციების) ორ უმთავრეს ტიპს: პირველი ესაა ერები,¹ რომლებიც წარმოიშვნენ უშუალოდ მოდერნიზაციის შედეგად; მეორენი არიან ერები, რომლებიც შეიქმნენ პარადიგმული მოდელის მიხედვით და ნაციონალიზმის პროდუქტს წარმოადგენენ.

ქართულ სპეციალურ ლიტერატურაში ამ უკანასკნელ ტიპს „დაგვიანებული ერებს“ უწოდებენ. „დაგვიანებულ ერი“ – ეს ტერმინი ქართულ სამეცნიერო სივრცეში პირველად გამოიყენა ე.ჯგერენაიამ. მას იმეორებს გ.ნოდიაც ინგლისურენოვან ლიტერატურაში გავრცელებული late modernization (ნაგვიანვეი მოდერნიზაცია) და catch-up modernization (დაწვევითი მოდერნიზაცია) ფარდად.²

ქართველი ერს, ჩვენი აზრით, სავსებით სამართლიანად, სწორედ ამ უკანასკნელ ტიპს განაკუთვნებენ.

* წაკითხულია მოხსენებად პუბლიცისტურ მემორიალურ ფაქულტეტის მესუთე სამეცნიერო კონფერენციაზე, რომელიც მიეძღვნა პროფ. გივი ჟორდანიას 100 წლისთავს (თბილისი, 2011, 8 ივლისი).

¹ მეცნიერთა უმრავლესობის აზრით, ერი-მოდელი იყო სამი: ინგლისელები, ამერიკელები, ფრანგები, თუმცა ზოგი მეცნიერი მიიჩნევს, რომ ასეთი იყო მხოლოდ ინგლისელი ერი, რომელიც წარმოადგენს ყველაზე პირველ და, აქედან გამომდინარე, პარადიგმულ ნაციას. ლ. გრინფელდის აზრით, მაგალითად, „ინგლისელი ერის დაბადება არ ნიშნავდა მარტოოდენ ერთი ერის დაბადებას. ეს იყო ერების დაბადება, ნაციონალიზმის დაბადება“ (L. Greenfeld. Nationalism. Five Roads to Modernity. Harvard University Press. Cambridge. Massachusetts. London. 1992. Paperback edition 1993, გვ. 23).

² გ. ნოდია. ქართული ეროვნული იდეის კომპონენტები: ზოგადი მონახაზი – ქართველი ერის დაბადება. ილია ჭავჭავაძისადმი მიძღვნილი კონფერენციის მასალები. 26-27 ნოემბერი. 2007. თბ. 2009, გვ. 135, შენ. 9.

ქართველი ერის „დაგვიანებულ ერად“ სახელდება სრულიად ლოგიკურია, თუ ნაციების წარმოშობას მოდერნიზაციასთან დაკავშირებულ მოვლენად მივიჩნევთ. ეს, ცხადია, არ ნიშნავს, ქართული ერთობის ღრმა ეთნიკური ფესვების და ისტორიის უარყოფას. ატრიბუტი „დაგვიანებული“ უბრალოდ ამსახველია იმ უდავო ფაქტისა, რომ ქართულ ერთობას მოდერნიზაცია შედარებით გვიან შეეხო და, შესაბამისად, ქართველთა ნაციონალური კონსოლიდაციის პროცესიც ნაგვიანედად განვითარდა.³

ამგვარად, ქართველი ერის ჩამოყალიბებაში წამმართველი როლი არა მოდერნიზაციამ, არამედ ქართულმა ნაციონალიზმმა შეასრულა. ქართველი ერი ქართული ნაციონალიზმის შედეგს წარმოადგენს. აქედან ცხადია, რომ ქართული ნაციონალიზმის ისტორია არის საქართველოს ისტორიის გასაღები პრობლემა. მიუხედავად ამისა, ვერ ვიტყვით, რომ დღეს იგი სათანადოდ შესწავლილი საკითხია. უკანასკნელ წლებში ამ მიმართულებით წარმართული ინტენსიური კვლევები, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ, ვერ ავსებს იმ დიდ ხარვეზს, რომელიც ამ საკითხის შესწავლაში არსებობს საბჭოური ისტორიოგრაფიული პრაქტიკის მიზეზით. საქმე ისაა, რომ საბჭოელი მარქსისტი ისტორიკოსების მიერ ნაციონალიზმი მიიჩნეოდა ცრუ ბურჟუაზიულ იდეოლოგიად. ამის გამო აღნიშნული თემა რჩებოდა სამეცნიერო დისკურსის მიღმა.

წინამდებარე ნაშრომის მიზანს წარმოადგენს მითითებული ხარვეზის ნაწილობრივი შევსება, კერძოდ, ჩვენ გვინდა დავახასიათოთ ქართული ნაციონალიზმის ისტორიის საწყისი ეტაპი.

იმისათვის, რომ ქართული ნაციონალიზმის ისტორიის რეპრეზენტაციისას მკითხველისათვის გასაგები იყოს ფაქტების ჩვენეული ხედვა, აუცილებლად მიგვაჩნია თავიდანვე განვმარტოთ თუ როგორ გვესმის ნაციონალიზმის ფენომენის რაობა და როგორ წარმოგვიდგენია იმ პროცესის არსი, რომელსაც „ნაციონალური კონსოლიდაცია“, გნებავთ, „ნაციონალური მობილიზაცია“ ეწოდება.

ამ შემთხვევაში ჩვენ მოვიშველიებთ ბრიტანელი მეცნიერის, ნაციის ფენომენის ეთნოსიმბოლისტური ინტერპრეტაციის ერთ-ერთი ავტორის ე. დ. სმითის თვალსაზრისს. მისი განმარტებით, ნაციონალიზმი არის „იდეოლოგიური მოძრაობა იმ მოსახლეობის ავტონომიურობის, ერთიანობის და იდენ-

³ ეთნიკური კონსოლიდაციის თვალსაზრისით კი ვითარება სულ სხვაგვარია: ქართული ეთნიკური ერთ-ერთი ყველაზე უფრო ძველი ერთობაა ისტორიაში ცნობილთა შორის.

ტურობის მისაღწევად, რომელიც მისი ზოგიერთი წევრის მიერ განიხილება როგორც არსებული ან პოტენციური ნაცია“.⁴

ე. სმითი ამას უწოდებს ნაციონალიზმის „სამუშაო დეფინიციას“. ჩვენც მივიღოთ იგი ასეთად. მასში კარგად ჩანს, ნაციონალიზმის სამი ფუნდამენტური იდეალი, კერძოდ, ის ფაქტი, რომ ყოველი ნაციონალისტური იდეოლოგიის მიზანს წარმოადგენს ნაციონალური ავტონომიურობა (იქნება ეს კულტურული, არასრული პოლიტიკური თუ სრული პოლიტიკური); ნაციონალური იდენტობის განსაზღვრა; ჯგუფის შინაგანი ერთიანობის მიღწევა, რაც გულისხმობს შიდა პოლიტიკური საზღვრების ელიმინაციას და კოლექტივის სოციალურ და კულტურულ ჰომოგენიზაციას.

ზემოთ მოყვანილი დეფინიციის ღირსებად მიგვაჩნია ისიც, რომ მასში გამოკვეთილია ნაციონალისტების (ანუ მათი ვინც სმითისეული დეფინიციამ ფიგურირებს როგორც მშობლიური ერთობის ნაცად გარდაქმნის მოსურნე ფენა) წამმართველი როლი.

ნაციონალიზმი ინტერნაციონალური მოვლენაა იმ აზრით, რომ გავრცელებულია მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში. არაერთგვაროვან ისტორიულ გარემოში მას აქვს სხვადასხვა შეფერილობა, მაგრამ ამ მოძრაობის ტაქტიკა და სტრატეგია, როგორც წესი, ყველგან ერთი და იგივეა. საქმე ისაა, რომ, როგორც ამას დამაჯერებლად აჩვენებს ე. სმითი, ნაციონალიზმს ყველგან ერთი და იგივე აქვს ფუნდამენტური იდეალები. სწორედ ამ იდეალების ამსახველია ზემოთ მოცემული დეფინიცია.

აღნიშნული საერთო იდეალები ნაციონალისტურ იდეოლოგიას და მისით წარმართულ მოძრაობას ანიჭებს უნივერსალურ და ობიექტურ ხასიათს: „ნაციონალიზმს თავისი საკუთარი წესები, რითში, მახსოვრობანი აქვს, რომელნიც მათ მატარებელ პიროვნებათა ინტერესებს უფრო მეტადაც კი აყალიბებენ, ვიდრე თავად ისინი მოხაზავენ მათ კონტურებს, მოსავენ რა მათ თვალსაჩინო „ნაციონალისტური“ პოლიტიკური ფორმით და წარმართავენ რა მათ კარგად ნაცნობი ნაციონალისტური მიზნებისაკენ“.⁵

ნაციონალიზმი შიდა ჯგუფური სოლიდარობის იდეოლოგიაა. ცხადია, ამგვარი სოციალური ფუნქციის იდეოლოგიები წინა მოდერნის ეპოქამაც

⁴ ე. დ. სმითი. ნაციონალიზმი. თეორია, იდეოლოგია, ისტორია. თარგმანი ინგლისურიდან მ. ჩხარტიშვილისა. ქართული ტექსტის რედაქტორი რ. ამირეჯიბი-მაღვანი. თბ. 2004, გვ. 31.

⁵ ე. დ. სმითი. ნაციონალიზმი. თეორია, იდეოლოგია, ისტორია. თარგმანი ინგლისურიდან მ. ჩხარტიშვილისა, გვ. 23.

მრავლად იცის. მაგრამ ჩვენ ბევრი სხვა მკვლევრის მსგავსად ვიზიარებთ იმ აზრს, რომ ნაციონალიზმი XVIII საუკუნის მეორე ნახევარში გამოდის ისტორიულ არენაზე.

ნაციონალიზმი არაა მარტო პოლიტიკური მოვლენა. ის უმჭიდროესადაა დაკავშირებული კულტურასთანაც. როგორც შენიშნულია სპეციალურ ლიტერატურაში, ნაციათა სამყარო აყალიბებს ჩვენს ზოგად ხედვებს და სიმბოლოთა სისტემასაც.⁶

ჩვენც, მრავალი მეცნიერის მსგავსად, ვფიქრობთ, რომ ნაციონალური კონსოლიდაციის პროცესში გადამწყვეტი როლი ენიჭება ჯგუფის კულტურულ ელიტას, მაგრამ მისი როლი გვესმის არა როგორც სრულიად ვოლუნტარისტული სოციალური ინჟინერია, არამედ ეთნოსიმბოლისტური აზრით, ანუ როგორც კულტურული ელიტის მიერ განხორციელებული ნაციონალური თვითგანსაზღვრა იმ კულტურის ჩარჩოებში, რომლის მატარებელია ის მოსახლეობა, რომელიც უნდა გარდაიქმნას ნაციად. ანუ ჩვენ ამ შემთხვევაშიც ვიზიარებთ ზემოთ უკვე არაერთხელ დამოწმებული მეცნიერის ე. სმითის თვალსაზრისს იმის შესახებ, რომ ნაციონალური კონსოლიდაციის პროცესის ანუ ნაციონალიზმით მართული მოძრაობის არსი მდგომარეობს ინტელიგენციის მიერ ეთნიკური მემკვიდრეობიდან შერჩეული მასალის რეინტერპრეტაციაში.⁷

ნაციონალიზმის უმთავრეს ინდიკატორს წარმოადგენს „ხალხის“ კონცეპტუალიზაცია: „ნაციონალიზმის სპეციფიკურობა წარმოდგება იმ ფაქტისაგან, რომ ნაციონალიზმი ინდივიდუალური იდენტობის წყაროდ მიიჩნევა ხალხს, რომელიც განიხილება, როგორც სუვერენობის წყარო, ლოიალობის უმთავრესი ობიექტი და კოლექტიური სოლიდარობის საფუძველი“.⁸

„ხალხი“ ყოველგვარი ხელისუფლების წყარო და ლეგიტიმაციის ბაზისი ხდება, იგი იწყებს საკუთარი თავის თაყვანცემას. ფაქტობრივად ხალხი იკავებს ადგილს, რომელიც წინა მოდერნის ეპოქის ქრისტიანულ ევროპაში

⁶ „...ნაციონალიზმის მნიშვნელოვნება მხოლოდ პოლიტიკის სფეროთი არ შემოიფარგლება. მას კულტურული და ინტელექტუალური შინაარსიც აქვს, რადგან ჩვენს მსოფლხედვას და სიმბოლოთა სისტემას „ნაციათა მსოფლიო“ აყალიბებს“ (ე. დ. სმითი. ნაციონალიზმი. თეორია, იდეოლოგია, ისტორია. თარგმანი ინგლისურრიდან მ. ჩხარტიშვილისა, გვ. 22).

⁷ ე. დ. სმითი. ნაციონალიზმი. თეორია, იდეოლოგია, ისტორია. თარგმანი ინგლისურიდან მ. ჩხარტიშვილისა, გვ. 44.

⁸ L. Greenfeld. Nationalism. Five Roads to Modernity, გვ. 4.

ეჭირა კურთხეულ მონარქს. აი, როგორ მსჯელობენ ამ საკითხზე ზ. ანდრონიკაშვილი და გ. მაისურაძე: „კოლექტიური იდენტობა ქრისტიანულ სამყაროში ეფუძნება ორ ძირითად პოსტულატს: ქრისტიანი ხალხის ევქარისტულ ერთობას, რომლის განხორციელებას წარმოადგენს ეკლესია. მეორე არის ეკლესიის ლოიალობა კურთხეული მონარქისადმი. მეფის უხრწნელ სხეულს წარმოადგენს მისი სამეფო“.⁹

განმანათლებლობამ ეს უკანასკნელი ვითარება ძირეულად შეცვალა. სუვერენული ხალხის კონცეპტი საზოგადოებრივ პერცეფციებში, როგორც ითქვა, იკავებს მონარქის, როგორც ერთადერთი ლეგიტიმური მმართველის, ადგილს. ნაციონალიზმის, როგორც განმანათლებლობის პროექტის ნაწილის, გააზრების აუცილებლობას აჩვენებს მისი კავშირიც საგანმანათლებლო ქსელების ჩამოყალიბებასთან, მასობრივ მედია საშუალებების გავრცელებასთან, საჯარო სივრცეების გაფართოებასთან.¹⁰

მეტიც, სპეციალისტები მიუთითებენ და, ჩვენი აზრით, საკვებით სამართლიანადაც იმას, რომ ნაციონალიზმი თავდაპირველად მოვიდა როგორც დემოკრატიის ფორმა: „სუვერენობის დაკავშირება ხალხის წიადთან და აღიარება სხვადასხვა ფენის ფუნდამენტური თანასწორობისა, რაც მოდერნის ეპოქის ნაციონალური იდეის არსებას წარმოადგენს, ამავე დროს დემოკრატიის ბაზისური პრინციპია. დემოკრატია დაიბადა ნაციონალურ თვითცნობიერებასთან ერთად. ეს ორი არსებითად ურთიერთდაკავშირებულია და არცერთის გაგება არ შეიძლება ამ კავშირის მიღმა ...თავიდან ნაციონალიზმი ვითარდებოდა როგორც დემოკრატია. და სადაც თავდაპირველი განვითარების პირობები უცვლელია, ამ ორის იგივეურობაც შენარჩუნებულია“.¹¹

მოყვანილი ზოგადი მსჯელობა საშუალებას გვაძლევს ჩვენი საკვლევი ამოცანა, რომელიც ქართული ნაციონალიზმის საწყის ეტაპს შეეხება, წარმოვადგინოთ ანალიზისათვის უფრო მოსახელთებელ ორ საკითხად. კერძოდ, მათ შეიძლება მივცეთ შემდეგი ორი კითხვის სახე: 1. ქართულ სინამდვილეში როდის ჩნდება ისტორიის არენაზე ხალხი, როგორც დამოუკიდებელი აქ-

⁹ Z. Andronikashvili, G. Maisuradze. Secularization and Its Vicissitudes in Georgia. – Identity Studies. Ilia State University. Tb. 2010. №2. გვ. 6.

¹⁰ გ. თევზაძე საინტერესო ნიუანსებით და დასაბუთებით ამდიდრებს დებულებას განმანათლებლობის პროექტთან ნაციონალური იდენტობის წარმოქმნის ფაქტის კავშირის შესახებ. იხ. მისი სტატიები „რა არის „დიდი იდენტობა“. ჟურნალი „სოლიდარობა“. ინტერენეტ-ვერსია.

¹¹ L. Greenfeld. Nationalism. Five Roads to Modernity, გვ. 10.

ტორი? 2. როდის დასტურდება ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებაში განმანათლებლური იდეების გავრცელება?

ორივე ეს კითხვა უკავშირდება „ხალხს“. მისი ახალი რეალური როლის გამოკვეთას და ამ როლის დაფიქსირებას საზოგადოებრივ ცნობიერებაში. როგორც ითქვა, ესაა ნაციონალიზმის თავდაპირველი და არსებითი მნიშვნელობა.

მაგრამ ვიდრე ამ კითხვებს ვუპასუხებდეთ, უპირველეს ყოვლისა, უნდა ვთქვათ, რას წარმოადგენდა ქართული ერთობა, როცა მსოფლიო ისტორიული პროცესის ახალი წამმართველი ძალა – ნაციონალიზმი – გაჩნდა. ეს იმისათვის გვჭირდება, რომ ვიცოდეთ, რა ეთნიკური მექანიზმების პატრონი იყო მოსახლეობა, რომლის ნაციად გარდაქმნას შეეცადა ჯგუფის კულტურული ელიტა.

წინა მოდერნის ხანაში არსებობდა ქართული ეთნიკური ერთობა ძალიან განვითარებული კულტურით და ჯგუფური სოლიდარობის გამოკვეთილი გრძნობით. ამ კულტურას დიდი ხნის განმავლობაში მეურვეობას უწევდნენ ერთიანი სახელმწიფოებრივი ინსტიტუციები. ქართველებს ჰქონდათ გამოკვეთილი ისტორიული მეხსიერება დაფიქსირებული უაღრესად მაღალხარისხოვან ისტორიოგრაფიულ ძეგლებში; ენობრივი და რელიგიური იდენტობა, მიჯაჭვულობა გრძნობა გარკვეული ტერიტორიისადმი, რომლის ძირითადი ბირთვის უცვლელად დანარჩუნება საუკუნეების განმავლობაში ხერხდებოდა. ჰქონდათ რჩეულობის მითი, საერთო წინაპრიდან წარმომავლობის კარგად დამუშავებული კონცეფცია და გარკვეული პერიოდიდან *ოქროს ხანის* კონცეპტიც, როგორც მაკონსოლიდებელი იდეა. ეს ყველაფერი იმდენად მძლავრი და გამოკვეთილი იყო, რომ პოლიტიკური ფრაგმენტაცია კოლექტიურ კულტურულ იდენტობაზე აღმოცენებულ ეთნიკურ ერთიანობას ზიანს თითქმის ვერ აყენებდა. XVIII საუკუნის პოლიტიკურ დოკუმენტებში ქართველთა პოლიტიკური ერთობის საწინდრად დასახელებულია ყველა უმთავრესი ეთნიკური მარკერი, როგორცაა საერთო წარმომავლობა ანუ ქართლოსიანობა, საერთო ენა, საერთო რელიგია.

რომ პოლიტიკურ დეზინტეგრაციას ქართული ეთნიკური ერთობის (ეთნიკის) დესტრუქცია არ გამოუწვევია, ეს კარგად ჩანს არაერთი ფაქტით და განსაკუთრებით თვალსაჩინოდ კი XVIII საუკუნეში შექმნილი ერთი დოკუმენტით, რომელიც ხშირად არის სპეციალურ ლიტერატურაში დამოწმებული სწორედ შესაბამისი ეპოქის საზოგადოებრივი პერცეფციების შესახებ წარ-

მოღვენის შექმნის მიზნით. ესაა საქართველოს ტეროტორიაზე ამ დროს არსებულ პოლიტიკურ გაერთიანებათა – სამეფო-სამთავროებს შორის 1790 წელს დადებული ხელშეკრულება ურთიერთთავდაუსხმელობისა და საგარეო საფრთხის შემთხვევაში სოლიდარობის შესახებ: „ტრახტატი ივერიელთა მეფეთა და მთავართაგან დამტკიცებული, საზოგადოებისათვის შეერთებისა ქართლისა, კახეთისა, იმერთა, ოდიშისა და გურიისა, აღწერილი სამეუფოსა ქალაქსა თფილისს 1790 წელს“.¹²

აქ კვითხულობთ შემდეგს: „ვინაითგან ყოველთა ივერიელთა, მსახლოელთა სამეფოსა შინა ქართლისა, კახეთისა, იმერთა, ოდიშისა და გურიისათა, აქვსთ ერთმორწმუნეობა, არიან ძენი ერთისა კათოლიკე ეკლესიისაგან შობილნი და ერთისა ენისა მქონებელნი, აქვსთ მავასხებლობითცა სიყვარული, ვითარაცა სისხლით ნათესავთა და მოყვრობით შეკრულთა ურთიერთთა შორის, ამისთვის ჩვენ, ზემოხსენებულთა ქუეყანათა ივერიისათა მეფენი და მთავარნი აღუვსოქვამთ მტკიცესა ამას ერთობასა“.¹³

როგორც ვხედავთ, ესაა პოლიტიკური დოკუმენტი, მაგრამ საინტერესო ისაა, რომ ამ პოლიტიკური ხელშეკრულების საფუძვლად და ფაქტობრივად მის ლეგიტიმაციად დასახელებულია ყველა ამ ერთეულის საერთო იდენტობა, კერძოდ, კი ჩამოთვლილია კონკრეტული ეთნიკური მარკერები, საერთო წარმომავლობა, რელიგია, ენა, ისტორია.

საერთო წარმომავლობა – ქართლოსიანობა – ხაზგასმულია 1802 წლით დათარიღებულ დავით ბატონიშვილის წერილშიც იმერეთში გადახვეწილი იულონ ბატონიშვილისადმი: „უმოწყალეო მეფის ძეო, იულონ, ჩემო მოწყალეო ხელმწიფევე, ამ უამად ოდეს წავიკითხე განცხადებაი ესე ერთადმი ქართლოსიანთა...“¹⁴

ამგვარად, ქართული ერთობის წევრები საერთო ეთნიკური წარმომავლობის მძაფრი განცდით შეხვდნენ იმ ეპოქას, როცა ისტორიის არენაზე ნაციონალიზმი გამოვიდა. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ ქართული ნა-

¹² სპეციალურ ლიტერატურაში ხშირად შეხვდებით ამ დოკუმენტის განმარტებას. იხ. მაგ. ს. ჯანაშია. ქართველი ერის წარმოშობის შესახებ. შრომები. VI. თბ. 1988, გვ. 187. შდრ. დ. მუსხელიშვილი. ქართველთა თვისახელობის ისტორიისათვის. საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია (რედ. გ. პაიჭაძე). თბ. 1993, გვ. 374; აგრეთვე, რ. თოფჩიშვილი. ქართველი ერის ეთნიკური განვითარება (მოკლე ისტორიული მიმოხილვა). ქართველი ხალხის ეთნოგენეზი (რედ. დ. მუსხელიშვილი). თბ. 2002, გვ. 146-147.

¹³ იხ. ი. დოლიძე. ქართული სამართლის ძეგლები. ტ. II. თბ. 1965, გვ. 501.

¹⁴ იხ. ს. კაკაბაძე. ქართველი ხალხის ისტორია. 1783-1921. თბ. 2003, გვ. 62.

ციონალიზმის ერთ-ერთი წყარო და შემადგენელი ნაწილი იყო ეთნიკური მემკვიდრეობა, ფაქტებით ძალიან მდიდარი ეთნიკური ისტორია.

პოლიტიკური თვალსაზრისით საქართველოსათვის ძალიან მძიმე იყო XVII საუკუნე, თუმცა ასევე უაღრესად მძიმე XVI საუკუნის შემდგომ ზოგი მკვლევარი კულტურის თვალსაზრისით XVII საუკუნეში ერთგვარ რენესანსსაც კი ხედავს. მძიმე პოლიტიკური ვითარება, პერმანენტული შემოსევები გაგრძელდა XVIII საუკუნის პირველ ნახევარშიც. მხოლოდ XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან ერთგვარი შვება და ამის შედეგად აღორძინება ჰპოვა საქართველომ. ეს უკავშირდებოდა ქვეყნის აღმოსავლეთი ნაწილის პოლიტიკურ გაერთიანებას, რომელსაც მეფეები მამა-შვილი თეიმურაზ მეორე და ერეკლე მეორე ჩაუდგნენ სათავეში. ამ მეფეების, განსაკუთრებით, ერეკლე მეორეს დროს ადგილი ჰქონდა ქვეყნის მოდერნიზაციისაკენ მიმართულ რეფორმებს. ეს რეფორმები გარკვეულად ჰგავდა პეტრე პირველის და ეკატერინე მეორის დროინდელ რუსეთში მიმდინარე გარდაქმნებს ანუ განათლებული აბსოლუტიზმის სულისკვეთებით იყო გამსჭვალული.¹⁵

ერეკლე მეორე დაბეჯითებით ეძიებდა მოკავშირეებს დასავლეთ ევროპაში, მაგრამ დასავლეთის დაინტერესება ქართული საკითხით მან ვერ შეძლო. ამკარად ამ მარცხის საკონპესაციოდ ერეკლემ 1783 წელს გააფორმა ხელშეკრულება რუსეთთან, რომელიც ცნობილია გეორგიევსკის ტრაქტატის სახელწოდებით და რომელიც, როგორც ცნობილია, რუსეთის მიერ ერეკლეს სახელმწიფოს სამხედრო დაცვას გულისხმობდა.¹⁶

თუ გავითვალისწინებთ იმ კურსს, რომელსაც წარმართავდა ერეკლე ქვეყნის მოდერნიზაციის კუთხით, ქართველ მეფეს რუსეთის არა მარტო სამხედრო ძლიერება იზიდავდა. ერეკლეს ამკარად სურდა ქვეყანა მოექცია განმანათლებლური პროექტის მოქმედების ორბიტაში. რადგან ამის მოხერხება მან განმანათლებლობის უშუალო სამშობლოსთან – დასავლეთ ევროპასთან ურთიერთობის გზით ვერ შეძლო, ერეკლე რუსეთის გზით შეეცადა მიზნის მიღწევას. XVIII საუკუნეში საქართველოს განვითარება ამკარად იყო მოდერნიზაციის ნიშნით აღბეჭდილი. რუსეთთან სამოკავშირეო ხელშეკრულება, გარკვეული აზრით, ამ განვითარების გზაზე, და შესაბამისად, ნაციის ქმნალო-

¹⁵ ა. თაბუაშვილი. ერეკლე მეორის ეკონომიკური კონცეფციები ქვეყნის მმართველობის მოდერნიზაციისათვის. თბ. 2010, გვ. 25 და შემდგომ; შდრ. L. Greenfeld. Nationalism. Five Roads to Moderniy, გვ. 191-204.

¹⁶ ა. თაბუაშვილი. ერეკლე მეორის ეკონომიკური კონცეფციები ქვეყნის მმართველობის მოდერნიზაციისათვის.

ბის გზაზე გადადგმულ ერთ-ერთ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს. ამ ხელშეკრულებით ჩანს ქართული ერთობის სწრაფვა გარკვეულ სუვერენულ უფლებაზე უარის თქმის სანაცვლოდ დაინარჩუნოს უმთავრესი იდენტობრივი მარკერები და შემდგომაც განავითაროს ისინი.

მაგრამ ქართველი მეფის იმედები ხელშეკრულებამ ვერანაირი თვალსაზრისით ვერ გაამართლა. სამოკავშირეო ხელშეკრულება დადებული იყო საერთაშორისო სამართლის ორ თანაბარუფლებიან სუბიექტს შორის. იგი საქართველოს შინაგან საქმეებში ჩარევას არ გულისხმობდა, პირიქით, მისი პოლიტიკური მოწყობის შენარჩუნების გარანტიად განიხილებოდა. იგი ცნობდა საქართველოს ტახტზე ბაგრატიონთა დინასტიის ლეგიტიმურობას და მისი დაცვის ვალდებულებას იღებდა. მაგრამ რუსეთის მმართველ წრეებში მომწიფდა საქართველოს უშუალო შეერთების გეგმა. ჯერ კიდევ 1800 წლის 18 დეკემბერს იმპერატორმა პავლე პირველმა ხელი მოაწერა მანიფესტს ქართლ-კახეთის რუსეთთან შეერთების შესახებ. ეს დოკუმენტი საიდუმლოდ იქნა გადმოგზავნილი საქართველოში რუსეთის წარმომადგენელ გენერალ კნორინგისათვის. მანიფესტის ხელმოწერიდან ათი დღის შემდგომ მეფე გიორგი ერეკლეს ძე (გიორგი მეორემეტე) გარდაიცვალა. იმპერატორის ბრძანების გამოსვლამდე ქართლ-კახეთის ტახტის დაკავების ნებას რუსები არავის არ აძლევდნენ. დავით გიორგის ძე, მიუხედავად მის მომხრეთა დაჟინებული თხოვნისა, ვერ ბედავდა ტახტის დაკავებას და ელოდებოდა იმპერატორის ბრძანებას მისი მეფედ დამტკიცების შესახებ. 1801 წლის 16 თებერვალს თბილისის სიონის საკათედრო ტაძარში წაკითხულ იქნა პავლე პირველის მანიფესტი ქართლ-კახეთის რუსეთთან შეერთების შესახებ. ბატონიშვილები საქართველოდან გაიწვიეს. მიუხედავად იმისა, რომ ამ მანიფესტში ქართლ-კახეთის სამეფო ტახტის და მასზე ბაგრატიონთა საგვარეულოს ლეგიტიმური უფლების შესახებ არაფერი იყო ნათქვამი, საქართველოში არ კარგავდნენ იმპერიის შიგნით ავტონომიის შენარჩუნების იმედს და დავით ბატონიშვილი კვლავ ელოდებოდა იმპერატორისაგან მეფედ დამტკიცებას, ამგვარად ამაოდ. პავლე პირველის მკვლელობის შემდგომ ქართლ-კახეთის ბედის საბოლოო გადაწყვეტა წილად ხვდა მომდევნო იმპერატორს ალექსანდრე პირველს, რომელმაც ეს საკითხი ხელისუფლებაში მოსვლის უმაღლეს დონეზე სახელმწიფო საბჭოში განსახილველად. თავად იმპერატორი ყოყმანობდა, ევროპის წინაშე ერთობიერებოდა უძველესი სამეფო დინასტიისათვის იმ უფლებების წართმევა, რისი დაცვის გარანტიად თავად რუსეთი გამოვიდა 1783 წლის

ტრაქტატით. თუმცა სახელმწიფო საბჭომ იმპერატორის დარწმუნება შეძლო. შედეგად 1801 წლის 12 სექტემბერს პეტერბურგში გამოქვეყნდა მანიფესტი აღმოსავლეთ საქართველოს რუსეთთან შეერთების შესახებ. 1802 წლის აპრილში გენერალი კნორინგი რუსი მოხელეების თანხლებით, რომელთაც მოჰქონდათ ვახტანგ ძეგუცის მიერ რუსეთში გატანილი წმინის ჯვარი, თბილისში საზეიმოდ შემოვიდა. სიონის ტაძარში ამჯერად ალექსანდრე პირველის მანიფესტი წაიკითხეს. ასე გაუქმდა ქართული სახელმწიფო და უუფლებოდ დარჩა მმართველი სამეფო ოჯახი. საქართველო შევიდა რუსეთის უშუალო დაქვემდებარებაში.¹⁷

ეს არ იყო რიგითი პოლიტიკური აქტი. ქართული იდენტობა ბაგრატიონთა დინასტიასთან მჭიდროდ იყო ასოცირებული. ამ დინასტიას ეთნიკური მარკერის მნიშვნელობა ჰქონდა. მისი მოშლა ქართველთა მიერ აღქმულ იქნა, როგორც ნამდვილი კატასტროფა¹⁸ და არსებითად, როგორც ქართული იდენტობის საფუძვლის მოშლა.

ეს ნაწილობრივ განპირობებული იყო საქართველოს ისტორიული განვითარების სპეციფიკით, კერძოდ, იმით, რომ ბაგრატიონთა დინასტიის მეფეები ქართველთა სახელმწიფოს სათავეში იყვნენ უპრეცედენტოდ ხანგრძლივი დროის განმავლობაში. ისინი თავს უფლის შთამომავლებად სახავდნენ და ქართული ერთიანობის საკრალურ საფუძველს წარმოადგენდნენ. ქართული იდენტობის ამ მარკერის მოშლა ანუ ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის გაუქმება ნიშნავდა ქართული ერთობის ლოიალობის უმთავრესი ობიექტის გაქრობას, რაც თავად იდენტობის მოსპობის წინაპირობად შეიძლება ქვეუღიფო. ამიტომ, როგორც ითქვა, აღნიშნულმა ფაქტმა ქართული ერთობის წევრებზე მოახდინა წარმოუდგენლად დიდი შთაბეჭდილება. ფაქტობრივად იგი იქცა კოლექტიურ ტრავმად. სწორედ ეს ტრავმა იქცა პირველი ნაციონალისტური გამოსვლების მაპროვოცირებელ ფაქტად.

საქართველოში საერთო მიზნის გარშემო მთელი ერთობის კონსოლი-

¹⁷ ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შესახებ ისტორიული ექსკურსის წყაროს ჩვენთვის წარმოადგენს ა. ბენდიანიშვილი. ეროვნული საკითხი საქართველოში 1801-1921. თბ. 1980, გვ. 11-30; იხ. აგრეთვე, ს. კაკაბაძე. ქართველი ხალხის ისტორია. 1783-1921. თბ. 2003, გვ. 59-65.

¹⁸ აღნიშნული კატასტროფის აღსაწერად ზ. ანდრომიკაშვილი და გ. მაისურაძე იყენებენ ფსიქოანალიზის ტერმინს „ფიქსირება ტრავმაზე“ მიიჩნევენ რა, რომ ქართული ერთობის პერცეფციები დიდი ხნის მანძილზე განისაზღვრა სწორედ ამ ფაქტით. Z. Andronikashvili, G. Maisuradze. Secularization and its Vicissitudes in Georgia. Identity Studies. 2010. № 2, გვ. 7.

დაცია და ხალხის ისტორიის სუბიექტად ქცევა ანუ ნაციონალიზმი ევროპულისაგან განსხვავებულად იდგამს ფეხს. პარადიგმული ნაციების წარმოშობის ქვეყნებში ინგლისსა და საფრანგეთში ხალხმა თვითდამკვიდრება მეფესთან დაპირისპირებით და მისი მკვლევლობით (რიტუალური მსხვერპლშეწირვით) დაიწყო. საქართველოში ხალხს მეფე არ მოუკლავს. პირიქით, მეფობის აღდგენის ლოზუნგით განაცხადა თავისი თავი.

მხედველობაში გვაქვს სახალხო აჯანყებები, რომლებიც მოჰყვა უშუალო რუსული მმართველობის დამყარებას საქართველოში.

პირველი ასეთი გამოსვლა დასტურდება კახეთში 1802 წელს: „მღელვარების პირველი კერები ქიზიყში გაჩნდა. თავადაზნაურობა და გლეხობა (ერთი ცნობით 40 ათასი კაცი) 1802 წ. 25 ივლისს შეიკრიბა კელმენჩურს და გამართა სჯაბაასი ქვეყნის მდგომარეობაზე. ამ შეკრების დასაშლელად ჯარის ნაწილები გაიგზავნა, მაგრამ იგი შეთქმულებმა უკანვე გააქციეს. თავადაზნაურობამ და გლეხობის საგრძნობმა ნაწილმა ფიცი დასდო იულონის ერთგულებაზე, თან შიგნით კახეთის მოსახლეობას მოუწოდა გამოსვლისაკენ“.¹⁹

ამ მიმართვას მთელი კახეთი გამოეხმაურა. მოძრაობის მეთაურებმა იმპერატორის სახელზე თხოვნა შეადგინეს, რომელშიც მეფობის აღდგენას მოითხოვდნენ და უმეფობას ანუ „ფრანციელთ მსგავს რესპუბლიკობას“ უარყოფდნენ.

მართალია, უარყოფენ, მაგრამ ძალიან საინტერესოა, რომ იცნობენ და ფიქრის საგანი გამხდარა „რესპუბლიკობა“.

ქართული მონარქიის აღდგენის სურვილი ამ გამოსვლას წინა მოდერნის, წინარე ნაციონალიზმის ეპოქასთან აკავშირებს, მაგრამ სახალხო ხასიათი, ფართო სოციალური სოლიდარობა საფუძველს იძლევა ეს გამოსვლა ნაციონალისტურად მივიჩნიოთ და საქართველოში ნაციონალიზმის ისტორიის დრო სწორედ მისი მეშვეობით „ჩავართოთ“.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში ეს და მომდევნო გამოსვლები უკვე კარგა ხანია კვალიფიცირებული ეროვნულ გამოსვლებად. მაგრამ არსებული დისკურსის ანალიზი აჩვენებს, რომ „ეროვნული“ არ უდრის „ნაციონალისტურს“. საბჭოთა პერიოდში „ეროვნულ ბრძოლას“ სპეციალისტები განიხილავდნენ, როგორც მოძრაობას უცხოთა წინააღმდეგ თვითობის შენარჩუნებისათვის. ნაციონალისტური მოძრაობის არსი უფრო

¹⁹ ა. ბენდიანიშვილი. ეროვნული საკითხი საქართველოში 1801-1921, გვ. 32.

მრავლისმომცველია: იგი უპირველესად ყოვლისა, გულისხმობს შიდა სოციალურ კომოგენიზაციას: ჯერ ხალხის მიერ წამყვანი პოზიციის მოპოვებას, საბოლოო ჯამში კი მთელი ერთობის ხალხად ანუ თანასწორუფლებიან წევრთა (მოქალაქეთა) ჩვენ-ჯგუფად ქცევას. ამ ფაქტის გაცნობიერებით არის გაკეთებული, ჩვენი აზრით, იჩხაიძის შემდეგი შენიშვნა: „უნდა აღინიშნოს, რომ ეროვნული მოძრაობა იმ გაგებით, რომლითაც ის ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოიყენება, ნაციონალიზმის მნიშვნელოვან, თუმცა მაინც ერთ-ერთ მახასიათებლად უნდა მივიჩნიოთ“.²⁰

კახეთის 1802 წლის აჯანყების ლიკვიდაციის შემდგომ რუსეთის მთავრობის უმთავრესი საზრუნავი საქართველოში გახდა ბატონიშვილების გასახლება. ეს რეაქცია რუსეთის მთავრობის მხრიდან კარგად აჩვენებს, რომ ბატონიშვილები წარმომადგენელი მეფე ქართული ერთობის კვლავ უმთავრეს იდენტობრივ მარკერად რჩებოდა.

იგივეს ნათელი დასტურია 1804 წლის მთიულეთის აჯანყებაც. ეს აჯანყებაც საკმაოდ მასობრივი და ნამდვილად სახალხო იყო. მიუხედავად ამისა, აჯანყებულებმა ხელმძღვანელებად ბატონიშვილები (იულონი და ფარნაოზი) მიიწვიეს.

1804 წლის მთიულეთის აჯანყება უკვე მთლიანად ხალხის ინიციატივას წარმოადგენდა. ქართველი ბატონიშვილების მოწვევა აჯანყების სახელმძღვანელოდ მიუთითებს, რომ კვლავ პოლიტიკური მიზნები ჰქონდა ამ აჯანყებას.

1812-1813 წლების კახეთის აჯანყება კიდევ უფრო მასობრივი და ორგანიზებული იყო. ისიც არსებითად პოლიტიკური რევანშის სულისკვეთებით იყო გამსჭვალული: აჯანყებულებს თვითობის დაცვა ქართული მონარქიის აღდგენით ესახებოდათ შესაძლებლად. ეს კარგად ჩანს იმ ფაქტით, რომ აჯანყებულებმა მეთაურად და საქართველოს მეფედ ბატონიშვილი გრიგოლ იოანეს ძე გამოაცხადეს.

ამგვარად, ერთი მხრივ, ეს გამოსვლები იყო სახალხო, მეორე მხრივ, მონარქისტული. მონარქია, როგორც სახელმწიფოებრივი მოწყობის ფორმა, არსებითად შეუთავსებელია განმანათლებლურ პროექტთან და, შესაბამისად, ნაციონალიზმის თავდაპირველ იდეასთან. მიუხედავად ამისა, ჩვენ ვფიქრობთ, სწორედ ამ მოძრაობებში იშვა ქართული ნაციონალიზმი. მართალია, გარეშე-

²⁰ ი. ჩხაიძე, ნაციონალიზმის მოდერნიზებული თეორია და ქართული ნაციონალიზმის პროექტი („თერგდადეგულები“). თბ. 2009, გვ. 62.

თა წინააღდეგ ბრძოლა სამეფო ოჯახის სასარგებლოდ უნდა წარმართულიყო, როგორც ეს ხდებოდა ყოველთვის ადრე. მაგრამ იყო უზარმაზარი სხვაობა წარსულში ქართული სამეფო ოჯახის წევრების წინამძღოლობასა და XIX საუკუნის დასაწყისის სახალხო მოძრაობებში ბატონიშვილთა მონაწილეობას შორის. ახლა ინიციატივა ხალხის იყო. ხალხი ითხოვდა ბატონიშვილებისაგან გარკვეული ნაბიჯების გადადგმას. ამ აჯანყებების მასობრივი ხასიათი, ჩვენი აზრით, აჩვენებს ნაციონალიზმის უპირველესი სიმპტომის „ხალხის“ კონცეპტუალიზაციის დასაწყისს ქართულ რეალობაში. თუმცა ის ფაქტი, რომ ეს ხალხი საკუთარ სუვერენობას ვერ აცნობიერებდა და, შესაბამისად, ვერც აფასებდა და წინამძღოლობისათვის მაინც ბატონიშვილებს უხმობდა, მიუთითებს ახალშობილი ქართული ნაციონალიზმის უმწიფრობას და წინა მოდერნის ეპოქასთან მისი დამაკავშირებელი „ჭიპლარის“ გაუწყვეტლობას. ეს უმწიფარი ქართული ნაციონალიზმი თავისი არსით პოლიტიკური იყო.

საუკუნის დასაწყისის სახალხო აჯანყებების მარცხმა ქართული პოლიტიკური და კულტურული ელიტა (ეს ორი მნიშვნელოვნად ემთხვეოდა ერთმანეთს) ორ რამეზე დააფიქრა: პირველ რიგში, მისთვის ცხადი გახდა, რომ სპონტანური გამოსვლები შედეგის მომტანი ვერ იქნებოდა, საჭირო იყო წინა მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება, უპირველეს ყოვლისა, თავად ელიტის დარაზმვა გარკვეული პროგრამის გარშემო. განმათავისუფლებელი მოძრაობის მიზნებისა და ტაქტიკის გამოკვეთა და ხალხის წარმართვა სწორედ ამ პროგრამის და წინასწარ დასახული საბრძოლო ტაქტიკის მიხედვით.

ამგვარად დაიწყო სამზადისი იმ პოლიტიკური ქმედებისათვის, რომელიც 1832 წლის შეთქმულების სახელწოდებით არის სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილი.

ქართული კულტურული ელიტა XIX საუკუნის დასაწყისში თითქმის მთლიანად თავადაზნაურული კლასით იყო წარმოდგენილი. მოძრაობაში ქართველი ბატონიშვილებიც აქტიურად იყვნენ ჩართულნი. თავიდან მუშაობა ატარებდა საგანმანათლებლო ხასიათს თავად ელიტაში.

ჩვენ მცირე ცნობები გვაქვს იმის შესახებ, თუ რეალურად რა სამხედრო ძალას ფლობდნენ შეთქმულნი. როგორც ცნობილია, შეთქმულება გამოსვლამდე რამდენიმე ხნით ადრე ერთ-ერთმა მონაწილემ გასცა. ამიტომ ჩვენ ამ შეთქმულების შესახებ დაკითხვის ოქმებით ვმსჯელობთ მხოლოდ. მკვლევრები ფიქრობენ, რომ ჩვენებებში შეთქმულნი თავიანთ შესაძლებლობებს ნაკლებად საშიშად ხატავდნენ, იმისათვის რათა სასჯელი შეემსუბუქებინათ. შეთქ-

მულთა მიზანი იყო პოლიტიკური ვითარების შეცვლა სამხედრო გზით, საქართველოს რუსეთისაგან განთავისუფლება ან რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების მოქცევა კვლავ გეორგიევსკის ტრაქტატით დადგენილ სამართლებრივ ჩარჩოებში. ძალიან საინტერესოა თუ როგორ წარმოედგინათ შეთქმულებს მათი გამოსვლის შედეგი. ანუ საქართველოს პოლიტიკური მოწყობა გამარჯვების შემდეგ. მიუხედავად იმისა, რომ შეთქმულთა შორის საკმაოდ იყვნენ გაუქმებული სამეფოს ტახტის მემკვიდრეები, აბსოლუტური მონარქიის დაბრუნებას შეთქმულნი არ ფიქრობდნენ. მათი უმრავლესობა აშკარად კონსტიტუციურ მონარქიას უჭერდა მხარს. თუმცა იყვნენ ისეთებიც, რომლებიც საქართველოს მომავალს სახალხო მმართველობაში ხედავდნენ, აიდეალებდნენ ძველი ნოვგოროდის ვეჩეს და ქვეყნის რესპუბლიკურ მოწყობას უჭერდნენ მხარს. განმანათლებელთა იდეებით გამსჭვალულნი საფრანგეთის მსგავს მმართველობას განიხილავდნენ. სპეციალურ ლიტერატურაში შენიშნულია, რომ შეთქმულებაში, პოლიტიკური წყობილების ფორმის მხრივ, რამდენიმე მიმართულება არსებობდა. ერთი ნაწილი, რომლის აზრს გამოხატავდა ფილ. კიკნაძე, განათლებული მონარქიის, ე.წ. კონსტიტუციურ-მონარქიული წყობილების მომხრე ყოფილა, ხოლო მეორე ნაწილი, სჩანს, რესპუბლიკელობისაკენ იხრებოდა.²¹

პოლიტიკურ მმართველობაში რესპუბლიკის ფორმის არჩევა არის განმანათლებლური პროექტის ნაწილი, რადგან რესპუბლიკა თანასწორობის პრინციპს, მოქალაქეობას (ქვეშევრდომობის ნაცვლად) და საზოგადოებრივი ცხოვრების არენაზე ხალხის გამოყვანას გულისხმობს.

თუმცა რეალური აგიტაცია მასაში შეთქმულებს არ უწარმოებიათ. მართალია, ეროვნული იდენტობის განსაზღვრა, ისეთი მარკერების გამოკვეთა, როგორიცაა ენა, ისტორია, საკუთარი პოლიტიკური მმართველობა, წეს-ჩვეულებები მათი ყურადღების ცენტრში იყო, მაგრამ შეთქმულებმა არათუ ვერ მოახერხეს ამ იდეალებით ხალხის გამსჭვალვა და მისი ამოძრავება, ნაციონალიზმის იდეებით ხალხის დარაზმვა არც კი უფიქრიათ. შეთქმულებაში ფართო მასების ჩართვას ფიქრობდნენ ცარიზმიდან მომავალი საფრთხის შესახებ ცრუ განგაშით.

²¹ პ. ინგოროყვას თვალსაზრისს ვიმოწმებთ ნ. პაპავას ნაშრომის „1832 წლის შეთქმულების ისტორიოგრაფია“ (იხ. კრ.: საქართველოს ახალი ისტორიის საკითხები. VII. თბ. 2004, გვ. 54). შეთქმულების განმანათლებლურ პროექტთან კავშირის მახვენებლი ფაქტობრივი მასალისათვის დამატებით იხ. ე. ორჯონიკიძე. 1832 წლის შეთქმულთა საზოგადოების ეროვნულ-პოლიტიკური პროგრამა, გვ. 11-37.

მიუხედავად ამისა, 1832 წლის შეთქმულება, აშკარად, სრულიად ახალი მოვლენა იყო ქართული საზოგადოებრივი აზროვნების და პოლიტიკური მოძრაობის ისტორიაში. აქ იყო საუბარი მონარქიისაგან განსახვევებულ პოლიტიკურ მოწყობაზე, იდენტობის უმთავრეს მარკერებზე, და ხალხის მონაწილესაც მნიშვნელოვნად ითვლებოდა შეთქმულების წარმატებისათვის. სწორედ ამის გათვალისწინებით (და არა მარტო გარეშე ძალასთან დაპირისპირების გამო) პოლიტიკური რევანშის ეს მცდელობაც XIX საუკუნის პირველი ათწლეულების სახალხო გამოსვლების გაგრძელებად და მათთან ერთად ქართული ნაციონალიზმის დასაწყისად უნდა მივიჩნიოთ.

გ. ნოდია მიუთითებს რა, რომ ქართველი ერის თანამედროვე იდეამ განვითარება XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან დაიწყო,²² საგანგებოდ ჩერდება საკითხზე შეიძლება თუ არა 1832 წლის შეთქმულება ჩათვალოს ქართული ნაციონალიზმის დასაწყისად: „შეიძლება დავა იმაზე, ხომ არ იქნება უფრო სამართლიანი ახალი დროის ქართული ნაციონალიზმის ისტორია დაგვეწყო 1832 წლიდან, როდესაც მოხდა შეთქმულება საქართველოს დამოუკიდებლობის აღსადგენად. ნიშანდობლივია, რომ ეს შეთქმულება ინსპირირებული იყო 1830 წლის საფრანგეთის რევოლუციით და 1830-31 წლების პოლონეთის აჯანყებით... ამ აზრით, ის ნაციონალისტური აჯანყებების დასავლურ მოდელს მიჰყვებოდა, თუმცა ეს მცირემასშტაბიანი შეთქმულება განცალკევებულ ეპიზოდად დარჩა, რომელსაც არ დაუტოვებია კოჰერენტული იდეოლოგია და პოლიტიკური გაგრძელება არ ჰქონია. რაც მთავარია, აქ არ იყო *ერის მშენებლობის* მცდელობა. თავისი განწყობითა და ინსტიტუტებით ის უფრო პრემოდერნული ქართული დინასტიის აღდგენაზე იყო მიმართული. ჯანყის ზოგადი შთაგონება შეიძლება მართლაც დასავლეთისაგან მოდიოდა, არ ჩანდა თვალნათლივი კავშირი ერისა და მოდერნიზაციის იდეებს შორის ანუ ის, რაც თანამედროვე ნაციონალიზმის ძირითადი საყრდენია“.²³

საერთოდ, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სპეციალურ ლიტერატურაში ქართული ნაციონალიზმის დასაწყისად XIX საუკუნის 60-იანი წლები მიაჩნიათ.²⁴

²² გ. ნოდია. ქართული ეროვნული იდეის კომპონენტები: ზოგადი მონახაზი, გვ. 119.

²³ გ. ნოდია. ქართული ეროვნული იდეის კომპონენტები: ზოგადი მონახაზი, გვ. 136: შენ. 11 (კურსივი ავტორისაა. – მ.ჩ., ქ.მ., ს.ქ.).

²⁴ მაგალითად, ი. ჩხაიძე მიუთითებს: „ნაციონალიზმის წარმოქმნას გარკვეული წინაპირობები სჭირდება, რომლებიც ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო XIX საუკუნის 60-ან წლებში ყალიბდება, სწორედ იმ პერიოდში, როცა ასპა-

გაგვიჭირდება ამ თვალსაზრისებთან დათანხმება. XIX საუკუნის მეორე ნახევარი ქართული ნაციის ფორმირების დროა და არა ქართული ნაციონალიზმის. მიუხედავად იმისა, რომ 1832 წლის შეთქმულება, მართლაც, არ იყო ქვეყნის მოდერნიზაციის პროცესით უშუალოდ ინსპირირებული მასობრივი მოძრაობა, ის ამკარად უკავშირდებოდა განმანათლებლურ პროექტს როგორც სახელმწიფოებრივი მოწყობის ფორმის თვალსაზრისით, ისე ხალხის როლის მნიშვნელობის აღიარებით გამოსვლის წარმატებისათვის. მისი ინსპირაციის წყარო ამკარად ნაციონალისტური ევროპა იყო. წინა მოდერნის ეპოქის საქართველომ არ იცის რამდენადმე მსგავსი ტიპის გამოსვლა. ამიტომ ვფიქრობთ, რომ 1832 წლის შეთქმულებაც ქართული პოლიტიკური ნაციონალიზმის გამოვლინებად უნდა მივიჩნიოთ, თუმცა ეს იყო ამკარად უმწიფარი ნაციონალიზმი. იგი წარმოადგენდა რეაქციას შევიწროებაზე, მისი მთავარი სისუსტე მდგომარეობდა არა იმაში, რომ შეთქმულებს არ ჰქონდათ საკმარისი სამხედრო ძალა დაპირისპირებოდნენ იმპერიას, არამედ იმაში, რომ ის, რისთვისაც უნდა დაპირისპირებდნენ იმპერიას, ანუ ქართული ნაცია, მათთვის ჯერ კიდევ სავსებით ცხადი არ იყო რას წარმოადგენდა.

მაგრამ შეცდომა იქნება, თუ ვიტვით, რომ ქართული ნაციის იდეაზე წარმოდგენა შეთქმულებს საერთოდ არ ჰქონდათ: მდიდარი ეთნიკური წარსული და საუკუნის დასაწყისის სახალხო მოძრაობები, განმანათლებლობის ევროპული გამოცდილება შეთქმულთა წინაშე სახავდა თუ დეტალურ სურათს არა, ქართული ნაციონალური იდეის კონტურს მაინც. რუსეთის მიერ ქართული ეთნიკური იდენტობის ერთ-ერთი მთავარი საყრდენის – ბაგრატიონთა დინასტიის – მოშლამ, მაპროვოცირებელი ფაქტორის როლი ითამაშა ამ იდეის კრისტალიზაციაში.

ამგვარად, ქართული ნაციონალიზმი, ჩვენი აზრით, დაიწყო პოლიტიკური ნაციონალიზმით. სწორედ მის საფუძველზე აღმოცენდა მოგვიანებით ქართველი სამოციანელების კულტურული ნაციონალიზმი.

1832 წლის შეთქმულება ძალიან მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, როგორც გაკვეთილი. ამ გაკვეთილმა ქართულ ელიტას (პოლიტიკური და კულტურული ელიტა, როგორც ითქვა, მნიშვნელოვანწილად ერთმანეთს ემთხვეოდა) გააცნობიერებინა, რომ მყისიერი პოლიტიკური რევანში შეუძლებელია. იმ ვი-

რეზზე „თერგდალეულებად“ წოდებული თაობა გამოდის“ (ი. ჩხაიძე, ნაციონალიზმის მოდერნიზებული თეორია და ქართული ნაციონალური პროექტი („თერგდალეულები“), გვ. 62.

თარებაში, როცა რუსეთის ალტერნატივა (არც კულტურულად, არც პოლიტიკურად) არ ჰქონდათ. შეთქმულნი მართალია, მიხვდნენ, რომ ტრადიციული ქართული მონარქია აღარ გამოდგებოდა ლოიალობის წყაროდ, მაგრამ ლოიალობის ახალი საფუძვლის, ე.ი. ხალხის რეალური შინაარსი პირველი თაობის ქართველი ნაციონალისტებისათვის არ იყო ბოლომდე ნათელი. საზოგადოება კვლავ წოდებრივად დაყოფილი იყო. ბატონყმობის არსებობა არ იძლეოდა ჰომოგენური ერთობის შექმნის საშუალებას. მწვავედ იდგა სხვადასხვა ტიპის სოციალური მარგინალების პრობლემა. არც ბურჟუაზიას ჰქონდა თავისი ადგილი, როგორც ხალხის შემადგენელ ნაწილს. დასავლეთ ევროპის ქვეყნებისაგან განსხვავებით ნაციონალური კონსოლიდაციის პროცესში ქართული ბურჟუაზიის წამმართველ როლზე საუბარი საერთოდ არ შეიძლებოდა.

1832 წლის შეთქმულების მარცხმა ქართულ კულტურულ ელიტას დაანახვა საზოგადოებრივი ცხოვრების დემოკრატიზაციისათვის მოძრაობის დაწყების აუცილებლობა. ისიც, რომ ეს უნდა ყოფილიყო არა ხანმოკლე, არამედ ხანგრძლივი მოსამზადებელი სამუშაო. ელიტური აქტივობა უნდა გადაზრდილიყო მასობრივ მოძრაობაში.

ხშირად, როცა საუბრობენ ნაციონალიზმის იდეოლოგიით ინსპირირებულ მოძრაობებზე, მოდელად იყენებენ ჩეხი ისტორიკოსის მ. ჰროჩის სქემას, რომლის მიხედვით ნაციონალიზმი, ვიდრე ის გადაიქცეოდეს მასობრივ პოლიტიკურ მოძრაობად, გადის განვითარების კულტურულ ფაზას: „მიროსლავ ჰროშის მოდელის მიხედვით, ნაციონალიზმი, ჩამოყალიბების პროცესში, შემდეგ ეტაპებს გადის: პირველი (A), არის კულტურული იდენტობის ჩამოყალიბებისაკენ სწრაფვა, რაც მოიცავს ენის რეფორმას, ეროვნული ისტორიის აქტივაციას და მისი როლის გაძლიერებას; მეორე (B) – „პატრიოტების“ ჯგუფის მიერ შექმნილი ეროვნული იდეის საგანმანათლებლო დაწესებულების (სკოლების) და პრესის საშუალებით ხალხამდე მიტანა და მესამე (C) საზოგადოების საყოველთაო მობილიზაცია. ემპირიული მასალის განხილვისას გამოჩნდება, რომ XIX საუკუნის მეორე ნახევარში დაწყებული მოძრაობა, შესაძლოა გარკვეული თავისებურებებით, მაგრამ მაინც მკაფიოდ თავსდება წარმოდგენილ მოდელში“.²⁵

ჩვენც ვფიქრობთ, რომ ამ მოდელის პირველ-მეორე ფაზას შეესაბამება ქართველი ნაციონალისტების მოღვაწეობა XIX საუკუნის მეორე ნახევარში,

²⁵ ი. ჩხაიძე. ნაციონალიზმის მოდერნიზტული თეორია და ქართული ნაციონალური პროექტი („თერგდაღუელები“), გვ. 63-64.

მაგრამ ქართული ნაციონალიზმი ნაციონალიზმის კულტურული ფორმით არ იწყება. როგორც ვთქვით, ის იწყება, პოლიტიკური ფორმით.

ქართული მაგალითი აჩვენებს, რომ კულტურული და პოლიტიკური ნაციონალიზმების ურთიერთმიმართების წარმოდგენა პროჩისეული სქემით ყოველთვის მართებული არ არის. უფრო სწორი ჩანს ამ მიმართების ის დახასიათება, რომელსაც გვთავაზობენ ჯ.ჰათინსონი და ე. სმითი. მათ მიხედვით, ეს ფორმები კონკრეტული ვითარებიდან გამომდინარე ენაცვლებიან ერთმანეთს: თუ პოლიტიკური ნაციონალიზმი „ბორძიკობს“ კულტურულ ნაციონალიზმს შეუძლია გაჩენილი ბზარი ერთობის კოლექტიური კულტურული რესურსის განმტკიცებით ამოავსოს.²⁶ თუმც, ეს მტკიცებულება ნაციის ჩამოყალიბებისათვის კულტურულ და პოლიტიკურ ნაციონალიზმებს შორის ევოლუციურ დამოკიდებულებას არ გამორიცხავს. ნაციის პოლიტიკურ ერთობად ჩამოყალიბება გულისხმობს გარკვეული ხარისხის კულტურულ ჰომოგენიზაციას.

მ. პროჩის მოდელს ხშირად იყენებენ ფაქტობრივი მასალის აღსაწერად, თუმც, როგორც ჩვენ, მიდიან იმ დასკვნამდე, რომ კონკრეტული სინამდვილე ყოველთვის არ თავსდება ამ მოდელში.²⁷

ამგვარად, ქართული ნაციონალიზმის დასაწყისი და განვითარების ეტაპები ზუსტად იგივე არაა, რაც სხვა ქვეყნებში, თუმც ამის გამო განსხვავებული ტიპის ნაციონალიზმზე საუბარი მართებული არ გვგონია, როგორც ამას აკეთებს ზ. შათირიშვილი, როცა მიუთითებს, რომ საქართველოში განვითარდა ე.წ. „აღმოსავლური ნაციონალიზმი“. მკვლევარი, მართალია, როცა შენიშნავს, რომ ევროპული დემოკრატიის ისტორია, ფაქტობრივად, ევროპული ნაციონალიზმის ისტორიაა.²⁸ როგორც უკვე ითქვა, ესაა საერთოდ ნაციონალიზმის არსი. ქართული ნაციონალიზმი მისი ევროპული მოდელისაგან რამდენადმე განსხვავებული გზით ჩამოყალიბდა, მაგრამ ეს გარემოება აღნიშნული ფენომენის არსს, ცხადია, არ ცვლის, იგი უბრალოდ აჩვენებს ამ ფენომენის კონკრეტულ გარემოში განვითარების თავისებურებას.

²⁶ ე. დ. სმითი. ნაციონალიზმი. თეორია, იდეოლოგია, ისტორია. თარგმანი ინგლისურიდან მ. ჩხარტიშვილისა, გვ. 116-117.

²⁷ იხ. მაგ. K. Hitchins. Romanian Nation-Formation in Transylvania; The Stages, Seventeenth Century to 1914 in: The Identity of Romania. The Encyclopedic Publishing House. Bucharest. 2009, გვ. 93-94, 116.

²⁸ ზ. შათირიშვილი. Una Sancta და ნაციონალიზმი. საქართველო ათასწლეულთა გასაყარზე. ზ. კიკნაძის რედაქციით. თბ. 2005, გვ. 187, 190.

ამგვარად, ჩვენ მიგვაჩნია, რომ ქართული ნაციონალიზმი იწყება XIX საუკუნის სახალხო გამოსვლებით და 1832 წლის შეთქმულებით. ეს იყო ნაციონალიზმის პოლიტიკური ფორმა. აღნიშნული მოძრაობები ნაციონალიზმის ერთ-ერთი ყველზე უფრო ფუძემდებური იდეალის – პოლიტიკური ავტონომიურობის – მიღწევას ისახავდა მიზნად მაგრამ ისინი სათანადო გამოცდილების არმქონე მოძრაობებს წარმოადგენდა. მათი მარცხი გარდაუვალი იყო იმის გამო, რომ ქართველ ნაციონალისტებს ამ დროისათვის ჯერ კიდევ სრულყოფილად არ ჰქონდათ ჩამოყალიბებული ქართული ნაციონალური ერთობის იდეა. მაგრამ სახალხო ხასიათი ან ხალხის გამოსვლის მნიშვნელობის გაცნობიერება ამ მოძრაობებს უცილობლად ათავსებს განმანთლებლური პროექტის და, შესაბამისად, ნაციონალისტური პროექტის, არეალში.

XIX საუკუნის პირველი ათწლეულების პოლიტიკურმა ნაციონალიზმმა შექმნა საფუძველი საუკუნის მეორე ნახევარში მომწიფებული ქართული კულტურული ნაციონალიზმისათვის, რომლის მთავარ შედეგს ქართული ნაციონალური იდენტობის განსაზღვრა წარმოადგენდა.

Mariam Chkhartishvili, Ketevan Mania, Sopio Kadagishvili

THE ARISING OF GEORGIAN NATIONALISM

Summary

Social theorists distinguish two principal types of nations: nations being direct products of modernization processes and nations emerged as results of nationalisms. The Georgian nation belongs to the later type. Accordingly, representation of the history of Georgian nationalism is a key task of Georgian historiography. The Soviet historians treating nationalism as a false bourgeois ideology placed it beyond the academic interests. It is why during the long period (until very recently) the phenomenon of Georgian nationalism was neglected issue. Hence today the study of the problem lacks necessary insights.

The goal of the present investigation is to fill up (of course, only partially) the existed gap and provide up-to-date discourse on the history of Georgian nationalism. In particular, we attempt to provide alternative view on the time of Georgian nationalism's emergence: we argue that the early nineteenth century was a date of Georgian nationalism's origin instead of generally accepted late nineteenth century. We define principle sources and stages of development of Georgian nationalism. The research shows that the matrix of Georgian nationalism despite of its west European sources was not always well-matched with paradigmatic models.

We share opinion according to which nationalism is linked with the Enlightenment project and assert that conceptualization of the notion of "people" may serve as a main indicator of nationalist ideology arising. With this assertion in mind we analyze the empirical data, namely, the anti-Russian uprisings of Georgian peasantry and nobility in the first two decades of the nineteenth century and also conspiracy of Georgian nobility of 1832. We treat these movements as nationalist ones considering them as original facts in the history of Georgian nationalism. We think that these movements were expressions of Georgian premature political nationalism, which in the late nineteenth century had been transformed into mature cultural nationalism.

In this regard we compare the paradigms of interrelations between political and cultural nationalisms proposed by M. Hroch on the one hand, and J. Hutchinson and A. D. Smith, on the other hand. The obtained material makes us to suppose that Georgian case study can be used for elaboration of these theoretical patterns.

დმიტრი შევლიძე

ქართული სახელმწიფოებრიობის პრობლემა არჩილ ჯორჯაძის ნააზრევში

1905-1907 წლების რევოლუციის დამარცხების შემდეგ, ეროვნული პრობლემა ქართული პუბლიცისტიკის ცენტრალურ თემად იქცა და ერთგვარი თეორიულ-მეცნიერული მიმართულება მიიღო. ამ მიმართულების წამყვანი ფიგურა არჩილ ჯორჯაძე გახლდათ. 1907 წლიდან იგი სისტემატურად იწვეებს ეროვნული საკითხის შესწავლა-დამუშავებას. სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის პრესის ორგანოებში: „ისარში“, „ამირანში“ და „დროებაში“, სერიالები ქვეყნდებოდა, ჯორჯაძის მრავალრიცხოვანი წერილებისა. 1911 წელს ეს წერილები თავს იყრის არჩილ ჯორჯაძის თხზულებათა პირველ წიგნში. იმავე წელს გამოიცა ჯორჯაძის თხზულებათა მეორე, მესამე და მეოთხე წიგნები, რომლებშიც სხვა წლებში გამოქვეყნებული წერილები, ნარკვევები და ნაშრომები შევიდა.

არჩილ ჯორჯაძის თხზულებათა ოთხტომეულისა და მისი გარდაცვალების შემდეგ გამოსული მეხუთე წიგნის გამოცემა, ქართული პოლიტიკური აზროვნების დიდი წინსვლის ნათელი დადასტურება გახლდათ. თხზულებანი მოიცავდა საქართველოს ეროვნული, პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული ცხოვრების, საზოგადოებრივი მოძრაობის წარსულისა და თანამედროვეობის უმნიშვნელოვანეს პრობლემებს.

ჩვენთვის საინტერესოა არჩილ ჯორჯაძის პუბლიცისტური მოღვაწეობის 1907-1913 წლების პერიოდი, რომელიც ყველაზე უფრო ნაყოფიერად უნდა ჩაითვალოს მის ცხოვრებაში. რაც მთავარია, ალბათ სხვა არც ერთი ქართველი მოღვაწის ნააზრევი არ წვდება საუკუნის დასაწყისის საქართველოს ცხოვრებას ისე ყოველმხრივად, ღრმად და ობიექტურად, როგორც ქართველი საზოგადოების ეს ჭეშმარიტი მემკვიდრე, გულშემატკივარიც, მესაიდუმლეც და გარკვეულწილად წინასწარმეტყველიც.

1907-1913 წლებში გამოქვეყნებულ მრავალრიცხოვან წერილებში არ-
ჩილ ჯორჯაძემ ჩამოაყალიბა ეროვნულ-პოლიტიკურ შეხედულებათა სისტემა,
მოგვცა ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენის თეორიული და პრაქტი-
კული საშუალებების ვრცელი დასაბუთება. აქვე აღვნიშნავთ, რომ ჯორჯაძის
წერილები, გარეგნულად პოლემიკურ ხასიათს ატარებს და უმთავრესად ქარ-
თველი სოციალ-დემოკრატიის ლიდერის ნოე ჟორდანიას წინააღმდეგაა მი-
მართული. თავდაპირველად ჯორჯაძემ გააკრიტიკა ჟორდანიას ცნობილი ნაშ-
რომი „ქართველი ხალხი და ნაციონალიზმი“. ჯორჯაძის წერილების სერიის
სახელწოდება იყო „სამშობლო და მამულიშვილობა“.

ამის შემდეგ ჟორდანიამ გააკრიტიკა ჯორჯაძის პოზიცია, რომელიც მას
კვლავ გამოეპასუხა წერილების სერიაში: „კიდევ წარსული და მისი ანდერძი“.¹

მის შემდეგ ჟორდანიამ აქვეყნებს წერილების სერიას: „პარტიული
ბრძოლა ჩვენში“. როგორც სათაურიდან ჩანს, წერილები ეძღვნება პოლიტი-
კური პარტიების ურთიერთობას, ხასიათს, მათ წარმოქმნას საქართველოში, რა
თქმა უნდა, მარქსისტული თვალსაზრისით და ჟორდანიას პასუხად მყისვე
იწერება ჯორჯაძის მორიგი წერილების სერია გაზ. „ამირანში“ – „ისტორიის
სამართალი?! (საზოგადოებრივ აზრის ევოლუცია ჩვენში)“.² ეს სერიალი ეხე-
ბოდა პარტიებისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიას „უკანასკნელ ათ-
თხუთმეტ წლის“ განმავლობაში – ე. ი. 1890-იანი წლებიდან 1908 წლამდე.

პოლემიკა 1908 წელს ძველი სიმბაფრით გაგრძელდა. „ეკალიში“ გა-
მოქვეყნდა ნოე ჟორდანიას კრიტიკული შენიშვნები: „სადავო კითხვები“.³
ამას მოჰყვა ჯორჯაძის „კამათის დასასრული“.⁴

ჟორდანიასთან ოპონენცია და მისი პოზიციების კრიტიკა შემდგომშიც
გაგრძელდა ჯორჯაძემ. მაგრამ არც ჟორდანიასთან, არც ფილიპე მახარაძეს-
თან, არც გრიგოლ ურატაძესთან და სხვა სოციალ-დემოკრატებთან კამათი,
სოციალისტ-ფედერალისტების ლიდერის თვითმიზანს არ წარმოადგენდა. ამ,
ერთის, შეხედვით პოლემისტურ წერილებს მიზანი სხვა ჰქონდათ: მყარი
თეორიული შეხედულებების ჩამოყალიბება – ეროვნული ცხოვრების სხვა-
დასხვა მხარეების დასაბუთება: ერის წარმოშობის, სახელმწიფოებრიობის აღ-
დგენა-აუცილებლობის, ავტონომიის, სოციალური თანასწორობის, აგრარული
პრობლემის და სხვათა შესახებ. მთავარი საზრუნავი კი რა თქმა უნდა ჯორ-

¹ გაზ.: „ამირანი“. №86-90.

² გაზ.: „ამირანი“. 1908. № 61, 62, 63, 67.

³ გაზ.: „ეკალი“. 1908. №1, 2, 3, 4, 9, 10.

⁴ გაზ.: „დროება“. 1909. №112, 113, 114, 115.

ჯაძისათვის ეროვნული პრობლემა იყო, რომელიც, არც მეტი, არც ნაკლები, – „სამკვდრო-სასიცოცხლო საკითხი, ჩვენი ყოფნა არყოფნის საგანი“ გახლდათ.

განმათავისუფლებელი მოძრაობის დამარცხების შემდეგ განსაკუთრებით გაიზარდა საზოგადოების ინტერესი ეროვნული პრობლემის მიმართ.

თავისი თხზულებების I წიგნის წინასიტყვაობაში, ჯორჯაძე არ უარყოფდა, რომ ამ საკითხისადმი ცნობის წადილი არასოდეს განელეზულა ქართულ საზოგადოებაში. ასე იყო XIX საუკუნეში. ასე გაგრძელდა XX საუკუნეშიც. მაგრამ ამ ორ საუკუნეს შორის თვისობრივი განსხვავება იყო. ადრე ეროვნების შესახებ ლაპარაკი, ერთგვარი „გულის მოსაფხანი საშუალება იყო“. ჯორჯაძე შეურაცხყოფას არ აყენებდა გასული საუკუნის დიდებულ მოღვაწეებს, უბრალოდ იგი ხაზს უსვამდა, რომ ადრინდელ სჯა-ბაასს აბსტრაქტული, ზოგადი ხასიათი ჰქონდა. ახლა კი ლაპარაკს „საქმიანობის“ ელფერი დაედო, მან უფრო პრაქტიკული მიზანდასახულობა შეიძინა და კონკრეტული გზების ძიებას შეუდგა, ეროვნული პრობლემის როგორც შესასწავლად, ისე გადასაჭრელად.

ასე დაიწყო თავისი ცნობილი წერილების სერიის წინასიტყვაობა ა. ჯორჯაძემ. სერია სოციალისტ-ფედერალისტების პარტიის ორგანოში „ამირანში“ იბეჭდებოდა.⁵ მან საზოგადოებაში ცხოველი ინტერესი გამოიწვია და სათავე დაუდო ჯორჯაძის მიერ ეროვნულ-პოლიტიკური პრობლემების ინტენსიურ კვლევას პირველი რევოლუციის დამარცხების მთელ შემდგომ პერიოდში.

რამ გამოიწვია ჯორჯაძის პუბლიცისტიკის თითქმის მხოლოდ ერთი მიმართულებით წარმართვა? ადრე იგი ბევრს წერდა სოციალურ პრობლემებზეც, გატაცებული იყო ანარქისტულ-სოციალისტური დოქტრინითა და სახელმწიფოს დანგრევის ქადაგებით, ლამის ვარლამ ჩერქეზიშვილს და ანარქიზმის სხვა ადვოკატებსაც გადააჭარბა. მისივე განმარტებით, რევოლუციის დამარცხების შემდეგ, განსაკუთრებით საქართველოში, ეროვნული საკითხი საბოლოოდ იქცა „ცენტრალურ პრობლემად“. სწორედ ამ პრობლემამ და არა სხვა რომელიმემ, დაჰყო „ქართველი ინტელიგენცია“ ორ მთავარ ბანაკად და დააპირისპირა ერთმანეთთან. ერთნი იყვნენ ავტონომისტები, მეორენი ავტონომიის მოწინააღმდეგენი. საზოგადოებრივ-პოლიტიკური კლასიფიკაციის მთავარ განმსაზღვრელადაც ეროვნული პოზიცია იქცა. დღეს მხოლოდ ისღაა საზოგადოებისთვის საინტერესო, „თუ როგორ გესმით ეროვნული პრობლემა, ავტონომისტი ხართ თუ ავტონომიის მოწინააღმდეგე, ამაყურად ატარებთ ქარ-

⁵ გაზ.: ამირანი. 1908 წელი. №36, 40, 41, 42, 44-48.

თველი კაცის სახელს, თუ სირცხვილით იწვით იმ უბედურების გამო, რომ განგებამ ქართველად გშობა და ქართულ ენაზე მოსაუბრე ადამიანად გაგაჩინა“.⁶ ჯორჯაძის შენიშვნა სარკაზმს არ იყო მოკლებული, მაგრამ გულისტკივილითაც იყო დაწერილი.

გულისტკივილის მიზეზი საქართველოს დემოკრატიული ძალების გათიშვა იყო, სწორედ – ეროვნულ პრობლემასთან დამოკიდებულების გამო, რომელსაც წესით და რიგით „ქიშპობა და მძულვარება კი არ უნდა გამოეწვია, არამედ შეთანხმებული და ერთი აზრით გამსჭვალული მოქმედება“.

მაგრამ გათიშულობა ფაქტად რჩებოდა, ხოლო განხეთქილების ვაშლად – ეროვნული საკითხი. ამ პრობლემის ღრმა და მეცნიერული შესწავლა იყო საჭირო და არა ზოგადი, აბსტრაქტული ფრაზების დაუსრულებელი ტრიალი. „ჩვენც დავაკვირდეთ და შევისწავლოთ ეგ საგანი“ – აი რა დაისახა მიზნად არჩილ ჯორჯაძემ და, არ შეეცდებით თუ ვიტყვით, რომ იგი იყო პირველი, რომელმაც ეროვნული პრობლემის სპეციალური და მრავალმხრივი შესწავლა-გასივრძელება სცადა ჩვენი საუკუნის საქართველოში.

ჯორჯაძემ ეროვნული პრობლემის შესწავლა ქართველი ერის წარმოშობის დროისა და ვითარების გარკვევით დაიწყო. ამ საკითხს მიეძღვნა მისი ცნობილი წერილების სერია: „სამშობლო და მამულიშვილობა (ეროვნული პრობლემა საქართველოში)“, რომელიც სოციალისტ-ფედერალისტების გაზეთ „ამირანში“ გამოქვეყნდა 1908 წელს.

ეროვნება სახელმწიფოს შექმნის პროცესში ჩამოყალიბდა. ამიტომ ყურადღება უნდა მივაქციოთ იმასაც, თუ რა არის სახელმწიფო. ის ძალმომრეობითი ორგანიზაციაა, რომელიც უმცირესობამ შექმნა უმრავლესობის დასამონებლად და თავისი ბატონობის დასაცავად. არაიშვიათად, გაბატონებული ჯგუფი სხვა ეთნიკურ ელემენტს წარმოადგენდა. ჯორჯაძე არ ეთანხმებოდა გუმპლოვიჩს, რომელიც ირწმუნებოდა, რომ გაბატონებული ფენა უცხო ეთნიკური ჯგუფები იყვნენ, რომლებიც იპყრობდნენ და იმორჩილებდნენ სუსტ ეთნიკურ ჯგუფებს.

სწორედ ამ დროს იწყება ეროვნების ჩამოყალიბებაც – „პოლიტიკური საზოგადოების“ შექმნის ნიადაგზე, რის გამოც სახელმწიფოს ჩამოყალიბების პროცესი – ეროვნების შექმნის პროცესიცაა იმავდროულად. აქედან გამომდინარე, ჯორჯაძე დაასკვნდა, რომ „ქართულმა სახელმწიფომ შექმნა, ქართული ეროვნება და ეროვნული შემეცნებაც – ძლიერი იყო ქართული სახელმ-

⁶ ა. ჯორჯაძე. თხზულებანი არჩილ ჯორჯაძისა. წიგნი პირველი. ტფ. 1911, გვ. 44.

წიფოს ძლიერების ხანაში, ხოლო სუსტი – სახელმწიფოს დაცემის ხანაში“.

ადრეულ ხანაში ქართველობა „ტომობრივ ჯგუფად“ ცხოვრობდა და დამოუკიდებელ, თვითმმართველ სამეფოებში და სამთავროებში იყო გაფანტული. ეს ერთეულები განუწყვეტლივ ებრძოდნენ ერთმანეთს და ხან ისე ხდებოდა, რომ ერთი რომელიმე მოხერხებული მეფე თავის საბრძანებელს სხვა სამფლობელოს შემოუერთებდა ხოლმე. ასე მოხდა ბაგრატ III-ის სამეფო სკიპტრის ქვეშ ქართლის და აფხაზეთის, შემდეგ კახეთის გაერთიანებაც, როცა ბაგრატი გახდა „მეფეთა მეფე, მეფე აფხაზთა, ქართველთა, კახთა და რანთა“. ასე, რომ „ქართველი მეფე რბევითა და დაპყრობით ჰქმნიდა სახელმწიფოს და მასთან ერთად ეროვნებას. ძალა და დაპყრობა ჰქმნიდა ქართულ სახელმწიფოს. ამ სახელმწიფომ გააერთიანა განცალკევებულად მცხოვრები ქართველთა ტომნი – ქართული ეროვნება პირმშო შვილად ხდებოდა ქართულ სახელმწიფოებრიობისა“.⁷

შესაბამისად ხდებოდა დამორჩილებული მოდგმის ხალხის „ფსიქიკაში განსაზღვრული ცვლილება“. დამორჩილებულნი ან ძალის გამო, ან იმიტომ, რომ უფრო ხელსაყრელ ვითარებაში მოხვდნენ – ეგუებოდნენ და ეჩვეოდნენ ერთად ცხოვრებას. შესაბამისად, ღრთთა განმავლობაში, სარწმუნოებრივი და ეთნიკური ერთგვარობის ნიადაგზე, ხდებოდა ნათესაობის შეგნების ჩამოყალიბება და გაძლიერება. „და ეს ნათესაობის შეგნებაა, დასაწყისია ხოლმე ეროვნული თვითშეგნებისა“.

„სამშობლოსა და მამულიშვილობაში“ წამოჭრილ და დასაბუთებულ მთავარ დებულებას – სახელმწიფოს მიერ ერის წარმოქმნის, ორგანიზაციის შესახებ. ნოე ჟორდანიამ დაუპირისპირა მარქსისტული თეზისი – როგორც სახელმწიფო, ისე ერი, წარმოიქმნა ვაჭრობა-მრეწველობის განვითარების შედეგად. ცხადია, ჟორდანიას ისევე, როგორც სტალინი და სხვა ქართველი თუ არაქართველი მარქსისტები ეროვნების, კერძოდ, ქართველი ერის შექმნა-ჩამოყალიბებას, ბურჟუაზიული სისტემის განვითარების ეტაპს უკავშირებდნენ.

არჩილ ჯორჯაძე უკან არ იხევდა და საქართველოს ისტორიიდან მრავალი ფაქტის დამოწმებით ასაბუთებდა, რომ ვაჭრობას და ქალაქების განვითარებას საქართველოში, ადრეულ საუკუნეებში ფართო ხასიათი ჰქონდა. ამ მხრივ ქართველების წარსული – ცივილიზებული ხალხის ისტორია იყო. მრავალჯერ შეწყდა ეს ორგანული განვითარება მტრების შემოსევების გამო.

⁷ ა. ჯორჯაძე. სამშობლო და მამულიშვილობა (ეროვნული პრობლემა საქართველოში). თხზულებანი. წიგნი პირველი. ტფ. 1911, გვ. 27.

XVIII საუკუნეში „ისევ იწყება საქართველოს აღორძინება, და ეს აღორძინება თავდაპირველად პოლიტიკურ დამოუკიდებლობის მოპოვებით იწყება“, ვითარდება კულტურა და „ისევ ვითარდება მოქალაქეობრივობა“ – სამოქალაქო ცხოვრება და საზოგადოება.

აი, ამ დროს შეწყდა ქართველი ხალხის „ბუნებრივი ორგანიული განვითარება“ კიდევ ერთხელ.

ახლა, ასე წლის შემდეგ ქართველმა ხალხმა კვლავ მონიღომა ბუნებრივი განვითარება საკუთარ კულტურისა და მას წინ ეღობება „გარეშე პოლიტიკური ძალა და შინაურობაში აღზრდილი კოსმოპოლიტური მიმართულების „წიწილები“.⁸

მარქსისტები ფიქრობდნენ და ჟორდანია წერდა, რომ ქართველი ხალხი სულაც არ იყო რუსული სახელმწიფოებრიობის მოწინააღმდეგე. მისი მოწინააღმდეგე რეაქციული ფეოდალური ნაციონალიზმი იყო. ჯორჯაძე XIX საუკუნის ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით ასაბუთებდა, რომ „რუსეთის დამკვიდრების შემდეგ, საქართველოს დაქანებულის ნაბიჯით მიაქანებდნენ დენაციონალიზაციისაკენ. დენაციონალიზაცია გამოწვეული იყო უწინარეს ყოვლისა სახელმწიფოებრივ ორგანოების მოსპობით“. XIX საუკუნის პირველ ნახევარში ქართველი ხალხის ბრძოლა სოციალურ ხასიათსაც ატარებდა, მაგრამ უმთავრესაც მიმართული იყო უცხო ძალის წინააღმდეგ და საკუთარი სახელმწიფოებრიობის აღდენისათვის. ეს იყო დედაზრი ჯორჯაძის მტკიცებისა და თითქოს დღეს ტრივიალური ჭეშმარიტებაცაა, მაგრამ ამ შეხედულების დასაბუთება აუცილებელი იყო სოციალ-დემოკრატიული ინტერნაციონალისტური დემაგოგიის პირობებში. შემდგომში, ჟორდანიას შეხედულებები აიტაცა და იდეოლოგიის რანგში აიყვანა საბჭოურმა ისტორიოგრაფიამ, ისე, რომ ქართველი მენშევიკების ბელადის სახელი რა თქმა უნდა არ უხსენებია.

„კიდევ წარსული და მისი ანდერძი“ – ასე დაასათაურა ჯორჯაძემ ეს წერილი და მთავარი დევიზიც მასში მდგომარეობდა: ისტორიული წარსული ქართველ ხალხს უანდერძებდა – ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენას. სწორედ ამგვარ მიზანს ისახავდნენ სოციალისტ-ფედერალისტები, რომლებიც საქართველოს ავტონომიას მოითხოვდნენ, რაც ჯორჯაძის განმარტებით: „ქართული სახელმწიფოებრიობის შინაარსს“ წარმოადგენდა. „დღეს აუცილებლად გვესაჭიროება მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში მომხდარი შეცდომის და უსამართლობის გასწორება. დღეს უნდა აღვადგინოთ პრინციპი სა-

⁸ ა. ჯორჯაძე. წარსული და მისი ანდერძი. თხზულებანი. წიგნი პირველი. გვ. 106.

ხელმწიფოებრივობისა. ასე რომ ჩვენი წარსულიდან მარტოდენ ამ პრინციპს ვიღებთ და შინაარსს კი ვღებთ ჩვენი დროის მოთხოვნილებათა მიხედვით“.⁹

ყურადღება მივაქციოთ: რევოლუციამდელ პერიოდთან შედარებით, მთავარი აქცენტი ავტონომიისაკენ იყო მიქცეული და ეს ტერმინი ფიგურირებდა, როგორც ჯორჯაძის ნაწერებში, ისე ფედერალისტურ პრესაში, ამჯერად ჯორჯაძემ წინ წამოსწია – სახელმწიფოებრიობა, როგორც ტერმინი და პრინციპი. იმ გარემოებას ესმებოდა ხაზი, რომ ავტონომია, ფედერალისტების თვითმიზანი სულაც არ იყო. მათთვის, უპირველესად კი – ჯორჯაძისათვის, ავტონომია იყო ქართული სახელმწიფოებრიობის გარკვეული ფორმა, მისი ერთი ეტაპი, ხოლო უმთავრესი იყო – ეროვნული სახელმწიფოებრიობის პრინციპი, მისი აღდგენის ღოზუნგი, ქართველი ერის განვითარება-გადარჩენის გარანტიების შექმნა – სახელმწიფოს აღდგენის გზით.

ასე ნათლად, ლოგიკური თანმიმდევრობით, ქართულ პოლიტიკურ სინამდვილეში – ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენის აუცილებლობა და ღოზუნგი არავის დაუსაბუთებია. ა. ჯორჯაძემ თეორიულად შეასხა ხორცი ილია ჭავჭავაძის პოლიტიკურ იდეალს – „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუნოდესო“.¹⁰ მისი წერილები კონკრეტულ პრობლემებს ან მოვლენებს რომ ეხებოდა, მთლიანი პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბებას ემსახურებოდა და ნაბიჯ-ნაბიჯ აგებდა ამ სისტემას. ჯორჯაძემ შემდგომ წერილებში განაგრძო მის მიერ ჩაფიქრებული სისტემის შემდგომი თეზისების დამუშავება.

როგორც აღვნიშნეთ, არჩილ ჯორჯაძის პოლიტიკური თეორიის შემუშავება ქართველი სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის მთავარ იდეოლოგთან პოლემიკური ბრძოლის აკომპანიმენტში მიმდინარეობდა. დაასრულა თუ არა ჯორჯაძემ ზემოაღნიშნული წერილების სერია, ნოე ჟორდანიამ ახალი წერილების სერია გამოაქვეყნა. ეს წერილები თითქოს ახალ თემას ეძღვნებოდა, როგორც სათაურიდან ჩანს: „პარტიული ბრძოლა ჩვენში“ – ე. ი. საქართველოში უკანასკნელ „ათ-თხუთმეტ წლის“ განმავლობაში წარმოქმნილ პარტიებს, პოლიტიკურ მიმდინარეობებს, მათს კლასობრივ ბუნებას და ურთიერთბრძოლას. ჟორდანიას წერილები გაზეთებში: „დასაწყისი“ და „მერცხალი“ გამოქვეყნდა.

1908 წელს „ეკალიში“ გამოქვეყნდა ნოე ჟორდანიას „სადავო კითხვები“.¹⁰ არჩილ ჯორჯაძემ გადაწყვიტა პარტიების ურთიერთობას აღარ შეხებოდა და გამოეყო ჟორდანიასთან პოლემიკის ზოგიერთ ძირეულ საკითხზე.

⁹ ა. ჯორჯაძე. წარსული და მისი ანდერძი. თხზულებანი. წიგნი პირველი, გვ. 107.

¹⁰ გაზ. „ეკალი“. 1908 წელი. №№1, 2, 3, 4, 9, 10.

წერილების სერიალში: „კამათის დასასრული“, ჯორჯაძე კიდევ ერთხელ შეეხო და ახალი არგუმენტები მოიხმო ადრე მღებული მტკიცებულებების შესამაგრებლად. მისი აზრით, ქართველი ეროვნების ჩამოყალიბება მოხდა ქართული სახელმწიფოს შექმნასთან ერთად და ორივე ეს ისტორიული პროცესი მიმდინარეობდა ძველი საუკუნეების მანძილზე.

ამ საკითხზე კამათის გაგრძელებას ჯორჯაძე ზედმეტად მიიჩნევდა, რადგან ორივე მხარემ გამოთქვა თავისი მოსაზრებები და ღვაკი უსარულო არ შეიძლება იყოს. ფედერალისტების იდეოლოგს უფრო მნიშვნელოვნად მიაჩნდა სადღეისო პრობლემები გაერჩია: როგორ და რა პირობებში უნდა მოწყობილიყო ქართველი ხალხის ცხოვრება და ეროვნული კულტურის განვითარება უახლეს მომავალში – ამ საკითხზე სოციალ-დემოკრატებს და სოციალისტ-ფედერალისტებს საპირისპირო მოსაზრებები ჰქონდათ. სოციალ-დემოკრატებს მიაჩნდათ, რომ ეროვნული ცხოვრება უნდა გაგრძელებულიყო „რუსეთის მთლიან და ცენტრალისტურად აგებულ სახელმწიფოში“. ფედერალისტები რადიკალურად უარყოფდნენ ამ თვალსაზრისს. ჩვენ „მოწადინებულნი ვართ მოკლე ხანში წარუდგინოთ მკითხველს გეგმა საქართველოს ავტონომიისა კონკრეტულ პირობების მიხედვით შემუშავებული“ – პირდებოდა ჯორჯაძე გაზეთ „დროების“ მკითხველს.

სოციალ-დემოკრატთა რეაქციის ხანაშიც განაგრძო ავტონომიის მომხრეთა წინააღმდეგ „მედვარი“ ბრძოლა. ავტონომისტურ ბანაკში მთავარ ძალას სოციალისტ-ფედერალისტები წარმოადგენდნენ და სოციალ-დემოკრატიული კრიტიკის ქარცეცხლიც მათ წინააღმდეგ იყო მიმართული. საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ურთიერთქმედებაში, განუწყვეტელი პოლემიკა, შეურიგებლობა და კინკლაობა მეფობდა.

ჟორდანიას და სოციალ-დემოკრატთა საერთო აღიარებით, გაბატონებული კლასების მომხრე სხვადასხვა ჯგუფები ერთი, ეროვნული ავტონომიის, დროშის ქვეშ იყვნენ გაერთიანებულნი: „ყველა ესენი დგანან გაბატონებულ კლასის ნიადაგზე – ზოგი აზნაურობის, ზოგი ბურჟუაზიის, ზოგი სასულიერო წოდების, ზოგი ინტელიგენციის – ეს სხვადასხვა კლასის და მიმართულების ადამიანთა თავყრილობაა. ეს ერთი რაზმია, ერთი საქართველო“, მეორე ბანაკი სოციალ-დემოკრატთა მიჰყვება. აი ამ „ორ საქართველოს“ შორის ჟორდანიას ლოგიკით, „სამჯერ იყო დიდი ბრძოლა ამ ათ წელიწადში“. პირველად – „ივერიელთა“ წინააღმდეგ გამოვიდნენ მესამე დასელები; მეორედ – „ცნობის ფურცლელ“ – „საქართველოელებს“ შეებრძოლნენ, მესამედ კი –

სოციალისტ-ფედერალისტებს. „და აი დღეს ეს ბრძოლა იწყება მეოთხეჯერ; – აფრთხილებდა თანამებრძოლებს ჟორდანია, – მარა რადგანაც დღეს პოლიტიკური და საზოგადოებრივი ურთიერთობა ჩვენ ხელს არ გვიწყობს, ამიტომ ყველა წინანდელ ბრძოლაზე უფრო საშიშარი ეს დღევანდელი ბრძოლაა.“¹¹

მესამე დასელთა ლიდერის სიტყვებიდან საქმე ისე მოჩანდა, თითქოს სოციალ-დემოკრატიას ყველა გარეშე მტერი – რუსეთის თვითმპყრობელობა, ბურჟუაზია და მისთანანი დაემარცხებინოს და ქართველ პროლეტარიატს ერთადერთი მტერიღა რჩებოდა გასანადგურებელი – საქართველოს ავტონომიის მომხრეთა ბანაკი, სადაც მუშათა კლასის ყველა მტერი გაერთიანებულიყო. ქვეყნის ეროვნული მდგომარეობა სრულიად უგულვებელყოფილი ჩანდა და საზოგადოებრივი სინამდვილე კლასთა ბრძოლის პრინციპით განიხილებოდა.

რით იყო გამოწვეული სოციალ-დემოკრატთა ამგვარი შეუწყნარებლობა, მეორე სოციალისტური პარტიის, ან ეროვნული მოძრაობის მიმართ? არჩილ ჯორჯაძე ცდილობდა ჩაწვდომოდა და აეხსნა ქართველ სოციალ-დემოკრატთა უკომპრომისობის მიზეზი. ეს მიზეზი განმათავისუფლებელ და რევოლუციურ მოძრაობაში პირველობა-ჰეგემონობისკენ მისწრაფება გახლდათ, „სიყვარული ბატონობისა“.¹² სოციალ-დემოკრატების მისწრაფება დიქტატურისაკენ წამლავდა საზოგადოებრივ ატმოსფეროს საქართველოში და კვლავინდებურად ორ ბანაკად ყოფდა რევოლუციურად განწყობილ ძალებს, რაც გარეშე მტერ აძლევდა ხელს.

1909 წელს გაზეთ „დროების“ რამდენიმე ნომერში გამოქვეყნდა არჩილ ჯორჯაძის წერილების მორიგი სერია: „შეთანხმების იმედი“. უკვე სერიის სათაური იქცევადა ყურადღებას. წერილების მიზანი ავტონომიის პრობლემის ადგილის გარკვევა და მისი პერსპექტივის განხილვა გახლდათ. ავტონომიის საკითხი იმდენად ყოველდღიური იყო ქართული პრესისათვის, რომ წერილებში ახალი თითქოს არაფერი უნდა ყოფილიყო. მაგრამ ჯორჯაძემ მოახერხა საკითხის ახლებურად დასმა და წერილის დასაწყისშივე აღნიშნა: აქამდე ავტონომიის პრობლემა კამათის და განხეთქილების საგანს წარმოადგენდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, მისი მნიშვნელობა, რაც დრო გადის, მით უფრო მატულობს. მეტიც „...მოხდება შეთანხმება პარტიათა შორის (ამის დიდი იმედი გვაქვს) და შემუშავდება რეალურ პრობლემების მიხედვით პრაქტიკული გეგმა საქართველოს ავტონომიისა“,¹³ – აღნიშნავს ქართველი სოციალისტ-ფედე-

¹¹ ა. ჯორჯაძე. ისტორიის სამართალი?! თხზულებანი. წიგნი პირველი. გვ. 165.

¹² ა. ჯორჯაძე. ისტორიის სამართალი?! თხზულებანი. წიგნი პირველი. გვ. 166.

¹³ ა. ჯორჯაძე. შეთანხმების იმედი (1903 წლიდან 1909 წლამდე). წიგნი პირველი, გვ. 195.

რალისტების იდეოლოგი. რაზე იყო დამყარებული პუბლიცისტის იმედი – უბრალო რწმენაზე თუ მაშინდელი ვითარების რეალურ შეფასებაზე?

არჩილ ჯორჯაძეს მხედველობაში ჰქონდა ქართველი სოციალ-დემოკრატიის ცალკეულ წარმომადგენელთა შეხედულებების ევოლუცია ეროვნული საკითხის და კერძოდ, ავტონომიის შესახებ. პირველ რიგში ეს ითქმოდა თვით ნოე ჟორდანიას შესახებ, რომელმაც თანდათანობით დაიწყო შეხედულებათა გადასინჯვა ეროვნულ საკითხში. ადრე იგი საქართველოს ავტონომიის წინააღმდეგი იყო. იგი, 1908 წელსაც წინააღმდეგი იყო საქართველოს ავტონომიისა, მაგრამ აღნიშნავდა, რომ „საქართველოს ნაციონალური ავტონომია“ ნიშნავს „ქართულ ნაციონალიზმის დიდებულ გამარჯვებას და ამიერკავკასიის ერთა შორის ნაციონალურ ბრძოლის დაკანონებას“, აგრეთვე ქართველი ერის გაბატონებას სხვა ერებზე. ჟორდანია საქართველოს ავტონომიას უპირისპირებდა „ამიერკავკასიის საერთო თვითმმართველობას, რომლის ორგანო იქნებოდა სეიმი. სეიმს ექნებოდა უფლება ადგილობრივ კულტურულ და ტერიტორიალური საჭიროებათა დასაკმაყოფილებელი კანონების გამოცემისა, რომლებიც არ ეწინააღმდეგებოდა რუსეთის კანონმდებლობას“.

ჯორჯაძემ ჟორდანიას იდეაში, ამიერკავკასიის თვითმმართველობის შესახებ „ავტონომიის აჩრდილი“ შენიშნა. „ეს არის, ჩვენის აზრით, გაუბედავი ნაბიჯი პოლიტიკურ დეცენტრალიზაციისკენ გადადგმული. ესეც კარგია. ესეც დიდმნიშვნელოვანი საქმეა“.¹⁴

უფრო შორს წავიდა ამ მხრივ 1908 წლის 11 მაისს გამოსული სოციალ-დემოკრატიული ორგანო „ალიონი“, რომლის სახითაც ავტონომისტთა სოციალ-დემოკრატები აშკარად დაუპირისპირდნენ თავიანთ ცენტრალისტ თანამომხედებს. „ალიონში“ მთავარი მოქმედი პირი ვლადიმერ დარჩიაშვილი იყო, რომელმაც აშკარად აღიარა საქართველოს ავტონომია. ამას მოჰყვა აკაკი ჩხენკელის წერილები. ერთი სიტყვით, ქართველ სოციალ-დემოკრატიაში ეროვნული პრობლემის „დიდი რყევა და გამოურკვევლობა“ შეინიშნებოდა. ჩხენკელი ამიერკავკასიის საოლქო თვითმმართველობის წინააღმდეგ გამოვიდა და საქართველოს კულტურული ავტონომიის საჭიროება აღიარა. ჯორჯაძის აზრით, „ქართველი სოციალ-დემოკრატია დაიდრა ძველ პოზიციიდან ეროვნულ საკითხის გადაწყვეტაში“. მისი თვალსაჩინო წარმომადგენლები სხვადასხვა პოზიციებზე იდგნენ და ერთმანეთთან კამათსაც არ ერიდებოდნენ: ჟორდანია – საოლქო თვითმმართველობის მომხრეობას იჩენდა და კულტურული

¹⁴ ა. ჯორჯაძე. შეთანხმების იმედი (1903 წლიდან 1909 წლამდე). წიგნი პირველი, გვ. 246.

ავტონომიისაკენ იხრებოდა; ა. ჩხენკელი პირიქით, „ოლქებრივ თვითმართველობას ისეთის შიშით და ზიზღით უყურებს, როგორც ფაუსტი ეშმაკს“ და კულტურულ ავტონომიას აღიარებს; ვ. დარჩიაშვილი კავკასიის და საქართველოს ავტონომიას მიიჩნევს საჭიროდ, თუმცა ფედერალიზმზე სიტყვას არ ამბობს, – წერდა ჯორჯაძე.

ამ რყევას, გაურკვეველობას და ეროვნულ საკითხზე დაწყებულ მსჯელობას არჩილ ჯორჯაძე მიიჩნევდა იმის საფუძვლად, რომ ევოლუცია მომავალში უნდა დამთავრებულიყო საქართველოს ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიის აღიარებით სოციალ-დემოკრატიის ყველა ფრაქციის მიერ, რასაც უნდა მოჰყოლოდა „ავტონომიის ნიადაგზე მათი შეთანხმება ს.-ფედერალისტებთან“. „ეს იქნება დიდი ეროვნული საქმე, რომლის მზადებასა და მოლოდინში უნდა ვიყვნეთ დღეიდან“,¹⁵ – დაასკვნია იმედიანად ა. ჯორჯაძე 1909 წელს „დროებაში“.

საქმე, რა თქმა უნდა, მარტო ორი პარტიის ურთიერთშეთანხმებაში არ მდგომარეობდა. ჯორჯაძეს სხვა აწუხებდა. რევოლუციის ხანაში ქართველი საზოგადოება არამარტო სოციალურად იყო გაყოფილ-დაპირისპირებული, არამედ ეროვნულადაც და ერთ მთლიანს არ შეადგენდა. „ერს ეროვნული თავისუფლება არა სწყუროდა“. რევოლუციის დამარცხების შემდეგ სურათი შეიცვალა, თითქოს გაჩნდა ნიშნები „ქართველი საზოგადოების გამომთელებისა და მის ნაწილების შედუღების ჟამის მოახლოების შესახებ“, როცა ავტონომიის – ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენის იდეის სახით ქართველ ხალხს გაუჩნდებოდა საერთო პოლიტიკური იდეალი.

ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენის დროშის ქვეშ, ქვეყნის პოლიტიკური ძალების გაერთიანების პრობლემისადმი მიძღვნილ წერილებში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო 1910 წელს ა. ჯორჯაძის მიერ გამოქვეყნებული ორი წერილი: „დემოკრატიის გაერთიანება“ და „გაერთიანება მაინც შესაძლებელია“.

ერის დაუძლურება და კვლემა არ გამოიწვევა „ბიოლოგიური კანონების ძალით“. ერის კვლეომის მიზეზია, – წერდა ა. ჯორჯაძე, – „ერისავე სოციალ-პოლიტიკური ორგანიზაციის უვარგისობა“. ეროვნული ძალების ორგანიზაცია, წერილის ავტორის აზრით, იყო ერის არსებობისა და განვითარების გარანტია.

უკვე ათი წელი იყო გასული მას შემდეგ, რაც ა. ჯორჯაძემ „ცნობის ფურცელში“ ეროვნული კონსოლიდაციის კონცეფცია – „საერთო მოქმედების ნიადაგის“ თეორია იქადაგა. მას შემდეგ ფედერალისტთა პარტია და მისი

¹⁵ ა. ჯორჯაძე. შეთანხმების იმედი (1903 წლიდან 1909 წლამდე). წიგნი პირველი, გვ. 270.

იდეოლოგი თანამოაზრეებთან ერთად, სხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ძალებს, მუდამ, მოუწოდებდნენ ეროვნული თანხმობა-გაერთიანებისაკენ.

ამის პარალელურად პუბლიცისტი პირველ რიგში მოწინააღმდეგე ძალთა შეთანხმების პრაქტიკული შესაძლებლობების კვლევა-ძიებას აწარმოებდა. ადრე ფედერალისტებს და მარქსისტებს შორის არსებულ საკამათო საგნებს ახლა პრაქტიკული სახე მიეცა. ადრე დაობდნენ სოციალიზმის პრინციპების, მიწის სოციალიზაციის, კაპიტალის კონცენტრაციის, ეროვნული საკითხის, სხვა ავტონომიის და სხვა პრობლემებზე, რომელთა განხორციელებაც წინა თუ რევოლუციის ხანაში ახლო განსახორციელებელ ამოცანად გვესახებოდა, „საქართველო, – წერდა ჯორჯაძე, – სოციოლოგიური და სოციალისტური პრობლემების გასარკვევი ლაბორატორია გვეგონა“. „რევოლუციის ხანაში თვალეზზე რაღაც ბინდი გვეფარა და კოლექტივისტურ-კომუნისტური წყობილება სულ რამდენიმე ნაბიჯის მანძილზე გვეგულებოდა“. ჯორჯაძე გულახდილად აღიარებდა, რევოლუციური ენთუზიაზმით გატაცებულნი ვიყავით და ზოგ მოვლენებს რეალურად ვერ ვაფასებდითო.

ღრონი იცვალნენ. ცხოვრებამ პარტიებისა და ჯგუფების წინაშე პრაქტიკული, კონკრეტული, ყოველდღიური პრობლემები დააყენა. პირველ რიგში კი, ა. ჯორჯაძის აზრით, ეს იყო რუსეთის ხელისუფლების მიერ წარმოებული გაძლიერებული კოლონიზაცია. ეს პროცესი ქართველ ხალხს ეკონომიკური და ეროვნული შთანთქმით ემუქრებოდა. ეკონომიკურად იმიტომ რომ, – განმარტავდა ჯორჯაძე, სოფლიდან გამოქცეულ გლეხს, მრეწველობის განუვითარებლობის გამო აღარც ქალაქში დაედგომებოდა, „თავშესაფარი ადგილის“ გარეშე რჩებოდა; ეროვნულად კი იმიტომ რომ „მიწიდან აყრილი ხალხის გათქვეფა მრავლად დასახლებულ რუსთა კოლონიებში, ადვილი საქმე გახდებაო“ – დაასკვნიდა ა. ჯორჯაძე.

რევოლუციის დამარცხების შემდეგ, ამგვარი ფაქტების „არ დანახვა შეუძლებელი“ განდა. ამიტომ საკითხი ასე დადგა: „რას ვაკეთებთ ამის წინააღმდეგ? რა ღონე იღონა ქართულმა დემოკრატიამ უბედურების თავიდან ასაცილებლად?“¹⁶

და აქ ა. ჯორჯაძე, კვლავ უკვე მერამდენედ სვამდა ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ძალების გაერთიანების საკითხს. ამ შემთხვევაში ჯორჯაძემ გამოყო მხოლოდ დემოკრატიული პოლიტიკური ჯგუფების გაერთიანების შესაძლებლობა. ეს ნიშნავდა ქართულ თუ არაქართულ – არადე-

¹⁶ ა. ჯორჯაძე. დემოკრატიის გაერთიანება. თხზულებანი. წიგნი მეორე, გვ. 249.

მოკრავთიულ ძალებთან გაერთიანების გამორიცხვას. ეს ძველი გამაერთიანებელი ლოზუნგის ახლებური მოდიფიკაცია იყო, რომელიც გამოიხატა ზემოაღნიშნული სტატიის სათაურში: „დემოკრატიის გაერთიანება“.

ჯორჯაძემ არამარტო თეორიულად გამორიცხა არადემოკრატიულ ძალებთან გაერთიანება, არამედ დაასახელა კიდევ ასეთი ძალები. ეს იყო უპირველეს ყოვლისა, ქართველი თავადაზნაურული ინტელიგენციის ის ნაწილი, რომელიც საქართველოში არსებულ-გამომავალ რუსულ პრესაში თანამშრომლობდა ან მხარს უჭერდა მას. „ამ პრესის ხელმძღვანელებმა ინტელიგენტებმა, – წერდა ა. ჯორჯაძე, – შეჰქმნეს ჩვენში რუსულ-ქართული ყაღბი და გულწრფელობას მოკლებული ოფიციალურ პატრიოტიზმის ბანაკები და წრეები“. ამ „ოფიციალური“ ე. ი. „რუსულ-სახელმწიფოებრივი“ აზროვნების, პრესის, ძალების წინააღმდეგ ბრძოლისაკენ მოუწოდებდა ჯორჯაძე.

აქვე უნდა გავიხსენოთ ჯორჯაძის ნარკვევი „როგორ მოხდა?“, რომელშიც ავტორმა დაასაბუთა, რომ XIX საუკუნის დასაწყისიდან, ქართველი ინტელიგენციის წიაღში ერთმანეთს დაუპირისპირდა ორი პოლიტიკურ-ფსიქოლოგიური მომენტი: „ეროვნულ-ქართული“ და „რუსულ-სახელმწიფოებრივი“. ეს პრობლემა ახლაც, XX საუკუნის დასაწყისში, ისეთივე აქტუალური იყო, როგორც XIX საუკუნეში. მეტიც, ქართული პოლიტიკურ-საზოგადოებრივი ელიტის ცხოვრებაში ორი ზემოაღნიშნული მომენტი კიდევ უფრო დრამატულად დაუპირისპირდა ერთმანეთს, კიდევ უფრო მეტ უარყოფით გავლენას ახდენდა „რუსულ-სახელმწიფოებრივი“ განწყობილებების გაძლიერება საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაზე, რევოლუციის დამარცხების შემდგომ პერიოდში.

აღრე, ფსიქოლოგიური გაორების, „რუსულ-სახელმწიფოებრივის“ ერთგულებისა და ამასთან, „ადგილობრივ-ქართულის“ თავგანწირული მსახურების შერწყმის გამოხატულება იყო ოცდათორმეტიანელების, დიმიტრი ყიფიანის, გაბრიელ ეპისკოპოსის მოღვაწეობა. შეიძლება არ დავეთანხმოთ, მაგრამ იგივე ყაღბში სვამდა ა. ჯორჯაძე ნიკო ნიკოლაძისა და ილია ჭავჭავაძის დიდ მამულიშვილურ მოღვაწეობას, რომელსაც ახასიათებდა „რუსულ-სახელმწიფოებრივი“ პრინციპებისადმი ლოიალობა. ილია, მართალია საქართველოს ავტონომიის მომხრე იყო, მაგრამ „ამ ავტონომიის დამკვიდრებას ტახტისაგან მოელოდებოდა“, აღნიშნავდა ჯორჯაძე.

მამულიშვილებისაგან განსხვავებით, „რუსულ-სახელმწიფოებრივი“ პრინციპის გაფეტიშებამ ეროვნულ ნიჰილიზმამდე მიიყვანა ქართველი ნაროდნიკები, რომლებიც „სახელით იყვნენ ქართველები, ნამდვილად კი ქართველ ხალ-

ხისათვის მათ არაფერი არ გაუკეთებიათ“. მათ რუსეთის რევოლუციას შესწირეს სიცოცხლე და ენერგია. იგივე გზას აგრძელებდნენ ქართველი სოციალ-დემოკრატები, რომლებიც, მართალია ხალხს უფრო დაუახლოვდნენ, მაგრამ „მათაც არავითარი საკუთარი ეროვნული პროგრამა არა ჰქონდათ. მათი სამოქმედო პროგრამა იყო რუსული პარტიების სამოქმედო პროგრამა“.

და ბოლოს, არცთუ უმართებულად დაასკვნინდა სოციალისტ-ფედერალისტთა იდეოლოგი: „ქართული ინტელიგენცია რუსეთისადმი ლოიალიზმით არის გამსჭვალული. ინტელიგენციის ერთი ნაწილის ლოიალიზმი რუსეთის ტახტისადმი არის მიმართული, ხოლო ინტელიგენციის მცირე ნაწილის ლოიალიზმი რუსეთის ხალხისადმი. ორთავესათვის არ არსებობს დამოუკიდებელი პოლიტიკური პროგრამა, შემუშავებული, ადგილობრივ საჭიროებათა მიხედვით“.¹⁷ ოღონდ აქ უნდა განვმარტოთ: როდესაც ინტელიგენციის პირველ ნაწილზე საუბრობდა, ა. ჯორჯაძეს ნ. ნიკოლაძე, დ. ყიფიანი, ი. ჭავჭავაძე და სხვა მამულიშვილნი კი აღარ ჰყავდა მხედველობაში, არამედ XX ს-ის დასაწყისში მოღვაწე ქართველთა ის ჯგუფი, რომელშიც „რუსულ-სახელმწიფოებრივმა“ პრინციპმა სრულიად დათრგუნა „ეროვნულ-ქართული“. ეს იყო მსხვილი ქართველი თავადაზნაურობის ის ნაწილი, რომელსაც ადგილობრივ ადმინისტრაციაში მაღალი თანამდებობები ეკავა და აგრეთვე ნახევრად გარუსებული ქართველი ინტელიგენტები, რომლებიც თბილისში რუსულ გაზეთებს: „ნოვაია რეჩა“, „ზაკავკაზსკოე ობოზრენიეს“ და „ზაკავკაზიეს“ გამოსცემდნენ, ადგილობრივ რუსებთან ერთად. ამ გაზეთებისადმი განსაკუთრებულად უარყოფითად იყო განწყობილი ა. ჯორჯაძე, უწოდებდა მათ „დენაციონალიზაციის სისტემაში გამოჩეკილ ბარტყებს“, რომელნიც რუსული ლოიალიზმის მანებელი სენის გარდა არაფერს არ ავრცელებდნენ საზოგადოებაში.

რუსეთისადმი ლოიალურად განწყობილი ინტელიგენციას, რომელიც რუსული გაზეთების გარშემო იყრის თავს, ან მათი საშუალებით გამოხატავდა თვალსაზრისს არჩილ ჯორჯაძე ორ ჯგუფად ყოფდა: ერთნი არიან თავადაზნაურული კონსერვატორები, მეორენი კი ლიბერალები. ორივეს წინააღმდეგ „მედგარი ბრძოლაა საჭირო“, დაასკვნინდა ქართული სოციალიზმ-ფედერალიზმის შემოქმედი, რადგან, არცერთ მათგანს არავითარი კავშირი არ ჰქონდა ქართველ ხალხთან და მის საჭიროებებთან.

სამაგიეროდ, თვლის, რომ საქართველოს დემოკრატიული ძალების განვითარებაზე საუბარიც ზედმეტი იყო, მიუხედავად იმისა, რომ სოციალ-დე-

¹⁷ ა. ჯორჯაძე. ავადმყოფი საზოგადოება. თხზულებანი. წიგნი მეორე, გვ. 224.

მოკრატებთან შეთანხმების გარეშე. მაგრამ ეს უკანასკნელნი კვლავინდებურად „შფოთსა და ძალთა დაქსაქსვას“ სთესდნენ საზოგადოებაში. ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, არჩილ ჯორჯაძეს მაინც აუცილებლად მიაჩნდა ქართველ სოციალ-დემოკრატებთან საერთო ენის გამონახვა.

მეორე პოლიტიკურ მიმდინარეობას, რომელთანაც გაერთიანებას აუცილებლად მიიჩნევს, „ნაციონალ-დემოკრატიული ელემენტები“ წარმოადგენდნენ.

ჯორჯაძე ქართულ დემოკრატიულ ძალებს, პირველ ყოვლისა კი სოციალ-დემოკრატებს, მოუწოდებდა, რომ რევოლუციის შემდეგ დადგა დრო, როცა ყველა მათგანს უნდა ეხელმძღვანელა „ქვეყნის ინტერესით“ და გადაეხინჯა ძველი შეხედულებები, „ბეცი სოციალისტები გამოვლექით, – წერდა სოციალისტ-ფედერალისტების ლიდერი, – თუ აშკარად ვამბობთ, რომ საჭიროა გადასინჯვა ჩვენის მსოფლ-მხედველობისა თანახმად აწინდელ ისტორიულ პირობებისა, ნუ ჯავრობთ, რომ თქვენც გიწვევთ (ე.ი. სოციალ-დემოკრატებს – დ.შ.) და თქვენც გავალებთ შეცდომების გასწორებას, რადგან ამას მოითხოვს ჩვენი ქვეყნის ინტერესი, მშრომელი ხალხის და ეროვნული კულტურის მომავალი... აზრის სხვა და სხვაობა კარგი საქმეა, მაგრამ ზოგიერთ ისტორიულ მომენტში და ერის ზოგიერთ პირობებში საჭიროა ყველა პროგრესულ ელემენტების ძალთა კონცენტრაცია, საჭიროა ერთი აზრის შემუშავება, ერთი გრძნობის, მისწრაფების შექმნა ერის ყოფნა არ ყოფნის წამოყენების დროს. და დღეს – დაასკვნიდა ჯორჯაძე – ამგვარი საკითხი არსებობს ჩვენთვის და უნდა არსებობდეს თქვენთვისაც, რადგან ერთი ხალხის შვილნი ვართ და ერთი ბედი მოგველის როგორც ჩვენ, ისე თქვენ“.¹⁸

გაერთიანების შესაძლებლობა რეალურად მოჩანდა რევოლუციის დამარცხების შემდგომ პერიოდში. ა. ჯორჯაძე, როცა ამგვარ აზრს გამოთქვამდა, იმედს იმ გარემოებაზე ამყარებდა, რომ ამ გაზვიადების, სოციალისტ-ფედერალისტებსა და ქართველ სოციალ-დემოკრატებს შორის გადაუჭრელი, პრინციპული წინააღმდეგობები ეროვნული ინტერესების დაცვის სფეროში არ არსებობდა. წინააღმდეგობანი მეორეხარისხოვანი ხასიათის იყო, რასაც მარქსისტები აზვიადებდნენ. ამ გაზვიადების მიზეზი უფრო ის იყო, რომ ისინი ყველას ებრძოდნენ, ვინც მათ ბანაკს არ ეკუთვნოდა.

ა. ჯორჯაძე დაჟინებით ეძებდა ქართული დემოკრატიული ძალების შეკავშირება-გაერთიანების თეორიულ და პრაქტიკულ გზებს. მან ზემოაღნიშნულ სტატიაში დაასაბუთა თეზისი, რომელიც საფუძვლად უნდა დადებოდა

¹⁸ ა. ჯორჯაძე. დემოკრატიის გაერთიანება. თხზულებანი. წიგნი მეორე, გვ. 261.

დემოკრატიის გაერთიანებას: ქვეყნის დემოკრატიულ ჯგუფებსა და პარტიებს შორის წინააღმდეგობა არ არსებობდა.

შემდეგ წერილშიც იგივე თეზისს ავითარებს რომ „ქართველ დემოკრატებს დღეს გასაყოფი და საჩხუბარი არა აქვს რა“.¹⁹ კვლავ შეთანხმება, კვლავ ერთმანეთში მორიგება, კვლავ გამაერთიანებელი გზების ძიება, კვლავ კომპრომისების ძებნა – დაჟინებით, ნაბიჯ-ნაბიჯ, დარწმუნებით, დასაბუთებით, მტკიცებით, დიალოგის გზით და არა მხოლოდ პოლემიკით, კრიტიკით, ათვალწუნებით, ცილის დაწამებით, რასაც ხშირად ჰქონდა ადგილი ქართულ პუბლიცისტიკაში – ასეთი იყო ა. ჯორჯაძის თეორიული ძიებების შედეგები.

მანვე, მიუხედავად სოციალ-დემოკრატისთან ათწლიანი პოლემიკისა და მის პუბლიცისტურ წერილებში გაჟღერებული პესიმისტური ნოტებისა, მაინც მტკიცე რწმენა გამოთქვა, რომ ქვეყნის დემოკრატიული ძალები ადრე თუ გვიან გაერთიანდებოდნენ და ამ დიდმნიშვნელოვან პროცესში ქართველ სოციალ-დემოკრატებს ეკისრებოდათ ისტორიული პასუხისმგებლობა.

სოციალ-დემოკრატებთან შეთანხმება ა. ჯორჯაძეს აუცილებლად ესახებოდა, მაგრამ იყვნენ ცალკეული ქართველი მარქსისტ-პუბლიცისტები, რომლებთან არამც თუ შეთანხმება, ნორმალური სჯა-ბაასიც შეუძლებელი იყო. ერთ-ერთი მათგანი გახლდათ სოციალ-დემოკრატი გრიგოლ ურატაძე – „გალიორკა“, რომელმაც „ახალ სხივში“ და „ჩვენ გაზეთში“ ტენდენციურად და ცილისმწამებლური წერილების სერიით გააკრიტიკა ჯორჯაძის ზემოთგანხილული ნარკვევი „დემოკრატიის გაერთიანება“. სწორედ „გალიორკას“ ტენდენციურობის მხილებას მიუძღვნა ა. ჯორჯაძემ თავისი ერთ-ერთი უკანასკნელი პოლიტიკურ-პუბლიცისტური ნარკვევი, რომლის სათაურიც თავისთავად მიანიშნებდა ა. ჯორჯაძის მიერ ეროვნული კონსოლიდაციისადმი მიძღვნილი თეორიული ნაწერებისა და ნააზრევის საბოლოო დასკვნა-თეზისს – „გაერთიანება მაინც შესაძლებელია“.

სოციალისტ-ფედერალისტების იდეოლოგი იმდენ ყურადღებას „გალიორკა“-ურატაძესთან პოლემიკას, კი არ აქცევს, რამდენსაც დემოკრატიული ძალების გაერთიანების აუცილებლობის დასაბუთებას. მან კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი და პოლიტიკური ფორმულის სახით ჩამოაყალიბა რევოლუციის შემდგომი საქართველოს ეროვნული და სოციალური პოლიტიკური ჯგუფების წინაშე მდგარი უმთავრესი პრობლემა: „ყველა დემოკრატიული ელემენტების

¹⁹ ა. ჯორჯაძე. გაერთიანება მაინც შესაძლებელია. თხზულებანი. წიგნი მეორე, გვ. 268.

გაერთიანება დემოკრატიული პრინციპების ნიადაგზე შეადგენს ჩვენი დროის მთავარ მოთხოვნილებას“.

სოციალ-დემოკრატები ამბობდნენ, რომ დემოკრატიის პრინციპია: ყველაფერი ხალხისათვის და ხალხისავე საშუალებით. ჯორჯაძე ეთანხმებოდა ამ თეზისს და განმარტავდა, რომ ყველაფერი ხალხისათვის ნიშნავდა ხალხის არამართო სოციალურ და კულტურულ, არამედ ეროვნულ თავისუფლებასაც. „გალიორკა“-ურატაძე ჯორჯაძის პოზიციას განმარტავდა, როგორც „ნაციონალისტურს“ და არა სოციალურს. აქ ორი ტყუილია, წერდა ჯორჯაძე: „ჩვენი პოლიტიკა ყოველთვის იყო და დღესაც სოციალურია და მასთან ნაციონალური და არა ნაციონალისტურია“. მანვე, სოციალისტ-ფედერალისტების უმთავრესი სოციალურ-ეროვნული პლატფორმა შემდეგი ფორმულით გამოხატა: „მიწა საქართველოს მშრომელ ხალხს, ტერიტორია ქართველ ეროვნებას“.

ქვემოთ ჯორჯაძე ფორმულის განმარტებას იძლეოდა მკითხველისათვის: აქ ორი მომენტია – სოციალური და ნაციონალური. მიწა მშრომელს – ერთი ელემენტია და ნიშნავს, რომ მიწა საქართველოში მცხოვრებ ყველა ეროვნების მშრომელებს უნდა ეკუთვნოდეთ. მეორეა „ნაციონალური“ ელემენტი: „ეროვნება უტერიტორიოდ შეუძლებელია, – დაჟინებით უმტკიცებდა ოპონენტებსაც და თანამოაზრეებსაც ა. ჯორჯაძე, – ქართველ ეროვნებას უნდა ჰქონდეს თავისი ხელუხლებელი ტერიტორია“, ცოტა უფრო ქვემოთ ოპონენტებისაგან გაღიზიანებული პუბლიცისტი, რომელსაც ეროვნული ტერიტორიის დაცვის პოზიციას ნაციონალისტობა-შოვინისტობაში უთვლიდნენ, კატეგორიულად დაასკვნიდა: ტერიტორიის საკითხში „ერთ მტკაველსაც არ დაუვთმობთ მტერსა თუ მოყვარეს“.

დასასრულს, ოთხი პუნქტის სახით შეიძლება წარმოვიდგინოთ არჩილ ჯორჯაძის ეროვნულ-პოლიტიკური ნააზრევი:

1. ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიის ფორმით ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენა;
2. მიწების გადაცემა საქართველოს მშრომელების, ქართველი გლეხობის ხელში, და ამით ეკონომიკური თანასწორობის საფუძვლის შექმნა;
3. კაპიტალიზმის განვითარების ხელშეწყობა საქართველოში, როგორც ქვეყნის ევროპეიზაციის, ეკონომიკური წინსვლის და დემოკრატიული სისტემის დამყარების საფუძველი;
4. სოციალიზმ-ფედერალიზმის, ანუ ე. წ. „ქართული სოციალიზმის“ დამყარების გზით საქართველოში სოციალური თანასწორობისა და სამართლიანობის საზოგადოების შექმნა.

Dimitri Shvelidze

**ISSUES ON GEORGIAN STATEHOOD IN ARCHIL JORJADZE'S
THOUGHTS**

Summary

In his public letters during 1907-1911, Archil Jorjadze, Georgian political figure, had postulated the conceptional system for the restoration of Georgian statehood. According to analysis of those letters, we come to conclusion that Jorjadze's vision consisted from four major principles in his thoughts:

1. At the beginning, independence of Georgian state should have been realized in the manner of national-territorial autonomy which was reckoned to be the transitional step for the independence of Georgia.
2. Transfer of the lands to the peasants that was important step for the economical development.
3. Westernization of Georgia through the capitalistic development and making of democratic system.
4. In perspective, realization of social-federalism as Georgian version of European socialism – so-called “Georgian-socialism”, which could have been non-alternative concept of social justice.

მიხეილ ბახტაძე

გენერალ ლუდენდორფის ერთი წერილის შესახებ

1918 წლის 12 ივნისს გერმანიის გენერალური შტაბის პირველმა გენერალ-კვარტირმაისტერმა, გენერალმა ერის ლუდენდორფმა წერილი გაუგზავნა უკრაინაში დისლოცირებული გენერალ ჰერმან ფონ აიჰორნის საარმიო ჯგუფ „კიევის“ შტაბის უფროსს, გენერალ ვილჰელმ გრიონერს.

წერილი მეტად მნიშვნელოვან ინფორმაციებს შეიცავს და ნათელს ჰყენს გერმანიის ინტერესებს ზოგადად კავკასიასა და კონკრეტულად საქართველოში. სანამ ამ საკითხებს განვიხილავთ, მოკლედ შევეხებით ლუდენდორფისა და გრიონერის ბიოგრაფიის.

ერის ლუდენდორფმა (9/IV 1865 - 20/XII 1937) 1892 წელს დაამთავრა სამხედრო აკადემია. 1894 წელს გაიგზავნა რუსეთში რუსული ენის ცოდნის გაღმავებისა და სრულყოფისათვის. 1906 წლიდან ასწავლიდა ტაქტიკასა და სამხედრო ისტორიას აკადემიაში. 1908 წლიდან მუშაობს დიდ გენშტაბში. პირველი მსოფლიო ომის დაწყებისას ჯერ დასავლეთის ფრონტზეა, სადაც გამოჩენილი პირადი ვაჟაკობისათვის იმპერატორმა ვილჰელმ II-მ Pour le Merite-ს ორდენით დააჯილდოვა. 1914 წლის 21 აგვისტოს აღმოსავლეთ პრუსიაში მოქმედი მე-8 არმიის შტაბის უფროსად დაინიშნა. იმავე დროს არმიის სარდალი პაულ ფონ ჰინდენბურგი გახდა. მიუხედავად რუსეთის პირველი (სარდალი რენენკამპფი) და მე-2 (სარდალი სამსონოვი) არმიების რიცხობრივი უპირატესობისა, ჰინდენბურგმა და ლუდენდორფმა და სერიოზულ წარმატებებს მიაღწიეს (ტანენბერგთან მთლიანად გაანადგურეს სამსონოვის მე-2 არმია). 1916 წლის 29 აგვისტოს, როდესაც ჰინდენბურგი სავლელე შტაბის უფროსად, ანუ ფაქტობრივად გერმანიის შეიარაღებული ძალების მეთაურად დაინიშნა, ლუდენდორფი 1-ლი გენერალ-კვარტირმაისტერი¹ ანუ ფაქტობრივად გენერალური შტაბის უფროსი გახდა. შემდგომში ისინი

¹ ეს პოსტი სპეციალურად ლუდენდორფისთვის შეიქმნა.

ორივენი ერთად წარმართავდნენ გერმანიის არმიის ოპერაციებს პირველ მსოფლიო ომში. უფრო ზუსტად ლუდენდორფი წარმართავდა და ჰინდენბურგი ეთანხმებოდა.² ლუდენდორფი ნიჭიერი ტაქტიკოსი, ბრწყინვალე სტრატეგი და ამავე დროს შესანიშნავი ორგანიზატორი იყო. როდესაც მან დროებითი ზავის მძიმე პირობები შეიტყო, გერმანიის არმიას ბოლომდე ბრძოლა უბრძანა. 1918 წლის 27 ოქტომბერს იგი დაკავებული თანამდებობიდან გადააყენეს. მისი შემცვლელი გენერალი ვილჰელმ გრიონერი გახდა.³

ვილჰელმ გრიონერმა (22/XI 1867 - 2/IX 1939) 1896 წელს დაამთავრა სამხედრო აკადემია. 1912 წლიდან დიდი გენშტაბის სარკინიგზო განყოფილების უფროსია. პირველი მსოფლიო ომის დაწყებისთანავე დაინიშნა რკინიგზის საველე სამმართველოს უფროსად. მსოფლიო ომის უმძიმეს ვითარებაში შეძლო რკინიგზით გადაეყვანა 3 მლნ ჯარისკაცი და 860 ათასი ცხენი. 1916 წელს უმოკლეს დროში ჩაატარა რუმინეთის ფრონტზე ჯარების გადაყვანის უბრწყინვალესი ოპერაცია. 1917 წლის დეკემბრიდან XV სარეზერვო კორპუსის მეთაურია. 1918 წლის 23 მარტიდან 27 ოქტომბრამდე უკრაინაში დისლოცირებული გენერალ აიხჰორნის საარმიო ჯგუფ „კიევის“ შტაბის უფროსია. პირადად მან დიდი დახმარება აღმოუჩინა პავლე სკოროპადსკის 1918 წლის 29 აპრილს, როდესაც ეს უკანასკნელი გეტმანი გახდა. 27 ოქტომბერს გენერალური შტაბის უფროსის პოსტზე შეცვალა ერის ლუდენდორფი (რომელთანაც 1916 წელს, როდესაც პრუსიის სამხედრო მინისტრის მოადგილე იყო, პატარა კონფლიქტიც კი მოუვიდა).⁴

ორივე გენერალი გერმანიის უმაღლეს სამხედრო ხელისუფალთა წრეს ეკუთვნოდა. აქედან გამომდინარე მათი ინფორმაციები მეტად სანდოა, ხოლო მოსაზრებები ძალზედ მნიშვნელოვანი.

წერილი შემდეგი შინაარსისაა:

კიევი, 12 ივნისი 1918 წელი. გენერალ გრიონერს. საიდუმლოდ.

ბათუმში მიმდინარე მოლაპარაკებების დროს, თურქეთის მთავრობის მიერ ამიერკავკასიის ფედერაციისათვის წაყენებულმა გადამეტებულმა მოთხოვნებმა ამიერკავკასიის ფედერაციის დაშლა გამოიწვია. საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა. საქართველოს მთავრობისა და ქართველი ხალ-

² ჰინდენბურგს „მარშალი თქვენ რას ფიქრობთ“ შეარქვეს, რადგან ყოველთვის, როდესაც რაღაცას შეეკითხებოდნენ, უკან მდგომ ლუდენდორფს მიუბრუნდებოდა – „შენ რას ფიქრობო.“

³ http://hrono.info/biograf/bio_l/ludendorff.php.

⁴ http://hrono.info/biograf/bio_g/groener.html.

ნის ოფიციალური სრულუფლებიანი წარმომადგენლები, ჩვენთვის მისაღები ფორმით, გერმანიის იმპერიასთან კავშირს ითხოვენ. ითვალისწინებს რა კავკასიაში არსებული ნელდელის უზარმაზარ მარაგებს, რომლებიც იმთავითვე ხელმისაწვდომი გახდება გერმანიის სამხედრო მრეწველობისათვის, გარდა ამისა ითვალისწინებს იმის შესაძლებლობასაც, რომ რუსეთის ყოფილი არმიის მრავალრიცხოვანი ქართველი ოფიცრებისა და ჯარისკაცების შემადგენლობიდან შესაძლოა მოქმედი ქართული არმია შეიქმნას, რომელიც საჭიროების შემთხვევაში გერმანიის მხარეს იომებს, გერმანიის უმაღლესმა მთავარსარდლობამ გადაწყვიტა: 1. ეთხოვოს გერმანიის მთავრობას ცნოს საქართველოს დამოუკიდებლობა. რუსეთის იმპერიის სხვა ნაწილებისაგან განსხვავებით, საქართველოსა და რუსეთის მთავრობის განსაკუთრებული სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი ურთიერთობის გათვალისწინებით, საქართველოს მიმართ ამის გაკეთება უფრო ადვილია. 2. შევეცადოთ რათა უახლოეს ხანებში დაიდოს ხელშეკრულება, ერთის მხრივ, ოთხ მოკავშირე სახელმწიფოსა⁵ და მეორე მხრივ, საქართველოს შორის. საქართველოს მსგავსად, გერმანიის სამშვიდობო დელეგაციის ხელმძღვანელთან გერმანიის რაიხთან კავშირის თხოვნები წარმოადგინეს სომხეთისა და ჩრდილოეთ კავკასიის მთიელების სრულუფლებიანმა წარმომადგენლებმა და ასევე ვოლგის, დონის, ყუბანისა და თერგის კაზაკთა ატამანებმა. შემდგომ ამოცანად დასახული უნდა იყოს მათი გაერთიანება ამიერკავკასიის ფედერაციასთან. თუ გერმანია საქართველოში ფეხს მოიკიდებს, შექმნის იქ პატარა, მაგრამ ეფექტურ გერმანულ არმიას და ყველას დაანახებს, რომ მზად არის დაიცვას თავისი ინტერესები კავკასიაში. თანდათან საქართველოს ავტონომიურად შეუერთდებიან ახალი კავკასიური სახელმწიფოები და პერსპექტივაში სავსებით შესაძლებელია შევქმნათ გერმანიასთან მჭიდროდ დაკავშირებული კავკასიური ბლოკი, რომელიც გერმანიისათვის ძალიან მნიშვნელოვან როლს ითამაშებს. როგორც ომის დროს (ნელდელის მოწოდებისა და ეფექტური სამხედრო ძალის თვალსაზრისით), ასევე ომის შემდგომ (ეკონომიკური და სამხედრო თვალსაზრისით). ამჯამად არსებული პოლიტიკური სიტუაცია არ იძლევა შესაძლებლობას, რათა ეს ვრცელი პროგრამა მოსკოვში რუსეთის მთავრობას გავაცნოთ. ამჯერად ჩვენ საქართველოში პირველი ნაბიჯით დაკვამყოფილდებით. მე ვფიქრობ, რომ კაზაკებმა თავად უნდა გადადგან პირველი ნაბიჯი. გამოაცხადონ დამოუკიდებლობა და დაუკავშირდნენ უკრაინის მთავრობას, რათა მან ცნოს მათი დამოუ-

⁵ იგულისხმება გერმანია, ავსტრია-უნგრეთი, თურქეთი და ბულგარეთი

კიდებლობა და დაამყაროს მეგობრული ურთიერთობები. გერმანიის უმაღლესი მთავარსარდლობა კიევიდან კაზაკებს მიაწვდის საჭირო იარაღსა და ტყვია-წამალს (კაზაკურ რაიონებში, ტყვე გერმანელი ჯარისკაცების დაცვის საბაბით, კაზაკები ბოლშევიკების წინააღმდეგ უნდა შეიარაღდნენ). შემდგომში უმაღლესი მთავარსარდლობა კაზაკებსა და ჩრდილოეთ კავკასიელ ხალხებს იარაღითა და საჭურველით თბილისიდანაც მოამარაგებს. ამრიგად მომავალში თბილისი გახდება ის ცენტრი, რომლის ირგვლივაც გაერთიანდებიან ჩრდილოეთ კავკასიელი მთიელები და კაზაკები. რუსეთის სიტუაციის ყველა მცოდნე ერთიანია იმაში, რომ შემდგომში გარდაუვალია რუსეთისა და უკრაინის, როგორც ორი მონათესავე სლავი ხალხის, გაერთიანება. კავკასიური ბლოკი, რომლის შემადგენლობაშიც იქნებიან არარუსი ქრისტიანები, მუსლიმი თათრები, ბუდისტი ყალმუხები ანუ არასლავები, ამ დიდი სლავური ბლოკის კარგი საპირწონე იქნება. ერის ლუდენლორფი.⁶

საინტერესოა, რომ წერილი დაწერილია 12 ივნისს, ანუ საქართველოს ეროვნული საბჭოს მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან ორი კვირის თავზე. წერილიდან ირკვევა, რომ გერმანიის ხელისუფლებას საკმაოდ ნათელი, კარგად მოფიქრებული და შორს გამიზნული გეგმები ჰქონდა კონკრეტულად საქართველოსთან და ზოგადად კავკასიასთან დაკავშირებით.

საინტერესოა ლუდენლორფის სიტყვები, რომ „რუსეთის იმპერიის სხვა ნაწილებისაგან განსხვავებით, საქართველოსა და რუსეთის მთავრობის განსაკუთრებული სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი ურთიერთობის გათვალისწინებით, საქართველოს მიმართ ამის გაკეთება (იგულისხმება საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარება – მ.ბ.) უფრო ადვილია.“ რა შეიძლება აქ იგულისხმებოდეს? ჩვენი აზრით, „გეორგიევსკის ტრაქტატი“ და მისი დარღვევა რუსეთის მხრიდან, რაც ქართლ-კახეთის სამეფოსა და შემდგომ, მთელი საქართველოს დაპყრობაში გამოიხატა.

ასევე მეტად საინტერესო და საგულისხმოა გენერლის ფრაზა, რომ „ამჟამად არსებული პოლიტიკური სიტუაცია არ იძლევა შესაძლებლობას, რათა ეს ვრცელი პროგრამა მოსკოვში რუსეთის მთავრობას გავაცნო.“ ჩვენთვის ცოტა გაუგებარია, როგორ უნდა გაეცნოთ რუსეთისათვის ანტისლავური ბლოკის შექმნის საკითხი, ანდა საერთოდ რა საჭირო იყო მოსკოვის ხელისუფლების საქმის კურსში ჩაყენება. შესაძლოა, აქ იგულისხმებოდეს საბ-

⁶ К. фон. Ботмер. С графом Мирбахом в Москве. Дневниковые записи и документы за период с 19 апр. по 24 авг. 1918 г. РАН. Ин-т рос. истории. 2-е изд. испр. и доп. М. 1997.

ჭოთა ხელისუფლებისათვის არა რეალური გემის გაცნობა, არამედ მათთვის მხოლოდ გარკვეული სახისა და დოზის ინფორმაციის მიწოდება. მაგალითად, ინფორმირება იმის შესახებ რომ გერმანია საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობას აპირებდა.

როგორც წერილიდან ირკვევა, გერმანიისთვის მეტად მნიშვნელოვანი იყო კავკასიაში არსებული ნედლეულის მარაგები და ასევე შესაძლებლობა ძლიერი ქართული არმიის შექმნისა, რომელიც საჭიროების შემთხვევაში გერმანიის მხარეს იომებდა. სხვა წყაროებითაც ცნობილი იყო, რომ 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას თავისუფლად შეეძლო ძლიერი რეგულარული არმიის შექმნა. საჭირო იყო მხოლოდ სურვილი და მონდომება, რომელიც სხვადასხვა, ობიექტური და სუბიექტური, მიზეზების გამო მაშინ მთავრობას არ აღმოაჩნდა.⁷ ერიხ ლუდენდორფის წერილიდან ნათლად ჩანს, რომ საქართველოს რეალურად გააჩნდა ძლიერი არმიის შექმნის პოტენციალი. გერმანიის გენერალური შტაბის პირველი გენერალ-კვარტირმაისტერი მეტად კარგად ინფორმირებული პროფესიონალი იყო და მისი შეფასება, რომელიც ობიექტურ რეალობას ასახვდა წარმოადგენდა, მეტად მნიშვნელოვანია.

წერილიდან აშკარად ჩანს, რომ გერმანიის ხელისუფლება ითვალისწინებდა რეალურ ვითარებას და საქართველოს მთელი კავკასიის სამხედრო-პოლიტიკურ ცენტრად აღიქვამდა. საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობას უნდა მოჰყოლოდა მისი მოკავშირედ მიღება გერმანიის, ავსტრია-უნგრეთის, თურქეთისა და ბულგარეთის სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკში. ეს იქნებოდა პირველი ნაბიჯი. შემდგომში კი, საქართველოს ირგვლივ გაერთიანდებოდა სამხრეთ და ჩრდილოეთ კავკასია და კაზაკებიც. ამ მიზნით, გერმანიის უმაღლესი სამხედრო ხელისუფლება თბილისიდან ჩრდილოეთ კავკასიელთა და კაზაკთა იარაღითა და საჭურველით მომარაგებას გეგმავდა. გერმანია მიზანმიმართულად ცდილობდა, რათა რუსეთის სამხრეთ საზღვრებთან გერმანიის მოკავშირე დიდი სამხედრო-პოლიტიკური ბლოკი შეექმნა, რომელიც გერმანიისთვის ძალიან მნიშვნელოვან როლს ითამაშებდა, როგორც ომის დროს (ნედლეულის მოწოდებისა და ეფექტური სამხედრო ძალის გამოყვანის თვალსაზრისით), ასევე ომის შემდგომ (ეკონომიკური და სამხედრო თვალ-

⁷ თავად გერმანელები თავაზობდნენ საქართველოს მთავრობას დახმარებას ორი ე.წ. „რკინის დივიზიის“ შექმნის საქმეში. რ. გაბაშვილი. რაც მახსოვს. „დაბრუნება“. ტ. 3. თბ. 1992, გვ. 225

საზრისით). ამ დიდი სამხედრო-პოლიტიკური ბლოკის ცენტრი კი საქართველო უნდა ყოფილიყო.

რა თქმა უნდა, ერთია, რას გეგმავდა გერმანიის უმაღლესი სამხედრო ხელისუფლება და, მეორე, რა სურდა თავად საქართველოს. რამდენად დათანხმდებოდა საქართველოს მთავრობა ყოველივე იმის აღსულებას, რასაც გენერალი ლუდენდორფი გეგმავდა. საინტერესოა ერთი მომენტიც, 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტით ცხადდებოდა, რომ „საერთაშორისო ომიანობაში საქართველო მუდმივი ნეიტრალური სახელმწიფოა“.⁸ ეს პუნქტი ფორმალურად ეწინააღმდეგებოდა გერმანიის უმაღლესი სამხედრო ხელისუფლების ზრახვებს, საქართველოს კავკასიის დიდი პროგერმანული ბლოკის მთავარ მონაწილედ ხილვის შესახებ. მიუხედავად ეროვნული საბჭოს განცხადებისა, რომ საქართველო ნეიტრალური ქვეყანა იქნებოდა, იმ დროს არსებული ვითარებიდან გამომდინარე ამის რეალურად შესრულება შეუძლებელი იყო. მიუხედავად საერთაშორისო ომიანობაში საქართველოს მუდმივი ნეიტრალიტეტის გამოცხადებისა, ჩვენ ფაქტობრივად თავიდანვე გერმანიის მოკავშირედ შევიქმენით და, როგორც ჩანს, ასევე აღიქვა ყოველივე „ანტანტამაც“, რისი დამადასტურებელიც იყო, ჩვენი აზრით, ინგლისის ამკარად ანტიქართული პოზიცია, რომელიც კავკასიაში მისი მოსვლისთანავე გამოაშკარავდა. მოვლენები რომ გერმანიის სასარგებლოდ განვითარებულებიყვნენ, ლუდენდორფის გეგმა, შესაძლოა, რეალურად განხორცილებულყო. ყოველ შემთხვევაში მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც, თუნდაც მხოლოდ სამხრეთ კავკასიის მასშტაბით, თუნდაც სახეშეცვლილი ვარიანტით.

როგორც ვხედავთ, გერმანიას საკმაოდ სერიოზული მიზნები ჰქონდა კავკასიასთან მიმართებაში და მათში დიდ როლს სწორედ საქართველო თამაშობდა. არავინ იცის, როგორ განვითარდებოდა მოვლენები, გერმანია და მისი მოკავშირეები პირველ მსოფლიო ომში რომ არ დამარცხებულიყვნენ. ერთი რამის ვარაუდი ალბათ შეიძლება – გერმანიის გამარჯვების ან თუნდაც მისთვის მისაღები ზავის დადების შემთხვევაში, საქართველოსთვის ვითარება ალბათ უფრო კარგი იქნებოდა, ვიდრე ეს რეალურად შეიქმნა გერმანიის დამარცხების შემდეგ.⁹ თუმცა, ყოველივე ეს უკვე თეორიული მსჯელობის სფე-

⁸ ა. სილაგაძე, ვ. გურული. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა 1917-1918. თბ. 1998, გვ. 154.

⁹ ინგლისელი სამხედრო ისტორიკოსის ჰარი შეფილდის აზრით, იმის თქმა, რომ 1919 წელს მსოფლიო იმაზე უარესი გახდა, ვიდრე 1914 წელს იყო, ნიშნავს, რომ მოვლენის აზრი არ გვესმის. რადგან მსოფლიო, რომელშიც გერმანია გაიმარ-

როს განეკუთვნება.

ჩვენთვის გენერალ ლუდენდორფის წერილი მნიშვნელოვანია იმით, რომ მასში ძალიან ნათლად და კონკრეტულად არის ჩამოყალიბებული გერმანიის ინტერესები საქართველოსთან მიმართებაში და კიდევ ერთხელ ფიქსირდება საქართველოს წამყვანი როლი რეგიონში.

Mikheil Bakhtadze

ABOUT THE LETTER OF GENERAL VON LUDENDORFF

Summary

On June 12, 1918 the first Generalquartiermeister of Military Headquarters of German Empire – General Erich von Ludendorff sent the private letter to General Wilhelm Groener. The letter preserves very important information about interests of German Empire in whole Caucasus and Georgia in general. Actually, German Empire was interested in following: Caucasian resources and creation of strong Georgian army. According to Ludendorff's point of view, Georgia was reckoned to be as a center of anti-Slavic movement and around her whole North and South Caucasus were have to be united. The first step towards that direction must have been the official acknowledgement of newly emerged Georgian state and soon after, that to sign bilateral treaty with Georgia alone. Treaty of the Central Powers and Georgia could have been the next step.

ოთარ ჯანელიძე

**საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის
ისტორიიდან
(სამუსლიმანო საქართველოს ავტონომია)**

ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა ნებისმიერი სახელმწიფოს მნიშვნელოვანი მახასიათებელია. მისი განსაზღვრისას, როგორც წესი, ანგარიში ეწევა პოლიტიკურ, გეოგრაფიულ, ეთნო-დემოგრაფიულ, სამეურნეო-ეკონომიკურ, სამხედრო-სტრატეგიულ და სხვა ფაქტორებს. საქართველოს ხანგრძლივი ისტორიის განმავლობაში ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული აღნაგობა არაერთგზის შეიცვალა. ისტორიულ ხევებსა და საერისთავოებს მომდევნო პერიოდებში სამთავროები, სათავადოები, სადროშოები, სამოურავოები, გუბერნიები, მაზრები, ოლქები, რაიონები, მუნიციპალიტეტები და სხვ. ჩაენაცვლა.

საქართველოს მიწა-წყალი, გარდა იმისა, რომ მთისა და ბარის ფიზიკურ-გეოგრაფიულ და ეკონომიკურ ზონებად იყოფოდა, ადმინისტრაციული თვალსაზრისით უფრო წვრილ ტერიტორიულ ერთეულებდაც იყო დიფერენცირებული. ერთიანი ცენტრალიზებული მმართველობის პირობებში ამ ერთეულებს პოლიტიკური სუვერენიტეტი და სხვა სახელმწიფოებრივი ნიშანთვისება არ გააჩნდათ, თუმცა ცენტრალური ხელისუფლებისაგან გარკვეული უფლებები ჰქონდათ დელეგირებული.

სახელმწიფოებრიობამოშლილ საქართველოში რუსეთის საიმპერიო რეჟიმმა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის რუსული მოდელი დაამკვიდრა, რომელმაც ინერციის ძალით, ერთხანს რომანოვთა ტახტის დამხობის შემდგომაც იარსება. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ მისი განახლება ახალი სინამდვილის შესაბამისად აუცილებელი გახდა. წინამდებარე სტატია ამ დიდი პრობლემის ერთ ასპექტს, სახელდობრ დემოკრატიული რესპუბლიკის ფარგლებში სამუსლიმანო საქარ-

თველოს პოლიტიკური მოწყობის საკითხს აშუქებს.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა იმ დროს წარმოიშვა, როდესაც მსოფლიო ომი ჯერ კიდევ გრძელდებოდა. ახალი სახელმწიფოს ფორმირებაზე, მის საშინაო თუ საგარეო პოლიტიკაზე განსაკუთრებულ გავლენას ახდენდა სწრაფცვალებადი საერთაშორისო ვითარება. თუ ჩვენი ქვეყნის გეოსტრატეგიულ მდებარეობასა და რეგიონისადმი დიდ სახელმწიფოთა შეუწყლებელ ინტერესსაც გავითვალისწინებთ, ადვილი წარმოსადგენია, რა რთულ პირობებში მიმდინარეობდა სახელმწიფოებრივი აღმშენებლობა.

ახლად შექმნილ ქართულ სახელმწიფოს მეფის რუსეთისაგან მძიმე მემკვიდრეობა ერგო. მათ წარმატებით დაძლევას გონივრული გეგმა, დრო და მშვიდობიანი განვითარება ჭირდებოდა. მმართველ სოციალ-დემოკრატიულ პარტიას ხელისუფლებაში მოსვლამდე არ გააჩნდა სახელმწიფოებრივი მშენებლობის მკაფიო კონცეფცია, მოკლებული იყო ქვეყნის მართვის პრაქტიკულ გამოცდილებას, თუ არ ჩავთვლით მის ლიდერთა რამდენიმეთვიან მოღვაწეობას ამიერკავკასიის კომისარიატისა და სეიმის ხელმძღვანელობაში. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას, ნეიტრალიტეტის გამოცხადების მიუხედავად, 1918-1921 წლებში მშვიდობიანი ცხოვრების საშუალებაც ნაკლებად მიეცა, თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობის შესანარჩუნებლად არაერთ სამხედრო შეტაკებაში მოუწია მონაწილეობა. ამასთან, მთავრობასა და დამფუძნებელ კრებას მკაცრ ცაიტნოტში უხდებოდათ მუშაობა.

საქართველოს პირველი რესპუბლიკის როგორც აღმასრულებელი, ისე საკანონმდებლო ხელისუფლების წინაშე გადასაჭრელად იდგა რამდენიმე უმნიშვნელოვანესი ამოცანა. 1. საკუთარი მიწა-წყლის შემომტკიცება და დაცვა; 2. საერთაშორისო ცნობა-აღიარების მიღწევა; 3. მოქნილი სახელმწიფოებრივი სტრუქტურების ჩამოყალიბება-ამოქმედება; 3. ეფექტური საშინაო თუ საგარეო პოლიტიკური კურსის გამოკვეთა და მისი განხორციელება. ამ ჭრილში უნდა განვიხილოთ საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის საკითხიც, მეტადრე ქვეყნის განაპირა მხარეების, ეროვნულ უმცირესობათა პრობლემების მოგვარება და სხვა.

სახელმწიფოს მესვეურთა ერთ-ერთ მთავარი საზრუნავი იყო სამუსლიმანო საქართველოს ბედის გადაწყვეტა, ამ კუთხისა და მისი მოსახლეობის ქართულ წიაღში უმტკივნეულო ინტეგრაცია.

სამუსლიმანო საქართველო ისტორიული საქართველოს სამხრეთ-დასავლეთის იმ კუთხე-პროვინციებს ეწოდებოდა, რომლებიც სხვადასხვა დროს

ოსმალეთის იმპერიამ მიიტაცა და მის მკვიდრთ ქრისტიანული სარწმუნოება ისლამის რჯულით შეუცვალა. სხვა ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ სივრცეში მოქცევამ, ძალდატანებითა გამაჰმადიანებამ, შემდგომმა შიდა მიგრაციულმა თუ ასიმილაციურმა პირობებმა ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის დანარჩენი საქართველოსაგან რამდენადმე გაუცხოება გამოიწვია. XIX საუკუნეში, რუსეთ-ოსმალეთის ომების შედეგად, სამუსლიმანო საქართველოს მიწა-წყალი რუსეთის სახელმწიფოში მოექცა, არსებითად კი დელა-სამშობლოს, საქართველოს შეუერთდა.

საბჭოთა რუსეთის ბოლშევიკურმა მთავრობამ 1918 წლის ბრესტის ზავით ბათუმის, ყარსისა და არტაანის ოლქები გერმანიის მოკავშირე ოსმალეთს დაუთმო პირობით, რომ ადგილობრივ მოსახლეობას მისცემოდა შესაძლებლობა, „ახალი წყობილება მეზობელ სახელმწიფოებთან, განსაკუთრებით კი ოსმალეთთან შეთანხმებით დაემყარებინა“.

იმხანად ჩამოყალიბებულმა ამიერკავკასიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ ეს გადაწყვეტილება უკანონოდ ცნო, მაგრამ ხსენებული ოლქების დაცვა ვერ შეძლო და ოსმალეთი არა მარტო ამ ტერიტორიებს დაუფლავა, არამედ ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებიც ხელში ჩაიგდო. 1918 წლის ივნისში ოსმალეთმა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა აიძულა, ეს „მონაპოვარი“ თურქთათვის ახალი საზავო ხელშეკრულებით დაეკანონებინა. საზღვრები ორ ქვეყანას შორის იმიჯნებოდა 1829 წლის ადრიანოპოლის ზავის წინა პერიოდის რუსეთ-ოსმალეთის სახელმწიფო საზღვრების შესაბამისად. სულთნის ხელში ბრესტის ზავით მიკუთვნებული ოლქების გარდა, გადადიოდა ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებიც (აბასთუმნისა და აწყურის გამოკლებით). ეროვნულ სხეულს უნდა მოწყვეტოდა მთელი სამუსლიმანო საქართველო, მტკვრის ზემოწელისა და ჭოროხის აუზის მთელი ისტორიული მიწა-წყალი. საქართველო კარგავდა 350 ათას მცხოვრებს და 9500 კვადრატულ კილომეტრ ტერიტორიას.¹ ოსმალურ ოკუპაციას ამ კუთხიდან მოსაზღვრე ქართულ რაიონებში 60 ათასი ლტოლვილის გახიზვნა მოჰყვა (მარტო ბათუმიდან 20 ათასი კაცი გაიხიზნა).²

ოსმალეთის ხელისუფლებამ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში რეფერენდუმი მოაწყო და მისთვის სასურველი, გაყალბებული შედეგები მოსახლეობის ნების თავისუფალ გამოხატულებად გაასაღა. სინამდვილეში პლებისცი-

¹ ო. ჯანელიძე. საქართველოს ახალი და თანამედროვე ისტორია. თბ. 2009, გვ. 135.

² მ. სიორიძე. სამხრეთ-დასავლეთ საქართველო 1914-1918 წლებში. ბათ. 2002, გვ. 253.

ტი დარღვევებით – ღია წესით, შანტაჟის, ძალადობისა და ანტიქართული აგიტაციის პირობებში ჩატარდა. რეფერენდუმში მონაწილეობა არ მიუღია ადგილობრივ მკვიდრთა დიდ ნაწილს, რადგან იგი საკუთარი სახლ-კარიდან ლტოლვილი იყო. ყოველივეს მიუხედავად, 1918 წლის 15 აგვისტოს სულთანმა მეჰმედ VI-მ გამოსცა რესკრიპტი, რომლის საფუძველზეც სამი სანჯაყი (არტაანის, ყარსის, ბათუმის ოლქები) ოსმალეთის სახელმწიფოსთან შეერთებულად გამოაცხადა.

საქართველოს ეროვნულმა საბჭომ გააპროტესტა ბათუმის დისკრიმინაციული ზავი, მოითხოვა მისი გადასინჯვა ცენტრალურ სახელმწიფოთა მონაწილეობით. თბილისმა საპროტესტო ნოტები გაავრცელა აგრეთვე ოსმალთა მხრიდან უსამართლოდ ჩატარებული რეფერენდუმისა და სხვა უკანონო მოქმედების გამო.³

გერმანიამ გაიზიარა ბათუმის ზავის გადასინჯვის იდეა და ოსმალეთი ახალი საგანგებო კონფერენციის მოწყობაზე დაიყოლია. კონფერენცია კონსტანტინოპოლში უნდა გამართულიყო. სულთნის კარზე იგეგმებოდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ხელახალი რეფერენდუმის ორგანიზებაც, მაგრამ მსოფლიო ომში სამთა კავშირის დამარცხების გამო აღარც კონფერენცია ჩატარებულა და აღარც რეფერენდუმი. მუდროსის ზავის თანახმად, ოსმალეთიც იძულებული გახდა ოკუპირებული ტერიტორია სასწრაფოდ დაეცალა. სამუსლიმანო საქართველო გამარჯვებული ანტანტის სახელმწიფოთა, ფაქტობრივად კი, დიდი ბრიტანეთის კონტროლს დაექვემდებარა. ბათუმი და ბათუმის ოლქი ინგლისელთა გამგებლობაში გადავიდა.

ისტორიულ მესხეთს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას სომხეთი და აზერბაიჯანიც ეცილებოდნენ. გავლენის შენარჩუნებას აქ ოსმალეთიც ცდილობდა. პრეტენზიები გაუჩნდათ ადგილობრივ ბეგებსაც, რომელთა სეპარატისტული მოძრაობა 1917 წელს, ცარიზმის დამხობისთანავე დაიწყო. ბეგებს ზურგს ხან ოსმალეთი უმაგრებდა, ხან ღენიკინი და ხანაც კავკასიაში მდგარი ინგლისური არმიის სარდლობა.

არასტაბილურ ვითარებაში ცვალებადი იყო მოსახლეობის მიდრეკილებაც. ზოგი ოსმალურ ორიენტაციას იზიარებდა, ნაწილი საქართველოს შემადგენლობაში დარჩენას ემხრობოდა, სომხებს თვალი არარატის რესპუბლიკისკენ ეჭირათ და სხვ. წინააღმდეგობანი ეთნიკურ, რელიგიურ თუ პოლიტიკურ ნიადაგზე დროდადრო შეიარაღებულ დაპირისპირებასა და სისხლიან ანგარიშსწორებაშიც გადაიზრდებოდა.

³ Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии. Тб. 1919, გვ. 370-377.

ჯერ კიდევ 1918 წლის ნოემბერში, ვიდრე ოსმალები მთლიანად გავიდოდნენ ახალციხიდან და ქალაქი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას გადაეცემოდა, აქაურმა ბეგებმა ომარ ფაიკის მინისტრ-პრეზიდენტობით ე.წ. ახალციხის მთავრობა შექმნეს და ახალციხე-ახალქალაქის რეგიონის ცალკე კანტონად გამოყოფა დააპირეს. დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო ძალებმა ეს ავანტურა დროზე აღკვეთეს. მხარის გენერალ-გუბერნატორად დანიშნულმა გენერალმა ბალო მაყაშვილმა ომარ ფაიკი დააპატიმრა და ქალაქში წესრიგის დამყარებას შეუდგა. საქართველოს ხელისუფლება მდგომარეობის ზედმეტ გამეფვავებას მოერიდა, თვითმარქვია პრეზიდენტი ციხიდან გაათავისუფლა, მაგრამ ბეგების შემორიგება ვერ მოახერხა. ეს უკანასკნელნი თავიანთი ფეოდალური პრივილეგიების შენარჩუნებას მოითხოვდნენ, რაც ეწინააღმდეგებოდა სახელმწიფოში შემოღებულ დემოკრატიულ სოციალისტურ კურსს.

1918 წლის 25 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა ოფიციალურად მიმართა სამუსლიმანო საქართველოს მცხოვრებთ და აღუთქვა, რომ ამ კუთხეს მიენიჭებოდა ავტონომია. ამით პარლამენტმა დაადასტურა ამავე საკითხზე საქართველოს ეროვნული საბჭოს მიერ ერთი წლის წინ მიღებული დადგენილება.

საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასკომმა ჯერ კიდევ 1917 წლის 17 დეკემბერს განიხილა საკითხი „სამაჰმადიანო საქართველოში მოქმედებისა და მისი პოლიტიკური სახის გამორკვევის შესახებ“. მემედ აბაშიძემ, რომელიც საბჭოში ამ კუთხეს წარმოადგენდა, წამოაყენა წინადადება, რომ „სამაჰმადიანო საქართველო უნდა მოეწყოს კანტონური წესით“. ამის საწინააღმდეგოდ გამოვიდა თვალსაჩინო ეროვნულ-დემოკრატი გიორგი გვაზავა. მან განაცხადა: „კანტონალური სისტემა სათავეშივე დაღუპავს საქართველოს მთლიანობის იდეას. ...აჭარა განსხვავდება მართო სჯულით. ყველა სხვა საგანში, უნდა ითქვას, რომ ქართველები ვართ. საჭიროა ერთი იდეა – საქართველოს გაერთიანების. ახლანდელ მომენტში ჩვენ ბაირაღზე უნდა იყოს დაწერილი – მთლიანი საქართველო“.⁴

საბჭოს აღმასკომის წევრებმა ხანგრძლივი მსჯელობის შემდეგ გაიზიარეს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლის გრიგოლ ვეშაპელის თვალსაზრისი, რომელიც სამუსლიმანო საქართველოსთვის „ვრცელი“ თვითმმართველობის მინიჭებას ითვალისწინებდა და მიიღეს შესაბამისი დადგენილება. დაადგინეს ასევე, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით გამოეცათ მო-

⁴ ო. ჯანელიძე. ნარკვევები საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ისტორიიდან. თბ. 2002, გვ. 313.

წოდება ქართულ და თურქულ ენებზე. ტექსტის შედგენა ივანე გომართელს, პავლე საყვარელიძეს, მემედ აბაშიძესა და გრიგოლ ვეშაპელს დაევალიათ. მოწოდება მალე დაისტამბა 20 ათას ეგზემპლარად და გავრცელდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობაში.⁵

როცა სამუსლიმანო საქართველოსთვის თავიდან თვითმმართველობის, შემდეგ კი ავტონომიის მინიჭების საკითხს განიხილავდნენ, ქართველი პოლიტიკოსები ანგარიშს უწევდნენ მკაცრ რეალობას. იმ დროს სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს დიდი ნაწილი ჯერ კიდევ ოსმალეთის კონტროლს ექვემდებარებოდა. ხსენებულ რეგიონზე ახლად წარმოქმნილი ქართული სახელმწიფოს იურისდიქციის გავრცელებას წინ მრავალი დაბრკოლება ელოებოდა. ერთ-ერთი ხელისშემშლელი გარემოება ისიც იყო, რომ ამ მიწა-წყლის მკვიდრ, ეთნიკურად ქართველ, მაგრამ გამაჰმადიანებულ მცხოვრებთ სულთანის ოსმალეთის ფარგლებში პოლიტიკურ ავტონომიას ჰპირდებოდა. არსებობს საარქივო დოკუმენტები, რომლებიც ცხადყოფენ, რომ ამ კუთხით პროპაგანდისტული საქმიანობის პარალელურად, მოსახლეობის გულის მოგების მიზნით სულთნის ხელისუფლებამ აჭარაში სოლიდური თანხაც გამოგზავნა.⁶ ადგილობრივი არისტოკრატის ქართული ორიენტაციის წარმომადგენლებმა, რომლებიც ისტორიულ სამშობლოსთან კავშირის აღდგენასაც ესწრაფოდნენ და საკუთარი პრივილეგიებიც არ ეთმობოდნენ, ოსმალური გეგმის საპირისპიროდ, საქართველოს შემადგენლობაში განსაკუთრებული სტატუსით – ფართო ავტონომიით შესვლის იდეა წამოაყენეს.⁷

საქართველოს ბუნებრივ ნაწილს, მის ღვიძლ ისტორიულ კუთხეს – სამუსლიმანო საქართველოს არანაირი ცალკე სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი საქართველოს ფარგლებში არ ეკუთვნოდა და არც უნდა მიეღო. საკითხი ამ ასპექტში რომ არ უნდა განხილულიყო, იმთავითვე გამოიკვეთა და გაცხადდა. მაგრამ დემოკრატიული რესპუბლიკის მესვეურები, იღებდნენ რა მხედველობაში საქართველოსაგან ხანგრძლივად მოწყვეტილი ძირძველი რეგიონის მოსახლეობის რელიგიურ გაუცხოებას, ეკონომიკური და კულტურული განვითარების თავისებურებებს, მისაღებად მიიჩნევდნენ ბათუმის ოლქისთვის ავტონომიური მმართველობის აღიარებას. სამუსლიმანო საქართველოს შიდა საქმეებში ავტონომიურ მართვა-გამგებლობას და არა პოლიტიკურ ავტონომი-

⁵ საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა). ფონდი 1836. აღწ. 1. საქმე №5. ფურც. 12.

⁶ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები. III. ბათ. 2008, გვ. 439.

⁷ მ. აბაშიძე. თხზულებანი. გ. შარაძის გამოცემა. ბათ. 1998, გვ. 163.

ას, ამ მხარის საქართველოს წიაღში საბოლოო დაბრუნება და წარმატებული ინტეგრაცია უნდა გაეადვილებინა.

საქართველოს პირველი რესპუბლიკის მთავრობამ 1918 წლის 21 დეკემბრის სხდომაზე განიხილა და დაამტკიცა პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე საქართველოს ოფიციალური დელეგაციის მოქმედების გეგმა. დელეგაციის სამოქმედო პრინციპთა შორის საგანგებოდაა გამოყოფილი „სამუსლიმანო საქართველოს“ საკითხი. მთავრობის დირექტივის მეხუთე პუნქტის თანახმად, „სამშვიდობო კონგრესზე დელეგაცია უნდა ეცადოს სამაჰმადიანო საქართველოს საკითხის დაყენებას და მის ჩვენდა სასურველად გადაჭრას“.⁸

საქართველოს ეროვნულ საბჭოში კარგად აცნობიერებდნენ, რომ აუცილებელი იყო სამუსლიმანო საქართველოსთან ეკონომიკური ურთიერთობის განმტკიცებაც. პერიოდული პრესის ცნობით, ეროვნულ საბჭოს განზრახული ჰქონდა, მოეწყო: თამბაქოს ქარხანა ქვემო აჭარაში, კარაქის გადასადული ფაბრიკა ზემო აჭარასა და შავშეთში, შალეულობის ქარხანა ზემო აჭარასა და შავშეთის რაიონში, ხილის სახმობი ქარხანა აჭარის წყალზე, ზეთისხილისა და ქიშიშის დასამზადებელი ქარხანა ართვინის ოლქში, ცენტრალური სავაჭრო და საწყობი ბათუმში მთელი ოლქის ნაწარმთა გასასაღებლად და სხვა.⁹ ამ პროექტებიდან ზოგიერთის ამოქმედება კიდევაც დაიწყო, მაგრამ მთლიანი გეგმა რიგი ობიექტური თუ სუბიექტური ფაქტორის გამო ვერ განხორციელდა.

მხარის ეკონომიკურ აღმავლობაზე ზრუნვასთან ერთად დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა სწორ განმარტებით და პროპაგანდისტულ მუშაობას მოსახლეობის სხვადასხვა ფენაში. აქცენტი ქრისტიანი და მაჰმადიანი ქართველობის საერთო წარმომავლობაზე, ძმობაზე, ერთიან სამშობლოზე კეთდებოდა. მაგალითად, სპირიდონ კელია პრესის მეშვეობით მიმართავდა სამუსლიმანო საქართველოს მკვიდრთ: „ჩვენ სხვადასხვა ღმერთებს ვცემთ თაყვანს, მაგრამ გვაქვს ერთი საერთო სალოცავი – სამშობლო. ...ფიზიკურად საქართველოს პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი არსებობა არ შეიძლება, თუ მთელი სამუსლიმანო საქართველო მასთან არ იქნა. ...კულტურულად საქართველო ვერ განაგრძობს თავის სახიერებას და ვერ გაამართლებს თავის დანიშნულებას, თუ რომ მასში ერთად არ ამეტყვევლა ქრისტიანული და მუსლიმანური დუეტი ქრისტიანიზმისა და მუსლიმანიზმის მსოფლმზერის“ და სხვა.¹⁰

⁸ საქართველოს მთავრობის 1918 წლის 21 ნოემბრის სხდომის ოქმი პარიზის საზავო კონფერენციაზე საქართველოს დელეგაციის გაგზავნის შესახებ. წგნ. ა. სურგულაძე. პ. სურგულაძე. საქართველოს ისტორია. თბ. 1991, გვ. 383.

⁹ გაზ.: „ჩვენი რესპუბლიკა“. 1917 წელი. 19 დეკემბერი.

¹⁰ გაზ.: „საქართველო“. 1920 წელი. 22 ოქტომბერი.

ცნობილი პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე სამსონ ფირცხალავა აღნიშნავდა, რომ მაჰმადიან ქართველებში ახლა ისე ძლიერია ეროვნული სული, რომ დრო არის სამუსლიმანო საქართველო დაუბრუნდეს დედასამშობლოს. „გაერთიანება მოუტანს ჩვენს მუსულმან ძმებს სრულს თავისუფლებას და ბედნიერებას, დაიცავს როგორც წმიდათა წმიდას, მათ სარწმუნოებას, პიროვნებას, თვითმოქმედებას და სამუდამოდ უზრუნველყოფს მთელი საქართველოს დამოუკიდებლობასა და განვითარებას“.¹¹

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებამ სრულად ვერ გაითვალისწინა სამუსლიმანო საქართველოს სპეციფიკა. მართალია, მხარეში ავტონომიური მმართველობის დაწესებამდე ძალაში დარჩა შარიათზე დამყარებული სასამართლო სისტემა და სხვა, მაგრამ აგრარულ-სოციალური ხასიათის რიგმა რეფორმებმა თუ ადმინისტრაციულ მართვა-გამგებლობაში დაშვებულმა ხარვეზებმა მოსახლეობის ნაწილის, განსაკუთრებით მისი ზედაფენის უკმაყოფილება გააძლიერა. ამ მდგომარეობით ისარგებლეს ბეგ-აღალარებმა, ხოჯებმა და სხვ., რომლებმაც საქართველოს წინააღმდეგ ფართო აგიტაცია გააჩაღეს.

ცნობილი ქართველი ემიგრანტი სწავლულის ვიქტორ ნოზაძის სიტყვით, „რევოლუციამ თავისთავად დააფრთხო მესხეთის მაღალი წოდება. სოციალისტურმა ქდაგებამ ააღელვა მორწმუნე მაჰმადიანობა, განსაკუთრებით სასულიერო წოდება. აგრარულმა რეფორმამ გადაატრიალა მიწისმფლობელთა მდგომარეობა და მამულის დაკარგვის აუცილებელმა შიშმა ერთბაშად შექმნა თბილისის საწინააღმდეგო განწყობილება. ...ეს იყო ქართული სოციალისტური, კლასობრივი პოლიტიკის ნაყოფი – საქართველოს ყველა კუთხისათვის ერთი ზომით აგრარული რეფორმის გამოცხადება“.¹²

მუსლიმთა მცირერიცხოვანმა ჯგუფმა, ოსმალო ემისრების კარნახით, სულთანს პეტიცია გაუგზავნა და ავტონომიურ საფუძველზე მესხეთის ოსმალეთის შემადგენლობაში შესვლა ითხოვა.

1919 წლის დასაწყისში გამოცხადდა ე.წ. სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის, იგივე ყარსის რესპუბლიკის შექმნა, რომლის დროებით მთავრობას სათავეში ჩაუდგა კადრის ყოფილი ოფიცერი იბრაიმ ბეი ჯიჰანგიროღლუ.¹³ ჩამო-

¹¹ დ. ჭუმბურიძე, აჭარის საკითხი 1918-1921 წლებში და ქართული საზოგადოებრივი აზრი. ბათ. 1999, გვ. 46.

¹² ვ. ნოზაძე, საქართველოს ადდგენისათვის ბრძოლა მესხეთის გამო. თბ. 1989, გვ. 48.

¹³ მ. სიორიძე, „ყარსის რესპუბლიკა“. კრებული „საისტორიო მაცნე“. № 1. ბათ. 1995, გვ. 24-28.

ყალიბდა 70-მდე წევრისაგან შემდგარი მეჯლისი და სხვა.¹⁴ ახალი „სახელმწიფოს“ ერთ-ერთი გავლენიანი მესვეურთაგანი იყო სერვერ ბეგ ათაბაგი. სამცხის ათაბაგთა ამ უკანასკნელი შთამომავლის განზრახვით, „ყარსის რესპუბლიკას“ უნდა გაეერთიანებინა საქართველოსა და სომხეთის ის ტერიტორიები (ძირითადად ყარსის, არტაანისა და ბათუმის სანჯაყები), რომლებიც იმხანად ინგლისის „მფარველობის“ ზონაში შედიოდნენ. ყარსის იურისდიქცია უნდა გავრცელებულიყო აგრეთვე ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებზეც.

1919 წლის იანვრის დამლევეს სერვერ ბეგმა სამცხეში თავი მოუყარა 12 ათასამდე კაცს, მათ შორის ოსმალებს, რუს თეთრგვარდიელებს, ინგლისელ ოფიცრებს და აჯანყება წამოიწყო. მეამბოხეებმა 11 თებერვალს ახალციხე აიღეს, ქართული ადმინისტრაცია მოშალეს და ხელისუფლებას დაეუფლნენ. თავგასულმა ბეგმა თბილისს ნოტა გაუგზავნა და „ყარსის რესპუბლიკასა“ და საქართველოს შორის ტერიტორიული გამიჯვნა 1828 წლის რუსეთ-ოსმალეთის საზღვრებში შესთავაზა.¹⁵

სეპარატისტებს როგორც ოსმალეთის, ისე ინგლისის არმიის სარდლობა მხარდაჭერასა და დახმარებას პირდებოდა. „ყარსის რესპუბლიკის“ ხელისუფალთ იმედი ჰქონდათ, რომ პარიზის კონფერენციაზე საერთაშორისო ცნობა-აღიარებას მიიღწევდნენ, მაგრამ ეს მოლოდინი არ გამართლდა. ამასთან, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ჯარმა გენერალ გიორგი კვინიტაძის მეთაურობით შეძლო ახალციხის განთავისუფლება და ბრიტანელთა წინააღმდეგობის მიუხედავად, ფოცხოვ-არტაანის ბრძოლით დაიკავა. ინგლისელმა გენერლებმა წაგებული თამაშის გაგრძელება აღარ ისურვეს. 1919 წლის აპრილში მათ დაითხოვეს ყარსის მეჯლისი, ხოლო მთავრობის წევრები დააპატიმრეს და კუნძულ მალტაზე გადაასახლეს.¹⁶

ახალციხის გლეხთა ყრილობამ მისალმება გაუგზავნა საქართველოს ხელისუფლებას და ამასთან, დანარჩენ სამუსლიმანო საქართველოს მცხოვრებთ მოუწოდა: „ახლა, როდესაც საქართველოს გაუერთიანდა მუსულმანური საქართველოს ერთი ნაწილი ახალციხისა და ახალქალაქის მაზრების სახით, სდგება საკითხი დანარჩენი მუსულმანური საქართველოს: აჭარის, ქობულეთის, არდაგანის და შავშეთის განთავისუფლების შესახებ. ...მხოლოდ ერთად მუშაობით, მუსულმანური და ქრისტიანული საქართველოს მხოლოდ და მხო-

¹⁴ <http://www.worldstatesmen.org/Turkey.html#South-Western>

¹⁵ შ. ლომსაძე. მესხეთი და მესხები. თბ. 2000, გვ. 62.

¹⁶ W. E. D. Allen, P. Muratoff. "Caucasian Battlefields". Cambridge. 1953, გვ. 57.

ლოდ ერთ ოჯახში გაერთიანებული ძალებით მთელი საქართველოს მცხოვრებნი მოიპოვებენ ბედნიერებას¹⁷.

საქართველოსაგან მისი ისტორიული კუთხის, აჭარის ჩამოცილებას ესწრაფვოდა დენიკინის მხარდაჭერით მოქმედი ბათუმის ოლქის რუსთა ეროვნული საბჭო პ. მასლოვის თავმჯდომარეობით. მოხალისეთა არმიის გავლენა ბათუმში იმდენად დიდი იყო, რომ ოლქის გამგებლად დანიშნული მასლოვი ანგარიშს დენიკინს აბარებდა. ანტიქართული სულისკვეთებით გამორჩეულ მასლოვს ერთხანს ინგლისელებიც მფარველობდნენ, მაგრამ ადგილობრივი მოსახლეობის მხარედი უკმაყოფილების გამო 1919 წლის მაისში იგი მმართველობას ჩამოაშორეს.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საწინააღმდეგო მორიგი ავანტურისტული ქმედება განხორციელდა 1920 წელს, როდესაც მოკავშირე სახელმწიფოთა უმაღლესი საბჭო განიხილავდა ბათუმიდან საოკუპაციო ძალების გაყვანის საკითხს. ადგილობრივ სეპარატისტულ წრეებში, რომლებიც დაჯგუფებულნი იყვნენ ისლამისტურ ორგანიზაცია „სელაი მილეთში“ და სარგებლობდნენ აზერბაიჯანელი ემისრებისა თუ ბათუმის ოლქის რუსული ეროვნული საბჭოს თანადგომით, მომწიფდა აზრი „დამოუკიდებელი აჭარისტანის“ გამოცხადების შესახებ. აირჩიეს „უმაღლესი მმართველობა“ და „შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი“. მიზნად ჰქონდათ აჭარის მოსახლეობის საქართველოს წინააღმდეგ ამხედრება, ბათუმში ანტანტის კონტროლისაგან თავისუფალი, „იურიდიულად ნეიტრალური, ფაქტობრივად კი რუსული ნავსადგურის“ შექმნა და სხვა.¹⁸

„დამოუკიდებელი აჭარისტანის“ მესვეურები დაუკავშირდნენ თურქეთის ახალ (ანგორის) მთავრობასა და საბჭოთა რუსეთს, ცდილობდნენ მიეღოთ მათგან ფული და სამხედრო დახმარება.

1920 წლის 24 თებერვალს მოკავშირეთა უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით ბათუმი ერთა ლიგის მანდატის ქვეშ საერთაშორისო თავისუფალ ნავსადგურად გამოცხადდა. ქართველი საზოგადოება უკმაყოფილოდ შეხვდა ამ გადაწყვეტილებას. მრავალ ქალაქსა და დაბაში გაიმართა საპროტესტო მიტინგი. საქართველოს ხელისუფლებისაგან მოითხოვდნენ ქმედით ზომებს ბათუმის დასაბრუნებლად.

მიუხედავად იმისა, რომ სამუსლიმანო საქართველოს მკვიდრთ საქარ-

¹⁷ ვ. ნოზაძე. საქართველოს ადდგენისათვის ბრძოლა მესხეთის გამო, გვ. 51.

¹⁸ ა. სურგულაძე, მ. სიორიძე. პორტო-ფრანკო ბათუმში. ბათ. 1996, გვ. 75-76.

თველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკური წეს-რიგი ბოლომდე შეთვისებული არ ჰქონიათ, ამ კუთხის ნაწილში (ახალციხისა და ახალქალაქის მაზრები) 1919 წლის შემოდგომაზე ჩატარებულმა დამფუძნებელი კრების დამატებითმა არჩევნებმა ცხადყო, რომ მოსახლეობა არ აპყვა გარეშე ძალების პროპაგანდას და მხარი ქართულ პარტიებს დაუჭირა.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მასშტაბით ქართული ორიენტაციის ძალების დარაზმვას სათავეში ედგა ჯერ კიდევ 1918 წლის მაისში ჩამოყალიბებული „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტი“ (ჰაიდარ აბაშიძე, ზია აბაშიძე, ყადირ შერვაშიძე და სხვა) მემედ აბაშიძის ხელმძღვანელობით. კომიტეტის წევრები ართვინის, იმერხევის, მურღულის, ბორჩხას, არტანუჯის, შავშეთ-ერუშეთის, ხულოს, ქედის, ბათუმისა და ქობულეთის ეროვნულ-პატრიოტულ წრეებს წარმოადგენდნენ. კომიტეტს ახალციხესა და ქობულეთში ფილიალები ჰქონდა გახსნილი. მთლიანად ბათუმის ოლქში კომიტეტის 11 განყოფილება (პირველადი ორგანიზაცია) ფუნქციონირებდა.¹⁹ კომიტეტი და მისი გაზეთი „სამუსლიმანო საქართველო“ ბათუმის ოლქში ოსმალეთისა თუ ინგლისის საოკუპაციო მმართველობის მძიმე პირობებში აქტიურად იღვწოდა მაჰმადიან ქართველთა ეროვნული თვითშეგნების განმტკიცებისათვის. საგულისხმო როლი შეასრულეს მათ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საქმეში. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა კომიტეტის თაოსნობით 1919 წლის 31 აგვისტოს მოწვეულ ბათუმის ოლქის ქართველ მაჰმადიანთა წარმომადგენლების ყრილობას, რომელმაც დაადგინა ამ მხარის საქართველოსთან შეერთება ავტონომიურ საფუძველზე და აირჩია 36 კაცისაგან შექმნილი წარმომადგენლობითი ორგანო „მეჯლისი“.

„1919 წლის 31 აგვისტო ისტორიული დღეა, როგორც სამუსლიმანო საქართველოს, ისე მთელი საქართველოსთვის. ამ დღეს ითქვა ის, რაც შეადგენს ყოველი მუსლიმანი ქართველის სათაყვანებელ საქმეს, მის წმინდათაწმინდას... ამიერიდან სამარადისოდ, ბათუმი და ბათუმის ოლქი შეუერთდეს თავის ბუნებრივ სამშობლოს, საქართველოს რესპუბლიკას, ფართო ავტონომიის ნიადაგზე“, წერდა მემედ აბაშიძე ამ ყრილობის გადაწყვეტილების გამო.²⁰

უფრო კონკრეტულია ხსენებული ყრილობის 1 სექტემბრის დადგენილება. იგი იმეორებს სამუსლიმანო საქართველოს დედა-სამშობლოსთან ავტონომიურ საფუძველზე შეერთების თვალსაზრისს და განსაზღვრავს ავტონომიის უფ-

¹⁹ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები. III, გვ. 438, 492.

²⁰ მ. აბაშიძე. ფიქრები საქართველოზე. ბათ. 1998, გვ. 50.

ლებამოსილების ფარგლებს. კერძოდ, აღნიშნულია, რომ სამუსლიმანო საქართველოს უნდა ჰყავდეს საკუთარი მთავრობა და საკანონმდებლო პარლამენტი (მეჯლისი). მთავრობა „სრულიად დამოუკიდებელი“ უნდა იყოს ისეთ სფეროებში, როგორცაა სარწმუნოება, სასამართლო, ადმინისტრაცია, განათლება, ვაჭრობა, მეურნეობა, ეკონომიკა და სხვა შინაური საქმეები. სამუსლიმანო საქართველოს მთავრობა საქართველოს ხელისუფლებასთან ერთად უნდა აწარმოებდეს სამხედრო, საფინანსო, საგარეო პოლიტიკის, კავშირგაბმულობის, რკინიგზის და საბაჟო საქმეებს. „მეჯლისის უფლება ეძლევა, აღძრას შუამდგომლობა სამუსლიმანო საქართველოს ფართე ავტონომიის დასამტკიცებლად, როგორც საქართველოს რესპუბლიკის, აგრეთვე პარიზის კონფერენციის წინაშე“.²¹

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ 1919 წლის 11 სექტემბერს მოისმინა ბათუმის ოლქის ქართველ მაჰმადიანთა ყრილობის რეზოლუციები და კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ სამუსლიმანო საქართველოს მიენიჭებოდა ავტონომია. მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანიამ სპეციალური მოწოდებით მიმართა „ზემო აჭარის დელეგაციას“, რომელშიც აღნიშნულია: „საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებში სამუსლიმანო საქართველოს მართვა-გამგეობა დაემყარება ადგილობრივი ხალხის – ქართველ მუსლიმანების თვითმართველობას (ავტონომია)“.²² რაც შეეხება ავტონომიის კომპეტენციის საკითხს, იგი „დაწვრილებითი განხილვისათვის“ საქართველოს დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიას გადაეცა.

სამუსლიმანო საქართველოს ავტონომიის სტატუსის, ტერიტორიის, უფლება-კომპეტენციისა და სხვ. საკითხების განსაზღვრაზე საქართველოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს საკონსტიტუციო კომისია ხანგრძლივად მუშაობდა. პარალელურად, დამფუძნებელი კრების თვითმმართველობისა და ადგილობრივი მმართველობის კომისიამ 1920 წელს გამოსცა პავლე ინგოროყვას მიერ მომზადებული საქართველოს ტერიტორიის ახალ ადმინისტრაციულ ერთეულებად დანაწილების პროექტი.²³ ამ მასალების ანალიზის საფუძველზე ირკვევა შემდეგი: სამუსლიმანო საქართველოდ მიიჩნეოდა მაჰმადიანი ქართველებით დასახლებული მთელი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორია, სახელდობრ: „ყოფილი სამცხე-საათაბაგო – ახალციხე-ახალქა-

²¹ ვ. ნოზაძე. საქართველოს ადღენისათვის ბრძოლა მესხეთის გამო, გვ. 51.

²² ა. სილაგაძე, ვ. გურული. საქართველოს განუყოფლობისათვის ბრძოლის ისტორიიდან. ნაკვეთი I. შემედ-ბეგ აბაშიძე. დოკუმენტები და მასალები (1917-1923), თბ. 1996, გვ. 38.

²³ პროექტი საქართველოს ტერიტორიის დანაწილებისა ახალ საადმინისტრაციო ერთეულებად (ოლქებად). თბ. 1920.

ლაქის მაზრა (მესხეთი და ჯავახეთი), არტაანის ოლქი (კოლა-არტაანი), ოლთისის ოლქი (ძველი ტაო), თორთუმი, ისპირი, ჭანეთი, ბათუმის ოლქი (ქობულეთი, აჭარა, შავშეთი, კლარჯეთი, ლივანა)“. საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის თანახმად, ავტონომია გამოცხადდა ამ ტერიტორიის მხოლოდ ნაწილზე, კერძოდ ბათუმის მხარეში, იგივე ბათუმის ოლქში, რომელიც აჭარითა და კლარჯეთით შემოიფარგლა.²⁴

რით შეიძლება აიხსნას ეს გარემოება? საქმე ის არის, რომ სამხრეთ დასავლეთ საქართველოს პროვინციებზე საქართველოს სახელმწიფოს იურისდიქცია ერთდროულად არ გავრცელებულა. მაგალითად, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში სხვებზე ადრე (1919 წლის გაზაფხული) როგორც იურიდიულად, ისე ფაქტობრივად, სამცხე-ჯავახეთი დამკვიდრდა. ახალციხე-ახალქალაქის პარალელურად, საქართველოს საზღვრებში შემოვიდა არტაანის ოლქის ჩრდილოეთი სექტორი, რომელიც მართვა-გამგეობის მხრივ დროებით გაერთიანდა ახალციხის ოლქთან.²⁵ სამუსლიმანო საქართველოს დანარჩენი ნაწილი კვლავ ბრიტანეთის არმიის სარდლობას ექვემდებარებოდა. საქართველოს დამფუძნებელი კრების ზემოთ ნახსენებ პროექტში ამ მიწა-წყალს „შემოუერთებელი ტერიტორიები“ ან „ტერიტორია ანტანტის ოკუპაციის ქვეშ (ბათომის მხარე)“ ეწოდება.²⁶ ოლთისის მხარის შემოერთების შემთხვევაში, რომელიც ომის დროს დიდად დაზარალდა და მოსახლეობისაგან თითქმის დაიცალა, გათვალისწინებული იყო მისი შერწყმა არტაანის ოლქთან და ერთი ადმინისტრაციული ერთეულის შექმნა ცენტრით ქალაქ არტაანში. ამ ერთეულის სახელწოდება უნდა ყოფილიყო „არტაანის ოლქი“.²⁷

რაც შეეხება აჭარისა და კლარჯეთის მომცველ ბათუმის მხარეს, იგივე ბათუმის ოლქს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის პროექტის თანახმად, პერსპექტივაში იგი ბათუმისა და ართვინის მაზრებად გაიყოფოდა ანდა კვლავ ერთ სამაზრო ერ-

²⁴ შ. ვადაჭკორია, საქართველოს პოლიტიკური ისტორიის საკითხები (XX საუკუნე). წ. II. თბ. 2006, გვ. 260-262, 842.

²⁵ პროექტი საქართველოს ტერიტორიის დანაწილებისა ახალ საადმინისტრაციო ერთეულებად (ოლქებად). თბ. 1920, გვ. 11.

²⁶ პროექტი საქართველოს ტერიტორიის დანაწილებისა ახალ საადმინისტრაციო ერთეულებად, გვ. 10, 74, 92.

²⁷ ხსენებული კომისია ქვეყნის უმაღლესი ადმინისტრაციული ერთეულის სახელწოდებად განიხილავდა ისეთ დასახელებებს, როგორიცაა: მაზრა, თემი, მხარე, ოლქი და დეპარტამენტი. საბოლოოდ ტერმინი ოლქი ამჯობინეს და მასზე შეჩერდნენ. პროექტი საქართველოს ტერიტორიის დანაწილებისა ახალ საადმინისტრაციო ერთეულებად, გვ. 43.

თეულად დარჩებოდა.²⁸

„ბათომის მხარის შესახებ შეიძლება წარმოდგენილ იქნას ორი პროექტი, – აღნიშნულია დოკუმენტში. ა). იგი იყოფა ორ მაზრად – ბათომის და ართვინისა. ასეთ შემთხვევაში უნდა მოხდეს საზღვრების შესწორება ამ მაზრების სანაპირო რაიონებში. სახელდობრ, ეხლანდელი ბათომის ოლქიდან შეუერთდება ართვინისას ორი ხეობა: დევის-წყალისა და ჩხალისა. ... ბ). მეორე ვარიანტი: ბათომის მხარე რჩება ერთ სამაზრო ერთეულად, რომელშიც შევა ორივე ოლქი ბათომის მხარისა (ბათომისა და ართვინისა)“. პროექტის შემდგენლები უპირატესობას ანიჭებდნენ მეორე ვარიანტს, რასაც იმით ასაბუთებდნენ, რომ „ტოპოგრაფიული პირობები ბათომის მხარისა არ წარმოადგენს არავითარ განსაკუთრებულ პირობებს, ...ბათომის მხარე შეკრულია ბუნებრივი გეოგრაფიული მთლიანობით. ამასთან, ართვინის ოლქი მჭიდრო ეკონომიკური კავშირით არის გადაბმული ქალაქ ბათომთან. ...დასასრულ, გაერთიანება ბათომის მხარისა ერთ ადმინისტრაციულ ერთეულად მისაღებია კულტურული მოსაზრებით“.²⁹

ყველაფერი ეს მიგვანიშნებს, რომ სამუსლიმანო საქართველოს ავტონომია დროებითი მოვლენა უნდა ყოფილიყო. თავისუფალი განვითარების შემთხვევაში, მაჰმადიანი ქართველების დანარჩენ საქართველოსთან ბუნებრივ ადაპტაციას დიდი დრო არ დასჭირდებოდა და მხარის ავტონომიური მმართველობის არსებობას საფუძველი გამოეცლებოდა. ასე ესმოდა ეს საკითხი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკური ელიტის უმრავლესობას, როგორც მმართველ, ისე ოპოზიციური პარტიების ძირითად სპექტრს, პროგრესულ ქართველ საზოგადოებას.

დამფუძნებელი კრების თვითმმართველობისა და ადგილობრივი მმართველობის კომისიას არ ევალებოდა და არც განუხილავს საქართველოს ამა თუ იმ კუთხისათვის ავტონომიური სტატუსის მინიჭების, მისი კომპეტენციის, ცენტრთან ურთიერთობის თუ სხვა მსგავსი თემები. მაგრამ ის გარემოება, რომ ავტონომიურად გამოცხადებული ქვეყნის ცალკეული რეგიონის, მათ შორის სამუსლიმანო საქართველოს შიდა ადმინისტრაციული მოწყობის პრობლემა კომისიის წევრებმა დეტალურად დაამუშავეს, ცხადყოფს, რომ ცენტრალურ ხელისუფლებას ეს საკითხი თავის სრულ პრეროგატივად მიაჩნდა.

²⁸ პროექტი საქართველოს ტერიტორიის დანაწილებისა ახალ საადმინისტრაციო ერთეულებად, გვ. 42.

²⁹ პროექტი საქართველოს ტერიტორიის დანაწილებისა ახალ საადმინისტრაციო ერთეულებად, გვ. 42-43.

მიუხედავად ამისა, სამუსლიმანო საქართველოს ბედის გადაწყვეტა გაჭიანურდა. ბევრი ადგილობრივი მოღვაწე დარწმუნებული იყო, რომ საქართველოს ხელისუფლება დანაპირებს შეასრულებდა. მაგალითად, გენერალი ასლან აბაშიძე ქართველი მუსლიმანებისადმი მიმართვაში აცხადებდა: „სიტყვა და გადაწყვეტილება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისა – ბეჭედი. დიახ, სიტყვა საქართველოს ღირსეული ბელადის ბატონ ნოე ჟორდანიასი – მტკიცეა. მან მოგვმართა ჩვენ, მუსლიმან ქართველებს, მოწოდებით და აღვკითქვა, რომ სამუსლიმანო საქართველოს აუცილებლათ მიენიჭება ავტონომია და ეს სიტყვა უსათუოდ შესრულდება“.³⁰ თუმცა ცნობილია ისიც, რომ მეჯლისის თავმჯდომარე მემედ აბაშიძე 1920 წლის 4 მაისით დათარიღებულ მიმართვაში ნოე ჟორდანიასადმი მწუხარებას გამოთქვამდა, რადგან მეჯლისის დადგენილება – სამუსლიმანო საქართველოს დედა-სამშობლოსთან გაერთიანების შესახებ ჯერაც არ იყო სისრულეში მოყვანილი.³¹

1920 წლის ივლისში ბრიტანეთის ჯარებმა ბათუმი დატოვეს. ბათუმსა და მის ოლქზე აღდგა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სრული იურისდიქცია, მაგრამ ქვეყნის ხელისუფლებას ამ კუთხის ავტონომია მაშინვე არ გამოუცხადებია. ეს იმით აიხსნება, რომ რეგიონში კვლავ რჩებოდა ანტიქართული მოძრაობის არაერთი კერა (რუსთა ეროვნული საბჭო, ადგილობრივი ბოლშევიკური ორგანიზაცია, მეზობელ სახელმწიფოთა აგენტურული ქსელი) და არსებობდა სეპარატიზმის რეალური საფრთხე. სამუსლიმანო საქართველოში ვითარების სტაბილიზაციამდე შემოდებულ იქნა სამხედრო წესებთან შეფარდებული საგანგებო მართვა-გამგეობა და ოლქის კომისრად ცნობილი სოციალ-დემოკრატი, დამფუძნებელი კრების წევრი ბენია ჩხიკვიშვილი დაინიშნა (ჩხიკვიშვილი იმავდროულად თბილისის ქალაქის თავის თანამდებობაზეც რჩებოდა).

1920 წლის აგვისტოს დამდეგს სამუსლიმანო საქართველოს მეჯლისის დელეგაცია თბილისში ჩამოვიდა და მხარის ადმინისტრაციული მოწყობის საკითხზე ცენტრალურ მთავრობასთან მოლაპარაკება გამართა. ვიზიტის დღეებში მეჯლისის თავმჯდომარე მემედ აბაშიძემ საქართველოს დეპუტათა სააგენტოს კორესპონდენტს შემდეგი განუცხადა: „საქართველოს მთავრობამ, რომელიც მომენტს ანგარიშს უწევს, ცოტა სხვანაირი დადგენილება გამოიტანა, რომელსაც მეჯლისი ვერ მიიღებს. ჩვენ ავტონომია ისე გვაქვს წარ-

³⁰ გაზ.: „სამუსლიმანო საქართველო“. 1920 წელი. 17 თებერვალი.

³¹ მ. აბაშიძე. თხზულებანი, გვ. 308.

მოდგენილი, რომ კითხვები, რომლებიც გარეშე საქმეებს და ფინანსურ პოლიტიკას შეეხება, აგრეთვე სამხედრო მოწყობილობას და იმ შინაგან საქმეებს, რომლებსაც საერთო-სახელმწიფოებრივი ხასიათი აქვთ, უნდა გადასწყვიტოს ცენტრალურმა კანონმდებლობითა და აღმასრულებელმა ორგანოებმა. ის საკითხები კი, რომლებსაც ოლქისათვის ადგილობრივი ხასიათი აქვს, ადგილობრივი სახელმწიფოებრივი აპარატის საშუალებით უნდა გაირჩეს, ადგილობრივ პირობებთან შეფარდებით უნდა გადაწყდეს აგრეთვე აგრარული საკითხი“. მემედ აბაშიძის სიტყვით, მეჯლისის დადგენილებაში აღნიშნული ყოფილა: „რესპუბლიკის დამფუძნებელი კრება მუშაობს მეჯლისთან შეთანხმებით და აჭარის ავტონომიას აცხადებს“.³²

უნდა ითქვას, რომ სამუსლიმანო საქართველოს განთავისუფლების კომიტეტისა და მეჯლისის ყველა წევრი ასე არ ფიქრობდა. ჰაიდარ აბაშიძის გადმოცემით, „ავტონომიის საკითხის ირგვლივ უთანხმოება გეჭონდა. ვინაიდან კომიტეტის ნაწილს ზედმეტად მიგვაჩნდა ორ ძმათა შორის მიჯნებზე ლაპარაკი. ...დემოკრატიული მთავრობა ...ჩვენს პოზიციას „ავტონომიის“ წინააღმდეგ სთვლიდა არასწორად. ...მახსოვს ერთხელ ნოე რამიშვილი მე და ზია-ბეგ აბაშიძეს როგორ გულმოდგინედ გვიჩინდა „სამუსლიმანო საქართველოს“ ავტონომიის შესაძლებლობას და მისი დაცვის აუცილებლობას“.³³ მეჯლისში მხარის ადმინისტრაციული მოწყობის სამი განსხვავებული თვალსაზრისი არსებობდა. იყვნენ ავტონომიის ერთგულნი, სტატუს კვოს მომხრენი და ავტონომიის მოწინააღმდეგენი. ეს უკანასკნელნი მიიჩნევდნენ, რომ „ადგილობრივი ელემენტები“ ავტონომიის შესაქმნელად არ არიან მომზადებულნი და არც ეკონომიკა და ფინანსები იძლევიან ამის საშუალებას. ამასთან, უაზრობაა ავტონომია მაშინ, „როდესაც საქმე ეხება ერთი და იგივე ერის წარმომადგენლებს“. ამ ჯგუფის ერთ-ერთი წევრის თაჰსინ ხიმშიაშვილის აზრით, ქართველ მუსულმანებს მხოლოდ ორი საკითხი აინტერესებდათ – „სკოლა და სარწმუნოება“. ხალხი ავტონომიაში მხოლოდ სკოლისა და რელიგიის საქმეებს გულისხმობს და თუ ისინი გადაიჭრა, ავტონომიის მომხრენი მარტო აღები და ბეგები დარჩებიან. „ავტონომია კია არა, – თუ ერობის მოწყობა შევძლეთ და გამოვიყენეთ ის უფლებები, რასაც იგი იძლევა, – ესეც

³² გაზ.: „საქართველოს რესპუბლიკა“. 1920 წელი. 4 აგვისტო; ასევე, მ. აბაშიძე. თხზულებანი. ბათ. 1998, გვ. 403-404.

³³ ე. მესხია. სამხრეთ-დასავლეთ საქართველო 1918-1921 წლებში (საზოგადოებრივ-პოლიტიკური ისტორია). ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია. თბ. 2003 (ხელნაწერი), გვ. 275.

ჩვენთვის დიდი ბედნიერება იქნება“, – წერდა თ. ხიმშიაშვილი და განმარტავდა, რომ „ეროზა როგორც ერთნაირი ადმინისტრაციული დეცენტრალიზაცია მისცემს ხალხს იმ უფლებებს, რასაც იგი ითხოვს. ადგილობრივი საქმეები ადგილობრივად არჩეულ პირების საშუალებით იქნება მოგვარებული“.³⁴

მეჯლისის წევრი რ. ნიჟარაძე აცხადებდა: „ჩვენ გვინდა კარგი მმართველობა. ჩვენ ავტონომია არ გვესმის“. „სამუსლიმანო საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის“ წევრის, სოციალ-დემოკრატ ხ. თხილაიშვილის წარმოდგენით, რომელიც ასევე ერობის მომხრე იყო, ბათუმის ოლქის ავტონომია ფართო ადგილობრივი თვითმმართველობა უნდა ყოფილიყო.³⁵

სტატუს კვოს მომხრეთა აზრით, ბათუმის ოლქი რუსეთის იმპერიაშიც საკმარისი უფლებით სარგებლობდა, ამიტომ მისი შეცვლა სულაც არ იყო აუცილებელი.³⁶

ვითარება რეგიონში ბოლომდე მკაფიოდ გამორკვეული არ ყოფილა. თბილისიდან მივლენილმა კომისარმა თავისი რადიკალური მოქმედებით რამდენადმე შელახა ადგილობრივ მკვიდრთა უფლებები, შეაჩერა გაზეთ „სამუსლიმანო საქართველოს“ გამოცემა, მონიღომა „მეჯლისის“ გაუქმება და სხვა, რამაც ქართული საზოგადოებრივი აზრის მკვეთრი რეაქცია გამოიწვია. შექმნილი რეალობის ადგილზე გასაცნობად ხელისუფლებამ ბათუმში სარევიზიოდ გაგზავნა დამფუძნებელი კრების წევრი პეტრე გელეიშვილი. ამ უკანასკნელმა არა მხოლოდ დაადასტურა გავრცელებული ხმები ოლქის მართვა-გამგეობაში არსებული ხარვეზების შესახებ, არამედ სურათი კიდევ უფრო მკვეთრ ფერებში წარმოადგინა. ამასთან, აღსანიშნავია, რომ მთავრობის თავმჯდომარის სახელზე შედგენილ მოხსენებით ბარათში პ. გელეიშვილი ხაზგასმით მიუთითებდა: „პირველი, რასაც აქ ყველგან გაიგონებთ, არის ავტონომია. დიდი და პატარა, ბეგი, გლეხი თუ სასულიერო პირი, ნასწავლი თუ უსწავლელი, პირველი გაცნობისთანავე ავტონომიას მოგახლის პირში. ამით დაიწყებს და ამით გაათავებს თქვენთან ლაპარაკს“.³⁷

მთავრობა იძულებული გახდა ბ. ჩხიკვიშვილი უკანვე გამოეწვია. მის

³⁴ გაზ.: „ერთობა“. 1920 წელი. 30 ნოემბერი.

³⁵ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები. III, გვ. 508.

³⁶ ე. მესხია, სამხრეთ-დასავლეთ საქართველო 1918-1921 წლებში (საზოგადოებრივ-პოლიტიკური ისტორია), გვ. 274.

³⁷ პოლიტიკური სიტუაცია აჭარაში (1920 წელი). პ. გელეიშვილის მოხსენებითი ბარათი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს. ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს და შესავალი წერილი დაურთეს ა. სილაგაძემ და ვ. გურუღმა. თბ. 1998, გვ. 22-23.

ნაცვლად ბათუმში წარგზავნეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ყოფილი სამხედრო მინისტრი გრიგოლ გიორგაძე. საქართველოს ხელისუფლების აზრით, ოლქის საგანგებო მართვა-გამგეობა ე.წ. გარდამავალი პერიოდი იქნებოდა, 1921 წლის იანვრისათვის გათვალისწინებული იყო ბათუმის საქალაქო არჩევნების ჩატარება³⁸, რითაც საგანგებო კომისრის მისია უნდა დასრულებულიყო. შინაგან საქმეთა მინისტრი ნოე რამიშვილი 1920 წ. 14 ნოემბერს გამართულ ბათუმის ოლქის წარმომადგენელთა თათბირს აღუთქვამდა, რომ დამფუძნებელი კრება მალე შეიმუშავებდა პროექტს, რომელიც საბოლოოდ ჩამოაყალიბებდა ადგილობრივ საქმეთა მმართველობის ორგანიზაციას.³⁹

ოპოზიციური პოლიტიკური ძალების წარმომადგენლები, განსაკუთრებით ეროვნული და ეროვნულ-დემოკრატიული პარტიები მოუწოდებდნენ ხელისუფლებას, რომ დაეჩქარებინა სამუსლიმანო საქართველოს საკითხის გადაწყვეტა. დამფუძნებელი კრების სხდომაზე გამოსვლისას სპირიდონ კედია აღნიშნავდა: თუ სამუსლიმანო საქართველო ისტორიულ სამშობლოს შეუერთდა, ეს იყო უმთავრესად შედეგი ქართველ მუსლიმთა შეგნებული ნაწილისა. „აი ამ შემოქმედ შეგნებულ ნაწილს სამუსლიმანო საქართველოსას განაპიროვნებდა მეჯლისი, რომელმაც საქვეყნოდ გამოაცხადა სამუსლიმანო საქართველოს დედა სამშობლოსთან შეერთების ნებისყოფა. ...ჩვენ უნდა გავანადღოთ ის განცხადება, რომელიც მეჯლისმა წარმოადგინა და ის დაპირება, რომელიც მას აღუთქვით: ცნობა სამუსლიმანო საქართველოს თავისებურობისა და ამ თავისებურობის დამცველი ავტონომიისა“.⁴⁰

გრიგოლ ვეშაპელის სიტყვით, „საქართველოს ჰქონდა იდეა სამუსლიმანო საქართველოს ბედის მოწყობისა — ეს იყო იდეა ავტონომიისა. ...ბათუმის შემოერთების შემდეგ უსათუოდ დიდ შეცდომას წარმოადგენს ის, რომ ეს იდეა თითქმის დაიწრდილა და არ წარმოადგენს დღევანდელ პრაქტიკული პოლიტიკის საგანს. ...საჭირო არის ამ იდეის დაუყოვნებლივ განხორციელება“.⁴¹

ოპოზიციონერ დეპუტატთა ამ მოთხოვნებმა განაპირობეს, რომ საქართველოს უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ თავის რეზოლუციაში საგანგებოდ აღნიშნა: „გაივლის საფრთხე და დამფუძნებელ კრებას საშუალება მიეცემა განაგრძოს ორგანული მუშაობა შინაური ცხოვრების მოსაწყობად, რო-

³⁸ გაზ.: „საქართველო“. 1920 წელი. № 155.

³⁹ გაზ.: „ერთობა“. 1920 წელი. 16 ნოემბერი.

⁴⁰ საქართველოს დამფუძნებელი კრება. 1920 წლის 5 ნოემბრის 53-ე სხდომის სტენოგრაფიული ანგარიში, გვ. 13.

⁴¹ საქართველოს დამფუძნებელი კრება. 1920 წლის 5 ნოემბრის 53-ე სხდომის სტენოგრაფიული ანგარიში, გვ. 23.

გორც ცენტრში, ისე სამუსლიმანო საქართველოში, სადაც ადგილობრივი პირობების მიხედვით განხორციელებული იქნება მმართველობის დემოკრატიული წესი ავტონომიურ ნიადაგზე“.⁴²

აუცილებელია ითქვას, რომ საქართველოს მთავრობა თავისი დაპირების ერთგული იყო და სიტყვის გატეხვას არ აპირებდა. ამას ნათლად ცხადყოფს იმხანად გამოქვეყნებული საქართველოს კონსტიტუციის პროექტი, რომლის 120-ე მუხლით სამუსლიმანო საქართველოს მმართველობა ავტონომიურ პრინციპს უნდა დაფუძნებოდა.

სამუსლიმანო საქართველოსთვის რომ ავტონომია „ცარიელი სიტყვა“ არ იყო,⁴³ ეს კიდევ ერთხელ მკაფიოდ და ნათლად გამოიკვეთა 1921 წლის დასაწყისში. 3 და 4 იანვარს მეჯლისმა დაამტკიცა „სამუსლიმანო საქართველოს ავტონომიის ძირითადი დებულებანი“, რომელიც პრესაშიც დაიბეჭდა⁴⁴ და განსახილველად და დასამტკიცებლად საქართველოს დამფუძნებელ კრებას გადაეგზავნა. დოკუმენტი, იგივე კონსტიტუციის პროექტი, არსებითად ბათუმის ოლქის ქართველ მაჰმადიანთა ყრილობის 1919 წლის 1 სექტემბრის დადგენილებას იმეორებდა და სამუსლიმანო საქართველოსთვის პოლიტიკური ავტონომიის დამკვიდრებას ითვალისწინებდა. „დებულებანის“ (შეღებვა 26 მუხლად დაყოფილი 5 თავისაგან) პირველი მუხლი აცხადებდა: „სამუსლიმანო საქართველო შედის დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში და მის განუკვეთელ ნაწილს წარმოადგენს ფართო ავტონომიური მართვა-გამგეობით“. მეორე მუხლის თანახმად, „კანონმდებლობის სფეროში როგორც მართვა-გამგეობისაში სამუსლიმანო საქართველო, როგორც ავტონომიური ერთეული დამოუკიდებელია, იმდენად, რამდენადაც ეს დამოუკიდებლობა ამ დებულებით არაა შეზღუდული“. მეცამეტე და მეთხუთმეტე მუხლებში კვითხულობთ: „სამუსლიმანო საქართველოს მეჯლისი ხელშეუხებელია, მხოლოდ მეჯლისისვე შეუძლიან თავის გაშვება (თვითლიკვიდაცია, – ო. ჯ.) და ახალი არჩევნების დანიშვნა“. „სამუსლიმანო საქართველოს მთავრობა პასუხისმგებელია მხოლოდ მეჯლისის წინაშე“.

სამუსლიმანო საქართველოს „დამოუკიდებელ გამგეობაში“ უნდა შესულიყო: სასამართლო, სახალხო განათლება, ადმინისტრაცია, ადგილობრივი თვითმმართველობათა, საქალაქო და სათემო ორგანოები, სახალხო ლეგიონი („რო-

⁴² საქართველოს დამფუძნებელი კრება. 1920 წლის 5 ნოემბრის 53-ე სხდომის სტენოგრაფიული ანგარიში, გვ. 42.

⁴³ გაზ.: „საქართველოს რესპუბლიკა“. 1920 წელი. № 257.

⁴⁴ გაზ.: „სამუსლიმანო საქართველო“. 1921 წელი. 7 იანვარი.

დესაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა საომარ მდგომარეობაშია, ლეგიონი ექვემდებარება საქართველოს ცენტრალურ მთავრობას“), ვაჭრობა და მრეწველობა, ადგილობრივი პროდუქციის მონოპოლია. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა და სამუსლიმანო საქართველოს ერთობლივ კომპეტენციას განეკუთვნებოდა: საგარეო პოლიტიკა, სამხედრო საკითხი, ფულისა და საფინანსო სისტემა, ფოსტა-ტელეგრაფი, სახელმწიფო რკინიგზა და შარავნები.⁴⁵

სამართლებრივი თვალსაზრისით, განხილული დოკუმენტის მიღება ნაჩქარევი იყო, რადგან მეჯლისის გადაწყვეტილება საქართველოს კონსტიტუციის პირობებს უნდა დაფუძნებოდა და არა პირიქით.⁴⁶ ამასთან, სამუსლიმანო საქართველოს ავტონომიის ძირითად დებულებათა თანახმად, რეგიონს არა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის, არამედ თვითმმართველი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის სტატუსი ენიჭებოდა. ის უნდა ყოფილიყო ფართო პოლიტიკური ავტონომიითა და კონკრეტული სახელმწიფოებრივი ატრიბუტიკით აღჭურვილი სუბიექტი.

საქართველოს ტერიტორიაზე ამგვარი სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური ერთეულის დაშვება ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს არ თანხვდებოდა. ნოე ჟორდანიას სიტყვით, „ერთ სახელმწიფოში არ უნდა იყოს მრავალი სახელმწიფო“.⁴⁷ საქართველოს დამფუძნებელ კრებაში წარმოდგენილი მთელი პოლიტიკური სპექტრი სახელმწიფო მოწყობის უნიტარიზმის პრინციპს იზიარებდა,⁴⁸ მაგრამ დეპუტატთა შორის არ იყო ერთიანობა რესპუბლიკის ფარგლებში ავტონომიების, მათ შორის სამუსლიმანო საქართველოს ავტონომიის აუცილებლობასთან დაკავშირებით. მაგალითად, ფედერალისტი სამსონ დადიანი მიიჩნევდა, რომ სამუსლიმანო საქართველოსათვის ავტონომიის დაპირება „პოლიტიკური კონიუნქტურა“ იყო. თუ არ დგებოდა საქართველოს სხვა კუთხეთა პოლიტიკური გამიჯვნის საკითხი, „შეუძლებელია არსებობდეს საკითხი სამუსლიმანო საქართველოს ავტონომიისა“, აცხადებდა იგი. თუმცა იქვე დასძინდა: რადგანაც სამუსლიმანო საქართველოს უკვე აღვუთქვით ავტონომია და იგი კონსტიტუციის პროექტშიც აღნიშნულია, „ამ ფაქტის წი-

⁴⁵ გაზ.: „სამუსლიმანო საქართველო“. 1921 წელი. 7 იანვარი.

⁴⁶ ი. მანველიძე. აჭარის ავტონომიის შექმნის ისტორიიდან (წარსული და თანამედროვეობა). წიგნში – საქართველოს სახელმწიფო – უნიტარული თუ ფედერაციული. ბათ. 2005, გვ. 83.

⁴⁷ გაზ.: „ერთობა“. 1920 წელი. 4 დეკემბერი.

⁴⁸ მ. მაცაბერძე. საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის პოლიტიკური კონცეფცია. თბ. 1996, გვ. 73-74.

ნაშე ვალდებული ვართ ქედი მოვიზაროთ“.⁴⁹ ასეთივე აზრისა იყო ეროვნულ-დემოკრატი გიორგი გვაზავაც. მისი თქმით, „ავტონომიის ტერმინს მოვათრევთ რევოლუციის შემდეგ, მას განაპირა კუთხეების მცხოვრებნი უკვე შეეჩვივნენ“, მათთვის ეს ერთგვარი გარანტიაა და უდიდესი მნიშვნელობა აქვს.⁵⁰

უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს წევრთა შორის უფრო მეტი თანხმობა იყო სამუსლიმანო საქართველოს ავტონომიის შინაარსზე. „ჩვენს ტაქტიკაზე და სახელმწიფოებრივი შემოქმედების უნარზე ჰკიდა, რა კონკრეტულ ფორმაში ჩამოისხმება ეს ავტონომია“ – აღნიშნავდა სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის წარმომადგენელი სამსონ დადიანი.⁵¹ სოციალ-დემოკრატ გიზო ანჯაფარიძეს, რომელიც იმავედროულად ბათუმის ქალაქის თავიც იყო, რეგიონისთვის საკმარისად წარმოდგინა კულტურული ავტონომია.⁵² სხვა საპარლამენტო ფრაქციები მიიჩნევდნენ, რომ სამუსლიმანო საქართველოს ავტონომია თავისი არსით თვითმმართველობის ფარგლებს არ უნდა გასცდენოდა.

იგივე აზრისა იყო ქართული საერობო ბეჭდვითი სიტყვაც. მაგალითად, თბილისში გამომაკალი ჟურნალ „ერობის“ რედაქცია, რომელიც მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობდა ბათუმის ოლქში მმართველობისა და თვითმმართველობის მოწყობას, მიიჩნევდა, რომ სამუსლიმანო საქართველოს აღდგენაში, მის ეკონომიკურ, პოლიტიკურ თუ კულტურულ დაწინაურებაში მთავარი სიტყვა „კარგ მმართველობას“ ეთქმოდა, რომელიც „იგივე თვითმმართველობა, იგივე ადგილობრივი ავტონომია იქნება“.⁵³

დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარე პავლე საყვარელიძე მიუთითებდა, რომ სამუსლიმანო საქართველო არ იქნებოდა სახელმწიფოებრივი ავტონომია და განმარტავდა: „სახელმწიფო საზღვრებში არ არის ცალკე სახელმწიფო ტერიტორია აფხაზეთისა, ტერიტორია აჭარისა, არამედ არის ტერიტორია საქართველოს რესპუბლიკისა და ამ ტერიტორიის ფარგლებში ამ ნაწილთ მიეცემათ განსაკუთრებული მართვა-გამგეობა“.⁵⁴

აკაკი ჩხენკელი, რომელიც უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში მმართველ სოციალ-დემოკრატიულ პარტიას წარმოადგენდა, კიდევ უფრო აკონ-

⁴⁹ გაზ.: „სახალხო საქმე“. 1920 წელი. 6 ნოემბერი.

⁵⁰ მ. მაცაბერიძე. საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის პოლიტიკური კონცეფცია, გვ. 97.

⁵¹ გაზ.: „სახალხო საქმე“, 1920 წელი. 6 ნოემბერი.

⁵² სცსა. ფონდი 1833. ანაწ. I. საქმ. №4. ფურც. 19-25.

⁵³ ჟურნ.: „ერობა“. 1920 წელი. № 5, გვ. 1-2.

⁵⁴ სცსა. ფონდი 1833. ანაწ. I. საქ. №859. ფურც. 27.

კრებდა და ხაზს უსვამდა, რომ ავტონომიის შინაარსი „შეიძლება არ გაცოდეს ჩვენი ერობის უფლებებს“.⁵⁵

ქართული პოლიტიკური სპექტრის შეხედულება აისახა 1921 წლის 21 თებერვალს დამტკიცებულ საქართველოს კონსტიტუციაში. სახელმწიფოს ძირითადი კანონის 107-ე მუხლში ჩაიწერა: „საქართველოს რესპუბლიკის განუყოფელ ნაწილებს – აფხაზეთს (სოხუმის ოლქი), სამუსლიმანო საქართველოს (ბათუმის მხარე) და ზაქათალას (ზაქათალას ოლქი), ენიჭებათ ადგილობრივ საქმეებში ავტონომიური მმართველობა“. კონსტიტუციას არ განუსაზღვრავს ავტონომიის კომპეტენცია. ავტონომიურ მმართველობათა დებულება ცალკე კანონით უნდა შემუშავებულიყო. მართალია, ასეთი კანონის მიღება ვეღარ მოესწრო, მაგრამ მტკიცება იმისა, რომ „ადგილობრივ საქმეებში ავტონომიური მმართველობა“ არ ნიშნავდა სახელმწიფოში ახალი სახელმწიფო წარმონაქმნის აღმოცენებას, ნამდვილად შეიძლება.

განსახილველი საკითხის კვლევით, სამუსლიმანო საქართველოს ავტონომია ქვეყნის სხვა ოლქების ერობებზე რამდენადმე აღმატებულ თვითმმართველობის ფორმად გაიზარება. მართალია, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში არ გამიყენებოდა „ასიმეტრიული თვითმმართველობის“ ცნება, მაგრამ სამუსლიმანო საქართველოს სტატუსი ფართო ადგილობრივი თვითმმართველობის სწორედ ამგვარ ფარგლებში უნდა წარმოვიდგინოთ.

დასასრულ, საჭიროა მოკლედ ერთ საკითხსაც შევეხეთ: საბჭოთა ისტორიოგრაფიაში სამუსლიმანო საქართველოს ავტონომია მცდარად იყო გაიგებებული აჭარის ავტონომიასთან. სამწუხაროდ, ზოგიერთი ავტორი იგივე შეხედულებას პოსტსაბჭოთა პერიოდშიც იზიარებდა და მიიჩნევდა, რომ აჭარის ავტონომიას საფუძველი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წლებში ჩაეყარა. სინამდვილეში, საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ავტონომია კონსტიტუციურად დაუკანონდა არა აჭარას, არამედ სამუსლიმანო საქართველოს, რომელიც მხოლოდ აჭარით არ შემოიფარგლებოდა და მასთან ერთად კლარჯეთსაც (ართვინის ოლქი) მოიცავდა. რაც შეეხება აჭარის ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას, რომელიც საქართველოს რევკომის 1921 წლის 16 ივლისის დეკრეტით შეიქმნა და სამუსლიმანო საქართველოს ავტონომიისაგან მკვეთრად განსხვავებული დატვირთვა შეიძინა, იგი ბოლშევიკურ-საბჭოური წარმონაქმნია და მას საქართველოს პირველ რესპუბლიკასთან საერთო არაფერი აქვს.

⁵⁵ მ. მაცაბერიძე. საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის პოლიტიკური კონცეფცია, გვ. 97.

Otar Janelidze

**FROM THE HISTORY OF ADMINISTRATIVE-TERRITORIAL
ARRANGEMENT OF GEORGIA
(THE AUTONOMY OF “MUSLIM GEORGIA”)**

Summary

“Muslim Georgia” was the name of the historical provinces of the South-Western Georgia, being captured and occupied by the Ottoman Empire at different times, gradually Muslimizing its inhabitants. In the 19th century, these lands were transferred into the borders of the Russian Empire as a result of the Turkish-Russian Wars, being re-united to the historical motherland – Georgia.

The long life under foreign rule, Muslim religion and different kinds of migration and assimilation processes, caused alienation of the local population of these regions from Georgia. This circumstances posed serious difficulties to the Democratic Republic of Georgia. Meanwhile, according to the Treaty of Brest of 1918, the Soviet Russia handed over the provinces of Batumi, Karsi and Artaani to the Ottoman Empire and the jurisdiction of the Georgian State was no longer exercised over these lands.

Historical Meskheti (Administrative Units [*Mazra*] of Akhaltsikhe and Akhalkalaki) were contested by Armenia and Azerbaijan. The local Begs also became active, being supported and backed by Ottomans, General Denikin and English army of the Caucasus in their separatist claims. Till July, 1920, Batumi was occupied by the military units of the Union States.

Under such circumstances, the pro-Georgian aristocracy of the “Muslim Georgia”, being motivated by the restoration of relations and unity with the historical homeland, on the one hand, and taking care over their privileges, on the other hand, raised the issue of incorporation into Georgia, bearing the special status.

The governors of the Democratic Republic of Georgia granted the autonomous status (autonomous self-government in the local affairs) to the Batumi Province [*Mazra*] (uniting Adjara and Klarjeti), as taking the cultural and economic specifics of the regional development into consideration. The decision was endorsed by the Constitution, although the real essence of autonomy was not defined. The special law regarding the issue was not drafted.

დimitრი სილაქაძე

საქართველოს I დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო გვარდიის საორგანიზაციო-საშტატო სტრუქტურისა და რიცხოვნების საკითხისათვის

საქართველოს I დემოკრატიულ რესპუბლიკაში არსებობდა ორი ტიპის შეიარაღებული ძალა, რეგულარული არმია და მოხალისეობის პრინციპზე დაფუძნებული სახალხო გვარდია, რომელიც მხოლოდ ომის დროს ექვემდებარებოდა მთავარსარდალს ჩვენს მიზანი არ წარმოადგენს, ვისაუბროთ ასეთი ტიპის შეიარაღებული ძალის მიზანშეწონილობაზე, არც გვარდიის მიერ ჩატარებული სამხედრო ოპერაციების განხილვა გვსურს. ნაშრომის მიზანია განვასაზღვროთ სახალხო გვარდიის საორგანიზაციო-საშტატო სტრუქტურა და რიცხოვნება. ჩვენი აზრით, ამ მხრივ მიუხედავად იმისა, რომ გვაქვს მემუარული ლიტერატურისა და რუსეთის დაზვერვის მონაცემები, გარკვეული დეტალები: რეგულარულ და სარეზერვო ნაწილების ზუსტი სახელწოდებები, რაოდენობა და რიცხოვნობა, დაზუსტებას მოითხოვს, რასაც საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში დაცული დოკუმენტების საშუალებით შევცდებით.

ქართულ მემუარულ ლიტერატურაში მონაცემები სახალხო გვარდიის შენაერთების რაოდენობის და რიცხოვნობის შესახებ განსხვავებულია, მაგალითად, გენერალი გიორგი მაზნიაშვილი ასახელებს 4 მუღმივ და 12 სარეზერვო ბატალიონს.¹ გვარდიის, იმერეთის მეორე ბატალიონის მეთაური აკაკი კვიციანიშვილი კი ერთმანეთისაგან გამოყოფდა რეგულარულ ნაწილებს: საგანგებო ბატალიონი; სატყვიამფრქვევო ბატალიონი; საპიორთა (მესანგრეთა) ერთეული, საარტილერიო ბრიგადა (ექვსი ბატარეა); ჯავშან ავტომობილთა ერთეული, საბარგო ავტომობილთა ერთეული და ცხენოსანი პოლკი (ექვსი

¹ გ. მაზნიაშვილი. მოგონებანი. თბ. 1927, გვ. 149.

**დიმიტრი სილაქაძე. საქართველოს I დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო
გვარდიის საორგანიზაციო-საშტატო სტრუქტურა და რიცხოვნების
საკითხისათვის**

ესკადრონი) და 20 სარეზერვო ბატალიონს.² საქართველოს რეგულარული არმიის გენერალური შტაბის უფროსი ალექსანდრე ზაქარიასძეს კი გვარდიის მხოლოდ 24 სერეზერვო ბატალიონზე აქვს საუბარი საკუთარ მოგონებებში.³ გენერალი ილია ოდიშელიძე კი წერდა, რომ გვარდიას მხოლოდ 17 ბატალიონის მობილიზება შეეძლო (თითოეულში არა უმეტეს 500 კაცისა) და სამი ესკადრონი, ცხენოსნისა.⁴

საბჭოთა რუსეთის სტრატეგიული დაზვერვის 1921 წლის პირველი იანვრის მონაცემებით, სახალხო გვარდია შედგებოდა: ერთი მუდმივი და 23 სარეზერვო ქვეითი ბატალიონისაგან. ცხენოსანი პოლკისაგან, რომელსაც ომის დროს მეორე ცხენოსანი პოლკი დაემატებოდა. ასევე სამი დივიზიონისაგან შემდგარი საარტილერიო ბრიგადისა (სულ 7 ბატარეა) და ტექნიკური ნაწილები: საინჟინრო, სარკინიგზო და ჯავშანავტომობილთა ასეულები.⁵ ზემოთ ჩამოთვლილი არც ერთი წყარო გვარდიელთა რიცხოვნობას არ განსაზღვრავს, საბჭოთა რუსეთის სამხედრო ატაშე საქართველოში პავლე სიტინი კი თავის საიდუმლო მოხსენებაში სათაურით – „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალები“ ქვეითი ბატალიონების რიცხვს, საგანგებო ქვეითი და სარეზერვო ბატალიონების ჩათვლით 16 ერთეულით განსაზღვრავს. თითო ბატალიონის რიცხოვნობას კი 800-1000 კაცით, ხოლო სრულ სამობილიზაციო შესაძლებლობებს 15 000 გვარდიელით.⁶

² ა. კვიციანიშვილი. რუსეთ-საქართველოს ომი 1921 წელს საქართველოს ოკუპაცია რუსეთის მიერ. შურნ.: „განთიადი“. თბ. 1990. №2, გვ. 177.

³ აღ. ზაქარიასძე. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1917-1921). გ. შარაძე. ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია. ტ. IV. თბ. 2003, გვ. 242.

⁴ ი. ოდიშელიძე. საქართველოს დამარცხების მიზეზები. გ. შარაძე. ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია. ტ. VI. თბ. 2005, გვ. 384. ოდიშელიძის მოხსენება, გამოქვეყნებულია, პარიზში გამომაველ რუსულენოვან ჟურნალ „კავკაზისა“ და ბერლინში გამომაველ ქართულენოვან ჟურნალ „კლდის“ 1935-36 წლის ნომრებში. გენერალი ამ დროისათვის გარდაცვლილი იყო.

⁵ Материалы стратегической разведки РСФСР. Грузия. Данные о вооруженных силах и краткой обзор политического, экономического и международного положения Грузии (По состоянию к 1 Января 1921 Г.). М. 1921. გვ. 27-28.

⁶ საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი (შემდგეში სცსა). ფონდი. 1874. (საქართველოში რსფსრ სრულუფლებიანი წარმომადგენლობის სამხედრო ატაშეს ფონდი) აღწერა №1. საქმე. 5 ფურც. 24-25, 32. უნდა აღინიშნოს, რომ ეს დოკუმენტი საქართველოს შეიარაღებული ძალების შესახებ ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს. გარდა რუსეთის სამხედრო ატაშეს ფონდისა, ეს საქმე დაცულია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო სამინისტროს ფონდში № 1969. აღწერა 1. საქმე 670. ჩვენთვის უცნობია ეს არქივარიუსის შეცდომაა, თუ თავის დროზე ქართულმა დაზვერვამ ხელში ჩაიგდო ეს დოკუმენტი და ამიტომაც არის მოთავსებული სამხედრო სამინისტროს გე-

რუსული საბჭოთა ისტორიოგრაფია, ყოველგვარი წყაროს მითითების გარეშე განსაზღვრავს სახალხო გვარდიელთა მხოლოდ რიცხოვნობას 34 400 ქვეითთა და 500 ცხენოსნით.⁷

ქართული მხრიდან გვარდიის ორგანიზაციას პირველად შეეხო, რომან მკურნალი,⁸ ნარკვევში – „მიზეზნი ჩვენი დამარცხებისა“, რომელიც დაიბეჭდა 1934 წელს ბერლინში გამომავალ ქართულ პეიოლულ გამოცემა კლდის 2-6 ნომრებში და ეხებოდა საბჭოთა რუსეთის მხრიდან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციას. რომან მკურნალი წერდა, რომ გვარდიაში იყო 18 ქვეითი ბატალიონი (18 000 ზიშტი, თუმცა, მისი მონაცემებით, ქვეითი ნაწილები საბჭოთა რუსეთთან ომის დროს მხოლოდ 7000-8000 კაცს ითვლიდა), ცხენოსანი დივიზიონი (500 ხმალი, რეალურად კი 300), 1 საარტილერიო ბრიგადა, (2 დივიზიონი, 16 ზარბაზანი), ჯავშანმატარებელთა 1 დივიზიონი.⁹ ისტორიკოსი მიხეილ ბახტაძე, ნაშრომში - „ბრძოლა თბილისის დაცვისათვის 1921 წლის საქართველო-რუსეთის ომის დროს“ გვარდიის შენაერთთა ჩამოთვლისას იმოწმებს აკაკი კვიციანიშვილის მონაცემებს, თუმცა ფრჩხილებში უთითებს, რომ სხვა მონაცემებით სარეზერვო ბატალიონების რაოდენობა 23-ს აღწევდა და არა ოცს, როგორც მემუარშია წარმოდგენილი.¹⁰ ისტორიკოსი გიორგი ანნაბაძე კი აღნიშნავს, რომ გვარდიაში იყო რეგულარული ნაწილები: ერთი ქვეითი ბატალიონი, ცხენოსანი პოლკი, საარ-

ნერალური შტაბის საქადალდეში. ჩვენი აზრით ამ დოკუმენტის მოკლე შინაარსი, გამოქვეყნებული აქვს მალხაზ მაცაბერიძეს. მართალია ის არ მიუთითებს საარტილერიო მონაცემს, მაგრამ საკუთარ მოხსენებაში, რომელიც შემდგომ დაიბეჭდა დასძენს, რომ ქართული არმიის ხარვეზებზე მიუთითებდა საბჭოთა რუსეთის დაზვერვა (იხ: მ. მაცაბერიძე. 1921 წლის გაკვეთილები: არმიის ბრძოლისუნარიანობა მის მშენებელთა გონიერებასა და კეთილსინდისიერებაზე და მოკიდებული. რუსეთ-საქართველოს 1921 წლის ომი: შედეგები და გაკვეთილები. თბ. 2009, გვ. 5); ჩვენთვის ცნობილია, რუსეთის საბჭოთა დაზვერვის ორი მონაცემი ქართული არმიის შესახებ: საბჭოთა რუსეთის სტრატეგიული დაზვერვის 1921 წლის 1 იანვრის მონაცემები და რუსეთის სამხედრო ატაშეს მიერ შედგენილი დოკუმენტი, მალხაზ მაცაბერიძის მიერ გამოქვეყნებული მოხსენება სწორედ ამ უკანასკნელთან პოვნებს მსგავსებას.

⁷ А. Б. Кадышев. Интервенция и гражданская война в Закавказье..., 1960, გვ. 386; მ. ტრასკუნოვი. საბრძოლო თანამეგობრობის სახელოვანი ფურცლები (XI წითელი არმიის ისტორიიდან). თბ. 1962.

⁸ ამ ფსევდონიმის უკან მდგარი პიროვნების იდენტიფიკაციის სპეციალური კვლევა ჩვენ არ გვიწარმოებია.

⁹ რომან მკურნალი. მიზეზნი ჩვენი დამარცხებისა. გ. შარაძე. ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია. ტ. VI, გვ. 329.

¹⁰ მ. ბახტაძე. ბრძოლა თბილისის დაცვისათვის 1921 წლის საქართველო-რუსეთის ომის დროს. თბ. 2009, გვ. 17.

ტილერიო ბრიგადა, ტექნიკური ნაწილები და 23 სარეზერვო ქვეითი ბატალიონი.¹¹ ანჩაბაძე არ უთითებს, მისი მონაცემების წყაროს, თუმცა მისი მონაცემები ზუსტად ემთხვევა საბჭოთა რუსეთის სტრატეგიული დაზრვერვის მონაცემებს, რაც გვაფიქრებინებს, რომ ავტორი სწორედ ამ წყაროს უნდა დაყრდნობოდა.

როგორც ვხედავთ, წყაროებსა და ისტორიოგრაფიაში ერთმანეთისაგან განსხვავებული მონაცემები გვხვდება. არ არსებობს ზუსტი პასუხი, გვარდიის რეგულარულ და სარეზერვო ნაწილების ზუსტ რაოდენობაზე, შიდა სტრუქტურაზე, დასახელებასა თუ რიცხოვნობაზე. ამ კითხვებზე პასუხის გაცემას – შეეცდებით ცენტრალური საისტორიო არქივის, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრებისა და სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის ფონდებში მმოპოვებული დოკუმენტების მეშვეობით.

საქართველოს ეროვნულმა საბჭომ 1918 წლის 2 ივლისს მიიღო კანონი „საქართველოს რესპუბლიკის სახალხო გვარდიის შესახებ“. კანონის მიხედვით, გვარდიის მიზანი დამოუკიდებელი რესპუბლიკის, მისი დამოუკიდებლობის და თავისუფლების დაცვას შეადგენდა. გვარდიაში სამსახური შეეძლო ნებისმიერ მოქალაქეს, რომელიც არ ირიცხებოდა ნამდვილ სამხედრო სამსახურში, სახალხო გვარდიელი ვალდებული იყო მთავრობის მოწოდებისთანავე გამცხადებულიყო საკუთარ რაიონულ შტაბში, იმ იარაღით და აღკაზმულობით, რომელიც მას ჰქონდა მიბარებული შტაბისაგან. მოხალისეთათვის გვარდიაში სამსახური უსასყიდლო იყო, თუმცა სამსახურებრივი მოვალეობის აღსრულების დროს მას ეძლეოდა მთავრობისაგან დახმარება. ხოლო ინსტრუქტორები და ოფიცრები იღებდნენ სახალხო გვარდიის მთავარი შტაბისაგან მიღებულ ჯამაგირს. უმაღლესი მმართველი ორგანო იყო მთავარი შტაბი, რომელსაც ირჩევდა მთავრობის თავმჯდომარე მათ მიერვე წარმოდგენილ კანდიდატებისაგან. მთავარი შტაბი რეგიონებში ფუნქციონირებას ახდენდა რეგიონალური შტაბების მეშვეობით. სახალხო გვარდიის გაწვევა შეეძლო მთავრობის თავმჯდომარეს, თუ მისთვის შეუძლებელი იყო ამ უფლებით სარგებლობა, გვარდიის გამოწვევა უფლება ჰქონდა ეროვნული საბჭოს თავმჯდომარეს. საგანგებო ვითარებაში ამ ფუნქციით სარგებლობა შეეძლო მთავ-

¹¹ გ. ანჩაბაძე. საქართველოს სამხედრო ისტორიის საკითხები (1921 წლამდე). ქართული ჯარი 1918-1921 წლებში. თბ. 2010, გვ. 180-181; გ. ანჩაბაძის „ქართული ჯარი 1918-1921 წლებში“ პირველად დაიბეჭდა მისივე ნაშრომში – „სამხედრო ისტორია“. ლექციების კურსი. თბ. 2002.

ვარ და რაიონულ შტაბებს.¹² 1919 წლის დეკემბერში დამტკიცდა ახალი კანონი სახალხო გვარდიისა, სადაც ზუსტად გაიწერა გვარდიის რეგულარული ნაწილების სახელწოდებები, საორგანიზაციო-სამატალო სტრუქტურა და რიცხოვნობა. ზუსტად იყო განსაზღვრული სარეზერვო ბატალიონების რაოდენობა, სახელწოდებები, თუ რომელ ოლქში უნდა შეკრებილიყვნენ და რომელი რაიონებიდან. ასევე დაზუსტებული იყო ამ ბატალიონების მშვიდობიანი დროის შტაბები. სარეზერვო შენაერთების საომარი დროის რიცხოვნობის საკითხი განსაზღვრული იყო კანონპროექტში, რომელიც შეიმუშავა და დაამტკიცა გვარდიის მთავრმა შტაბმა და დამფუძნებელი კრების სამხედრო კომისიამ. თუმცა, როგორც ჩანს, კანონის მიღების პროცესში, თავი შეიკავეს ამგვარი დაზუსტებისაგან, მაგრამ, ჩვენი აზრით, კანონპროექტში მითითებული რიცხვები ყველაზე ახლოს უნდა იყოს გვარდიის სამობილიზაციო შესაძლებლობებთან, რადგანაც კანონპროექტზე მუშაობისას, ეს რიცხვები, ბუნებრივია, თავისით არ დაიბადებოდა და კონკრეტულ მონაცემებს დაეყრდნობოდა, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ გვარდია ყველა სამხედრო კონფლიქტის დროს ახერხებდა ზუსტად კანონში ან კანონპროექტში განსაზღვრული რაოდენობის ჯარისკაცების გამოყვანას ბრძოლის ველზე.

ახალი კანონის მიხედვით, კიდევ უფრო დაკონკრეტდა გვარდიის მმართველობის დეტალები. სახალხო გვარდიის მმართველ ორგანოდ დარჩა მთავარი შტაბი, რომელიც შემდგებოდა 21 წევრისაგან; მათ ირჩევდა გვარდიის ყრილობა ერთი წლის ვადით და ამტკიცებდა მთავრობა, მთავარი შტაბი პირდაპირ ექვემდებარებოდა რესპუბლიკის მთავრობას მთავრობის თავმჯდომარის საშუალებით, მთავრობის სხდომებზე გვარდიის წარმომადგენელს ჰქონდა სათათბირო ხმა.¹³ წინა კანონისაგან განსხვავებით, მთავარ შტაბს ემორჩილებოდა საოლქო შტაბები, ხოლო ამ უკანასკნელს სარაიონო შტაბები. სარაიონო შტაბებს ერთი წლის ვადით ირჩევდა ადგილობრივი რაიონის გვარდიელთა საზოგადო კრება, ხოლო საოლქო შტაბს ამავე ვადით მთელი ოლქის გვარდიელთა კრება, რასაც საბოლოოდ ამტკიცებდა მთავარი შტაბი.¹⁴ ახალი კანონით, გვარდიის გაწვევის უფლება დარჩა მთავრობის თავმჯდომარეს, რომელსაც მთავარი შტაბის საშუალებით უნდა განეხორციელებინა

¹² საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული. თბ. 1990, გვ. 15-18.

¹³ სცსა. ფონდი №1833 (საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების ფონდი). აღწერა 1. საქმე 365. ფურც. 90.

¹⁴ სცსა. ფონდი №1833. აღწერა 1. საქმე. 365 ფურც. 90.


დიმიტრი სილაქაძე. საქართველოს I დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო
გვარდიის საორგანიზაციო-საშტატო სტრუქტურა და რიცხოვნების
საკითხისათვის

გვარდილების მობილიზაცია, უკიდურეს შემთხვევაში ამ უფლებით შეიძლება
ესარგებლა საკანონმდებლო ორგანოს თავმჯდომარეს და თვით მთავარ
შტაბს, მაგრამ არა საოლქო და რაიონულ შტაბებს.¹⁵ ამ შტაბებში
სხვადასხვა პროფესიის 1096 ადამიანი მუშაობდა.¹⁶

გვარდიაში შედიოდა შემდეგი რეგულარული ნაწილები:

1. საგანგებო ქვეითი ბატალიონი – 538კაცი.

ამ ბატალიონის შიდა სტრუქტურას სქემატურად შემდეგნაირად გამოვსახავთ:



17


¹⁵ სცსა. ფონდი №1833. აღწერა 1. საქმე 365 ფურც. 90.

¹⁶ სცსა. ფონდი №1833. აღწერა 1. საქმე 365. ფურც.91-93;101-106.

¹⁷ სცსა. ფონდი №1833. აღწერა №1. საქმე. 365. ფურც. 95.


2. სახალხო გვარდიის ცხენოსანი დივიზიონი – 456 კაცი.

დივიზიონის შიდა სტრუქტურას სქემატურად შემდეგნაირად გამოვსახავთ¹⁸:



3. სახალხო გვარდიის საარტილერიო ბრიგადა – 612 კაცი. 20 ქვემეხი.

ბრიგადის შიდა სტრუქტურას სქემატურად შემდეგნაირად გამოვსახავთ¹⁹:



¹⁸ სცსა. ფონდი №1833 აღწერა 1 საქმე 365. ფურც. 96.

¹⁹ სცსა. ფონდი №1833 აღწერა 1 საქმე 365. ფურც. 98-100.

4. გვარდიის საგანგებო ტყვისმფრქვეველთა რაზმი – 157კაცი.²⁰

5. გვარდიის ჯავშნოსან ავტომობილთა გუნდი – 89კაცი. 4 ჯავშნოსანი.²¹

6. სახალხო გვარდიის ჯავშნიანი რკინიგზის რაზმი – 114კაცი, 2 ჯავშანმატარებელი.²²

7. სახალხო გვარდიის საინჟინრო გუნდი – 77კაცი.

1920 წელს გვარდიის პირად შემადგენლობაში მცირე ცვლილება მოხდა: საარტილერიო ბრიგადაში შემაჯალ ორ სამთო ბატარეის შტატს დაემატა 35-35 კაცი. იმის გამო, რომ საარტილერიო ბრიგადამ მიიღო ორი ახალი ჰაუბიცა და შეიქმნა ერთი ახალი საარტილერიო მწყობრი, ჯავშანმატარებელთა რაზმს მიემატა კიდევ ერთი ჯავშანმატარებელი.²³ 1920 წლის შემოდგომისათვის კი გვარდიას 4 ჯავშანმატარებელი: 1. „რესპუბლიკელი“; 2. „მუშა“; 3. „სიკვდილი ან გამარჯვება“ და 4. „თავისუფლების სიმაგრე“ ჰყავდა.²⁴ ამავე წელს გვარდიის შემადგენლობაში შევიდა სატანკო დივიზიონი, რომელში შედიოდა ორი ინგლისური ტანკი Mark-V.²⁵

ამრიგად, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო გვარ-

²⁰ სცსა. ფონდი №1833 აღწერა 1 საქმე 365. ფურც. 96.

²¹ სცსა. ფონდი №1833 აღწერა 1 საქმე 365. ფურც. 97.

²² სცსა. ფონდი №1833. აღწერა 1. საქმე 365. ფურც. 98.

²³ სცსა. ფონდი №1833. აღწერა 1. საქმე 1036. ფურც. 18.

²⁴ სცსა. ფონდი №1974. აღწერა 1. საქმე 5 ფურც. 38: რუსეთის სამხედრო ატაშეს ინფორმაციის გარდა №4 ჯავშანმატარებლის არსებობას ადასტურებს, ვალოდია გოგუაძის ერთ-ერთ წერილში დაცული გენერალ კვინიტაძის ბრძანება სადაც გენერალი მადლობას უხდის №4 ჯავშანმატარებლის მეთაურს ალფეს გოგუაძეს (ვალოდია გოგუაძის ძმა) და მთელ პირად შემადგენლობას. იხ: ვ. გოგუაძე. გენ. ჩხეიძის წერილის გამო. გ. შარაძე ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია. ტ. VI, გვ. 101

²⁵ ჩვენ არა გვაქვს ზუსტი მონაცემი სატანკო შენაერთის საორგანიზაციო-საშტატო სტრუქტურის შესახებ, თუმცა ჩვენ ხელთ არსებული დოკუმენტებიდან ცნობილია, რომ სატანკო დივიზიონი (რაზმი) გვარდიის შემადგენლობაში შედიოდა. იხ: სცსა. ფონდი №1969. აღწერა. 2 საქმე. 92. ფურც. 28 (ამ დოკუმენტში გენერალი მდივანი ითხოვს გვარდიის მთავარი შტაბისაგან რათა ერთ-ერთ გვარდიელს მიეცეს შევებულება); სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის ბრძანება 4 ოქტომბერი. 1920წელი. ვალიკო ჩუბინიძე. მოგონება.წიგნი მეორე. პარიზი.1953 გვ.125 ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ემიგრაციის მუზეუმის არქივი, გურამ შარაძის კერძო კოლექცია (აღნიშნულ დოკუმენტში ნაჩვენებია მთავარი შტაბის ბრძანებები სატანკო დივიზიონის პირადი შემადგენლობის მიმართ); ტანკების რაოდენობის და ტიპის განსაზღვრისას ვიხელმძღვანელო: **David Bullock**. Armored units of the Russian Civil War. Red Army. Great Britain. 2006. გვ. 41.

დიის რეგულარული ნაწილების პირადი შემადგენლობა ითვლიდა – 2113 კაცს, 24 ქვემეხს, 4 ჯავშანავტომობილს და 4 ჯავშანმატარებელს და 2 ტანკს.²⁶

სახალხო გვარდიის სარეზერვო ნაწილები 1919 წლის შტატების მიხედვით ითვლიდა 18 ქვეით ბატალიონს. მშვიდობიანობის დროს ამ ბატალიონებში ირიცხებოდა მცირერიცხოვანი კადრები ოფიცრებისა და ჯარისკაცებისა, ხოლო ომის დროს ეს კადრები მცირე დროში, 24-48 საათში, უნდა გამლილიყვნენ ჩვეულებრივ ბატალიონებად. მშვიდობიანობის დროის კადრების ზუსტი რიცხოვნება ჩვენთვის ცნობილია. ხოლო, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ომის პერიოდის შტატები დამფუძნებელი კრების სამხედრო კომისიის მიერ დამტკიცებულ კანონპროექტში იყო განსაზღვრული, მაგრამ კანონში აღარ შეუტანიათ.

სარეზერვო ბატალიონების მშვიდობიანობისა და ომის დროის შტატები:

ოლქი	რაიონი	ბატალიონის სახელწოდება	მშვიდობ იანი დროის შტატი	ომის დროის შტატი
თბილისის	ნაძალადეგ-ეროზის უბანი.	თბილისის პირველი ბატალიონი	11 კაცი	600 კაცი
თბილისის	სადგურ-რკინიგზის და ვერის.	თბილისის მეორე ბატალიონი	11 კაცი	600 კაცი
თბილისის	სართიჭალის, ავლაბრის და ნავთლულის.	თბილისის მესამე ბატალიონი	11 კაცი	600 კაცი
თბილისის	ბორჩალოს, მანგლისის.	თბილისის მეოთხე ბატალიონი	71 კაცი	750 კაცი
გარეკახეთის	საგარეჯოს და მარტყოფის.	გარეკახეთის ბატალიონი	61 კაცი	?
თელავის	თელავის, ალაზნის გალმა, თიანეთის.	კახეთის პირველი ბატალიონი	71 კაცი	600 კაცი
სიღნაღის	სიღნაღის, ჰერეთის და გურჯაანის.	კახეთის მეორე ბატალიონი	71 კაცი	450 კაცი

²⁶ პირადი შემადგენლობის რიცხვს აკლია, ორი ჯავშანმატარებლის, ერთი საარტილერიო მწყობრისა და სატანკო დივიზიონის მეზრძოლთა რიცხვი, რაც ჩვენთვის უცნობია.

**დიმიტრი სილაქაძე. საქართველოს I დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო
გვარდიის საორგანიზაციო-საშტატო სტრუქტურა და რიცხოვნების
საკითხისათვის**

ღუშეთის	ღუშეთის და ყაზბეგის.	ღუშეთის ბატალიონი	81 კაცი	600 კაცი
გორის	გორის, ცხივნალის და ქვემოჭალის.	ქართლის პირველი ბატალიონი	81 კაცი	750 კაცი
?	ხაშურის და ბორჩალოს (სავარუდოდ უნდა იყოს ბორჯომის დ.ს)	ქართლის მეორე ბატალიონი	71 კაცი	600 კაცი
ახალციხის	ახალციხის და ახალქალაქის	ახალციხის ბატალიონი	71 კაცი	450 კაცი
ქუთაისის	ქუთაისის, რაჭის, ჭრებალოს და ლენხუმის.	იმერეთის პირველი ბატალიონი	163 კაცი.	750 კაცი.
სამტრედიის	სამტრედიის და ხონის	იმერეთის მეორე ბატალიონი	71 კაცი	750 კაცი
შორაპნის	შორაპნის და ჭიათურის.	იმერეთის მესამე ბატალიონი.	61 კაცი	450 კაცი
სენაკის	სენაკის, აბაშის, ბანძა-ფოთის	სამეგრელოს პირველი ბატალიონი	83 კაცი	600 კაცი
?	ზუგდიდის და წალენჯიხის	სამეგრელოს მეორე ბატალიონი	59 კაცი	600 კაცი
სოხუმის	სოხუმის, გულაუთის და სამურზაყანოს.	სოხუმის ბატალიონი	71 კაცი	450 კაცი
ოზურგეთის	ოზურგეთის, ლანჩხუთის და ჩოხატაურის.	გურიის ბატალიონი	81 კაცი	750 კაცი
სულ: 18 ოლქი	44 რაიონი	18 ბატალიონი	1200 კაცი	10350 კაცი²⁷

27 სცსა. ფონდი №1833. აღწერა 1. საქმე 365. ფურც. 94 (აქ მოცემულია, მშვიდობიანობის დროის კადრები, ოლქებისა და რაიონების დასახელება, გარდა ოლქებისა საიდანაც გამოდიოდა ქართლისა და სამეგრელოს მეორე ბატალიონები. დოკუმენტში მოცემულია ბატალიონების ზუსტი სახელწოდებები.); სცსა. ფონდი №1970 (საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავარი შტაბის ფონდი). აღწერა №2. საქმე 8. ფურც. 12; ფონდი №1833. აღწერა. 1. საქმე 365. ფურც. 4 (ამ

რეზერვის 18 ბატალიონს, 1920 წელს ბათუმიდან ბრიტანელების გასვლის შემდეგ დაემატა ახალი ბათუმის სახალხო გვარდიის ბატალიონი.²⁸ ამრიგად საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო გვარდიაში დამოუკიდებლობის დაკარგვამდე ირიცხებოდა 19 სარეზერვო ბატალიონი, რომელთაგანაც ჩვენთვის ცნობილია ჩვიდმეტის სამობილიზაციო შესაძლებლობა – 10 350 კაცს შეადგენდა. ხოლო თუ, ვივარაუდებთ, რომ გარეკახეთისა და ბათუმის ბატალიონებში მინიმუმ 500-600 გვარდიელი იქნებოდა, რეზერვის ბატალიონების რიცხოვნობა დაახლოებით 11 500 კაცამდე გაიზრდება.

ჩვენთვის გასაგებია ის ფაქტი, რომ მეშუარულ ლიტერატურისა და რუსული დაზვერვის მონაცემები სახალხო გვარდიის შესახებ 100%-ით ზუსტი ვერ იქნებოდა, მოგონებებისა და დაზვერვის სპეციფიკიდან გამომდინარე. აქვე აღსანიშნავია, რომ ქართველ სამხედრო პირთა მეშუარეობაში ხშირ შემთხვევაში, გვარდიის ბატალიონებს მოიხსენიებენ არა ოფიციალური სახელწოდებით არამედ გასაწვევი ადგილის მიხედვით. მაგალითად აკაკი კვიციანიშვილი სამეგრელოს მეორე ბატალიონს უწოდებდა – ზუგდიდის ბატალიონს, ხოლო ქართლის I და მეორე ბატალიონებს – გორისა და ხაშურის ბატალიონებად მოიხსენიებდა, ისევე როგორც გენერალი მაზნიაშვილი.²⁹ როგორც ჩანს, გვარდიის ბატალიონებს არაოფიციალურ თუ ოფიციალურ საუბარსა და მიმოწერაში ორნაირი სახელწოდებით მოიხსენიებდნენ. ჩვენი აზრით, სწორედ ამან შეიყვანა რუსული სტარატეგიული დაზვერვა შეცდომაში, როდესაც იმერეთის II და სამტერდიის ბატალიონები ცალ-ცალკე აქვთ შეტანილი ჩამონათვალში, ისევე როგორც: იმერეთის III და შორაპნის, კახეთის I და თელავის, კახეთის II და სიღნაღის. ხოლო გურიის ერთი ბატალიონის ნაცვლად, ჩამონათვალში შეტანილია ორი ბატალიონი.³⁰ რუსეთის სამხედრო ატაშე კი, მის მიერ ჩამოთვლილი ბატალიონების უმრავლესობას, გაწვევის

ორ საქმეში მოცემულია ომის პერიოდის შტატები, რომელიც როგორც ზემოთ აღვნიშნეთ განსაზღვრული იყო კანონპროექტში. კანონპროექტში საერთოდ არ იყო შეტანილი გარეკახეთის ბატალიონი.

²⁸ ბათუმის სახალხო გვარდიის არსებობა დასტურდება, როგორც რუსული დაზვერვის ორივე მონაცემით, ასევე გენერალ ოდიშელიძის მოხსენების მიხედვითაც. იხ: Материалы стратегической разведки РСФСР..., გვ. 28; სცსა. ფონდი №1874 აღწერა 1, საქმე 5. ფურც. 24; ი. ოდიშელიძე. საქართველოს დამარცხების მიზეზები. გვ. 384.

²⁹ ა. კვიციანიშვილი. რუსეთ-საქართველოს ომი 1921 წელს საქართველოს ოკუპაცია რუსეთის მიერ, გვ. 125; გ. მაზნიაშვილი. მოგონებანი, გვ. 160.

³⁰ Материалы стратегической разведки РСФСР..., გვ. 28.

დიმიტრი სილაქაძე. საქართველოს I დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო
გვარდიის საორგანიზაციო-საშტატო სტრუქტურა და რიცხოვნების
საკითხისათვის

რაიონის მიხედვით მოიხსენიებს.³¹

ამრიგად ჩატარებული კვლევის შედეგად, ჩვენთვის ცნობილი გახდა სახალხო გვარდიის რეგულარული ნაწილების ზუსტი დასახელება, რაოდენობა, შიდა სტრუქტურა და საშტატო რიცხოვნობა. ასევე ჩვენთვის ცნობილი გახდა სარეზერვო ბატალიონების ზუსტი რაოდენობა, დასახელება, გაწვევის ოლქები, რაიონები და ასევე ამ ბატალიონების კანონპროექტში გაწერილი რიცხოვნობა, რაც რეალურ სამობილიზაციო შესაძლებლობებთან ყველაზე ახლოს უნდა იდგეს.

³¹ სცსა. ფონდი №1874. აღწერა 1. საქმე 5. ფურც. 24. პავლე სიტინი ჩამონათვალში მოიხსენიებს შულავერის ბატალიონს, რომელიც სინამდვილეში თბილისის მეოთხე ბატალიონია, რადგანაც მეოთხე ბატალიონში გვარდილებს იწვევდნენ მანგლისისა და ბორჩალოს რაიონებიდან, ბორჩალოს რაიონში კი შულავერიც შედიოდა.



მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჯორდანია და მთავარი შტაბის წევრები ჯავშანავტომობილის ფონზე
© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ემიგრაციის მუზეუმი (გურამ შარაძის კერძო კოლექცია)



სახალხო გვარდიელები შაშხანებით და ტყვიამფრქვევებით
© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ემიგრაციის მუზეუმი (გურამ შარაძის კერძო კოლექცია)

დიმიტრი სილაქაძე. საქართველოს I დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო გვარდიის საორგანიზაციო-საშტატო სტრუქტურა და რიცხოვნების საკითხისათვის



სახალხო გვარდიის ჯავშანმატარებელი „რესპუბლიკელი“ და მისი ეკიპაჟი. (ზედა რიგში მარცხნიდან პირველი ჯავშანმატარებლების რაზმის მეთაური ვალდია გოგუაძე)

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ემიგრაციის მუზეუმი (გურამ შარაძის კერძო კოლექცია)

Dimitri Silakadze

**REGARDING THE STRUCTURE AND THE QUANTITY OF THE
NATIONAL GUARDS' ORGANIZATIONAL STAFF IN THE FIRST
DEMOCRATIC REPUBLIC OF GEORGIA**

Summary

There existed two types of armed forces in the First Democratic republic of Georgia (1918-1921): the Regular Army and the National Guard, which was based on volunteer principle. The latter one during the peaceful times was assigned under the command of the Head of the Government. However, in case of war it should be subordinated to the Commander in-Chief. The National Guard's ruling body was the Main Staff, which consisted of 21 members and was elected for one year by National Guards' Congress. The Guard was composed from regular units and reserve battalions. The Soviet Russian intelligence and the memoirs written by Georgian military commanders are giving various military data regarding the quantity of the National Guard's units and the structure of its organizational staff. According to the documents obtained from the Historical Archive of Georgia, we were able to specify the above mentioned details.

The National Guard comprised of the following regular units:

1. Special infantry Battalion;
2. Cavalry squadron;
3. Artillery brigade;
4. Special detachment of machine-guns;
5. Group of Armoured cars;
6. Armour-carrier detachment;
7. Brigade of Engineers;
8. Tank squadron.

In total: 2113 soldiers; 24 cannons; four armoured cars; four armoured trains, and two Mark-V tanks.

There were enrolled 19 battalions of reserve infantry in the Guard. After the beginning of warfare, the Guardsmen were gathering in local battalions (by regions and districts) within 24-48 hours. The overall mobilization capacity varied between 11,000-12,000 warriors.

ნინო ვაშაყმაძე

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაპყრობა საბჭოთა რუსეთის მიერ და საერთაშორისო საზოგადოებრიობა

ჩვენი კვლევის საგანია საერთაშორისო სოციალისტური საზოგადოებრიობის რეაქცია 1921 წლის თებერვალ-მარტში საქართველოში განვითარებულ მოვლენებზე.

პირველი მსოფლიო ომის შემდგომ შექმნილი საერთაშორისო მდგომარეობა, გამარჯვებულ სახელმწიფოთა მიერ მსოფლიოს ხელახალი გადანაწილებისთვის გაცხადებული გეგმები გარკვეულ პერსპექტივებს ქმნიდა სამხრეთ კავკასიაში დამოუკიდებელ სახელმწიფოთა არსებობისთვის.

მსოფლიო პოლიტიკის წარმმართველ დიდ სახელმწიფოთა დამოკიდებულება ამ რეგიონის მიმართ სხვადასხვაგვარი იყო. ევროპელი პოლიტიკოსები სამხრეთ კავკასიას რუსული სივრცის ნაწილად მოიაზრებდნენ და წითელი რევოლუციის დამხობას ელოდნენ. ევროპულ და ამერიკულ დიპლომატიას შორის ინტერესთა კონფლიქტის და სამოქალაქო ომში ბოლშევიკთა წარმატების შედეგი იყო ინგლისის გარიგება საბჭოთა რუსეთთან, მისგან ნედლეულის მიღების სანაცვლოდ დაეთმო სამხრეთ კავკასია. ეს ფაქტორი გადამწყვეტი აღმოჩნდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის რუსულ პოლიტიკურ ორბიტაში მოსაქცევად. იმავდროულად, საბჭოთა რუსეთმა იზრუნა თურქეთის ნეიტრალიზებაზეც, რომელსაც ანტანტის წინააღმდეგ მოკავშირეობის სანაცვლოდ სამხრეთ კავკასიის დათმობა მოსთხოვა.¹

როული პოლიტიკური ფონის მიუხედავად, მსოფლიო საზოგადოებრიობის დამოკიდებულება საქართველოს გასაბჭოებისადმი არაერთგვაროვანი იყო. საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობას საერთაშორისო სოცია-

¹ ნ. ვაშაყმაძე. რამდენიმე დოკუმენტი საქართველო-რუსეთის 1921 წლის თებერვალ-მარტის ომის შესახებ. საერთაშორისო სამეცნიერო პერიოდული ჟურნ. „ინტელექტი“. №3(38). თბ. 2010, გვ. 80.

ლისტური მოძრაობა, II ინტერნაციონალის სახით, პროტესტით შეხვდა და მწვავე ანტიბოლშევიკური კამპანია გააჩაღა. როგორც ცნობილია, II ინტერნაციონალის დელეგაცია საქართველოში 1920 წელის შემოდგომაზე იმყოფებოდა და აღფრთოვანებული დარჩა დასავლური ტიპის სოციალისტური სახელმწიფოს მშენებლობის საქმეში ქართველ სოციალ-დემოკრატთა მიღწევებით. მათი აზრით, საქართველო წარმოადგენდა დემოკრატიულ ოაზისს ირგვლივ არსებული ანარქიისა და დიქტატურის პირობებში.²

ყოველივე ამის გათვალისწინებით, ადვილად ასახსნელი ხდება, მათი მწვავე რეაქცია საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიასთან დაკავშირებით. პოლიტიკური ტრიბუნისა თუ ბეჭვდითი სიტყვის საშუალებით ისინი საკუთარ მთავრობებს, საზოგადოებრიობას საქართველოს მხარდაჭერისკენ მოუწოდებდნენ. განსაკუთრებით ხმაურიანი კამპანიით გამოირჩეოდა ცნობილი გერმანელი სოციალისტი კ. კაუცკი, რომელსაც ახლო ურთიერთობა ჰქონდა ქართველ სოციალ-დემოკრატებთან. იგი საქართველოში ყოფნისას ოთხი თვის განმავლობაში სწავლობდა მათ მიღწევებს სოციალისტური სახელმწიფოს მშენებლობის საქმეში.

საკუთარი შეხედულებები კ. კაუცკიმ ჩამოაყალიბა წიგნში „საქართველოს გლეხთა სოციალ-დემოკრატიული რესპუბლიკა“, რომელიც ბოლშევიკური აგრესიის წინააღმდეგ მიმართულ მცდელობად მოიაზრება. ავტორი ყურადღებას ამახვილებს საქართველოთი დაინტერესების მიზეზებზე: „საქართველოში ყველაზე უფრო მეტად მიზიდავდა არა მისი გეოგრაფიული, არამედ სოციალური საკითხები, კერძოდ ის, თუ რამდენად შესაძლებელია სოციალისტური რესპუბლიკა ისეთ ქვეყანაში, რომელიც რუსეთზე უფრო ჩამორჩენილია ეკონომიკური განვითარების მხრივ, როგორ შეუძლია ასეთ ხელისუფლებას შეინარჩუნოს თავი დიქტატურისა და ტერორიზმის გარეშე, მხოლოდ დემოკრატიული მეთოდებისა და საშუალებების გამოყენებით. დაბოლოს, რისი მიღწევა შეეძლო სოციალისტურ რესპუბლიკას ასეთ პირობებში“.³

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამწლიანი გამოცდილება რუსული ბოლშევიზმის საპირისპირო იყო. მარქსიზმის თეორეტიკოსის აზრით, ამ გამოცდილების შესწავლა ევროპელ სოციალისტებს მძლავრ ია-

² ნ. ვაშაყმაძე. II ინტერნაციონალი და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა 1918-1921 წლებში. ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „საისტორიო მაცნე“. № XI. ბათ. 2005, გვ. 195.

³ ციტატა წიგნიდან. დ. ჭუმბურიძე, ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა XX ს-ის დასაწყისში. 1918-1921 წლები. თბ. 2003, გვ. 9.

რალს მისცემდა ბოლშევიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად.

კ. კაუცკი ლეტალურად მიმოიხილავს საქართველოს ბუნებრივ პირობებს, სოციალ-ეკონომიკურ, პოლიტიკურ ვითარებას, ხელისუფლების მიერ გატარებულ ღონისძიებებს, განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს აგრარულ რეფორმაზე და შენიშნავს: „დემოკრატიულ საფუძველზე დამყარებული სოციალისტური რეჟიმის მომავალი დამოკიდებულია გლეხობაზე, რომელიც შეადგენს მოსახლეობის უმრავლესობას. ამ მხრივ, საქართველოში კარგი პირობებია, რადგან საქართველოს სოციალ-დემოკრატების აგრარულმა რეფორმამ გლეხობა გაათავისუფლა ფეოდალიზმის მარწუხებისგან“, – აღნიშნავს იგი.⁴

საქართველოს მენშევიკური მთავრობის მუშაობის მეთოდები კ. კაუცკის სამაგალითოდ მიაჩნია: „იქ, სადაც სოციალ-დემოკრატები მოვლენ ხელისუფლებაში, უნდა გაატარონ იგივე პრინციპები, რომელსაც ახორციელებს საქართველოს მთავრობა – მათ უნდა ისწავლონ ქართული გამოცდილებიდან“.⁵

ხელისუფლების მიერ მიღწეულ წარმატებებთან ერთად კ. კაუცკი შესანიშნავად ხედავდა საქართველოში არსებულ პრობლემებს. კერძოდ, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის პრიმიტიულ ღონეს, გადასახადების აკრეფის მოუწესრიგებლობას, ინფლაციას და სხვა. მისი აზრით, ამ სიძნელეთა მოგვარების მნიშვნელოვანი წინაპირობა იყო მეზობელ ქვეყნებში არსებული სტაბილური ვითარება, სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის განვითარება, რასაც დასჭირდებოდა უცხოური კაპიტალის მოზიდვა უსაფრთხოების მყარი გარანტიის შექმნის პირობით.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე სახელმწიფოს მიერ აღებული ნეიტრალიტეტის საგარეო-პოლიტიკური კურსი ევროპელ სოციალისტს განუხორციელებლად მიაჩნდა: თურქეთის ულტიმატუმის პირობებში ქვეყანამ „ნაკლები ბოროტება“ – გერმანიის პროტექტორატი ირჩია.

მისი აზრით, „გერმანელებმა საქართველოში მოიტანეს ის, რაც ამ უკანასკნელს სჭირდებოდა – ეკონომიკის ორგანიზაცია... საქართველო არის რამდენიმე ქვეყნიდან ერთ-ერთი, სადაც გერმანიის არმიამ გასწვია პროპაგანდისტული სამუშაო გერმანიისთვის“.⁶

კ. კაუცკი აღიარებდა, რომ საქართველო მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა პირველ მსოფლიო ომში გერმანიის მარცხისა და ანტანტის ჯარების მიერ

⁴ Karl Kautsky. Georgia – a Social-Democratic Peasant Republic. London 1921. გვ. 75.

⁵ Karl Kautsky. Georgia – a Social-Democratic Peasant Republic, გვ. 75.

⁶ Karl Kautsky. Georgia – a Social-Democratic Peasant Republic, გვ. 89.

სამხრეთ კავკასიის საოკუპაციო ზონად გამოცხადების შემდეგ. ერთიანი რუსეთის აღდგენის იმედით, ანტანტის ძალები მხარდაჭერას უცხადებდნენ თეთრ გენერლებს და ცდილობდნენ რუსეთის სამოქალაქო ომში საქართველოს ჩაბმას. „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელმაც მოახდინა მსხვილი მიწათმოფლობელობის ექსპროპრიაცია, თვალში ეჩხირებოდა კონტრრევოლუციონერ გენერლებს, სძულდათ ის ბოლშევიკებსაც. ორივე (თეთრები და წითლები), ასევე სახალხო კომისრები ვერ ეგუებოდნენ იმას, რომ მათ გავლენის სფეროში იყო პატარა დამოუკიდებელი ერთობა, რომელიც არ ემორჩილებოდა მოსკოვის დიქტატს“, – წერს იგი.⁷

მარქსიზმის ევროპელი თეორეტიკოსის თვალსაზრისით, საქართველოში მომხდარი ბოლშევიკური აჯანყება რუსეთის მიერ განხორციელებული ოკუპაცია იყო, რომლის არგუმენტადაც მოჰყავდა მოსაზრება, რომ აჯანყება პირველად ხდება სამრეწველო ცენტრებში და შემდეგ ვრცელდება სოფლებში. 1921 წელს „რევოლუციონერი“ მშრომელების კომუნისტური ამბოხება კი მოხდა არა თბილისში, სადაც თავმოყრილი იყო სამრეწველო მუშების ნახევარი, არამედ მოიცვა გაუნათლებელი გლეხობით დასახლებული სოფლები.⁸

კ. კაუცკის საქართველოს დაპყრობა მიაჩნდა ინგლისის წინააღმდეგ მძარბოვითი რუსეთის აღმოსავლური პოლიტიკის ნაწილად.⁹ აქ აშკარად ცდება „მეცნიერული სოციალიზმის“ აღიარებული კლასიკოსი, რადგან საქართველოს წინააღმდეგ მოქმედების თავისუფლება რუსეთს სწორედ ინგლისმა მისცა.

კ. კაუცკი სინანულს გამოთქვამს, რომ II ინტერნაციონალი ვერ აღმოჩნდა საკმაოდ ქმედუნარიანი ბოლშევიკების მიერ საქართველოს დაპყრობის ფაქტზე რეაგირების მოსახდენად, რადგან „თავადაც კონგრესი კრიზისში იმყოფებოდა, მისი ინტერესების სფეროს დასვლეთის პოლიტიკა უფრო წარმოადგენდა, ვიდრე აღმოსავლეთის“¹⁰. მაგრამ იმედოვნებდა, რომ მსოფლიოსთვის საფრთხის შემქმნელ რუსულ ბონაპარტიზმს მენშევიკური ოპოზიცია საბოლოოდ მაინც დაამარცხებდა.

საქართველოსადმი მხარდაჭერის გამოხატვის თვალსაზრისით საყურადღებოა კ. კაუცკის წინასიტყვაობა დ. შარაშიძის ფრანგულ ენაზე დაწერილი წიგნისთვის – „ა. ბარბიუსი, სოვეტები და საქართველო“. წინასიტყვაობა იყო

⁷ Karl Kautsky. Georgia – a Social-Democratic Peasant Republic, გვ. 88.

⁸ Karl Kautsky. Georgia – a Social-Democratic Peasant Republic, გვ. 101.

⁹ Karl Kautsky. Georgia – a Social-Democratic Peasant Republic, გვ. 101.

¹⁰ Karl Kautsky. Georgia – a Social-Democratic Peasant Republic, გვ. 100.

პასუხი ცნობილი ფრანგი მწერლის ანრი ბარბიუსის მიერ საქართველოში მოგზაურობის შემდეგ დაწერილ წიგნზე – „აი, რა უქნეს საქართველოს“. კ. კაუცკი წერდა: „საბჭოთა რუსეთის მიერ ჩადენილ სამარცხვინო საქმეთა შორის ყველაზე უფრო სამარცხვინოთაგანია მისი მოქმედება საქართველოს მიმართ“.¹¹

მწვავე ანტიბოლშევიკური პროპაგანდით გამოირჩეოდა ინგლისის ლეიბორისტული პარტია, რომელიც დაჟინებით ითხოვდა საქართველოდან წითელი არმიის ნაწილების გაყვანას, რეფერენდუმის მოწვობას. ლენინმა საგანგებო დავალება მისცა საქართველოს რევკომს კონტრარგუმენტაციის მოსაძიებლად და რკპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტს შესაბამისი აგიტაციის საწარმოებლად: „ჩემი აზრით, ამჟამად საჭიროა, ორგვარი ღონისძიება: 1) გამოვიდეთ პრესაში მთელი რიგი სტატიებით სხვადასხვა ხელმოწერებით და აბუჩად ავივლოთ ევროპის დემოკრატიის შეხედულებები საქართველოს საკითხზე; 2) დაუყონებლივ დავავალოთ რომელიმე გესლიან ჟურნალისტს, დაწეროს ინგლისის მუშათა პარტიის პასუხად არქითავაზიანი ნოტის პროექტი. ამ ნოტაში უაღრესად დაბეჯითებით უნდა იქნეს განმარტებული, რომ წინადადება საქართველოდან საბჭოთა ჯარების გაყვანის და იქ რეფერენდუმის მოწვობის შესახებ საკვებით გონივრული იქნებოდა და შეიძლებოდა მიგვეჩნია, რომ ეს წინადადება გამოდის ისეთი ადამიანებისაგან, რომლებიც არ არიან ჭკუაზე შემლილნი, ანტანტის მიერ მოსყიდულნი, თუ ის გავრცელდებოდა დედაძმის ყველა ეროვნებაზე. კერძოდ იმისთვის, რომ ბრიტანეთის მუშათა პარტიის ხელმძღვანელებს მივახვედროთ, თუ რას ნიშნავს თანამედროვე იმპერიალისტური ურთიერთობა საერთაშორისო პოლიტიკაში. ჩვენ წინადადებას ვაძლევთ მას, მოწყალე თვალთ განიხილოს ჯერ ერთი, ინგლისის ჯარების გამოყვანა ირლანდიიდან და იქ რეფერენდუმის მოწვობა, მეორე, იგივე ინდოეთის მიმართ, მესამე, იგივე კორეიდან იაპონიის ჯარების გამოყვანის შესახებ, მეოთხე, იგივე ყველა ქვეყნის მიმართ, სადაც რომელიმე დიდი იმპერიალისტური სახელმწიფოს ჯარები იმყოფებიან“.¹²

1922 წლის 10 აპრილიდან 19 მაისამდე იტალიაში, გენუაში შეიკრიბა ევროპის 29 სახელმწიფო და დიდი ბრიტანეთის 5 დომინიონი. ლოიდ ჯორჯის ინიციატივით მოწვობილი ამ კონფერენციის მიზანი იყო საერთო მშვიდობიანობის უზრუნველყოფა და რუსეთის იმპერიის საგარეო ვალების დაკის-

¹¹ დ. ჭუმბურიძე. ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა XX ს-ის დასაწყისში, გვ. 74.

¹² ლ. თოიძე. ინტერვენციაც, ოკუპაციაც, ძალდატანებითი გასაბჭოებაც, ფაქტობრივი ანექსიაც. თბ. 1991. გვ. 141-142.

რება საბჭოთა რუსეთისთვის, ამ ქვეყნის დე-იურედ ცნობის სანაცვლოდ. მრავალი რეზოლუციის მიუხედავად, დიდ სახელმწიფოთა შორის ინტერესთა კონფლიქტის გამო, კონფერენცია უშედეგოდ დასრულდა.

კონფერენციაზე გარკვეული რეზონანსი მოჰყვა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ამბროსი ხელაიას მიმართვას, სადაც მოხმობილი იყო რუსეთის საოკუპაციო ჯარების მიერ სვანეთის აჯანყების ჩახშობის შესახებ დოკუმენტური მასალები. ყოველივე ამას მოჰყვა ევროპელი სოციალისტების აქტიურობაც: სვანეთის აჯანყებასთან დაკავშირებით II ინტერნაციონალის აღმასკომმა მიიღო სპეციალური საპროტესტო რეზოლუცია: „1. საქართველოს ტერიტორია დაიკავეს მოსკოვის მთავრობის ჯარებმა, რომელიც მხარს უჭერს საქართველოში მისი ხელისუფლებისთვის საძულველ რეჟიმს და წარმოადგენს მთელი მსოფლიოს პროლეტარიატის თვალში ერთადერთ პასუხისმგებელს საქართველოს რესპუბლიკის განადგურებასა და ქვეყანაში დამყარებულ ტერორისტულ რეჟიმზე.

2. რუსეთის მთავრობის პასუხისმგებლობა კიდევ უფრო გაიზარდა ახლახანს საქართველოში მომხდარი ამბების გამო.

3. თუკი მოსკოვის მთავრობას სურს მისი საკუთარი უფლებების ცნობა, იგი ისეთივე პატივისცემით უნდა მოეპყრას სხვა ხალხთა უფლებებს და არ დაარღვიოს ელემენტარული პრინციპები, რომელსაც ეფუძნება ცივილიზებული ხალხთა შორის ურთიერთობა“.¹³

კონფერენციისთვის მზადების პერიოდსა და მუშაობის განმავლობაში საბჭოთა პროპაგანდისტული მანქანა ყველა ხერხით ცდილობდა ევროპელ სოციალისტთა მიერ საქართველოს შესახებ შექმნილი „მითის“ გაბათილებას და ქვეყნის ოკუპაციის გამართლებას. ამ ამოცანას ემსახურებოდა ლ. ტროცკის ნაშრომი „იმპერიალიზმსა და რევოლუციას შორის“.

II ინტერნაციონალის აღმასკომის მიერ, საქართველოს ოკუპაციის საწინააღმდეგოდ მიღებული რეზოლუციას ლ. ტროცკი გენუის კონფერენციის წინ საბჭოთა რუსეთისთვის სპეციალურად დაგებულ ფანდად აღიქვამდა და ერთგვარი ირონიით შენიშნავდა: „დაუშვათ, რომ საქართველო ნამდვილად ძალადობრივი გზით არის ოკუპირებული..., მაგრამ დიდი ბრიტანეთის ყოფილ მინისტრს ჰენდერსონს რა აძლევს უფლებას მოითხოვოს ორგანიზებული სახელმწიფოებრივი პროლეტარიატისაგან, III ინტერნაციონალისაგან, რევოლუციური კომუნიზმისაგან, რომ ლამაზი თვალების გამო განვაიარალოთ საბჭო-

¹³ <http://magister.msk.ru/library/trotsky/trotl034.htm>, გვ. 13.

თა საქართველო? როცა ამ მოთხოვნას აყენებს ჩერჩილი, ის მიანიშნებს საზღვაო ქვემეხთა გრძელ ხორთუბებზე და ბლოკადის ეკლიან მავთულზე. მაგრამ რაზე მიანიშნებს ბატონი ჰენდერსონი, წმიდა წიგნზე, პარტიულ პროგრამასა თუ თავის საქმეებზე“.¹⁴

ქართული დემოკრატიის დასაცავად ევროპელ სოციალისტთა მცდელობებს შედეგი არ მოჰყოლია. უფრო მეტიც, გენიუს კონფერენციის მსვლელობის დროს, 1922 წლის 16 აპრილს, ქალაქ რაპალოში გერმანიამაც გააფორმა თანამშრომლობის ხელშეკრულება საბჭოთა კავშირთან.

გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ძალისხმევით, მთავრობის სოციალ-დემოკრატი წევრები და თვით პრეზიდენტიც ექვსი თვის მანძილზე ეწინააღმდეგებოდნენ საბჭოთა რუსეთის მოთხოვნას ხელშეკრულების „მოკავშირე“ რესპუბლიკებზე გავრცელების თაობაზე. მაგრამ 1922 წლის 5 ნოემბერს ბერლინში მომხდარი შეთანხმებით რაპალოს ხელშეკრულების სუბიექტად აღიარეს რუსეთის „მოკავშირე“ რესპუბლიკები და, მათ შორის, საქართველოც. ეს ნაბიჯი, გერმანიის მთავრობის მხრიდან საქართველოს აღიარების უკან წაღებას ნიშნავდა.¹⁵

ამგვარად, ევროპულ სოციალისტების დიდი ძალისხმევის მიუხედავად საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისთვის განმსაზღვრელი აღმოჩნდა დიდ სახელმწიფოთა პოლიტიკური პრაგმატიზმი. იმ პერიოდის გეოპოლიტიკურ რეალობაში საქართველომ ვერ მოახერხა საიმედო პარტნიორის პოვნა, ევროპას არ სურდა დაპირისპირება საბჭოთა რუსეთთან.

¹⁴ <http://magister.msk.ru/library/trotsky/trotl034.htm>, გვ. 23.

¹⁵ ნ. კირთაძე. 1924 წლის აჯანყება საქართველოში. ქუთ. 1996, გვ. 76.

Nino Vashakmadze

**OCCUPATION OF DEMOCRATIC REPUBLIC OF GEORGIA BY
SOVIET RUSSIA AND INTERNATIONAL COMMUNITY**

Summary

It is essential to realize and acknowledge the past in order to understand the present and avoid similar mistakes in future. Due to this moment, we focused on political situation that took place in Georgia in February and March 1921 and on international community's reaction towards the political conjuncture of this events.

The post First World War international situation unfolded great possibilities for winners to change the borders of the World map. The establishment of independent states in the South Caucasus seemed rather perspective. However, the Great Britain was obliged to recognize the South Caucasus under Soviet Russia's rule because of a conflict of interests among the Great Powers and the success of Bolsheviks in the Civil War.

Beyond this political situation, international community's attitude towards the Sovietization of Georgia was different. International Socialist movemen (the Second International) protested against the occupation of Georgia by Soviet Russia and they started anti-Bolshevik propaganda campaign, since social-democratic Georgia was a strong supporter of Marxism that was so essential for the Second International. Thus, the members of the Second International showed their sharp reaction to the annexation of Georgia and via political arenas and the publication they tried to put pressure on their government and society to support Georgia.

The efforts of European socialists could not have any consequences. However, political pragmatism of the Great Powers seemed to have an influence on fate of Democratic Republic of Georgia.

ლევან ჯიქია

ანტისაბჭოთა ეროვნული მოძრაობა და აჯანყება აფხაზეთში (1921-1924 წწ.)

1921 წლის თებერვალ-მარტში საბჭოთა რუსეთმა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაცია და ანექსია განახორციელა. მთელ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება გამოცხადდა. აფხაზეთში მომუშავე საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის (მენშევიკების) წევრების უმეტესობამ საქართველო დატოვა, ნაწილმა კი აფხაზეთის სხვადასხვა სოფლებს შეაფარა თავი. მიუხედავად ამისა, აფხაზეთში ანტისაბჭოთა ეროვნული მოძრაობა მალევე გამოცოცხლდა.

1922 წლის მაისში საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად აფხაზეთის ქალაქებში მიტინგები გაიმართა. ოჩამჩირეში გაიმართა ხალხმრავალი მიტინგი, რომლის დროსაც მომიტინგეებმა ეროვნული დროშები ააფრიალეს. საპასუხოდ აფხაზეთის საბჭოთა ხელისუფლებამ მრავალი მომიტინგე დააპატიმრა.¹

1922 წლის პირველ ნახევარში ოჩამჩირეში თბილისიდან საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის(მ) წევრები ჩავიდნენ. თბილისიდან ჩასული პირები გლეხებს მოუწოდებდნენ არ დამორჩილებოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას, არ გადაეხადათ გადასახადები და ანტისაბჭოთა მოძრაობაში მიეღოთ მონაწილეობა. აგიტატორების თქმით, მათ თბილისში, ქუთაისში და ოჩამჩირეში შეიარაღებული რაზმები ჰყავდათ, რომლებიც აჯანყებისათვის ემზადებოდნენ.²

მოგვიანებით, კოდორის მაზრაში საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის უჯრედები კვლავ აღმოცენდა. ოჩამჩირეში (კოდორის მაზრის

¹ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (სშსსა). (II). ფონდი №6. საქმე №22254. ფურცელი 3.

² სშსსა (II). ფონდი №6. საქმე №23480. ფურცელი 750.

ადმინისტრაციული ცენტრი) სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრები კონსპირაციულად **ნოჩო მიქელაძის** კუთვნილ რესტორან „სამოთხეში“ იკრიბებოდნენ.³ ამ კრებებს ესწრებოდნენ: **კონსტანტინე (კოწია) დადეშქელიანი, გრიგოლ ჭეღია, რაჟდენ ჟვანია, კონსტანტინე გაბლია, გრიგოლ ჯინჯოლია, ნიკოლოზ მაღანია, სოლდატ შერვაშიძე (შარაშია), ბიქტორ ჟორჟოლიანი, იასონ მარღანია, მაქსიმე უჩანაშვილი, სეითბეი ანჩაბაძე, დიჟუ კვეციანი, ნესტორ დადიანი.** სოფლებში სააგიტაციოდ დადიოდნენ: **ნოჩო მიქელაძე, ალექსანდრე მარშანია, ვლადიმერ ქორქია, ალექსანდრე მიქელაძე, ნესტორ დადიანი.**⁴

სოციალ-დემოკრატები(მ) მოსახლეობაში ქართულ და რუსულ ენებზე ხელთ ნაწერ და ნაბეჭდ პროკლამაციებს ავრცელებდნენ. პროკლამაციებში **ვლადიმერ ლენინი, ლევ ტროცკი, გიორგი ჩინჩინი** და სხვები აუგად იყვნენ მოხსენიებულები. პროკლამაცია მთავრდებოდა მოწოდებით: **„გაუმარჯოს 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს!“ „გაუმარჯოს მენშევიკების ლიდერ ნოე ჟორდანიას!“**⁵ მოსახლეობაში სათანადო მუშაობის შემდეგ, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის(მ) წევრებმა აფხაზეთში ანტისაბჭოთა ეროვნული აჯანყების მოწყობა განიზრახეს. აჯანყების მეთაურებს იატაკქვეშა კომიტეტთან ერთად ჰქონდათ გენერალური შტაბი. ამ შტაბში შედიოდა **ბიქტორ ჟორჟოლიანი.** ინსტრუქციებს სწორედ ბიქტორ ჟორჟოლიანი იძლეოდა, ხოლო აჯანყების საერთო ხელმძღვანელი **ნოჩო მიქელაძე** იყო. სხვათაშორის, სწორედ ბიქტორ ჟორჟოლიანი დაემხარა ნოჩო მიქელაძეს რესტორან „სამოთხის“ გახსნაში. აჯანყების დღედ 1922 წლის 26 მაისი დაინიშნა.⁶

1922 წლის 12 მაისს კოდორის მაზრის პოლიტიბიუროში ინფორმაცია შევიდა, რომლის თანახმად მაზრაში ანტისაბჭოთა აჯანყება მზადდებოდა.⁷ 1922 წლის 23-24 მაისს კოდორის მაზრის პოლიტიბიუროს და საქართველოს კომუნისტური პარტიის(ბ) კოდორის მაზრის კომიტეტის ერთობლივი სხდომა გაიმართა. ამ სხდომაზე მოსალოდნელი აჯანყების საწინააღმდეგო ღონისძიებები იქნა შემუშავებული.⁸ საბოლოოდ, 1922 წლის 26 მაისს კოდო-

³ ს.შსსა (II). ფონდი №6. საქმე №23480. ფურცელი 750-751.

⁴ ს.შსსა (II). ფონდი №6. საქმე №23480. ფურცელი 281-282.

⁵ ს.შსსა (II). ფონდი №6. საქმე №23480. ფურცელი 751.

⁶ ს.შსსა (II). ფონდი №6. საქმე №23480. ფურცელი 750-752.

⁷ ს.შსსა (II). ფონდი №6. საქმე №23480. ფურცელი 750.

⁸ ს.შსსა (II). ფონდი №6. საქმე №23480. ფურცელი 281-282.

რის მაზრაში ანტისაბჭოთა აჯანყება ვერ განხორციელდა, რადგან კოდორის მაზრის ხელისუფლებამ რამდენიმე საეჭვო პირი დააპატიმრა.⁹ მიუხედავად ამისა, აჯანყების მეთაურებს თავიანთ განზრახვაზე ხელი არ აუღიათ. მათ **აბაკაზუმი** შეკრება მოაწვეეს.

მეორე შეკრება 1922 წლის 1 ივნისის ღამეს სოფ. **მოქვის** ტყეში გამართეს¹⁰ ე.წ. ვეკუას კაზარმასთან. ამ შეკრებაზე გადაწყდა, იმ ღამესვე დაწყებულიყო აჯანყება და ოჩამჩირე დაეკავებინათ. აჯანყების მეთაურებმა შეკრებილებს აუწყეს, რომ ისინი კონსტანტინოპოლიდან სამ გემს ელოდებოდნენ, რომელსაც ფული და იარაღი უნდა ჩამოეტანა და 400 შეიარაღებული ფრანგი უნდა ჩამოეყვანა.¹¹ წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით აჯანყებაში აქტიური მონაწილეობა უნდა მიეღო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის(მ) ტამიშის ორგანიზაციის შეიარაღებულ რაზმს. მაგრამ ამ დროს აჯანყებულებმა ოჩამჩირეში საბჭოთა ხელისუფლების მიერ დაწყებული მასობრივი რეპრესიების შესახებ შეიტყვეს და დაიშალნენ.¹²

1922 წლის 7 ივნისს სოფ. აჟარაში დისლოცირებული საბჭოთა ხელისუფლების არმიის ნაწილები **ჩერნიშოვმა** მოხსნა და სოფ. ჩხალთისაკენ გაემართა. ამ დროს, სოფ. აჟარაში სოფ. ტამიშიდან კონსტანტინე (კოწია) დადემქელიანი თავის ძმებთან **თენგიზ, არდევან** და **ტარიელ დადემქელიანებთან** და **ნიკოლოზ გერლიანთან** ერთად ჩავიდა. მათ მოსახლეობის დარწმუნება დაიწყეს, რომ ზღვის სანაპიროს მიმდებარე ტერიტორიაზე მიმდინარეობდა მძლავრი ანტისაბჭოთა ეროვნული აჯანყება. მათი თქმით, ისინი სოფ. აჟარაში აჯანყების მოსაწყობად მოვიდნენ. კ. დადემქელიანის განმარტებით, სოფ. აჟარაში ხელისუფლების შეიარაღებული რაზმის მოხსნა მოხდა იმიტომ, რომ მათ ტყვედ ჩავარდნის შეეშინდათ. ყოველივე ამის შემდეგ 50 შეიარაღებული სვანი შეიკრიბა კ. დადემქელიანის გარშემო. კ. დადემქელიანი შეიარაღებულ სვანებთან ერთად გაემართა სოფ. ჩხალთისაკენ ჩერნიშევის რაზმის მოძრაობის მიმართულებით, მაგრამ ჩერნიშევის რაზმმა სოფ. ჩხალთა კ. დადემქელიანის მისვლამდე დატოვა. მოგვიანებით, კ. დადემქელიანი თავის რაზმთან ერთად მიიმალა.¹³

აფხაზეთის საგანგებო კომისიამ მასობრივი დაპატიმრებები 1922 წლის

⁹ ს.შსსა (II). ფონდი №6. საქმე №23480. ფურცელი 751-752.

¹⁰ ს.შსსა (II). ფონდი №6. საქმე №23480. ფურცელი 751.

¹¹ ს.შსსა (II). ფონდი №6. საქმე №23480. ფურცელი 281-282.

¹² ს.შსსა (II). ფონდი №6. საქმე №23480. ფურცელი 281-282.

¹³ ს.შსსა (II). ფონდი №6. საქმე №23480. ფურცელი 316.

28 მაისს დაიწყო. ამ დღეს დააპატიმრეს: **ექვთიმე გაბუნია** (სოციალ-დემოკრატი), **ალექსანდრე მაჭავარიანი** (სოციალ-დემოკრატი), **პელაგია პინტურია**, **ტარას კვარაცხელია**, **ვასილ ანტონის ძე კვარაცხელია**, **მუშნი დადემქელიანი**, **ჭიჭიკო იოსების ძე კოპალეიშვილი**. ამ დაპატიმრებულთაგან 1922 წლის 12 ივნისს გაათავისუფლეს **ალექსანდრე მაჭავარიანი** და **პელაგია პინტურია**, 1922 წლის 19 ივნისს – **ტარას კვარაცხელია**, 1922 წლის 27 ივნისს – **ექვთიმე გაბუნია**, 1922 წლის 22 ივლისს – **მუშნი დადემქელიანი**.¹⁴ მოგვიანებით, უფრო ფართო მასშტაბის დაპატიმრებების სერია დაიწყო. აფხაზეთის საგანგებო კომისიამ 1922 წლის 16 ივნისს დააპატიმრა: **ბარდლუ მიქვაბია**, **კაპიშ ფილია**, **ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ჯიჯელავა**, **ნესტორ ანუა**, **ნიკოლოზ კონსტანტინეს ძე ბჟანია**, **კონსტანტინე გაბლია**, **მანმედ (ალექსი) გაბლია**, ხოლო 1922 წლის 21 ივნისს – **ნიკოლოზ მალანია**, **თამაზულ ანჩაბაძე**, **ნარბეი მარშანია**, **ბიჯგვა ატუმავა**. მოგვიანებით, ამ დაპატიმრებულთაგან გაათავისუფლეს: **ბარდლუ მიქვაბია**, **კაპიშ ფილია**, **ნესტორ ანუა**, **ნიკოლოზ ბჟანია**, **ალექსანდრე ჯიჯელავა**, **კონსტანტინე გაბლია** და **ნიკოლოზ მალანია**.¹⁵

აფხაზეთის საგანგებო კომისია აფხაზეთში აჯანყების მოწყობის მცდელობაში ეჭვმიტანილების დასაპატიმრებლად არაფერს იშურებდა. მალე ამ ბრალდებით საპატიმროებში აღმოჩნდნენ: **ბიქტორ გიორგის ძე ჟორჟოლიანი**, 37 წლის, გლეხი, სოციალ-დემოკრატი 1905 წლიდან; **ნოჩო მიქელაძე**, სოციალ-დემოკრატი, აჯანყების ტექნიკური მხარის ხელმძღვანელი, თავის რესტორანში ფარულ კრებებს აწყობდა, შექმნა რაზმი, რომელშიც აგიტაციის მეშვეობით გლეხები შეჰყავდა; **ალექსანდრე არჩილის ძე მაჭავარიანი**, 28 წლის, მცხოვრები ქ. ოჩამჩირეში; **ექვთიმე ფილიფეს ძე გაბუნია**, სოციალ-დემოკრატი 1905 წლიდან, მცხოვრები ქ. ოჩამჩირეში; **თეიმურაზ ანდროს ძე კუპრავა**, 32 წლის, გლეხი; **ვასილ გურჯუა**, 45 წლის, გლეხი; **სეითბი ანჩაბაძე**, 23 წლის, ყოფილი თავადი; **ხერიაჰს ანჩაბაძე**, ყოფილი თავადი; **გუჯუჯ მარლანია**, ყოფილი თავადი; **გრიგოლ გამისონია**, 24 წლის, გლეხი; **ალექსანდრე მარშანია**, 25 წლის, ყოფილი თავადი, ადრე ნასამართლვეი აფხაზეთის საგანგებო კომისიის კოლეგიის წევრის მკვლელობაზე; **ვლადიმერ ქორქია**; **ნესტორ დადიანი**, 28 წლის, ყოფილი თავადი; **გიორგი მიქელაძე**, ძებნაში მყოფი პირები მიიყვანა ნოჩო მიქელაძესთან; **ბიჯგვა ათუმავა**, 40 წლის,

¹⁴ ს.შსსა (II). ფონდი №6. საქმე №23480. ფურცელი 281-282.

¹⁵ ს.შსსა (II). ფონდი №6. საქმე №23480. ფურცელი 281-282.

გლეხი; კვაკვანა სოლმაქის ძე აგირბა, 30 წლის, გლეხი, მცხოვრები სოფ. გუპში; ელიკ სულეიმანის ძე აბიდუი, 30 წლის; სოლლატ შერვაშიძე; კონსტანტინე (კოწია) დადემქელიანი; იპოლიტე ჟორჟოლიანი; ტარას კვარაცხელია; ალექსანდრე ყურაშვილი; მუშნი დადიანი; ოთარ დადიანი; ასტამურ ძიაპშიპა; ალექსანდრე მარშანია; დაჟგუ ხინდა; მაჯგა ადლეიბა; სეითბეი ძიაპშიპა; ტაია ემზვარი; იასონ მარლანია; ჩიკ კვარაცხელია; ფარნა ფილია; ფეხუ კვარჩაია; პლატონ ბერია; რაჟდენ ჟვანია; ბეგი (ბეგლარ) მინჯგია, ნესტორ გოგიძე.¹⁶ იაკობ აბაკელია, სოციალ-დემოკრატი; არსენ ალანია, სოციალ-დემოკრატი; სამსონ ალანია, სოციალ-დემოკრატი; ჩიჟ ასუბა; ზოვარბექ ანჩაბაძე; ჟვილვ ადუიბაია; პლატონ გოგია, სოციალ-დემოკრატი; ერმოლოდ გაბელია; ძუკუ კვარაცხელია; ეგენი კვარაცხელია; სეიდიკ ქარდავა, სოციალ-დემოკრატი; იასონ მარლანია; გუჯუჯ მარლანია; თამაშ მარშანია; შურა მაჭავარიანი; ჯოტო მარშანია, სოციალ-დემოკრატი; ალექსანდრე მარშანია; ბარდლუ მიქვაბია; ტარა მიქვაბია; ჯოტო მიქვაბია; ქვათა მიქვაბია; კონსტანტინე მოღზელევსკი; კირბეი მარშანია; პეტრე ლავგილავა; სპირიდონ სალაყაია; თამაშ ძიაპშიპა; ტარასხან ანჩაბაძე; ყარამან ბარკალაია; ზაფას კვეკვესკირი; ზოსიმე ხაბურზანია, სოციალ-დემოკრატი; ბესარიონ ჭურღულია; ხუხუტი ჩაჩავა.¹⁷

1922 წლის 9 ივნისს აფხაზეთის საგანგებო კომისიის მიერ დაპატიმრებულთა ნაწილი იმავე წლის ოქტომბერში გაათავისუფლეს. მოგვიანებით, 1922 წლის 14 ნოემბერს გაიმართა აფხაზეთის საგანგებო კომისიის კოლეგიის სხდომა. სხდომას **კუხალეიშვილი** თავმჯდომარეობდა, ესწრებოდნენ: აფხაზეთის რევოლუციური ტრიბუნალის თავმჯდომარე **ჩაჩა**, აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივნის მოადგილე **უბირია**, აფხაზეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **კარტოზია**, აფხაზეთის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ლაკობა**, საკავშირო კომუნისტური პარტიის წარმომადგენელი **გოლდესგეიმი**. სხომას **დობროვოლსკი** მდივნობდა.¹⁸ სხდომამ, ის პატიმრები, რომლებიც აჯანყების მოწყობასთან დაკავშირებით რჩებოდნენ კვლავაც პატიმრობაში, ოთხ კატეგორიად დაჰყო: 1. ხელმძღვანელებად და აქტიურ წევრებად როგორც პოლიტიკური, ისე „ბანდიტური ხა-

¹⁶ სშსსა (II). ფონდი №6. საქმე №23480. ფურცელი 281-282.

¹⁷ სშსსა (II). ფონდი №6. საქმე №23480. ფურცელი 87.

¹⁸ თ. ენდელაძე. საბჭოთა ძალოვანი სტრუქტურები ქართული ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლაში (1921-25 წწ.). დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბ. 2003, გვ. 77-78.

სიათის“ თვალსაზრისით; 2. ნაკლებად აქტიურებად და პოლიტიკური თვალსაზრისით ნაკლებ მნიშვნელოვან პირებად; 3. ბანდიტებად, რომლებიც მიემხრნენ აჯანყების

მოძრაობების მონაწილეებს მენშევიკების პროპაგანდის ზეგავლენით; 4. გლეხები და უპარტიოები, ყოფილი თავადები და აზნაურები, რომლებიც მიემხრნენ აჯანყების ორგანიზატორებს დაბალი შეგნების და კულტურის წყალობით და არაფრით გამოავლინეს თავი.¹⁹

მოგვიანებით, აფხაზეთის საბჭოთა ხელისუფლებას ახალი თავსატეხი გაუჩნდა – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროს აფხაზეთის განსაკუთრებული რაზმის ხელმძღვანელი **ტარასხან ღიმიტრის ძე ეშბა** აფხაზეთში დაბრუნდა. ტარასხან ეშბა ამ თანამდებობაზე მუშაობის დროს ბოლშევიკების მიმართ აშკარა სისასტიკით გამოირჩეოდა. ტარასხან ეშბამ აქტიური მონაწილეობა მიიღო 1918 წელს ბოლშევიკების მიერ აფხაზეთში მოწყობილი ე.წ. აჯანყების ჩახშობაში. აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადებისთანავე ტარასხან ეშბამ აფხაზეთი დატოვა და თავი კონსტანტინოპოლს შეაფარა.²⁰ ტარასხან ეშბა თურქეთიდან სამურზაყანოს მაზრაში (აფხაზეთში) 1922 წლის აგვისტოში დაბრუნდა.²¹ მან თან 25 000 თურქული ლირა ჩამოიტანა. უნდა აღინიშნოს, რომ ტარასხან ეშბას ჩასვლის შემდეგ სამურზაყანოს მაზრაში ანტისაბჭოთა მუხტი საგრძნობლად გაიზარდა.²²

აფხაზეთის საგანგებო კომისიის კოლორის მაზრის ოჩამჩირის საინფორმაციო პუნქტმა (რწმუნებული ა. ანჩბა) ინფორმატორ „**მოსკოვისაგან**“ ინფორმაცია მიიღო, რომ საზღვარგარეთიდან ტარასხან ეშბასთან ერთად სამურზაყანოს მაზრის სოფ. **გულდავაში არზაყან ემუხვარი**, ვინმე **სიჭინავა** და **მ. ჩიქოვანი** ჩავიდნენ. „მოსკოვის“ ინფორმაციით, მათ ბინა სოფ. **ბაღრაში** მცხოვრებ **საბეკიას, მუშნი მაიშავას** და **იასონ ლაჭავას** ოჯახებში დაიდეს. ინფორმატორის ცნობით, აღნიშნული პირები ამ სახლებში სამი დღის განმავლობაში იმყოფებოდნენ.²³

ტარასხან ეშბამ სამურზაყანოს მაზრაში ჩასვლისთანავე შეიარაღებული

¹⁹ თ. ენდელაძე. საბჭოთა ძალოვანი სტრუქტურები ქართული ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლაში, გვ. 54.

²⁰ სშსსა (II). ფონდი №6. საქმე №25223. ფურცელი 4.

²¹ სშსსა (II). ფონდი №6. საქმე №25223. ფურცელი 90.

²² სშსსა (II). ფონდი №6. საქმე №25223. ფურცელი 4-5.

²³ თ. ენდელაძე. საბჭოთა ძალოვანი სტრუქტურები ქართული ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლაში, გვ. 54.

რაზმი ჩამოაყალიბა, რომელშიც შედიოდნენ: **ტარასხან ეშბა**, 35 წლის, შეიარაღებული ნაგანით, მოქმედებდა სოფლებში: **ემხეთი**, **ბედია**, **ტყვარჩელი**, **ოქუმი**, ჰყავდა 8 ინფორმატორი; **აკუმ კაჭარავა**, 28 წლის, შეიარაღებული მაუზერით და შაშხანით, მოქმედებდა სოფლებში: **აჩიგვარა**, **ტკვარჩელი**, **ბედია**, ჰყავდა 4 ინფორმატორი; **ევგენი ჯობავა**, 35 წლის, შეიარაღებული ნაგანით და შაშხანით, მოქმედებდა სოფლებში: **ბედია** და **რენხი**, ჰყავდა სამი ინფორმატორი; **იონა ჯინჯოლია**, 31 წლის, შეიარაღებული მაუზერით და შაშხანით, მოქმედებდა სოფ. **ფოქვეშში**; **ტარასხან ანჩაბაძე**, 34 წლის, შეიარაღებული ნაგანით და შაშხანით, მოქმედებდა სოფ. **ბარღევში**, ჰყავდა 4 ინფორმატორი; **ლეონტი ოკუჯავა**, 23 წლის, შეიარაღებული მაუზერით და შაშხანით, მოქმედებდა სოფლებში: **ოტობაია** და **ბარღეფი**, ჰყავდა 5 ინფორმატორი; **იასონ ჯინჯოლია**, 29 წლის, შეიარაღებული ნაგანით და შაშხანით, მოქმედებდა სოფ. **ფოქვეშში**, ჰყავდა 5 ინფორმატორი; **სხულუხია** (სახელი უცნობია – **ლ.ჯ.**), შეიარაღებული ნაგანით, მაუზერით, შაშხანით და ბომბით, მოქმედებდა სოფ. **მუხურში**, ჰყავდა 5 ინფორმატორი.²⁴ თუმცა, როგორც ჩანს, ტარასხან ეშბას რაზმის წევრების რაოდენობა ხშირად იცვლებოდა. ტარასხან ეშბას რაზმი 1923 წლის 21 აპრილს **საბერიოს რაიონში** იმყოფებოდა. აქ ტარასხან ეშბას რაზმსა და ადგილობრივ მილიციას შორის შეტაკება მოხდა. ხანგრძლივი ორმხრივი სროლების შემდეგ ტარასხან ეშბას რაზმი სამ ნაწილად დაიშალა.²⁵ აფხაზეთის საგანგებო კომისიის ინფორმაციით, ტარასხან ეშბა 1923 წლის 30 მაისს სოფ. **რენხოცხირში ბოკო ჩეხერიას** სახლში იმყოფებოდა, საიდანაც ჯერ სოფ. **ოქუშში**, შემდეგ კი კოდორის მაზრაში გადავიდა.²⁶

ტარასხან ეშბამ 1923 წლის ივნისის პირველ რიცხვებში აფხაზეთის საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ აჯანყების მოწყობა სცადა, მაგრამ უშედეგოდ. ამის შემდეგ აფხაზეთის საბჭოთა ხელისუფლებამ ტარასხან ეშბას ძებნა გააძლიერა. ამის გამო ტ. ეშბა 1923 წლის 7 ივლისს სოფ. **ბედიაში** საბჭოთა ხელისუფლებას ნებაყოფლობით ჩაბარდა.²⁷ მოგვიანებით, ტ. ეშბა თბილისში გადააგზავნეს.²⁸

ტარასხან ეშბას რაზმის გარდა აფხაზეთში მრავლად მოქმედებდა სხვა

²⁴ სშსსა (II). ფონდი №6. საქმე №25223. ფურცელი 36.

²⁵ სშსსა (II). ფონდი №6. საქმე №25223. ფურცელი 30.

²⁶ სშსსა (II). ფონდი №6. საქმე №25223. ფურცელი 39.

²⁷ სშსსა (II). ფონდი №6. საქმე №25223. ფურცელი 90.

²⁸ სშსსა (II). ფონდი №6. საქმე №25223. ფურცელი 18.

შეიარაღებული ანტისაბჭოთა რაზმები. ერთ-ერთი ასეთი რაზმის მეთაური **ხუდა ემუხვარი** იყო. ხუდა ემუხვარს ტარასხან ეშბასთან მუდმივი კავშირი ჰქონდა.²⁹ 1923 წლის 28 ოქტომბერს ხუდა ემუხვარმა თავის რაზმთან ერთად სოფ. **ბარღეფში** (სოხუმიდან 55 ვერსითაა დაშორებული) სამურზაყანოს მაზრის მილიციის უფროსს **ქოცბაიას** და მასთან მყოფ მილიციელებს საფარიდან ცეცხლი გაუხსნა. სროლის დროს მილიციის უფროსი ქოცბაია დაიჭრა, ხოლო ერთი მილიციელი გვარად **ხეიტია** ადგილზევე დაიღუპა.³⁰ აფხაზეთის საბჭოთა ხელისუფლებისათვის ასევე სერიოზულ პრობლემად იქცა **სიჭინავას** რაზმის წინააღმდეგ ბრძოლა. თავდაპირველად სიჭინავას რაზმის დისლოკაციის ადგილი **ზუგდიდის მაზრა** იყო, შემდეგ კი – **გუმისთის მაზრა** (აფხაზეთი).³¹ აფხაზეთის საბჭოთა ხელისუფლებამ სიჭინავას რაზმის წინააღმდეგ რამდენიმე სპეცოპერაცია ჩაატარა. 1923 წლის აგვისტოში **გლუმნის** მეთაურობით 8 კაციანი რაზმი იქნა გაგზავნილი სიჭინავას რაზმის გასანადგურებლად კელასურის მთაზე, თუმცა უშედეგოდ.³² მორიგი სპეცოპერაცია სიჭინავას რაზმის წინააღმდეგ ხელისუფლებამ **ვუგეხუს** მთაზე (სოხუმიდან 50 ვერსითაა დაშორებული) განახორციელა, თუმცა კვლავ წარუმატებლად.³³

აფხაზეთში ასევე მოქმედებდა **ევტიხი სოჩინავას** 3 კაციანი რაზმი და **ივანე ჩხოტუას** 12 კაციანი რაზმი. აქედან აფხაზეთის ხელისუფლებამ ივანე ჩხოტუას რაზმის განადგურება მოახერხა.³⁴

1923 წლის გაზაფხულზე აფხაზეთის საგანგებო კომისიის კოლორის მაზრის ოჩამჩირის საინფორმაციო პუნქტმა, ინფორმატორ „№5“-საგან მიიღო შეტყობინება, რომლის თანახმად **გერასიმე განდელია** თითქოს თამბაქოს შეძენის მიზნით სოფლებში დადიოდა, სინამდვილეში კი ანტისაბჭოთა აგიტაციას ეწეოდა. „№5“-ის თქმით, გ. განდელიას „პოლიტბანდიტ“ **ძაგანიასთან** ჰქონდა კავშირი. აფხაზეთის საბჭოთა ხელისუფლებამ გერასიმე განდელია 1923 წლის 28 მარტს დააპატიმრა. გარდა ამისა, აფხაზეთის საგანგებო კომისიამ ორი კვირის განმავლობაში 26 კაცი დააპატიმრა: **გელეონ სანიკიძე,**

²⁹ სმსსა (II). ფონდი №6. საქმე №25223. ფურცელი 32.

³⁰ საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი (სუიცა). ფონდი №285. აღწერა №1. საქმე №652. ფურცელი 287.

³¹ სუიცა. ფონდი №285. აღწერა №1. საქმე №652. ფურცელი 39.

³² სუიცა. ფონდი №285. აღწერა №1. საქმე №652. ფურცელი 189.

³³ სუიცა. ფონდი №285. აღწერა №1. საქმე №652. ფურცელი 152.

³⁴ სმსსა (III). ფონდი №14. აღწერა №2. საქმე №28. ფურცელი 827-828.

ივანე აფონდოპულო, კონსტანტინე ჩიქოვანი, ვასილ გამისონია, კონსტანტინე აქირთავა, აქესენტი ბერიძე და სხვ. 1923 წლის აპრილის შუა რიცხვებში, აფხაზეთის საგანგებო კომისიის რწმუნებულებმა **შურხოთეცკიმ** და **კალაშნიკოვმა** ამ 26 დაპატიმრებულს ბრალდებად კონტრრევოლუციაში მონაწილეობა წაუყენეს. პარალელურად, აფხაზეთის საგანგებო კომისიამ დაპატიმრებულების ნათესავების და ახლო პირების გადაბირება დაიწყო. 1923 წლის 4 აპრილს აფხაზეთის საგანგებო კომისიამ გადაიბირა 1923 წლის 1 აპრილს დაპატიმრებული ვაჭრის **ალექსი კაჭარავას** მეუღლე **ნადეჟდა (ნადია) პავლეს ასული კაჭარავა**. ხელწერილში, რომელსაც ნადია კაჭარავა ხელს აწერდა, ვკითხულობთ: „1923 წლის 4 აპრილს მე, ქვემოთ ხელისმომწერი ნადეჟდა პავლეს ასული კაჭარავა, ვაძლევ ხელწერილს აფხაზეთის „ჩეკას“ მასზედ, რომ ვაღიარებ ვიღებ გავიგო და „ჩეკას“ შევატყობინო თეიმურაზ ფანცულაიას ადგილსამყოფელი. ასევე ვიქნები რა თავისუფლებაში, არავის არ გავუმხელ მიცემული დავალების შესახებ, კონსპირაციის დარღვევისათვის მთელი სიმკაცრით ვაგებ პასუხს რევოლუციური კანონების წინაშე, რაზეც ხელს ვაწერ პირადად. პირობას ვიძლევი აღნიშნული დავალება შევასრულო გათავისუფლებიდან 20 დღის განმავლობაში“. ³⁵ როგორც ჩანს, ნადია კაჭარავამ პირნათლად შეასრულა მიცემული პირობა, რადგან თეიმურაზ ფანცულაია აფხაზეთის საგანგებო კომისიამ მალევე პატიმრობაში აიყვანა. 1923 წლის 10 აგვისტოს აფხაზეთის კომუნისტური პარტიის(ბ) ცენტრალური კომიტეტის და აფხაზეთის სახალხო კომისართა საბჭოს გაერთიანებულმა სხდომამ სასჯელის უმაღლესი ზომა დახვედრა შეუფარდა საბჭოთა ხელისუფლების აქტიურ მოწინააღმდეგეებს: **ალექსანდრე მარშანიას**, **ჯოტო მარშანიას**, **იასონ ჯიქიას**, **იონა ჯინჯილიას**, **შაშკო ამღზას**, **დომეი ამზას**, **სპირიდონ სალაყაიას**, **ტატამ ძიპშიპას**. ³⁶

აფხაზეთის საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლას აგრძელებდა პატიმრობიდან გათავისუფლებული **ვასილ გურჯუა**. ³⁷

ვასილ გურჯუას ადგილსამყოფელის გაგების მიზნით აფხაზეთის საბჭოთა ხელისუფლებამ დააპატიმრა: **სპირიდონ გუჯუს ძე გურჯუა**, 35 წლის, მცხოვრები სოფ. **კინგეში**, უპარტო, გლეხი; **ტაბაკ ვიტოს ძე გურჯუა**, 37 წლის, მცხოვრები სოფ. **კინგეში**, უპარტო, გლეხი; **სტეფანე გულუს ძე**

³⁵ თ. ენდელაძე. საბჭოთა ძაღოვანი სტრუქტურები ქართული ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლაში, გვ. 54-55.

³⁶ სუიცა. ფონდი №285. აღწერა №1. საქმე №652. ფურცელი 189.

³⁷ სმსსა (II). ფონდი №6. საქმე №23581. ფურცელი 54.

გურჯუა, მცხოვრები სოფ. კინგეში, უპარტიო, გლეხი; ნიქსოა კონსტანტინეს ძე ბუანია, 35 წლის, მცხოვრები სოფ. ტამიშში, უპარტიო.³⁸ ყველა დაპატიმრებულს აფხაზეთის საგანგებო კომისიამ ხელწერილი ჩამოართვა, რომლის თანახმად ისინი ვალდებული იყვნენ 20 ლლის ვადაში წარმოედგინათ ვასილ გურჯუა. მაგრამ მათ პირობა არ შეუსრულებიათ. ამის გამო ისინი ხელმეორედ აღმოჩნდნენ აფხაზეთის საგანგებო კომისიაში. თითოეულ მათგანს 6 თვიანი პატიმრობა შეეფარდა, თუმცა ისინი მოგვიანებით, ვადაზე ადრე, 1924 წლის 20 მარტს გაათავისუფლეს.³⁹ ვასილ გურჯუას დაპატიმრების მიზნით აფხაზეთის ხელისუფლებამ 1923 წლის 22 მარტს ვასილ გურჯუას მეუღლე მარია გურჯუა დააპატიმრა.⁴⁰ მარია გურჯუას დაკითხვიდან გაირკვა, რომ ის ვასილ გურჯუას საჭირო პროდუქტებით და მედიკამენტებით ხშირად ამარაგებდა (ვ. გურჯუა ხშირად ავადმყოფობდა).⁴¹ მოგვიანებით, 1924 წლის აგვისტოს დასაწყისში აფხაზეთის საგანგებო კომისიამ ვასილ გურჯუას საქმეზე ოჩამჩირის მკვიდრი პავლე ფაჩულია დააპატიმრა (40 წლის, სოციალ-დემოკრატი). პავლე ფაჩულია 1924 წლის 6 აგვისტოს სამურზაყანოს მაზრის ინფორმპუნქტის უფროსმა შარია დაკითხა. დაკითხვაზე გაირკვა შემდეგი: ვასილ გურჯუა სოფ. ბეღიაში რაჯიბ აბაშიას სახლში ვინმე მატკავამ მიიყვანა. მატკავამ თხოვა რაჯიბ აბაშიას ვასილ გურჯუა თავისთან დაეტოვებინა, რადგან ეს უკანასკნელი მკურნალობას საჭიროებდა. რაჯიბ აბაშიამ ამაზე თანხმობა განაცხადა და ვასილ გურჯუა მასთან სამი დღე დარჩა. მოგვიანებით, 1924 წლის 2 აგვისტოს არსენ ალანიამ პავლე ფაჩულიას დაავალა რაჯიბ აბაშიას სახლში მისულიყო და ვასილ გურჯუასთვის ეცნობებინა, რომ მისი ძმისშვილები ხელისუფლებამ დააპატიმრა და ვ. გურჯუა უფრო საიმედო ადგილზე გადასულიყო. არსენ ალანიამ პავლე ფაჩულიას აუწყა, რომ მან ვასილ გურჯუასთან უკვე გაგზავნა კაჭი ალექსანდრეს ძე გოგია, მაგრამ ეს უკანასკნელი უკან არ დაბრუნდა. პავლე ფაჩულია რაჯიბ აბაშიას სახლში მივიდა, თუმცა იქ ვასილ გურჯუა არ აღმოჩნდა. პ. ფაჩულიამ რაჯიბ აბაშიას სახლში კაჭი (კონჩა) გოგია ნახა. პ. ფაჩულიამ რაჯიბ აბაშიას თავისი მისვლის მიზეზი აუწყა. ამის შემდეგ პავლე ფაჩულია და კონჩა გოგია ერთად ქ. ოჩამჩირისაკენ წავიდნენ, მაგრამ სოფ. აჩიგვარის ძველ პოსტთან ისინი ილარიონ შიანოვმა დააპატიმრა. პავლე ფაჩულიას და კონჩა გოგიას

³⁸ ს.შ.ს.ა (II). ფონდი №6. საქმე №23581. ფურცელი 71-97.

³⁹ ს.შ.ს.ა (II). ფონდი №6. საქმე №23581. ფურცელი 98.

⁴⁰ ს.შ.ს.ა (II). ფონდი №6. საქმე №23581. ფურცელი 54.

⁴¹ ს.შ.ს.ა (II). ფონდი №6. საქმე №23581. ფურცელი 98.

დაკითხვიდან ცოტა ხნის შემდეგ ვასილ გურჯუა და არსენ ალანია პატიმრობაში აიყვანეს. აფხაზეთის საგანგებო კომისიამ მალე რაჯობ აბაშიაც დააპატიმრა. 1924 წლის 9 სექტემბერს აფხაზეთის საგანგებო კომისიამ განიხილა რაჯობ ასლანის ძე აბაშიას (47 წლის, მცხოვრები სოფ. ბეღიაში, გლეხი, დაოჯახებული) და კაჭი ალექსანდრეს ძე გოგიას (28 წლის, მცხოვრები სოფ. ტამიშში, უპარტიო, გლეხი) საქმე და ისინი პატიმრობიდან გაათავისუფლა. რაც შეეხება ვასილ გურჯუას, ის პატიმრობაში იქნა დატოვებული.⁴²

აფხაზეთში საქართველოს სოციალ-დემოკრატიული (მენშევიკური) პარტიის საოლქო კომიტეტის თავმჯდომარე **არტემ სილიბისტროს ძე ფანცულაია** იყო. არტემ ფანცულაია აფხაზეთში 1922 წლის აპრილში ჩავიდა და იქ 1924 წლის 8 სექტემბრამდე დარჩა.⁴³ არტემ ფანცულაიამ აფხაზეთის ყველა მაზრასთან კავშირი აღადგინა. აფხაზეთში მომუშავე სოციალ-დემოკრატებს შიფრიანი მიმოწერა ჰქონდათ ერთმანეთთან. მოგვიანებით, თბილისიდან არტემ ფანცულაიას შიფრიანი წერილი ვინმე **გონდორაიამ** ჩამოუტანა. წერილში, ა. ფანცულაიას ეკითხებოდნენ – იყო თუ არა შესაძლებელი **ფელიქს ძერჟინსკიზე** ტერორისტული აქტის განხორციელება. ფელიქს ძერჟინსკი საქართველოში სწორედ აფხაზეთის გავლით უნდა ჩამოსულიყო. ტერორისტული აქტის განხორციელების შესაძლებლობის შემოხვევაში მას 5 კაცის გამოგზავნას ჰპირდებოდნენ.⁴⁴ 1922 წლის ნოემბერში სოხუმში სოციალ-დემოკრატი(მ) **ალექსანდრე ბეგლარის ძე ძაძამია** ჩავიდა და დარჩა იქ დაპატიმრებამდე, ანუ 1924 წლის სექტემბრამდე.⁴⁵ ალექსანდრე ძაძამიამ არტემ ფანცულაიას განუცხადა, რომ მას აფხაზეთში სამხედრო ორგანიზაციის შექმნა სურდა. ალექსანდრე ძაძამიას თქმით, მას ეს დავალება სოციალ-დემოკრატი(მ) **ნოე ხომერიკმა** მისცა. არტემ ფანცულაიამ, ალექსანდრე ძაძამიას ამ განზრახვის შესრულების ნებართვა მისცა. თუმცა, იმავდროულად, არტემ ფანცულაიამ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის(მ) ცენტრალურ კომიტეტს განცხადებით მიმართა, რომ აფხაზეთში მოსახლეობის სიჭრელის გამო, სამხედრო ორგანიზაციის შექმნა შეუძლებელი იყო. არტემ ფანცულაიას თქმით, აფხაზეთში სამხედრო ორგანიზაცია თუ შეიქმნებოდა, ის მალევე ჩავარდებოდა. საბოლოოდ, ალექსანდრე ძაძამიამ აფხაზეთში სამ-

⁴² ს.შსსა (II). ფონდი №6. საქმე №23581. ფურცელი 123-131.

⁴³ ს.შსსა (III). ფონდი №14. აღწერა №2. საქმე №377. ტ. №3. ფურცელი 55.

⁴⁴ ს.შსსა (III). ფონდი №14. აღწერა №2. საქმე №377. ტ. №3. ფურცელი 57-62.

⁴⁵ ს.შსსა (III). ფონდი №14. აღწერა №2. საქმე №377. ტ. №3. ფურცელი 41.

ხედრო ორგანიზაციის შექმნა ვერ შეძლო.⁴⁶

1924 წლის დამდეგს საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის(მ) ცენტრალური კომიტეტის დავალებით სოხუმში **ივანე ჯაგუს ძე ბაძალუა** ჩავიდა (საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროს ი. ბაძალუა ქ. ზუგდიდის ერობის წევრი იყო). ივანე ბაძალუას სოხუმში ჩასვლის მიზანი იყო სოციალ-დემოკრატიული პარტიის(მ) სოხუმის კომიტეტის მუშაობა შეემოწმებინა და მისთვის სასურველი მიმართულება მიეცა. ივანე ბაძალუამ არტემ ფანცულაიას აუწყა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი სოციალურ-დემოკრატიული პარტიის(მ) სოხუმის საოლქო კომიტეტის მუშაობით უკმაყოფილი იყო, რადგან ამ უკანასკნელმა ადგილობრივი დამოუკიდებლობის კომიტეტი და სამხედრო ორგანიზაცია ამ დრომდე ვერ შექმნა. ივანე ბაძალუას თქმით, აფხაზეთის საოლქო კომიტეტი თბილისიდან სუბსიდიას ვერ მიიღებდა მანამ, სანამ აქ სამხედრო ორგანიზაცია არ ჩამოყალიბდებოდა. სოხუმში ყოფნისას ივანე ბაძალუამ კავშირი დაამყარა ალექსანდრე ძაძაძიასთან და სოხუმის საოლქო კომიტეტის წევრ **ქურულორიასთან**.⁴⁷ 1924 წლის 29 მარტს აფხაზეთის საგანგებო კომისიამ ალექსანდრე ძაძაძიას დაკავების მიზნით სპეცოპერაცია ჩაატარა, მაგრამ მისი დაპატიმრობა ვერ მოხერხდა. პატიმრობაში აყვანილ იქნა ივანე ბაძალუა.⁴⁸

1924 წლის ივლისის დამდეგს სოხუმში **გიორგი ჯინორიას** დავალებით სოციალ-დემოკრატიული პარტიის(მ) კიდევ ერთი რწმუნებული **აკაკი ალექსის ძე ფინხაია** ჩავიდა. წასვლის წინ გ. ჯინორიამ აკაკი ფინხაიას სახარჯო ფული 80 მანეთი და ყალბი პასპორტი მისცა **სალაყაიას** სახელზე. აკაკი ფინხაიას სოხუმში ჩასვლის მიზანი იყო გამოერკვია სოხუმის საოლქო კომიტეტი რა ტიპის მუშაობას ეწეოდა. აკაკი ფინხაია აფხაზეთში ერთ თვეზე მეტხანს დარჩა. აკაკი ფინხაიას, სოხუმში ჩასვლისთანავე, ისეთი შთაბეჭდილება შეექმნა, რომ თითქოს იქ არანაირი საოლქო კომიტეტი არ არსებობდა. წესით კომიტეტში 5 კაცი უნდა ყოფილიყო, მაგრამ სინამდვილეში იქ მხოლოდ არტემ ფანცულაია და ქურულორია იყვნენ. მაზრებში კი, როგორც ა. ფანცულაიამ და ქურულორიამ განუცხადეს მას, საბჭოთა ხელისუფლების მიერ სრულად მოხდა სამაზრო ორგანიზაციების ლიკვიდაცია. გარდა ამისა, აკაკი ფინხაიამ შეიტყო, რომ პარტიის წევრებს შორისაც არ იყო მაინცდა-

⁴⁶ ნ. კირთაძე. კაენ, სად არის ძმა შენი?! ქართველთა ისტორიის სისხლიანი ფურცლები (1921-1930 წწ). წიგნი პირველი. თბ. 1998, გვ. 386-388.

⁴⁷ ნ. კირთაძე. კაენ, სად არის ძმა შენი?! გვ. 387.

⁴⁸ ს'შსსა (II). ფონდი №6. საქმე №24378. ფურცელი 34.

მინც ჯანსაღი დამოკიდებულება და საბოლოოდ, აფხაზეთი დატოვა.⁴⁹

აფხაზეთში საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის რწმუნებული **სიმონ (ხუხუ) ხოფერია** იყო. ხუხუ ხოფერია აფხაზეთში **გიორგი წინამძღვრიშვილმა** გაგზავნა, რომელმაც მას აუწყა: „ვაპირებთ აჯანყებას ყველგან არის დამთავრებული მუშაობა, თქვენ გაემგზავრეთ აფხაზეთში მდგომარეობის გასაგებათ, პირობების გამოსარკვევად გაიგეთ როგორია ფსიქოლოგიური განწყობილება ხალხის, შესაძლებელია თუ არა რომ მოხდეს აჯანყება, გასინჯეთ ნიადაგი და მაცნობეთ.“ ხ. ხოფერია თავდაპირველად სამეგრელოში ჩავიდა, აქედან ფეხით სამურზაყანოში ჩავიდა. სამურზაყანოში ხუხუ ხოფერია ვინმე **მიქელაძეს** შეხვდა, რომელმაც მას დახმარების მიზნით რამდენიმე კაცი გააყოლა. აფხაზეთში ჩასვლიდან 15-20 დღის შემდეგ ხუხუ ხოფერიამ გიორგი წინამძღვრიშვილთან წერილი გაგზავნა. ხუხუ ხოფერია წერილის პასუხს ერთი თვის განმავლობაში უშედეგოდ ელოდა. საბოლოოდ, მან აფხაზეთი დატოვა და თბილისში დაბრუნდა.⁵⁰

აფხაზეთის საბჭოთა ხელისუფლება აფხაზეთში არალეგალურად მომუშავე პირებს თავისი აგენტების მეშვეობით გამუდმებით უთვალთვალებდა. სოციალ-დემოკრატების(მ) სამხედრო ორგანიზაციის შესახებ ინფორმატორი „აფხაზეთი“ ხელისუფლებას ატყობინებდა: „მე მქონდა საუბარი მამალაძესთან, რაშია საქმე და როდის იქნება, რაზეც მან მიპასუხა, რომ მას ჰქონდა საუბარი ამხანაგებთან და ჩემთან მოვიდა ნეკი ღლონტი (რესტორანშიკი), რომელიც ხელმძღვანელობდა სამუშაოს. მე ვიცნობდი ამ ღლონტს და ხელფასის აღებისთანავე წავივი მასთან. ღლონტმა მიმიპატიჟა რესტორანში თავის მაგიდასთან და დავიწყეთ ღვინის სმა. ღლონტმა მითხრა, რომ მათ ჰყავდათ საიმედო კაცი მილიციაში, მაგრამ ის დააპატიმრეს, ხოლო მეორე ანჯაფარიძე დააპატიმრების შემდეგ შიშობდა და, რომ მას ეხლა ჩემი იმედი ჰქონდა. ღლონტმა მიტხრა, რომ ეხლა მე უბრალო მილიციელი ვიყავი, ხოლო მეორე კი ვიქნებოდი დაწინაურებული და წინადადება მომცა დამეწყო მილიციაში 10 ან მეტი მილიციელისაგან თუნდაც 50 კაპიკის აღება, რადგან, მისი თქმით, საჭირო იყო დაპატიმრებული გურჯუას (ვასილ გურჯუა – ავტ.) ოჯახის მატერიალური მხარდაჭერა. ასევე, ეს შეგროვილი თანხა დაიხარჯებოდა ღვინოზე, რომ შეკრებების დროს მაგიდაზე ყოველთვის ყოფილიყო ღვინო. ღლონტმა მითხრა, რომ მე ვიქნებოდი უშუალოდ მათი ხელმძღვანე-

⁴⁹ ს.შსსა (III). ფონდი №14. აღწერა №2. საქმე №377. ტ. №3. ფურცელი 71-79.

⁵⁰ ს.შსსა (III). ფონდი №14. აღწერა №2. საქმე №377. ტ. №3. ფურცელი 190.

ლი (მილიციელების – ავტ.) და მომეწვია ხოლმე მათი შეკრება. ღლონტმა მირჩია სასწრაფოდ დამეწყო მუშაობა, რადგან მისივე თქმით, ევროპაში უკვე დამთავრდა კონფერენცია და საბჭოთა ხელისუფლებას უთხრეს გაეწმიდათ საქართველო და ამიტომაც, ჩვენ ამ მომენტისთვის მზად უნდა ვიყოთო.“⁵¹

საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტმა 1924 წლის აჯანყების წინ სამურზაყანოს მაზრაში სამხედრო მუშაობა სამეგრელოს სამხედრო შტაბს დაავალა. სამეგრელოს სამხედრო შტაბს **დავით მხეიძე** ხელმძღვანელობდა, ხოლო წევრები კი იყვნენ: **ხარიტონ ლაშხია**, **აქესენტი შალამბერიძე** და **სპირიდონ სულუხია**.⁵² თუმცა სამწუხაროდ, სამეგრელოს სამხედრო შტაბის სამურზაყანოს მაზრაში მუშაობის დამადასტურებელ ცნობებს ვერ მივაკვლიეთ. სამეგრელოს დამოუკიდებლობის კომიტეტის მიერ შემუშავებული გეგმით, სამეგრელოში 1924 წლის აჯანყების წარმატებით დაგვირგვინების შემდეგ, ადგილობრივ შეიარაღებულ ძალებს სამურზაყანოს მაზრა უნდა დაეკავებინა, მოგვიანებით კი სოხუმის მიმართულებით უნდა გაელაშქრა. სოხუმისაკენ უნდა დაძრულიყვნენ ასევე აჯანყებული სვანები.

1924 წლის 28-29 აგვისტოს ღამეს აჯანყებულებმა **კონსტანტინე (კოწია) დადემქელიანის** მეთაურობით **წებელდის რაიონში** ძალაუფლება ხელში აიღეს. კოწია დადემქელიანმა სოფ. **აჟარის** სოფლის საბჭოს თავმჯდომარედ **ბესარიონ გიორგის ძე აფროსიძე** დანიშნა.⁵³ კოწია დადემქელიანმა ხმები გაავრცელა, რომ მთელ საქართველოში და მათ შორის აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლება დაემხო.⁵⁴

1924 წლის აგვისტოს აჯანყებას ადგილი ჰქონდა **საბერიოს რაიონში**. აქ აჯანყების მეთაური **ჩხოტუა** იყო.⁵⁵

საქართველოს საბჭოთა ხელისუფლებამ 1924 წლის აგვისტოს აჯანყება მთელი საქართველოს მასშტაბით სისხლში ჩაახშო. აჯანყების ჩახშობაში აფხაზეთის საბჭოთა ხელისუფლება არანაკლებ აქტიურობდა. მთელ აფხაზეთში სრული განუკითხაობა სუფევდა. სამურზაყანოს მაზრის საგანგებო კომისიის თავმჯდომარემ **თეოფანე შარია** 32 პატიმარი დასახვრეტად გალის ციხიდან გამოიყვანა. დასახვრეტად წაყვანილთაგან ორი გზაში გაიქცა. ჩეკისტი თეოფანე შარია ციხეში დაბრუნდა, ერთ-ერთი საკნის კარი გააღებინა და

⁵¹ სშსსა (II). ფონდი №6. საქმე №23581. ფურცელი 130.

⁵² სშსსა (II). ფონდი №6. საქმე №24235-61. ფურცელი 28-34.

⁵³ სშსსა (II). ფონდი №6. საქმე №23581. ფურცელი 135.

⁵⁴ გაზ. „კომუნისტი“. 1924 წელი. 9 სექტემბერი. №205, გვ. 2.

⁵⁵ ფარი – საიმედო, მახვილი – ბასრი. რედ. ა. ინაური. თბ. 1987, გვ. 78.

ვინც პირველი შეხვდა გამოიყვანა და დახვრიტა. პატიმრები გალის ციხეში არ დაეტია, სკოლაში მეცადინეობა გადადეს და ციხედ აქციეს.⁵⁶ საბერიოს რაიონში სულ რაღაც ორი დღის განმავლობაში 204 აჯანყებული ტყვედ იქნა აყვანილი.⁵⁷ სამურზაყანოს მაზრაში 1924 წლის აჯანყების ჩახშობაში განსაკუთრებით აქტიურობდა, ამავე მაზრის პოლიტიბიუროს მდივანი **ტარას ანთია**.⁵⁸

სამურზაყანოს მაზრაში 1924 წლის აგვისტოს აჯანყების დამარცხების შემდეგ, ხელისუფლების ინსპირირებით, სოფლებში გლეხების კრებები დაიწყო, რომლებზეც მუდმივად გაისმოდა მოთხოვნები აჯანყების მეთაურები და მონაწილეები დაეხვრიტათ ან სარწყავი არხების გასაყვანად გამოეყენებინათ. ერთ-ერთი ასეთი კრება სოფ. **ჭუბურხინჯში** გაიმართა.⁵⁹

აფხაზეთის საბჭოთა ხელისუფლებამ წებელდის რაიონში აჯანყებულების წინააღმდეგ **შლატერი** გაგზავნა. შლატერმა ბესარიონ აფროსიძე და მასთან ერთად 10 აჯანყებული დააპატიმრა. შლატერს ნაბრძანები ჰქონდა დატყვევებული აჯანყებულები ადგილზევე დაეხვრიტა. მაგრამ მან ეს დავალება ვერ შეასრულა, რადგან მას სოფ. აჟარის მილიციამ დაპატიმრებულების დახვრეტის უფლება არ მისცა. შლატერი იძულებული გახდა დაპატიმრებულები სოხუმში ჩაეყვანა.⁶⁰ 1924 წლის 15-17 სექტემბერს აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის საგანგებო სამეულის სხდომა გაიმართა. სხდომაში მონაწილეობდნენ: აფხაზეთის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ლაკობა**, აფხაზეთის საგანგებო კომისიის თავმჯდომარე **ბახტაძე** და უკომის მდივანი **ასტრიბეკოვი**. სხდომაზე შლატერს ბრძანების შეუსრულებლობაზე ახსნა-განმარტება მოსთხოვეს. სხდომამ საბოლოოდ დაპატიმრებულ აჯანყებულებს სასჯელის უმაღლესი ზომა დახვრეტა მიუსაჯა.⁶¹ ამ განაჩენის მსხვერპლი აღმოჩნდნენ:

1. **ბესარიონ გიორგის ძე აფროსიძე**, 35 წლის გლეხი, უპარტიო;
2. **მიხეილ იასონის ძე ასათიანი**, 30 წლის, გლეხი, უპარტიო;
3. **ტარას თამაშელის ძე ანჩაბაძე**, 20 წლის, ყოფილი აზნაური, ბანდიტი;
4. **ერმოლოდ ჩაგუს ძე ანჩაბაძე**, 26 წლის, ყოფილი აზნაური, უპარტიო;

⁵⁶ ვ. ზუხბაია. გალი. თბ. 2002, გვ. 109.

⁵⁷ გაზ.: „კომუნისტი.“ 1924 წელი. 4 სექტემბერი. №201. გვ. 2.

⁵⁸ ფარი – საიმედო, მახვილი – ბასრი, გვ. 118.

⁵⁹ გაზ.: „კომუნისტი.“ 1924 წელი. 4 სექტემბერი. №201, გვ. 2.

⁶⁰ სმსსა (II). ფონდი №6. საქმე №23581. ფურცელი 135.

⁶¹ სმსსა (II). ფონდი №6. საქმე №23581. ფურცელი 135.

5. ნახარ ძაკას ძე ხუშტუა, 28 წლის, გლეხი უპარტო;
6. მაქსიმე სპირიდონის ძე კორსანტია, 35 წლის, გლეხი, სოციალ-დემოკრატი;
7. ნოჩო ნოეს ძე მიქელაძე, 26 წლის, აზნაური, სოციალ-დემოკრატი;
8. ვასილ გიორგის ძე გურჯუა, 32 წლის, ინტელიგენტი, სოციალ-დემოკრატი;
9. გიორგი კონსტანტინეს ძე ცინცაძე, 28 წლის, ინტელიგენტი, ეროვნულ-დემოკრატი;
10. კოკია დადეშქელიანი, გლეხი, სოციალ-დემოკრატი;
11. სამსონ ჯანდელიანი, გლეხი, სოციალ-დემოკრატი.⁶²

ზემოთ ჩამოთვლილი პირები 1924 წლის 19 სექტემბერს დილის 4 საათზე სოხუმში დახვრიტეს. დახვრეტილები 3,5 არშინის სიღრმის საფლავში ჩამარხეს. დახვრეტის წინ სიკვდილმისჯილებს რაიმე განცხადება არ გაუკეთებიათ და მათი მხრიდან თხოვნა შეწყალებაზე არ ყოფილა.⁶³ 1924 წლის 23 სექტემბერს აფხაზეთის საგანგებო კომისიამ დახვრეტილების ვასილ გურჯუას, ნოჩო მიქელაძის და გიორგი ცინცაძის ქონების კონფისკაცია მოახდინა.⁶⁴

1924 წლის 19 ნოემბერს აფხაზეთის საგანგებო კომისიამ სოხუმში სამეგრელოში 1924 წლის აჯანყების ერთ-ერთი აქტიური მონაწილე ვლადიმერ გეგეჭკორი დააპატიმრა.⁶⁵

1924 წლის 27 ოქტომბერს აფხაზეთის საგანგებო კომისიამ პატიმრობიდან გაათავისუფლა აჯანყებაში მონაწილეობის ბრალდებით დაპატიმრებულები:

1. ერემია როსტომის ძე შავიშვილი, 38 წლის, სოციალ-დემოკრატი 1905 წლიდან, მცხოვრები ქ. სოხუმში;
2. ნესტორ პეტრეს ძე ჯახაია, 39 წლის, გლეხი, მუშაობდა მტვირთავად, უპარტო, მცხოვრები ქ. სოხუმში;
3. არტემ ივორის ძე მაკალათია, 39 წლის, გლეხი, უპარტო, მცხოვრები ქ. სოხუმში;
4. იასონ კუტუს (სემენის) ძე წულაია, 34 წლის, ინტელიგენტი, უპარტო;

⁶² სშსსა (II). საქართველოს ჩკ-ს მიერ დახვრეტილთა შესახებ მიწერილობები და აქტები 1921-1924 წწ. ტ. I. ფურცელი 263 (I).

⁶³ სშსსა (II). ფონდი №6. საქმე №23581. ფურცელი 138.

⁶⁴ სშსსა (II). ფონდი №6. საქმე №23581. ფურცელი 139.

⁶⁵ სშსსა (II). ფონდი №6. საქმე №24388. ფურცელი 8-11.

5. პავლე გრიგოლის ძე კერტონჯია, 35 წლის, ყოფილი ოფიცერი, უპარტიო;

6. საბა მალაქიას ძე შენგელია, 29 წლის, ყოფილი ოფიცერი, უპარტიო;

7. ალექსანდრე გუტუს ძე გვასალია, 27 წლის, ინტელიგენტი, ეროვნულ-დემოკრატი 1920 წლიდან, ყოფილი ოფიცერი;

8. ჯოტო სტეფანეს (ალექსანდრეს) ძე ქორქია, 34 წლის, ყოფილი აზნაური, უმაღლესი განათლებით, ოფიცერი (კაპიტანი), უპარტიო.⁶⁶

ამდენად, აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე ანტისაბჭოთა ეროვნული მოძრაობა დაიწყო. აფხაზეთში რამდენჯერმე იყო მცდელობა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ შეიარაღებული აჯანყების მოწყობისა, მაგრამ ეს მცდელობები განხორციელებული მასობრივი დაპატიმრებების გამო რეალობად ვერ იქცა. მიუხედავად ამისა, აფხაზეთში ანტისაბჭოთა მუხტი არ შენელებულა. მართალია, 1924 წლის აჯანყებაში ეთნიკურ აფხაზებს მონაწილეობა არ მიუღიათ, მაგრამ მასში ქართველები აქტიურად ჩაებნენ. აფხაზეთში 1924 წლის აჯანყებამ სამურზაყანოს და კოდორის მაზრები მოიცვა. საბოლოოდ, როგორც მთელ საქართველოში, ისე აფხაზეთში 1924 წლის აჯანყება დამარცხდა, რომლის შემდეგ არნახული რეპრესიები დაიწყო.

⁶⁶ ს'შსსა (II). ფონდი №6. საქმე №25167. ფურცელი 93.

Levan Jikia

**NATIONAL MOVEMENT AND THE ANTI-SOVIET REBELLION IN
ABKHAZIA (1921-1924)**

Summary

In Abkhazia the anti-Soviet movement was launched in 1921. The anti-Soviet uprising was planned in 1922 in Abkhazia, but it has not been implemented. The Extraordinary Commission (Cheka) of Abkhazia arrested the heads of the rebellion. Later, Georgian independence Committee planned uprising in August 1924. Rebellion of 1924 comprised almost all parts of Georgia, including Abkhazia. Unfortunately, the ethnic Abkhazians did not participate. Cheka of Abkhazia shot 10, and arrested hundreds.

პროექტი

ნიკო ჯავახიშვილი

საქართველოს თანამედროვე ფულადი ნიშნების გარეგნული მხარის რეფორმირებისათვის*

საქართველოს თანამედროვე ფულის ნიშნების სისტემის შექმნისა და მიმოქცევაში გამოშვების შემდეგ უკვე 16 წელი გავიდა. ვფიქრობთ, ეს საკვებით საკმარისი დროა, რათა ვიზრუნოთ აღნიშნული სისტემის გადახალისება-განახლებაზე.

წინამდებარე სტატია ორ ნაწილად იყოფა. პირველში შესწავლილია საქართველოს თანამედროვე ვალუტის გარეგნული მხარე, მეორეში – საქართველოს ბანკოტების, გარეგნული მხარის რეფორმირების პროექტი, ხოლო მესამეში – საქართველოს მონეტების გარეგნული მხარის რეფორმაციის პროექტი. ამ პროექტებში მოყვანილი რეკომენდაციები წარმოადგენს ავტორის პირად მოსაზრებას.

I. საქართველოს თანამედროვე ვალუტის გარეგნული მხარე

თანამედროვე ქართული ფულის ნიშნებზე გამოსახული არიან გამოჩენილი მეფეები, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მესვეურები, საზოგადო მოღვაწეები, მწერლები, ასევე, ყველაზე ცნობილი პოეტი, მეცნიერი, მხატვარი და კომპოზიტორი, ცალკეული ქანდაკებები, შენობები და ნახატები.¹

მათ შორისაა შემდეგი გამოსახულებანი:

1 ლარი – შუბლი: მხატვარ ნიკო ფიროსმანის (1862-1918) პორტრე-

* მოხსენება წაკითხულ იქნა საქართველოს პარლამენტთან არსებული პერალდიკის სახელმწიფო საბჭოს მუდმივმოქმედი კომისიის გამსვენელ სხდომაზე (სიღნაღი, 20-21 მაისი, 2011 წელი), რომელშიც მონაწილეობდა ვექსილოლოგთა საერთაშორისო ასოციაციების გაერთიანების (FIAV) პრეზიდენტი მიშელ ლუპანი.

¹ თ. დუნდუა, გ. დუნდუა, ნ. ჯავახიშვილი (ავტორთა კოლექტივთან ერთად). ფული საქართველოში. მეორე გადაამუშავებული გამოცემა. თბ. 2003, გვ. 163-167.

ტი და მსხმოიარე ვაზის ლერწები. ზურგი: თბილისის პანორამა და ირემი ნ. ვიროსმანის ნახატიდან;

2 ლარი – შუბლი: კომპოზიტორ ზაქარია ფალიაშვილის (1871-1933) პორტრეტი. მარცხნივ მის მიერ შექმნილი ოპერის „აბესალომ და ეთერი“ უვერტიურის პირველი სანოტო პწკარედი. ზურგი: თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი (1887 წ.);

5 ლარი – შუბლი: აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის (1876-1940) პორტრეტი. მარჯვნივ – ჩუქურთმოვანი სვეტი. ზურგი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მთავარი კორპუსი, მის ქვემოთ გადაშლილი წიგნი და მცენარეული დეკორი, მარცხნივ – ოქროს ლომის ქანდაკება ალაზნის ველის ძვ. წ. III ათასწლეულის ყორღანიდან და საქართველოს რუკა;

10 ლარი – შუბლი: მწერლისა და საზოგადო მოღვაწის აკაკი წერეთლის (1840-1915) პორტრეტი, მერცხალი და ასკილის აყვავებული რტო. ზურგი: დედის პორტრეტი მხატვარ დავით კაკაბაძის ფერწერული ტილოდან „იმერეთი. დედაჩემი“ და ვაზის ლერწები;

20 ლარი – შუბლი: საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერის, მწერალის ილია ჭავჭავაძის (1837-1907), პორტრეტი, მარცხნივ – მის მიერ დაარსებული ჟურნალ-გაზეთები: „ივერია“, „საქართველოს მოამბე“ და მისი პირადი ნივთები. ზურგი: თბილისის დამაარსებელი მეფის, ვახტანგ გორგასლის, ქანდაკება, თბილისის გეგმა, შედგენილი ვახუშტი ბაგრატიონის (1696-1757) მიერ და ძველი თბილისის პანორამა: კომპოზიცია ნარიყალას და კალას გამოსახულებით;

50 ლარი – შუბლი: მეფე თამარის (მეფობდა 1184-1210/1213 წწ.) პორტრეტი. მარცხნივ – ფასკუნჯის (გრიფონის) გამოსახულება სამთავისის ტაძრის ფასადიდან (XI ს.). ზურგი: ზოდიაქოს ნიშანი „მშვილდოსანი“ X ს. ქართული ასტრონომიული ხელნაწერიდან;

100 ლარი – შუბლი: ჰუმანისტი პოეტის, შოთა რუსთაველის (XII-XIII სს.) გრაფიკული პორტრეტი. მარცხნივ – ანგელოზთა მიერ ჯვრის ამალგების კომპოზიცია. ზურგი: კომპოზიცია ბიბლიური სიუჟეტით „დანიელი ლომთა ხაროში“ მარტვილის მონასტრის რელიეფიდან (VII ს.);

200 ლარი – შუბლი: ეროვნული გმირის ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის (1888-1930) პორტრეტი. მარჯვნივ – წმ. გიორგის რელიეფური

გამოსახულება და საქართველოს თანამედროვე სახელმწიფო დროშა. ზურგი:
ქ. სოხუმის საერთო ხედი (ზღვის ნაპირიდან).

ქართულ მონეტებზე გამოსახულია საქართველოს სახელმწიფო სიმბო-
ლიკა, ასევე ცალკეული დეტალები ქართული არქიტექტურული ნაგებობების
ფასადიდან და ცნობილ მხატვართა ნახატებიდან.

1993 წლით დათარიღებული მონეტების შუბლზე გამოსახულია შვიდმ-
კლავიანი ბორჯღალი. მათ კიდეზე წრიული ფორმით აქვთ შემოვლებული
ერთმხრივ მიმართული მცენარეული მოტივით შექმნილი არშია. მონეტების
ზურგზე მათ ნომინალთან ერთად გამოსახულია:

1 თეთრი – სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძრის ფასადის რელიეფური
შემკულობის დეტალი – ვაზის ლერწი;

2 თეთრი – ფარშევანგი (გრიფონი);

5 თეთრი – ოქროს ლომის ქანდაკება ალაზნის ველის ძვ. წ. III ათას-
წლეულის ყორღანიდან;

10 თეთრი – ლომზე ამხედრებული წმ. მამია გელათის საკათედრო
ტაძრის XI საუკუნის მოოქროვილი ვერცხლის ტონდოდან;

20 თეთრი – ხარირეძი ნიკო ფიროსმანის ნახატიდან;

50 თეთრი – ფასკუნჯის გამოსახულება სამთავისის ტაძრის ფასა-
დიდან (XI ს.).

2006 წლით დათარიღებული 50 თეთრის, 1 და 2 ლარის ღირებულებ-
ის მონეტების შუბლზე გამოსახულია საქართველოს თანამედროვე სახელმ-
წიფო გერბი. მონეტების ორივე მხარეს, მათი დაცვის თვალსაზრისით, დატა-
ნილია მიკროელემენტი – ლომის თავის გამოსახულება „კოლხური თეთრის“
(სტატერის) ერთ-ერთი ნიმუშიდან (ძვ. წ. VI-V სს.). მონეტების წიბო
დაღარულია. მასზე ამოტვიფრულია ქართული და ინგლისური წარწერა: „სა-
ქართველო (GEORGIA)“.

საქართველოს ეროვნული ბანკის საბანკო ბილეთებსა და მონეტებზე
ცენტრალური წარწერები ქართულ ენაზეა. ამასთანავე, ნომინალი მითითებუ-
ლია ინგლისურ ენაზეც. 200-ლარიანზე დამატებით აფხაზური წარწერაც
არის.

II. საქართველოს ბანკნოტების გარეგნული მხარის რეზორირების პროექტი

თავის დროზე, საქართველოს თანამედროვე ფულადი სისტემის შექმნისას, არ იქნა გათვალისწინებული მსოფლიოს ქვეყნების უმეტესობაში დადგენილი ბონისტიკური პრინციპი, რომლის თანახმადაც ყველაზე გამოჩენილი მოღვაწეების პორტრეტებს გამოსახავენ ბანკნოტების უმცირეს და არა უმაღლეს ნომინალებზე.²

აქ შეგვიძლია გავიხსენოთ, თუნდაც, აშშ-ს მთელ მსოფლიოში პოპულარული ვალუტა – დოლარი, რომლის კუბიურებზეც გამოსახულია შემდეგი პიროვნებების პორტრეტები:

1 დოლარი – ქვეყნის პირველი პრეზიდენტი ჯორჯ ვაშინგტონი (1732-1799);

2 დოლარი – სახელმწიფო მოღვაწე, დამოუკიდებლობის დეკლარაციის (1776) ავტორი, ხოლო შემდეგ ქვეყნის III პრეზიდენტი ტომას ჯეფერსონი (1743-1826);

5 დოლარი – XVI პრეზიდენტი აბრაამ ლინკოლნი (1809-1865);

10 დოლარი – სახელმწიფო მოღვაწე ალექსანდერ ჰამილტონი (1757-1804);

20 დოლარი – VII პრეზიდენტი ენდრუ ჯექსონი (1767-1845);

50 დოლარი – XVIII პრეზიდენტი ულის გრანტი (1822-1885);

100 დოლარი – განმანათლებელი, სახელმწიფო მოღვაწე და მეცნიერი ბენჯამინ ფრანკლინი (1706-1790);

500 დოლარი – XXV პრეზიდენტი უილიამ მაკ-კინლი (1843-1901);

1. 000 დოლარი – XXII და XXIV პრეზიდენტი გროვერ კლივლენდი (1837-1908);

5. 000 დოლარი – IV პრეზიდენტი ჯეიმს მედისონი (1751-1836);

10. 000 დოლარი – ეკონომისტი სტიუარტ ჩეისი;

100. 000 დოლარი – XXVIII პრეზიდენტი ვუდრო უილსონი (1856-1924).³

² Standard Catalog of World Paper money. By Albert Pick. Seventh edition. volume two. General Issues. Edited by Neil Shafer and Colin R. Bruce II. Lola, Wisconsin. 1995; W. Kranister. The Moneymakers International. I. Banknotes. British Library Cataloguing in Publication. Cambridge. 1989.

³ W. Kranister. The Moneymakers International. 1. Banknotes. Cambridge. 1989, გვ. 293-323.

ასეთივე ვითარებაა ევროპის სახელმწიფოთა გარკვეულ ნაწილშიც. მაგალითად, პოლონეთის ეროვნული ბანკის მიერ გამოშვებული ვალუტის – ზლოტის თანამედროვე კუპიურებზე გამოსახულია შემდეგი პიროვნებების პორტრეტები:

10 ზლოტი – ამ ქვეყნის ისტორიულად დადასტურებული პირველი მთავარი, პიასტების დინასტიის წარმომადგენელი – მიემკო I (მთავრობდა 964-992 წლებში);

20 ზლოტი – მეფე ბოლესლავ I მამაცი (მეფობდა 992-1025 წლებში);

50 ზლოტი – მეფე კაზიმიეუ III დიდი (მეფობდა 1333-1370 წლებში);

100 ზლოტი – ლიტვის დიდი მთავარი და პოლონეთის მეფე კლადისლავ II იაგელო/იაგაილო (მეფობდა 1386-1434 წლებში);

200 ზლოტი – ლიტვის დიდი მთავარი და პოლონეთის მეფე სიგიზმუნდ (იგივე ზიგმუნდ) I მოხუცი (მეფობდა 1506-1548 წლებში).⁴

მსოფლიოს ცივილიზებული ქვეყნების უმეტესობაში 1 და 2 ნომინალის მქონე ბანკნოტები უკვე აღარ მიმოიქცევა. ასეთივე ვითარებაა საქართველოშიც, სადაც აღნიშნული ნომინალები უკანასკნელ წლებში მონეტებმა ჩაანაცვლა. ამან გამოიწვია ის სამწუხარო ფაქტი, რომ მიმოქცევაში დარჩენილ ქართულ ბანკნოტებს აღარ ამშვენებს ნიკო ფიროსმანისა და ზაქარია ფალაშვილის პორტრეტები. ამიტომ, სასურველია, რომ ქართული ბანკნოტების ათვლა პირდაპირ 5-ლარიანიდან დაიწყოს.

ვინაიდან ბანკნოტების ნომინალთა რაოდენობა შეზღუდულია (კერძოდ, 5-ლარიანიდან – 500-ლარიანამდე), სასურველია, რომ ზოგჯერ ერთ ბანკნოტზე ორი პიროვნება გამოისახოს. აქვე დავძენთ, რომ მსგავსი პრაქტიკა კარგა ხანია მიღებულია მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში. ეს განსაკუთრებით შეინიშნება ესპანეთის ბანკნოტებზე.⁵

მაგალითად, ესპანეთის სამეფო ბანკის მიერ 1994 წელს გამოშვებულ 1. 000 პესეტის ღირებულების ბანკნოტის ავერსზე გამოსახული იყო ესპანელი კონკისტადორის, მექსიკის დამპყრობლის ჰერნან კორტესის (1485-1547) პორტრეტი, ხოლო რევერსზე – ასევე კონკისტადორ ფრანსისკო პისაროს (1470/75-1541) პორტრეტი.

ქვემოთ წარმოვადგენთ საქართველოს ბანკნოტების ახალი სისტემის ჩამოყალიბების ჩვენებულ თვალსაზრისს, სადაც განსაზღვრულია, თუ კონკრეტულად რა უნდა გამოისახოს ქალაქის ფულად ნიშნებზე.

⁴ Paper money in Poland. Warsaw. 1996, გვ. 198-206.

⁵ Enciclopedia de los Billetes de Espana. Madrid. 2003.

5 ლარი.

შუბლი: ქართლის (იბერიის) პირველი მეფის – ფარნავაზის (მეფობდა ძვ. წელთაღრიცხვის IV საუკუნის მიწურულსა და III საუკუნის პირველ ნახევარში) პორტრეტი.

ზურგი: კოლხთა (კოლხას) მეფის აიეტის (ბერძნული მითოლოგიისა და კლასიკური მწერლობის მიხედვით, მოღვაწეობდა ძვ. წელთაღრიცხვის I ათასწლეულში) პორტრეტი. იქვე – შავი ზღვიდან შემოსული არგო და ოქროს საწმისის გამოსახულება.

10 ლარი.

დავით IV აღმაშენებლის (მეფობდა 1089-1125 წლებში) პორტრეტი (გელათის ტაძრის ცნობილი ფრესკიდან) და იქვე ამ მეფის სახელით მოჭრილი სპილენძის მონეტა. ამ მონეტის შუბლზე დავით IV გამოსახულია საიმპერატორო გვირგვინით (სტემა), ერთ ხელში კვერთხით, ხოლო მეორეში – სფეროთი. რევერსზე არის ზედწერილი: „ქრისტე, ადიდე დავით მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა, სომეხთა.“⁶

ზურგი: გელათისა და იყალთოს აკადემიების საერთო ხედი.

20 ლარი.

შუბლი: თამარ მეფის (მეფობდა 1184-1210/1213 წლებში) პორტრეტი (ბეთანიის ტაძრის ცნობილი ფრესკიდან) და იქვე თამარისა და მისი მეუღლის – დავითის სახელით 1200 წელს მოჭრილი სპილენძის მონეტა ქორონიკონით.⁷

ზურგი: დიდი ქართველი ჰუმანისტი პოეტის შოთა რუსთაველის (XII-XIII სს.) პორტრეტი (იერუსალიმის ტაძრის კედელზე გამოსახული ცნობილი ფრესკა). იქვე – სიუჟეტი „ვეფხისტყაოსნის“ ყველაზე ძველი ხელნაწერიდან.

თამარ მეფის და შოთა რუსთაველის გამოსახვა ერთ ბანკნოტზე სავსებით ლოგიკურია, ვინაიდან ისინი ერთი ეპოქის მოღვაწენი იყვნენ.

⁶ თ. დუნდუა, გ. დუნდუა, ნ. ჯავახიშვილი (ავტორთა კოლექტივთან ერთად). ფულის საქართველოში, გვ. 29.

⁷ თ. დუნდუა, გ. დუნდუა, ნ. ჯავახიშვილი (ავტორთა კოლექტივთან ერთად). ფულის საქართველოში, გვ. 36.

50 ლარი.

შუბლი: საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერის, მწერალ ილია ჭავჭავაძის (1837-1907) პორტრეტი.

ზურგი: დიდი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის აკაკი წერეთლის (1840-1915) პორტრეტი.

ილიას და აკაკის გამოსახვა ერთ ბანკნოტზე სავსებით ლოგიკურია, ვინაიდან ისინი ერთი ეპოქის მოღვაწენი, თანამოაზრენი და თანამებრძოლები იყვნენ.

100 ლარი.

შუბლი: დიდი ქართველი მწერილისა და საზოგადო მოღვაწის ვაჟა-ფშაველას (1861-1915) პორტრეტი. იქვე – ნიკო ფიროსმანაშვილის/ფიროსმანის ნახატი – არწივი;

ზურგი: ცნობილი აფხაზი პოეტისა და პუბლიცისტის გიორგი მიხეილის ძე შარვაშიძის (1846-1918) პორტრეტი. იქვე უნდა იყოს აფხაზური წარწერაც.

ვაჟა-ფშაველას და გიორგი შარვაშიძის გამოსახვა ერთ ბანკნოტზე სავსებით ლოგიკურია, ვინაიდან ისინი ერთი ეპოქის მოღვაწენი და ფაქტობრივად თანამოაზრენი იყვნენ. გ. შარვაშიძე დიდად პროგრესული მოღვაწე იყო და მეგობრობდა თანადროულ ქართველ მოღვაწეებთან.

1866 წელს, აფხაზეთში მომხდარი ანტირუსული სახალხო აჯანყებისას, სამთავრო ტახტის მემკვიდრე გ. შარვაშიძე აფხაზეთში მთავრად გამოაცხადეს.⁸ აჯანყების ჩახშობის შემდეგ, გ. შარვაშიძეს ხანგრძლივი დროით აეკრძალა აფხაზეთში ცხოვრება. თავის თანამედროვეთა მოგონებით, გ. შარვაშიძეს „ყმაწვილობიდან ეზიზღებოდა ყოველივე ის სიკეთე, რომელიც რუსეთის ტახტიდან გამომდინარეობდა“. ამის გამო, მან დემონსტრაციულად განაცხადა უარი რუსეთის იმპერატორის ფლიგელ-ადიუტანტობაზე.⁹

საგულისხმოა, რომ გ. შარვაშიძეს აფხაზეთი მხოლოდ საქართველოს შემადგენლობაში წარმოედგინა. მაგალითად, თავის ერთ-ერთ სტატიაში ის წერდა: „ჩვენს სამშობლო ივერიას“.¹⁰

⁸ Ю. Чиковани. Род Абхазских Князей Шервашидзе (Историко-генеалогическое исследование). Тб. 2007, გვ. 44.

⁹ გ. შარვაშიძე. ლირიკა, ეპოსი, დრამა. აკად. ს. ჯანაშიას რედაქციითა და ნარკვევით. სოხუმი. 1946, გვ. 16-18.

¹⁰ გაზ. „საქართველო“. 1917. № 137-140.

გ. შარვაშიძე დიდად აფასებდა ვაჟა-ფშაველას შემოქმედებას. მაგალითად, მის ერთ-ერთ ლექსს ეწოდება – „ფშაურ ხმაზედ“.¹¹

რუსულ იმპერიალიზმთან მებრძოლი გ. შარვაშიძის გამოსახვა ქართულ ბანკნოტზე დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის მქონე აქტი იქნება.

100 ლარი.

შუბლი: აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის (1876-1940) პორტრეტი. მის ქვემოთ – ივანე ჯავახიშვილის ცნობილი ნაშრომის „ქართველი ერის ისტორია“ ხელნაწერი.

ზურგი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მთავარი კორპუსი და ივანე ჯავახიშვილის რედაქტორობით 1923 წელს გამოცემული საქართველოს ისტორიული რუკა.

200 ლარი.

შუბლი: დიდი ქართველი მხატვრის ნიკო ფიროსმანაშვილის/ფიროსმანის (1862-1918) პორტრეტი, სიუჟეტი მისი რომელიმე ნახატიდან (მაგალითად, ლომი, ირემი, ჟირაფი და სხვ.);

ზურგი: დიდი ქართველი კომპოზიტორის ზაქარია ფალიაშვილის (1871-1933) პორტრეტი. მარცხნივ მის მიერ შექმნილი ოპერის „აბესალომ და ეთერი“ უვერტიურის პირველი სანოტო პწკარედი. იქვე – თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი (1887 წ.). აქ შესაძლებელია უცვლელი სახით გადმოვიტანოთ 2-ლარიანის ავერსი.

500 ლარი.

ამ ბანკნოტის ავერსზე შესაძლებელია უცვლელი სახით გადმოვიტანოთ თანამედროვე 200-ლარიანის ავერსი. ანუ შუბლზე წარმოდგენილი იქნება: საქართველოს ეროვნული გმირის ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის (1888-1930) პორტრეტი. მარჯვნივ – წმ. გიორგის რელიეფური გამოსახულება და საქართველოს თანამედროვე სახელმწიფო დროშა.

ზურგი: ბახტრიონის გმირული აჯანყების (1660) ხელმძღვანელების: ბიძინა ჩოლოყაშვილის, შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავების პორტრეტი.

¹¹ გ. შარვაშიძე. ლირიკა, ეპოსი, დრამა. სოხუმი. 1946, გვ. 84.

III. საქართველოს მონეტების გარეგნული მხარის რეფორმირების პროექტი

მნიშვნელოვან რეფორმაციას საჭიროებს საქართველოს თანამედროვე მონეტების სისტემაც. მითუმეტეს, რომ მიმოქცევაშია როგორც 1993 წლით, ასევე 2006 წლით დათარიღებული მონეტები – სრულიად განსხვავებული სიმბოლიკით. ყოველივე ეს დიდ უხერხულობას ქმნის.

ქვემოთ წარმოვადგენთ საქართველოს მონეტების ახალი სისტემის ჩამოყალიბების ჩვენეულ თვალსაზრისს, სადაც განსაზღვრულია, თუ კონკრეტულად რა უნდა გამოისახოს ლითონის ფულად ნიშნებზე.

1 თეთრი.

შუბლი: საქართველოს თანამედროვე სახელმწიფო გერბი;

ზურგი: სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძრის ფასადის რელიეფური შემკულობის ერთ-ერთი დეტალი – ვაზის ლერწი (ეს გამოსახულება უკვე არის თანამედროვე 1-თეთრიან მონეტაზე).

2 თეთრი.

შუბლი: საქართველოს თანამედროვე სახელმწიფო გერბი;

ზურგი: ფარშეკანგი/გრიფონი (ეს გამოსახულება უკვე არის თანამედროვე 2-თეთრიან მონეტაზე).

5 თეთრი.

შუბლი: საქართველოს თანამედროვე სახელმწიფო გერბი;

ზურგი: ოქროს ლომის ქანდაკება ალაზნის ველის ძვ. წ. III ათასწლ. ყორღანიდან (ეს გამოსახულება უკვე არის თანამედროვე 2-თეთრიან მონეტაზე).

10 თეთრი.

შუბლი: საქართველოს თანამედროვე სახელმწიფო გერბი;

ზურგი: ხარირემი ნიკო ფიროსმანის ნახატიდან (ეს გამოსახულება უკვე არის თანამედროვე 20-თეთრიან მონეტაზე).

20 თეთრი.

შუბლი: საქართველოს თანამედროვე სახელმწიფო გერბი;

ზურგი: ფასკუნჯის გამოსახულება სამთავისის ტაძრის ფასადიდან (XI ს.).

50 თეთრი.

დღევანდელი სახით დარჩება 2006 წელს გამოშვებული 50-თეთრიანი მონეტა.

1 ლარი.

ამ მონეტაზე შესაძლებელია დღევანდელი სახით გადმოვიტანოთ თანამედროვე 2-ლარიანი (გამოშვებული 2006 წელს), რომელიც საუკეთესო თანამედროვე ქართულ მონეტებს შორის (შუბლი – უცვლელად; ზურგი – მხოლოდ ნომინალის ციფრის ცვლილებით).

2 ლარი.

შუბლი: საქართველოს თანამედროვე სახელმწიფო გერბი (ის უნდა გამოისახოს ყვითელი ფერის ლითონზე, ისევე როგორც გამოსახულია თანამედროვე 2-ლარიან მონეტაზე).

ზურგი: საქართველოს ტერიტორიაზე მოჭრილი ყველაზე ძველი (ძვ. წ. აღ-ით VI-V საუკუნეები) მონეტის – „კოლხური თეთრის“, კერძოდ, სტატერის ავერსზე გამოსახული ლომის თავი.¹²

ასეთია ჩვენი მოსაზრებანი საქართველოს თანამედროვე ფულადი ნიშნების გარეგნული მხარის რეფორმაციისა და მისი ახალი სისტემის ჩამოყალიბების შესახებ.

¹² თ. დუნდუა, გ. დუნდუა, ნ. ჯავახიშვილი (ავტორთა კოლექტივთან ერთად). ფული საქართველოში, გვ. 6.

Tedo Dundua

**Publicius Agrippa, Flavius Dades and
a Dual Citizenship – a Pattern for Europe
in Future?**

Georgians and Roman Frontier Policy in the East*

Dual citizenship or bipolis-system seems to be a way the small European nations should feel safe within a framework of the European integration, whereas a responsibility for a personal security lays upon an allied country too. Is this term or hypothesis vital for East European countries like Lithuania, Estonia or Georgia, and how can we be aware of this necessity? A research of historical background must be involved thoroughly, Georgia being an object for this case. If a foreign citizenship was a traditional honorary degree passed from the European principal domains towards the provinces, the countries being tied up formally, it should not be abandoned at all, and put under a scrupulous legislative elaboration.

1. СHPAΠ€ITICZHOUXOY
2. TOYN€WT€POYΠITIAEXOY
3. ΘYΓATHPΠOYΠAIKIOYAYPIΠΠAΠITI
4. AΞOYYIOYIWΔMANΓANOYΓYNE
5. TOYΠOΛΛACN€IKACΠOIHCAHTOC
6. €ΠITPOΠOYBACI€WCIBHPWN
7. M€ΓAΛOYEHΦAPNOY ΓOYAYΠ€
8. ΘAN€ N€WT€PA€TWN K̄A
9. HTICTOKAΛΛOCAM€IMHTON
€IX€¹

* ეს სალექციო ტექსტი 2003 წლის ნოემბერში განსახილველად გადაეგზავნა პიზის უნივერსიტეტის რომის ისტორიის სპეციალისტებს.

¹ Г. В. Церетели. Армазская билингва. Двухязычная надпись, найденная при археологичес-

“Serapita, daughter of Zevakh the lesser pitiax (duke), and wife of Iodmangan, son of Publicios Agrippa the pitiax, victorious ἑπὶτροπος (commander-in-chief and the only minister, spaspeti in Georg.) of the Great King of the Iberians Xepharnug, died young, aged 21, and she was extremely beautiful.”

This text was curved on tombstone from Mtskheta, the Iberian capital. It is prolonged by the Aramaic version.² ἡἑπὶτροπος corresponds to the Aramaic trbs, which occurs to be used also towards Agrippa, now trbs of the king Pharsmanes.³ Agrippa seems to be a very big man, and because of his Roman *nomen* Publicius – also a Roman citizen.

In the old times *civitas sine suffragio* gave to Rome a direct control of her allies' troops without destroying local (i. e. Italian) *res publica*. “Latin Rights” were regarded as something intermediary between peregrine status and Roman citizenship. Inside his own community the Latin was subject of the local laws, and a free man. The allies fought on the Roman side, but her own army consisted of the Roman and the Latin forces. The rests are simply *socii*.⁴

From the 2nd c. B.C. Rome was beginning to govern Italy. Magistrates who had supreme power over the latin military forces, were also the civil heads of the Roman state. The local authorities performed the demands of the central government.⁵

After Social War it was as communities and not as individuals that the Italian allies were incorporated in the Roman commonwealth, they became self-governing *municipias*. Each new citizen had a double existence, but these two lives were bound together by the most intimate of bonds. New *municipias* are the old tribes.⁶

Then the enfranchisement of *Gallis Cisalpins* followed. From 42 B.C. onwards in Roman usage *Italia* came to mean the whole territory of the peninsula from the straits of Messina to the Alpine foothills.⁷

Under Caesar and Augustus comes the first large-scale extension of the Roman citizenship in the provincial areas. This extension is based upon the firm

ких раскопках в Мцхета-Армази. Тб. 1941, pp. 23-24.

² Г. В. Церетели. op. cit., pp. 22-23.

³ Г. В. Церетели. op. cit., p. 32.

⁴ A. N. Shervin-White. The Roman Citizenship. Oxford. At the Clarendon Press. 1939. Second Edition. Oxford. 1973, pp. 46, 73, 96, 98, 109.

⁵ A. N. Shervin-White. op. cit., p. 105.

⁶ A. N. Shervin-White. op. cit., pp. 150, 153.

⁷ A. N. Shervin-White. op. cit., p. 159.

foundation of a genuine Italian immigration. Besides this stands the extensive grants of *Ius Latii* in the more Romanized areas of Spain and Gaul. The method is as follows – inserting a preparatory period of Latin status before the elevation of purely foreign communities to the full citizenship. The condition of a grant of Latin rights appears to have been the possession of a certain degree of Latin culture.⁸

But then Caracallus gave the franchise to all free inhabitants of the Empire.⁹

As to personal grants, *Domitii*, or *Fabii*, or *Pompeii* in the Western provinces are thought to derive their citizenship from grants made to their forebearers by Domitius Ahenobarbus, Fabius Maximus, or Pompeus Magnus, the generals.¹⁰

Beyond the Roman rule, Caesar was the first to make a king Roman citizen.¹¹ This practice has been maintained. For Britain *tria nomina* was as follows – Ti. Claudius Cogidubus, with Claudius or Nero being the benefactors; for Thrace – C. Iulius Rhometalcus, it is probable that he inherited his citizenship from a predecessor upon whom Caesar or Augustus had conferred it; for Pontus – M. Antonius Polemo, Antonius being a benefactor; for Judea – M. or C. Iulius Agrippa.¹²

Iberian case of Publicius Agrippa is very interesting. He was Pharsmanes minister and commander-in-chief. And Pharsmanes dealt with Hadrian. Roman general C. Quinctius Certus Publicius Marcellus is thought to be a benefactor, *legatus divi Hadriani provinciarum Syriae et Germaniae superioris*.¹¹³

Hadrian sent his best generals against the Jews of Bar-Kokhba. Two inscriptions found in Ancyra in Galatia attest a senatorial legate of the *legio IV Scythica* in Syria, acting at the same time as the governor of Syria. He is Publicius Marcellus, who left his province because of the Jewish rebellion. Publicius Marcellus and part of the Syrian army participated in the war in

⁸ A. N. Shervin-White. op. cit., pp. 225, 233.

⁹ A. N. Shervin-White. op. cit., pp. 280, 287.

¹⁰ A. N. Shervin-White. op. cit., p. 295.

¹¹ D. Braund. *Rome and the Friendly King. A Character of the Client Kingship*. Beckenham, Kent, Fyshwick, Australia. 1984, p. 45.

¹² D. Braund. op. cit., pp. 39, 41-42, 44.

¹³ *Prosopographia Imperii Romani Saec. I. II. III. Pars VI. Consilio et Avtoritate Academiae Scientiarum Berolinensis et Brandenburgensis. Iteratis Curvis ediderunt Leiva Petersen, Klaus Wachtel. Adivvantibus M. Heil, K.-P. Johne, L. Vidman. Berolini. Novi Eborau. MCMXCVIII*, pp. 433-434, №№1038, 1042.

Judaea. Another inscription from Aquileia informs that C. Quinctius Certus Publicius Marcellus was not only consul, augur and *legatus divi Hadriani provinciae Syriae et Germaniae superioris*, but also that he received triumphal rewards, or *ornamenta triumphalia*.²¹⁴

The revolt was dangerous, and a transfer of the legions from the different places to Judaea – an emergency measure. This state of emergency is reflected also in a striking measure: a transfer of the soldiers from *classis Misenensis* to the *legio X Fretensis* in Judaea. Since the possession of Roman citizenship was a prerequisite for enrolment in the legions (but not for service in other units of the Roman army, such as the two Italian fleets, the *classis Ravennas* and *classis Misenensis*), this meant that these marines were given *civitas Romana* on joining X Legion. The sources attest even conscription to fill the gaps not only in the legions serving in Judaea, which lost many soldiers, but also in other legions from where the units of the experienced soldiers were taken to strengthen garrisons of Judaea. Great losses were also incurred by the auxiliary forces in Judaea.¹⁵ They were also to be filled up.

What conclusions are we to draw from all this?

Some of the Iberian units rushed towards south to help Romans with Agrippa from the Iberian royal clan in a command. And he was given *civitas Romana*, Marcellus being a benefactor.

So, citizenship of Publicius Agrippa, Iberian commander-in-chief, derived from a grant of C. Publicius Marcellus, Hadrian's governor of Syria. And Agrippa was not only Georgian to be a Roman citizen.

A silver cup of the 2nd-3rd cc. records a name of the Iberian king Flavius Dades. Evidently a Roman citizen, he inherited his citizenship from a predecessor upon whom either Vespasian or Domitian had conferred it.¹⁶

Roman names like Aurelius are still vital in the 4th c.¹⁷

Much of the Romans' long hegemony was spent in carrying through the major reform programmes which were to set the pattern for most aspects of life in Europe for centuries to come. The Romans had a reputation for integration. Indeed, they installed Roman citizenship over the kings dwelling at the frontiers, especially the Eastern one. In the evening of her greatness, showing

¹⁴ W. Eck. The Bar Kokhba Revolt. The Roman Point of View. The Journal of Roman Studies. v. LXXXIX. Leeds. 1999, pp. 83-85.

¹⁵ W. Eck. op. cit., pp. 79-80.

¹⁶ Очерки Истории Грузии. т. I. Тб. 1989, p. 415; David Braund. op. cit., p. 43.

¹⁷ Очерки Истории Грузии. т. I., p. 19.

Tedo Dundua. Publicius Agrippa, Flavius Dades and a Dual Citizenship – a Pattern for Europe in Future? Georgians and Roman Frontier Policy in the East

every sign of disintegration, losing Gaul, Spain and Britain to the central government, the Empire still used this system, which proved to be comfortable while campaigning in the East. This story is fully told but not for Georgia (Colchis and Iberia), guarding the European marches. The gap is to be filled, showing the Georgian kings possessing dual citizenship, followed by a full-length narrative of the Roman Eastern policy.

Byzantium was not a betrayal of all that was the best in Hellas and Rome. Great oriental bastion of Christendom, she seems to be a formulator of the Orthodox Christian Commonwealth. The Georgian kings being within had been heiled as king and Kuropalates, king and Sebastos, king and Caesaros. Again dual citizenship is applied. For the Christian monarchs there were the Byzantine titles to make them feel as the citizens of the Orthodox Empire, being at the same time ascribed to their own country.

The Western Christendom also had the bipolis-system within the Holy Roman Empire with an Emperor as a German king.

Some of the Asiatic conquerors thought to control the fertile lands of Georgia and the Caucasian Range as a certain barrier against the European advance. External pressures from the area of present-day Iran led to a weakening of the economic potency of the kingdom of Georgia, as well as the diminuation of its territorial extent. A Georgian king was above all a diplomat. To preserve the security of his kingdom he was ready to make any personal sacrifice – even to convert formally to Islam. Actually, the Persian general Xusraw Khan killed by the Afghans in 1711 is Georgian king Kaixosro who had his viceroy left in Georgia. And we have some more kings with the same curriculum.

Still, occidental aspirations have been always predominant, Georgians even changing their own citizenship for the Imperial one, like Russian or Soviet.

After those Imperial experiments gone forever, new Europe emerged with some countries still needing stronger guarantee. Is a dual citizenship of above-mentioned European pattern installed over the small European nations, bringing them some more guarantees, a model for future Europe; can this historical method be up-dated now?

A proper answer is expected to be drafted.

And now if we revert to the principal discussion about Publicius Agrippa being awarded, some coins provide more arguments. Georgian contingent within the Imperial army must account for the finding of Hadrian's seven aurei

in Iberia, twice in number than aurei of any other Emperor. So, the Iberians received a handsome present.¹⁸

Publicius Agrippa was much luckier than Amazasp the Iberian, king's brother, who died while campaigning under Trajan against the Parthians. He died without a military glory and Roman citizenship.¹⁹

Ibero-Roman attitudes were much more complicated as seen in general chronology of the events.

Rome and Georgia – General Chronology

Iberians form an alliance with Mithradates Eupator, king of Pontus; Colchis is annexed by him.

69 B.C. – Lucius Licinius Lucullus' Roman army attacks Mithradates' Caucasian allies, Iberians are among them: victory for Lucullus.

68 B.C. – Lucullus intends to storm the Armenian capital Artaxates; Iberian spearmen assist Tigranes of Armenia and Mithradates, yet another defeat for Mithradates.

65 B.C. – Roman forces under Gnaeus Pompeus Magnus defeat Artokes, king of Iberia. He now rules as Rome's ally. Pompeus moves to Colchis. Long before Mithradates flees to the Crimea.

63 B.C. – Pompeus reorganizes Roman territories in the East, leaving Colchis under his client certain Aristarchus.

47 B.C. – Caesar moves onto Asia Minor where he defeats Pharnaces, king of Bosphorus, son of Mithradates, who had started a campaign to retrieve ancestral kingdom of Pontus. He marched via Colchis, violating also Iberia.

37 B.C. – Polemo becomes client king of Pontus, gaining control over Colchis.

დაბა პოსოფიდან დაახლოებით 5 კმ-ში გზა ორად იყოფა. მარცხნივ 1 კილომეტრში მდებარეობს სოფელი ასმაქონაქი (სამხულა), ხოლო 4 კილომეტრში სოფელი ჩამიაზი (ოხთელი). ჩვენ მივდივართ მარჯვნივ. გზაგამყოფიდან 2 კმ-შია სოფ. ჩაქირქოჩი (მერე). 1 კმ-ში კიდევ ერთი გზაგამყოფია. მარჯვნივაა სოფ. სოლუთლუქაია (ხუნამისი), სადაც, უვაროვას ინფორმაციით, ციხე და ეკლესია უნდა იყოს, ადგილობრივი მოსახლეობის თქმით კი, 3 ეკლესია. მათი ნახვა მერე დღისთვის გადავდეთ და გავაგრძელებთ გზა პირდაპირ. გადასახვევიდან 3,5 კმ-ში მთის კალთაზე გაჭრილი სამანქანო გზა ზემოდან გარს უვლის ხეობის ძირში ტერასებად გაშენებულ სოფ. აშიქუხეირს ანუ ბომდერეს (ხეთი), სადაც, იმავე უვაროვას ცნობით, ეკლესიის ნანგრევები მდებარეობს. ვაგრძელებთ გზას, ხეობა თანდათან იშლება. იკვეთება არსიანის და ერუშეთის ქედებით შემოსაზღვრული ყველის ქვეყანა, რომლის ცენტრს და საერისთავო ქვეყნის რეზიდენციას მდინარე წურწყაბისწყლის მარცხენა ნაპირზე ამართულ გორაკზე მდებარე, ამჟამად ნახევრად დანგრეული ყველისციხე წარმოადგენს.

გადასახვევიდან 9 კმ-ში გზა კიდევ ერთხელ იყოფა. მარჯვნივ არის სოფლები: აქბალი (ობოლა), ქოლქოი (ყველი), კალეონუ (აგარა), ალაბალიქი (საიხვე). მარცხნივ კი: აშიქუხულალი (წურწყაბი), ბაიქენთი (ვახლა). გადასახვევიდან 9,5 კმ-ში იწყება სოფ. აშიქუხულალი (წურწყაბი). მანამდე 2 კმ-ით ადრე გზიდან შორს უკვე ჩანს ხეობის ცენტრში გორაზე ყველისციხე. აქაურთა თქმით აქ მდებარეობს ქოლქოი და ქოლ მონასტირი. ამასთან ეკლესია, მათი აზრით, არა ციხეში, არამედ ცალკე დასავლეთით მიმავალ ვიწრო ხეობაშია.

აშიქუხულალში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მდებარეობდა წურწყაბის საეპისკოპოსო ტაძარი. ამჟამად მის ადგილზე ჯამეა აშენებული, უვაროვას

ცნობით, ეკლესიის ქვების გამოყენებით. წურწყაბში მრავალი სახლის კედელშია ჩატანებული ეკლესიის თლილი ქვები, რასაც თავის დროზე ადასტურებდა ალექსანდრე ფრონელი.

ყველის ქვეყანა ფოცხოვის და, ზოგადად, სამცხის პროვინციის უმნიშვნელოვანესი კუთხეა. იგი ერთდროულად სამი მხრიდან შემომაველ გზებს აკონტროლებს. ერთი მხრით აჭარაშია 2 გადასასვლელი: ულუჩამი (ვარხანა)–გუნბათანი, (ბანარხევი)–ახალდაბა და ქოლქოი (ყველი)–ყვირაღას უღელტეხილი–ჯინალი (საქართველოში). ასევე 2 გზაა შავშეთისკენ. უმოკლესი გადასასვლელია: ალაბალიქი (საიხვე)–არსიანის უღელტეხილი (არსიანის მთასთან – 3165 მ.)–ილიჯაქოი (ჯინალი)–ჩერმიქი (მიქელეთი). მეორე გზა საიხვედან უფრო სამხრეთ-დასავლეთით შეჭვდილის და არსიანის მთებს შორის გადის და ფინარლიმდე (სულბანი) მიუყვება. იმავე საიხვესა და ვახლადან არის გადასასვლელი ერუშეთისაკენ იუქარი-აიდერესა (ზემო წურმანი) და აშალი-აიდერეზე (ქვემო წურმანი).

უვაროვას მიხედვით, ყველისციხის შემდეგ ვიწრო ხეობაშია აგარის ციხე. სამწუხაროდ, ჩვენ ვერ შევძელით აგარის ციხის ნახვა, ადგილობრივმა მოსახლეობამაც კატეგორიულად უარყო რაიმე ციხის არსებობა. სავარაუდოდ, იგი მართლაც უფრო სიღრმეში მდებარეობდა, მდინარის სათავისკენ და აკონტროლებდა ფოცხოვის ხეობაში შავშეთიდან გადმოსასვლელ გზას. აღსანიშნავია ისიც, რომ უშუალოდ ყველისციხის გარშემო გაშენებულია სოფ. აგარა (მოსახლეობა – 40 კომლი), ხოლო სოფელი ყველი (ქოლქოი, მოსახლეობა – 80 კომლი) უფრო ზემოთ მდებარეობს. ადგილობრივი მოსახლე, 75 წლის ფაზლი ისლამი, გვიდასტურებს, რომ ყველი და აგარა ერთი და იგივეა. ამრიგად, მოხდა ტოპონიმთა გადაფარვა. შესაძლებელია აგარა ქოლქოის მაჰალეა (უბანი).

ფოცხოვის ხეობის მოსახლეობა ძნელად აღიარებს თავის ქართულ წარმოშობას, ამას თავის დროზე აღნიშნავდა დევიცკიც. თუმცა ადგილობრივი მოსახლეობისთვის ნაცნობია ქართული სამზარეულოს ისეთი კერძები, როგორებიცაა: ხინკალი, ხაჭაპური, ჭინჭარი, ლობია. ეს კი მოწმობს მათ უდავოდ ქართულ წარმოშობას. ეთნოგრაფიაში ცნობილია, რომ შეიძლება დავიწყებული იყოს სარწმუნოება, ენა, ეროვნება, მაგრამ ყოფის ისეთი ელემენტი, როგორიცაა საკვები, ყველაზე ხანგრძლივად ინახავს წინაპართა ვინაობას.

ის ღამე გავათიეთ დაბა პოსოფის (დიღვირი) სასტუმროში. 20 აგვის-

ტოს შევუდექით ყველის ქვეყნის გულდასმით შესწავლას. კიდევ ერთხელ გავიარეთ აშიქულალი (წურწყაბი). აქედან 2 კმ-შია ბაიქენთი (ვახლა) და გადავუხვიეთ მარჯვნივ, ქოლქოისკენ (აგარა). აშიქულალის გადასახვევიდან 21 კმ-ში შევედით სოფელში. სოფლის ბოლოდან – ყველისციხემდე მანძილი 1,5 კმ-ია.

ყველისციხე – სტრატეგიული მნიშვნელობის ციხე, ფოცხოვის პოლიტიკური ცენტრი, სამცხის ცენტრი და ყველის ერისთავთა რეზიდენცია IX–XI სს-ში. პირველად წყაროებში იხსენიება 914 წ. აბულ-კასიმ საჯის შემოსევისას, როდესაც მომხდურმა აიღო ყველისციხე და აწამა მისი დამცველი მიქელ გობრონი. XI ს-ში ციხე მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენების ეპიცენტრშია, იგი ბაგრატ IV-მ ჩამოართვა ბაღვაშებს, გადასცა ჯაყელებს და სამცხის საერისთავოს ცენტრად აქცია.

ყველისციხე გაშლილი მცირე ხევების ქვეყანათა შესაკრებელს და ფოცხოვის საფორტიფიკაციო სისტემის (მერე-ყველისციხე-აგარა) ციზადელს წარმოადგენს. ცალკე ყველისციხეს არ აქვს იმდენად მოხერხებული მდებარეობა, რადგან გაშლილი ხეობის შუაგულში მდებარეობს, და ერთი შეხედვით, დაუცველია. ვინაიდან ხეობა იმდენად გაშლილია, რომ აქ მოძრაობა მდინარისპირის და გზის აქცევითაც შეიძლებოდა. ყველისციხე უშუალოდ მდ. წურწყაბისწყლის თავზე მდებარე ბორცვზეა აღმართული და ხეობაში გამავალ მთავარ გზას აკონტროლებს. მას ნავისებური ფორმა აქვს, ზომები 15X50 მ. ციხის უკიდურეს დასავლეთ მხარეს იკითხება აკროპოლისის კედლის ნაშთი. კედლის სისქეა 2 მ, ბურჯისა – 4,5 მ. ამჟამად შემორჩენილი წრიული გოდოლის სიმაღლე 10 მ-მდეა, ოთხკუთხა გოდოლისა, 5 მ. ციხეს ჩრდილო-დასავლეთიდან გარს უვლის ძველი საურმე გზა. დედაციხის მოპირდაპირედ, ციხის აღმოსავლეთ კუთხეში, მცირე ზომის ჯვრის ტიპის ეკლესიაა (დაახლ: 8X8 მ.). ციხის ტერიტორიაზე მრავლადაა კერამიკის, მათ შორის, მოჭიქულის ნაშთები, რაც ციხის მნიშვნელობის კიდევ ერთი დადასტურებაა.

ციხის ფოტო – და ვიდეო ფიქსაციის, ეკლესიის აზომვის შემდეგ დავეშვით სოფ. სოლუთლუქაიასკენ (ხუნამისი), სადაც, ადგილობრივთა თქმით, კილისეს ნანგრევებია, უვაროვას ცნობით კი, ეკლესია და კოშკი. მდინარის მარჯვენა ნაპირის კონცხზე მდებარე ციხე თუ ციკლოპური ნაგებობის ნაშთი თითქმის საძირკვლამდე დანგრეულია. მისგან ნახევარ კილომეტრში, მდინარის ნაპირიდან დაახლოებით 100 მეტრში, მდებარეობს ნაგებობა, რომელსაც

პირობითად ვუწოდებთ ეკლესიას. იგი დიდი ზომის ლოდებით ნაგები ოვალური ფორმის შენობაა (ზომები: 12X9,6 მ.) და თითქოს საკურთხეველიც იკვეთება, მაგრამ დასავლეთის მხარე სწორია და, რაც მთავარია, არ გააჩნია არავითარი შესასვლელი, გარდა ჩრდილოეთის მხარეს ერთი მცირე სარკმლისმაგვარი ღიობისა.

გვიან ღამით დავტოვეთ ფოცხოვი და არდაჰანისკენ (არტაანი) გავემართეთ, სადაც საკმაოდ კეთილმოწყობილ ოირეთმენევში (მასწავლებელთა სახლი) გავათიეთ ღამე. 21 აგვისტო თავსხმა წვიმით დაიწყო, რამაც ჩვენი ექსპედიცია შეაფერხა. ოღნავ გამოიღარა თუ არა, დავიძარიტ კოლას პროვინციისკენ. გვინდა დადაშენის საეპისკოპოსო ტაძრის ნახვა. გზად ბუბა კუდავამ ყურადღება მიაქცია ექვთიმე თაყაიშვილის „მოგზაურობა კოლა-ოლთისსა და ჩანგლში“ მოხსენიებულ კალაჯუხის ციხეს, როგორც კოლას პროვინციის უმნიშვნელოვანეს ძეგლს. სასწრაფოდ გადაწყდა მისი ნახვა. გავიარეთ ალაგიოზის მთები და უღურლუდაღის უღელტეხილით (თურქეთის უმაღლესი უღელტეხილი – 2805 მ.) დავტოვეთ არდაჰანის ილჩე და შევედით გოლეს ილჩეში. არდაჰანიდან 28 კმ-ში სოფ. ილითქონალთან (თურქაშენი) გადავუხვიეთ მარჯვნივ. მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე დარჩა სოფ. ბუდაქლი (ჯიჯორი). ბუდაკლში დაგვემგზავრა 64 წლის იუსუფ აკთურქი (წარმოშობით ახისკელი, ანუ ახალციხის მხარის მუჰაჯირი).

სამანქანო გზა ციხეს 1 კმ-ით უახლოვდება. კალეჯიქის ანუ ქუმურლუხის ციხე. ექვთიმე თაყაიშვილს მოჰყავს ვახუშტის ცნობა: „მტკვრის სათავეს ზევით, ყალნუ-მთის ძირზე, არს ციხე შენი ქუმურლუხი, მაგარი და შეუვალი (ვგონებ ბეჭისციხედ), აწ ცარიელ არს. ამას ზედა გარდავალს გზა ბანას და ფანასკეტს“.

ციხე შორიდანვე დიდ შთაბეჭდილებას ახდენს. შეიძლება ითქვას, რომ ამ მასშტაბის და მნიშვნელობის ციხე, არტანუჯისა და ქაჯეთის გარდა, სამხრეთ საქართველოში სხვა არ გვხვდება. ციხე მდ. მტკვრის თავზე სამკუთხედის (ბეჭის) ფორმის კონცხზე დგას. კონცხის დასავლეთი მხარე ეშვება ციცაბოდ და ამ მხრიდან ციხე მიუდგომელია. სამხრეთიდან ციხეს მდინარე მტკვარი ჩაუდის, ხოლო გალაგნით ციხის არეალი აღმოსავლეთის და ჩრდილოეთის მხრიდან შემოზღუდულია. მიმართულება გალაგნისა ჩრდილოეთი-სამხრეთია. ეჭვს იწვევს ის გარემოება, რომ ციხის დასავლეთით საკმაოდ მაღალი კონცხია, რომლის დაუცველად დატოვება ციხის გარნიზონს სერიოზული საფრთხის წინაშე ტოვებდა. სავარაუდოდ, გალაგანი ამ კონცხზეც უნ-

და გავრცელებულიყო, ან ყოველ შემთხვევაში ცალკე დაცულობა მაინც ექნებოდა.

ციხის უკიდურეს სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეს მდებარეობს წრიული გოდოლი. ამ ადგილზე გალაგნის სიმაღლე 8-9 მ-ია. გოდოლიდან პირველ კარიბჭემდე მანძილი 12 მ-ია. სამხრეთის კარის ზომაა 2,2X1,4 მ. ჩრდილოეთისაკენ გალაგნის სიმაღლე კლებულობს. სულ ციხეს 5 გოდოლი აქვს: თავში და ბოლოში თითო წრიული გოდოლი, ცენტრში დიდი ოთხკუთხა, მათ შორის კი, აგრეთვე, თითო წრიული გოდოლი. მეორე კარი ციხეს აქვს ჩრდილოეთისკენ, დიდ და წრიულ გოდოლებს შორის. კარიბჭის თავზე კუბურის ჩასასხმელია. იქვე გალაგანში ჩაშენებულია 3 მ. სიღრმის და 1,5 მ. დიამეტრის ორმო, რომელიც, ჩვენი აზრით, დილეგი უნდა იყოს.

სამწუხაროდ, კოკისპირული წვიმა დაიწყო და იძულებულნი გავხდით, შეგვეწყვიტა ციხის აზომვა, თუმცა ვიდეო – და ფოტოფიქსაცია წარმატებით დაასრულეს ბუბა კუდავამ და თამარ გეგიაძე.

დღის ბოლოა, წვიმა სულ უფრო ძლიერდება. მივემართებით დადაშენის საეპისკოპოსო ტაძრის მოსაძებნად. სოფ. დერეიოლუსთან (სულათი) გადავუხვიეთ მარჯვნივ. შევედით სოფ. გუმუშფარმაკში (დადაშენი), ამ სოფლის ახალი სახელწოდება თურქულიდან ითარგმნება, როგორც „ვერცხლის თითი“. იქაურმა მცხოვრებმა გვაჩვენა გზა ძველი მეჩეთისაკენ, რომელიც აქაური, იმამის თქმით, სელიმ I-ის (1512-1520) დროინდელია. მეჩეთიდან დაახლოებით 18 კმ-ში ძველი ნანგრევებია, შესაძლებელია, ეს იყო დადაშენის საეპისკოპოსო ტაძარი. რადგან წვიმა სულ უფრო ძლიერდებოდა და ბნელდებოდა კიდევ, სამომავლოდ გადავდეთ დადაშენის ნახვა.

ღამის გათევას ჯერ გოლეს ოირეთმენევში ვაპირებდით, მაგრამ ადგილი არ ჰქონდათ და ოლთისისკენ გავწიეთ. ადგილების სიმცირე იყო იქაურ ოირეთმენევშიც და ოტელ „ოზბეკში“ დავიდეთ ბინა.

22 აგვისტოს 1 საათზე გამოვედით ოლთისიდან და გავემართეთ ოლურისაკენ. ოლურის გადასახვევიდან 3 კმ-ში მდ. ოლთისისწყლის მარჯვენა ნაპირზეა კიზკალე (გოგო-ციხე). კლდის წვერზეა დედაციხე, ხოლო კლდეს ჩამოყვება გალაგანი. კლდის ძირშიც ციხეს გარკვეული ფართობი აქვს დაკავებული. ცოტა დაშორებით, ოლთისისწყლის მარცხენა ნაპირზე, ბორცვზეა ამართული ოღღან-კალე (ბიჭი-ციხე), იგი უფრო მომცრო ზომისაა, აქვს ეკლესია. გალაგნის ერთი ნაწილი ოთხკუთხაა, მეორე ნაწილი – განივი. ეს ორი ციხე, როგორც ჩანს, აკონტროლებდა გზას, რადგან ხეობა საკმაოდ

ფართოა და მთელი ხეობის ჩამკეტად ეს ციხეები ვერ გამოდგებოდა.

ოლურის გადასახვევიდან 9,5 კმ-შია კალედიბი, 15 კმ-ში, სოფ. ჩოშ-კუნლარი, სადაც თანამედროვე ხიდთან იკითხება ძველი ხიდის ბურჯები. აქ გზა იყოფა, მარჯვნივ კლდის წვერზეა ნორბერდის ციხე. აქედან გზა მიდის ფანასკერტის ქვეყნისაკენ, თვით ფანასკერტის ციხე ხეობის ცენტრში მთაზე ღვას და სრულად აკონტროლებს ფანასკერტის ქვეყანას. ამჯერად მარცხნივ მივეშურებით, ტაოსკარი-იშხანისაკენ. გზად გვხვდება სოფ. ეშიკბალლარი (მწვანე ბაღები), ორმანაგზი (25 კმ-ში), თაშლიქოი („ქვიანი სოფელი“, 36 კმ-ში).

ოლურის გადასახვევიდან 40 კმ-ში მარჯვნივ არის სოფ. ჩატაკსუ. ამ ხეობაში მდებარეობს ნიაკომი (ვაჩეძორი), კალმახის და ორთისის ციხეები, სტრატეგიულად ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გზა-გადასასვლელი ამიერტაოდან კლარჯეთში. 46 კმ-ში გზიდან მარცხნივაა სოფ. აივალი (ხოსორის ეკლესია).

ოლურის გადასახვევიდან 51 კმ-ში იწყება ართვინის ვილაიეთი (იუსუფელის ილჩე). სოფ. ფამუქჩულართან (ოხური) არის ასახვევი ციხისკენ, რომელიც თემურ ხუციშვილის რედაქტორობით გამოსულ რუკაზე „ტაო-კლარჯეთის ხუროთმოძღვრული ძეგლები“ დატანილია, როგორც იშხნის ციხე, რაც არ უნდა შეესაბამებოდეს სიმართლეს. შევედით ხეობაში. მთავარი ტრასის (ოლური-იუსუფელი) გადასახვევიდან 3 კმ-ში პირდაპირ კლდეზე საყარაულო კოშკი ჩანს. მისადგომად საკმაოდ რთულია და სპეციალურვილობის გარეშე მასზე ასვლა შეუძლებლად უნდა ჩაითვალოს. კოშკი ნახევრადწრიულია, ერთადერთი სარკმლით. კოშკი იმდენად კარგადაა ჩამჯდარი ლანდშაფტში, რომ შორიდან არც კი იკითხება. გზიდან გადაღმა, მდინარის მარცხენა ნაპირზე, მთის წვერზე ჩანს ციხე ორი გოდოლით. ბრუნო ბაუმგარტნერის „ტაო-კლარჯეთის ისტორიაში“ ნახსენებია საყარაულო კოშკიც და ციხეც, რომელსაც, ავტორი ოხურის ციხეს უწოდებს.

ფამუქჩულარელმა კაცმა გვითხრა, რომ გზის გაგრძელებაზე, 6-7 კმ-ში, არის კიდევ ერთი ციხე, იქვეა ალაბალიქის (კალმახის) ტბა. აქაურთა ინფორმაციით, ოხურიდან ძველი გზა გადადის ნიაკომისაკენ. ფამუქჩულარის მოსახლეობა 2000 კაცს არ აღემატება, ზამთრობით ხალხის რაოდენობა კიდევ უფრო მცირდება. მოსახლეობა ეთნიკურად შერეულია, არიან დადაშებიც, გურჯებიც.

სოფლის ბოლოდან 2 გზა (ერთი – ძველი საურმე, ხოლო მეორე –

მოხრეშილი, შარშან გაუკეთებიათ) მიდის იაილებსაკენ (საზაფხულო საძოვრები), სადაც მაისში იმართება ხოლმე ერენქოის (ხერსის) ფესტივალი. სოფლის გადაღმა, მდინარის მარჯვენა ნაპირზე არსებულ კლდეზე დავაფიქსირეთ 2 საყარაულო კოშკი. სოფლიდან დავიდართ იაილებსაკენ, სერპანტინისებურად დაკლაკნილი მოხრეშილი სამანქანო გზით მივიწვეთ მაღლა. იშხნის კათედრალისკენ მიმავალი გზაც ანალოგიურია და ორი წლის წინანდელ ექსპედიციას გვახსენებს. არც არის გასაკვირი, ეს ხეობა ხომ იშხნის ხეობის პარალელურია.

სოფლიდან 2 კმ-ში გზა ორად იყოფა. ჩვენ მარცხნივ მივდივართ. ხეობა სულ უფრო ვიწროვდება, ბოლოს ავდივართ ორი დიდი ხეობის შესაყარზე. მდინარის გაღმა მთის შუაგულში ჩანს საყარაულო კოშკი, მთის ძირში კი, ტაფობზე, მცირე ზომის დარბაზული ეკლესიის ნანგრევები. ხეობა ბოლოში ძლიერ ვიწროვდება და კანიონიდან ბილიკებით გადადიხარ დემირქენტში (ერკინისი ანუ რკინის ქალაქი). ამრიგად, ეს 3 კოშკი აკონტროლებს ოხურის 7 კმ-იან ხეობას. ადგილობრივი მოსახლეობა ამ გზას „აბრეშუმის გზას“ უწოდებს.

უდროობის გამო უკან მოვბრუნდით. ერთმა ადგილობრივმა მცხოვრებმა გვითხრა, რომ მის ბაღში ძალიან ძველი შენობის ნანგრევები იყო, სადაც მას საბძელი ჰქონდა მოწყობილი. ამ ადგილს ხოსორიგილის მაჰალეს (უბანს) უწოდებენ ადგილობრივები. უცნობი ნაგებობა დარბაზული ტიპის ეკლესია აღმოჩნდა, ზომებით 14,4X8,4 მ. ჩრდილოეთის და სამხრეთის კართ. აშკარად იკითხება საკურთხეველი (ზომები: 4,8X2,5 მ.). შემორჩენილი კედლის სიმაღლე 2 მ-მდეა. დაბინდებისას ჩვენმა მასპინძლებმა, მირზამ და ფაჰრეთინმა, სახლში მიგვიპატიჟეს ჩაისა და ყავაზე, რაც, ქრისტიანების მიმართ დამოკიდებულების ადგილობრივი წესებიდან გამომდინარე, იშვიათი შემთხვევაა.

23 აგვისტოს 2 საათზე დავიდართ იუსუფელიდან ართვინის მიმართულებით. დღეს ჩვენი ექსპედიციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა გვაქვს გადასაწყვეტი: თუხარისის ციხის ლოკალიზება და, ზოგადად, ტაოსა და კლარჯეთს შორის გამყოფი საზღვრის და ამ ორ პროვინციას შორის არსებული გზების, საფორტიფიკაციო სისტემის დადგენა.

იუსუფელიდან 6 კმ-ში გვხვდება ძველი ხიდის ბურჯები. 8 კმ-ში მდინარეები ჭოროხი და ოლთისისწყალი ერთდება. მივდივართ ართვინის მიმართულებით. 13 კმ-ში სოფ. სებზეჯილერთან (ქვემო ქოლიქი) გვხვდება ძველი ხიდის ოთხკუთხა ბურჯები (ახალი ხიდის ქვეშ). საინტერესოა, ეს

ხომ არ არის „ხვარამზეხს ხიდი, მრავალთუალი, შუენიერად ნაგები“, რომელიც, ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, იშხნის ხევის ზემოთ, მდ. ჭოროხზე მდებარეობს? საერთოდ თურქეთში ახალ ხიდებს ხშირად შუა საუკუნეების ქართული ხიდების ადგილზე და მათ თავზე აშენებენ. ამდენად ყველა თანამედროვე ხიდთან დაკვირვება აუცილებელია, იმ ვარაუდით, რომ ძველი ხიდის ნაშთებს წააწყდები.

იუსუფელიდან 23 კმ-ში გზიდან მარცხნივია სოფელი ჰაგუზლუ (ოკარი), ხის ხიდით ძველ ბურჯზე. იქვეა გზის მარჯვნივ ასახვევი სოფ. დემირქენტისაკენ (ერკინისი). 4 კმ-ის მანძილზე გზა მოასფალტებულია, შემდეგ კი ჩვეულებრივი გრუნტის გზა იწყება. მიუყვებით მალლა მთებისაკენ. ტრასის გადასახვევიდან 6 კმ-ში მთის წვერზე გამოჩნდა კოშკი, ამ ადგილს აქაურები ზემოჯორს (ზემო ჯვარი) ეძახიან. ამ მთის დაბლაა სოფ. ესენიაქა (ზორი), თარაქჩილარი (ბითი), ტანუთი. გზა გაგაკდა და ტყიანი ზონაც დაიწყო. ამ ადგილს ზიფინარს ეძახიან. მის პირდაპირ კი, ხევის გადაღმა მდებარეობს ხერსი. აქ იაილაზე ერთი მოსახლეა, ვისაც გავესაუბრეთ და მთის ცივი წყალი დავლიეთ. ამ წყაროდან ხელისგულივით ჩანს ხერსის ქვეყანა და ძველი გზა, სავარაუდოდ, კლარჯეთში გადამაკალი.

ვაგრძელებთ გზას. გზიდან მარცხნივ მდებარე იაილას კილისა-თეფესი ჰქვია, რაც მიანიშნებს, რომ აქ ეკლესიის ნაშთი უნდა იყოს. მართლაც აღმოჩნდა ადრეშუასაუკუნეების ტიპიური ტეტრაკონქი, რომელიც ავზომით და გადავიდეთ. ეკლესიის დიამეტრია 10,5 მ. სავარაუდოდ, ეს ეკლესია ქართული სამეცნიერო საზოგადოებისათვის უცნობი უნდა იყოს. ეკლესიის ქვემოთ მდებარე იაილას ითიქ ეწოდება. გარშემო ფერდობზე უცნაური, დიდი ლოდებით ნაგები შენობების ნაშთებია. თუ ეს მართლაც თუხარისის ქვეყანაა, მაშინ „ქართლის ცხოვრების“ ცნობა ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში აქ ქალაქის არსებობის შესახებ დამაჯერებელი ჩანს.

ჩვენი მეგზურობა ხალისით იკისრა ადგილობრივმა მწყემსმა აბდულა იშმა. მისი ინფორმაციით, ეკლესიის ზემოთ ნაძვნარს (თუხარისის აგარაები?) ბარაქეთი ჰქვია. მის გაყოლებაზე, თოფელუს ქედის ძირში არსებულ იაილებია: თანუსი, მერკაშეთი, ფოცხორა, ქაშვეთი. უფრო ქვემოთ ტყიან ზოლში მდებარეობს ბალყაიას უბანი, სადაც მეფუტკრეობას მისდევენ. მის ზემოთაა მაჰალეები (უბნები): სალიყური, ქარიერ-თეფე, სინექ-თეფე, გიუნისეფი, ჩაურმა, ფოშეთი, იაილა იაჩ.

მივალწიეთ ციხემდე. მართალია, არსებობს თვალსაზრისი ამ ციხის

თუხარისობის შესახებ, მაგრამ საბოლოო დასკვნის გაკეთება სიფრთხილეს მოითხოვს, ვინაიდან ძველი თუხარისი „ქართლის ცხოვრების“ თანახმად უშუალოდ ჭოროხის თავზე დგას, ეს ციხე კი მდინარეს 10 კმ-ით არის დაშორებული, ღრმადაა ხეობაში შემალული და მდინარიდან მისი დანახვა ყოველად შეუძლებელია. სტრატეგიული თვალსაზრისითაც ეს ციხე იშხანსა და ოხურში გადასავალ გზებს უნდა აკონტროლებდეს და თითქოს არ ჩანს ისეთი მასშტაბური, როგორც წყაროთა მონაცემებით უნდა იყოს ციხე-ქალაქი თუხარისი, რომლის დანახვასაც მეფე ვახტანგ გორგასლის აღფრთოვანება გამოუწვევია.

აქაურები ციხის ტერიტორიას ერკინის (რკინისციხე) უწოდებენ და ალბათ უფრო მართებულია, ჩვენც ასე მოვიხსენიოთ. ერკინისის ციხე მდებარეობს ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთით წაგრძელებულ 15 მეტრი სიმაღლის კონცხზე. ციხის ზომებია დაახლოებით 20X40 მ. მთავარი კარიბჭე ციხეს აღმოსავლეთიდან აქვს. მის თავზე კუპრის გადმოსარებული ხვრელიც იკითხება. კარის ზომებია 1,2X1,5 მ. იგი ურდულით იკეტებოდა. მარჯვენა მხარეს თავსა და ბოლოში ფიქსირდება ანჯამები. პირველი კარიდან გადიოდა ვიწრო ღერეფანი შიდა ციხის კარიბჭემდე, საიდანაც ციხის მდებარეობა ზუსტად ჩრდილოეთი-სამხრეთის ვექტორზეა. ამჟამად ამ ღერეფნის კედელი ჩამონგრეულია და პირდაპირ ჩაჭყურებ უფსკრულს. ვიწრო ქარაფზე გასვლა ფრიად სარისკოა.

ერკინისის ციხის გვერდზე ჩრდილოეთ მხარეს მეორე, უფრო მაღალი კონცხია. ამ ორ კონცხს შორის კი კლდეკარია, ალბათ ბუნებრივი. წარმოუდგენელია ციხის გარეთ ამ კონცხის არსებობა, რადგან ამ შემთხვევაში ციხე დაუცველი რჩება და ამ კონცხიდან თავისუფლად შეიძლება გარნიზონის განადგურება ისრის მერეხით და ციხის დანგრევა ლოდსატყორცით. არადა რაიმე კვალი ამ ორი კონცხის დამაკავშირებელი გალავნისა ამჟამად არ ჩანს. ციხის ძირში, ჩრდილო-დასავლეთ მხარეს უფსკრულთან გვირაბია, რომელიც ჩვენი მეგზურის აბღულას თქმით, ქვემოთ გადის და შესაბამისად მდინარეზეც უნდა ჩადიოდეს.

ერკინისის ციხის სამხრეთით, ქარიელის მთის (2816 მ.) ძირში დიდი ტაფობია, სადაც მაისში იმართება ერენქოის (ხერსის) ფესტივალი. მასში ძირითადად ღემირქეთის მხარის მოსახლეობა მონაწილეობს, თუმცა ქედის გადაღმიდანაც, იშხნის და ოხურის ხეობიდანაც ამოდის ხალხი. ქარიელის მთის ძირიდან მოედინება მდინარე ჩალღარ-სუ, რომელიც ციხესთან ჩაივლის

და ჩრდილო-დასავლეთით მიედინება, დემირქენტთან კი ჭოროხს უერთდება. ციხის პირდაპირ, მდინარის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს თორბალეთის ხევი, ბალყაიას და ხილიეთის მაპალეები. აქვე ფიქსირდება ძალიან საინტერესო ტოპონიმები: ხოლაბუნი, ფუნდუკი, კუზკოზირი, ნაგან-ღერე.

ერკინისის ციხე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სტრატეგიული მდებარეობით გამოირჩევა. უშუალოდ ციხის ზემოთ, აღმოსავლეთით მდებარე ნაძვნარიდან ვიწრო ხეობაში მიმავალი ბილიკებით გზა გადადის თოფელუს ქედზე. იქ კი იტოტება, ჩრდილოეთით მიდის ქივის და მარანგეზის (რუსულ სამხედრო რუკაზე – მალაკეზი) იაილებისაკენ. ქივში ციხის ნაშთებიც უნდა იყოს, რომელიც სამომავლოდ სანახავი და შესასწავლია. სამხრეთით გზა გადის ნიორთზე და მდინარის ხეობით ჩაუყვება ოხურამდე, სადაც ჩვენ წინააღმდეგ ვიმყოფებოდით.

მეორე გზა უფრო გრძელია. იგი ციხის დაბლა არსებული ხილიეთის და სალიყურის იაილებზე გავლით მიემართება და ორად იტოტება. ერთი მხრივ ჭალაგარის მთასთან (2005 მ.) გაივლის და დემირქენტამდე ჩადის. მეორე მხრივ კი ელისარის და სუხბენის (სუხბენის ეკლესია) იაილას გავლით იმხნამდე უწევს.

წყაროთა მონაცემებს თუ შევაჯერებთ თუხარისი აქტიური ჩანს ძვ. წ. IV - ახ. წ. V სს-ში. ამ პერიოდში, იგი შეიძლება იხსენიება „ქართლის ცხოვრებაში“. შემდგომ, ვახტანგ გორგასლის მიერ არტანუჯის ციხის აშენებით თუხარისის მნიშვნელობა დაემცრო. გვიანდელ წყაროში მხოლოდ ერთგან იხსენიება თუხარისის ერისთავი ბემქენ ჯაყელი. ამრიგად, ჩვენი აზრით, ძველი თუხარისი (ოდრხოსის აშენებული, კლარჯეთის და ზემო ქართლის ცენტრი) ცოტა მოშორებით არის დასაძებნი. შეიძლება ეკლესიის მხარეს, იქ, სადაც დიდი ლოდებით ნაგები წრიული და ოთხკუთხა შენობები გვხვდება, ან ხერსისკენ. ამ უკანასკნელ ვარაუდს განამტკიცებს ტოპონიმთა სიახლოვე (თუხარისი-ხარისი-ხერსი). შეიძლება ანტიკური ციხე-ქალაქი თუხარისი, რომლის აღებაც ვერ გაბედა ალექსანდრე მაკედონელმა (მიუხედავად არასწორი ინფორმაციისა, თავისთავად მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ თუხარისის ციხე ასეთ რთულ და ძნელად ასაღებ ციხედ ითვლება თანამედროვეთათვის) და რომლის ნახვამ ასე ალაფროვანა ვახტანგ გორგასალი („შეუყუარდა ციხე ესე“), მართლაც ხერსთან მდებარეობდა. ვახუშტი ბატონიშვილს თუხარისი საერთოდ სხვაგან აქვს ლოკალიზებული. „ტბეთის პირისპირ, ჩრდილოთ კერძ, მდინარის გაღმა არს ციხე თუხარისი“. შესაძლებელია, ერკინისის ცი-

ხე ისეთივე ფორპოსტი იყო ციხე-ქალაქ თუხარისისა, როგორც ხერთვისის ციხე ქალაქ წუნდისა, ციხელიდი ქალაქ სარკინესი, უფლისციხე – კასპისა...

23 აგვისტოს ღამეს კვლავ იუსუფელში, სასტუმრო „ქართალ იუვასიში“ ვათევთ. 24 აგვისტოს დილით იუსუფელში ძველ ნაცნობ გურჯებს, ტაოს (პარხლის ხეობის) ქართული სოფლის ბიჩაქჩილარის (ხევეკის) მკვიდრებს, რეჯებს და იობს შევხვდით. აგრეთვე იუსუფელის ავეჯის მაღაზიის პატრონს ერდალს, რომელსაც თსუ დასავლეთევროპული ენების ფაკულტეტი დაუძმავრებია. სხვათა შორის, იობი თურქეთში ამ სამ წელიწადში ჩვენ მიერ გაცნობილი მეორე გურჯია, რომელიც არა მარტო მშენებრად საუბრობს ქართულად, არამედ ქართულად წერა-კითხვაც შეუძლია. საუბარმა და მოკითხვამ დრო წაიღო, რის გამოც ქალაქიდან გასვლა ცოტა შეგვაგვიანდა.

3 საათზე გამოვედით იუსუფელიდან და იშხანისკენ გავემართეთ. გზად 2 ბელგიელი ტურისტები, სტუდენტები, შეგვხვდნენ, რომლებიც ფეხით მოგზაურობენ ტაოში. გოგონა ისლამურ კულტურას სწავლობს და ცოტა თურქულიც ესმოდა. ისინი ჩვენი თანამგზავრები აღმოჩნდნენ მთელი დღის მანძილზე, რადგან იშხნიდან დემირქენტში აპირებდნენ გადასვლას და ღამის გათევა კარვებით სუხბენში მოუწიათ.

იშხნის ტაძართან ადრე ფრენბურთის ბაღე იყო გაშლილი. ახლა ფეხბურთის სათამაშო მოედანიც მოუწყვიათ და ხის ძელებისგან კარებიც აუგიათ. ის იყო, ვფიქრობდით, როგორ გადაგვეჭრა უკონფლიქტოდ პრობლემა, რომ გამოსავალი თავად მოიძებნა. სოფლის ერთ ნახევრადშერეკილ მცხოვრებს ფულის შოვნის ორიგინალური საშუალება მოუფიქრებია და იშხანში მოსულ ტურისტებზე კუსტარულად დამზადებულ რაღაც ბილეთებს ყიდის, ვითომ მუზეუმის გამგე ვარო. ჩვენ დავთანხმდით 5 ლირის მიცემას იმ პირობით, თუ კარებების მონგრევის ნებას მოგვცემდა. გახარებულმა „მუზეუმის გამგემ“ თანხმობა მოგვცა და ჩვენც დიდი სიამოვნებით მოვაცილეთ იშხანს ეს დამანგრეველი მოედანი, თუმცა არავითარი გარანტია არ არის, რომ ახალი ძელებით კვლავ არ ააგებენ კარებს. ჩვენი მხრით „მონაწიების“ კინოგმირივით საზეიმოდ დავპირდით, რომ ამ შემთხვევაში რამდენჯერაც აღმართავდნენ, იმდენჯერ დავუნგრევდით.

იშხანში შევეცადეთ, გაგვერკვია იშხნის ციხის ადგილმდებარეობა. ადგილობრივი მოსახლეობა უარყოფს ახლო მიდამოებში ციხის არსებობას. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით: „ართვანს ზეით მოერთვის ჭოროხს დასავ-

ლეთიდან ხევი, რომელი გამოსდის თორთომ-ისპირის მთასა, მოდის აღმოსავლეთით. ამ ხევზედ არს იშხანის ციხე, ფრიად მაგარი, ღიდშენი და ეკლესია გუმბათიანი, ღიდ-შუენიერად ნაგები. აქ იჯდა ეპისკოპოზი, მწყემსი ისპირისა, თორთომისა, ბაიბურდისა, ვიდრე ტრაპიზონის მთამდე, და აწ ცალიერ არს“.

ამ ცნობის განმარტებისას და იშხნის ციხის შესახებ ექვთიმე თაყაიშვილი თავის „1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში“ აღნიშნავდა: „ვახუშტი ბატონიშვილის ცნობა იშხნის მდებარეობის შესახებ სინამდვილეს არ შეეფერება, მაგრამ სხვა მისი ცნობები კი სწორია... სოფლის (იშხნის) ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარეობს იშხნის ციხე, ეხლა ძალზე დანგრეული“. სამწუხაროდ, არ ჩანს ექვთიმე თაყაიშვილმა პირადად ნახა ეს ციხე თუ ადგილობრივი მოსახლეობის ნაამბობს დაეყრდნო. უფრო მეორე ვერსიას ვემზრობით. ეს ეჭვი გაგვიჩნდა მას შემდეგ, რაც იშხნის ციხის ძიებაში გართულებს ზოგიერთმა ადგილობრივმა მოსახლემ დაგვიდასტურა სოფლიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით ციხის ნანგრევების არსებობა. ადგილზე მისულებს კი ციხის მაგივრად სუხბენის ეკლესია დაგვხვდა.

შესაძლებელია, ვახუშტი ბატონიშვილი არ ცდება იშხნის ციხის ადგილმდებარეობის განსაზღვრისას. საქმე ისაა, რომ სპერის მთებიდან გამომდინარე თორთომისწყალი საბოლოოდ მართლაც ჭოროხს უერთდება ოლთისისწყლის მეშვეობით. ამ შესართავთან კი მდებარეობს სოფელი ქინალიჩამი (აშმეშენი, აშფიშენი), ციხითურთ.

ჟამთააღმწერლის ცნობით, ურდოში დაბარებულმა დემეტრე II-მ ჯალაბი დახიზნა, მათ შორის მცირეწლოვანი უფლისწული გიორგი პაპამისთან (თავის სიმამრთან) ბექა ჯაყელთან გააგზავნა, „ხოლო ყრმა მცირე გიორგი წარგზავნა ტაოს, იშხნის ციხესა, ასპარაშენს, და თვით წარვიდა ურდოსა“. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ იშხნის ციხე წყაროში ერთადერთხელ ფიქსირდება და მის სინონიმად მოტანილია ასპარაშენი, ძალაუნებურად გვიჩნდება აზრი, რომ შესაძლებელია აშმეშენი და აშფიშენი ასპარაშენის სემანტიკურ სახეცვლილებას წარმოადგენდეს.

25 აგვისტოს შავშათიდან ტბეთისაკენ გავემურეთ. ეკლესიის დათვალიერების შემდეგ გავემართეთ მეშელისკენ (დაბაწვრილი). გზად, დაბა ველიქოისთან (მერია) გადავუხვიეთ ჩრდილოეთით და მივედით იონჯალიქში (ციხია). ჯევიზლიდან (ტბეთი) აქამდე მანძილია 18 კმ. ჩვენი აქ მოსვლის მიზეზია 2005 წლის 2 თებერვალს „სამხრეთ კავკასიისა და ანატოლიის კვლევის ცენტრის“ სახელზე ინტერნეტით მიღებული ინფორმაცია სოფ. ცი-

ხიაში აღმოჩენილი წარწერიანი ქვის შესახებ. ამ წარწერის შესახებ წინასწარი ინფორმაცია უკვე გამოქვეყნდა.¹ ამჯერად ქვის უშუალოდ ადგილზე ნახვა გვანტერესებს. დიდი კითხვა-კითხვით მივაგენით სოფლის ბოლოში, მაჰალე „ჯაყელებში“ მინდორში დაგდებულ მოწითალო ფერის ქვას, 4-სტრიქონიანი ასომთავრული წარწერით. წარწერაში იხსენიება ერისთავთ-ერისთავი აბულასანი (სავარაუდოდ, შავშეთის ერისთავი).

ქვის ფიქსაციის და აზომვის შემდეგ იქაურებს ვურჩიეთ შუამდგომლობის აღძვრა მისი მუზეუმში გადასატანად. ამ მხარეში მრავლად არიან ქართველები (გვარები: ფეტვაძე, აჭაროლი, ...). თავდაპირველად მათი დამოკიდებულება ჩვენდამი აგრესიულიც კი იყო (ვინ ხართ, რისთვის მოსულხართ...), ალბათ ოქროს მაძიებლებად ჩავთვალეს. ჩვენი თარჯიმნის მეოხებით ყინული გალღვა, თუმცა ამას ხელი არ შეუშლია სოფლის მუხტარისათვის ჟანდარმერია გამოეძახნა. ერთკვირიანი ექსპედიციის განმავლობაში მეორედ მოგვიწია ჟანდარმერიასთან ურთიერთობის გარკვევა. ამჯერად ეს ურთიერთობა წინამორბედზე უფრო სასარგებლო აღმოჩნდა, ვინაიდან ჟანდარმერიამ ჩვენი ვინაობის გარკვევის შემდეგ აქეთ დატუქსა მუხტარი მათი უმიზეზოდ მოცდენისათვის. უნდობლობის მოხსნა საზღვრისპირა ზონაში სამომავლოდ სარგებლობას მოუტანს როგორც მეცნიერებს, ისე ჩვეულებრივ ტურისტებს, ვინც ამ მხარის მონახულებას მონდობებს.

კვლავ შებინდებულზე გამოვედით სოფ. ციხიდან და 120 კმ-იანი გზა ქ. ბორჩხამდე უდრტვინველად გავიარეთ. პატარა და კონტა ქალაქი ბორჩხა (მოსახლეობა – 8400 კაცი) თითქმის სულ გურჯებით არის დასახლებული, მრავლად არიან ლაზებიც.

გათენდა 26 აგვისტოც, ჩვენი ექსპედიციის ბოლო დღე. გავუყვეით ჭოროხის ხეობას, საზღვრამდე, სოფელ მურატლიმდე (მარადიდი). გზად ვნახეთ ჭოროხზე კაშხალთა სისტემის აგების შემდეგ მოსალოდნელი თვალნათელი შედეგი. 13 კაშხლიდან პირველი კაშხალი მურატლი უკვე თითქმის დაგუბებულია. წყლის ქვეშ არის მოქცეული სოფლის რამდენიმე უბანი. რაც ყველაზე სამწუხაროა ის შლამი და ნატანი, რაც ჭოროხს შავ ზღვაში ჩააქვს, მასიურად ნაპირზეა მოლექილი. ამის სავალალო შედეგებს კი საქართველოს სანაპირო, განსაკუთრებით ბათუმი და მისი მიმდებარე მხარე, ძალიან ჩქარა

¹ იხ: ბუბა კუდავა, გოჩა საითიძე, თემო ჯოჯუა. ერისთავთერისთავ აბულასანის უცნობი წარწერა შავშეთიდან. „გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი“. 2. 2005.

იგრძნობს. მარადილში არაერთი ქართველი გავიცანით, თითქმის ვერც კი ვგრძნობდით, რომ თურქეთში ვიმყოფებოდით. ასეთი სრულიად ქართული გარემო სხვაგან არ შეგვხვედრია, მოხუციც და ახალგაზრდაც თავისუფლად საუბრობს ქართულად. მათი დიდი სათხოვარი საქართველოს და თურქეთის მთავრობებისადმი არის მარადიდის საბაჟო-გამშვები პუნქტის დროულად გახსნა. საზღვარი სოფელ მარადიდზე გადის და უახლოეს ადამიანებს, ნათესავებს ერთმანეთის სანახავად ზედმეტი 80 კმ-ის გავლა უწევთ.


თურქეთის დროით 5 საათზე გადმოკვეთეთ საზღვარი. ჩვენი საქართველოში შემოსვლა მნიშვნელოვან დღეს დაემთხვა. აღინიშნებოდა ფესტივალი „სარფობა“ – თურქეთში და „კოლხობის“ დღესასწაული საქართველოში. გაღმა-გამოღმა სარფი თითქოს გაერთიანებულყო ამ დღის აღსანიშნავად.

ლიტერატურა

1. ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. IV. თბ. 1973.
2. ლეონტი მროველი. ცხოვრება ქართველთა მეფეთა. ქართლის ცხოვრება. ტ. I. თბ. 1955.
3. მათიანე ქართლისა. ქართლის ცხოვრება. ტ. I. თბ. 1955.
4. ჟამთააღმწერელი. „ქართლის ცხოვრება“. ტ. II. თბ. 1959.
5. ჯუანშერი. ცხოვრება მეფეთ-მეფისა ვახტანგისი. ქართლის ცხოვრება. ტ. I. თბ. 1955.
6. ართვინის და არტაანის ვილაიეთების დასახლებულ პუნქტთა ძველი და ახალი სახელწოდებები. 2005. (ხელნაწერი).
7. გურჯისტანის ვილაიეთის რუკა. შემდგენელი: ალ. ასლანიკაშვილი. თბ. 1953.
8. ექვთიმე თაყაიშვილი. არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისსა და სოფელ ჩანგლში 1907 წელს. „დაბრუნება“. ტ. I. თბ. 1991.
9. ექვთიმე თაყაიშვილი. 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში. თბ. 1960.
10. ბონდო კუბატაძე, გონა საითიძე, ჯაბა სამუშია. 2003 წლის 15-29 აგვისტოს კომპლექსური სამეცნიერო ექსპედიცია ართვინის, არტაანის, ყარსის და არზრუმის ვილაიეთებში. თბ. 2004. (ხელნაწერი).
11. საქართველოს ისტორიის ატლასი. დავით მუსხელიშვილის რედაქციით. თბ. 2003.
12. ტაო-კლარჯეთის ხუროთმოძღვრული ძეგლები (რუკა). თემურ ხუციშვილის რედაქციით. თბ. 2004.
13. ალექსანდრე ფრონელი (ყიფშიძე). დიდებული მესხეთი. თბ. 1991.
14. ლევან ჭილაშვილი. ქალაქები ფეოდალურ საქართველოში. I. თბ. 1968.
15. ლევან ჭილაშვილი. ქალაქები ფეოდალურ საქართველოში. II. თბ. 1970.
16. ივანე ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. ტ. II. თბ. 1965.
17. ანანია შირაკაცი. თხზულებანი. ერევანი. 1979. (სომხურ ენაზე).
18. ლევონდი. ისტორია. ახალსომხურად თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო არამ ტერ-ლევონდიანმა. ერევანი. 1982. (სომხურ ენაზე).
19. Ardahan ve ilçeleri. 2003.

20. Artvin il haritasi. Artvin. 2003.
21. Erzerum il haritasi. Erzurum. 2005.
22. Karayollari Haritasi Turkiye. Ankara. 1993.
23. Н. Адонц. Армения в эпоху Юстиниана. Ереван. 1971.
24. В Девицкий. Древности Посховского участка. Сборник материалов для описания местностей и племень Кавказа. вып. 35. Тиф. 1905.
25. ექვთიმე თაყაიშვილი. 1902 წლის მოგზაურობა ტფილისის და ყარსის გუბერნიებში. Материалы по археологии археологии кавказа. вип. XII. 1909.
26. Е. Такаишвили. Разборъ грузинскихъ надписей на камняхъ доставленныхъ изъ Поцховскаго участка въ Церковный музей Грузинскаго экзархата. Известия Кавказскаго Отделения Императорскаго Московскаго Археологическаго Общества. вип. II. Тиф. 1907.
27. Прасковия Уварова. Посховский участокъ. Материалы по археологии Кавказа. вип. IV. Тиф. 1894.

თუსარისის და იშხნის ძველანა



იუბილე

ნანა ხაზარაძე

ნოდარ ასათიანი – მეცნიერი, პედაგოგი,
საზოგადო მოღვაწე*

მოგახსენებთ, რომ 2010-2011 ჩემი თანაკლასელებისა და თანაკურსელების დაბადების საიუბილეო წლებია.

დღევანდელი საზეიმო სხდომა ჩვენი მეგობრის, კოლეგის, ცნობილი ქართველი ისტორიკოსის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ნოდარ ასათიანის დაბადების საიუბილეო თარიღს ეძღვნება. თუმცა ბატონ ნოდარს ეს ასაკი არ ეტყობა, ისევე, როგორც მრავალ ჩემს თანაკურსელს, და თანაკლასელს. დარწმუნებული ვარ, რომ დღეს, როდესაც ის საპატრიარქოს უნივერსიტეტის პირველკურსელებს უკითხავს ლექციებს საქართველოს ისტორიაში, მისი სტუდენტები, განსაკუთრებით გოგონები, კვლავ ისეთივე შეყვარებული თვალებით უყურებენ, როგორც ეს მრავალი წლის განმავლობაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და უცხო ენათა ინსტიტუტში იყო.

ჩემთვის ძალიან დიდი პატივია, წარმოვიდგინოთ ბატონი ნოდარის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითადი შტრიხები. ძირითადი შტრიხები იმიტომ, რომ მისი მოღვაწეობა და ცხოვრება ისეთი მრავალფეროვანი პალიტრითაა აღსავსე, რომ ყველაფერზე საუბარი, ალბათ, გამიჭირდება, მითუმეტეს, რომ დღეს აქ, ჩემ, გარდა, მისი თანაკლასელები, თანაკურსელები, კოლეგები, მისი მასწავლებლები გამოვლენ და, ალბათ, ჩემს ინფორმაციას მნიშვნელოვნად შეავსებენ.

1931 წლის 8 იანვარს, ქალბატონ, ბარბარეს და ბატონ შალვა ასათიანებს ვაჟი შეეძინათ. მას ნოდარი დაარქვეს. ნოდარი წიგნის სამყაროში

* სიტყვა წარმოთქმული საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სხდომათა დარბაზში 2011 წლის 30 იანვარს. სხდომა მიეძღვნა თვალსაწირო ქართველი მეცნიერის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ნოდარ ასათიანის საიუბილეო თარიღს, დაბადების 80 წლისთავს.

გაიზარდა. ბატონი შალვა ფრონტზე დალუპკამდე (1942 წელი) თბილისის ერთ-ერთი უმსხვილესი, ჯაფარიძის სახელობის სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორი გახლდათ. სულ პატარა ნოდარს, წიგნებით ხელში, ხშირად, იხილავდით ამ ბიბლიოთეკაში. მას ფანტასტიკა, განსაკუთრებით ჟიულ ვერნი უყვარდა. ამასთანავე, სათავგადასავლო ლიტერატურაც: ვალტერ სკოტის, მაინ რიდის, ჯეკ ლონდონის ნაწარმოებები, რომელთაც ჩვენ ყველა ვეწაფებოდით. მაშინ, სხვათა შორის, რადგანაც არ არსებობდა ქართული თარგმანები, ამ ნაწარმოებებს რუსულ ენაზე ვკითხულობდით. მისი იდეალი, როგორც იმდროინდელი ბიჭების და გოგონებისაც, რასაკვირველია, დიუმას რომანები იყო. ნოდარს არც არტოსობა სურდა, არც არამისობა, არც პორტოსობა, მხოლოდ დარტიანიანობაზე ოცნებობდა. სხვათა შორის, ეს ოცნება კიდევ აუსრულდა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სტუდენტობისა და ასპირანტობის წლებში, ჩვენი იუბილარი ფარიკაობის სექციაში ჩაეწერა, დიდ წარმატებებს მიაღწია და ჩემპიონობაც კი მოიპოვა.

სკოლის წლებში პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში დადიოდა. ნოდარი ქართულ ენასა და ლიტერატურას მშვენიერ ქალბატონ თალიკო ალავიძესთან ეუფლებოდა. ბავშვობაში, და ალბათ მერეც, პოეტური ბუნების იყო. ლექსებსაც წერდა და პოემაც შეუქმნია, რომელიც ნატო ვაჩნაძეს უძღვნა. ნოდარმა უკვე კარგად იცოდა ბერძნული მითოლოგია და, კერძოდ, მითი არგონავტების შესახებ, მთავარი გმირი, კოლხი მედეა, ნატო ვაჩნაძეს შეუღარა.

ასე რომ, ნოდარის წარმატებული და ძალიან საინტერესო ცხოვრება უკვე სკოლის წლებიდან დაიწყო. მან წარჩინებით დაამთავრა რკინიგზის I საშუალო სკოლა და იმავე წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე, საქართველოს ისტორიის ჯგუფში ჩაირიცხა. მე და ჩემმა თანაკლასელებმა (ახლა უკვე თანაკურსელებმა), ნოდარი სწორედ იქ გავიცანით.

ნოდარმა სერიოზულობით, გაწონასწორებულობით, მოწესრიგებულობით, განათლების მაღალი დონით ჩემზე იმთავითვე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა. ყველა გამოცდას, როგორც წესი, უმაღლეს ნიშანზე აბარებდა. სწორედ ამ მიზეზით მეორე კურსზე მან ივანე ჯავახიშვილის სახელობის სტიპენდია დაიმსახურა. უკვე მეორე კურსზევე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა მე-13 სამეცნიერო კონფერენციაზე ნოდარმა და მისმა თანაკურსელებმა პირველი მოხსენებები წავიკითხეს. ნოდარის ის პირველი მოხსენება დღესაც მანსოვს. იგი ქართული წარმართული პანთეონის

უზენაეს ღვთაება არმაზის გენეზისის მისებურ ინტერპრეტაციას ეძღვნებოდა. როდესაც ამ გამოსვლისათვის ვემზადებოდი, კონფერენციის მოხსენებათა თეზისების ამსახველი, გაფითლებულფურცლებიანი ტომი უკვე სხვა თვალთ, თავიდან გადავიკითხე. როგორც ძველ ისტორიაში ჩახედულმა, გაცნობა ვერ დავმალე. მეორე კურსის სტუდენტი ნოდარ ასათიანი სრულად ფლობდა საკითხის ირგვლივ არსებულ პირველწყაროებსა („ქართლის ცხოვრება“) და ისტორიოგრაფიას (ვახუშტი ბატონიშვილი, თეიმურაზ ბაგრატიონი, მოსე ჯანაშვილი, ნიკო მარი, ივანე ჯავახიშვილი). მეორე კურსის სტუდენტის სავსებით მართებული თვალსაზრისით, არმაზის ღვთაების გენეზისი მცირე აზიურ მთვარის ღვთაება არმასთანაა დასაკავშირებელი.

სტუდენტობის წლებშივე ნოდარის ინტერესების სფერო შეიცვალა. მისი ყურადღება კახეთმა და საქართველოს შესახებ დაცულმა რუსულმა წყაროებმა მიიქცია. იმ პერიოდშივე მოხსენებებით გამოდის და აქვეყნებს ნაშრომებს: რუსი მხატვრები XVI ს.-ის კახეთში, თბილისის აღწერილობა ძველ რუსულ ხელნაწერ წიგნში. სიმბოლურია ისიც, რომ ჩემმა ორმა თანაკურსელმა, ნოდარ ასათიანმა და კიაზო ფიცხელაურმა, საკვლევ ობიექტად მაინცდამაინც კახეთი გაიხადეს. ალბათ მოგეხსენებათ, რომ კახეთი დიდი ხნის განმავლობაში საქართველოს არქეოლოგიურ რუკაზე თეთრ ლაქად რჩებოდა. ფაქტობრივად, კახეთის უკლებლივ ყველა ძეგლის აღმოჩენა, რომელიც ფართო ქრონოლოგიურ ჩარჩოებშია მოქცეული – ნეოლითიდან მოყოლებული ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის ჩათვლით, კიაზო ფიცხელაურის სახელს უკავშირდება. ასევე, ნოდართანაა დაკავშირებული შუა საუკუნეების კახეთის ისტორიის ურთულესი ასპექტების შესწავლა. სწორედ ჩვენმა იუბილარმა კახეთის რეგიონის პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული ისტორიის შესწავლის სრულიად ახალი ეტაპი დაიწყო. ისიც უნდა დავძინო, რომ ყველა საკითხი, რომლებიც კახეთს ეხება და ბატონი ნოდარის მეცნიერულ შემოქმედებაში ამომწურავადაა წარმონიშნული, როგორც წესი, საქართველოს ერთიანი ისტორიის კონტექსტშია შესწავლილი. იმასაც ვფიქრობ, რომ თავისი პირველი მოხსენებით ნოდარი ძველი ისტორიის ჩინებული მკვლევარიც დადგებოდა. ამ ვარაუდს, გარკვეულწილად, ბატონი ნიკო ბერძენიშვილის ის შესანიშნავი დახასიათებაც ადასტურებს, რომელსაც მე ხელნაწერში გავეცანი. ულამაზესი, მისთვის ჩვეული კალიგრაფიითაა დაწერილი, სადაც ის ამბობს, რომ სტუდენტი ნოდარ ასათიანი გამოირჩევა განათლებით, შრომით, კვლევა-ძიებისადმი მიდრეკილებით (ეს მისი ტერმინია), რომ მან შე-

სანიშნავად შეისწავლა ძველი ქართული, სპარსული და მზად არის, რომ იმუშაოს საქართველოს ძველ ისტორიაში. ვვარაუდობ, რომ ბატონ ნიკოს მოსმენილი ჰქონდა ნოდარის ეს პირველი მოხსენება, ანდა შეიძლება თეზისებსაც გაეცნო, როგორც ჩვენი ყველა იმდროინდელი პროფესორი ეცნობოდა ხოლმე.

სტუდენტობის დროს ჩვენი წარმატებები პროფესორ-მასწავლებლების ბრწყინვალე პლეადამ განსაზღვრა. ესენი იყვნენ: ბატონი სიმონ ყაუხჩიშვილი, გიორგი გოზალიშვილი, გიორგი ჩიტაია, გიორგი ნიორაძე, ქალბატონი თინა ყაუხჩიშვილი, სულ ახალგაზრდა, მაგრამ უკვე ძალიან ცნობილი ისტორიკოსები: ქალბატონი მარიამ ლორთქიფანიძე, რომელიც მახლობელი ადმოსავლეთის ისტორიას გვიკითხავდა, ბატონი ოთარ ჯაფარიძე, რომელიც არქეოლოგიაში სემინარებს გვიტარებდა. ჩვენი გოგოები პირველ მერხზე მოხვედრისთვის ერთმანეთს ეცილებოდნენ. რათა ბატონი ოთარი რაც შეიძლება ახლოს ეხილათ. ეს სკოლა გაიარა ბატონმა ნოდარმა და მასთან ერთად მისმა თანაკურსელებმაც. მომავალი წარმატებები სწორედ ამ ვითარებამ განაპირობა.

1954 წელს ბატონმა ნოდარმა წარჩინებით დაამთავრა ისტორიის ფაკულტეტი და კონკურსის წესით ასპირანტურაში ჩაირიცხა. მისი სამეცნიერო ხელმძღვანელი ბატონი ნიკო ბერძენიშვილი გახლდათ. რაკი საკვლევ რეგიონად კახეთი უკვე არჩეული ჰქონდა, ბუნებრივია, რომ სადისერტაციო თემადაც კახეთის ისტორიის პრობლემატიკა შეირჩა. და აი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად წარადგინა სადისერტაციო ნაშრომი თემაზე: „კახეთის გლეხობა XVI-XVII საუკუნეებში“ და 1960 წელს წარმატებით დაიცვა. ამ ნაშრომმა ოპონენტების მაღალი შეფასება დაიმსახურა. ისიც მინდა მოგახსენოთ, რომ ასპირანტურის დამთავრებისთანავე ნოდარს საქართველოს ისტორიის კათედრაზე ტოვებენ. გაიარა ყველა საფეხური: ჯერ იყო ლაბორანტი, შემდეგ მასწავლებელი, უფროსი მასწავლებელი, დოცენტი. დოცენტის თანამდებობაზე საკმაოდ ადრეულ ასაკში აირჩიეს. შემდეგ დოცენტის წოდებაც მიანიჭეს. მნიშვნელოვანია ჩვენი იუბილარის მოღვაწეობა კათედრაზე, მაგრამ ამის შესახებ ქვემოთ მოგახსენებთ. ახლა ბატონი ნოდარის სამეცნიერო მემკვიდრეობაზე ვისაუბრებ.

1973 წელს ბატონი ნოდარი აქვეყნებს სოლიდურ მონოგრაფიას, თუმცა მანამდეც მთელი რიგი სტატიების ავტორია. ამ მონოგრაფიას ეწოდება „მასალები XVII საუკუნის საქართველოს ისტორიისათვის“. ნაშრომმა ყურადღება, უპირველეს ყოვლისა, თავისი წყაროთმცოდნეობითი ბაზისით მიიქცია. მხედველობაში გვაქვს რუსული წერილობითი წყაროები, რომლებიც სა-

მეცნიერო მიმოქცევაში პირველად მისი ძალისხმევით შევიდა. ეს პირველწყაროები ბატონმა ნოდარმა მოსკოვში შრომატევადი ძიებების შედეგად „სიძველეთა ცენტრალურ სახელმწიფო არქივში“ მოიძია. ესაა პავლე ალექსოვის და მისი მამის არქიმანდრიტ მაკარიოს ანტიოქელის მოგზაურობა საქართველოში. ბატონმა ნოდარმა ამ წყაროს მონაცემთა ანალიზის საფუძველზე აღნიშნული სასულიერო პირების მოღვაწეობის ქრონოლოგიური ჩარჩოებიც განსაზღვრა და საქართველოს ისტორიის ამ ურთულეს პერიოდს ახალი შუქიც მოჰფინა.

არანაკლებ მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ბატონი ნოდარის მეორე მონოგრაფია, რომელიც 1983 წელს გამოქვეყნდა. ესაა „გზა გამოსწისა აღდგომისაკენ“, რომელიც ისტორიკოსების მიერ სამაგიდო წიგნადაა მიჩნეული. ეს სქელტანიანი წიგნი მოგვითხრობს საქართველო-რუსეთის ურთიერთობაზე უძველესი დროიდან გეორგიევსკის ტრაქტატის ხელმოწერამდე. ამ შესანიშნავ წიგნშიც ავტორი უხვად იყენებს არა მხოლოდ ქართულ, არამედ რუსულ და აღმოსავლურ წერილობით წყაროებს, რაც საშუალებას აძლევს მას, პირველად წარმოაჩინოს საქართველოში რუსი მოხელეების, ელჩების საქმიანობა და „პრიკაზების“ არსი. ნაშრომში სიღრმისეულადაა რეკონსტრუირებული შუასაუკუნეების დასავლეთ საქართველოს საეკლესიო ისტორია. ამასთანავე, დავით აღმაშენებლის და ვლადიმერ მონომახის ურთიერთობის მანამდე უცნობი ასპექტები, ვახტანგ V-ის მოღვაწეობა... ეს ნაშრომიც, ისევე როგორც წინამორბედი, ასევე ისტორიკოსების სამაგიდო წიგნად იქცა. ბატონი ნოდარის ეს ორი მონოგრაფია საფუძვლად დაედო ორ შესანიშნავ ქართულ დოკუმენტურ ფილმს: „წიგნი ფიცისა“, რომელიც ბატონმა გივამ ლორთქიფანიძემ გადაიღო და მერაბ კოკჩაშვილის ფილმს „გზა“. განსაკუთრებით მინდა შევჩერდე ფილმზე „გზა“, რომლის მოქმედი გმირები ჩვენი მასწავლებლები და მეგობრები არიან, მათ შორის ჩვენი დღევანდელი იუბილარი და ჩვენი თანაკურსელებიც.

ბატონი ნოდარი, როგორც წესი, საქართველოს ისტორიის ურთულეს პრობლემატიკაზე მუშაობს. ესაა ქართულ სათავადოთა სისტემა, სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ისტორიის ურთულესი მიმართულებები. როგორც სათავადოების, ასევე, საქართველოს ისტორიის სოციალური, პოლიტიკური თუ კულტურის ისტორიის საკითხებზე საქართველოში ერთიანი თვალსაზრისი არ არსებობს და ეს სავსებით კანონზომიერია. მაგრამ ბატონი ნოდარი სათავადოებთან დაკავშირებით შექმნილ საკუთარ კონცეფციას საკმაოდ

სერიოზული არგუმენტებით ამყარებს.

სიახლის თვალსაზრისით გამოირჩევა ქართული მიწათმფლობელობის ისტორიის პრობლემებისადმი მიძღვნილი ბატონი ნოდარის კვლევა-ძიებათა შედეგებიც, სადაც იგი სკრუპულოზურად შეისწავლის საქართველოში არსებული სოციალური იერარქიის ყველა ასპექტს. ჩვენი იუბილარის თვალთახედვით, ქართული საგლეხო მიწათმფლობელობა სათემო მიწათმფლობელობის ნიშნებით ხასიათდება. მართალია, ამ სოციალური ფენის განვითარების თვალსაზრისით ეს ვითარება საკმაოდ სავალალოა, მაგრამ ავტორის დამსახურება სწორედ ისაა, რომ მან ეს თავისებურება შეამჩნია და კვლევის ობიექტად აქცია.

ზემოთ დასახელებული პრობლემების კვლევისას, ჩვენი იუბილარი არაერთ ახალ წყაროს გვაცნობს და საკუთარ პოზიციას გვთავაზობს იმავე სათავადოების, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური წყობის, საქართველო-რუსეთის ურთიერთობების პრობლემებზე. ფასდაუდებელია ნოდარ ასათიანის ნაშრომები, სადაც გაცოცხლებულია ერეკლე II-ის, თეიმურაზ II-ის ისტორიული პორტრეტები. განსაკუთრებით აღსანიშნავია ნოდარ ასათიანის ნაშრომი, რომელიც შარვანის ისტორიას ეძღვნება. ნაშრომში არგუმენტირებულადაა გაკრიტიკებული აზერბაიჯანელი ისტორიკოსების დამოკიდებულება ჩვენი ისტორიის ძალზე მნიშვნელოვანი პრობლემის მიმართ. ჩვენი იუბილარის საპასუხო პოზიცია კვლავ ახალ ქართულ და აღმოსავლურ წყაროებს ეფუძნება. ამ სტატიამ ქართველ მეცნიერთა უმაღლესი შეფასება დაიმსახურა.

ჩვენს იუბილარს არც ჩვენი საქართველოს საგმირო ეპოპეა დავიწყებია. მის კალამს ეკუთვნის შესანიშნავი ნარკვევები მარაბდის, მარტყოფისა და ბახტრიონის გმირულ ბრძოლებზე.

მისი შემოქმედების პალიტრა მრავალფეროვანი და მშვენიერია. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ნოდარ ასათიანის ნაშრომები სოლიდურ აკადემიურ გამოცემებშია გამოქვეყნებული: ესაა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შრომები, „მაცნეს“ ისტორიის სერია, ქართული სოფლების ისტორია, კავკასიის ხალხთა ისტორია და სხვა. ბატონი ნოდარის უკლებლივ ყველა ნაშრომი უმაღლეს დონეზეა შესრულებული, გამოირჩევა სხვადასხვაენოვანი წერილობითი პირველწყაროების სიმრავლით (რომელთა დიდი ნაწილი პირველად შევიდა სამეცნიერო მიმოქცევაში), კრიტიკული ანალიზით და, რაც მთავარია, ფაქტებისა და მოვლენების ორიგინალური ხედვით. აქვე შეძლებსაც დავძენ: ბატონი ნოდარი ქარ-

თულ საისტორიო მეცნიერებაში საპატიო ადგილს იმ მხრივაც იმსახურებს, რომ იგი საქართველოს ისტორიის არაერთი სახელმძღვანელოს სულისჩამდგმელი და ავტორია.

საქართველოს ისტორიის ახალი სახელმძღვანელოების გამოცემაზე ფიქრი მან ადრევე დაიწყო, როდესაც ჟურნალ „ცისკარში“ გამოაქვეყნა საკმაოდ კრიტიკული რეცენზია, სათაურით: „უვარგისი სახელმძღვანელო“. სრულიად ახალგაზრდა ისტორიკოსი სავსებით მართებულად მიიჩნევდა, რომ დღის წესრიგში საქართველოს ობიექტური ისტორიის ამსახველი სახელმძღვანელოს შექმნა იდგა. მისი ოცნება აღსრულდა, როდესაც მან ცნობილ ისტორიკოსებთან, ბატონ შოთა მესხიასთან, ქალბატონ მარიამ ლორთქიფანიძესთან, ბატონ ვიქტორ გუჩუასთან ერთად 1988 წელს მე-8 მე-9 კლასების მოსწავლეთათვის საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო გამოაქვეყნა. 1990 წელს ბატონი ნოდარი უკვე დამოუკიდებლად გამოსცემს საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს როგორც მე-8, ისე მე-9 კლასის მოსწავლეთათვის. შემდეგ წლებში ბატონი ნოდარი საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოების ავტორი, ან თანაავტორია. უფრო მეტიც, 1990 წელს ბატონი ნოდარის საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო რუსულად, სომხურად და აზერბაიჯანულად ითარგმნა და არაქართულ სკოლებში ფართო გავრცელება ჰპოვა. სამწუხაროდ, ეს ტრადიცია შეწყდა. ჩემ ხელთ არსებული ინფორმაციით, ისტორიას ჯავახეთის საჯარო სკოლებში ერევანში შექმნილი სახელმძღვანელოებით ასწავლიან. ადვილი წარმოსადგენია, თუ რა ინფორმაცია მიეწოდება ჯავახეთის არაქართულ სკოლებს საქართველოს ისტორიის შესახებ.

მაგრამ ბატონი ნოდარის მოღვაწეობა სახელმძღვანელოების შექმნის დარგში არ შემოიფარგლება მხოლოდ სასკოლო არეალით. ის უმაღლესი სასწავლებლების სახელმძღვანელოების ავტორი და თანაავტორიცაა. 90-იანი წლების ბოლოს ბატონი ნოდარის მიერ შექმნილი სახელმძღვანელო „საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან მე-19 საუკუნემდე“ არასპეციალური ფაკულტეტების სტუდენტებისათვის იყო განკუთვნილი. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტებიც და პედაგოგებიც წლების განმავლობაში ამ პოპულარული სახელმძღვანელოთი სარგებლობდნენ. იგი სადა ქართულით გამოირჩეოდა და ადვილად გასაგები იყო პირველკურსელთათვის.

2008 წელს ბატონმა ნოდარმა, პროფესორ გივი ჯამბურიასთან ერთად, საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო უკვე ისტორიის ფაკულტე-

ტის სტუდენტებისათვის შექმნა. მხედველობაში მაქვს საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო ტომი II, რომელშიც ჩვენი სამშობლოს ისტორია XIII საუკუნიდან XVIII საუკუნის ბოლომდე განხილული. როგორც აღნიშნულ ტომს, ასევე, ამავე გამოცემის I ტომს, რომლის პასუხისმგებელი მდივანი ქალბატონი ნათელა ვაჩნაძეა, ხოლო მთავარი რედაქტორი – ქალბატონი მარიამ ლორთქიფანიძე, ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტებს შეძლებისდაგვარად ვაცნობთ. ისიცაა აღსანიშნავი, რომ ბატონმა ნოდარმა პროფესორ ალექსანდრე ბენდიანიშვილთან ერთად 1997 წელს ფრანგულენოვანი საქართველოს ისტორია შექმნა, რომელმაც საფრანგეთში ფართო აღიარება მოიპოვა. ეს სახელმძღვანელო ილუსტრირებულია და მაღალ პოლიგრაფიულ დონეზეა გამოცემული. 2009 წელს ბატონმა ნოდარმა, ბატონ ოთარ ჯანელიძესთან თანაავტორობით, სპეციალურად ინგლისის საზოგადოებისათვის კიდევ ერთი სახელმძღვანელო გამოსცა.

ბატონი ნოდარის მოღვაწეობის კიდევ ერთ მნიშვნელოვან მხარეს უნდა შევეხო. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე მისი აქტიური საქმიანობის წლები (1976-1987 წწ.) ისტორიის ფაკულტეტის დეკანის პოსტზე ყოფნას უკავშირდება, თუმცა, მანამდე, 1970 წელს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დეკანის პოსტზე ჯერ საქართველოს ისტორიის კათედრის გამგის მოადგილის თანამდებობას აღასრულებდა. 1972 წელს, ერთ წლის განმავლობაში ეკავა კიდევაც ეს თანამდებობა – ასრულებდა საქართველოს ისტორიის კათედრის გამგის მოვალეობას. 1975 წელს იყო დეკანის მოადგილე, ხოლო 1976 წლიდან 1987 წლამდე იგი ისტორიის ფაკულტეტს უძღვებოდა. ბატონი ნოდარი საქართველოს ისტორიაში ზოგადსაუნივერსიტეტო კურსს წარმატებით კითხულობდა ისტორიის ფაკულტეტის დღის, საღამოს, დაუსწრებელ განყოფილებებზე, ასევე დასავლეთ ევროპის ენების, ფილოლოგიის და ჟურნალისტიკის ფაკულტეტებზე. გარდა ამისა, ხელმძღვანელობდა სპეცკურსებს: „ქართული ფეოდალიზმის თავისებურებანი“ და „რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორია“. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ისაა, რომ ბატონი ნოდარის დეკანობის წლებში ისტორიის ფაკულტეტზე ქართველოლოგიის ჯგუფი ჩამოყალიბდა, რომლის წევრებს არაერთი სპეციალური კურსი ეკითხებოდა. მართალია, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის საუნივერსიტეტო კურსებს ჩვენი თაობის სტუდენტებიც ეზიარნენ, მაგრამ, ამჯერად აქცენტი ეროვნულ დისციპლინებზე იყო გადატანილი. სტუდენტები ეუფლებოდნენ „საქართველოს ეთნოგრაფიას“, „საქართველოს

არქეოლოგიას“, „ქართულ ნუმისმატიკას“, „ქართული ხელოვნების ისტორიას“, „საქართველოს მეზობელი ქვეყნების ისტორიას“, „ენათმეცნიერების შესავალს“ „იბერიულ-კავკასიურ ენათა საფუძვლებს“, აგრეთვე, ძველქართულ, ძველსომხურ და სპარსულ ენებს. მოგეხსენებათ, რომ წლების განმავლობაში სასწავლო პროგრამები უმაღლესი სასწავლებლებისათვის მოსკოვში მზადდებოდა. აქედან გამომდინარე, სასწავლო დისციპლინები იმთავითვე განსაზღვრული იყო. ბატონი ნოდარის დამსახურება ისაა, რომ მან შეძლო გარკვეული ცვლილებები შეეტანა მოსკოვურ პროგრამებში და ეროვნული სასწავლო დისციპლინებისათვის უპირატესობა მიენიჭებინა.

სწორედ ბატონი ნოდარის ძალისხმევით მოხდა, რომ იმ წლებში ისტორიკოსთა, არქეოლოგთა და ეთნოგრაფთა მაღალკვალიფიციური თაობები აღიზარდა.

ბატონმა ნოდარმა, როგორც ჭეშმარიტმა პატრიოტმა, იმაზეც იზრუნა, რომ საქართველოს სკოლის მოსწავლეებს სამშობლოს ისტორია ღრმად შეესწავლათ. მისი თაოსნობით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ისტორიის ფაკულტეტზე ჯერ „ნორჩ ისტორიკოსთა სკოლა“, ხოლო შემდეგ „ნორჩ ისტორიკოსთა კლუბი“ დაფუძნდა. მოსწავლეებს შესაძლებლობა ეძლეოდათ მოესმინათ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ამაგდარი პროფესორ-მასწავლებლების ლექციები, მონაწილეობა მიეღოთ სასემინარო მუშაობაში. მოსწავლეები, როგორც წესი, იმაღლებდნენ ვერბალურ და წერით კულტურას და დისკუსიაში მონაწილეობის უნარ-ჩვევებს.

როგორც მეცნიერმა და სამშობლოზე თავდავიწყებით შეყვარებულმა, არც ის დაიზარა, რომ ნოდარ ახალკაცის მიწვევით საქართველოს ისტორიის საოცარ სამყაროს ქართველ ფეხბურთელებსაც აზიარებდა და პატრიოტული სულისკვედებით უკომპრომისო ბრძოლისათვის განაწყოდა.

კვლავ რამდენიმე სიტყვა ბატონი ნოდარის სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობის შესახებ: 1990 წელს ჩვენმა იუბილარმა დიდი წარმატებით დაიცვა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი თემაზე: „კახეთის სამეფო XV-XVI საუკუნეებში“. 1991 წელს მას უკვე პროფესორის წოდება მიენიჭა. იმავე წელს იგი უცხო ენათა ინსტიტუტის საქართველოს ისტორიის კათედრის გამგედ იქნა არჩეული. ფრანგული, ინგლისური, გერმანული ენის ფაკულტეტების სტუდენტებს პატივი ერგოთ მოესმინათ ბატონი ნოდარის ლექციები საქართველოს ისტორიაში. აქაც საქართველოს ისტორიასთან ერთად, სტუდენტები სამშობლოს სიყვარულს სწავლობდნენ.

ბატონმა ნოდარმა დიდი ამაგი დასდო ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის საქართველოს ისტორიის რედაქციის ნაყოფიერ საქმიანობას, როდესაც 80-90-იან წლებში მას სათავეში ედგა. ისიცაა აღსანიშნავი, რომ ამ შესანიშნავი გამოცემის ცალკეულ ტომებს მისი არაერთი ახალ წყაროზე და ახალი ხედვით გამორჩეული ნარკვევი ამშვენებს.

ბატონი ნოდარის სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობა სათანადოდაა შეფასებული. მინიჭებული აქვს „სახალხო განათლების წარჩინებულის ნიშანი“, „ღირსების ორდენი“, ყველა ისტორიკოსისათვის სანუკვარი ჯილდო – ივანე ჯავახიშვილის მედალი (ორგზის). ბატონი ნოდარისადმი საქართველოს პედაგოგთა უღრმესი პატივისცემის დადასტურებას 2010 წლის 25 დეკემბერს I კლასიკურ გიმნაზიაში გამართული საიუბილეო სხდომაც წარმოადგენს, სადაც მისი კოლეგები და ყოფილი მოწაფეები ერთხმად აღნიშნავენ ჩვენი იუბილარის დამსახურებას ქართული მეცნიერების განვითარებაში და მის წვლილს ისტორიკოსთა ახალი თაობების აღზრდაში.

ბატონმა ნოდარმა და მისმა უმშვენიერესმა მეუღლემ მერი (ფისო) მოღვაწეობაში ტრადიციული ქართული ოჯახი შექმნეს. ქალბატონი ფისო ჰინდიენის ცნობილი მკვლევარია. წლების მანძილზე იგი წარმატებით მოღვაწეობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გიორგი წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში. აქვეყნებდა ნაშრომებს ქართულ და უცხოურ ენებზე და აქტიურად მონაწილეობდა მეცნიერთა საერთაშორისო ფორუმების მუშაობაში.

ბატონმა ნოდარმა და ქალბატონმა ფისომ სამშობლოს ღირსეული ქალვაჟი გაუზარდეს. ირინე ხელოვნებათმცოდნეა. იგი ქართული კულტურის დესპანი იყო ჯერ საფრანგეთში (პარიზში), ხოლო ახლა ამერიკის შეერთებულ შტატებში (ფლორიდაში). რაც შეეხება შოთას, სიხარულით მინდა აღვნიშნო, რომ წლების განმავლობაში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ძველი ისტორიის განყოფილებაში ერთად ვმუშაობდით და უფრო მეტიც, ბედნიერება მქონდა მისი სამეცნიერო ხელმძღვანელი ყყოფილიყავი. შოთამ სპეციალურად შეისწავლა ლურსმული დამწერლობა, ურარტული და ასურული ენები და ურთულესი წყაროების ანალიზის საფუძველზე ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად სოლიდური ნაშრომი თემაზე: „ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველო ძველდამოსავლურ წყაროებში“ დიდი წარმატებით დაიცვა. ვიმედოვნებ, რომ შოთა

ასათიანი მომავალშიც განაგრძობს ძველი აღმოსავლეთის, სამხრეთ კავკასიის ისტორიის ეთნო-კულტურული, პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ასპექტების შესწავლას და ერთგულად ემსახურება ისტორიის მუზას, კლიოს, ისევე როგორც ეს მისმა სახელოვანმა მამამ შეძლო.

ბატონი ნოდარი მრავალმხრივ ნიჭიერი პიროვნება გახლავთ. როგორც უკვე აღვნიშნე, ბავშვობაში ლექსებს და პოემებს წერდა, ბევრს კითხულობდა, გატაცებული იყო ფეხბურთით და ფარიკაობით. ღმერთმა მას ხატვის ნიჭიც დაანათლა. ჩემს არქივში დღესაც ინახება იუმორით აღსავსე ნოდარის კარიკატურები, რომლებიც მხატვრული თვალსაზრისით არც ერთ ქართველ კარიკატურისტის ხელწერას არ ჩამოუვარდება.

როდესაც ამ საიუბილეო საღამოზე ვფიქრობდი, სტუდენტობის წლები, ოცნებებით, მომავლის გეგმებით აღსავსე, თითქოს კვლავ განმეორდა. ბედნიერი ვარ, რომ ჩემმა თანაჯგუფელებმა და ჩვენმა იუბილარმა ცხოვრების გზა ღირსეულად განვლეს და დღესაც შემართული არიან მეცნიერული კვლევა-ძიებებისთვის, ახალი აღმოჩენებისა და ახალი თაობებისათვის დაგროვილი ცოდნის უშურველად გაცემისათვის.

ბატონ ნოდარს დღეგრძელობას, მზეგრძელობას და მომავალი ათწლეულის ასეთივე საიუბილეო ვითარებაში აღნიშვნას ვუსურვებ!

იუბილე

თელო ღუნდუა – 50

წელს ჩვენს მასწავლებელს, კოლეგას, მეგობარს, ბატონ თელო ღუნდუას 50 წელი შეუსრულდა. 50 წელი არც ძალიან ბევრია და არც ძალიან ცოტა, თუმცა ეს ის ასაკია, როდესაც თამამად შეგიძლია ისაუბრო პიროვნების დამსახურებებზე, ღვაწლზე, მის მიღწევებზე. ბატონი თელოს შესახებ კი სათქმელი, დაგვეთანხმებით, ძალიან ბევრია.

წესისა და რიგის მიხედვით, სტანდარტულად, როდესაც უნივერსიტეტის პროფესორებს დაბადების დღეს ულოცავენ, პირველ რიგში მის სამეცნიერო მიღწევებს მიმოიხილავენ. რასაკვირველია, ამ მხრივ სათქმელი მართლაც ძალიან ბევრი გვაქვს, თუ გავითვალისწინებთ ბატონი თელოს სამეცნიერო ინტერესების მრავალფეროვნებასა და პროდუქტულობას. მისი სამეცნიერო ინტერესების სფეროში შედის ისტორიოგრაფიის თითქმის ყველა კარდინალური საკითხი, რომლებსაც ის ჩვეული გატაცებით, მეცნიერული სილადითა და თავდადებით იკვლევს.

თელო ღუნდუას პიროვნული პორტრეტის უმთავრესი შტრიხი, უმთავრესი მახასიათებელი მისი არაორდინალურობაა. ასეთ ადამიანებზე ითქმის, არასტანდარტული (ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით) ადამიანი. ის მართლაც უჩვეულოა მრავალი თვალსაზრისით – განსაკუთრებულად თავდადებული მკვლევარია, განსაკუთრებული მასწავლებელია, გამორჩეული მეგობარი, მოგზაური, მომლხენი და ასე შემდეგ და ასე შემდეგ.

ჩვენ, მის მოსწავლეებსა და ამავდროულად მეგობრებს, ბევრჯერ გვქონია სურვილი, რომ ხმამაღლა გვეთქვა, რამდენად ძვირფასია ის ჩვენთვის, ხმამაღლა გვეთქვა, რა მნიშვნელოვანი იყო ჩვენს ცხოვრებაში ბატონი თელოს გამოჩენა, რომ ჩვენ მართლაც ძალიან გაგვიმართლა, როდესაც ბატონი თელოს სტუდენტები გავხდით, რომ ხანდახან ვეღარც კი ვიგებთ, ის ჩვენთვის ბატონი თელოა თუ უბრალოდ, თელო – ჩვენი თანამდგომი, ჩვენთვის თავდადებული ადამიანი.

ერთი ძველი ანდაზა ამბობს, რომ ორმოცი წელი ახალგაზრდობის სიბერეა, ხოლო ორმოცდაათი – სიბერის ახალგაზრდობა – ბატონმა თელო ამ თვალსაზრისითაც გამონაკლისია – ის მუდამ ახალგაზრდა, ენერგიით სავსეა და, იმედი გვაქვს, კიდევ ბევრ, ძალიან ბევრ სტუდენტს მიანიჭებს სიხარულს, რასაც ბატონი თელოს სტუდენტობა ჰქვია.

დოქტორანტოა ჯგუფი

ძირითადი ნაშრომები

წიგნები და ბროშურები

1. ქართული ეთნოკულტურა და დასავლეთი. პოლიტიკური მიმართებანი (ინგლ. რეზ). თბ. 1993 (40 გვ. A5)
2. კოლხეთი, იბერია და პონტოს სამეფო ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით (რუს. და ინგლ. რეზ). თბ. 1993 (200 გვ. A5)
3. საქართველო და დასავლეთი ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით. წ. I-II. (ინგლ. რეზ.). თბ. 1995 (188 გვ. A5)
4. ლევიათანი, ანუ კაპიტალიზმის პერსპექტივები საქართველოში (ინგლ. რეზ.). თბ. 1996 (10 გვ. A5)
5. ჩრდილოეთი და სამხრეთი, ანუ მართლმადიდებელი სამყაროს სოციალ-დემოკრატიული კონვერსია (ინგლ. რეზ.). თბ. 1996 (8 გვ. A5)
6. Православный мир. Тб. 1996 (8 გვ. A5)
7. The Cyclic Dialectics. Тб. 1996 (24 გვ. A5)
8. ციკლური დიალექტიკა და პორტრეტული ექსპრესიონიზმი (ინგლ., გერმ., რუს. პარალელური ტექსტებით). თბ. 1996 (თანაავტ. ნ. სილაგაძე) (64 გვ. A5)
9. ციკლური დიალექტიკა, სახვითი ხელოვნება და თემის კატეგორია (ინგლ., გერმ., რუს. პარალელური ტექსტებით). თბ. 1996 (თანაავტ. ნ. სილაგაძე) (48 გვ. A5)
10. ციკლური დიალექტიკა და არქიტექტურის განვითარების ძირითადი ეტაპები (ინგლ., გერმ., რუს. პარალელური ტექსტებით). თბ. 1996 (თანაავტ. ნ. სილაგაძე) (44 გვ. A5)
11. ციკლური დიალექტიკა და ქალაქის დაგეგმარების ძირითადი პრინციპები (ინგლ., გერმ., რუს. პარალელური ტექსტებით). თბ. 1996 (თანაავტ. ნ. სილაგაძე) (30 გვ. A5)
12. ციკლური დიალექტიკა, სახვითი ხელოვნება და ტიპის კატეგორია (ინგლ., გერმ., რუს. პარალელური ტექსტებით). თბ. 1997 (თანაავტ. ნ. სილაგაძე) (24 გვ. A5)
13. ციკლური დიალექტიკა, არქიტექტურა და სტილის კატეგორია (ინგლ.

და რუს. პარალელური ტექსტებით). თბ. 1998 (თანაავტ. ნ. სილაგაძე) (40 გვ. A5)

14. ციკლური დიალექტიკა და ხელოვნების ფილოსოფიის საკითხები. პროგრამა სპეცკურსში. თბ. 1998 (თანაავტ. ნ. სილაგაძე) (14 გვ. A5)

15. The Cyclic Dialectics and Philosophy of Art. Syllabus of Special Course. Tb. 1998 (თანაავტ. ნ. სილაგაძე) (14 გვ. A5)

16. ქართული ეთნოკულტურული ევოლუცია და დასავლეთი ნუმისმატიკური მასალების მიხედვით (ძვ. წ. VI ს.-1453 წ.) (ინგლ. რეზ.). თბ. 1997 (330 გვ. A5)

17. საქართველო და გარე სამყარო (ინგლ. რეზ.). თბ. 1999 (68 გვ. A5)

18. Georgia within the European Integration. Tb. 1999 (50 გვ. A5)

19. Christianity and Mithraism. The Georgian Story. Tb. 1999 (24 გვ. A4)

20. Georgia within the European Integration as Seen in Coinage. Tb. 1999 (32 გვ. A4)

21. საქართველოს ისტორია: ქრონოლოგიური თუ თემატური პრინციპი? თბ. 2000 (თანაავტ. ნ. სილაგაძე) (106 გვ. A4)

22. ატიკური ნახევარი მინა დიოსკურიდან. ათენის პონტოური თალასოკრატია (ინგლ. პარალელური ტექსტით). თბ. 2000 (24 გვ. A5)

23. შავი ზღვა – კონტაქტების ზონა. პროგრამა ინტერკულტურული სახელმძღვანელოსთვის (ინგლ. პარალელური ტექსტით). თბ. 2000 (ავტორთა კოლექტივი, კოორდინატორი თ. ღუნდუა) (20 გვ. A5)

24. Making of Europe. Tb. 2000 (12 გვ. A4)

25. „ძელი ცხორებისა“ და მისი ვარიანტები. თბ. 2000 (10 გვ. A4)

26. ქართლი, ეგრისი და საქართველო. ქართული სახელმწიფო 3000 წლისა. თბ. 2001 (24 გვ. A5)

27. საქართველო და გარე სამყარო. ინტერკულტურული სახელმძღ. XI კლ. თბ. 2001 (თანაავტ. ნ. სილაგაძე) (120 გვ. A4)

28. North and South. Tb. 2001. Meridian Publishers. ელექტრონული ვერსია დევს ნატოს ვებ-საიტზე <http://www.nato.int/acad/fellow/99-01/dundua.pdf>. (72 გვ. A4)

29. The Black Sea – Zone of Contacts. Tb. 2001 (ავტორთა კოლექტივი, კოორდინატორი თ. ღუნდუა) (28 გვ. A4)

30. ბაგადატი, ძე ბივრატისა (ინგლ. პარალელური ტექსტით). თბ. 2001 (12 გვ. A4)

31. პუბლიკიუს აგრიპა, ფლავიუს დადე და ორმაგი მოქალაქეობა – არის თუ არა ეს მომავალი ევროპის მოდელი? (ინგლ. პარალელური ტესტით). თბ. 2002 (20 გვ. A5)
32. კოლხური თეთრი და კოლხეთის ისტორიის ზოგიერთი საკითხი. თბ. 2002 (14 გვ. A5)
33. Монетное дело Грузии. Тб. 2002 (16 გვ. A5)
34. The British Kings and Their Money Issues. Tb. 2002 (16 გვ. A5)
35. სეკასტოსები და მართლმადიდებელი სიმახია. დავით აღმაშენებელი და თეოდორე გაბრასი (ინგლ. პარალელური ტესტით). თბ. 2003 (44 გვ. A5)
36. ფული საქართველოში (ინგლ. პარალელური ტესტი). თბ. 2003 (თანაავტორები: გ. დუნდუა, ნ. ჯავახიშვილი, ა. ერისთავი) (180 გვ. A4)
37. Questions et Reponses. Tb. 2003 (44 გვ. A5)
38. Publicius Agrippa, Flavius Dades and Dual Citizenship – a Pattern for Europe in Future? Georgia and the Roman Frontier Policy in the East. Tb. 2003 (20 გვ. A4)
39. Об одном сведении Мовсеса Хоренаци. Тб. 2004 (28 გვ. A5)
40. სიმონ მეფე და ღვთისმშობელ-პამაკარისტოსის ტაძარი კონსტანტინოპოლში (ინგლ. პარალელური ტესტით). თბ. 2004 (თანაავტორი ნ. სილაგაძე) (12 გვ. A5)
41. The Black Sea – A History of Interactions. Teaching Pack on the Black Sea History. Council of Europe. Oslo. 2004 (ავტორთა საერთაშორისო კოლექტივი) (144 გვ. A4)
42. Ta Eis Heauton. The Black Sea. A History of Interactions. Teaching Pack on the Black Sea History (Council of Europe. Gyldendal Undervisning. Oslo. 2004) – Georgian Point of View. Tb. 2004 (8 გვ. A5)
43. Грузинскому государству 3000 лет. Тб. 2004 (6 გვ. A5)
44. Influx of the Roman Coins in Georgia. Tb. 2005 (16 გვ. A5)
45. European Industrial Complexes of I Cycle of Capitalism and the Georgian Western Affiliations. Historical and Numismatic Tale. Tb. 2005 (თანაავტორი ნ. სილაგაძე) (40 გვ. A5)
46. რომაული ფული საქართველოში. თბ. 2006 (20 გვ. A5)
47. ქართული ნუმიზმატიკა. ნაწილი I. თბ. 2006 (თანაავტორი გ. დუნდუა) (312 გვ. A4)
48. პონტოს და ლაზიკის მეფე ფლავიუს ჰანიბალიანე. აღმოსავლეთ რომი – დასაბამი და ადრეული ისტორია. თბ. 2006 (10 გვ. A4)

49. Flavius Hanniballianus – King of Pontus and Lazica. Eastern Roman Empire – Early History. Tb. 2007 (8 გვ. A4)

50. Feudal Georgia Revisited. Selected Epitomae by Tedo Dundua and Natia Phiphia. Tb. 2007 (52 გვ. A4)

51. ფრანკი ლიმიტანები ლაზიკაში. თბ. 2007 (თანავტორი ლ. თავაძე) (8 გვ. A5)

52. ოქროს საწმისის დაბრუნება – რუსული „მოთხრობა“. თბ. 2007 (8 გვ. A5)

53. გაიოს იბერი – დოკუმენტურად დადასტურებული პირველი ქართველი ქრისტიანი. თბ. 2007 (8 გვ. A5)

54. The Making of Europe. Tb. 2007 (18 გვ. A5)

55. “Iberka” – Where Did It Come from? Tb. 2007 (12 გვ. A5)

56. ანტიკური და ფეოდალური ხანის საქართველოს ნუმიზმატიკა. დევიდ ლანგის წიგნის Studies in the Numismatic History of Georgia in Transcaucasia, New York, 1955 – ეპიტომა. თბ. 2007 (თანავტორი თ. ქაძუშაძე) (44 გვ. A4)

57. მთორიდატე უმცროსი – იყო თუ არა ის რომის მოკავშირე? თბ. 2008 (12 გვ. A5)

58. გნეუს პომპეუსის პორტრეტი და ქართული ნუმიზმატიკა. თბ. 2008 (8 გვ. A5)

59. საქართველო და გარე სამყარო – ევროპის „შექმნა“ და ევროპის ინტეგრაციის ისტორიული ფორმები. საუნივერსიტეტო სახელმძღვანელო. (260 გვ. A5)

დასავლეთი და აღმოსავლეთი. მასალები სალექციო კურსისთვის. I. თბ. 2007 (თანავტორი ნ. ფიფია)

ისტორიოსოფიური შტუდიები. მასალები სალექციო კურსისთვის. II. თბ. 2007 (თანავტორი ნ. ფიფია)

ციკლური დიალექტიკა. მასალები სალექციო კურსისთვის. III. თბ. 2008 (თანავტორი ნ. ფიფია)

I ციკლის კაპიტალიზმი. მასალები სალექციო კურსისთვის. IV. თბ. 2008 (თანავტორი ნ. ფიფია)

I ციკლის კაპიტალიზმი. მასალები სალექციო კურსისთვის. V. თბ. 2008 (თანავტორი ნ. ფიფია)

ანტიკური საზოგადოების დაჩიხვა. მასალები სალექციო კურსისთვის. VI. თბ. 2009 (თანავტორი ნ. ფიფია)

პრიმიტიული კომუნიზმი, პროტოფეოდალიზმი და ფეოდალიზმი. მასალები სალექციო კურსისთვის. VII. თბ. 2009 (თანავტორი ნ. ფიფია)

ისტორიის პერიოდიზაციის საკითხისთვის. მასალები სალექციო კურსისთვის. VIII. თბ. 2009 (თანავტორი ნ. ფიფია)

ციკლური დიალექტიკა. არქიტექტურის განვითარების ძირითადი ეტაპები და ქალაქის დაგეგმარების პრინციპები. მასალები სალექციო კურსისთვის. IX. თბ. 2009 (თანავტორი ნ. ფიფია)

საქართველო და გარე სამყარო. სილაბუსი სალექციო კურსისთვის. თბ. 2005

60. ანტიკური პერიოდის კავკასიის ნუმიზმატიკის საკითხები. თბ. 2009 (თანავტორი გ. დუნდუა) (40 გვ. A5)

61. კოლხეთი ძვ. წ. VI-IV სს. ბერძნული ახალშენები დასავლეთ საქართველოში. თბ. 2009 (50 გვ. A5)

62. საქართველო და გარე სამყარო – ევროპის „შექმნა“ და ევროპის ინტეგრაციის ისტორიული ფორმები. საუნივერსიტეტო სახელმძღვანელო. I. თბ. 2009 (248 გვ. A 5) (თანავტორი ნ. ფიფია)

63. Грузинские монеты X-XII вв. как исторический источник. Тб. 2009 (36 გვ. A5)

64. ΜΙΘΡΑΣ საქართველოში. თბ. 2010 (112 გვ. A5) (თანავტორი ნ. სილაგაძე)

65. ჰელიოცენტრიზმი და I ციკლის კაპიტალიზმი. თბ. 2010 (24 გვ. A4)

66. XIII - XV საუკუნეების დასავლურქართული ემისიები. თბ. 2010 (თანავტორი გ. დუნდუა) (60 გვ. A5)

67. მონეტა, როგორც პროპაგანდის საშუალება. გიორგი მესამის ფული. თბ. 2010 (22 გვ. A 4)

68. XIV საუკუნის აღმოსავლურქართული ემისიები. თბ. 2010 (თანავტორი გ. დუნდუა) (60 გვ. A5)

69. XV - XVI საუკუნეების ქართველ მეფე-მთავართა ემისიები. თბ. 2011 (თანავტორი გ. დუნდუა) (60 გვ. A5)

70. ბიზანტიური პროვინციული ნუმიზმატიკა. გაბრასები და მათი სამონეტო ემისიები. თბ. 2011 (16 გვ. A5).

სტატიები

1. სოფ. ალაიანის ისტორიიდან ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით. მასალები საქართველოს სოფლების ისტორიისთვის. III. თბ. 1987, გვ. 48-64
2. Экономические связи Ольвии с Грузией по нумизматическим материалам. შრომები (ჰუმანიტარულ და საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია). XIV. თბ. 1987, გვ. 253-257
3. Взаимоотношения Иберии с Понтийским царством в эпоху Митридата Евпатора по нумизматическим материалам. მაცნე (ისტორიის . . . სერია). 1988 № 1, გვ. 50-60
4. კოლხეთისა და პონტოს სამეფოს ურთიერთობის ისტორიიდან (რუს. და ინგლ. რეზ). თსუ შრომები (ისტორიის . . . სერია). თბ. 1989. 283, გვ. 66-75
5. Die Kolchis, Iberien und der polemonische Pontos nach numismatischen Materialien. Georgica. Jena-Tbilisi. 1991. 13/14, გვ. 100-103
6. X-XII სს. ქართული მონეტები და საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხი (რუს. და ინგლ. რეზ). თსუ შრომები (ისტორიის . . . სერია). თბ. 1992. 310, გვ. 18-30
7. ვინ იყო აკუსილოხი? ისტორიულ-პოლიტიკური ძიებანი. 1993. II, გვ. 9-11
8. კიდევ ერთი ბარბაროსული მინაბადი კოლხეთიდან. „არტანუჯი“. თბ. 1994 2/3, გვ. 25-26
9. The Colchian Tetri. "Letters from Georgia." Vienna. 1-2/ 95, გვ. 75 (თანაავტ. გ. ღუნდუა)
10. კოლხების აჯანყება და მითრიდატე უმცროსი. თსუ შრომები (ისტორიის . . . სერია). 321. თბ. 1996, გვ. 18-28 (ინგლ. და რუს. რეზ.)
11. ლევიათანი, ანუ კაპიტალიზმის პერსპექტივები საქართველოში. ადგილობრივი თვითმმართველობის პრობლემა საქართველოში. თბ. 1996, გვ. 15-20
12. Leviathan, or the Perspectives of Capitalism in Georgia. Local Self-Governing Problem in Georgia. Tb. 1996, გვ. 14-17
13. კოლხეთი, იბერია და გარესამყარო (ძვ. წ. VI-IV სს.). ქართული დიპლომატია. წელიწადი. 4. თბ. 1997, გვ. 268-274 (ინგლ. რეზ.)
14. ფარნავაზიანთა ქრონოლოგია და „ანტიკური“ ხანის ისტორიის ზოგიერთი სხვა საკითხი. III საერთაშორისო ქართველოლოგიური სიმპოზიუმის მასალები. თბ. 1999, გვ. 71-79 (ინგლ. რეზ.)

-
15. Les Relation Économique de la Colchide aux Époques Archaïque et Classique d'après le Matériel Numismatique. La Mer Noire. Zone de Contacts. Actes du VIIe Symposium de Vani. Paris. 1999, გვ. 107-115
16. Review of Georgian Coins with Byzantine Iconography. Numismatica e Antichità Classiche. XXIX. 2000. Quaderni Ticinesi, გვ. 387-396
17. Attic half Mina from Dioscurias. Athenian Thalassocratia over the East Pontus. Phasis. Greek and Roman Studies. v. 2-3. Tb. 2000, გვ. 102-109
18. Die Georgische Drei-Kirchen-Basilika. Neue Solidarität. nn. 6-7. 2001. 02. (თანაავტ. ნ. სილაგაძე). www.solidaritaet.com/neuesol/2002abo/21/tbilisi.html
19. The Three-Church Basilica Type in Georgia. Fidelio (Dr. Nino Silagadze as a co- author). Washington. v. X. n. 1. 2001, გვ. 79-80. www.schillerinstitute.org/fid_97-01/fid_011.georgia.html
20. Bagrat, Son of Bivrat. Phasis. Greek and Roman Studies. v. 4. Tb. 2001, გვ. 26-30
21. Alternative Historical Discussions and Georgian Textbooks. The Learning and Teaching of History with a Focus on Textbooks. Bulletin N14. 2001, გვ. 55. www.mitya.bos.ru/euroclio/world/bul14.html
22. Publicius Agrippa, Flavius Dades and Dual Citizenship – a Pattern for Europe in Future? Caucasia. v. 5. Tb. 2002, გვ. 57-63
23. The Tale of Two Sebastoses and Orthodox Alliance. David the King of Georgia and Theodoros Gabras. Phasis. Greek and Roman Studies. v. 5-6. Tb. 2003, გვ. 71-89
24. ბაგდატი, ძე ბივრატისა. ბაგრატიონები. თბ. 2003, გვ. 69-76
25. Christianity and Mithraism. The Georgian Story. Bulletin of AGIBAS (American-Georgian Institute of Biblical and Archaeological Studies). N1. Tb. 2004, გვ. 38-53
26. Silk, Spices and Oil – the Transcaucasian Transit. www.tsu.edu.ge/personalpages/dundua/dunduae.htm
27. Prehistory. Appendix to “Georgia. Early Origin”. www.tsu.edu.ge/personalpages/dundua/dunduae.htm (თანაავტ. ნ. მიწიშვილი)
28. სიმონ მეფე და ღვთისმშობელ-პამაკარისტოსის ტაძარი კონსტანტინოპოლში. ენა და კულტურა. № 5-6. თბ. 2005, გვ. 43-46 (ინგლ. რეზ.) (თანაავტორი ნ. სილაგაძე)
29. Influx of the Roman Coins in Georgia. Phasis. v. 9. Tb. 2006, გვ. 74-85

30. „იბერკა“ – საიდან გაჩნდა ის? ბიბლიური და არქეოლოგიური კვლევის ამერიკულ-ქართული ინსტიტუტის ბიულეტენი. თბ. 2006-7. №№ 4-5, გვ. 78-79
31. Golden Fleece Is Back – Russian Fiction. Phasis. v. 10 (I-II). Tb. 2007-2008, გვ. 161-162
32. The Making of Europe (Towards History of Globalization). The Caucasus and Globalization. Journal of Social, Political and Economic Studies. v. 2. Issue 2. Sweden. 2008, გვ. 38-45
33. Как создается Европа (к истории глобализации). Кавказ и глобализация. Журнал социально-политических и экономических исследований. т. 2. вып. 2. Швеция. 2008, гв. 44-52
34. Influx of Roman Coins in Georgia. Roman Coins Outside the Empire. Ways and Phases, Contexts and Functions. Proceedings of the ESF/SCH Exploratory Workshop. Radziwill Palace, Nieborow (Poland) 3-6. 09. 2005. Moneta 82, Wetteren, 2008, გვ. 309-319
35. Flavius Hanniballianus – King of Pontus and Lazica. The Eastern Roman Empire and its Early History. Valahian Journal of Historical Studies. Targoviste № 9/2008, გვ. 109-114
36. გიომ დე რუბრუკი და საქართველოს ისტორია. სვანეთი III. თბ. 2008, გვ. 102-105
37. Mithridates the Junior – Was He Rome’s Ally? Phasis. Greek and Roman Studies. v. 11. Tb. 2008, გვ. 41-43
38. European Integration and Architectural Styles (How Globalization Started). The Caucasus and Globalization. Journal of Social, Political and Economic Studies. Volume 3. Issue I. 2009. CA and CC Press. Sweden, გვ. 98-103 (თანავტორი ნ. სილაგაძე)
39. Формы европейской интеграции и архитектурные стили (к истории глобализации). Кавказ и глобализация. Журнал социально-политических и экономических исследований. Т. 3. вып. 1. 2009. CA and CC Press. Швеция, гв. 107-113 (თანავტორი ნ. სილაგაძე)
40. გნეუს პომპეუსის პორტრეტი და ქართული ნუმიზმატიკა. კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებული. № 13. თბ. 2009, გვ. 53-58
41. პონტოს და ლაზიკის მეფე ფლავიუს ჰანიბალიანე (აღმოსავლეთ რომი – დასაბამი და ადრეული ისტორია). ივ. ჯავახიშვილის დაბადების 130 წლის-თავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციის მასალები. თბ. 2010, გვ. 36-42

42. Frankish *Limitanei* in Lazica. Phasis. Greek and Roman Studies. Vol. 12. Tb. 2009, გვ. 141 - 144 (თანაავტორი ლ. თავაძე)
43. იჭრებოდა თუ არა გიორგაული თეთრი? თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. I. თბ. 2011, გვ. 139 - 164 (თანაავტორი გ. ღუნღუა)
44. Georgian Historiography – Reality and Perspectives (View from Inside). საერთაშორისო პრეზენტაცია. დაიბეჭდა თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომებში. I. თბ. 2011, გვ. 332 - 334
45. XV საუკუნის ქართული მონეტები. თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. II. თბ. 2011, გვ. 243 - 275 (თანაავტორი გ. ღუნღუა)
46. Gaius the Iberian – First Ever Recorded Georgian To Be Baptized. დაიბეჭდა თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომებში. II. თბ. 2011, გვ. 424 - 425.

საგაზეთო სტატიები

1. X ს.-XII ს. I მეოთხედის ქართული მონეტები. ბანკი. თბ. 07. 08. 93
2. Die Entwicklung der georgischen Münzprägung. “Kaukasische Post”. N 5. May. 1996
3. ლევიათანი, ანუ კაპიტალიზმის პერსპექტივები საქართველოში. ახალი ქართული გაზეთი. № 78. 22. 10. 98
4. ჩრდილოეთი და სამხრეთი, ანუ მართლმადიდებელი სამყაროს სოციალ-დემოკრატიული კონვერსია. ახალი ქართული გაზეთი. 1998 შემოდგომა
5. „ძელი ცხორებისაი“ და მისი ვარიანტები“. საქართველოს რესპუბლიკა. 1999 შემოდგომა
6. მოგებულ გრანტს რაციონალურად გამოვიყენებთ. გაზ. „თბილისის უნივერსიტეტი“. 2000.
7. ქართლი, ეგრისი და საქართველო. საქართველოს რესპუბლიკა. №№ 319-321. 07. 12-09. 12. 2000
8. ბაგრატი, ძე ბივრატისა. ძლევაი. № 5. ბათუმი. 30. 07. 01
9. Georgia and her Pagan Background. Georgia Today. 5-11. 12. 2003, გვ. 5
10. ისტორიული ცაიტნოტები. ცაიტნოტი. №1. 10. 2003, გვ. 30 (თანაავტ. მ. ვაჩნაძე და ვ. გურული)
11. შავი ზღვა. ურთიერთობების ისტორია. თსუ გაზეთი. 27. 03. 04.

პროგრამები, ლექსიკონები და აშ.

1. Annotierte Bibliographie zur Geschichte Georgiens 1981-1983. Georgica. Jena-Tbilisi. Heft 9. 1986, გვ. 76-90 (თანავტორი დ. ნინიძე)
2. საქართველოს ისტორიის ზოგადი კურსის (18 სთ.) პროგრამა. არასპეციალური ფაკულტეტების სტუდენტთათვის. თბ. 1996 (თანავტ. მ. ლორთქიფანიძე)
3. საქართველოს ისტორიის ზოგადი კურსის (36 სთ.) პროგრამა. არასპეციალური ფაკულტეტების სტუდენტთათვის. თბ. 1996 (თანავტ. მ. ლორთქიფანიძე)
4. ქართული დიპლომატიური ლექსიკონი. ტ. I-II. თბ. 1997-99. სტატიები
5. საქართველოს ისტორიის ზოგადი კურსის პროგრამა. თბ. 2000 (ავტორთა კოლექტივი)
6. საქართველოს მეფეები. ცნობარი. თბ. 2000. სტატიები
7. ივ. ჯავახიშვილის ენციკლოპედიური ლექსიკონი. თბ. 2002. სტატიები
8. საქართველო ანტიკურ ხანაში (ძვ. წ. VI- ახ. წ. III ს.) სილაბუსი სალექციო კურსისთვის. თბ. 2005
9. ქართული ნუმიზმატიკა. სილაბუსი სალექციო კურსისთვის. თბ. 2005
10. საბაკალავრო ნაშრომების თემატიკა. საგანი – საქართველოს ისტორია. თბ. 2006 (თანავტორები – ა. გოგოლაძე, ბ. კუპატაძე)
11. ანტიკური (ბერძნულ-რომაული) წყაროები საქართველოს შესახებ. სილაბუსი სალექციო კურსისთვის. თბ. 2006
12. ქართული ნუმიზმატიკა. საქართველოს ისტორიის კათედრა. 1918 - 2005. თბ. 2010, გვ. 259 - 265

თეზისები, მოხსენებათა შინაარსები და საპრეზენტაციო სტატიები:

1. Агаяни по нумизматическим материалам. Второй всесоюзный симпозиум по проблемам эллинистической культуры на Востоке. Тезисы докладов. Ереван. 1984, гв. 23-24 (თანავტორი გ. ღუნდუა)
2. Античные монеты, найденные Жинвальской и Эрцойской археологическими экспедициями. Душетская научная конференция, посвященная проблеме взаимоотношений между горными и равнинными регионами. Аннотации. Тб. 1984, гв. 58-61 (თანავტორი გ. ღუნდუა)

3. Экономические связи Ольвии с Грузией по нумизматическим материалам. Проблемы исследования Ольвии. Тезисы докладов. Парутино.1985, გვ. 25-26 (თანაავტორი გ. დუნდუა)

4. Economic Relations of Colchis in the Early Classical Period According to Numismatic Evidence. The Seventh International Symposium on the Ancient History of the Black Sea Littoral. Vani. 1994. მოხსენების ტექსტი დაურიგდა სიმპოზიუმის მონაწილეებს (თანაავტორი გ. დუნდუა)

5. ქრისტიანობის და მითრაიზმის მიმართების საკითხისათვის ქართლში. ქრისტიანული ცივილიზაცია და საქართველო. კონფერენცია, მიძღვნილი ადრექრისტიანული არქეოლოგიის პირველი მსოფლიო კონგრესის 100 წლისთავისადმი. მოხსენებათა მოკლე შინაარსები. თბ. 1994, გვ. 58-61

6. III საერთაშორისო ქართველოლოგიური სიმპოზიუმი. თბილისი. 1994. მოხსენება – „ფარნავაზიანთა ქრონოლოგია და ანტიკური ხანის ისტორიის ზოგიერთი სხვა საკითხი“. მოხსენების ტექსტი დაურიგდა სიმპოზიუმის მონაწილეებს

7. Georgian Coins with the Byzantine Iconography. International Conference – Centennial of S. Kauhchishvili. Tb. 1995. თეზისები, გვ. 36-38

8. The Cyclic Dialectics and Philosophy of Art. St. John’s College, Oxford, Oxford Colleges Hospitality Scheme for East European Scholars, 05. 03. 98, პრეზენტაცია (თანაავტორი ნ. სილაგაძე). ტექსტი დაურიგდა დამსწრეებს

9. ათენი (1999 III). „ხმელთაშუაზღვისპირეთი და კავკასია“. მოხსენების – Georgian Coins with the Byzantine Iconography – შესაბამისი ტაბულები (გამომც. „მერიდიანი“) დაურიგდა კონფერენციის მონაწილეებს

10. ვენა (1999 XII). “Christianization of the Caucasus“. მოხსენების – Christianity and Mithraism – the Georgian Story – შესაბამისი ტაბულები (გამომც. „მერიდიანი“) დაურიგდა კონფერენციის მონაწილეებს

11. Christianity and Mithraism – the Georgian Story. The Christianization of the Caucasus (Armenia, Georgia, Albania). International Symposium. Resumées. Wien. 1999 (9-12. 12)

12. შავი ზღვის აუზის ქვეყნების ისტორიის ინტერკულტურული სახელმძღვანელო (The Black Sea. History of Interactions. Council of Europe. Oslo. 2004) – ექსპერტთა შეხვედრა. ოდესა. 2000 V. პრეზენტაცია (თანაავტ. ნ. მიწიშვილი) – Silk, Spices and Oil – Transcaucasian Transit. ტექსტი დაურიგდა ექსპერტებს

13. თბილისი. 21-26. 09. 00. საერთაშორისო კონფერენცია – ელინისტიკა საუკუნეთა მიჯნაზე. Attic Half Mina from Dioscurias. Athenian Talassocrazia over the East Pontus. მოხსენების ტექსტი და ტაბულები დაურიგდა კონფერენციის მონაწილეებს

14. შავი ზღვის აუზის ქვეყნების ისტორიის ინტერკულტურული სახელმძღვანელო (The Black Sea. History of Interactions. Council of Europe. Oslo. 2004) – ექსპერტთა შეხვედრა. თბილისი. 2000 XI. პრეზენტაცია – Georgia in Antiquity. ტექსტი (გამომც. „ნეკერი“) დაურიგდა ექსპერტებს

15. Alternative Issues and History Textbooks. ევროსაბჭოს ეგიდით პრობლემისადმი მიძღვნილი კონფერენცია. თბილისი. 13/14. 11. 00. მოხსენების ტექსტი დაურიგდა მონაწილეებს

16. Influx of the Roman Coins in Georgia. ESF SCH Exploratory Workshop. Roman Coins Outside the Empire. Ways and Phases, Contexts and Functions. Nieborow, Poland, 3-6 September 2005. მოხსენების ტექსტი დაურიგდა მონაწილეებს

17. XII. 96. სოროსის ფონდი – კავკასიის ინსტიტუტი, კონფერენცია: „ადგილობრივი თვითმმართველობის პრობლემა საქართველოში“. მოხსენება – ლევიათანი, ანუ კაპიტალიზმის პერსპექტივები საქართველოში. მოხსენების ტექსტი დაურიგდა მონაწილეებს

18. თსუ საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია, მიძღვნილი ივ. ჯავახიშვილის დაბადების 120 წლისთავისადმი. თბ. 1996 XI. მოხსენება – ციკლური დიალექტიკა და ხელოვნების ფილოსოფიის საკითხები (თანამომხს. ნ. სილაგაძე). ტაბულები (გამომც. „მერიდიანი“) დაურიგდა კონფერენციის მონაწილეებს. სამეცნიერო კონფერენციის მასალები. თბ. 1996, გვ. 29-31

19. 1998 II. თბილისი. ევროკლიოს (Standing Conference of the European History Teachers Association) ზაზით. საქართველოს ისტორიის მასწავლებელთა ასოციაციის გაფართოებული სხდომა. რეცენზია პოლონურ და პაკისტანურ ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოებზე. ტექსტი დაურიგდა სხდომის მონაწილეებს

20. Central European University. 1998. დებატები თემაზე: „კავკასია – ერთიანი სახლი?“ ანოტაცია, Georgia – a Single Whole Economic Space, სოროსის ფონდის მეშვეობით დაეგზავნა დასახელებულ უნივერსიტეტს და ქვეყნის აკადემიურ წრეებს

21. დედოფლის ზეობის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი უორდროპების საზოგადოების მიერ მოწყობილი კონფერენცია. თბ. 2002 IX. მოხსენება – The British Kings and Their Money Issues. მოხსენების ტექსტი და ტაბულები დაურიგდა კონფერენციის მონაწილეებს

22. 04. 10. 03. ქუთაისი. ნუმიზმატთა და კოლექციონერთა შეხვედრა – ეროვნული ბანკის ქუთაისის ფილიალი. მოხსენება – ბაგრატი, ძე ბივრატისა. ტექსტი და ტაბულები დაურიგდა დამსწრეებს

23. პიზის უნივერსიტეტი. 2003 IX. პრეზენტაცია – Publicius Agrippa, Flavius Dades and Dual Citizenship – a Pattern for Europe in Future? Georgia and the Roman Frontier Policy in the East. მოხსენების ტექსტი გადაეგზავნა კონკრეტულ დაწესებულებას

24. პრეზენტაცია წიგნისა – The Black Sea – A History of Interactions. Teaching Pack on the Black Sea History. Council of Europe. Oslo. 2004 (თ. დუნდუა, როგორც მთავარი ავტორი ქართული მხრიდან). სოჭი. 2004 IX. ქართული რეცენზია – Ta Eis Heauton. The Black Sea. A History of Interactions. Teaching Pack on the Black Sea History (Council of Europe. Gyldendal Undervisning. Oslo. 2004) – Georgian Point of View – გადაეგზავნა კონკრეტულ შეკრებას

25. რომაული ფული საქართველოში. V საერთაშორისო ქართველოლოგიური სიმპოზიუმის მოხსენებათა რეზიუმეები. თბ. 2006, გვ. 33-35

26. პონტოს და ლაზიკის მეფე ფლავიუს ჰანიბალიანე. აღმოსავლეთ რომი – დასაბამი და ადრეული ისტორია. ივ. ჯავახიშვილის დაბადების 130 წლისთავისადმი მიძღვნილი საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენცია თბ. 2006. XII. საპრეზენტაციო ბროშურა დაურიგდა კონფერენციის მონაწილეებს

27. ფრანკი ლიმიტანები ლაზიკაში. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის I სამეცნიერო კონფერენცია. თბ. 2007. VI. თეზისები იხ. www.tsu.ge/humanities. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის I სამეცნიერო კონფერენციის მასალები. თბ. 2007, გვ. 39-40

28. არგონავტიკა და მსოფლიო კულტურა. საერთაშორისო კონფერენცია. 01-03. 07. Golden Fleece Is Back – Russian Fiction. საპრეზენტაციო ბროშურა დაურიგდა კონფერენციის მონაწილეებს

29. Georgia as a Part of Europe. 11. 12. 07. Institute for European Studies. “The Making of Europe”. საპრეზენტაციო ბროშურა დაურიგდა კონფერენციის მონაწილეებს

30. საქართველო და გარე სამყარო. საგრანტო ჯგუფი – საქართველოს სახელმწიფო და სახალხო დიპლომატიის ისტორიის შემსწავლელი ცენტრი. „გაიოს იბერი – დოკუმენტურად დადასტურებული პირველი ქართველი ქრისტიანი“. საპრეზენტაციო ბროშურა დაურიგდა კონფერენციის მონაწილეებს. 2007. იხ. მასალები გვ. 9-10

31. გრ. გორგაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია. თბ. 2007. 24-25. 12. „იბერკა – საიდან გაჩნდა ის?“ საპრეზენტაციო ბროშურა დაურიგდა კონფერენციის მონაწილეებს

32. მითრიდატე უმცროსი – იყო თუ არა ის რომის მოკავშირე? ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის II სამეცნიერო კონფერენცია. თბ. 2008. VI. თეზისები იხ. www.tsu.ge/humanities აგრეთვე, შალვა ნუცუბიძე 120, საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია. თბ. 2008, გვ. 169-170

33. Gaioz Iberian, First Recorded Georgian Ever To Be Baptized. VII Doroczna Miedzynarodowa Sesja Kaukazologiczna im. Sw. Grzegoza Peradze. 4-6. 12. 08. ვარშავა. საპრეზენტაციო ბროშურა დაურიგდა კონფერენციის მონაწილეებს

34. გნეუს პომპეუსის პორტრეტი და ქართული ნუმიზმატიკა. აკად. გ. მელიქიშვილის დაბადების 90 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია – თსუ. 23. 12. 2008

35. გიომ დე რუბრუკი და საქართველოს ისტორია. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის III სამეცნიერო კონფერენცია. თბ. 2009. VI. თეზისები იხ. www.tsu.ge/humanities

36. XV საუკუნის ქართული მონეტები, როგორც საისტორიო წყარო. ივანე ჯავახიშვილი – 135. სამეცნიერო კონფერენციის მასალები. თბ. 2011, გვ. 32 – 33.

რეკენზიები, დისერტაცია და ავტორეფერატი (ხელნაწერის უფლებით)

1. კოლხეთი, იბერია და პონტოს სამეფო ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით. საკანდიდატო დისერტაცია. თბ. 1992

2. Колхида, Иберия и Понтийское царство по нумизматическим материалам. საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატი. თბ. 1992

3. ქართული ეთნოკულტურული ევოლუცია და დასავლეთი ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით (ძვ. წ. VI ს.-1453 წ.). სადოქტორო დისერტაცია. თბ. 1995

4. ქართული ეთნოკულტურული ევოლუცია და დასავლეთი ნუმისმატიკური მასალების მიხედვით (ძვ. წ. VI ს.- 1453 წ.). სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატი. თბ. 1995

5. Georgian Ethnocultural Evolution and the West According to the Numismatic Material (the 6th c. B.C.- 1453). Synopsis of Thesis (Doctoral). Tb. 1995

6. Mike Edwards. The Fractured Caucasus. National Geographic (February 1996, vol. 189, no. 2). ამაზე რეცენზია ორი რუკით საელჩოს ხელით გადაეცა ჟურნალის რედაქციას

7. Сурен Айвазян. Исторические карты Армении. რეცენზია ამაზე, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთვის. 2004 წ.

8. Отечество. V კლ. აზერბ. სახელმძღვანელო (რუს. ენაზე). რეცენზია ამაზე – საქართველოს განათლების სამინისტროსთვის. 2004 წ.

9. История Азербайджана. VI კლ. აზერბ. სახელმძღვანელო (რუს. ენაზე). რეცენზია ამაზე – საქართველოს განათლების სამინისტროსთვის. 2004 წ.

10. История Азербайджана. VII კლ. აზერბ. სახელმძღვანელო (რუს. ენაზე). რეცენზია ამაზე – საქართველოს განათლების სამინისტროსთვის. 2004 წ.

11. რეცენზია ნაშრომზე – ბიზანტია ქართულ წყაროებში. რედაქტორები: ნ. მახარაძე, ნ. ლომოური. თბ. 2010. დაიბეჭდა თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომებში. I. თბ. 2011, გვ. 358 - 363

12. რეცენზია სურენ აივაზიანის ნაშრომზე – „სომხეთის ისტორიული რუკების ატლასი“ (С. Айвазян. Исторические карты Армении. Атлас. Ред. С. Еремян. Ереван. 2003). დაიბეჭდა თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომებში. II. თბ. 2011, გვ. 465 – 469.

ქრონიკა

ლერი თავაძე

შოთა მესხია – 95

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის კონფერენცია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა ცნობილი ქართველი მეცნიერის, ისტორიკოსის, პროფესორ შოთა მესხიას (1916-1972 წწ.) დაბადებიდან 95-ე წლისთავს. მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ ორგანიზატორებმა კონფერენციის თარიღი დაამთხვიეს დამსახურებული მეცნიერის დაბადების დღეს – 27 აპრილს. კონფერენცია გაიმართა თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის ეგიდით.

საიუბილეო ღონისძიებები დაიწყო და კონფერენციას წინ უძღოდა თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მიერ ორგანიზებული შოთა მესხიას სხოვნისადმი მიძღვნილი სხდომა, რომელსაც უძღვებოდა ფაკულტეტის დეკანი პროფ. დარეჯან თვალთვაძე. პროფესორ შოთა მესხიას ცხოვრების და მოღვაწეობის შესახებ, ვრცლად ისაუბრა, აკად. მარიამ ლორთქიფანიძემ

კონფერენცია ჩატარდა იმავე დღის მეორე ნახევარში. მასში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლებმა და ამავე ინსტიტუტთან ინტეგრირებულმა დოქტორანტებმა. სხდომას თავმჯდომარეობდა აკად. მარიამ ლორთქიფანიძე.

კონფერენციის პირველი მომხსენებელი გახლდათ პროფ. მარიამ ჩხარტიშვილი, რომლის მოხსენების თემა იყო „*ქართული ერთობა, როგორც მნიშვნელოვანი კოლექტივი*“. მომხსენებელმა გამოყო რამდენიმე მნიშვნელოვანი

მომენტი ქართველი ერის კოლექტიური მახსოვრობიდან. მისივე შეფასებით, წარსულის კოლექტიური გააზრება, აუცილებელი კომპონენტია ერთიანი ეროვნული თვითშეგნების ჩამოსაყალიბებლად.

მომდევნო მომხსენებელი იყო ამავე ინსტიტუტის დოქტორანტი ლერი თავაძე – „*ნოველისიმოსის ტიტული შუა საუკუნეების ქართულ პოლიტიკურ რეალობაში*“. ავტორმა მიმოიხილა ნოველისიმოსის ტიტულის წარმოშობა და როლი რომაულ/ბიზანტიურ სამყაროში და მისი ფუნქციისა და მნიშვნელობის გათვალისწინებით სცადა წარმოეჩინა ამ ტიტულის როლი ქართულ სამყაროში. მომხსენებლის მტკიცებით, ნოველისიმოსობა მეფეების ბაგრატ IV-სა და გიორგი II-ის გარდა მიღებული ჰქონია ნიანია ქვაბულისძესაც. აღნიშნულ მოვლენას ის 1073 წლით ათარიღებს.

პროფ. მიხეილ ბახტაძემ მოხსენებაში „*საქართველოს ორ სამეფოდ გაყოფისათვის*“ ისაუბრა საქართველოს ისტორიის ისეთ მნიშვნელოვან მონაკვეთზე, როგორცაა XIII საუკუნის მეორე ნახევარი, როდესაც ერთიანი ქართული მონარქია ორ ნაწილად გაიყო. როგორც გამომსვლელმა აღნიშნა, პოლიტიკურ დაშლას თან დაერთო ადმინისტრაციული თანამდებობების გაყოფაც, კერძოდ, ქვეყანაში ჩნდება ორი მანდატურთუხუცესი, ორი მსახურთუხუცესი და ა.შ. მისივე თქმით, დავით VI ნარინის დროს დასავლეთ საქართველოში არსებულმა ადმინისტრაციული აპარატის დასუსტებამ შექმნა საჭიროება, შეედგინათ, ისეთი მნიშვნელოვანი დოკუმენტი, როგორცაა „ხელმწიფის კარის გარიგება“. ამდენად, მ. ბახტაძემ უფრო გაამყარა მოსაზრება ამ ძეგლის დავით ნარინის ეპოქით დათარიღების შესახებ, მაშინ როდესაც ისტორიკოსების უმრავლესობა, აღნიშნულ ცერემონიის წიგნს გიორგი V ბრწყინვალის ხანით ათარიღებს.

პროფ. თედო ღუნღუას მოხსენება იყო „*XVI ს. ქართული ფული, როგორც საისტორიო წყარო*“. მომხსენებელი შეეხო ერთიანი საქართველოს დანაწევრების პერიოდის ეროვნულ ემისიებს. საქართველოს სამეფოს დაშლის შემდეგ ქართლის და იმერეთის სამეფოები ცალ-ცალკე აგრძელებდნენ ქართული ვალუტის მოჭრას. ქართლში ეროვნული ემისიების გამოშვება 1525 წლის შემდეგ შეწყდა, რაც, როგორც ირკვევა, დაკავშირებული იყო იმართულ პოლიტიკურ ვითარებასთან, რაც იქ შეიქმნა ირანის, მოგვიანებით – ოსმალეთის აგრესიის წყალობით. კახეთში ადგილობრივი ზარაფხანების მიერ უცხო ქვეყნების მმართველების ფულის მოჭრა ხდებოდა. იმერეთი კი, რო-

გორც ირკვევა, იყო ადგილი, სადაც ბოლო ქართული ფული მოიჭრა, ვიდრე მოგვიანებით XVIII საუკუნეში არ განახლდა ეროვნული საფასის გამოშვება.

საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის პროფესორმა დიმიტრი შველიძემ წარმოადგინა შემდეგი მოხსენება „თეიმურაზ I: საგარეო პოლიტიკა და მისი შედეგები“: მომხსენებელი შეეხო კახეთის მეფის თეიმურაზ I-ის საგარეო პოლიტიკის რამდენიმე მნიშვნელოვან მომენტს, რომლის გააზრებაც ავტორმა XVII საუკუნის ისტორიული პერსპექტივიდან სცადა. ავტორი დადებითად აფასებს თეიმურაზის მცდელობას რუსეთის მეშვეობით მოახერხოს და წინააღმდეგობა გაუწიოს ირანის აგრესიას საქართველოში. მისი აზრით, რუსეთთან დაახლოება იყო თეიმურაზის დროინდელი ქართული სამეფო-სამთავროებისთვის ყველაზე სწორი გადაწყვეტილება, ვინაიდან რეალური ალტერნატივა, ვისი მეშვეობითაც შეიძლებოდა მომხდარიყო ირან-ოსმალეთის აგრესიის თავიდან აცილება, ფაქტობრივად, არ არსებობდა.

დოქტორანტი ალექსანდრე ბოშიშვილი აუდიტორიის წინაშე წარსდგა მოხსენებით „ოსმალეთის“ გავლენა სოლაღაშვილების სამფლობელო სოფლების დემოგრაფიულ მდგომარეობაზე (1721 წლის მეწინავე სადროშოს აღწერისა და 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დაუთრის მიხედვით)“. მოხსენების ავტორი შეეცადა, ქვემო ქართლის მაგალითზე ეჩვენებინა ის შედეგები, რაც საქართველოში ოსმალების ბატონობას მოჰყვა, რომელიც ისტორიოგრაფიაში „ოსმალეთის“ სახელით არის ცნობილი. როგორც ორი აღწერის შედარებამ – ოსმალების შემოსვლამდელმა და მათი ბატონობის დროინდელმა აღწერებმა ცხადყვეს, ოსმალეთის ბატონობა ქართლში არ ყოფილა ისეთი მძიმე, როგორც ეს აქამდე იყო მიღებული სამეცნიერო წრეებში, მოსახლეობა მთელ რიგ სოფლებში არათუ შემცირდა, არამედ გაიზარდა კიდევ.

პროფ. აპოლონ თაბუაშვილმა მოხსენებაში „ქართლ-კახეთის სამეფოსა და ყარაბაღის სახანოს დაპირისპირება ალა-მაჰმად ხანის ჯარებთან 1795 წლის ივნისში“ წარმოადგინა 1795 წლის ივნისში განვითარებული იმ პერიპეტიების დაწვრილებითი ანალიზი, რაც წინ უძღოდა კრწანისის ბრძოლის (1795 წლის 11 სექტემბერი) ეპოპეას. სწორედ ამ დროს მოხდა მნიშვნელოვანი ბრძოლა ირანელებსა და ქართულ-ყარაბაღულ (შუშის სახანო) გაერთიანებულ ჯარს შორის, რაც ამ უკანასკნელის სრული გამარჯვებით დამთავრდა. მიუხედავად გამარჯვებისა, ქართველებმა აღარ დატოვეს ყარაბაღის დასაცავად საკუთარი არმია და რუსეთის ჯარების მოლოდინში, სამხედრო ძალე-

ბი ირანის არმიის ძირითადი ნაწილების გამოჩენამდე აღმოსავლეთ საქართველოში გაიწვიეს.

კონფერენციაზე უკანასკნელი მოხსენება წარმოადგინა პროფ. გიორგი ჟუჟუნაშვილმა „შოთა მესხია და ქართულ-რუსული ურთიერთობის საკითხი“. მომხსენებელი, ძირითადად, შეეხო შოთა მესხიასა და იასე ცინცაძის ერთობლივ მონოგრაფიას „Из истории русско-грузинских взаимоотношений X-XVIII вв.“ (Тбилиси. 1958). მომხსენებელმა ეს ნაშრომი განიხილა ქართული ისტორიოგრაფიის კონტექსტში, ასევე საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ისეთ საკითხებს შეეხო, რომელიც პრობლემატურია დღესაც. მისი შენიშვნით, მიუხედავდ იმისა, რომ შოთა მესხია ინტენსიურად არ იკვლევდა ქართულ-რუსულ ურთიერთობებს (მისი კვლევის ობიექტი შუა საუკუნეების ქალაქები და საქალაქო ცხოვრება იყო), მისი ღვაწლი ამ სფეროში მნიშვნელოვანია.

მოხსენებების შემდეგ დაისვა კითხვები განხილული პრობლემების ირგვლივ და გაიმართა დისკუსია, რომელშიც მონაწილეობა მიიღო არაერთმა მეცნიერმა. სოხუმის უნივერსიტეტის პროფესორმა ზურაბ პაპასქირმა ვრცლად ისაუბრა შოთა მესხიას პიროვნებასა და მის დამსახურებაზე საქართველოს ისტორიის კვლევის საქმეში. მანვე გამოთქვა კმაყოფილება იმ სასიამოვნო ფაქტთან დაკავშირებით, რომ უნივერსიტეტი არ ივიწყებს თავისი საამაყო შეილებს ამავს და მიაგებს პატივს მათ ნათელ ხსოვნას.

დასასრულ, სხდომის თავმჯდომარემ აკად. მარიამ ლორთქიფანიძემ მაძლობა გადაუხადა კონფერენციაზე გამოსულ მომხსენებლებს, ასევე, იქ დამსწრე საზოგადოებას.